

114
1925 / 2.

Handwritten red calligraphic text, possibly a stylized signature or decorative element, consisting of several large, flowing, red characters.


Handwritten signature or stamp in the upper right corner, including some illegible text and a date.

№ 3(11) 91

1925

პრინციპული ფაქტების დასაბუთება. შერეული!

114
1925



406.

114

შეკ (11)

112

ყოველთვიური საგზაბრო სალიბერატორო
და სამეცნიერო ჟურნალი

გ ა რ ტ ი

თბილისი 1925 წელი





საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საბჭოთაო კლუბი: {
3. ბახტაძე.
8. ქანიანი.
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {
საქართველოს კულტურა-განათ-
ლების მთავარ-მართვებლობა.

ს. შ. უ. ს. პოლიგრაფიკული ქარხანა № 1493.

ტირ. - 3000.

თბილისი - 1925.



ქართული
ლიბრარიუსი

მსატკრულები ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

პარიზის კომუნა.

(18 მარტი 1871 წ.)

ზე ლამეებში განვიცადე
მთელი სიმწვავეით
პროლეტარიატის ჯვარცმა ბარიკადებზე,
კომუნარების კედელი
პერ-ლაშეზის სასაფლაოზე,
ამბოხებული პარიზი,
და გარყვნილი ვერსალი!
დელეკლიუზის ტრაგედია
და სამარცხვინო გამარჯვება
ტიერის.
ჩემთან მოდიან ლამეები,
დატვირთულნი კომუნარების
დაცხრილულ ტანით;
ჩემთან მოდიან ლამეები
ბარიკადებითა და ქუჩებით,
სადაც კვდებიან
ბავშვები და ქალწულები,
მოხუცნი და ჭაბუკნი.
ჩემთან მოდიან ლამეები,
როგორც ნაგები ტრაურულ დროშით,
როგორც ხომალდი,
რომლის კაპიტანია
თვით ულმობელი და ხარბი
სიკვდილი.
ჩემი ოცნება იხნიქება
ამ ტვირთის ქვეშ,
და მე—ავსილი მრისხანებითა,

ცრემლით, ქვითინით,
 ვამბობ სიმღერას,
 რომ დაედალო ზიხლით
 ვერსალი.
 და აღტაცებით პარიზი
 პროლეტარიატის,
 პარიზი კეთილშობილ მემბოხეთა,
 პარიზი ჭეშმარიტ რევოლიუციის,
 პარიზი სათაყვანებელ კომუნის,
 რომელიც ელვარებს სისხლით
 და მადლია,
 როგორც გოლგოთა!



II.

პოეტთა შორის, რომ აღიდებს ეს ტრაგედია
 არის უდიდესი,
 მსგავსი იუვენალის,
 ერთად — ერთი,
 კარლ მარქსი.
 მხოლოდ მან ერთმა გაპოიცირო
 კომუნის სფინქსი.
 სიმახვილით და პათოსით,
 როგორც ტაციტმა მან გააშიშვლა
 ბურჟუაზიის საზიხლობა
 და იწინასწარმეტყველა დიდება
 პროლეტარიატის.
 არტურ რემბომ
 „ახლად გაშენებულ პარიზში“
 თავისი უურთბი უთავაზა
 მაძღარ ჯალათებს.
 ეჟენ პოტიემ — თვით კომუნარმა
 შექმნა „ინტერნაციონალი,“ —
 ნუშამ დაგეიტერმა
 აზიარა იგი მუსიკას.
 ვიქტორ ჰიუგონ გოიას ხელით
 დახატა საშინელება მაისის,
 როცა ვერსალი ახრჩობდა პარიზს.
 ვერსალი და პარიზი!
 ორი სიმბოლო — სამუდამოდ დაუფიწყარი.
 პროლეტარიატმა იგრძნო
 თვისი იბლობა

და თვისი ძალა.
 ამიერიდან შერიგება შეუძლებელია!
 ბრძოლა დამთავრდება კატასტროფით
 და ეს იქნება დამარცხება
 ძველი ქვეყნისა.
 პარიზის კომუნა არის გოლგოთა,
 მაგრამ ის არის წინამორბედი
 დიდი ოქტომბრის,
 დიდი ლენინის!

III.

მწვანე მაისო, დათალებული
 კომუნის სისხლით,
 უთუოდ გახსოვს ვერსალელთა
 ბრძოლა პარიზთან!
 გახსოვს ქაოსი,
 დახვრეტები,
 სისხლი და ცეცხლი,
 და პერ-ლაშეზის სასათლაოზე
 უკანასკნელი აგონია შეამბოხება,
 როცა დიდ ჯარებს შეებრძოლა
 ორასი კაცი,
 და ორასივე დაიღუპა სათლაეთა შორის.
 მაისო! გახსოვს მოედანი ბლანშის,
 სადაც ბატალიონი ქალების,
 როგორც ახალი ამორძალების,
 ლუიზა მიშელის
 და დიმიტრიევას წინამძღოლობით
 იბრძოდა სასოწარკვეთით და სიმამაცით.
 პირველი გმირი ამბოხების
 იყო თვით ხალხი
 მისი დევიზი: მშვიდობა ქოხებს
 ომი სასახლეებს!
 ჩაიგდეს ხელში დესპოტებმა
 მთელი პარიზი!
 სისხლით წაბილწეს, ო მაისო,
 შენი დღეები.
 მაგრამ ოქტომბრის ურაგანი
 გამოისყიდის მაისის კვირას
 სამგლოვიარო სამუდამოთ
 არის მაისი



საშინელია ძველ ქვეყნისთვის
ოქტომბერი!

IV.

ახლა პარიზის ნიშანია არა მამალი,
თავს დასტრიალებს შავი ყორანი,
მას ემუქრება ეშვიანი
ტახი ვერსალის.
მაგრამ ჯერ კიდევ ზეიმია.
გამოცხადება კომუნის,
ხალხის ყიფინი
მხიარული და უდარდელი.
ნაციონალურ გვარდიის დემონსტრაცია
რატუშის წინ,
ურციცხვ ორკესტრების სიმფონია.

ვანდომის სვეტი ეშაფოტზე უარესია.
და იგი ხალხმა წააქცია,
ისე, ვით ძეგლი უხეშ ძალის,
ყალბი დიდების, მილიტარიზმის.
ძველო ქვეყანა! შენ ვანდომის
სვეტზე ყალბი ხარ!
შენ უნდა იქნე დანგრეული
და სამუდამოდ აღსდგება ხალხი,
ძირს დინასტია, ნაპოლეონი!
ვანდომის სვეტი კომშარია ძალმომრეობის
ხალხი ემნის რევოლუციის პირამდას,
მთელი სახელი და დიდება
ხალხს!

V.

მძვინვარებს ვერსალი.
კომუნარები იბრძვიან აკლდამებში
და ძეგლების მწვერვალებზე.
პარიზის პეიზაჟი:
მთელი ქალაქი სავსეა ბარიკადებით
და ჰგავს
გადაბრუნებულ ხიდს.
ისმის მიტრალიერის სიმღერა.
კოკოტკები, მულლერები, სარდლები,
დამარცხებულნი პრუსიასთან ბრძოლაში



შემოდინ პარიზში.
 მაგრამ არ არის აღებული კიდევ ქალაქი.
 პროლეტარიატი იბრძვის
 და იცლება სისხლიდან.
 ტიერი იცინის და ნაპოლეონის პოზით
 მთელის პარიზის
 უკანასკნელ კუნესას,
 ტიერი-ტარტიუფი, ტიერი-გომბეშო,
 ტიერი-გონჯა!
 მაკ-მაგონი — „სედანის გმირი“
 ისევ აღადგენს თავის თავს
 როგორც სარდალი.
 პარიზი იბრძვის და კვდება
 მომაკვდავი გედის სიმღერით.
 პარიზი ხანძარებით, ნანგრევებით,
 ბრძოლაში დაღუპულ ბავშვებით
 და დედებით.
 ცოცხალ ინსურგენტებით,
 „ინტერნაციონალის“ სიმღერით
 მოვლის გალიფეს,
 რომ კიდევ ერთხელ შეუშვას
 მის ტყვიებს გული.



VI.

ინტერნაციონალი.

ეს არის ბრძოლა უკანასკნელი!
 გავერთიანდეთ. სიკვდილი დალატს!
 კაცობრიობა გახდება მთელი
 სანატრულ ინტერნაციონალად.

1.

თავი ასწიეთ, მშრომელო, მაღლა!
 შინშილის, ბედის კატორღელებო!
 ჩვენი გონება მძვინვარებს ახლა,
 როგორც ვულკანი და გახელება.
 ვადავაჭციოთ ჩვენ წმინდა დაფად
 წარსული. ვსძლიოთ სასტიკი მტერი!
 ბრბოვ მონებისა, აღსდევი სწრაფად,
 და მოვიპოვოთ ჩვენ ყველაფერი!

2.

ჩვენ არ დაგვიხსნის ძალა ციური.
ძირს კეისარი, ტრიბუნი, ღმერთი!
თვითონ გავჭედოთ ბედი მზიური
და გაიმარჯვებს კომუნა ერთი!
ტუსალმა იხსნას თავისი თავი
და გადალახოს მან საპურობილე!
დავანთოთ ქურა, ცეცხლი მგრგვინავი,
გავჭედოთ რკინა—ბრძოლის მხმობელი.



საქართველოს
საბჭოთაო მემკვიდრეობის
სამხარვეზო

3.

თვით სახელმწიფო არის ყაჩაღი
ჩვენი უფლება—ხმა ცარიელი.
თავზე გვეცემა, როგორც ნაჯახი
ყალბი კანონი—მდიდართა მცველი.
ძირს მზრუნველები! დავგმოთ ტყვეობა!
თანასწორობა ჩვენ ახლა გვინდა.
დე, იყოს მუდამ მოვალეობა
და მასთან ერთად უფლება წმინდა!

4.

ამშვენებს მღაღრებს ფარჩა, ბისონი.
ეხლა მათია მთელი მსოფლიო.
ჩვენი ნაშრომით უსინდისონი
სტკბებიან და ეს ჩვენი იფლია!
იმით სკივრებში არის ყოველი,
რაც შექმნა შრომამ თავის დიდებით.
ვადგენთ: სიმდიდრე, აქ მოგროვილი,
ხალხს დაუბრუნდეს კეშმარიტებით!

5.

მეფენი ღვრიან სისხლს ნეტარებით.
მშვიდობა—ყველას! ბრძოლა—ჯალათებს!
ჩვენ გავაუქმოთ ომი, ჯარები.
სიკვდილი ყველას, ვინც გვილაღატებს!
კაცთმკამელები და კალიები
ირაზმებიან მეტ გაშმაგებით,
მაგრამ ნახვენ: ცხელი ტყვიებით
შეუპოვარნი დავეტაკებით!

6.

მიწა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ მხოლოდ,
ვინც ვართ მისი, ქარხნის მშრომელი.
მუქთახორები უნდა ჩავქოლოთ
იქნება ბრძოლა დაუდგრომელი
როცა გაწყდება მუქთახორები,
მხეცნი, ყორნები, ავი ქორები,
სასტიკი მენი როს გავარდება,
მზე სამუდამოდ აელვარდება!

ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.
გავერთიანდეთ! სიკვდილი ღალატს!
კაცობრიობა გახდება მთელი
სანატრელ ინტერნაციონალად!

(„ვეენ პოტიე“).

VII

თითქოს დაბადა იგი ღამურამ
და მისი სული ბნელმა გამურა.
ის ქეშმარიტი იყო სალახი,
და მისი გული—იყო ტალახი.

არ დაივიწყებს იმას მდიდარი,
არ დაივიწყებს იმას ღარიბი,
ის იყო სისხლის მოურიდარი.
და ბევრი მოჰკლა კომუნარები.

იგი სასტიკი იყო ჯალათი,
თვითონ გადურჩა ღირსეულს სასჯელს,
და დაუსჯელი მისი ღალატი
ხალხის წინაშე მეტია ასჯელ.

მასში მოგროვდა მთელი ნაწური,
მთელი ნალექი უქმი წოდების.
იგი ურცხვია და უწმაწური,
არ იცის წუთი მან შეცოდების.

ის უეჭველად არის სარდალი.
მისი ბატონი არის ტიერი.
მან აღადგინა კვლავ სამართალი.
ერის წინაშე სდგას კადნიერი.

ფეხზე დეხებით, ხელში მათრახით,
დიდი ყურებით, მკაცრი ტუჩებით.



ქართული
საპარლამენტო
საქმიანობა

ის იცქირება შესაზარ სახით
და ესმის წყველა დაუყუჩები.

მას ჯოჯოხეთის პირბნელ არეში
მოათავსებდა ალიგიერი,
სადაც გველების არის თარეში
და ქიმერების ხოხვა ხმიერი.

ეს გენერალი არის გალიფე—
ურცხვი სიკვდილის ურცხვი მხლებელი.
პარიზო! ზიზლით მოაყალიბე
მისი სახელი—საფურთხებელი!

ერქვას კლოაკას მისი სახელი,
მისი ხსენება იყოს წყეული.
და გვიკარნახებს გულის ძახილი:
დავახრჩოთ მისი ჩვენ ორეული.

№ VIII

ამ სასაკლავოს რეჟისორი
არის ტიერი,
მუდამ ცბიერი
შეფისტოვული
ჭინკის პროფილით.
ადაშიანი, რომელიც იცინის.
მტერი ხალხისა თავიდანვე.
მაგრამ პირფერი და მაგნებელი
როგორც ქვემძრომი.
ბურჟუაზია ტაშს უკრავდა
ტიერს,
თავის ბრწყინვალე ნოქარს,
და მისცა მას სამშობლოს
გადამრჩენელის სახელი.
არის სამოთხე და ჯოჯოხეთი
ისტორიის.
უნდა გავაკრათ სამუდამოდ
ის ზიზლის სვეტზე.
ხომ უნდა იყოს
სასჯელი მისთვის.
და საჩუქარი.
მან უღალატა საფრანგეთს,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგანაც საფრანგეთია —
მუშები და გლეხები,
სხვა არავინ.
ტიერი — კალიბანი
მიირთმევედა კაცის ხორცს,
როგორც ლოკოკინას,
მიიღე კრულვა სამარადისო
მსოფლიოსაგან!



IX

1872 წლის გაზეთი „რადიკალი“ მოგვითხრობს შემდეგს:

თქვენ იცით, რამდენი ხალხი დაიღუპა შიმშილისაგან, როდესაც პარიზს შემორტყმული ჰქონდა გერმანელთა და ვერსალელთა ალყა. ეს იმიტომ, რომ ბრებანი (რესტორატორი) არ იყო ამ ხალხის მეგობარი. ბრებანის მეგობრები ზეიმობდნენ ამ საშინელ დღეებში და იმათ არაფერი აკლდათ.

ისინი იყვნენ თოთხმეტი კარგი ამხანაგი. ჭიქების და ბოთლების მეგობარნი.

ორჯერ თვეში დანიშნულ დროს ისინი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მხრებით და მკლავებით იკავავდნენ გზას, არღვევდნენ ღარიბ ქალთა რიგებს საკანდიტეროს, ან სახორცეს წიხ; მათი მადა იღვიძებდა მახინჯ მოხუცების და ბავშვების დანახვაზე, რომელნიც იფლებოდნენ ტალახში; ისინი მიაღწევდნენ მონმარტრის ბულვარამდე და ღიმილით შეაღებდნენ ბრებანის კარებს; მაშინ, როდესაც მშინერი პარიზი კიდევ უფრო უჭერდა სარტყელს ნაციონალურ გვარდიას, ისინი დანაყრებულნი იხსნიდნენ ფოლაქებს მეტი სიმაძღროისაგან.

მაშინ, როდესაც გრანატები თავს ესხმოდნენ მარცხენა ნაპირს, ეს ვაჟბატონები საშიშროების გარეშე, მარჯვენა ნაპირზე უკვეთავდნენ შამპანიურს; პრობკები მიფრინავდნენ ჭერისაკენ, იწყებოდა მხიარული ბომბარდიროვკა, სიცილი, ხუმრობა, უსაზღვრო სიამოვნება.

ამას არასდროს არ იფიწყებენ; გულს შეუძლია დაივიწყოს, მაგრამ კუჭს არასდროს; ვაჟბატონებმა ეს დაამტკიცეს. მოაჭრევენეს ფულის საჭრელ მანქანას წმინდა ოქროდან სამას ფრანკიანი მედალი ბრებანის პატივსაცემად, — რესტორატორის, მეგობარის, ღმერთის, რომელმაც შექმნა ამდენი სასწაული პათი სტომაქისათვის.

მედალის ზედაპირზე სწერია:

პარიზის
ალყის დროს
რამოდენიმე კაცი
მიეჩვია ბრებანთან შეკრებას.
ყოველი 15 დღის შემდეგ;
ერთხელაც ვერ შეამჩნიეს,
რომ ისინი სადილობენ ქალაქში.

სადაც ორი მილიონი მცხოვრები
აღყა შემორტყმულია
1870—1871.



მედალის მეორე მხარეზე.

ბატონ პოლ ბერტრანს.

ერნესტ რენან.	შ. ედმონდი.
პოლ დე-სენ ვიქტორ.	ტიური.
ბ. ბერტელი.	ბერტრანი.
შ. ბლანი.	მარვი.
შერერ.	ე. დე-გონკური.
დიუმენილი.	ტეოფილ გოტიე.
ე. ნუფტკუი.	ა. ვებრარდი.

ეს თითხმეტი სახელი, ამოჭრილი თხელ ოქროზე, ასწავლის შთამომავლობას, როგორ უნდა განიკურნო ეროვნულ უბედურებისაგან, როდესაც ფილოსოფი ხარ, როგორც რენანი, პოეტი, როგორც ტეოფილ გოტიე, რომანისტი, როგორც გონკური და კრიტიკოსი, როგორც პოლ დე-სენ ვიქტორი.

X.

ნაშინ, როდესაც ნებივრობდნენ ბრებანთან
ტეოფილ გოტიე და რენანი,
ორი პოეტი: რემბო და ვერლენი
ებრძოდნენ ვერსალს.
სისხლიან მაისის შემდეგ
რემბო გადიკარგა პროვინციაში,
ვერლენი იმალეობდა სარდაფებში.
ორმა პოეტმა მოიხადა ვალი
კომუნის წინაშე.
მათი სახით პოეზია
ათევდა ღამეს ბარეკადაზე.
რემბო და ვერლენი!
მეამბოხენი ცხოვრებაში და ხელოვნებაში.
„მთვრალი ხომალდი“ სიმბოლოა
ამბოხებულ პარიზის.
რემბო—ჭირისუფალი კომუნის
და ვერლენი—ორეული ვარლენის—
კომუნის მეწამულის და გმირის.

XI.

კომუნა იბრძვის, როგორც გლადიატორი.
ლოყებიდან იცქირებიან

ტიერი და გალიფე.
კომუნარები გააფთრებით იცავენ
პერ-ლაშეზს:
ეფარებიან სასაფლაოს ძეგლებს
და ტყვიებით იგერიებენ მტერს.



სამოცი წლის დელეკლიუზი.
გამოდის მერიიდან
და უიარაღო, ჯოხით ხელში
შიდის „შატო დო“ს ბარიკადაზე.
ყერმორელს მოჰყავს დაჭრილი ამხანაგი
და თვითონ—ტყვიით გაგმირული
ძირს ეცემა.

დელეკლიუზს დასცილდნენ ამხანაგები,
როცა გამოჩნდა ბარიკადა „შატო დო“.
მოჰქროდენ ყუმბარები.
დელეკლიუზი ავიდა ბარიკადის მწვერვალზე,
როგორც ქურუმი.
უკანასკნელად გამოჩნდა მისი სახე,
მისი ლეთაებრივი ჭაღარა—
ის გადავარდა ბარიკადის მწვერვალიდან,
დაცხრილული ტყვიებით.

მან დასტოვა წერილი
თავის დისათვის:
„ძვირფასო დაო!
მე არ მინდა ვიყო მსხვერპლი და სათამაშო
გამარჯვებულ რეაქციის.
მაპატიე, რომ მე მივდივარ
შენზე უფრო ადრე.
შენ შემომწირე მთელი სიცოცხლე,
მაგრამ არა მაქვს გამბედაობა
გადავიტახო კიდევ ახალი დამარცხება.
ჩემი უკანასკნელი მოგონება
სამარის წინ—იქნები შენ!

დაგლოცავ საყვარელო დაო,
მთელო ჩემო ოჯახო
ჩვენი ძვირფასი დედის სიკვდილის შემდეგ.
მშვიდობით, მშვიდობით!

გვაშბორები კიდევ ერთხელ!
შენი ძმა, რომელსაც გყვარები
უკანასკნელ კენესამდე“

XII.



საპყრობილე სატორი!
შენ გახსოვს ტანჯვა კომუნარების,
ნერონი ქრისტიანებს არ სტანჯავდა.
ისეთი სისასტიკით,
როგორც ტიერი კომუნარებს.
დაჭერილნი მიჰყავთ ქუჩაში
ჯარისკაცების თანხლებით.
მათ აფურთხებენ სახეში
მათ უძახიან ბანდიტებს.
ვინც დაეცემა მოჭანცული —
მსხვერპლია ტყვიის.
უანდარმები, კოკოტკები, სპეკულიანტები
სჯიჯგნიან ფესით მკვდარ კომუნარებს.
ზეიმობს არისტოკრატია,
სამღვდელოება და მდიდართ ხროვა.

სატორის ეზო.
აქ შემორეკეს, როგორც ჯოგი,
დატყვევებულნი.
და უბრძანეს მიწაზე დამხობა.
პაპანაქება. წყურვილი.
ვინც წაშოდგება, მას იქვე ხერცენ.
ბევრი გიჟდება. ბევრს დავლა ესხმის.
გალიფეს დღეა! ის ზეიმობს,
ბედნიერი, გაარჯვებულნი.

27 და 28 მაისი.
საშინელებამ მიაღწია სახლვარს.
გრიგალი. გრგვინვა.
წვიმა და წვიმა.
სატორის ეზოში კომუნარები
გართხულნი მიწაზე,
სცურაობენ ტალახის ქაობში.
კომუნარების ჯგუფი შეირხა,
ამუშავდა მიტრალიეზა.
გრგვინვა. ნიაღვარი.

მომაკვდავების კენესა-ვაება.
გათენდა. საპრობილის ეზო მოფენილია
დახვრეტულ კომუნარებით.

სხვებისათვის განდევნა სამშობლოდან,
შორი კალედონია,
ცხოვრება და სიკვდილი ველურთა-შორის.

პოეტი რემბო—დეზერტირი მწერლობის,
„მთვრალი ხომალდის“ კაპიტანი,
სტოვებს ევროპას სამუდამოდ,
სადაც ცხოვრება მიაჩნია შეურაცყოფად
კომუნის დამარცხების შემდეგ.

XIII.

ლუი ზა მიშელის სიმღერა განდევნაში:

ეს არის ცივი კალედონია.
მე თითქოს ვხედავ წარსულს მთვარეში.
კომუნის მახსოვს მე აგონია
და ეხლა ვმღერი სიმწუხარეში.

თეთრი ტოტებით სდუმს ნიაული.
მე ვგლოვობ წარსულს, ვით დეზდემონა
და მოგონებით დამწვარი გული
ისევ კომუნის აჩრდილს ემონა.

ვებრძოდით ვერსალს კომუნარები,
და ახლაც გეჯერა ჩვენ მომავალი.
მახსოვს მაისის ცხელი დარები
თანამოძმეთა მსხვერპლი მრავალი.

ეს განდევნაა—მიუსაფარი
ჩვენი ბედია—შავი წყვედიადი
ქუხს ოკეანე, როგორც ზღაპარი,
მაგრამ იქნება სხვა განთიადი.

შენ, ნიაული, ისმინე სევდა,
რომელიც არის სავესე იმედით.
მე მოგონება დიდხანს მარწევდა
და მოქანცული ვიყავი ბედით.



საქართველოს
საბჭოთა კავშირის
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური



ჩვენ გავიმარჯვებთ. ძირს კმუნვა, თალხი.
იქნება ჩვენი ისევ პარიზი.
დაუდგრომელი, მამაცი ხალხი
იქნება ბრძოლის მოასპარეზე.



ჩვენ გრიგალების არ გვერიდება.—
არის სიზმარი ჩვენი ტყვეობა.
კიდევ წინ არის ჩვენი დიდება
და საზეიმო თეთრი დღეობა.

მე ლამეები მახსოვს ათასი.
საწყალი დედა მე შაგონდება
ძმები, მოკლული ბარიკადაზე
და ჩემი სული ჩუმაღ ღონდება.

ჩვენ სამშობლოში გვსურს დაბრუნება.
ჩვენ შეცოდების არ ვართ მთხოველი.
გვსურს საკუთარი ვნახოთ ბუნება,
ვნახოთ ჯეჯილი მოოქროველი.

ო, რა თეთრია მოვარე პირ სავსე,
ო, როგორ გლოვობს წარსულს ეს გული.
და დეზდემონას ტირიფის მსგავსი
თავზე დამტირის მე ნიაული.

XIV

კომუნის დამარცხების შემდეგ
მაღალი სახლის აიყანზე
სხედან ჯალათნი: ტიერი და გალიფე.
თამაშობენ ჭადრაკს.
ეზოში შემოდის პიერო
თავისი ბალაგანით.
ჯალათები ხალისით უცქერიან წარმოდგენას,
რომელიც გაიმართა მათ წინაშე.
მაგრამ ეს არ არის ბალაგანი
ეს არის თეატრი
კომუნის უკანასკნელ დღეებიდან.
პიერო, რომლის დედამა
ვერსალმა გამოასალმა წუთი-სოფელს,
უხდის სამაგიეროს ჯალათებს.
ტიერმა და გალიფემ

იცვნეს თავისი თავი
 მარიონეტებში, რომელნიც ღვრიან
 უდანაშაულო პარიზის სისხლს.
 ბალაგანი იწვის, როგორც კომუნა
 მეფე და დედოფალი
 იქცევიან კომუნარებად
 ჭადრაკის სატურნირო მოედანზე.
 დაინძრა სახლი და კომუნის მოგონებან
 კიდევ ერთხელ გააფითრა
 საზიზლარი გალიფე
 და საზიზლარი ტიერი.



XV

მიწა მაისში დაითესა
 კომუნარების სისხლით და ძვლებით,
 და ამ მიწაზე აღმოცენდა
 დიდი ოქტომბრის მოსავალი.
 სახელოვანი წინაპარი
 დიდი ოქტომბრის
 არის კომუნა,
 და მისი დროშა სისხლიანი,
 დაცხრილული,
 ამშვენებს ლენინის მავზოლეის.
 რუსეთმა მაისს უპასუხა
 დიდ ოქტომბერით,
 დიდი ლენინით.
 მან შეარხია მთელი მსოფლიო.
 ძველო ქვეყანა! გეშინოდეს,
 შენ აღსასრულის წინაშე დგახარ!

რევოლიუციის დედა-ქალაქი პარიზი
 არის სამშობლო
 ყველა ქვეყნის შეამბოხეთა.
 კომუნისათვის დაილუპა დომბროვსკი.
 იბრძოდა ვრუბლევსი,
 გარიბალდიელნი.
 ვენსენის ხრამში ცხრა კომუნართა შორის
 დახვრეტილ იქნა ბაგრატიონი—
 ლეგიონის უფროსი.
 კომუნას ერთი წუთით არ დაუჩოქნია
 ვერსალის წინაშე.

მილიერი ხელშეკრული
 ძალდატანებით დააჩოქეს პანთეონის წინ
 და სიკოცხლეს გამოასალმეს.
 როსსელი, ფერრი, რაულ რიგო,
 ვერ მორელი, ფლურანსი
 და ყველაზე საყვარელი
 დელეკლიუზი—
 მსხვერპლნი კომუნის.
 და უსახელო გმირები!
 კულტი უცნობი კომუნარის,
 რომ დაიღუპა წითელ მაისში,
 ამიერიდან დავადგინოთ
 ჩვენს ოცნებაში.



ძველო ქვეყანა! შენთან იყო კეთილშობილი
 კომუნა—გმირული და სპეტაკი,
 დიდსულოვანი,
 შენ კი იყავი სულდაბალი,
 მტერს დამარცხებულს ამცირებდი
 შენ პირუტყვულად.
 ძველო ქვეყანა! გადაგიხდის სამაგიეროს
 მომავალი რევოლიუცია.

კიდევ მოისმის სიმფონია, რომლით პოეტმა
 მებრძოლთ პარიზი დაიტირა, ისე ვით დედა:

ოი ქალაქო! უბედურო და თითქმის მკვდარო,
 შენი მკერდები, შენი თავი სტყორცნე მომავალს—
 რა რიგ ძნელია შენი ნახვა ამ იარებით
 თუმც არასოდეს არ ყოფილა ასე ტანჯული
 და აკუწული სხვა ქალაქი დედამიწაზე,
 პოეტი მაინც გეუბნება: ხარ მშვენიერი!
 გრიგალი გიძღვნის უმწვერვალესს შენ პოეზიას,
 ძალთა დაჭიმვა გადავარჩენს დაღუპვისაგან.
 მიაღწევ მიზანს. ვერ გაშინებს თვითონ სიკვდილი—
 შენ ყველა კენესა შეაგროვე საყვირის გულში.
 პოეტი აკრეფს უბედურთა ქეითინს და ცრემლებს—
 გაამათრახებს სამუდამოდ ყველა ჯალათებს
 და მისი ლექსი დაიყვირებს: შორს ბანდიტებო!

მარტი. 1925 წ.



უბრამ ღაიგვიანა.

რკინის გზის ნაპირზე სადარაჯო ქოხი სდგას. ქოხის კედელთან გრძელ სკამზე გზის დარაჯი თომა და მისი თვრამეტი წლის ქალიშვილი ბრმა თინა სხედან. თინას თომასთვის ზურგი შეუქცევია და თვისი გრძელი, შავი და გაწეწილი თმა მამის მკლავებსა და მუხლებზე დაუყრია. თომა ხის სავარცხლით უვარცხნის თმას და ეუბნება:

— ამისთანა ღამაში თმა ჯერ არ მინახავს. გეზრდება და გეზრდება.

— მართლა, მამილო? ღამაში თმა მაქვს? მიხდება?

— გიხდება, მა'ნა!

თინა წითელი ტუჩებით იღიმება, თეთრად ჩამწკრივებულ კბილებს აეღვებს და უჩინო თვალებს ამოებით ეუტავს. კალთაში ბებერი კატა უხის, რომელსაც ორივე ხელით უაღერსებს; ფეხებთან მგლის მსგავსი ძალღი გაწოლილა, რომელსაც სიცხისაგან ენა გადმოუგდია. ძალღი ქაქანებს და დროგამომშვებით პირის წკაპუნით ბუზებს იჭერს. თინამ ოდესღაც კატას „ნანუა“ დაარქვა ძალღს კი „ღრინა“ ორივეს ეს სახელები შერჩათ.

— ნანუ, გესმის, რას მეუბნება მამა ჩემი? მაშ ღამაში თმა მაქვს, მამილო? — ერთხელ კიდევ ეკითხება თინა თომას და კატას გულში იხუტებს.

— ძალიან ღამაში თმა გაქვს, შვილო, ძალიან. თმაც ღამაში გაქვს, თვალებიც, პირიც და ცხვირიც. შენც ღამაში ხარ, გენაცვალოს მამა შენი, ძალიან ღამაში ქალი ხარ.

— თმა რა ფერისა მაქვს? — მეთასჯერ ეკითხება თინა თომას.

და თომაც უჩინოს უგულოდ და უიმედოდ მეთასჯერ უპასუხებს:

— თმა კუბრივით შავი გაქვს.

— რა არის კუბრი? როგორია შავი?

— შავი ის არის, შვილო, რასაც ჰხედავ.

— მე ვერაფერს ვხედავ, მამილო.

— ჰო და, შავიც სწორედ ეგ არის, რასაც ვერ ჰხედავ. ასე, იგი, ბინდი, ბნელი, არაფერი, შავი...

ბნელი! არაფერი! შავი! მაშ შავი არაფერი ყოფილა... მაშ არაფერიც შავი ყოფილა... მაგრამ რა არის არაფერი? ნეტა რა ფერისაა არაფერი? ნეტა რა ფერისაა ფერი? ან რა არის ფერი?

ფიქრისგან თინას მალე თავი ასტკივდა და გულმაც ფართხადი დაუწყო. ფიქრი უმალვე ამოიგდო თავიდან. აღარც კითხვას უფიქრდება, აღარც პასუხის გაგებას ატანს ძალას, მაგრამ მაინც შეჩვეულს იმეორებს:

- თვალები რა ფერისა გაქვს, მამილო?
- თვალებიც შავი გაქვს, გენაცვალოს მამა შენი.
- ტუჩები?
- წითელი.
- კბილები?
- თეთრი.
- პირისახე?
- პირი? პირი პირის ფერისა გაქვს, გენაცვალოს ჩემი თავი.
- მაშ ბალახი მწვანეა?
- მწვანეა.
- ჩალა?
- ჩალის ფერი.
- ცა?
- ცისფერი.

პირის ფერი პირსახე!.. ჩალის ფერი ჩალა!.. ცის ფერი ცა! ოოჰ, ღმერთო დიდებულო!

თომამ მაჯის სისქე ნაწნავი დასწნა, ბოლო ჩვრის ნახევით შეჰკრა და სთქვა:

- გავათავე, შვილო, ადექი.

თინა გასწორდა, ნაწნავი ათქვირებულ მკერდზე გადმოიგდო, ნიდაყვები მუხლებზე დაიწყო, ნიკაპი ხელის გულებზე დაიბჯინა და ოღნავ ქანაობას მოჰყვა, თან სივრცეს უღიმოდა.

- მამილო, ეხლა ზღაპარი მითხარი.

- ზღაპარი? რაც ვიცოდი, ბარე ათჯერაც ვიამბე. მეტი აღარ ვიცი.

- ერთხელ კიდევ მითხარი.

— იყო და არა იყო რა, — უგულოდ იწყებს მოწყენილ ზღაპარს თომა, — ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე. ი ხემწიფეს ერთი შენის-თანა ლამაზი ქალი ჰყავდა. ერთხელ ი ხემწიფემ ნაზირ-ვეზირები დაიბარა...

- რა ერქვა იმის ქალს? აწყვეტინებს თინა.

- თინა ერქვა, გენაცვალოს მამაშენი.

- ჩემზე ლამაზი იყო?

- შენზე ლამაზი როგორ იქნებოდა, მაგრამ...

- მაგრამ ჩემსავით ბრმა არ იყო, ვანა!


- არა, გენაცვა, ბრმა არ იყო. დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უთხრა:

ჩემ სამეფოში ცხრათავიანი დევი გაჩენილა. ი დევმა ბევრი ხალხი გამოფუჭა. ვინც იმას მოჰკლავს, ლალის ციხეს ვაჩუქებო.

- რა არის ლალის ციხე, მამილო?

- ი ციხე სულ ლალისაგან იყო აშენებული.

— ლალი რაღა არის?
 — ძვირფასი ქვა არის. შენი ნეკის თავის ოდენა ლალი რომ მოგვცა, ავშენდებით.



— რა ფერისაა ლალი?
 — წითელი, შენი ტუჩებივით წითელი.
 — მერე? ი ციხეს შიგნით რის კედლები ჰქონდა?
 — ფირუზისა.
 — ფირუზი ცისფერია, არა?
 — ჰო, გენაცვალე. ჰერი ზურმუხტისა ჰქონდა, მწვანე, ფოთლის ფერი. ლალის ციხეს მივცემო და თინასაც მივათხოვებო.

— რა არის გათხოვება?
 — ათჯერ თუ ოცჯერ გითხარი, შვილო.
 — კიდევ, მამილო, კიდევ მითხარი.
 — გათხოვება ის არის, რომა ქალი და ვაჟი... ერთ სახლში დასახლდებიან.

თინა აღარ იღიბება. პირში ნერწყვი მოსდის და ხმაც ეცვლება:

— რითვინა? რითვინ დასახლდებიან?
 — იმითვინა, რომა... რომა ცოლ-ქმარი არიან. ქალი ცოლია და ვაჟი ქმარია. აი, ამითვინა.

— რა არის ცოლი და ქმარი? რითვინ შაიყრებიან ერთადა?
 — იმითვინა, რომა... რომ ერთმანეთი უყვართ, შვილო.
 — რად უყვართ?... რა არის სიყვარული?—და სიჩუმის შემდეგ კვლავ ათროლლებულის ხმით განიბეორა:

— მამილო, რა არის სიყვარული?

თომა შეიშმუშნა. ბევრჯერ მოარიდა თინას ნამდვილი პასუხი, მაგრამ თინა მარწუხებით ეწეოდა მანას პირიდან სიმართლეს.

— სიყვარული ის არის, გენაცვა, რომა... ქალი და ვაჟი ერთმანეთს... ერთმანეთს შეიყვარებენ. აი, ეს არის სიყვარული... აი, ეს არის.

— როგორ შეიყვარებენ მეთქი?—უნით წამოიძახა თინამ და ორივე ხელით თომას მკლავში მისწვდა.—როგორ შეიყვარებენ მეთქი, მამილო, როგორ?... რა უნდათ?... რას სჩადიან? რას? რას?

და ღონიერ ხელებით მამა შეანჯღრია. თინას ხმაში კენესა და ბრაზი მოისმა.

— გეტყვი, გენაცვა, გეტყვი. ოღონდ დაწყნარდი, ნუ ჯავრობ.

— მითხარი, მამილო, მითხარი.—და ბრაზის მაგივრად თინას ხმაში ნაწი მუდარა გაჩნდა.—მითხარი. აღარა ვჯავრობ... აღარ... სთქვი.

თავი თომას მხარზე მიადო და გაინაბა.

— ქალი და ვაჟი რომ ერთმანეთს შეიყვარებენ, ერთმანეთს... მიუსხდებიან.

— როგორც მე და შენ.—განმარტა თინამ და თომას გვერდს აეკრა.—აი, ესე, არა? მერე?



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

- ჰო, გენაცვა, ვერე.
- მერე, მერე?
- მერე, გენაცვალე... მერე არაფერი.
- როგორ თუ არაფერი! მამილო! სტყუი! ნუ მატყუებ, მამილო! მითხარი, გენაცვალოს თინიკო, მითხარი.
- ღმერთმანი, არაფერი.
- ერთი დახე, ღმერთსაც რომ ფიცულობს!
- შე კი არ ვიცი და...
- მაშ შე ვიცი, შე ვიცი.
- თუ იცი, რალად შეკითხები?
- ვიცი შეთქი, ვიცი! ვიცი!—სიხარულით და ჟინით იძახდა თინა და ტაშს უკრავდა, —ვიცი, ვიცი! კეკემ მიაშბო.
- რა გიამბო კეკემ?
- ის მიაშბო რომ... ქალი და ვაჟი ერთმანეთს ჩაეხუტებიანო და... თინა გაწითლდა, თომას მკლავები მოჭხვია და გაინაბა.
- მერე, რომ ჩაეხუტებიან?
- ჩაეხუტებიან და...
- თინა თითქოს აერყროლდა. ცოტა ხანს სდუმდა, მერე თომას მკერდს ჩასჩურჩულა:
- ჩაეხუტებიან და... ერთმანეთს ჰკოცნიან.
- იცის,—გაიფიქრა თომამ,—იცის. ან კი დრო არ არის, განა! თვრამეტისა შესრულდა. მართალია, კაცი არავინ მოჰკარებია ჩვენს სახლს, მაგრამ ბუნება ყოველთვის თავისას გაიტანს.
- მამილო!—მორთოლვარე ჩურჩულით ეძახის თინა.
- რა გინდა, გენაცვალოს მამა?
- რალაც უნდა გკითხო.
- შეკითხე, გენაცვა, შეკითხე.
- არ კი გამიჯავრდე, თორემა...
- რათა, გენაცვა, რათ უნდა გაგიჯავრდე?
- ქალი რომ ჩემი ხნისა შესრულდება, გათხოვდება ხოლმე, არა?
- ჰო, გენაცვა, გათხოვდება.
- მე... შე როდისღა გამათხოვებ?...
თომას ხმა აუტოკდა.
- შენა?... მალე, გენაცვალოს მამა შენი, მალე. ერთ ისეთ ბიჭს გიშოვნო, რომა... გინდა, განა, ერთი ყოჩალი ბიჭი?
- ჰო, მამილო... მინდა... მეც მინდა ბიჭი.
- თინამ უჩინო თვალეები მილულა და სული შეიგუბა. მერე თითქო თავის თავს ჰკითხა:
- ყბაჩა? ნეტა ყბაჩა სად არის?
- მოჯამაგირედ არის. მოგწონს, განა, ყბაჩა?

— ძალიან მომწონს, ძალიან! კარგი ბიჭია... ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ, ვინ იცის, ის კი მოინდომებს ბრმა თინიკოს შერთვას?

თომას გული აუჩქროლდა. თინას პირდაპირმა და გულუბრყვილმა ხმოვანმა მამის გულს ცეცხლი მოუკიდეს და მინელებული დარდი კვლავ აუზანდა.

ვინ შეერთავს თინას? ვის რად უნდა თითქმის უკაბო ქალი? ვის გამოადგება ბრმა ცოლი? არავის, არავის! გასათხოვარი დარჩება თინა და ისე დაბერდება, რომ სიყვარულის სიხარულს ვერც კი გაიგებს და ტიალ ქვეყნის ერთად-ერთ სიტკბოებასაც ვერ იგრძნობს. ი დალოცვილი ღმერთი, ბედი თუ ბუნება ერთს ყველაფერს მისცემს და თავსაყრელ სიკეთეს მიუძღვნის, მეორეს კი ტიტველ-შიშველს გააჩენს და თვალის ჩინსაც წაართმევს. ვის შესცოდეს, ვის დაუშავეს უწყინარმა თომამ, ან უცოდველმა თინამ ისეთი შეუნდობარი, რომ ორივენი ამ ქვეყნიდან გამოითიშნენ და ქირიანებივით მოსწყდნენ თავიანთ ტოლებს და ამხანაგებს?! არავისთვის არაფერი დაუშავებიათ, არავითარი ცოდვა არ ჩაუდენიათ, მაგრამ თავის თავზე და თინაზე უბედური გულჩაბნელებულ თომას ამ ქვეყნად მაინც არავინ უგულებს. დარჩება თინა გასათხოვარი! დარჩება დაუნიშნავი, უქმრო, უსიყვარულო და... უბიჭო!

— მაშ მალე გამათხოვებ, მამილო?— კვლავ სუფთა გულით და ხმის კანკალით ეკითხება თინა.

— ჰო, გენაცვალოს მამა შენი.— კვნესის თომა და ცრემლებს იწმენდს.— მალე გაგათხოვებ... მალე... მალე.

თინა გასწორდა და გამხიარულდა.

— ნანუა, ახტი! ნანუ ახტი!

და ხელი მხარზე დაიკრა. ნაჩვევი კატა უმაღლ ბეჭებზე აახტა.

— ღრინა, სადა ხარ? ღრინა მოდი, მოდი!

შეჩვეულმა ძაღლმა ხანტად წამოიწია; გაიხმორა, გაიჭიმა და წინა ფეხებით თინას მუხლებზე ატორტმანდა. თინა ორივე ხელით მოეხვია ღრინას და აჭიკჭიკდა:

— ღრინა, ვთხოვდები!... ნანუა, მალე ერთი ბიჭი მეც მეყოლება!... დიდი ქორწილი გვექნება. თქვენც მობრძანდით, იქეიფეთ. ბუზიკა და დაირაც იქნება. მამილო, ჩქარა დაირა დაირა, მომეცი!

თომამ თეფშის ოდენა დაირა გამოუტანა. თინა წამოდგა და ნანუაც თან აიყვანა. დაირას მძლავრად ჩამოჰკრა და პაწაწინა ეზოს ჩამოუარა. მხიარულ ღიმილით უვლიდა, დაირას აბრახუნებდა და იძახდა:

— დიპტიპიტო, დიპტიპიტო! დიპტიპიტო. დიპტიპიტო!

თომაც გაიშალა და გაიბადრა. ტაში დაჰკრა და დაირას ლექსი ააყოლა:

თინიკო, თინიკო,
გუშინ შენთან ვინ იყო?
ლოთები, თოთები,
დაგვიმტვრიეს ბოთლები!
ბოთლები, ბოთლები!
ბოთლები, ბოთლები!

ნინუა თინას ისევ მხარზე უზის და შეშინებულ თვალებს აცეცებს; ღრინაც თინას დასდევს და ბოხის ხმით მხიარულად ჰყეფს:

ავ-ავ! ავ-ავ!

თინა ერთ ალაგზე რამდენჯერმე მარდად მოტრიალდა, სიკბნის ბოლო ააფრიალა და ტიტველი წვივები გამოაჩინა. მერე შეწითლებულ პირსახეზე ბედნიერი ღიმი გაიშალა, შერუჯული მკლავები წინ გაიშვირა და უჩინოს ნაბიჯათ წინ წავიდა.

— მამა, სადა ხარ?... მამილო!

— აქა ვარ, შვილო, აქა!

და ერთი წუთის შემდეგ ბრმა თინამ თავისი ალექსილი პირსახე მამის ბანჯულიან მკერდს მიაკრა.

თომამ თინას მატყლი და თითისტარი გამოუტანა, თვითონ კი გზის დასათვალთვინებლად წავიდა. მიდის თომა და ასჯერ ნაფიქრს კვლავ ფიქრობს: „თინა გაუთხოვარი დარჩება. ბრმა ქალს არავინ წაიყვანს. თინას ტანჯვა გაათკეცდება. ქალმა ქმრისთვის უნდა შეინახოს თავი, მაგრამ თუ ქმარი არ ეყოლება? მაშ თავი უნდა დაიბერიოს? სად არის სამართალი? არა, თინას ისეთი ბედი ერგო, რომ თინა სხვებსავე ვერ მოიქცევა. თინას ნება აქვს მამაკაცი შეიყვაროს და თუნდ ერთი თვით გაჰყვეს, თუნდ ერთი კვირით, თუნდაც ერთი საათით. იყბედონ სხვებმა, რამდენსაც მოინდომებენ! სოფელი შორს არის. იყბედონ და ენა მოიფხანონ. ოღონდ თინა იყოს ბედნიერი, თორემ დანარჩენი ქვეყანა თომასთვის არ არსებობს, რადგან არც თომა არსებობს ამ ქვეყნისთვის.“

ოც წელიწადზე მეტია, რაც თომა რკინის გზას სდარაჯობს. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ლეჩხუმს და ნაცნობ-ნათესაეებს მოსწყდა. როცა დავაუკაცდა, სურამში ერთი თავისთანა უპატრონო ქალი იშოვნა და შეირთო. თომა და მარიამი რკინის გზის ნაპირას დასახლდნენ და გამოყრუებულ ცხოვრებას შეუდგნენ. ერთი წლის შემდეგ თინა გაუჩნდათ.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. ერთხელ ათი წლის თინა გახდა ავად. გონება დაჰკარგა და ორი კვირა სულთაშუთავის ხელში იყო. მერე მოსულიერდა, მაგრამ თვალის ჩინი აღარ დაუბრუნდა. თომა და მარიამი სიმწარისგან ხან ლოცულობდნენ და იმედოვნებდნენ, ხან კიდევ ღმერთსა და ქვეყანას სწყევლიდნენ.

პირველ ხანს ორივენი დაჟინებით სცდილობდნენ, რომ თინასთვის გაეგებინებინათ შავი და თეთრი ფერი, წითელი და მწვანე, ლურჯი და ყვითელი მაგრამ თანდათან დარწმუნდნენ, რომ თინას ფერის გარჩევის უნარი სამუდამოდ დაეკარგა, რომ ეს ქვეყანა მათი ერთსთვის ღამესავით დაბნელდა, რომ თინა განუჭვრეტელ წყვდიადში ჩავარდა და მისი ამოყვანა იმ ბნელ ორმოდან აღარავის არ ძალუძდა, — არც მკითხავს, არც ხატს, არც ღმერთს, არც სულიერსა და არც უსულოს.

წელიწადი
წელიწადს
მისდევდა

პირველი სიმწვავე თანდათან გაუჩნდებოდა და გამოფიტულ გულში მხოლოდ სევდა და ბედის ჩივილი და შერჩაათ.

თინა მაინც იზრდებოდა. დედის დახმარებით წინდებს ჰქსოვდა, მატყლს ართავდა, წყალზე დადიოდა. იქაურობას ჰგვიდა და სარეცხს რეცხავდა. დრო გადიოდა და თინასაც ძველი ქვეყანა თანდათან ეკარგებოდა და იმის ნაცვლად ახალი და უცნაური ქვეყანა ებადებოდა.

დგრიალით მომავალი მატარებელი საარაკო ფრინველს ჰგავდა, რომელსაც ათასი რკინის ფრთა ჰქონდა გამობმული, და იმ ფრთებზე ხალხი ფუტკარივით იყო აკუნწლული. ქობის გვერდით ერთი მთა იდგა. იმ მთაზე ცხრათავიანი დევი იჯდა და იმ დევს უხარმაზარი მუგუზალი ეჭირა, რომელიც ქვეყანას ათბობდა. ის დევი რომ დასაძინებლად წავიდოდა, ქალა უთვალავ ალქაჯებით გაივსებოდა, რომელნიც ფუსფუსებდნენ, ჩურჩულებდნენ, კისკისებდნენ და გაუფრთხილებელ მგზავრებს თავიანთ თმებით იქერდნენ. მტკვარში დევები ქუუპალობდნენ და გაუგებარს რასმეს ბურტყუნებდნენ. ის ქოტი, ღამ-ღამობით რომ იმ ქალაში გაჰკიოდა, ფრთიან ღრინას ჰგავდა, ხოლო ტურა და მაჩვი, რომელნიც სიძინდებში სჩხაოდნენ და წრიბინებდნენ, უუხარმაზარ ნანუას ემსგავსებოდნენ. მოახე წამომჯდარი დევი ზოგჯერ ქობის ოდენა პირს დაალებდა და ქვეყანას უბერავდა; ზოგჯერ იგი მუგუზალ-მზეს სადღაც გადამილავდა, ერთ დიდ საცერს აიღებდა და იმ საცერით ქვეყანას რწყავდა, ზოგჯერ კი იქაურობას ცივის ბამბით ჰპენტავდა.

მარცხნივ და მტკვრის გაღმაც ორი სოფელი იყო გაშენებული. იმ სოფელში საქონელი ბლადოდა, ძაღლები ჰყეფდნენ და ხალხი ჰყვიროდა. ზოგჯერ პატარა ბიჭები და ქალები ან მენახირენი იმ საქონელს და ფრინველს სადარაჯოსთან მორეკავდნენ. მწყემსების ხმაურობა რომ სადარაჯოს მოსწედებოდა, ხელებგაშვრილი და მოღიმარე თინა ნახირისაკენ გასწევდა, თან უხილავ მეგობრებს ეძახდა:

— ბიჭებო! ქალებო! სადა ხართ? ყბაჩა, მიშველე.. შენი ჭირი მე, მიშველე... მოვდივარ.

ვოგო-ბიჭები თინას მიეშველებოდნენ, იქვე სადმე დასვამდნენ და უცნაურ ამბებს უამბობდნენ. ზოგჯერ კი რამე თამაშს აპყვებოდნენ, თინასაც აიყოლებდნენ და იქაურობას კივილით, სიცილით და ჭრიამულით გაავსებდნენ. თინას ხან მხარს გაჰკრავდნენ, ხან დაეჯახებოდნენ და ზოგჯერ წააქცევდნენ კიდევაც, ხან კიდევ ხელს წაავლებდნენ, ააბორიალებდნენ და თავიანთ თავს აძებნინებდნენ.

ერთ დროს თინა ვინმეს რომ წააწყდებოდა, ან ხელს წაავლებდა, ქალს და ვაჟს ერთმანეთისგან ძლივს გაარჩევდა. მაგრამ შემდეგ, როცა წამოიხარდა, მოზრდილ ვაჟს ქალისგან უმაღლესად გაარჩევდა. ვაჟს რომ ხელით მიეკარებოდა, ტანში რაღაც ნაპერწყალი გაჰკრავდა.

თინას ერთი ბიჭი ჰყავდა არჩეული — კეკეს შვილი ყბაჩა. სხვებზე უფრო მოზრდილი, ღონიერი და მხიარული ვაჟი იყო, ყბაჩა თინას სხვებზე ადრე მი-

ეგებებოდა. ხელში ხელს წაავლებდა, ააბორიალებდა, ათასნაირად ართობდა და ესარჩლებოდა. თინა და ყბაჩა მალე დამეგობრდნენ.

თამაშობაში და ერთმანეთის დევნაში ყბაჩა უჩინებულს, ხშირად ორივე ხელს მოჰხვევდა, გულში ჩაიკრავდა და კარვა ხმის გაღებას გაუშვებდა. თინას ტანში იდუმალი ჟრუანტელი დაუვლიდა, საამური ცეცხლი მოეკიდებოდა, აინთებოდა, გაინაბებოდა და გაშვერილი ხელებით თვითონაც იმ ვაჟს დასდევდა.

ერთი ხანია, რაც იმ მენახირეებში თინას ტოლი ქალები აღარ ერეოდნენ, ამიტომ მარიამმაც თინას ბიჭებთან სიარული აუკრძალა.

ყბაჩა ათასში ერთხელ რასმეს მოიმიზეზებდა, თინასთან შემოირბენდა, დროს მოიხელთავდა და თავისს მეგობარს ხუმრობით გულში ჩაიხუტებდა, ან მკლავში უჩინებდა, ან ანთებულ ტანზე გაეხახუნებოდა. ხელცარიელი არ მოვიდოდა; ხან ხილს მოუტანდა, ხან ფრინველს მოუყვანდა, ხან კიდევ რამ საკრავს ან სათამაშოს მიართმევდა. ერთხელ ყბაჩაც დაიკარვა: სურამში მოჯამაგირედ წასულიყო. თინა დადონდა. ყბაჩა ცხადლივ აღარ მოდიოდა, მაგრამ თავისს მეგობარს სიხმარში ხშირად ელანდებოდა, წინანდებურად ეხუტებოდა და ადრინდელსე უარესად სწვავდა და სტანჯავდა.

სანამ თინას დედა ცოცხალი იყო, თავისს ბრმა ქალიწვილს მუდამ თავთ დასტრიალებდა, უვლიდა, ამუშავებდა და ზოგს რასმეს ასწავლიდა. თინა ბუზიკას უკრავს და დაირასაც კობტად აქლარუნებს; თინამ წინდების ქსოვაც იცის, მატყლის დართვაც, კარმიდამოს დაგვაც, სარეცხის და ჭურჭლის გარეცხვაც, ლოგინის გაშლაც და ალაგებაც. სადარაჯოს აბლო-მახლო ისე დადის, როგორც თვალხილული. მატარებელი რომ მოდის, თინა სადარაჯოსთან წითელ ბაირალით სდვას, რკინის ფრინველს ულიმის, უცნობ მგზავრებს უყვირის და ხელს უჭნევს.

სადარაჯოს უკან ასიოდე ნაბიჯზე მინდორი თავდება და ხევი იწყება. თინა კოკას აიკიდებს, წკებლას აიღებს და გზას გაუდგება. უკან თავჩალუნული ღრინა მისდევს. იმ ხევში თინა ადვილად ჩადის, პატარა წყაროს ადვილად პოულობს, კოკას ავსებს და ისევ სახლს უბრუნდება.

დედა ერთხელ ავად გაუხდა. თინასაც ხშირად ჰქონდა ნაცადი ავადმყოფობა. თინას ეგონა, ვითომ დროგამოშვებით ყველას უნდა გააციოს, მერე უნდა ვააცხელოს, სამიოდე დღე ლოგინში იწვეს და მერე ისევ წამოდგეს. მაგრამ მარიამი აღარ დგებოდა. დღეს დღე მისდევდა და კვირას კვირა. თინას მარიამის კვნესა, ოხვრა და ქშინვა ესმოდა და მუდამ თავთ დასტრიალებდა: გვერდით მიუჯდებოდა, რამდენიმე საათით გახვედებოდა, პირსახეზე ხელებს უცაცუნებდა და წამდაუწუმ ეკითხებოდა:

— დედილო, როგორა ხარ?.. დედილო, ხომ არაფერი გინდა?.. დედილო როდის ადგები?..

მაგრამ მარიამი აღარ ადგა. ერთხელ, როდესაც თომი გზის დასათვალიერებლათ წავიდა, მარიამი მეტის მეტად აღწფოთდა. ქშინვას მოუმატა, ახრია-

ლდა და აბორგდა. სულთმოპრცავემა მარიაშმა თინას ორივე ხელი ჩაიბღუჯა და აღარ უშვებდა.

— დედილო, რა გემართება? დედილო, რა მოგდის? დედილო, ხმან გასმე. რა ვქნა, რატომ აღარაფერს მეუბნები? — შიშით ეკითხებოდა თინა, მაგრამ პასუხი აღარ ესმოდა.

უცებ მარიაშმა მძლავრად ამოიხვნეშა და გაჩუმდა. თინამ ძლივს გამოართვა თავისი ხელი, რამდენჯერმე კიდევ დაუძახა და პირსახეზე ხელი მოუსვა. „ჩაიძინაო“, — გაიფიქრა და დედის ლოგინს ფეხაკრეფით მოშორდა. დიდხანს იჯდა თინა თუთის ჩრდილში და უგულოდ ნუნუს ეალერსებოდა. მერე ისევ ავაღმყოფს დაუბრუნდა და ხელზე ხელი დაადო. ხელში ყინული მოხვდა. ორივე ხელი დედას პირსახეზე მოუსვა. ისევ ყინული დაუხვდა. თინას უცნაური ელდა ეცა. მთელ ტანში ყრუანტელმა ჩაურბინა. გულში შეუცნობი, საზარელი შიში ჩაუვარდა.

— დედი!.. დედილო!.. დედილო!.. მთრთოლვარე ხმით გაჰკიოდა თინა და გაყინულ დედას ანჯღრევდა. მერე დედის პირსახეს ორივე ხელი მოხვია, ზედ დაეკრო და ყური მიუგდო. აღარც ქშენა ისმოდა და აღარც სუნთქვა. თინამ იღუმალ აღლოთი სიკვდილის საიდუმლოებას მიჰკვლია და, თავზარდაცემული, გარეთ გამოვარდა.

— მამა-ა-ა! მამილო-ო-ო! მიშველე-ე! მიშველე-ე-ეთ!

ზემოსოფლელ კეკეს სადარაჯოს მახლობლად პატარა ბალი ჰქონდა. კეკემ თინას კივილი გაიგო და მოეშველა. მერე თომაც მოვარდა. იმ დღეს თინამ პირველად გაიგო მამის ქვითინი და ბღავილი. მესამე დღეს მარიაში გაიტანეს. იმ დღიდან თინა და თომა ხშირად დადიოდნენ სასაფლაოზე, სტიროდნენ, ლოცულობდნენ, მერე ისევ ერთმანეთს წამოიყვანდნენ და ერთი მეორეს ნუგეშით გულს უმაგრებდნენ.

იმ დღიდან კეკე ხშირად ჩამოდიოდა სოფლიდან და მარიაშის მაგივრად თომას ოჯახს უელიდა, მაგრამ სიარულს თანდათან დაუკლო და, ბოლოს, თვეში ერთხელაც ძლივს გამოჩნდებოდა.

* * *

შუა ზაფხულია. მზე დასავალს არის, მაგრამ მაინც ცხელა. გადახრუკულ მინდორზე თომას თეთრი ქოხი თბლად ატუხულა. რკინის გზის ლიანდაგს ერთი მუშა მოსდევს. ტანდაბალია, სრული, ხნიერი და გონჯი. დამახინჯებულ ფეხებს ისე მოათრევს გან-განზე, თითქოს ორივე ფეხით ლიანდაგს ჰგვისო. ცალი ხელით ზურგზე გადაგდებული ტომარა უქირავს; გრძელი, მათრახივით ჩამოკიდებული მეორე ხელი მუხლის თავამდის სწვდება. ჩაქანგებული და ხნიერი პირსახე მაიძუნს მიუგავს, რომელსაც ცალი ყბა და ტუჩი გაჰპარსეს. გაპარსული ყბა ცეცხლით ან ცხელის წყლით აქვს დამწვარი, ხოლო მეორე ყბა და მეორე ზემო ტუჩი ხნარცვიანი წვერ-ულვაშით აქვს შემოსილი.

მოდის მუშა და დროგამოშვებით გრძელის თათით ოფლს იწმენდავს. ერთ ალაგას შესდგა, მერე მარცხნივ გადაუხვია და მტკვრისკენ წავიდა. პატარა ბილიყმა კალაში ჩაიყვანა. ის ბილიკი მტკვრის პატარა ტოტს მისდევდა.

ბოლო მეორე ხელ-ფეხს უკან მიიგდებს, ხან კიდევ თავს უკან გადიგდებს და მკერდსა და პირსახეს ისე გაუშლის ცას, თითქო ვილაცას შეჭხარის და უცინისო. ხან მიწამდის დაიხრება და ყვაფილებს ჰკრეფავს, ხან თხას სწეგლმს, ხან თითისტარს ატრიალებს და მატყლს ართავს, ხან ჰგვის და ხან კიდევ უკუას წყლით ავსებს. იმის აღნაძულ პირსახეზე ხან ვნება ისახება, ხან წყენა, ხან სევდა და ხანაც უსაზღვრო სიხარული.

დიდხანს ეთამაშებოდა უხილავ ლანდებს ტყის ლანდალი და დიდხანს სჭამდა მას მშიერი თვალებით ბურქებში მიმალული მახინჯი ღვირღვა.

— დი-ი-ინ! დაჰკრა უკანასკნელად ზარმა.

ხელგაშვერილი და გადმოხნეჭილი თინა გახევდა და კიდევ მოელოდა ზარის ხმას. მერე თავისთვის ჩაიციინა, კაბა გადაიცვა, კოკა იქვე წყაროზე გაავსო და აღმართს შეუდგა. აღუღებული ღვირღვაც ბურქებიდან გამოვიდა და უცხო მოჩვენებას ფეხაკრეფით უკან დაედევნა.

სალამოზე ის მუშა, თომა და თინა გრძელ სკამზე ისხდნენ და მუსაიტობდნენ. მუშას სოლო ერქვა. წინათ კახეთის გზაზე მუშაობდა, ეხლა კი აქ გადმოიყვანეს. სოლო მარტოხელა კაცია. არც სახლ-კარი აქვს და არც ცოლ-შვილი ჰყავს.

— სტუმარი ღვთისაა, — ამბობს თომა, — ღამე ჩვენთან გაათენე და დილაზე შენს გზას გაუდექი.

თევზი, კიტრი, ყველი და ღვინო გამოიტანეს, ნელ-ნელა შეაყოლეს და შუალამეზე ძლივს მიწვნენ. თომამ მალე ხვრინვა ამოუშვა. თინა და სოლო კიდევ დიდ ხანს ჰბორგავდნენ, ოხრავდნენ და მოუსვენრად ლოგინში სტრიალებდნენ.

სოლომ რომ გაიღვიძა, თომა უკვე საქმეზე წასულიყო.

— მიშველე, სოლო. — უთხრა თინამ, — წყალი ამიდულე. ისეთი ჩაი დაგაღვეინო, რომ იქნება კახეთშიც არ დაგელიოს.

ორივენი დატრიალდნენ. ცეცხლი გააჩაღეს და ჩაი დაამზადეს.

— რა ვქნა, თითქო ვერაფერსა ჰხედავსო! — გაიკვირვა სოლომ. — შენ ისე ხელმარჯვედ აკეთებ ყველაფერს, რომ თვალხილულიც ვერ გაჯობებს.

— შეჩვეული ვარ, გენაცვალოს ჩემი თავი, შეჩვეული.

— მაშ მეც მალე შემეჩვევი.

— შეგეჩვიე და გავათაფე კიდევაც. — გაიღიმა თინამ. — ეხლა დაბრძანდი და ჩაი დაასხი, თორემ მე ცხელი წყლისა მეშინიან.

დასხდნენ და ალაპარაკდნენ. სოლომ თვისი მოტეხილი ფეხი თინას წვივების შუა გაუყარა. თინას ტანში უცნაურმა ჟრჟოლამ დაუარა და სისხლი აუჩუბჩუბდა. ფინჯანი დასდგა, ალექსილ პირსახეზე ხელები აიფარა და გაინაბა. დიდხანს იყუჩეს. სოლომ ალაგი გადინაცვლა, თინას გვერდით მოუჯდა, გრძელი მკლავი წელზე მოჰხვია და მიიხიდა. მერე დამწვარი ლოყა თინას აღნაძულ ლოყას მიადო და ჯერ მორცხვად აკოცა, მერე ხარბად დაეწაფა, ბოლოს თინა მუხლებზე გადმოიწვინა, ორივე ხელი თავში წაავლო, დაილუნა და ისე დააკვდა გახურებულ ტუჩებში, რომ ცეცხლმოკიდებულ თინას სული შეუგუბდა.

ღმერთო დიდებულო! ეს რა ემართება თინას! რად უკან ~~გაღებ~~ მათელი ტანი! ასე მძლავრად რად უთრთის პატარა გული! ასე ტკბილად რად აუდუღდა სისხლი! ვინ არის ეს კაცი, რომ ასე საამურად იხუტებოდა უჩინო თინას, ასე უხეშად, რომ იზიდავს მძლავრის მკლავებით და გზაგაგზავნის ბრმას, უპატრონოსა და საწყალ თინიკოს?! ვინ არის ეს ადამიანი, ვინ?

— სოლო, გეყოფა... დამაცა... გამიშვი, ხელი გამიშვი... — ვნებით ბუტბუტებს თინა და სცდილობს წამოდგეს, მაგრამ თვისი გაგიჟებული სხეული არ ემორჩილება, აღუდებული მკერდი თვითონვე ეკვრის სოლოს განიერ მკერდს და გახურებული ტუჩები თვითონვე ეძებენ მამაკაცის ტუჩებს. თინა იკლაკნება, ოხრავს და ტკბილის კვნესით ჰკვნესის. მთრთოლვარე ქალი სოლომ ხელით აიყვანა და ტახტზე გადაიტანა. თინა იღუმალმა შიშმა აიტაცა. ფეხები გადახლართა და ორივე ხელი სოლოს კისერზე რკინის სალტასავით მოჰხვია. იბრძვის უჩინო თინა, იბრძვის თავგამეტებით და გაშმაგებით.

— სოლო, გამიშვი!.. გამიშვი! მამა, მამილო!.. ვაიმე დედა, ვაიმე დედილო...

რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა და გაიწია; ერთხელ მძლავრად დაიკივლა, მერე მოეშვა, მოდუნდა, უცდელ კვნესით აკვნესდა და ჩუმის ტირილით ატირდა.

სოლო გვერდით მოუჯდა და მოუალერსა:

— ნუ სტირი, ჩემო თინიკო, ნუ სტირი. რა გატირებს, ქალო? მე ქმარი და შენ ცოლი, მორჩა და გათავდა! არ გინდა? მითხარი, არ გინდივარ?

თინამ პასუხად ორივე ხელი კისერზე მოჰხვია, აწითლებულ პირსახით განიერ მკერდში ჩაეხუტა, ჩუმის სიცილით გაიცინა, სიცილი ქვითინში აურია და უხილავ ქმარს ბანჯვლიანი მკერდი სიხარულის ცრემლით დაუსველა.

* * *

სოლო თინას სანახავად სადგურიდან ორ-სამ დღეში ერთხელ ამოვიდოდა. ზოგჯერ რომ დაიგვიანებდა, თინა აიბურძენებოდა და აიმრიხებოდა:

— ნანუა, მომშორდი!.. ღრინა, დამეკარგე აქედან!.. მამილო, თავი დამანებე!.. რა ვქნა, რას ჩამაცვიდით, რა გინდათ ჩემგან? — წუწუნებდა თინიკო და თან მოუსვენრად სტოკაუდა და უაზროდ დაბორიალებდა. ზოგჯერ გულის ტკივილს ველარ გაუძლებდა და ბავშვურ ტირილს ნოჰყვებოდა. თომბ ხან ალერსით ამშვიდებდა, ხან ოდნავ შეუტევდა, ხან კიდევ ქვეით გაიხედავდა და ზოგჯერ თინას გაახარებდა:

— მოდის, მოდის. წადი, გენაცვა, წადი და დაუხვდი.

თინა ლიანდაგზე გავიდოდა, ხელგაშვებით გზას გაჰყვებოდა და ხარისხმით ჰკიოდა:

— სოლო-ო! . სოლიკო-ო-ო! სადა ხარ, სოლიკო-ო?

— მოვდივარ, თინიკო-ო, მო-ოვდივარ! — ხმას მისცემდა სოლო, და დამტვრეულ ფეხებით ცელვას მოუხშირებდა. ხუთი წუთის შემდეგ ხელიხელ ჩახვეული ქალ-ვაჟი სადარაჯოსკენ მოდიოდნენ და ერთმანეთს საყვედურს და მოკითხვას აღარ აცლიდნენ. სოლო ხელცალიერი არ მოვიდოდა და დანიშნულს

მუდამ მცირე საჩუქარს მოუტანდა: ხილს ან ტკბილეულს, ხელსახოცს ან ჩუტებს, ბუზიკას ან ჩითეულს. წვრილმანი საჩუქარი თინას ცაში აიტაცებდა, ანცი ბავწვივით ააცქმუტებდა, სიხარულის კისკისით გააცინებდა, დაეფხუ-გაგვიყებდა, რომ თომაც და სოლოც თინას, ნანუას და ღრინას ძუფესლავად ამშვიდებდნენ ხოლმე.

— ქორწილი როდის გვექნება? — იკითხა ერთხელ თინამ.

იმ კვირას ქალაქში ფულს მივიღებ, კაბა-კუბას გიყიდი და მეორე კვირაში ქორწილსაც გავმართავთ. — უბასუხა სოლომ.

მერე ქალაქში წაგიყვან და ექიმს გავასინჯვინებ. ვინ იცის, იქნება თავლის ჩინი დაგიბრუნდეს.

თინამ სიხარულის ტაში დაუკრა:

— მაშ რა კვირაში ჯვარს დავიწერთ, არა?

მერე ექიმი... თვალი ამეხილება... თვალი, თვალი! ღმერთო, მიშველე!.. მაშინ... სოლიკო!

ცეცხლმოკიდებული თინა ძლივს დამშვიდდა. მერე ისევ ქორწილი გაიხსენა:

— მაშ რა კვირაში ჯვარს დავიწერთ?

— ჯვრის წერა? კმ... ჯვრის წერა გადავარდა, ჩემო თინიკო. ეხლა სხვა წესია. დავორებში ჩაგვწერებ, მერე ხელს მოვაწერთ და... ქუდი ქერსა! მორჩა და გათავდა!

— მაშ მე ჯვარს არ დამწერენ? მამ ხარებს არ დამირეკავენ? — იწყინა და გაიკვირვა თინამ. — არ მესმის... მე რაღად უნდა განოვრჩე ჩემ ტოლებსა?

დიდხანს იმსჯელეს. თომაც მოიშველეს. თინა ეკლესიისკენ იწევდა, რადგან ასე ჰქონდა ჩაგონებული ტოლამხანაგებისგან და განსვენებულ დედისგან. სოლო კი ამბობდა:

— მეტი ხარჯია, დაანებე თავი, ეხლა მაგის თავი ვის აქვს. მღვდელიც გადავარდა და ეკლესიაც.

დავის გადაჭრა გადასდეს.

— აბა, მშვიდობით იყავი, თინიკო! — სთქვა ერთხელ სოლომ. — ქალაქში მივდივარ. ერთ კვირაში აქა ვარ. ნუ მოიწყენ.

ერთმანერთს გადაეხვივნენ და დაჰშორდნენ.

ის კვირა ტაატით და ზღაპრით გავიდა. მეორე დღე რო დაიწყო, თინა დაიბურა. ის დღეც რომ დაღამდა, თინიკო მოიღრუბლა, დაბნელდა და აიშალა. მამლის ყვილამდის ლოგინში სტრიალებდა და ოხრავდა, ვერც თვითონ იძინებდა და არც თომას აძინებდა.

— მოითმინე, შვილო. — ამშვიდებდა თომა. — ათასი საქმეა, ათასი ხალხი ტრიალებს. ალბად დროზე ვერ მიიღო ფული. მოვა, არ დაიკარგება.

გარინდული თინა ხის სკამზე იჯდა, ნანუას და ღრინას აღარ იკარებდა, ორივეს წკებლით ერეკებოდა, ხან კაპასობდა და ხან კიდევ ცრემლიან თვალებს იწმენდავდა. თომაც იქვე სტრიალებდა და გზას გასცქეროდა. როდესაც თომა გზას გაჰყვებოდა და ზევით წავიდოდა, თინა წკებლას აიღებდა, ლიანდაგს

დაადგებოდა და ქვეით წამოვიდოდა. უკან თავჩალუნული ღრინა გამოჰყვებოდა. თინა მოდიოდა და იძახდა:

— სოლო!... სოლიკო!... სადა ხარ, სოლიკო-ო-ო? სოლიკო-ო-ო?

ზოლოს, მანძილის შიში რომ დასძლევედა, ისევ მოტრიალდებოდა, ღრინასავეით თავს ჩაჰლუნავდა და კვნესა-ტირილით თავისს ქოხს დაუბრუნდებოდა. მეოთხე დღე რომ მიიღია, შუალამენდის გულს ებრძოდა, ჰბორგავდა, ოხრავდა და ჰკვნესოდა. მერე დარდს ველარ გაუძლო და აქვითინდა. თომამ კრაქი აანთო, თინას გვერდით მოუჯდა და მოუაღერსა:

— კარგი, გენაცვალოს მამა შენი, კარგი. თავს ნუ იკლავ, ქალო. მოვა, ხვალ ან ზევ მოვა.

— არ მოვა... აღარ მოვა.—სლუკუნებდა საბნის ქვეშ შემძვრალი თინა.— გული ცუდს მეუბნება... წავიდა, სულ წავიდა. ან ავად გახდა... იქნება მოკვდა კიდევაც.

— მოკვდა კი არა, ის არ გინდა! ხალხი აგრე ადვილად რომ იხოცებოდეს, ჩვენც ცოცხლები აღარ ვიქნებოდით.

— ან კვდება, ან მოკვდა.—დაიჭინა თინამ.

არც კვდება და არც მოკვდა მეთქი. დღეს ერთმა კაცმა მითხრა, სოლო ქალაქში ვნახეო, ორ-სამ დღეში ამოვაო... პატარა ტყუილი ჩაჰკრა თომამ.

— სტყუი, სტყუი!— უმაღლვე გაუგო ტყუილი თინამ.— ეგ რომ მართალი ყოფილიყო, წელანვე მეტყოდო.

— დამაფიწყდა.—წაილულულა თომამ.— დღეს კიკე შემხვდა. თურმე ყბაჩა დღეს ან ხვალ ყოვლს გაათავებს და დაბრუნდება.

— მერე, რომ დაბრუნდება?

— დაბრუნდება და... ყბაჩა ყოჩალი ბიჭია, სოლოს ათჯერ სჯობია. უფრო ახალგაზრდაც არის და ლამაზიც. არ გინდა ყბაჩა? არ მოგწონს?

— არ მინდა, დაიკარგოს!

— კარგი, კარგი. შენ იცი. ისევ სოლოს მოუცადე. აი, ნახე თუ ხვალ ან ზევ არ დაბრუნდეს. დაიძინე, გენაცვალოს ჩემი თავი, დაიძინე.

მამალმა მეორედ იყიელა, როდესაც დარდით გაბრუებულმა და უძილობით გაღახულმა მამა-შვილმა თვალები მიჰლულეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთ მატარებლიდან თომას წერილი გადმოუგდეს. ძლივს-ძლივობით წაიკითხა და გაიგო, რომ სოლო ქალაქში ავად გამხდარიყო და რკინის გზის სამკურნალოში დაწოლილიყო.

წერილი სხვისი ხელით იყო დაწერილი. თომას თითქოს გაუხარდა სოლოს ავადნყოფობა. „ისევ ეს სჯობია, თორემ... ვინ იცის, ჩვენს დროში რა არ ხდება. ქალს შეაცდენენ და მერე თავს დაანებებენ ხოლმე. ეხლა კი ცხადია, რომ სოლო უეჭველად დაბრუნდება, თუ მოჰრჩა.—გაიფიქრა და თინა დაამშვიდა:

— აი, შვილო, ხომ გეუბნებოდი, დანიშნული დაგიბრუნდება მეთქი. სოლო ავად გამხდარა. მოჰრჩება და დაბრუნდება. შენ კი გეგონა, ვითომ...

სოლო ავად გამხდარა! ღმერთო დიდებულო! ავად გამხდარა... ლოგინში წევს... მოჰრჩება და დაბრუნდებაო. მერე, ვინ იცის, მოჰრჩება? დაბრუნდება?

სოლო თინასავით უპატრონოა, მარტოა... მაშ მომვლელიც არაეინ ეტყობა. წყალსაც არაეინ მიაწოდებს, საბანსაც არაეინ გაუსწორებს, თავზე ხელი არაეინ მოუსვამს და ტკბილ სიტყვასაც არაეინ ეტყვის. ნუ, თომა, ნუ აჯერებ თინას, ვითომ სოლოს ექიმიც ჰყავდეს და მომვლელიც. ტყუილად ამხედრებ თინას, ტყუილად აჯერებ სოლოს დანიშნულს. სოლოს რომ ექიმი და მომვლელიც ჰყავდეს, თინა მაინც ვერ მოისვენებს. ექიმიც და მომვლელიც უცხონი არიან. უცხო ექიმი უცხო თომას მაინც ვერ მოუვლის თინასავით, დანიშნულივით... ერთგულ ცოლივით.

— რას ამბობ, ქალო! სად უნდა წახვიდე? ვისთან უნდა მიხვიდე? არც ნაცნობი გყავს და არც თვალი გიჭრის.

— მაშ შენც წამოდი, მამილო... შენც წამოდი... შენ წამიყვანე... ჩქარა ივიდეთ, ჩქარა .. დღესვე... ესლავე.

არა, თომა საჩქეს თავს ვერ დაანებებს. სამსახურიდან დაითხოვენ და უღუქმაპუროდ დასტოვებენ.

— მერე რა? თუნდა ეგრეც იქოს! რა დროს ლუკმა პური!

თომა, გაივც და შეიგნე, რომ სოლო ავად არის შეტქი! ვინ იცის რა დაემართოს, ვინ იცის, იქნება აღარც სორჩეს. მერე, რაღად გინდა ლუკმა პური, თუ თინას სოლო აღარ ეყოლება, თუ თინა ესლავე დაქვრივდება?! თომა, თომა! რა უგულო კაცი ჰყოფილხარ! ქვა გქონია გულის მაგივრად, ქვა! მაშ თინას დედა რომ ავად გამხდარიყო უცხო ქვეყანაში, მაშინაც იტყოდი, „მოპრჩება და დაბრუნდებაო? არა მცალიანო... სამსახურიდან დაითხოვენო... უპუროდ დაფრჩებიო?“ სთქვი, რას იტყოდი მაშინ? რად გაჩუმდი, სთქვი და გაათავე! არ წახვიდოდი? ვითომ? დაიჯუროს თინამ? მაშ არც თინას გაჰგზავნი სოლოსთან და არც შენ გაჰყვები? კეთილი და პატიოსანი. კარგი, გეყოფა! თინა გაჩუმდება... აღარ იტირებს... აა, ხომ ხედავ, აღარც სტირის... თინა შენი შიორჩილია, თომა; ნულარ უჯავრდები, ნულარ სტუქსავ თინიკოს. მართლა, სად უნდა წავიდეს უშენოდ უჩინო ქალო, ბრმა თინა ძლივს ჩავა წყალის მოსატანად, ძლივს შემოუვლის პატარა ქონს გარაშემო. იმის ქვეყანას ასი ნაბიჯი აქვს სიგძე და სიგანე. ქალაქში როგორ უნდა წავიდეს მარტოდ-მარტო! როგორ უნდა იპოვნოს ბრმა ქალმა იმოდენა ხალხში სოლო კაჭარაშვილი! კარგი, თომა, კარგი! გაჩუმდი, დამშვიდდი, თინაც გაჩუმდება და მოთმინებით მოუცდის სოლოს მოჩინას და დაბრუნებას. სჯერა თინას, სჯება, რომ ერთ-ორ კვირაში სოლო ამოვა და ამოიტანს საჭორწინო ფარჩის კაბას, მაღალქუსლიან ფეხოსაც-მელს, ბეჭედს, ბაღდადს, ჩინტიკობას და საჭორწილო ტკბილეულს.

* * *

— იმავე საღამოს თინას ერთი ახალგაზრდა გლეხი თავთ წაადგა:

— გამარჯვება, თინიკო.

თინამ უმიღვე იცნო კეკეს ბიჭის ხმა და მისი ხელი.

— გაგიმარჯოს, ყბაჩა.

ყბაჩა თინას გვეოდით მოუჯდა და ყრმობის შეგობარი სიყვარულით და აღერსით მოიკითხა. თინა უგულო პასუხს აძლევდა. ყბაჩამ თინას ხელში ხელი

დგება, კუდს მოიქნევს, მერე თავს ჩაბღუნავს და მორცხვად მისდევს ქვევით მი-
ბავალ უჩინოს.

მიდის უჩინო თინა. ქვეიდან ხენეშით და ოხვრით მეორე მატარებელი
მოდის. უჩინო ქალმა გზას გადაუხვია, მატარებელი გაატარა და ინსტრუქციონდავზე
ავიდა ორი საათის შემდეგ ბათომის მატარებელმა უნდა ჩამოვიდეს. ღირსი ხანს
იარა თინამ ბორძიკით და სავსავით. ბოლოს, ვილაცამ ხმა მისცა:

— ქალო, სად მიხვალ?

— ქალაქში... ქალაქში მივდივარ. შენი ჭირიმე, მითხარი, სადა ვარ, სად
უნდა ავიღო ბილეთი?

— წამო, გიშველი.

უცნობმა მკლავში ხელი გაუყარა და სადგურის ბაქანზე გაიყვანა.

— ვინა ხარ, ქალო? ვისი ხარ?—ეკითხება სადგურის გამგე.

— თომასი ვარ.

— ჩვენი თომასი?... თინა შენა ხარ? მერე, სად მიხვალ მარტო? ქალაქში?
მერე, თომამ იცის? მარტო გამოვიშვა?

— იცის.— პირველჯერ ამბობს ტყუილს თინა. — განოშიშვა. თითონ არ სცა-
ლიან... ქმართან მივდივარ... როგორმე ვიპოვნო.

მატარებელში ჩასვებს და ვილაცას დააბარეს:

— თუ ძნა ხარ, გიორგი, ამ ქალს ყური უგდე. ქალაქში ჩამოსვი და გზა
ასწავლე. არაფერი აწყენო, ჩვენი თომასს ქალია.

გზაში თინას თანამგზავრი და მფარველი — ვილაც გიორგი გაუთავებელს
ლაპარაკობს, თინას ათასს უცნაურს ეკითხება, თვითონაც უამბობს, თან ისე
ეკვირის და ეხახუნება უჩინო ქალს, როგორც სოლო ეკვიროდა ხოლმე. ვაგონში
ყავანი და ყრიამული ისმის. თინას უცებ ღრინა წააგონდა:

— მართლა, ღრინა... ჩემი ღრინა სად არის? ღრინა!.. ღრინა!..

ღრინა დაიკარგა. თინას ცრემლი წასკდა. გიორგიმ თინა ღრინას საძებნე-
ლად გარედ გაიყვანა. ტალანში გაჩერდნენ და კარებს მიეყუდნენ. გიორგიმ
ძალადობას მოუმატა. თინა გაჯავრდა და გაკაპასდა. გიორგის მკლავებში ფა-
თხალობდა, იკლავებოდა, ხელებს იჭნეცდა და ჰყვიროდა:

— გამანებე მეთქი თავი! ხელი გამიშვი, შე ოხვოო, შენა!

თინას პატარა ნუშტები გიორგის ცხვირპირში მოხვდა. თინა გასხლტა,
ხელის ფათურით ვაგონში შეყარდა და ატირდა.

— ნუ სტირი, ქალო. შენს ქმარს როგორმე ვიპოვნით. აი, ჩავუდით კიდუ-
ვაც—უთხრა მეორე უცნობმა.

მატარებელი გაჩეოდა. უცნობმა თინა ბაქანზე გადმოაყვანა, ხელი გაუშვა
და დაიკარგა. ისმის ორთქლშავალთა კივილი, ზარების წკარუნი, ხალხის ჩოჩ-
ქოლი, ქალაქის ოხვრა, გუგუნნი და ყრიამული. თინას ხან ერთის მხრიდან გაპ-
კრავენ ხელს, ხან მეორე მხრიდან წააწყდებიან.

— ნიშველე-ეთ... წამიყვანე-ეთ... გზა მიჩვენეთ. — ნუტბუტებს გაბრუნებული
და უცხო ქვეყანაში დაკარგული თინა.

ბაქანზე ხალხის ხმა და ღრ ამული შენვლდა.

— მიშველე-ეთ... გზა მიჩვენე-ეთ. კვლავ ეხვეწება სივრცეს თინა. ვილაცამ ხელი წიაველო და წაიყოლა.

— ქრისტიანი ვინა ხართ, მიშველე-ეთ. — სთხოვს უჩინარებს უჩინო ქალო და ხელებს ასაფსავეებს.

— რა ვინდა, ქალო? ვის ეძებ? — ჰკითხა ერთმა.

— ქმარს ვეძებ. მიშველე, აგრემც გიშველის ღმერთი.

— ვინ არის შენი ქმარი? რა ჰქვია, სად არის?

— სოლო ჰქვია, გენაცვალოს ჩემი თავი, სოლო ჰქვია. ორივე ფეხზე კოჭლია... გზაზე მუშაობდა. ეხლა ავად არის.

— ჰეი, ბიჭებო, ვინ იცნობთ სოლოს? — დაიყვირა უცნობმა.

პასუხად ხარხარი და ოხუნჯობა გაისმა.

— მე ვიცნობ, მეღუჭნეა. — სთქვა ერთმა.

— ხარაზია. — დაუმატა მეორემ.

ჩვენი უბნის კომისარია. — გაიცინა მესამემ.

— არა, გენაცვათ, არა! — ამბობს თინა. — მუშაა, უბრალო მუშა.

— გაანებეთ თავი, თქვე სალახანებო, თქვენა! — დაიყვირა ვილაცამ და თინას ხელი წიაველო. — წამო, წამოდი. მე ვიცნობ შენს ქმარს. ვიპოვნი და ჩაგაბარებ. მომყევი.

აი, ადამიანიც ეს ყოფილა! რა ღვთისნიერი კაცია, რა გულკეთილია! თურმე ამ ვერანა ქალაქშიც მოიპოვება პატიოსანი ადამიანი. თომა კი მუდამ იმას ამბობდა, რომ ქალაქი ჯიბჯირებით და სალახანებით არის სავსეო.

დიდხანს იარეს. ხან მარჯვნივ შეუხვიეს, ხან მარცხნივ გაუხვიეს. მერე პატარა ეზო გადასკრეს და პატარა ოთახში შევიდნენ.

— სამკურნალოში დღეს ვეღარ წავალთ, საცაა დაღამდება. — ამბობს უცნობი. — დაჯექი და დაისვენე.

უცნობი დატრიალდა. სუფრას ამზადებს და ლაპარაკობს. თინას ვინაობა გამოჰკითხა და თავისი ამბავიც უამბო.

— აბა, ეხლა ცოტა პური შეეჭამოთ. მოდი, აქეთ დაჯექი... აი, ესე. აი პური... აი ყველი. ეს კიტრია, ესეც თევზი... ჭამე, გენაცვა, ჭამე, თორემ გზაში აღბად მოგშივდებოდა. აბა, ერთი ღვინოც დააყოლე.

სჭამენ და მუსაიდობენ. უცნობი ახლოს უხის თინას და ბავშვივით უვლის, საჭმელს აწოდებს, ღვინოს ასმევს და ჰყბედობს. ჭამა რომ გაათავეს, უცნობმა თინა ტახტზე გადაიყვანა, გვერდით მოუჯდა, მკლავი მოჰხვია და კოცნა დაუწყო. თინას არყის, თამბაქოს, ოფლისა და ზეთის სუნის ახრობს. ებრძვის უცნობს და ბუტბუტებს:

— დამანებე თავი... არ მინდა... ქმარი მკავს, თავი დამანებე შეთქი... ხელი გაპიშვი!

უცნობი უცებ ვაგიჟებული ხარივით დაეძგერა.

— მიშველე-ეთ! მიშველე-ეთ! — დაიკივლა თინამ და მძლავრ მკლავებს გაუსხლტა. ოთახში ჯერ სკამი გადავარდა, მერე კურკელმა დაიწკარუნა. გაწე-

წილი თინა ჯერ ერთ კედელს წააწყდა, მერე მეორეს, მერე კარებს მიადგნო და ეხოში გაეარდა.

— მიშველე-ეთ! ვინა ხართ ადამიანი, მიშველეთ!

— ვინა ხარ, ქალო? ამ სახლში რა გინდა?— მოისმა ბებრულო ჩიფჩიფი.

— გამიყვანეთ აქედან, გამიყვანე-ეთ... შენი ჭირი მე, მიშველეთ — სტირის და იხვეწება თინა.

იმ ბებრმა ქუჩაში გაიყვანა და თავი მიანება.

— ჰეი, ჰეი! ხაბარდა!— დაუყვირა შეეტლემ და გაქანებული ცხენები თინას ძლივს ააცდინა. საყვირმა მძლავრად ჩასძახა ყურში და ვილაცამ ბოხის ხმით მიაყოლა:

— ბრმა ხომ არა ხარ, შე ოხერო, შენა!

— თინა მაჯვნივ გასხლტა და უკვე შეყენებულ ავტოს დაეჯახა.

— ბრმა ვარ, შენი ჭირი მე, ბრმა. მიშველეთ რამე, გამიყვანეთ. წუწუნებს თინა.

თინას გარსშემო ლაპარაკი ასტყდა. ერთმა ხელი წაავლო და ტროტუარზე აიყვანა. აქეთ-იქიდან გამოკითხვა დაუწყეს. ვინ არის? რა ჰქვია? სადაურია? რა უნდა ქალაქში? როდის ჩამოვიდა?

— წამო, შე უბედურო, წამოდი, მე გიშველი.— ეუბნება ერთი.

არა, თინა მამაკაცს აღარ გაჰყვება. აღარ ენდობა თინა მამაკაცებს. ყველანი ჯიბვირები და ჰარამზადები ყოფილან, ყველანი თინას ტანს ეტანებიან და ქუჭყიან სიტყვებს ეუბნებიან. აქ დარჩება თინა. ლამეს ქუჩაში გაათენებს. თუნდ გასტყლიტონ, თუნდ მშიერი მოკვდეს. მხევ სიკვდილი ურჩევნიან სირცხვილს.

სდგას კედელთან აბუზული თინა და სტირის.

რად სტირი ქალო? თქვენი საქმე არ არის, თავი დაანებეთ. აღარც თავის სახელს გეტყვისთ და არც იმას, თუ სადაურია, ან ვის ეძებს, ან სად სცხოვრობს. გაანებეთ თავი თინას, გაანებეთ! მას აღარც თქვენი მადლი უნდა და არც ტკბილი სიტყვა.

ბოლოს, ქალის ხმა მოესმა:

— ქალო, რა ვატყობს?

— შენი ჭირი მე, მიშველე-ე... მიშველე-ე-ე.

— ქალს ორივე ხელით დაებლაუჯა. სხაპა-სხუპით უამბო თავისი ვინაობა და დარდი. იმ ქალმა ხელი წაავლო და წაიყვანა, თან აღერსით ეუბნებოდა:

— შე უბედურო, მარტო რომ მოდიოდი ქალაქში, რას ფიქრობდი? უცხო კაცს ახალგაზრდა ქალი რად მიენდევდი? მართალია, ბრმა ხარ, მაგრამ არც ტანი გაკლია და არც სილაშაზე.

— რა ვიცი, გენაცვალე, გავბრიყვდი და წამოყვდი.

— წამოვედი! წამოვედი! ავიღია თავი და დადიხარ მარტო ანოდენა ქალაქში. აქეთ მოდი... არ წაიქცე... აქ კიბეა... მარჯვნივ მოუხვიე. . . აი, მოვედით. შემოდი, ნუ გეშინიან.

დედაკაცმა ოთახში შემოიყვანა და სკამზე დასვა. მერე პირსახე დააბანინა, ჩაიდააღვივინა, კიდევ მრავალი რამ გამოჰკითხა და ბოლოს უთხრა:

— ეხლა დაიძინე. შენი სოლო აქვე იქნება. ხვალ დილით წაგიყვან და გაჩვენებ.

— რა ვქნა, ის მაინც მითხარი, შენი ქირი მე, ვისთანა ვარ? — ჰკითხა თინამ.

— მარიამი მქვიან. დანარჩენს მერე ვაიგებ, თუ კიდევ მოგაგონდები.

— მარიამი? დედა ჩემის სახელი გრქმევია, გენაცვალოს ჩემი თავი. ეგ რა ბრძანე, შენი ქირი მე, თუ კიდევ მოგაგონდიო?! მე ისეთი უმადური არა ვარ, რომ...

— კარგი, კარგი. მაღლობა მერე იყოს, როცა სოლოს გიპოვნი და თვალის ჩინი დაგიბრუნდება. ეხლა კი დაწექი და დაიძინე.

დალლილ თინას უმალ დაეძინა. მეორე დილით მარიამმა ერთხელ კიდევ დააბანინა პირსახე, თმა დაუფარცხნა, პური აქამა, მერე ხელი წაავლო და წაიყვანა.

დიღხანს იარეს. ბოლოს ერთ შენობაში შევიდნენ.

— სოლო კაჭარაშვილი აქ არის? — ესმის თინას მარიამის ხმა და მანაკაცის პასუხი:

— აქ არის.

თინას გული აუჩქროლდა.

— იმის სანახავად მოვედით. შეიძლება?

— შეიძლება. იქ მიბრძანდით. აი ეს კაცი გაგაცილებთ.

დიღხანს იცადეს და ბევრი იარეს ხან კიბეზე ავიდნენ, ხან მარცხნივ შეუხვიეს და ხან მარჯვნივ გაუხვიეს. ბოლოს, სადღაც შესდგნენ. თინას უცნობის ხმა ესმის:

— აი, აქ არის... იმ ლოგინზე წევს.

ჯერ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მერე თინამ ორივე ხელი წინ გაიშვირა და მთრთოლვარე ხმით ჩაიჩურჩულა:

— სოლო... სოლიკო... სადა ხარ?... მიშველე, კაცო, მოვდივარ.

— თინა! თინიკო! — იქვე გვერდით მოესმა თინას.

თინამ ხელების სავსავეით იპოვნა სოლოს ხელები და დანიშნულს ქვითინით და სიცილით ჩაუფარდა მკლავებში.

* * *

სამივენი რკინის ტახტებზე სხედან და ბაასობენ. სოლომ რომ თინას თავგადასავალი ვაიგო, ჯერ ძალიან გაჯავრდა, მერე კი მოღობა და სთქვა:

— რა ძალა მქონია სიყვარულს! ბრმას თავი აუღია და ქალაქში მოესეტება. ქალო, ე ღვთისნიერი დედაკაცი რომ არ შეგხვედროდა, რა დაგემართებოდა?

— თინა უცნობ დედაკაცს გადაეხვია:

— რა ვიცი. ალბად ჩემი ბედი ყოფილა, რომ მარიამს შევხვდი. ამის მაღლი სიკვდილამდე არ დამივიწყდება. სიკეთეს გადავუხდი, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა.

— შენი ხელის მომართვა ის იქნება, თუ თვალის ჩინი დაგინებოდა. —
სთქვა მარიამმა.

— მართლა, — მოაგონდა სოლოს, — რაც უნდა იყოს, დროსავე შეიძლება ჩამო-
ხვედი. რაღა სამემრისოდ გადავდოთ, მოდი შენი თვალებზე ეხლავეს შეხვედნით
ექიმს.

თინას გული აუჩქროლდა.

— გენაცვალოს ჩემი თავი, სოლიკოჯან... ვგ კი სულ აღარ მომგონებია.
ი ექიმში მაჩვენე. ვინ იცის... რა ვიცი...

ვილაციები მოიშველეს და დაფაცურდნენ. თინას ხელი წაავლეს და სად-
ღაც წაიყვანეს. ექიმმა თინიკო სკამზე დასვა, თვალები გაუსინჯა და ჰკითხა:

— ხედავ რამეს?... სულ არაფერს? რამდენი წელიწადია, რაც თვალის ჩინი
წაგერთვა?... მაშ თქვენს ოჯახში ბრმა არავინ ყოფილა?

მერე ლოყაზე ხელი მოუცაცუნა და სთქვა:

— თვალებზე მისტი გაქვს გადაკრული. უნდა ადრევე გეწამლნა. მაინც
მოგარჩენ. ყოჩაღათ იყავი.

მარიამმა და თინამ მხიარული ჟრიაბული ასტეხეს. და ექიმს ხვეწნა დაუწყეს.
მერე მარიამმა ექიმს უთხრა:

— ეს ქალი თქვენი ავადმყოფის ცოლია, რომელიც ეხლაც აქ არის.
მართლა?

— ჰო, გენაცვალოს ჩემი თავი. სოლოს ცოლი ვარ, სოლოსი. აი აქა წევს,
ეხლაც ავით არის.

კიდევ კარგა ხანს ილაპარაკეს. ექიმმა განკარგულება გასცა. თინა გაიყვა-
ნეს, კიდევ დიდხანს ატარეს და სხვა დედაკაცს გადასცეს.

— აბა, თინიკო, მშვიდობით იყავი. ზევ რომ მოვალ, თვალები უნდა ახი-
ლული გქონდეს. — უთხრა მარიამმა და წავიდა.

ვინაობა გამოჰკითხეს, სადღაც ჩასწერეს, ხელში რაღაც ქალაღდი შიაჩქეს,
კიდევ დიდხანს ატარეს, კარგად გაჰბანეს, საცვალი გამოუცვალეს, გრძელი
ხალათი ჩააცვეს და დააწვინეს.

თინა გაშოტილი წევს. ისმის თავდაპირილი ლაპარაკი, ჩურჩული და ჩუს-
ტების ფლასტუნი. თინასაც უნდა ოთახში გაეღა და ბაასში ჩარეყა, მაგრამ ეურ
ჰბედავს. ვილაც დედაკაცი გვერდით მოუჯდა და გამოეღაპარაკა.

— შენი ქირი მე, — უხვეწება თინიკო უცნობს, — ერთი გამაგებინე, ძალიან
მეტკინება, ე თვალებს რომ გამიჭრიან?

— თვალები უნდა გიგიჭრიან? უი, დამიდგეს თვალი! — შეშინდა უცნობი.
სხვებიც ჩაერივნენ და აყაყანდნენ. ყველანი გასაჭრელად იყვნენ მომზადე-
ბულნი, ამიტომ აქვილდნენ და ერთმანეთს შეუკეთეს. ოთახში ვილაც შემო-
ვიდა, აშლალნი დაამშვიდა და თინას უთხრა:

— დამშვიდდი, ქალო. სულაც არ გეტკინება. ჩვენთვის ეგ საქმე ისე აღ-
ვილია, როგორც შენთვის ერთი მწევადის შექმა.

აქეთ-იქიდან გაიციინეს. მერე ყოველივე მიწყნარდა.

— ნეტა რას შურება ეხლა მამა ჩემი? — ფიქრობს თინა. — აღბად ქვეყანა

გადააბრუნა. დარბის და შეძებს. იქნება დამედევნა კიდევაც. იქნება ეხლაც დარბის და შეძებს.

მართალია, მარიამმა და სოლომ პირობა მისცეს თინას, რომ დღესვე წერილს მისწერდნენ თომას და დაამზავებდნენ, მაგრამ, სანამ თინა წერილს მიიღებს, საწყალს თავისი დაემართება.

— ერთიც ვნახოთ, თვალხილული მივაღეჭი მამას. — ოცნებობს თინიკო და იღიმება. — რა სერიო იქნება! კეკეს ბიჭს უბაჩას თვალები დაუდგება. სურამში რომ გაიქცა, მაშ რა ეგონა! თვალები რომ ამიხილდება, უბაჩა პირს დააღებს და დამედევნება, მაგრამ...

მაგრამ გვიანლა იქნება, რადგან უბაჩას სოლომ დაასწრო. მართალია, სოლომზე აძობდნენ, ვითომ ფეხები დამტვრეული აქვსო, მაგრამ ამას არა უშავს რა. თინას ვერც კი წარმოუდგენია ფეხდამტვრეული ადამიანი. სოლო დადის. თინას მეტიც არაფერი უნდა. როგორც ეტყობა, სოლო უბაჩაზე უფრო ღონიერიც უნდა იყოს გარდა ამისა, უბაჩა უბრალო სოფლელი ბიჭია, სოლო კი უფრო ნავალიც არის და გამოცდილიც. თინა ისე გაჰყვა ოცნებას, "თითქოს მას თვალებიც აებოდა, და უბაჩა და სოლოც იმის გულისთვის დაეობნენ და ერთმანეთს ეჯობებოდა.

ორი დღე და დამე გავიდა. დილით თინას ჯერ ჩაი დააღვიძნეს, მერე მკლავში ხელი გაუყარეს და წაიყვანეს.

გამარჯვება, თინა! — იცნო თინიკომ ექიმის ხმა. — როგორა ხარ? როგორ მოგწონს აქაურობა?

— კარგად, შენი ჭირი მე, ძალიან კარგად.

— აბა, დღეს შენა ბედი უნდა ვსცადოთ.

თინა ამ წუთს ორი თვე ელოდებოდა. გუშინ და ვუწინწინ ეს წუთი იმედის და შიშის შამფურით თავში უტრიალებდა და გულს უდაღვდა, მაგრამ ეხლა, როდესაც საოცნებო საათმა ჩამოჰკრა, თინიკოს პატარა გულმა შიშს და სიხარულს ეღიარა გაუძლო.

— შენი ჭირი მე... დამაცადე... ჯერ მითხარი... — ბუტბუტებდა თინა და ექიმის ხელებს ეძებდა.

— რა უნდა გითხრა, ქალო? სთქვი, რა გინდა?

— ჯერ მითხარი, თუ საქმე კარგად წავიდა, დღესვე დავინახავ, თუ...

— დღესვე კი არა, ეხლავე დაინახავ. აბა, დაჯექი.

სანამ თინას სხვა რაღაცას აცმევდნენ და ამზადებდნენ, ექიმი გულს უმაგრებდა:

— თუ ბედი გაქვს... შენ ნუ გეშინიან... არ გეტკინება. ოდნავ იგრძნობ... ყოჩაღად იყავი...

თავი გადაუწიეს და ხელები დაუჭირეს.

თინამ მარცხენა თვალში ტკივილი იგრძნო — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

და უცებ... — ღმერთო დიდებულო! — აკანკალდა და მთრთოლვარე ხმით შეჰკვივლა:

— ვხედავ!.. ვხედავ!.. ვხედავ!..

— ცოტა კიდევ... მოიცა კიდევ, მოიცა... მოიცა.—ბედნიერ დღეებით ლავს ექიმი და ჩქარობს.—გაახილვ თვალი, გაახილვ.

— მადლობა უფალსა!.. მადლობა უფალსა!—ბუტბუტებს ასისტენტი და ფუსფუსებს.

თეთრმა შუქმა თინას თვალში ჩაანათა; გაუძღისმა ნეტარებაში დაპკრა და ფეხებამდის ჩაურბინა. თინამ წამწამები აახამხამა და თვალი მოპკრა თეთრ კედელს, თეთრ ჭერს, თეთრ ექიმს და იმის ქალარა პირისახეს, შავს ხელთათმანში გახვეულ ხელს. მოლიმარე ტუჩებსა და გაბრწყინებულ თვალებს. თვალი მოპკრა, გაიწია და ექიმს ხალათში წასწვდა.

— შენი ჭირი მე... შენ გენაცვალე... მითხარით, გამაგებინეთ, ეს რა არის... ეს რა ფერია... რა ფერია.

— თეთრია, თეთრია. აბა, კიდევ გაახილვ თვალი.

იცის ეხლა თინამ, რაც ყოფილა თეთრი ფერი, იცის! ხელმეორედ გაიწია და ექიმს ისევ ხელში წასწვდა.

— ეს... ეს რაღა ფერია.

— ეს შავია, შავი. აბა, გეყოფა. დაუჭირეთ ხელი. გაახილვ, გაახილვ თვალი.

ესეც იცის ეხლა თინამ. ეხლა კი ესმის თინას თომას სიტყვები: „შავი ის არის, რასაც ეხლა ხედავო“.

თინა წყვილიადს ხედავდა, შავს და განუჭვრეტელ სიბნელეს. აი, თურმე რა ფერისა ყოფილა შავი! ერთის წამით დაბხუჭა თვალი და კვლავ შეჩვეული ფერი დაინახა—შავი და საზარელი სიბნელე, არაფერი, არარაობა. კვლავ თვალი გაახილა და ისევ თეთრი კედელი, თეთრი ექიმი და მისი „პირისფერი პირისახე“ დაინახა.—შუბლშეკრული, პირმოღუშული, მკმუნვარე და თითქმის სასტიკი.

— ეხლავე... ეხლავე... ერთხელ კიდევ, ერთხელ... ნუ ინძრევ —ბუტბუტებს ექიმი და გაფაციცებით მუშაობს. მერე თვალეზე ბამბა დაადო და სთქვა:

— აბა, ეხლა მეორედ ვსცადოთ.

თინამ კვლავ იგრძნო ტკივილი და სუსტად შეჰკივლა, მაგრამ ტკივილი უმალ დაივიწყა.

— ეხლავე!.. ეხლავე!.. ამ თვალითაც ვხედავ!

და თვალახელილი თინიკო მეორე თვალითაც ხედავს იმავე ჭერს, იმავე კედელს, თეთრს ექიმს, შავ ხელთათმანს და ექიმის გაბადრულ პირისახეს.

— ეხლავე... ეხლავე...—კვლავ ბუტბუტებს ქალარა ექიმი.

მერე ორივე თვალი შეუხვია, წამოაყენა, აბრთოლებული მკლავი წელზე მოახვია და მამობრივის სიხარულით უთხრა:

— აბა, ჩემო თინიკო, ეს დღე არ დაივიწყო. დღეს მეორედ დაიბადეთ.

ლმერთმა ხელი მოგიმართოს. ხომ გიხარიათ?.. რა დაგემართა, თინა? რა გემართება, ქალო?

— დღევანდელი დღე როგორ დამაგიწყდება!.. როგორ დამაგიწყდება, რომ შენ... თქვენ... მე... მე...

სათქმელი ველარ გაათავა, ხმა აუკანკალდა, თვითონაც ათრთოლდა, ხელებით ეჭიმის ხელები მოსძებნა და იმის მკერდზე აქვითინდა.

* * *

თვალეზ-აკრული თინა სურთმეტი დღე იწვა სამკურნალო მცურველ დღეს ეჭიმმა ერთხელ კიდევ დაიბარა და უთხრა:

— აბა, თინიკო, წენი დღე მოვიდა. ვადა გაგითავდა. დღეს სამუდამოდ უნდა ავხსნა თვალსახვევი. თქვენებიც აქ არიან. გარეთ გიციდიან. აბა, ერთი, რომი... სამი!..

და უცებ თვალსახვევი მოჰვლიჯა.

თინა ისე აირია და დაიბნა, თითქოს, ეს არის, ეხლა დაიბადო. ახლად გაღვიძებულ ბავშვივით თვალეზს იფშენეტდა და უცნაურ ღიმილით ათვალეზრებდა ოთახს, ცის ნაკერს, მომლიმარე, ეჭიმს, ასისტენტს და სათნოების დაძს

— ხომ კარგად ხედავ ყველაფერს? — ჰკითხა ეჭიმმა.

— კარგად, ვხედავ, გენაცვალე, კარგად, მაგრამ...

— პირველად რომ გაგიჭერი თვალი, ალბად მარტო ჩემი ხალათი, ქერი და კედელი დაინახე, ეხლა კი...

— ეხლა ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს... თქვენც ვხედავთ, თქვენს პირსახესაც.

— ეს რა ფერია? — მიუთითა ეჭიმმა კედელზე

— თეთრი.

— ესა?

— შავი.

— ესა? და ასისტენტმა პირსახეზე დაიღო თითი.

— ეგა? — და უცებ თინას გახეპირებული სიტყვა მოაგონდა: — პირისფერი, პირისფერი!

— ყოჩაღ! — მოიწონა ეჭიმმა და ცარც-წასმული ფანჯარა გამოაღო. — აბა, თინიკო, აქ მოდი.

თინამ ფანჯრიდან გაიხედა და, შთაბეჭდილებისგან დაღლილ-დაოსებულმა, ორივე ხელი ფანჯრის რაფას დააბჯინა. ახლად თვალახილულის წინ გადიშალა დიდუბე, ვაკე, საბურთალო, მთაწმინდა, ზედაზენის ქედი, დიღმის მინდორი და ათნაირად შეღებილი მთების გრეხილი.

— თქვენი პირიშე-ე-ე, ეს რა არის? ეს რა ამბავია? — ბუტბუტებდა თინა და ისევ თვალეზს იფშენეტდა.

ეჭიმმა თინას მკლავში ხელი წაავლო და გამოაფხიზლა.

— ეს არის ცა. — უთხრა ეჭიმმა და თითი ზევით ასწია.

— ცა... ცისფერი ცა? — მოაგონდა თინას.

— აგერ, ცაზე რომ თეთრი მოსჩანს, ღრუბელია. იქიდან მოდის წვიმა და თოვლი.

— წვიმა და თოვლი.

და თინას მოაგონდა ცალთვალა დევი, რომელიც ოდესღაც ქვეყანას საცერით რწყავდა და ბანბით ჰფენდა. გრილი ნიავი ჰქროდა. თინა შუბლს იგრი-

ლებდა და ისევ ცალთვალა დევს იგონებდა, რომელიც ვითომ მთაზე იდგა და ქვეყანას ქარს უგზავნიდა. ცას შეხედა, თვალები დახუჭა და კვლავ გაიხსენა იგივე დევი, რომელსაც ხელში დიდი მუგუხალი ეჭირა. გაიხსენა და სიხარულით გაიცინა.

— რად იცინი? მოგწონს? ხომ ხედავ ეხლა, როგორი ყოფილა ეს ქვეყანა.

— ვხედავ, ვხედავ! ჰა-ჰა-ჰა! რა კარგი ყოფილა!

— აი, ბალი.

— ჰო, ბალი... მწვანე ბალი.

— ეგმც გცოდნია? აგერ, დედაკაცი მიდის. რა ფერისაა მისი კაბა?

— კაბა? კაბა... არ ვიცი, ეს კი არ ვიცი.

— წითელია, წითელი.

— ეგ არის წითელი? რა ლამაზი ფერი ყოფილა-ა-ა...

— აბა, თინა, ეხლა წავიდეთ. თქვენები გიცდიან.

— მართლა, ჩვენები! სად არიან? შენი ჭირი მე, მაჩვენეთ, ჩქარა მაჩვენეთ, ჩქარა...

— აი, ეს ქალი გაგიყვანს. მე აქ უნდა დავრჩე. აბა, მშვიდობით იყავი, თინიკო. არ დამივიწყო.

თინას ცრემლი წიმოსქდა. ტუჩებით დასწვდა ექიმის ხელს და აბუტბუტდა.

— მადლობელი, მადლობელი... მშვიდობით, მშვიდობით.

— სათნოების დაძვს გაპყვა და გავიდა. გზადაგზა აქეთ-იქით იხედებოდა, ყველაფერს სინჯავდა, ჰკვირობდა, ჰხარობდა და წამდაუწუმ თანამგზავრს ეკითხებოდა:

— რა ექნა, ეს რა არის?... ამას რა ჰქვია?... ეს რითვინ არის?

ხალხით გაქედებულ დიდ დარბაზში რომ შევიდა, დაიბნა და შესდგა. ქალები და კაცები ბუჩივით ირუოდნენ. თინა ყველას აცქერდებოდა და თავით ფეხამდის ს-ნჯავდა. უცებ აქეთ-იქიდან რამდენიმეს ხმა მოესმა:

— თინა! თინიკო!

სამი მამაკაცი და ერთი დედაკაცი მისცვივდნენ, მოეხვივნენ და დაჰკოცნეს. თინამ ოთხივეს ხმა იცნო.

— მამა, მამილო!.. სოლო, სოლიკო!.. შენა ხარ?... შენა ხარ?... ყბაჩა, შენც აქა ხარ? მარიამ, ჩემო დედავ... ჩემო დედილო!

— ღმერთო, ამას რას მოვესწარი!.. ეს რა ვნახე! ეს რა ბედი მეწვია! — ბუტბუტებდა თომა და დაღარულ პირსახიდან სიხარულის ცრემლს იწმენდავდა.

ოთხივენი შემოეხვივნენ. მხიარულმა ყაყანმა და ჟრიაშულმა თინა გააბრუა. მათი კითხვა, პასუხი და მოლოცვა თინას თავში ფუტკარის ბზუილივით აირია. მათს ლაპარაკს ყურს ველარ უგდებდა. ჯერ ოთხივენი თავით-ფეხამდის ჩაათვალიერა, მერე ახლად ახელილი თვალეები ორს მამაკაცს ჩააშტერა და უნებურად უკან დაიწია. ორივენი იმის წინ იდგნენ: დაბალი, ხნიერი, კუჩიანი, პირდამწვარი, გონჯი სოლო და ახალგაზრდა, მოსხლეტილი, გრუზა და ლამაზი.

ყბაჩა. თინამ უნებურად თვალები დაჭუჭია და ოდნავ წაბარბაცდა. სოლომ ტანზე გრძელი ხელი მოჭხვია და მიიზიდა.

— დაილაღე, განა, თინიკო? დაჯექი, აი, აქ დაჯექი. — უთბო სოლომ და გრძელ სკამზე დასვა.

— ცუდა ფერი დაგედო, შვილო, — მიეშველა თომას, — მიეშველა თომას არა ხარ, შვილო?

— არა უშავს რა, — ჩაერია მარიამიც, — ეხლავე გაუელის. ამოდენა ხილების დანახვა დაძლიდა. დაისვენე, გენაცვა, დაისვენე, დაჭუჭი თვალები, დაჭუჭი. ჯერ ნუ გაახელ, სახამ არ დაისვენებ.

თინამ თვალები მილულა, დარეტიანებული თავი თომას მკერდზე მიადო და გაინაბა.

ირგვლივ ისევ ყაყანი და ყრიამული ისმის, მაგრამ თინას მხოლოდ თავისი გულის ფართხალი და კვნესა ესმის. მილულულ თვალებს ზოგჯერ ოდნავ გაახელს და ქურდულად ყბაჩას გადააველებს, რომელიც იქვე სდგას, უცნაურად ილიმება და წალულიან თვალებით თინას ჩაცვივებით ჩასცქერის.

ბოლოს, კველასი წამოდგნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. მარიამმა და სოლომ თინიკო შუაში ჩაიყენეს, მკლავებში ხელები გაუყარეს და წამოიყვანეს. სოლომ ისე ქანაობდა მოშლილ თეძოებზე, ისე სცელავდა ამოგოებილ ფეხებით და ისე ეხეტქებოდა დასუსტებულ დაწიშნულს, რომ თინამა სოლოს ხელი გაშოაცალა მამას მეორე მხრით მოუპარა და ის ხელი თომას მკლავში წაავლო. შთაბეჭდილებით დათენთილი თინა ლასლასით მიდიოდა, გაოცებულ თვალებს აცეცებდა, წაბდაუწუმ შეჩერდებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, მავალებს ჩაცვივებით სინჯავდა და ზოგჯერ წამოიძახებდა:

— ეს ვინ არის?... ეს რა არის?... ამას რა ჰქვია?... ეს რა ფერია?

— თვითმავალია, შეუბმელი ვაგონი და გაქანებული ავტო რომ დაინახა, ჯერ პირი დაალო, მერე გამოცოცხლდა, გადიკისკისა, მუხლებზე ხელები დაირტყა და წამოიძახა:

— რა ვქნა, ეს ქვეყანი რა ყოფილა! თქვენი ქირი მე, ერთი ნეც ჩამსვით ან ურემში.

ხუთი წუთის შემდეგ გაბადრული თინიკო ტრამვაის „ურემში“ იჯდა, ვულიანად იცინოდა და ხანგამომგვებით თანამგზავრებს ეუბნებოდა:

— რა კარგია!.. ვენაცვალე, ვინც ეს ურემი მოიგონა... ნეტა აღარ ჩამოვიდეთ აქედანა.

ბოლოს, მაინც ჩამოვიდნენ. თინა კვლავ დაილაღა და მოეშვა. მიუბე-მოუხვიეს, ერთი პაწაწა ეზო გადასჭრეს და მარიამის ბინაში შევიდნენ. თინა ტახტზე ჩამოჯდა, მერე კედელს მიეყუდა, თვალები მილულა და გაინაბა. იმის თავში ათასი გრძნობა და შთაბეჭდილება ერთმანეთში აირია და აიხლართა. მარიამის ბავშვები გარს შემოეხვივნენ. ოთახი ყაყანით და ყრიამულით გაიტენა.

— აბა, თინიკო, მე და თომა საქმეზე მივიდივართ. — ჩახლეჩილის ხმით უნახრა სოლომ. — ადრე ვერ დავბრუნდებით. შენ მოისვენე, თორემ ძალიან დაღ-

ლილი ხარ. სადილისთვის დაგბრუნდებით და მერე ქალაქის ხანახავად წავალთ. მარიამიც გამოგვეყვება. შენთვის ბევრი რამე გვაქვს სასყიდლოდ.

თინამ თვალები გაახილა. იმის წინ კვლავ სოლო და ყბაჩამ უფრო უფრო უმაღლეს თვალები დაჭბუჭა და წაიჩურჩულა:

— კარგი, წადით.

— ნუ გეშინიან, თინიკო, — სთქვა ყბაჩამ ხარის ხმით, — მეც შენთან დავ-
რჩები. არ მოგაწყენ.

თომა და სოლო წავიდნენ. მარიამი სადილის დასამზადებლად წავიდა. ბიჭები ეზოში ბურთს დასდევდნენ. კატა თინას მუხლებზე ასკუბდა. თინამ თვა-
ლები გაახილა, ჩაცუცქული კატა მკერდზე მიაკრა, მოულოდნელად ატირდა და
აჩურჩულდა.

— ნანუა... ჩემო ნანუა...

— რა გატირებს, თინიკო? — ხაერდის ხმით ჰკითხა ყბაჩამ და თინას გვერ-
დით მოუჯდა. — რა გატირებს, ქალო?

თინა სდუმდა და კატას თბილი ცრემლით ასველებდა.

— არ ვესმის? რა დაგემართა მეთქი, თინიკო?

და ხელში ხელი წაავლო.

— არაფერი, თავი დამანებე! — წამოიძახა თინამ.

და იმის ხმაში ბრაზი მოისმა, სოლო თვალებში ისარმა გაიფლავა.

— მაინც, არ მეტყვი?

და ყბაჩამ თინიკო მოიხიდა.

— გამანებე მეთქი თავი! უფრო მეტი სიბრაზით დაიძახა თინამ და
ხელიდან თვისი ათრთოლებული ხელი გაბოსტაცა.

ყბაჩა გაშტერდა. მერე წაილულლულა.

— არ მესმის... ხომ არაფერი გაწყებინე, ქალო?

თინამ კატა გადააგდო, თვალები მოიწმინდა და ყბაჩას ვაკვრით გადაჰხე-
და. მერე ხელები პირისახეზე აიფარა და იმოიკვნესა:

— ღმერთო ჩემო! განა ისე გაძნელდა ჩემი ჩამოყვანა ქალაქში? რამდენ-
ჯერ გთხოვეთ — შენც და მამასაც?

— ვერ მოვიცალე და...

— ვერ მოიცალეს! ჩემთვის ერთი კვირით ვერ მოიცალეს! მაშ სოლომ
როგორღა მოიცალა, რომ მაშინვე მიშოვნა ექიმი? პა, სოლომ როგორღა მოი-
ცალა?

— იმიტომ მოიცალა, რომა... მე... მე არც კი მჯეროდა, რომ ექიმი შენს
თვალებს უშველიდა.

— სოლომ რაღათ მოიცალა მეთქი?

იმიტომ, რომა... სოლო ქალაქელია, ჩვენზე მეტი ესმის. შენა ერთი
სოფლელი კაცი ვარ... ბნელი გლები ვარ. ეხლა ბარემ მეც მჯერა, მაგრამა...

— მაგრამ რაო?

— მაგრამ ისა, რომა...

ყბაჩა იშმუშნებოდა, ხელებს იფშენეტაედა და ქალამნებს დასწკროდა. მერე უცებ გასწორდა, ორივე ხელით თინას ხელს დასწვდა და აბუტყუნდა:

— იცი, რას გეტყვი, თინიკო? მენა, დედა... დედა არ მომიკვდეს, მართალს გეტყვები. მენა შენს მეტი არავინ მლონებია... შენს იქით გზა... არა... შენს. მოჯამაგირელაც იმიტომ წავედი, რომ ცოტა ფული მეშოვნა და მერე შენი თავი მეთხოვნა... ქალაქშიც ჩამოგიყვანდი, ეჭმისაც გიპოვნიდი... მოგარჩენდი... მე მოგარჩენდი, მე... ეხლა კი... ესლა დავიგვიანე...

— დაიგვიანე.—ხელის გულს ჩასჩუჩულა თინამ.

— დავიგვიანე, მაგრამ... თინა! მამა ჩემის სულსა ვფიცავ, რომა... რომ სოლო შენი ღირსი არ არის.

თინამ უფრო ღრმად ჩაიმალა ხელებში ალანძული პირისაზე.

— სოლო შენ ვერ მოგივლის.—განაგრძო ცხარედ ყბაჩამ.—სოლოს შენი ხნის შეილება უნდა ჰყავდეს. ის კი შენისთანა ქალს ირთავს! აბა, მითხარისად არის სამართალი!

თინა უცებ გასწორდა, ყბაჩას მოუბრუნდა და კვლავ ბრახით მიახალა:

— მერე, მე? რა ჩემი ბრალია? სად იყავით? რად ჩამაგდეთ იმის ხელში? რა ჩემი ბრალია?

— ჩემი ბრალია, ჩემი!—წამოღიძახა ყბაჩამ და თინას მკლავში დასწვდა. დასწვდა და მკერდზე მიიხუტა.—სულ ჩემი ბრალია, ჩემი!—გაბზარულის ხმით განიმეორა რამდენჯერმე.—დიდხანს ვიფიქრე. დედაც წინ გადაძელობა. შენი ნახვაც კი დამიშალა, მაგრამ შენ მაინც გულში მყავდი...

— მართლა?... ვითომ?—ყბაჩას მკერდს ჰკიოხა თინამ.

— დედა არ მომიკვდება, მართალს გეტყვები. თინა! თინიკო!... ჩემო გოგონავ...

ორივეს ტუჩებმა ერთმანერთი თვითონვე მოსძებნეს და ჩაეხუტნენ. ორივეს სული შეუფუბდათ და თავბრუ დაესხათ. უცებ თინა ყბაჩას მკლავებიდან გასხლტა და კედელთან აიტუნა. ყბაჩაც წამოდგა და აბუტბუტდა:

— შენა... შენ ნუ გეშინიან. სოლოს მე მოურიგდები... მე მოგაშორებ.

— არა, არ მინდა... სოლოს თავი დაანებე.

— რას ამბობ, თინა! მეგას როგორ ამბობ? მაშ ეხლა... მაშ ეს რა იყო?

— არ ვიცი... ერთხელ დამემართა... მეტი აღარ მინდა... აღარ იქნება.

— მაშ მე აღარ გინდივარ?

— მინდიხარ... არა, არ მინდიხარ, აღარ მინდიხარ. წადი, მომშორდი!

— მაშ ის გონჯი ბებერი მე მამჯობინე, რალა!

— ტყუილია, სტყუი! სოლო არც გონჯია, არც ბებერია. სოლო ჩემო ქმარია.

— ქმარია თუ დანიშნულია?

თინა აიღანდა. თავი დაჰხარა და განიმეორა:

— წადი, მომშორდი...

— თინა... თინიკო... ჩემო გოგონი!

— არა, არა! ნუ მოდიხარ... ნუ მოხვალ.

უცებ ხმა მოუღბა და მოუდუნდა. ნაცემი ბაეშვივით შენათა ყბაჩას აც-
რემლებული თვალები და შეეშუდარა:

— ყბაჩა... ჩემო ძმობილო! ჩემო კარგო ყბაჩავ! წადე... წადე... წადე... დაი-
კარგე სადმე... ნულარ დამენახვები. მე სოლოს ცოლი ვარ... დამივიწყე. სოლო
ჩემი ქმარია... სოლო ისეთი კაცი ყოფილა, რომა... სოლომ თვალები ამიხილა...

— მაშ... რაკი აგრე ყოფილა...— აყოყმანდა ყბაჩა და ქუდს ხელი დაავლო.

— ჰო, გენაცვალოს თინაი, ჰო! აგრეა... აგრეა...

მაშ წავალ...

— წადი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, წადი... წადი და დამივიწყე... ნუ-
ლარ გამიხსენებ და ნურც შენს თავს გამახსენებ.

თაეჩაქინდრული ყბაჩა ნაზდის ქუდს სჭმუჭვნიდა და კვლავ იმეორებდა:

— მაშ წავალ... რაკი აგრე ყოფილა, წავალ... მეტი რა გზა ნაქვს, წა-
ვალ... წავალ...

და, ბოლოს, ძლიეს ამოიხრიალა:

— მაშ მშვიდობით იყავი... შენ იცი... ჩემი ცოდო შენა... შენ იცი...

— შენი ცოდოც მენა და ჩემიცა... აგრე იყოს.

თავი ასწია და კარებს გაჰხედა. ყბაჩა უკვე გასულიყო. თინამ ფანჯრი-
დან გაიხედა: ყბაჩამ პატარა ეზო სწრაფის ნაბიჯით გადასჭრა და კუთხეში
გაუხვია. თინამ ჯერ კარებისაკენ გაიწია, მერე შესდგა, მოტრიალდა და ხელები
თვალებზე აიკრა. უცებ ტახტზე პიოტვე დაეცა და აქვითინდა, თან სლუქსლუქით
თავისთვის იმეორებდა:

— ყბაჩა, რათ დაიგვიანე... რათ დაიგვიანე... რათ დაიგვიანე... რათ...
რათ?



დღეები ზღვაზე.

ნისლეზმა თვალი ვერ შეაჩერა
თუმც ბევრს მივეცი ამას პირობა
უნდა მოვიდეს ღღეს „ჩიჩერინი“
გემი შორეულ სანაპიროდან.
წყალში ირხევა ლანდივით ქორსე
(ამ სურათს თვალი ისევ აიტანს)
იალქნის ჩრდილი ჩვენ დაგვაშორეს
და მაინც ველით ნაცნობ კაპიტანს.
მახსოვს რომ ხშირად ვხვდებოდი ბალთან
ვხედავდი ნისლის გადატანშიდის;
ქალებს ვგონათ რომ გავდა ბაღდადს
ორდენი „წითელ ლეიტენანტის“
ის იყო მუდამ თეთრი და კარგი
მახსოვს ქუჩაში მეც მივეგებე!
ეხლა არ ვიცი სად დაიკარგა
და ასე გვიან რად მოდის გემი.
ვიცი რომ ჰქვია სახელად ვაცლავ!
(აქ მოგონება სინამით გაძლებს)
მივდივარ ადრე—არავის ვაცლი
და სხვებში სალამს, პირველად ვაძლევ.

II

თვალებს აწვალებს ეს მღვრიე წყალი
და ჰორიზონტი მოსჩანს ლოდან!
თავო უბედო, ბედი არ გეწყალობს
გამოტყულებს სამეგრელოდან.
გუშინ მეგონა რომ ვიყავ ბავში
(ამ გრძნობას ეხლაც ვერ შეველევი)
მე დავიარე და ვნახე მაშინ

შემკროილი ბალი და შებელევი-
ტუჩებს აწვალებს სველი სიგარა
მხრებ დაწეული მივეყვები შოსეს!..
მიდის დღეები—ასე ამ გვარად
და ნაპირს მაინც ვერ დაგვაშორეს.
ქუჩები დილით დაპატარავდენ
და კენჭებიდან ლოცვა მესმოდა,
ნეტავი ეს ზღვა მუც დაშფარავდეს,
როგორც კაპიტანს სახ-ფრანცესკოდან.



III

სივრცეში წყრომ თავი მოხაზა,
გადაიკარგა, ნისლივით მიწვა.
ლოდივით მოსჩანს ფეთრი ბოლაში
და გაწოლილა სხვა დედამაწა.
გემიდან ისმის ჩუმი სიმღერა
სივრცეს ათეთრებს—სოფელი ტილო!
მიჰყვება ავალი იალუნის ღერებს
და სულში ცოდვა უფრო მატულობს.
ნაპირისაკენ სული იჩქარის
თუმც ჩემთან ისევ წარსული სახლობს;
წვალში ვასველებ გამხმაო სემჩქას
და ვიღიმები თითების ახლოს.

IV

აქ ნიაღვარი დგას შაბათობით,
და მუც მაშინ მსურს მიყვარდეს დედა!
ვიცი რომ თათრებს უყვართ ბათობი
თორემ აქ მოსვლას ვინ გაბედავდა.
ვიცი ყოველთვის მოდის ნამჭერი
საშიშროება მუდმივად გმანავს
რომ უღვაშები რბილი და ქერა
აღარ მოსცილდეს ფანჯრების მინას.
უცქერი ქუჩებს და უთბილესი
მოდის ნისლები; იშლება ოთხად.
მომენატრება ისევ ტფილისი
და დღესვე გავცლი უთუოდ ოთახს.

დღესაც ქუჩაში მოგდევდიო სანამ
ისევ წერტილებს აუ მიგამსგავსეთ

და ვგონებ თქვენ ხართ რომ შაძლევთ სალამს
 მაშინ როდესაც ვკითხულობ გაზეთს.
 ამას ამოწმებს თქვენი ტონი და
 იქვებიცი ამას ამოეფარა,
 რომ თქვენ უოუოდ ვაშინგტონიდან
 კვირაში ერთხელ ღებულობთ ბარათს.
 გავიგე გქვიათ სახელად: ლედი!
 და მეც ვინ იცის ვის მიმაზგავსეთ
 ვგრძობდი ნამივით რომ კანკალებდი
 მაშინ როდესაც ვხედებოდიო გზაზე.
 დღეს მოკესალმე მე დაზბაზიდან
 შენ გაგიკვირდა და ინაზები,
 ვიცი ტუჩები ისე დაზიდე
 როგორც უბიწო ანანასები:
 გითხარით ასე: „ისედაც დადლილს
 რომლისთვის მუდამ წამება ყუავის,
 გახოვთ მაპატროთ ეს იაღლიში
 და სამუდამოდ გაჩუქებთ ყუავილს.
 შეგხედათ პოეტი ჩემსავით თვთრი
 როგორც არაკი მუდამ ფარული,
 რომელიც ზღვებზე დაყვება თათრებს
 საქართველოდან გამოპარული.“
 სახეზე სისხლი გაწვებათ უფრო
 ვგრძნობ გამარჯვება მოდის ადვილად
 და გადავწყვიტეთ რომ სასაუბროდ
 ამოვირჩიოთ პატარა ვიღლა.

ჩვენ გავიარეთ ბილიკი ადრე
 თქვენ ხელს აქნევდით სომნამბულივით
 მე ყურს გიგდებდით და ალიანდრა
 იდგა ჩვენ შორის სულგანაბული.
 ვგრძნობდი ფოთლებში იწვა სინესტე
 მე ვეწვოდი ისევ სიგარას.
 თქვენ იფარავდით ცხვირის ნესტოებს
 და საუბრობდით ასე ამ გვარად.
 გავიგე მამა გყოლიათ სხვაგან
 და დედა თუომე დიდი ხნით გნატრობთ.
 არ ივიწყებდით ურთულეს საგანს!
 ემზადებოდით საემიგრანტოთ.
 გჯეროდათ კიდეც, რომ მამის ხმალი
 რუსულ მიწაზე ისევ იელვებს.



სახე ამაყი და მუდამ ხმელი
 ისევ გაჰყვება თეთრგვარდიელებს.
 ასე მითხარით: „სისხლში სახლობდა
 ზღვა საბჭოებზე გადამტერების,
 და მამაჩემსაც უფის მახლობლად
 დაჰყავდა პოლკი გრენადურების.
 მას მხოლოდ ვრცელი მიწები სწამდა
 (ლოცავს წინაპრებს დავიწყებულებს)
 ცეცხლში აქრობდა და ცეცხლში სწვავდა
 ისედაც ცეცხლით აჯანყებულებს.
 მას ისევ უყვარს წითლებთან შეხლა,
 მაგრამ ხმაღს ხელი ვეღარ მოჰკიდა“
 და ნიმტკიცებდით, რომ მხოლოდ ეხლა
 გამოიპარეთ თერგის ოლქიდან.
 გაგონდებოდით ძველი სიკეთე
 და ვგონებ სახეზე სევდა მატულობს
 მითხარით! „გვარი გადავიკეთე,
 გთხოვთ შემინახოთ ეს საიდუმლოდ“.
 სიფითრე ვქონდათ, ნაცნობ ფოთოლის.
 ჰუანტავდით ფიქრებს მუდმივად ურგებს.
 ზღვებიდან კივის „სვესტოპოლი“,
 და თქვენ იგონებთ, გრაფ ოლდენბურგებს.

V

მას შემდეგ მუდამ თავს გარიდებდი
 მაგრამ დღეს სული ისევ აერთო.
 იდგა წარწერა და გარინდებით
 რუსული ფლოტის სხვა საიგენტო.
 ხელში გეკავათ ქართული ჩანთა.
 (ამოჭარვული ჰქონდა ზარები)
 აიღეთ ვიხა (ეს ასე სჩანდა)
 და ვგონებ სადღაც მიემგზავრები.
 იძრობთ ხელთათმანს, თითებზე ნელა
 რომ არ დაფარდეს ამბორი წმინდა.
 მე ჩავიარეთ მოულოდნელად
 მესმოდა რხევა ძარღვების წრიდან.
 ეხლა ნაბიჯებს მე აღარ ვითვლი
 მომენატრება ისევ ხმაური—
 მე შემოვხედე და შენ გაყვიტლდი,
 როგორც ქიქებში აფხანაური.



VI



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

არვის აფიქრებს ზღვის სიშარტოე
 ან ნისლებს როდის გამოეყოფა
 სძულთ ნაპირები დამთვრალ მატროსებს
 და ენატრებათ გრივალში ყოფნა.
 მე არ შეგონა რომ თქვენ ამ რიგად
 შეგეძლოთ მოსვლა დღეს უჩემოთაც!
 კვლავ დაგინახეთ—იდექით რიგში
 და აწვალებდით ხელში ჩემოდანს.
 ვიცი რომ ეხლა მაღარებთ კინტოს
 მადიგებთ ალბად მღვობრობაში,
 თანაც უმატებთ: „ღმერთმა შეგინდოს“
 ყოფილხარ სულით გარყვნილი ბავში.
 უნიხნო ცქერამ სახე დამიწვა
 თქვენ კი არ ელით, რომ ვდგვეარ ახლოს
 ვიცი რომ სწყველით საბჭოთა მიწას
 და ყველას ვინც ამ მხარეში სახლობს
 მილიდან მოდის სუნი ნახშირის
 გემს მეზღვაური ბაწრებით აბამს
 სივრცეში ისმის კივილი ხშირად
 და ხალხი ელის ურთულეს ამბავს.
 ბაწრების რგოლი ასწიეს უფრო
 წუთები შემდეგ გადაითვალეს
 ყურს არვია უგდებს დღეს გემის უფროსს
 ყველა სივრცეში აწებებს თვალებს.
 ვინდა რომ დროშა გაიკო ფერზე
 მაგრამ გაუვირვებს, სხვა მოსართავი,
 მე წაგიკითხე! „P. C. K. C.“
 და შენ უცრად დახარე თავი.

1924 წ.

ბ ა თ მ ი ა.



საქართველო საგზაროვანი

რ
 მ
 მ
 მ
 ლ ლ
 ა ა
 უ უ
 ე ელას,
 ე ელას,
 ე ელას,
 ე ელას,

რუსეთი შეიქნა თვითმპყრობელი
 და ნიკოლოზ მე II გახდა ურუსეთო.
 დატყდენ ციხეები.
 გადიმსხვრა ბორკილები.

და ყველგან:
 — ამხანაგებო!
 ყველგან:
 — მოქალაქენო!

გაუმარჯოს თავისუფლებას.
 ყველას,
 ყველას,
 ყველას,

შედგა დროებითი მთავრობა. დატუსაღებულა ძველი მინისტრები და რუსეთი გახდა თავისუფალი.
 — გაუმარჯოს რევოლუციას.

რევოლუციის გარიჟრაჟზე ყველა იღიმება, ერთმანეთს ჰკოცნიან, ულოცავენ.

ერთი.
ორი.
სამი.

გაიგონეთ:

— რუსეთი დარჩა უნიკოლოზოდ!

და სიხარულით ალღუმებს აწყობენ, სადაც მოკუნტული ლენერლები სიტყვებს ამბობენ და ჯარისკაცები პარადს იღებენ...

ერთი.
ორი.
სამი.

სმენა:

— ქუდები მოიხადეთ, დღეს 13 მარტია და რევოლუციის მსხვერპლი ასაფლავენ:

„საუკუნო იყოს ხსენება მათი“...

ერთი,
ორი,
სამი:

— ხელი ქუდზე:

— გაუმარჯოს თავისუფლებას.

გულზე წითელი ნიშანი.

ტრიბუნიდან:

— ამხანაგებო, დაემზო თვითმპყრობელობა....

ზღვა ხალხი:

— გაუმარჯოს.

და სიარულით დროწების რხევა:

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

— ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებასა!

და პლაკატები:

„ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს“!

„გაუმარჯოს რესპუბლიკას“

„ძირს კაპიტალიზმი.

„მიწა — გლეხებს .

„გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“.

— ძირს ომი.

და ყველგან.

ყოველ ქალაქში,

შთელს რუსეთში—

ყველა:

— გაუმარჯოს რევოლუციას.



2.

ტფილისი.

სასახლე:

ამიერ კავკასიის კომისარიატი.

და გუგუნი ქუჩებზე.

გუგუნი მოედნებზე.

გუგუნი შენობებში.

ყველგან: მიტინგი.

ყველგან: კრება.

ყველგან: სხდომა.

ყველგან: საქმე.

და ტფილისი ლაპარაკობს.

ტფილისი საქმეს აკეთებს.

ტფილისი მიტინგობს.

წითელ თერში გახვეულა ქალაქი. წითლად იცინიან მოქალაქენი.

წითელი აფიშები, ლენტები, დროშები, სახლები.

აყაყაჩოებული ტფილისი ზეიმობს რევოლუციას.

მიჰქრის ტრამვაი და ზედ წარწერა:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

მიჰქრის სამხედრო ავტომობილი და დიდი ასოებით უკან:

„ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებასა“.

სადგურზე წითლად მორთული მატარებელი ჩამოდგა.

ზედ გაჭიმულა წარწერა:

„გაუმარჯოს რესპუბლიკას“.

მირბიან პოვოზკები და რახუნში:

გაუ—გაუ—გაუ

მარჯოს—მარჯოს—მარჯოს!

და ფიქრი:

თავისუფლებას..

ვილაც მენახშირეს ვირი მოურთავს, ყურები წითლად დაუღებავს და:

ნაახშირი.

ბავშვები წითელი დროშებით დარბიან.

წრე გადასულ ქალსა ძაღლისთვის გაუკეთებია ყელზე წითელი ლენტი და ამაყად მიიბიჯებს.

ძველი ლენერალი.

თავადი.

ვაქარი.

მუშა.

ფინაჩი.

ჯიბვირი.

ყველა ერთხმად:



— ძირს ნიკოლოზ!

— გაუმარჯოს რევოლუციას!

სამიკიტნოში ისმის: მარსელაოზა.

ცაში დაპქრის ჰაეროპლანი, რომელიც ძირს ჰყრის ფურცლებს.
ქუჩებში ჯავშნოსნები მორტირებით:

— ჩვენ დავიცავთ თავისუფლებას!!

3.

ციხიდან გამოსულმა ჯიბგირებმა დააარსეს საზოგადოება,
რომლის მიზანია პატიოსანი ცხოვრების დაწყება.

გამგეობაში არჩეულ იქნა სამი კაცი.

მისამართი: ჩურქეზოვის ქუჩა № 31, დარჩო კვერნაძე.

ფრონტზე დროებით სიწყნარეა.

მთავარსარდლის შტაბი.

ქალაქში მყოფმა მათხოვრებმა მიმართეს თხოვნით ქალაქის დრ. აღმა-
სრულებელ კომიტეტს გამოიყენოს მათი გამოცდილება.

მიღებულია დიდძალი ხიზალალა: „სკობელეე“. და თევზი.
ძმ. ძეგველშვილები.

გაიხსნა ახალი რესტორანი: „თავისუფლება“

პაპიროს „რევოლუცია“ 25 ც. 40 კ.

ჩესან ორმაგი დაინიშნა სასახლეში კომენდანტად.

ე რ თ ო ბ ა :

უცნობი მოწყალეების და: ნუკრი სადმელის ასული, რომელიც მე-
ტეხიდან რევოლუციამ გაანთავისუფლა, არჩეულია ახლად შემდგარ მუ-
შათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევ-
რად. ეს ერთადერთი ქალია, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტში
მუშაობს.

ტფილისის მუშ. გლეხთა და ჯარისკაც-
თა აღმასრულებელი კომიტეტი.

აღმ. კომ.
ბიურო.
№ 6

ზესან ორმაგი.

№ 9

აღმ. კომიტეტის
მდივანი.

ნუკრი სადმელი.

ოთახი

№ 6

ზესან ორმაგი

აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ჩაფიქრებული ზის.

კარი იღება.

— ამხანაგო, სახალხო სახლში სხდომაზე გიცდიან.

— ამხანაგო, ამ ბრძანებას ხელი მოაწერე.

ხელს აწერს.

ზეზე დგება.

მის წინ:

ოთახი № 9.

აღმ. კომიტეტის მდივანი:

ნუკრი სადმელის ასული.

ილიმის.

იგი ერთ ადგილს ვერ ჰგერდება.

ერთი ადგილიდან მეორეში:

ქალაქდები, ბროშაურები.

წიგნები და ღიშაღი მუღაშ თან დააქვს.

მას ყველა იცნობს, ყველას უხარია მისი შეხვედრა,

განსაკუთრებით მისი ღიმილი.

ერთმანეთს შეხვდა

№ 6 და № 9.

ზესანი და ნუკრი.

ავტომობილში ერთად

და გზაში:

- ჩვენ ერთმანეთი დაგვაფიწყდა.
- ჩვენ ერთმანეთის გვეშინია.
- ნუკრი!
- ზესან.
- ჩვენი გზები შეერთდენ!
- ჩვენ კი ერთმანეთს დავშორდით.

- ერთმანეთისთვის ვერ მოვიცალეთ.
- სახალხო საქმეებ ერთმანეთი წაგვართვა და ქუჩაში:
- გაუმარჯოს პროლეტარიატს.
- გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს. და ავტომობილი: გუპ, გუპ.
- ჯარისკაცები ქუჩაში: „Стенка Разина“
- პაპიროსის გამყიდველები:
 - პაპიროს, პაპიროს..
 - და ფიქრი ზესანის.
 - და ღიმილი ნუკრის.
- ეხ — ეხ.
- ფიქრი.. ფიქრი.
- რაზე ფიქრობს ზესანი?!

მას მოსწყინდა ზეიმი რევოლუციის. როდის გათავდება ეს ზეიმი. მას უნდა ქმედობა რევოლუციის.

მას უნდა არევოლუციონერებულ ქალაქი, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“!, და ნუკრი ილიმის.

მას უხარია ეს ზეიმი. მას უნდა რევოლუციის აპოთეოზი. ღიმილი, ღიმილი და ვარდები. ზესანი კი იღუშება. და ეს სევდა ვერ გაუგია ნუკრის.

5.

პეტერბურგ: შვეიცარიიდან გერმანიით დაბრუნებული გაგონით ჩამოვიდა ვლ. ლენინი... ფ. ნლიანდიის სადგურიდან დიდის ზეიმით მიიღეს ქალაქში.

გაზეთები:

„ერთობა“

„საქართველო“

„სოციალ-დემოკრატი“

ცალი 7 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ბრძოლაში პპოებ შენს უფლებასა“.

მხანაგებო და მოქალაქენო!

მ თავისუფალი რუსეთი განსაცდელშია, ომი დაწყებული მეფის შთაგრო-



ბის დროს უნდა დასრულდეს გამარჯვებით. თავისუფალმა ქვეყანამ უნდა შეასრულოს ვალდებულება მოკავშირეთა მიმართ, თორემ ვიღაცელმა მხორცის ჩექმის ქუსლი გასრესს ჩვენს თავისუფლებას. ყველას მოვალეობაა დამხმარის ფრონტს და გაამაგროს ზურგი. მოლაღატეა ის თავისუფლებებისა და სამშობლოსი, ვინც ასეთ დროს არა სდგას თავის სიღარაჯოზე და ხელს არ უწყობს სამშობლოსა და რევოლუციას.

ომი ბოლომდე—გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს დროებით მთავრობას,

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ზავს!

რ. ს. დ. მ. პ. ამ. კავ. საოლქო კომიტეტი.

რ. ს. რ. პ. ამ. კავ. საოლქო კომიტეტი.

„ხელი მთაწერეთ თავისუფლების სესხს“.

თუ გინდა ზავი, ეშხადე ომისთვის.

ბაზარზე არის შაქრის ნაკლებობა.

აკრძალულია თეთრი პურის გამოცხობა, ქალაქი იძლევა მხოლოდ „ნარეცს“.

კუდები ფურნეებთან გადიდდა.

გაუმარჯოს რევოლუციას.

დ ე პ ე შ ი.

პეტერბურგ. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ბოლშევიკი კაპუსტინი, რომელმაც გააკრიტიკა დროებითი მთავრობის მოქმედება. დაჰკმომ კერენსკის პოლიტიკა და მოითხოვა გერმანიასთან ზავის შეკვრა.

პეტერბურგ. შვეიცარიიდან ჩამოსული ლენინი და მისი ამხანაგები აპირებენ ომის წინამდებ დემონსტრაციის მოწყობას.

ლოზუნგი: ძირს ომი, ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. მივლი ძალა უფლება საბჭოებს!

6.

სიციხიანი საღამო.

ზესან და ნუკრი ბალში.

ჩამოჯდენ.

- რამ დაგაფიქრა? შეეკითხა ქალი.
- ფიქრი, ფიქრი და კიდევ ბევრი ფიქრი.
- არ გიხარია რევოლუცია, თავისუფლება?
- მისხარია რევოლუცია, მარა აქ ხომ რევოლუცია



ქართული ენის
სამეცნიერო ცენტრი

- წევნ ვზენიმობთ და ვზენიმობთ.
- სვედა.
- კიდევ ჩაფიქრება.
- სიჩუმე.
- და ისინა ერთმანეთს მიეკვრონ.
- დაავიწყდათ ორივეს, რომ ბაღში სხედან.
- თავდავიწყება.
- სირცხვილი მოკვდა.
- მაგრამ ვიღაცამ დაიძახა:
- პიპროს „რევოლუცია“.

Свобода,
Симпатия,
Самодия.

- და გამოფხიზლება.
- მოშეცით
- და ზესანმა გახსნა კოლოფი.
- მოსწია.

ბოლი.
თვალი გადადევნა ნუკრიმ, რომელიც აკლანებოდა
და წაიკითხა:

ზ ბ ზ
მ ე ე
სან.

- ზესან.
- ბაღში მუსიკა.
- სიარული.
- ფეხის ხმა.
- კისკისი.

Мироженица
Книг

- და ზესანი ზეზე აღვა.
- მას თან გაჰყვა ნუკრიც.
- მე ღვინო მწყურია.
- ჩემთან შევიართო.
- და ეტლით:
- ერთმანეთზე მიყრდნობილი, ერთმანეთის სუნთქვით გაჩუმებული.
- გაჩერება.

თითის დაჭერა.

წკრ. წკრ..

კარის გაღება.

და კიბეები.

განათებული დარბაზი.

თქმა: გააწყვეთ სუფრა.

და სუფრა აივსო.

როდითან: მარსელაოზა.

სუფრაზე:

„Кавказский натуральный Копьяк“

„Сааро“.

„Шампанское Ашанова“.

წითელი ვაშლები.

ზესანი სანახაობით დათვრა.

მიიხედ-მოიხედა,

სუფრასთან მივიდა. საჩქაროდ დაასხა ერთი ჭიქა კონიაკი და გადაჭრა.

შერე მეორე და ნუკრის თვალეზში მიაშტერდა.

ღიმილი.

ზესანს ბრუ დაესხა.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ჩაესმა ზესანს და უცებ კარს ნივარდა.

გიჟივით გააღო იგი.

საჩქაროდ ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გავარდა.

ღიმილი.. ღიმილი.

ნუკრის ღიმილი.

თითქოს მოიტაცა იგი და შირბოდა.

ბრაბ-ბრუხ.

გაიხმაურა ტრამეაიმ.

და ზესანი ქუჩაში შირბოდა.

და ყურში ჩასძახოდა ხმა:

წინ!

წინ!

წინ!

7.

შინ მისვლა.

ლოკინზე წამოწოლა

დაფიქრება:

— მე თავი უნდა დავანებო საბჭოში მუშაობას.

მე ვიცი, რომ ჩემი დანიშნულება სხვაა.

— კაკ-კუკ-
შემოდის ორი კაცი.

ზესანი მიხვდა და უხმოდ უკან გაპყვა.

და ისინი მთელი ღამე ერთ სარდაფში რაღაცაზე ისმობდა სიტყვები:

— ლენინ.

პროლეტარიატ.

და დილით დაბრუნდა ზესანი შინ.

დაღლილი იყო.

გაუხდელი მიწვა.

და ჩაეძინა.

8.

დეპეშები:

პეტერბურგ: აჯანყება პეტერბურგში
ჩაქრობილ იქნა. ლენინი გადიძალა.

წაიკითხა ზესანმა,

ქული დაიხურა და გარედ გავიდა.

სიცხიანი დღე იყო.

ტფილისის ქუჩები უხმოდ გაიარა.

ღამე იყო, როცა ვიწრო უბანში შევიდა და

ერთი ქობის კარებს მიაკაკუნა.

კარი გაიღო.

— ზესან.

— მე პეტერბურგში უნდა წავიდე.

— არა აქ უნდა ვემზადოთ.

— აქა ვართ საჭირო

— ახლა დაემარცხდით, მარა ბოლოს გამარჯვება ჩვენია.

— უნდა ვემზადოთ, არაფერი საერთო მენშევიკებთან.

იყო ხმები იმედიანი და მაგარი.

ათეული ანთებული თვალი.

ათეული მშფოთარე გული.

— ჩვენი რიგები უნდა იქნეს რკინისა და ფოლადის.

ჩვენთან არ უნდა იქნეს შიში და საფრთხე.

და ერთმანეთს ცეცხლით შეხედეს.

— ბრძოლა საბჭოებცხთვის.

— ძირს ომი.

და მეორე დღეს ტფილისის კედლებზე:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

ამხანაგებო!

უკვე რამდენიმე თვეა, რაც რუსეთში დაემხო მეფის ტახტი და ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, რომელიც ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს იცავს. რუსეთის მუშათა, გლეხთა და ხალხთა საბჭოც, სადაც გაბატონებული არიან ესერები და მენშევიკები, დროებით მთავრობის ლაქიად გადაიქცა. ქვეყანა გააღატაკა ომმა. მთავრობა არ იღებს არავითარ ზომებს ომის მოსასპობად. ამხანაგებო, რუსეთი მხოლოდ მაშინ დაახწევს თავს ამ მდგომარეობას, როცა მთელი ძალაუფლება გადაეცემა თვით მუშებსა და გლეხებს საბჭოების სახით. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა საბჭოებში იქნებიან ჩვენი ამხანაგები—ბოლშევიკები. მხოლოდ ასეთ საბჭოებს შეუძლია რუსეთს მისცეს ზავი, გლეხებს მიწა, მუშებს პური და დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა.

მაშ ამხანაგო მუშებო და გლეხებო! შემოკრებით ბოლშევიკური პარტიის გარშემო და მტკიცე რიგებით გავსწიოთ წინ: გამარჯვებისაკენ.

ძირს ომი.

ძირს ბურჟუაზია.

გაუმარჯოს ზავს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

რ. ს. დ. მ. პ. ამ კავ. საოლქო კომიტეტი (ბოლშევიკების)

9.

ყველას,

ყველას.

ყველას!

რევოლუცია განსაცდელშია. თეთრი გენერალი კორნილოვი აჯანყდა და ცდილობს გადატრიალების მოხდენას. ყველამ დაიცვას რევოლუციონური წესრიგი და ქვეყანა გადარჩენილ უნდა იქნეს ავანტიურას. დაიცავით წესრიგი.

გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

და ტფილისში:

რახ, რუხ!

ტრახ. ტრახ.

ჯარისკაცები თოფებით.

არტილერია.

ჯავშნიანი ავტომობილები.

ცხენები, აქლემები, ვირები და პოვოზკები.

და მთელ ქუჩებზე ხმა.

— გაუმარჯოს რევოლუციას!

— ძირს კორნილოვი.

— გაუმარჯოს მუშათა კლასს.

ერთი,

ორი,

სამი.

ნაბიჯით რევოლუციის დასაცავად!

ერთი,

ორი,

სამი.

შეტევა რევოლუციის მტრებს!

ერთი.

ორი,

სამი,

ესრო-ლეთ.

და ყველა ემზადება სასროლად, მაგრამ კორნილოვი

შორს არის.

და ხმა:

— ჩვენ ვიბრძობებით თავისუფალ რუსეთისათვის!



გეორგიული
რევოლუცია

10.

წამით აენთო ზესანი.

საზეიმო დღეებად გადაიქცა კორნილოვის ავანტიურა და ნან ამ ზეიმში
ნახა ნუკრი გაბრწყინებული და ანთებული.

საგანგებო სხდომაზე, რომელიც ცირკის დიდ დაბაზში გაიმართა, დი-
მილით იჯდა ნუკრი პრეზიდიუმის მაგიდასთან.

მუშათა, გლეხთა და წითელ-არწიელთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე ცირ-
კი სავსე იყო ხალხით.

Циркь „МОДЕРНЪ“

გაუმარჯოს თავისუფლებას!

— ავანტიურას ბოლო უნდა მოელოს!

— ძირს კორნილოვი!

ყველა პარტიები ერთხმად:

— ჩვენ ვიბრძობებით კორნილოვის წინააღმდეგ.

ჩვენ გავამაგრებთ თავისუფლებას!

— მიბოძეთ სიტყვა:

და ყველა სმენად გადაიქცა.

ზესან ორმაგი გასცლოდა პრეზიდიუმის მაგიდას და ხალხისკენ თვალგბ-
ანთებული იცქირებოდა.

სიჩუმე.

— მე ვამტკიცებ, რომ რუსეთის თავისუფლებას მოელოს განსაცდელი.
ერთ კორნილოვს, მეორე შესცელის, სანამ არ იქნება გასრესილი ბურჟუაზია
და ძალაუფლებას კერენსკები არ ჩააბარებენ საბჭოებს.



- ძირს.
- ვაშა.
- შსტ. შსტ..
- ტაში.

ზარის ხმა... ნმალური.
 ზესან ორმაგი სდგას მუშტ-მოღირებული ანთებული თვალებით.
 ნუკრის ღიმილი დაეკარგა.
 პრეზიდენტის მავიდას მოშორდა
 და ბრაზობდა.

- ძირს კორნილოვი!
- ძირს ბურეუაზია!
- ძირს!
- ვაშა.

აიროია მასა.
 და როცა მუსიკამ დაუკრა:
 „ინტერნაციონალ“,
 ყველამ ქუდები მოიხადა და დაწყნარდა.

11.

სექტემბერი.
 ოქტომბერი.

ნუკრი ზესანს იშვიათად ხვდება.
 ზესანი იძულებული შეიქნა სამსახურისათვის საბჭოთა აღ. კომიტეტში
 თავი გაენებებია და იგი ჩაება პარტიულ მუშაობაში.

ნუკრი ფიქრობს ზესანზე.
 ფიქრობს და ვერ ნახულობს.

— ზესან, ზესან ჩემო, რად ჩემთან არა ხარ?
 ერთხელ ნახა ზესანი ნუკრი.

გაანდო თვისი ასრები, მაგრამ...
 ნუკრი ყრუ ღარჩა..

— ჩვენ გავათავეთ ბრძოლა, ახლა უნდა რევოლუციას გამაგრება და არა
 გაღრმავება, უთხრა ნუკრიმ ზესანს და ქვითინი აუფარდა...

ამის შემდეგ აღარ უნახავთ ერთმანეთი.
 იქ კი შორს:

პეტერბურგ:

- ძთელი ძალაუფლება საბჭოებს.
- გაღმარჯოს რევოლუციას.
- ძირს კერენსკი.

და

25 ოქტომბერს

პეტერბურგ

ყველას.

ყველას.

ყველას.

რუსეთის რევოლუცია და თავისუფლება განსაცდელშია. ავანტიურისტების ჯგუფმა დაიწყო აჯანყება. აჯანყებას მეთაურობენ ლენინი და ტროცკი. ყველამ დაიცაოთ რევოლუციონური წესრიგი. ჩვენ შევსძლებთ მოლაღატეთა დამარცხებას.

კერენსკი.

და ერთ კვირაში:

პეტერბურგში კომისართა საბჭო

და მისი თავმჯდომარე: ულანოვ—ლენინ

ფრონტებზე ბრძოლა სამოქალაქო:

ალექსეევი და კალედინი.

და ამიერკავკასიაში:

კომისარიატი და რესპუბლიკა.

და კომისართა თავმჯდომარე: გეგეჭკორი...

დამფუძნებელი კრება, უკანასკნელი იმედი და არჩევნები:

№ 1.

№ 2.

№ 3.

№ 4.

№ 5.

№ 6.

№ 7.

№ 8.

— გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას.

აირჩიეს.

და როცა ემზადებოდნ წასასვლელად:

ცნობა:

„დამფუძნებელი კრება გარეკეს“.

განგაში.

ლანძღვა.

და სასახლის თეთრ დარბაზში

ამიერკავკასიის სეიმი.

და დეკემბერში:

გვარდიამ არსენალი ჩაიგდო.

ფრონტი ოსმალეთის საზღვრებზე დაიშალა.

და გატიტვლდა...

ოსმალეები მოადგენ საზღვრებს.

— ბრძოლა მტერს!

თვალი ჩრდილოეთს:

— გვიშველეთ
და ოსმალეთი შეგმოიქრა.
აპრილი 1918 წ.
და ბათომი ჩაიგდეს თურქებმა.
ქვეყანა ოსმალეთის რგოლში.
ზავი თურქებთან.
იშვა 26 მაისი.

ქუთაისი და ტფილისი გახდა:
საქართველო.

და საქართველო შეიქნა:
სამფროვანი..

გერმანელებმა ბათომით მოაგნეს ახალი სახელმწიფოს სახელები.
კაიხერის კასკები.

კრუპის მორტირები—საქართველოს გარეწრე უქნეს.

და ოსმალეთი ესტუმრა აზერბეიჯანს.

მაგრამ იფეთქა გერმანიაში რევოლუციამ

და მოსულები გაიპარენ.

და საქართველოს გვერდით

აზერბეიჯან და სომხეთი.

მუსავატი და დაშნაკცაუტუნ

გარესპუბლიკდენ.

ინგლისელების დრედნოუტები ბათომში.

ინდუსები თეორი კბილებით ტფილისში.

12.

რუსთაველის პროსპექტი.

იქით.

აქეთ.

მოდის ცხენოსან გვარდიელთა ესკადრონი.

იქით.

აქეთ.

შუაში.

გასწორდით:

მოაბიჯებს

იუბკებით შოტლანდიელები: ჭრელი და უხმო.

შეჩერდით:

გადმოაბიჯეს სპილენძის კაცებმა და თეორი კბილებით გაანათეს ქუჩა.

ერთი,

ორი,

სამი.

— სმენა:



ინგლისელმა ჯორჯმა დაჩაღიღეს ტფილისელი ვირები.

და ქვაფენილზე:

— ШОВОЛИН.

„Sigaret“ ცალი 1-კაპ.

მოექანება ავტომობილი:

№ 1.

შიგ ზის გამინისტრებული ვეჭილი
და საქარსველოს სამფეროეანი დრონით ამაყოფს.

აიწია მილოციელის ხელი და გაიჭიმა:

სალამი მისცა.

შს. შს.

დუ-დუ-დუპ.

ავტომობილი № 2

შიგ ზის ღიპიანი სპეკულიანტი:

ვაჭარი ნობებითა და ჯაგრიო.

სტერლინგები და ღირები:

ვახლაეარ.. ვახ.

და ტრამვაი

№ 8

რახ. რუხ.—რახ..

13.

ჩაფიქრებული ზის ნუკრი.

ზის, ფიქრობს.

რალაც უზარმაზარი აიწევა და ვერ მოასწრებს გასწორებას, ისე დაეცემა
და გაღიმტვრევა. ნამტვრევები კი კივიან. სისხლი სდის, იკლაკნება.

გაუ.. უხ.

უხხპ.

და როგორც მშობიარე წამოიჭრება ტკივილებით შეწუხებული.

აუ, უხ..

ვაი.

გული. თავი. მთელი სხეული იკლაკნება და ელექტროს მიაპყრობს თვალს.

დატრიალდება ღამპარი. მილიონი სხივი. ათასი ფერი დაიყვირებს
სინათლით და ასულს გადალევს.

— ვაი.

ვაი დედა!

— წკრ.. წკრ.

ესმის და ხეზე წამოვარდება.

— კაკ. კუპ.

და კარებში გამოჩნდება ვილაც მოხუცი.

— ვინა ხარ?

— ზესან!

— ზესან?

და ქალი გაშტერებით უკან დაიხევს..

— მე ვარ. ქალაქში ჩემი მოსვლა სხვანაირად არ შეიძლება.

— შენ ზესან?

მოხუცმა პარიკი მოიძრო.

მის წინ ანთებული, თვალეზ გაბწყინებული..

— მე მივდივარ, მივდივარ მთებში და შინდა გნახო.

მე მომიყვანა დიდმა სიყვარულმა...

და შინათა მთელი არსებით.

ნუკრი აშტერებით.

— მაპატიე ნუკრა!

ქალი მიხვდა და აქვითინდა.

ვაჟი მიუახლოვდა..

— მე და შენ..

პირველი გადამტვრევა.

პირველი ცეცხლი.

დაგროვილი ვნება აფიქრებით შენაკრები

და აკოცნა მთელი სხეულის.

გადაწეა მოგონებათა.

და უკვდავი მისტერია სხეულის.

და როცა გამოირკვენა:

დიდხანს გაგიჟება ილერსით.

— მშვიდობით ნუკრი.

— მშვიდობით ზესან.

გაზომვა თვალებით.

კითხვა:

— სად მიხვალ ზესან?

— იქ მთაში სამფეროვანი დროშის დასამზობად!

— ნუ ზესან. ნუ. დაგწყევლის შენ საქართველო.

და ნუკრის ცრემლები მოადგა.

— საქართველო უნდა გაწითლდეს!

მშვიდობით!

და მოხუცი-ახალგაზრდა მიიმალა.

სიჩუმე.

და ნუკრის თვალებიდან ცრემლები

ლაპ-ლუპ..

და იგი დიდხანს:

ქვითინებდა.

ქვითინებდა

და კიდევ ქვითინებდა!



საქართველოს
საბჭოთავო
საქართველო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა..
ეროვნული კრება.

— საქართველო უნდა გახდეს საქართველო ევროპის მიერ აღიარებული და
მიღებული.

საქართველოს უნდა დამოუკიდებლობა!
გვიცანით:

ტფილისი.

პარიზი.

ლონდონი!

ტფილისი — ლონდონი!

ტფილისი — პარიზი.

— ქართული ბონები ბაზარზე ეცემა.

— გირვანქა პური 20 მანეთი.

— გირვანქა ქაღი 5 მანეთი.

და მიწის დეკრეტი: 1917 წ. 16 დეკემბრის.

— ნარმა არშინი 30 მანეთი.

და ტფილისში

ხმა: სომხეთი დაეცა საქართველოს.

ქუთაისში ბოიკოტი გამოუცხადეს: მიხაკო ჯანოვეს.

და არშაკ ზურაბოვს: უბძანეს შინ ჯდომია.

ხოლო ფრონტი — შულავეცი და სადახლოსთან.

ფრონტი სისხლიანი და საშინელი.

15

ზატყული: მთებში გაუარდა თოფი

და ტფილისს დაეჭადა ჩრდილოეთი.

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

— გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს

გუგუნებდა მთა.

წს. წს.

ტა, ტა, ტა.

ბუჰ, ბუჰ.

ბუჰ.

და მშობლიური მთები შეიღება ძმათა სისხლით.

სამშობლო მიწამ არ დაინდო თავისი შობილი.

და ლეჩხუმი — სამეგრელო — გამეორდა

ტფილისის ახლოს.

მუდგრად იბრძოდენ.

დამარცხდენ.

ბევრი სიცოცხლე მოისპო.

და როცა ერთს ნაპრაღში:

ზესან ორმაგი დაქრილი შეიბყრეს.
მეორე დღეს:



ერთობა

ოფიციალურად:

ტფილისი: დუშეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. აჯანყებულები გაიფანტენ, რომელთა ნაწილი მიიმალა, ნაწილი კი ტყვედ იქნა წამოყვანილი. დატყვევებულთა შორის არიან: ცნობილი ბოლშევიკები ზესან ორმაგი, გიო ბურდული, ზაქრო ამირზაური.

გენ. შტაბი.

დარკინულ მეტეხში ზის ზესან ორმაგი.
იციჩრება და ფიქრობს.

რისთვის დაატყვევეს?

მას უნდოდა საქართველო წითელი და მძაფრი.

მას ბრძოლა უყვარს.

შხ. შს. შს.

მოსთქვამს მტკვარი.

მეტეხი. მეტეხი.

აქ იჯდა ნუკრი.

ახლა ზესანი ზის.

აქ იჯდა ყველა ცნობილი რევოლუციონერი საქართველოსი.

აქ გული გაუგმირეს კეცხოველს.

აქ წმინდა ადგილია.

და გასჩერებია ქალაქს.

— ტფილისო, ტფილისო

პატივი ეც მეტეხს!

იგი წმინდა ადგილია!

— ნეტავ სად არის ნუკრი?

ნუკრი, ნუკრი!

ნუკრი!

ერთობა

თანახმად რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებისა აქტიური კომუნისტები გამოშვებულ იქნენ ციხიდან, მათ ნება ეძლევათ დასტოვონ საქართველოს საზღვრები.

და მატარებელში ზის ზესან ორმაგი.

მიჰქრის.

და როცა ფეხი შედგა რ. ს. ფ. ს. რ.

დაიყვირა:

გაუმარჯოს წითელ რუსეთს.



ქართული
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

ნუკრი აკვანთან ზის.

თვალეებში ჩასცქერის პაწა თამაზს.

ნუკრი მოშორდა საზოგადოებრივ ასპარეზს და საქართველოს უზრდის ვაჟს.
თამაზ — ზესანის შვილია.

შვილი გატაცებისა და სევდის.

მამა შორს არის.

შეიძლება ოდესმე ნახოს თვისი ვაჟი!

თამაზ, თამაზ!

დამპალ საუკუნეების ნგრევაში დაიბადე შენ!

წელიწადები დატყდენ შენს დროს

და აოყოფნის უფსკოულში ჩაიძირენ.

თამაზ!

დედა შენი დაგხარის შენ!

მამა სევდით ფიქრობს შენს გაჩენაზე.

საქართველოში დაიბადე, როცა ცეცხლი უნდა მოედვას შენს სამშობლოს
და შენსავეთ ახალგაზდა და გატაცების იშვიათი იგი.

ზესან!

ზესან, რამდენ აღფრთოვანებას იწვევდი შენ.

რამდენ ტანჯვას მახვევ თავს.

სად ხარ? სად?

შენ თამაზს კიდევ არ იცნობ!

შენს პირშუბს, და აქვითინდება ნუკრი.

ზესანის აღარაფერი იცის.

ნუკრი ორი წელიწადია ფიქრობს მასზე.

ის კი მოსკოვში:

P. C. შ. C. P.

და იქ.

ლენინ.

ტროცკი.

სტალინი.

ზინოვიევი.

კამენევი.

და მესამე ინტერნაციონალ, რომელიც დაანგრევს მსოფლიოს და ცეცხლს
წაუკიდებს ეკვატორს.

მოსკოვ!

პეკინ!

ბერლინი!

ნიუ-იორკ!

ტფილის!

კონსტანტინოპოლ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

17.



საქართველოს დამფუძნებელი კრება.

პარტიები: {
 ს. ს. დ. მ. პ.
 ს. ს. რ. პ.
 ს. ს. ფ. ს. პ.
 ს. ერ. დ. პ.
 ს. ერ. პ.

ლიდერები: {
 ი. წერეთელი
 დ. შენგელაია.
 მ. მესხიშვილი.
 სპ. კვიციანი
 გ. ფეშაბელი.

და თავმჯდომარე: ჩხეიძე.
 მისი მოადგილე ა. ლომთათიძე.
 კვებორი: ს. ჟორჯოლიანი.

მოქმედება.

კითხვა კანონ-პროექტების.

ორატორი: და. და. და.

და.

კითხვა: — ვინ არის მომხრე?

— წინამდევნი?

— მიღებულია.

და მოქმედება.

მოქმედება ხშირი...

18.

საქართველო იცნებს de iure.

და ყველგან:

— გაუმარჯოს საქართველოს.

ტფილისში:

მოდის გვარდია.

ერთი.

ორი.

სამი.

სმენა: გაუმარჯოს საქართველოს!

მოდის ჯარი:

ერთი.

ორი.

ყველამ:

გაუმარჯოს ინგლისს.

ისმის „დიდება.“

ჟურავს ზურნა.

ხალხის დენა:

კინტოები ქუჩაში ქვაფენილზე ქეიფობენ.

ჯიბგირებმა გადასწყვიტეს: ქართველს ჯიბიდან ფული არ ამოაცალონ.

ქართველმა სპეკულიანტებმა დიდი ბანკეტი გამართეს,

სადაც ბათომის სპეკულიანტების სომხეთში გადასახლება მოითხოვეს.

„ქიმერიონში“ პოეტებმა ლაზისტანი საქართველოს შემოუერთეს.

და:

— გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

— ვაშა!

— ვაშა!

18.

გუპ. გუპ.

გუპ.

მოსკოვი:

გუპ. გუპ. გუპ.

და სუნთქვა ცეცხლისა და ფოლადის ედება აღმოსავლეთს.

ორჯონიკიძე — ტფილისს:

— გაუმარჯოს საბჭოებს.

და აზერბეიჯანი საქართველოს:

— ცეცხლი

გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს.

ზოიწევს:

გუპ. გუპ.

— ცეცხლი უნდა წაეკიდოს საქართველოს და გაწითლდეს დროშა სამფეროვანი.

წითელი აზერბეიჯანი და წითელი სომხეთი:

— საქართველო ჩვენთან უნდა იყოს!

19.

თებერვალი.

ხმა: — წითელი საფრთხე.

ფრონტისკენ:

— გაუმარჯოს რესპუბლიკას.

ავტომობილები.

ცხენები.



ჯორები.

პოვოზკები.

- ერთი,
- ორი,
- სამი.

— მიედივართ, მიედივართ!

— ყველა მიედივართ.

— ბოლშევიკები მოდიან:

— გადამალეთ ყველაფერი!

„სამშობლო განსაცდელშია,

იარაღით დაუიცვათ იგი.

და ოდიშელიძე—ზაქარიძესთან ერთად:

— გაშალეთ ფრონტი.

— ერთი,

— ორი,

— სამი: ესროლეთ.

და სახელოვანი გვარდია

უკან... უკან.

ჯარი:

წინ...

— უკან... უკან...

და შულავერიდან:

საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

„ამხანაგებო, საქართველო უნდა გაწითლდეს, და...

და იქცეს საბჭოთა რესპუბლიკად“...

საქართველო უნდა გაოქტომბერდეს

და ელობა მოადგა ტფილისის ბჭეებს.

20.

ნუკრი პაწა თამაზთან იჯდა, როცა ესმოდა ტფილისის ახლოს:

გუჰ, გუჰ.

გული ტიკ.

ტაკ.

ტიკ.

აღბად ახლოსაა ზესანი.

— შვილო და ბავშს თვალეში ჩააშტერდა.

— მოდის მამა, მოდის!

და ცრემლები წასკდა.

— აწი ის გიპატრონებს...

დიდხანს უცქირა.

ბავშს მიეძინა.



გუპ. გუპ..

ჯავრობდენ მორტირები.

გადიცვა ვაჟურად.

ხელში კარაბინა

და გარედ გავიდა:

ტფილისი გრძნობს ცეცხლის სუნთქვას.

ნუკრი მთავარ—შტაბისკენ.

კარი შეაღო..

ყაბალახ მოსხმული კვინიტაძე:

ბოლოთახა სცემს.

მთავარსარდალი ელის პასუხს.

იგი მოვიდა და მან:

— უკან ყველა ხაზიდან, ტფილისს ვტოვებთ.

გასცა ბრძანება.

შტაბი წასასვლელად მოემზადა.

ფუსფუსი.

უკან...

— უკან!

— მცხეთასთან.

— ლაჩრებო, გაისმა: ქალი მოყედი სამშობლოს დასაცავად და თქვენ მიდინართ?!

— მივდივართ... უპასუხა ვიღაცამ.

— ლაჩრები!

შტაბი დაცალიერდა.

და ნუკრი კი გულწასული სავარძელზე დაეშო.

რამდენიმე დღის შემდეგ

ნუკრიმ, როცა თვალი გაახილა და გონს მოვიდა,

მის წინ ვიღაც ახალგაზდა იდგა...

— აქამდე არ მომცეს აქიმებმა ნება მენახე!

— ზესან!

— ნუკრი!

— ზესან, მოკვდა საქართველო?

— საქართველო სცოცხლობს! გაუმარჯოს წითელ საქართველოს.

ნუკრიმ ბალიში თავი ჩარგო და აქვითინდა.

გარედ კი ისმოდა ცხენთა ფეხის ხმა

და: „ინტერნაციონალ“!

ბოჩის პილნიაკი.



უიუგველი წელი („ГОЛЫЙ ГОД“)

რუმანი

Рожденные в года глухие
Пути не помнят своего
Мы дети страшных лет России
Забить не можем ничего.

Ал. Блок.

შესავალი

წიგნში: „გონიერი ყოფა, ანუ ზნეობრივი შეხედულებანი ცხოვრებაზე“
ბოჩის ტრაზა:

„ყოველი წუთი ჰპირდება ბედისწერას, რომ ის არასოდეს არ
გაამჟღავნებს ჩვენს იღბალს, არ გაამჟღავნებს მაშინაც, როდესაც
მონავალი სდუმს ჩვენს ბედზე. ყოველ წარმავალ წუთს შეუძლია და-
იწყოს საუკუნეები“.

I.

ქალაქი ორდინინი.

ქრემლის ალაყაფზე ეწერა (ახლა წაშლილია):

ღმერთო, ჰფარვიდე
ქალაქსა ამას და ერსა შენსა,
და აკურთხენ
შესავალი ესეც არსა მასში ნა.

აი ამონაწერი ქალაქ ორდინინის საობლო სასამართლოს დადგენილებიდან:

„1794 წელსა, თთუესა იანვარისა 7-სა, დღესა ორშაბათსა შუადღის ორმეტ საათზე საობლო სასამართლოში წარმოსდგენ:

დომენტი რატჩინი,—ქალაქისა თავი.

რატმანნი: სიმონ ტულინოვი, სტეფანე ქაბაბროვი, ქალაქის მოურავი.

მოისმინეს — — —

დაადგინეს: ქალაქის თავს, დომენტი რატჩინს, კაცსა ფრიად წარჩინებულსა და ღიდად სვიანსა განეცხადოს მადლობა და პატივისცემა.

ხელი მოაწეოეს — — —

სასამართლო დასტოვეს შუადღის ორ საათზე და წარემართნენ ტაძარსა შინა პარაკლისზე“.

ეს დადგენილება დაწერილი იყო სწორედ ასი წლის წინად დონატის დაბადებამდე. დონატი მას მაშინ წააწყდა, როდესაც ქალაქ ორდინინის არქივი დაარბია და მიწასთან გაასწორა. დადგენილება დაწერილი იყო ლურჯ ქაღალდზე ბატის ფრთით, ახირებული ქარაგმებითა და ხვეულებით.

ორას წელიწადს ითვლიდა ვაქარი რატჩინების სახელოვანი გვარი თავის წარსულში, უწინ მათ აღებული ჰქონდათ მარილის იჯარები და ალაფობდენ, ორასი წელიწადი (პაპი, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი) ცხოვრობდენ ერთ ადგილას მარილით მოვაჭრეთა რიგში (ახლა აღებულია), საბაზრო მოედანზე (ახლა წითელნი მოედანი),—ყოველ დღე იდგენ დახლში, ანგარიშობდენ, თამაშობდენ ჰადრაკს, სვამდენ ჩაის პირდაპირ ჩაიდანთან (წყალს უეჭველად რვიანებივით აქცევდენ იატაკზე), იღებდენ მუშტარს, ლანძღავდენ ნოქრებს.

ივან ემელიანოვიჩ რატჩინ დომენტის შვილიშვილის შვილი, დონატის მამა, ორმოცი წლის წინად სრულიად ახალგაზდა, ახუტუჭებული თმებით ჩადგა დახლში,—მას მერე მრავალი წელიწადი გავიდა: ჩამოხმა, თმა გასცვივდა, სათვალეები გაიკეთა, სიარული დაიწყო ჯოხით და დაბამბულ სიურტუკითა და ქუდიით.

დაიბადა აქვე, ზარიადიეში, საკუთარ ორსართულიან სახლში, რომელსაც სდარაჯობდენ ავი ყუბაქები, აქვე მოიყვანა ცოლი, აქედან გაიტანა მამის კუბო, აქედან მართვა-გამგეობდა.

კრემლში იყო სახელმწიფო სახლები და ეკლესიები, კრემლთანვე ხაბოსთან ჩადიოდა მდინარე ვალოვა, ვალოვას გაღმა გადაშლილი იყო სათიბი ველები, რედენევი მონასტერი, იამის სლაბოდა (რკინის გზა მაშინ ასი ვერსით იყო ქალაქ ორდინინს დაშორებული).

მთელი დღე და ღამე ყოველ ხუთ წუთში ტაძრის საათი რეკავდა,—დონ, დონ, დონ,—ყველაზე ადრე კრემლში ბატები იღვიძებდენ.

(ღორები კრემლში არ ჰყავდათ, რადგან ქუჩები ყველგან მოკირწყლული იყო). ბატების შემდეგ ქუჩაში გამოჩნდებოდენ ლოთები, მათხოვარნი და საპ-

ყარნი. ქალაქის ასასები თავზე გადებულ მაგიდებით სამმართველოსაკენ მიდი-
ოდენ. (გუბერნატორის მიერ მთელ გუბერნიაში გაცემული იყო ბრძანება, რომ
ზედამხედველებს ღამით დაეზვერათ სადარაჯოები და იმის შესახებ მოე-
წერათ ხელი, დავთრები კი ბრძანა, რომ მაგიდებზე საგანგებოდ მოეწყდათ
ლუქით, — ზედამხედველნი ხელს აწერდენ, მხოლოდ ღამით კი არა დღლით, და
ისიც არა ასასთა სადარაჯოებში არამედ თავის კანცელარიაში, სადაც ასასებს
დავთარმიბეჭდილი მაგიდები მოჰქონდათ). ღამით სიარული არ იყო სასურვე-
ლი, თუ ნაშინარევი ასასი დაგიძახებდათ:

— ვინ მოდის?

უნდა გეპასუხნათ:

— ობივატელი!

კანცელარიაში და საპოლიციო ნაწილებში, ეს ასეც უნდა იყოს, ხალხს
სცემდენ, განსაკუთრებით ლოთებს, სასტიკად და ჩინებულად; ამ საქმეში უბ-
ნის ზედამხედველი ბაბოჩკინი იყო დახელრგნებული.

ლოთები დილა ადრინაღვე გროვდებოდენ „კაზიონკასთან“, მოლზე დას-
ხდებოდენ და მოთმინებით აღჭურვილნი უცდიდენ მის გაღებას. ვაჭრები პირ-
ჯვრის წყრით ჩაიარდენ. მდინარიდან ანკესით მორბოდა მეთევზეობაზე გადა-
რეული ბლალოჩინი ნაშა ლევკოვეი და გასაღებებით ხელში ქარვასლისაკენ
მიიქაროდა, რომ დროზე გაეღო ეპარქიული საფაქრო: ბლალოჩინი ლევკოვეი
დიდად პატივცემული კაცი იყო მთელ ქალაქში, მხოლოდ მისი ერთად ერთი
ნაკლი იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველ ზაფხულს მის ჯიბეებიდან კიაყე-
ლები მოხობავდა, რაც შედეგი იყო თევზის ქურისადმი მისი უცნაური სიყვა-
რულისა. (ამის გამო ერთხელ მამბეზლარა პოეტმა ვარიგინმა იგი ეფისკოპოს-
თან დაასმინა). ლოთი ოგონდოკ-კლასიკი ეძახდა მამას:

— მოწყალეო ხელმწიფევი!.. გესმისთ?.. —

მაგრამ ხუცესი ხელების ქნევით საჩქაროდ გარბოდა.

მაშინვე, ხუცესის შემდეგ, ქიშკარში გამოვიდოდა კიტელში გამოწყობილი,
ფეხზე კალოშებით მასწავლებელი ბლანმანუოვი და ქოლგით ხელში გაჰყვებოდა
ხუცესს ეპარქიულ საფაქროში ჩაის დასაღვეად და სალაყბოდ.

ოგონდოკი (ნათელი ლაქა) ბეჯითი ნაბიჯით უახლოვდებოდა და ეძახდა:

— დიდსულოვანო გვამო!.. vous comprenez? თქვენ მოგმართავთ ოგონ-
დოკ-კლასიკი,...

ბლანმანუოვი გარბოდა.

ბლანმანუოვი განთქმული იყო გვოგრაფიით და ცოლით, რომელიც ეკლე-
სიაში დადიოდა კოკოშნიკით, სახლში — შიშველი და ზაფხულობითა და შემოდ-
გომით ჰყიდდა ფანჯარაში პერანგის ამარა ხილს საკუთარი ბალიდან.

„კაზიონკასთან“ მოდიოდა ჩხუბის თავი ტრუსკოვი და გადაჰკრავდა ორ
ბოთლ „მერზაგას“.

მიდი-მოდიოდენ ბაზარში ვაჭრები და ფეხზე მოვაჭრენი.

ლოთები ყიდულობდენ არაყს და მერე თავიანთ საქმეებზე მიდიოდენ.

მოდით მეთლები თავის „კალიბრებში“ და ნამძინარე ბუტბუტებდენ:

— Пожа!.. Пожа!..

ქალაქს გადმოადგებოდა მზე, მუდამ ლამაზი და მუდამ უჩვეულო. დედამიწას, ქალაქს თავს გადუქროლებდენ გაზაფხულები, შემოდგომები და ზამთრები, მუდამ ლამაზნი და მუდამ უჩვეულონი.

გაზაფხულზე დედაბრებს ბავშვები ნიკოლა-რადოვანიცაში და ყაზანის ღვთისმობელთან მიჰყავდათ სალოცავად, უურს უგდებდენ ტოროლების წკრიალს და დარდობდენ წარსულზე.

შემოდგომით ბავშვები ცაში ფრანებს უშვებდენ.

შემოდგომით, ზამთრობით და ნააღდგომივს დაძრწოდენ მაქანკლები, არიგებდენ ნეჟე-პატარძლებს, ვაჭრებს საქმეს უჩაობადენ ჯარის კაცების ცოლებთან, ქვრივებთან და ქალიშვილებთან.

ქალის ნახვის დროს ფოსტის მოხელენი ემუსაიფებოდენ საცოლოებს ლიტერატუროსა და გეოგრაფიაზე: საცოლო ამბობდა, რომ მას ყველას პოეტი ლაჟეჩნიკოვი ურჩევნია, სასიძო კი მწერალ ნადსონს არჩევდა ყველას, მერე მუსაიფი წყდებოდა, — არ იცოდენ რაზე ელაპარაკათ, მაშინ სიძე სიტყვას ჩამოაგდებდა გეოგრაფიაზე: სასძლო ამბობდა, რომ ის ყოფილა ნიკოლა რადოვანიცაში, — სასიძო მოუყვებოდა ამბავს ვარშავაზე და ლიუბანზე, სადაც იგი სამხედრო ბეგარას იხდიდა.

პეტრებავლობასა და ყველიერში ქალაქში ბაზრობა იმართებოდა, ჩამოდით შარმანკები, ჯამბაზები და ოინბაზები, სახელდახელოდ აშენებდენ ბაღანს, არტისტებს თვითონ დაჰქონდათ აფიშები და ბაზრობის შემდეგ ვაჭრები ჩემად ექიმ ელვაზარიჩთან მიიბარებოდენ.

ზამთარში, შაბათობით აბანოში დადიოდენ. აბანოდან მდინარემდის, სადაც ყინული იყო ამოჭრილი, აშენებული იყო ფიცრის გრძელი ფარდული და ვაჭრები, აბანოს ორთქლში გამოშუშების შემდეგ, მიზობდენ შიშველი მდინარისაკენ, რომ ერთი-ორჯერ ამოვლებულიყვენ გაყინულ წყალში.

ზამთარში, კვირაობით, იმართებოდა კრივეები, ეკრივებოდენ იამელებსა და რედენყველებს.

კრევს იწყებდენ პატარა ბიჭებით, რომელნიც გაჰციოდენ: —

— მოდით!.. მოდით!.. — ათავებდენ მოხუცებულებით, — მაგრამ ეს ვაჭრებს ხელს მაინც არ უშლიდა, რომ მარხილებით იამსკაიაში ციგნებთან გაქანებულყვენ საქეფოდ, და ასე ამრავლებდენ ციგანთა მოდგმას, — უკან დაბრუნებისას ებრძოდენ ფანრის ბოძებს, სთხრიდენ და გზაში აქცევდენ.

საშობაოდ ვარსკელავის გამოჩენამდე არაფერს სჭამდენ, პირველ დღეს ქრისტე-მაცხოვარს აღიძებდენ, ნათლილება დამეს ყოველი ოჯახის კარზე ცარცით ჯვარი იყო გამოხატული.

შემთხვევები ქალაქში იშვიათი იყო და თუ რაიმე „კომერაჟი“ მოხდებოდა, ეს იყო შემდეგნაირი:

მიშკა ცველეგმა — ზეინკლის შვილი — სააქციზო მოხელის ბიჭთან, იპოლიტკასთან ერთად, თავის კუდში ბაწარი გამოაბი და იქვე, სახლიდან, თამაშობდნენ, ამ დროს გაღმულ გადარეულმა, ერუშელმა ბრუნდმა ჩამოიარა და ფანრებს ქვები დაუშინა. ცველეგმა ფანრებს ქნახებით გამოეკიდა; ცეცხლის ნქრობელმა რაზმმა წყალი მიუშვა, მაგრამ არა გამოვიდა, რა, მხოლოდ უბნის ზედამხედველმა ბაბოჩკინმა შესძლო მათი მორჯულება: ამის გამო მიშკას სამი დღე და ღამე სცემდნენ,

— თუ ასეთი „კომერაჟი“ მოხდებოდა, — ეს ამბავი ქალაქს ნახევარი წლის განმავლობაში ჰყოფნიდა სალაპარაკოდ.

ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ციხიდან ტუსაღები გარბოდნენ, მაშინ მათ ყველა ქალაქებში დასდევდნენ და იჭერდნენ.

მარილით მოვაჭრეთა რიგში, საბაზრო მოედანზე, ეპარქიალური სავაჭროსთან ახლოს იდგა რუნდუკი — ერთად ერთი წიგნის მაღაზია მთელ ქალაქში — აბრით:

ყიდვა და გაყიდვა

სახელმძღვანელოებისა, მელნებისა, კალმებისა და კალმის ტარებისა

და სხუადსხუა პერიოდულ

საკანცელარიო გამოცემათა

ა. ვ. ვარიგინისა

სავაჭრო უბნის ორმეოცთა წამებულთა ხატთან იმყოფებოდა ეპარქიალური სავაჭრო, და ამ ხატთან იმდენ პარაკლისს იბდიდნენ, რამდენი ვაჭრის სახელის დღეობაც იყო წელიწადში.

საეპარქიო დუქანში ხატები არ იყიდებოდა: ვადამცვლელი ყიდულობდა ქუდს, ჩაჰყრიდა შიგ ფულს და სცვლიდა ქუდს ხატში. ქუდებს სასულიერო სასწავლებელში გზავნიდნენ.

საეპარქიო ვაჭრობას მამა ლევკოევი განაგებდა, რომელიც ქრისტეს მაგალითისამებრ, ოცნებობდა მეთევზეთა ძმობის დაარსებაზე და საზოგადო კრებაზე საკითხის იმის შესახებ დასმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს ნავი დაყენებული თევზის ქერის დროს; ლუზაზე, ქვაზე, თუ ნაპირზე იქნეს გამობმული.

საეპარქიო დუქანში თამაშობდნენ ქადრაქს და თავს იყრიდა ინტელიგენცია — ბლანმანეოვი, ა. ვ. ვარიგინი.

კომერციული კლუბი აღებული ჰქონდა მესაპნე ზიაბროვს, რომელიც ხანძრების გატაცებული მოგვარული იყო.

მასთან გამუდმებით იხდნენ აბლაკატები და ენატანიები (სიტყვა და საქმე!): აბლაკატები სწერენ კლიაუზებსა და ქალაქებს, — ენატანიები მოწოდებდნენ ყველაფერს.

ბაზარში დაძრწოდნენ მათხოვრები და საპყარნი, ზიაბროვი თავს იქცევდა მათი შემწეობით: ზამთარში დანერწყვილ ვერცხლის შაურიანებს იატაკზე მიაციწავდა და უბრძანებდა მათხოვრებს: თუ კბილით ააძრობდნენ, — ფული მათი იქნებოდა, ზათესულში კი უზალთუნს აძლევდა იმას, ვინც ერთ ვედროს წყალს დალევდა (ჩერჩეტი ტიგა-გოგა ამას ახერხებდა), ან და მარულას აწყობდა, ისევე, როგორც ცრცხლის მქრობელი რახმი პარადზე, ზიაბროვი ერთობოდა აგრეთვე გამვლელ-გამომვლელებითაც: ძაფზე გამობმულ საათს გამოჰკიდებდა გარეთ, ისროდა ქუჩაში კონფეტის კოლოფებს, რომელიც აბანოს ჭიითა და მომხვრჩალი ვირთხით იყო გატენილი. ქვით ნაშენ რიგში ბნელოდა, ნოტიო იყო და ჰყარდა იქაურობა თავგებით, დამძალი ტყავებით, გაფუჭებული ტარანით.

ივან ემელიანოვიჩ რატჩინი: მალალი, გამხდარი, თავზე დაბამბული ქუდით, დუქანში სწორედ მაშინ მოდიოდა, როცა შეიღს ხუთი წუთი აკლდა, აქლარუნებდა გასაღებებს და ასწავლიდა ნოქრებსა და შეგირდებს თავის ხელობას: მუშტრის ყოფნის დროს უნდა ელაპარაკნათ:

არა — იძლევიან, არამედ: იბნევიან,

არა — დათბობა, არამედ: დაბნევა,

არა — გაჰყიდე, არამედ: მიაბნიე,

არა — ევაჭრე, არამედ: დაიფიცე,

არა — 150 მან. 50 კაპ., არამედ: არცი-იფე-ონ-კონ-იფე-ონ კუნ,

არა — 90, არამედ: მტკიცე-ონ.

მუშტრებისათვის კარი უნდა გაეღოთ და, როცა შემოვიდოდნენ, — მიეხურათ: არ აზომ-დაზომავ, ვერ მოატყუებ — ვერ გაჰყიდი.

ივან ემელიანოვიჩ რატჩინი იჯდა კანტორაში, ანგარიშობდა, კითხულობდა ხნამალლა დაბადების წიგნს, კანტორაშივე იბარებდა დამნაშავეებს (შეგირდებს უდანაშაულოდაც) და „ასწავლიდა“ ან წკებლით ან და მათრახით, დანაშაულობისდა მიხედვით. თორმეტი საათზე მოდიოდა მეპურე: და რატჩინი აძლევდა პურისათვის ნოქრებს შაურიანს და შეგირდებს სამკაპეიკიანს, მერე მამა ლეკო-

ევთან ქადრაკის სათამაშოდ, მიდიოდა თითო ხელი — ორი შაური, — გააკოტრებდა ყველას ჩუმად, ხმის ამოუღებლად: ყბედობა არ უყვარდა. მხოლოდ ბითუმად მკიდველს ელაპარაკებოდა და ისიც სასტიკად.

ბაზარი რვის ნახევარზე იკეტებოდა და რვაზე ქარვასლაში უკვე დარბოდნენ ყუბაქები, — ბაზრის ძაღლები.

ცხრაზე ქალაქი იძინებდა და კითხვაზე:

— ვინ მოდის?.. —

უნდა გეპასუხნა, თუ პოლიცია'ნი თავის ამოკვრა არ გინდობდა, ობივატელი..

ივან ემელიანოვიჩ რატჩინის სახლში (რომლის ქვის გალავანს ვერ უშუბა-ქები სდარაჯობდენ) სიჩუმე იყო. მხოლოდ საღამოობით ისმოდა ფსალმუნისა და დაუჯდომელის ყრუ გალობა სარდაფიდან, სადაც შევირდები ცხოვრობდენ. სახლში ნოქრებს პიჯაკებსა და ლაპჩინებს აძრობდენ, შევირდებს შარვალსაც (რომ მზაკერობა არ დაეწყოთ) და თვითონ ივან ემელიანოვიჩი ლოტბარობდა ხელში არშინით, რომლითაც „ასწავლიდა“.

სარდაფში ფანჯრები რიკულებიანი იყო, განათება არ იყო წესად მიღებული, მხოლოდ ხატის კანდელი ანათებდა ოღნაფ.

საღამოთი, ვახშამზე, ივან ემელიანოვიჩი საკეთარ ხელით ჩააქრიდა ბორშჩში შაშხს, პირველად თვითონ დაისხამდა ხის კოეზით, ვინც დაამოქნარებდა ცხელი ციციხვი შუბლში მოხვდებოდა, და ხორცის აღება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა იტყოდა:

— შესჭამეთ სულ მთლად!

ივან ემელიანოვიჩს არაუინ იხსენიებდა პირდაპირ. მასზე იტყოდენ: „თვითონ“ ან „პაპაშა“.

ივან ემელიანოვიჩი ცოლიანი იყო, — მისი ცოლი ერთი ლობი დედაკაცი იყო, რომელიც ყავაზე მკითხაობდა და თმახუჭუქა ახალგაზდა მეფეზე ოცნებობდა, მაგრამ საწოლში ივან ემელიანოვიჩი იმას კი არ იწვენდა არაბედ, მაშუხას ნდობით აღჭურვილ მეკუქნაფეს.

ძილის წინ დახუთულ საწოლ ოთახში ივან ემელიანოვიჩი დიდხანს ლოცულობდა: ვაჭრობისათვის, შვილებისათვის, მიცვალებულთათვის და ზღვაზე და ხმელეთზე მოგზაურთათვის, — კითხულობდა ფსალმუნს. ეძინა ფხიზლად და ცოტა, როგორც საზოგადოდ, მოხუცებულებს სჩვევია. დგებოდა ყველაზე ადრე სანთლით, ისევ ლოცულობდა, დაღვედა ჩაის, ოჯახში განკარგულებას გასცემდა — და მთელი დღით დუქანში მიდიოდა.

სახლში, როცა ის შინ არ იყო, თავისუფლად იყვენ (იქნებ იმიტომ რომ ეს დღისით ხდებოდა?) და ჯურღმულებიდან გამომძვრალი მუქთა ხორები მიფორთხავდენ ქალბატონთან.

ყოველ შაბათს, მწუხრის წირვის შემდეგ, ივან ემელიანოვიჩი სწკებლავდა თავის ვაგს დონატს.

შობა აღდგომას ჩამოდიოდენ სტუმრები — ნათესაეები.

ივნისის 24-ს (ივანობა ღამის შემდეგ!), სახელწოდების დღეს ეზოში მათხოვრებისათვის იმართებოდა სადილი, გამოთხოვების კვირას ნოქრები და შევირდები მდაბალ საღამს აძლევდენ ივან ემელიანოვიჩს და ისიც თვითველ მათვანს უბრძანებდა:

— გააღე პირი, ისუნთქე!

რომ არაყის სუნი აეღო.

ასე: სახლში, დუქანში, დაბადების წიგნთან, ცემა-ტყეპაში, ცოლთან, მაშუხასთან, — გავიდა ორმოცი წელი, ასე იყო ყოველ დღე, — ასე ხდებოდა ორმოც

წელიწადს,—ეს შეეზარდა მის სიცოცხლეს, შევიდა მასში ისევე, როგორც შევიდა მის ოჯახში ცოლი, როგორც მოვიდენ შვილები, როგორც წაეღო/მამა, როგორც მოვიდა სიბერე.

ივან ემელიანოვიჩის შვილი დონატი ლამაზი და ^{უბრალო} დონატი იყო. ბავშობისას ყველაფერი მისთვის იყო გაჩენილი: ბუკუნტალი, ჭაკუნი, მდინარეში ბორანთან ახლოს ბანაობა, გრქანი, ბტრედები, აკანათი და მახეები ყარანებისთვის, ხალების ყიდვა-გაყიდვა და მუსტი-კრივი,—ეს იყო მისი, როდესაც დონატს პატარაობის გამო ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ, როცა ხუთმეტი წლის შეიქნა, ივან ემელიანოვიჩმა მას ყურადღება მიაქცია,—შეუკერა ახალი წალები, ქუდი და შარვალი, სრულიად აუკრძალა სახლიდან გასვლა, გარდა სკოლაში და ეკლესიაში სიარულისა,—თვალყურს ადევნებდა რომ ლამაზი წერა ესწავლა და შაბათობით მომეტებულად სცემდა.

ხუთმეტი წლის დონატი უცებ გაიზარდა, ქერა თმები დაუკულულდა. დონატის გულს მოსწყურდა სიყვარული

სასწავლებელში მასწავლებელი ბლანშანეოვი დონატს, როგორც საზოგადოდ ყველა მოწაფეებს, ამოგზავრებდა რუქასუ: იერუსალიმში, ტოკიოში (ზღვითა და ხმელეთით), ბუენოს-აირესში, ნიუ-იორკში,—ჩამოათვლევინებდა მდებარეობებს, სიგრძე-სიგანეებს, აამბობინებდა ქალაქების, ბუნებათა და ხალხთა შესახებ,—სამოქალაქო სასწავლებელი წარმოადგენდა მთელ გეოგრაფიას, არა, გეოგრაფიას კი არა, მოგზაურობას.

ბლანშანეოვი ასე იძლეოდა გაკვეთილებს:

ისწავლეთ ხეალისთვის მოგზაურობა იორკშირში.

ამ ხანებში გაიფურჩქნა დონატის პირველი სიყვარული, ლამაზი და უჩვეულო, როგორც საზოგადოდ ყველა პირველი სიყვარული. დონატს შეუყვარდა შავთვალა და ხორჩილი მოახლე გოგო ნასტა.

დონატი საღამომობით მიდიოდა სამხარულოში და ხმამაღლა კითხულობდა წმ. მამათა ცხოვრებას. ნასტა დაჯდებოდა მის წინ თავშალ მოხურული, იდაყვზე ნიკაპით დაეყრდნობოდა, და,—დეე მის გარდა ნურავის დაეგდო ყური!—დონატი კითხულობდა სასოებით და მისი სული ხარობდა.

სახლიდან გასვლა არ შეიძლებოდა, დიდმარხვაში ისინი ზიარობდენ და მას შერე ყოველ წირვაზე დადიოდენ ეკლესიაში.

აპრილი იყო, ნაკადულები ჩუხჩუხებდენ, ჩიტები ბუდებებს აშენებდენ, საღამოს ბინდები წყნარად და წელა იმღვრეოდენ, დიდმარხვის ზარები რეკავდენ, და ისინი შებინდებისას, ხელიხელ ჩაკიდებულნი დახეტიალობდენ ეკლესიიდან ეკლესიაში (ორდინონში ოცდაშვიდი ეკლესია იყ—), ხმას არ იღებდენ, ჰგრძნობდენ. ჰგრძნობდენ უზარმაზარ საკუთარ სიზარულს. მაგრამ მასწავლებელი ბლანშანეოვიც წესიერად დადიოდა ყოველ წირვაზე და ეტვი აილო, შეატყობინა მამა ლევკოევს და მან ივან ემელიანოვიჩს მოახსენა. ივან ემელიანოვიჩმა დაიბარა დონატი და ნასტა, წამოხადა ნასტას კაბა და უფროს ნოჭარს უბრძანა, რომ (დონატის თანდასწრებით) წყებლით აეჭრელებინა შიშველი ტანი, შერე (ნასტას თანდასწრებით) ჩახადეს დონატს შარვალი და საკუთარი

ხელით გატყუება. ნასტა იმ ღამითვე გააგდო სახლიდან, სოფელში გაგზავნა, დონატს კი მაშუბა შეუგზავნა მთელი ღამით.

მასწავლებელმა ბლანმანყოფმა მეორე დღეს დონატს სამლოცვეო ტიბეტის გზით დალაი-ლამასთან გაგზავნა და ერთიანი დაუწერა, რადგან დალაი-ლამასთან ევროპელებს თურომე არ უშვებენ.

ის დიდმარხვა იმ საღამოების ბინდებით, იმ ზარების რეკვით, წყნარი და მორჩილი ნასტაას თვალები—სამუდამოდ დარჩა დონატის ცხოვრებაში უღამაზეს მოგონებად.

მალე დონატმა ნოქრებისაგან ფანჯარაში გამოჭრილ ჰაერის სამოძრაოში გადაძრომა ისწავლა და მეორე გაღავანზე გადადიოდა და ქალაქიდან შიდიოდა იამსკაიაში, „ვეროპაში“.

დახლში მამასთან ერთად დაიწყო სიარული.

უკმე დღისით გამოიპოვებოდა და დადიოდა დიდ მოსკოვის ქუჩაზე სასეირნოდ. მეგობრობა გაიჩინა ბელობორის მონასტრის მღვდელ-მონაზონთან მამა პიმენტან: ზაფხულში დილა ადრინად, როცა ბალახი ჯერ კიდევ დაცვარული იყო, მიდიოდა მასთან, ბანაობდნ სამონასტრო ტბაში, პარკში სეირნობდნ, და შემდეგ სენაკში ფიკუს ბთან, იადონის გალიის ქვეშ, ჯვარსა და ხატებს შორის არაყს შეექცეოდნ. მამა პიმენი თავისი მრევლის ქალების ამბებს მოუყვებოდა, საკუთარ ლექსებს უკითხავდა, თუნდაც ისეთს, როგორც ეს არის:

О, дево, крише рай!
 Момо ты, воздыхая:
 Возри на ми умильно,
 Гни возлюбил бо сильно!
 Черпец аз емь смиренный,
 Зелю в тебя влюбленный,
 Забывай об обете
 (Держи сие в секрете!)
 И аще не противен
 Тебе аз, грешный Иимен,
 Момо лобзание дати
 В субботу аз тя ждати
 У враг священных буду...
 შემდეგ . . . პორნოგრაფია.

ხანდახან მათ სხვა ბერებიც უერთდებოდნ, მაშინ ისინი კოშკის თავზე დაფარულ ადგილას ადიოდნ, პატარა ბიჭებს არაყზე აგზავნიდნ, სვამდნ და მთურალები „კოპერნიკსა“, *) და „საშკა—კანაშკას“ განუსვენე უღა-

*) Коперник целый век трудился...

ლოს" ხმაზე მღეროდნენ. ხანდახან საღამოობით მამა პიმენი სტუდენტურ „კურ-ტკას“ იცვამდა და დონატთან ერთად ცირკში მიდიოდა.

მონასტერი უძველესი იყო, მიწაში ჩაქდულ ეკლესიებით, ძველი სამრეკლოებით, — და პიმენი შესჩიოდა დონატს, რომ ქვეყანაზე არის სვედა...

პიმენმა დონატი ურივაიხას გააცნო: ივნისის უძილო ღამით დონატი არაყით ხელში გადაძვრა გალავანზე ვაჭართა მიერ სამზრუნველოდ გაბარებულ მევახშე-მილიონერი ურივაევის ღამაზე ქვრივთან, აბრახუნებდა სარკმელში, მერე მის საძილო ოთახში შეხობდა და ორსაწოლიან ლოგინში შეუფორდა. სტუდენტობდნენ, ჩურჩულობდნენ ვნებიანად, მუსაიფობდნენ — სძაგდათ — სწყევლიდნენ ერთი მეორეს.

მევახშე ურივაევა, — სამოცდაათი წლისამ — შეირთო ცოლად ჩვიდმეტი წლის ოლინკა მონასტრის გარყვნილებისათვის, განდევნა მასში ყველაფერი ბუნებრივი და სიკვდილის შემდეგ ანდერძად მზრუნველობა დაუტოვა.

ღამაში ქალი მიეჩვია ლოთობას, ქადაგად ეცემოდა, ყვიროდა: ქალაქი გაურისხდა...

მაგრამ არც ეს უკანასკნელი სიყვარული იყო ხანგრძლივი, — ის დაბეზლეს, — დაბეზლება ლექსად იყო დაწერილი მამეზლარა პოეტ ა. ვ. ვარიგინის მიერ.

ვინ იცის?

ვინ იცის, რა დაემართებოდა დონატს?

1914 წელს, ივნისში .. ივნისში იწვოდა წითელ ხანძრებად ტყეები და სათიბები, სისხლისფერი ბადროსავით იმართებოდა და ეშვებოდა მზე, იღრჩვებოდა ხალხი დახუთულ ჰაერში.

1914 წელს დაიწყო ომი, მას მოჰყვა 1917 წლის — რევოლუციის ა.

უძველეს ქალაქში აგროვებდნენ ხალხს, ასწავლიდნენ ხალხის ჟღერის ხელობას და ჰგზავნიდნენ — ბულოვევის ქაობებში, გალიციაში, კარპატებში, — რომ დაეხოცათ, რომ დაბოცილიყვნენ.

დონატი ვაგზავნეს კარპატებში.

ორდინინში ჯარისკაცებს იამის სლაბოდამდე აცილებდნენ.

ქალაქში პირველი ოგონაოკ-კლასიკი დაიღუპა, ეს პატროსანი და გალოთებული სტუდენტი, — მოკვდა, — თავი ჩამოიღრჩო, დასტოვა წერილი:

„თავს ვიკლავ იმიტომ, რომ უარაყოთ ცხოვრება არ შემძლია. ახალ გარიჟრაჟის მოქალაქენო და ამხანაგებო! — როცა კლასი ამოიქამს თავის თავს — იგი მოკვდება, ამიტომ სჯობს თავისით წავიდეს. ვკვდები ახალ გარიჟრაჟზე!“.

ოგონაოკ-კლასიკი მოკვდა ახალ გარიჟრაჟზე.

ცხრაას თექვსმეტს ორდინინის მახლობლად ქარხანაში რკინიგზა გაიყვანეს, — და აქ უკანასკნელად იეშმაკეს ვაჭრებმა, „ქალაქის მამებმა“: ინჟინრებმა ქალაქს ქრთამი მოსთხოვეს, ქალაქის მამებმა ამაზე სრული თანხმობა განაცხა-

დეს და იმდენად ცოტა შეაძლიეს, რომ ინჟინრებმა თავის მოვალეობად ჩასთვა-
ლეს სადგური ორდინინიდან ათი ვერსით დაეშორებინათ და ქარხანასთან აეგოთ.

მატარებლები დამდურულულებივით გარბოდნენ ქალაქის მახლობლად და
„ომივატელები“ პირველ მატარებელს მაინც ისე შეხვდნენ, როგორც დღესასწა-
ულს, — მორბოდა ვალოვასთან აუარებელი ხალხი, სახლის სახურავებზე და ხეებზე
მიძვრებოდნენ პატარა ბიჭები.

პირველი მატარებელი, რომელიც თვით ორდინინში გაჩერდა, რევოლიუ-
ციონური მატარებელი იყო. ამ მატარებლით დაბრუნდა ორდინინში დონატი ალ-
სავსე (არა კეთილ) ჭაბუკური მოგონებებით, ალსავსე ზიზლითა და ფოლადის
წყებისყოფით.

ახალი დონატი არ იცოდა, მან იცოდა ყველაფერი ძველი და ამ ძველის
განადგურება და მიწასთან გაწორება უნდოდა მას.

დონატი ჩამოვიდა შეჭოქმედებისათვის — ძველი მას სძაგდა.

სახლში მამასთან დონატი არ მისულა.

უძველეს ქალაქში, მკვდარ კრემლში ხალხი დადიოდა დროშებით, მღერო-
დნენ წითელ სიმღერებს, — მღეროდნენ სიმღერებს და დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად
მაშინ, როდესაც უწინ აქ სიცოცხლე მხოლოდ ოდნავ ჰფეთქდა და ისიც გალაგ-
ნებს იქით, რომელთაც ავი ყუბაქები იცავდნენ.

ორდინინის ირგვლივ ტყეები იყო — ტყეებში ავარდა ალი და მებაჭონეთა
სასახლეებს მოედო ცეცხლი და ტყეებიდან წამოვიდა ღვარი ტომრებითა და
პურიით დატვირთული მჭვიკებისა.

ვაქარი რატჩინის სახლი წითელ გვარდიისათვის იქნა აღებული.

ბლანმანეოვის სახლში დონატი ჩასახლდა.

დონატი ყველგან ვინტოვკით დადიოდა, მისი თმები ისევ ისე იყო დაკუ-
ლულებული, მაგრამ თვალებში რაღაც უცნაური ცეცხლი ენთო, — ვნებისა და
სიძულვილის.

მარილით მოვაჭრეთა რიგი დაანგრიეს.

აღებულ იატაკ ქვეშიდან გარბოდნენ უამრავი ვირთხები. სარდაფებში ინა-
ხებოდა წამხდარი ღორის შაშხი, საძირკვლებში ადამიანის ძვლებს პოულობდნენ.

მარილით მოვაჭრეთა რიგი დონატის ბრძანებით დაანგრიეს და მის მა-
გიერ სახალხო სახლს აშენებდნენ.

ეს იყო და ეს.

აი კიდევ რა (ვისაც არ უხარება, მოვიდეს, ნახოს!): ყოველ დღით, როდეს-
აც შვიდს ხუთი წუთი აკლია, სახლთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც წინად
იყო სავაჭრო: „რატჩინი და შვილი“, მოდის ერთი გამხდარი მოხუცი დაბამბულ
ქუდით, სათვალევებით და ჯოხით ხელში, ჩამოჯდება იქვე ახლოს და ზის მთელი
დღე საღამოს რვის ნახევრამდე. ეს — ივან ემელიანოვიჩ რატჩინია, დონატის
შვილისშვილის შვილი.

ქალაქში სიმშვილია, ქალაქში მწუხარებაა და სიხარული, ქალაქში ცრემ-
ლებია და სიცილი.

ქალაქზე ნავარდობენ გაზაფხულები, შემოდგომები, ზამთრები, ანდარკინი-
გზაზე მიფორთხავენ მეტომრეები, ყვავილინი და პარტახტიანი სახადი.
კრემლის ალაყაფზე უკვე არ სწერია:

ღმერთო, ჰუარვიდე,
ქალაქსა ამას და ერსა შენსა
და აკურთხენ
შესავალი ესეც არსა მასში ნა.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს მიერ

სხვათა შორის, ქალაქში ვაჭრებს გარდა არიან აგრეთვე აზნაურნი და
უაზნონი, ქალაქი ათასი ვერსით არის მოწყვეტილი ქვეყნიერებას, იგი მდინარე
კამას ვალმაა გაშენებული ტყეებში. ქალაქში იყვნენ თეთრები.

ორდინინის მიწებზე შემატიანე ამბობს: —

„ქალაქი ორდინინი ნაშენ არს ქვისაგან. მიწები მისი მდი-
დარ არიან ცუცხლოვან ქვითა და ანდამატისა მადნითა, რომელსაც
მიეკვრის რკინა,“ —

და ორდინინის მახლობლად გაშენებულია მეტალურგიული ქარხანა,
ორდინინის მიწები — უღალი, ბარი, ტბები, ტყეები, ჭაობები, მინდვრები,
მოწმენდილი ცა, — შარა-გზები. ზოგჯერ ცა მოღუშულია და დაფენილი მძიმე
ღრუბლებით. ზოგჯერ ტყე აგუგუნდება და ჰკვნესის და ზოგ ხაფხულში იწვის,
ირუჯება. სოფლის შარა-გზები იკლაკნებიან, მიიხილებიან და არ უჩანს არც
თავი, არც ბოლო. ზოგს გულს უწყალებს გზაზე სიარული უნდა გზა მოსკრას
და წავიდეს პირდაპირ, გადაუხვევს, იხეტიალებს და მოვა ისეც იმ ადგილას,
საიდანაც წავიდა!.. მიდის გზა, გრძელი გზა, და ირგულივ გარდა ხეცის სი-
ლურჯისა, პურის ყანებისა, თოვლისა, ტყეებისა, — არც თავი, არც ბოლო, არც
კიდე. და მიდიან სოფლის გრძელ შარა-გზაზე წყნარი სიმღერებით: ბევრი-
სათვის ეს სიმღერა ისევე მოსაწყენია და ისევე დამაფიქრებელი, როგორც
სოფლის გრძელი გზა. ორდინინი დაიბადა მათ შორის, მათთან ერთად, იმათგან.

მატიანეში და „ველიკოროსსიის, სარწმუნოების და რევოლუციის ისტო-
რიაში“ შემატიანე მთავარი ეფისკოპოსი სილიბისტრო ორდინელი ორდინის
ხალხთა შესახებ ამბობს:

— „ცხოვრობდენ ტყეებში, ვითარცა მხეცნი, სკამ-
დენ ყოველსავე უწმინდურსა, უწმაწურ ლაპარაკსა და
გინებას არა მოერიდებიან მამათა და სძალთა წინაშე;
ქორწინება მათ შორის არაოდეს ყოფილ არს, არამედ
იყო სოფელთა შორის თამაშობა, გროვდებოდენ სალიზ-
ლოდ, როკვად და სხვა ეშმაკეულთა საცდუნებელზე და
აქა წარიტაცებდენ სასძლოთა თვისთა და, თუ ცოლი არ
აუგ ჰყოფდა, ჰყავდათ ორ-ორი და სამ-სამი ცოლი; თუ

ვინმე მოკვდებოდა, იმართებოდა ალბაი წარმართთა წესისაებრ, — დაანთებდენ ცეცხლსა დიდსა (კრცონსა) და სწვავედენ ზედ დასვენებულ მკვდარსა, ძეღვებსა და ნაშთს მოაგროვებდენ, ჩაპყრიდენ კურქელსა შინა და დასდგამდენ ძელსა ზედა გზებზე, რასაც იქმნიან აქამომდე“.

ახლანდელი სიმღერა. ქარბუქში:

- ქარბუქი. ნაძვები. შინდორი. შიში.
- შოოაა, შო-ოაა, შოოოააა...
- გვიუუუ, გააუუ, გვიიუუ, გვიიიუუუუ, გაააუუ.
- და:—
- გლა — ვბუმმ!
- გლა — ვბუმმ!!
- გუ-გუზ! გუუ-გუუზ!..
- შოოოია, გვიიუუ, გაააუუუ..
- გლა-ვბუმმმ!..

და—

„კიტაა გოროდი“.

ეს მისი წანწალიდან.

დაიწყეს მოსკოვში, „კიტაა-გოროდი“ (ჩინთა ქალაქში), ჩინურ კედლებში, ფილაქანიან შესახვევებში, ეზოებში, გაზის ფანრებში — ქვის უდაბნოა. დღისით „კიტაა-გოროდი“ (ჩინთა ქალაქი), ჩინურ კედლებში ბორგავდა ხალხთა მილიონებით და მილიონ ხალხთა სიცოცხლეებით, — კატელოკებში, ფეტრის ქუდებში და ზიპუნებში, — თვითონ კატელოკში და პორტფელთ ხელში. რომელიც სავსე იყო ობლიგაციებით, აქციებით, თამასუქებით, ქვეთარებით, საბირჟო ქალაქებით, — ხატების, ტყავების, ფართლეჯლის, ქიშმიშის, ოქროს, პლატინის, — მათად კატელოკში, ნამდვილი ევროპა. — ღამით ფილაქანის შესახვევებში, ქარვასლებში ჰქრებოდა კატელოკები, მოდიოდა უკაცრიელობა, უთვისტომობა და სამარისებური დუმილი, დაძრწოდენ ძაღლები, ბეჭტავდენ ქვის კედლებს შორის სანათურები, და მხოლოდ „ზარიადიდან“ „ზარიადიეში“ მოსჩანდა იქა-აქ კარტუზიანი ხალხი, იშვიათი და მეჩხერი, როგორც ძაღლები. და მაშინ ამ უდაბურებაში შესახვევებიდან, ალაყაფის კარებიდან, ჯურღმულებიდან გამოძვრებოდა იგი: ჩინეთი უკატელოკოდ, ზეციური იმპერია, რომელიც მდებარეობს იქ, თვალუწვდენ ველთა მიღმა, აღმოსავლეთით, დიდი ჩინურ კედლებით შემოზღუდული, და გასცქერის ქვეყანას ირიბი თვალებით, რომელნიც ჰგვანან რუსის სალდათის მაზარის ღილებს. — ეს ერთი „კიტაა-გოროდია“.

მეორე „კიტაა-გოროდი“!

ნიენი-ნოვგოროდში, კანაფინოში, მაკარიეს გაღმა, სადაც მაკარისებურად უზარმაზარი უკანალით ჩაჯდებოდა იგივე მოსკოვის დღის ილაინკა, ნოემბერში, ენკენისთვის შემდეგ, საქონელთა მილიონ ფუთებში, კასრებში, ცალებში,

რომელიც გადაიკვალა მანეთებში, ფრანკებში, მარკებში, სტერლინგებში, დოლარებში, ლირებში და სხვა, — ოქტომბრის განავარდნების შემდეგ, დაღვრილ ღვინოთა, ხიზილალის, „ვენეციურ“, „ევროპულს“, „სპარსულ“, „ჩინურ“ და სპერმატოზოიდის ლიტრთა ვოლგაში, — ნოემბერში კანაფინოში, თოვლში, აქედით ქარვასლებიდან, დაბურულ სავაჭრო ფარდულებიდან, სიმარტოვიდან — იცქირება თვალების მაგიერ სალდათის ღიღებით — იგი: ღამურა, მოსკოვური და ქვის დიდ კედლით შემოზღუდული — ჩინეთი. დუმილი. გამოუცნობლობა. უკატელოკო. სალდათის ღიღები — თვალების მაგიერ,

ის, — მოსკოვური. — ღამეებით, საღამოდან დილამდე, ნოემბრიდან მარტამდე. მარტში ვოლგა გადმოლახავს ნაპირს, წალეკავს კანაფინოს და წაიღებს ჩინეთს კასპიისკენ.

— ეს მისი წანწალიდან.

მესამე „კიტა-გოროდი“.

აი, ხეობა, ნაძვნარი, თოვლი, იქ მოშორებით — პიტალო კლდეები, ტყვიისფერი ცა, ტყვიასავით ქარი. თოვლი რბილია, სამი მხრით ნაძვნარი, და სამი დღეა — უბერავს ქარი: ქარი თოვლს ნიშნავს. მარტი. ნაძვნარში — სოფელი, გორაკებს იქით — ქალაქი, ხეობაში — ქარხანა. არ ხრჩოლავენ ქარხნის ბუხრები: სდუმს ღუმელი, სდუმან საამქროები — საამქროებში თოვლია და ქვაფი. ირგვლივ ფოლადის სიჩუმეა და გაჭვარტლულ საამქროებიდან, ფრეზერებიდან და აჯაქსებიდან, უროებიდან და ოწინარებიდან, ღუმელებიდან, დაქანგულ სატკეც ყალიბებიდან — იცქირება: ჩინეთი, იცინიან (როგორ შეუძლიათ სიცილი!) სალდათის ღიღები.

იქ, ათასი ვერსის მანძილზე, მოსკოვში წისქვილის უზარმაზარმა ქვამ დანაყა, დაფქვა ილაინკა და ჩინეთი გამოძვრა ილაინკადან, გამოძვრა და გაფორთხდა...

საით?!

მიფორთხდა ტაეფევომდე?!

— სტყუი! სტყუი! სტყუი! გაჩაღდება ისევ ღუმელი, გაქანდება ყალიბები, აცეკვდება აჯაქსები და ფრეზერები!

— სტყუი! სტყუი! ეს არა ისტერიულად, შეიძლება, გაბოროტებითაც მოკუმშული ყბებით და შეკრული კრიჭით, — ეს არხიპ არხიპოვია.

აუცილებელი შენიშვნა.

ეს უკვე ახლაა, ახლანდელი დღეებია.

თეორები წავიდენ მარტში — ქარხანა მარტისაა. ქალაქი კი (ქალაქი ორდინინი) — ივლისის, სოფლები — მთელი წლის. —

თუმცა, — ყოველ მათგანს, — მისი თვალებით, თავისი საკუთარი თავის ნიხედვით... ქალაქი ორდინინი და ტაეფევოს ქარხნები — მეზობლად არიან და მოწყვეტილნი ათასი ვერსის მანძილებით ქვეყნიერებისაგან. — დონატ რაჟჩინი მოჰკლეს თეთრებმა: მის შესახებ — ესაა ყველაფერი.

სამგაბი



თავი I.

აკისვლება პემალორები.

ქალაქში, ქალაქურად, ქალაქისამებრ.

ძველი ქალაქი მკვდარია. ქალაქი ათასი წლისაა.

გავარვარებული ზეცა ჰღვრის თაკარა სიცხეს და საღამოობით დიდხანს ჩერდება ყვითელი დაისი. გავარვარებული ზეცა წარღვნილია უძირო სიღურჯით, ეკლესიიდან ეკლესიამდე მიმავალი ბილიკები, აკანოები, სახლები, დედამიწა — გახურებულია.

სიზმარი აცხადდა.

უდაბურ სიჩუმეში რეკავს ტაძრის საათი: — დონ, დონ, დონ! — ყოველ ხუთ წუთში.

ასეთ დღეებში გამჟღავნდა სიზმარი.

მონასტრის კარებზე მიკრულია წითელი აბრა წითელი ვარსკვლავით: —

— ორდინინის დეპუტატთა საბჭოს სახალხო დაცვის განყოფილება.

მონასტრის კარებთან სდგას ვუშაგი.

შორეულ სენაკებიდან ისმის თელი დღეები განუწყვეტლად კლარნეტის გულის გამაწვრილებელი ხმა, — სახალხო დაცვის განყოფილების უფროსი, — ამხანაგი მან ლაიტისი კლარნეტზე დაკვრას სწავლობს, ძველის ძველია Введенъ на-Горе-ს მონასტერი; სენაკიდან სენაკამდის, ეკლესიიდან ეკლესიამდის მიდის ბილიკები და თეთრ კედლებზე ატმასნულა ჟამთა დენით გაყვითლებული სურო და ხავსი.

ღამით მონასტერი თეატრის დეკორაციას ემსგავსება.

Введенъ-на-Горе: —

იყო რუსეთში დროები, როცა რუსეთი ედინებოდა მოსკოვიდან, — სდიოდა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ტყეებში, უდაბნოებში, ველებში მონასტრებით, სექტანტურად.

ორდინინი მდინარე კამას გაღმავა, — სამხრეთით თვალუწვდენი ველები, ჩრდილოეთით ტყეები და ქაობები, აღმოსავლეთით მთები.

დგას ორდინინი გორაკზე და გადაჰყურებს მდინარე ვალოვას.

ქალაქი ქვითაა ნაშენი.

არავინ იცის, ვინ ვისით მიიღო სახელი; თავად ორდინინებს ეწოდათ ქალაქის სახელი, თუ ორდინინთა გვარეულობიდან *) წამოვიდა იგი.

უკანასკნელად ქალაქი ცოცხლობდა სამოცდაათი წლის წინად.

იყო რუსეთში ასეთი ხანა, — ეშმაკმა იცის რა უნდა დაერქვას ამ ხანას! —

*) თავად ორდინინთაგან ზოგმა ვაჭრობას მიჰყო ხელი.

როდესაც რუსეთი, როგორც ასეთი, არც ყოფილა, არამედ იყო რაღაც დაუსრულებელი, გვალვით დამქანარი სივრცეები ქრელი საფენის სვეტებით, რომელთაც პეტერბურგს მიმავალი მოხელეები ჩაუქროლებდნენ რიხით და ეშხით, — რომ იქ, პეტერბურგში იმპერატორის წინაშე წაგკითხან და დარდიმანდული ხელმოწერა, — მოხელეებს. არ ჰქონდათ პირისახე, — მხოლოდ უსახური ჯანდარმის მაუდში, ნაცოდვილევი, — ლუროჯი, — სახაზინო, ტყუილ-უბრალოდ კი არ მიჰქროდნენ, — როგორც ეს გოგოლს აქვს, ივლისის გვალვაში, ქურქში გახვეული იმ დროის მოხელენი, — მიჰქროდნენ, რომ სადარაჯოებთან გამოეცვალათ ცხენები, გაეარათ ქალაქები და ისევ განეგრძოთ გზა.

იმ დროს რუსეთი წარმოადგენდა რაღაც უსახურსა და ნაცოდვილევს, ისევე როგორც მოხელეთა სახეები. და ჰგავდნენ ის დღეები, თაკარა ივლისს, რომელსაც მოაქვს გვალვა და სიმშლი. ტყუილად კი არ დაიქუხა იმ დრომ სევასტოპოლით.

იმ დროის ნაშთად კრემლის სადარაჯოსთან, საბონასტროს ალაყაფის პირდაპირ დარჩა ერთად ერთი სახლი, — ბატონ-ყმობის დროის ხუროთმოძღვრების ნიშნები! — კარებთან იდგა ზოლებიანი სადარაჯო, სახლი შეღებილი იყო სინგურიით და ფანჯრებს შუა დატანებული ჰქონდა თეთრი პილასტრები.

თავად ორდინინთა გვარი განშტოვდა ორად: ორდინინებზე და ვოლკოვიჩებზე, თუმცა გენერალ ვოლკოვიჩების მოდგმა უკვე გადაშენების გზას ადგა. სახლის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდა ანდრია ვოლკოვიჩი. სარდალში იმყოფებოდა მეწაღე სემიონ მატვეევ ზილოტოვი, მეზონინში კი ბინა ნაქირავეები ჰქონდა საბჭოთა ქალიშვილს ოლინკა კონცსა და ობივატელ — სერგეი სერგეევიჩს. — თავადი ორდინინები — მოთავსდნენ პარკის ბოლოში, არა ნამა-პაპეულ, არამედ ვაჭართა სახლში, რომელიც „მამა შა ორდინინას“ ეკუთვნოდა.

სახლის პირდაპირ მონასტრის ეზოს კარებია, მარჯვნივ ტაძრის ეზო და, ტაძრის უკან ორდინინთა სახლი, ისიც ბატონ-ყმობის დროინდელ ხუროთმოძღვრების, (ვაჭარ პოპკოვების ყოფილი საკუთრება!), მის უკან ალორთქილ ნაძვებით ჩაუენილი ხაბოა.

გორაკზე მდებარე სადარაჯოდან მოსჩანს მდინარე ვალოგა და ვალოგას გაღმა, შორს, ტყეებში: რედენევისა და სხვა ეკლესიათა თეთრი საშრეკლოები.

ტყეებს უკან გორაკებში ქარხნის შავი ბუხრები, — ეს უკვე სხვაა.

ზეცამ დაღვარა პაპანაქება, საღამოთი ჩამოდგება ყვითელი დაისი, — და შებინდებისას გორაკის კალთებზე ცეცხლს. ანთებენ, ეს — დამშეულნი წვეწვს ხარშავენ, — ისინი ათასობით დაძრწიან უდაბნოებში და თვალუწვდენ ცეცხლებში პურისათვის, და გორაკიდან მოისმის ნალვლიანი სიმღერები. ქალაქი იძინებს: ქალაქი დაბერდა სამხედრო წესებში. ღამით გუბებებიდან და ქაობებიდან წამოვა ნისლი. ღამით ქალაქში დადიან გუშაგება, — ვინტოვკას აჩხაკუნებენ. ღამით — ღამით ობივატელი სერგეი სერგეევიჩი ჩავა სემიონ მატვეევ ზილოტოვთან სუფთა საცვლის ამარა, ჩამოჯდება ფანჯარაზე, გასიებულ ფეხებს მოირთხავს და დაიწყებს ბაასს მაჟონეზის ყაურმაზე და ხბოს ჩვილი ხორცის კატლეტებზე.

— დონ! დონ! დონ! რეკავს ტაძრის საათი. სხვა დღეებია ახლანდელ დროში.

ნეკრესის ქარებით ჩამონებმარ მეწაღე სემიონ მატვეევ ზილოტოვს დაპრანქული სახე გვერდზე აქვს მოქცეული და ელამი თვალეების მკვეთრ აშკობს:

— უკვე რეაათას ოთხას ოცდა მეშვიდე წელი ვადის!— და შერე ოდნავი ღიმილით დაუმატებს:— არ ვჯერათ? გაითვალეთ!.. ეშმაკს, ვფიცავარ, პენტაგრამმა!..

სემიონ მატვეევ ზილოტოვის ფანჯარაში, გარდა დახატულ ფეხსაცმელიან კარტონისა, სწორედ

— ორდინინის დეპუტატთა საბჭოს სახალხო დაცვის განყოფილების— აბრის პირდაპირ გაკრულია განცხადება:

— აქ ისყიდება პემადორები, — და დახატულია წითელი პამიდორი.

გახურდა ქვეები. კრემლი გაუდაბურდა, დადგა სულ სხვა დღეები. სიზმარი აცხადდა, — ნაშუადღევს ორდინინის დეპუტატთა საბჭოს სახალხო დაცვის განყოფილებიდან ბრუნდება ნამსახურევი ოლინკა კონცი, მღერის რომანსებს და, როცა საღამოთი ცა გაყვითლდება, ის თავის მეგობრებთან ერთად კინემატოგრაფ „ვენეციაში“ მიდის.

რეკავენ კურანტები:

— დონ! დონ! დონ!

— აქ ისყიდება პემადორები. —

ოლინკა კონცი და მანდატი.

დაისი ჩაქენა ყვითელ ათინათში და ლამის ბინდებში წამოვიდა ნაცრისფერი ნისლი და კვიმი.

მონასტერში, სამსახურის დროს, ოლინკა კონცი „რენეოზე“ ბეჭდავდა მანდატებს. პატარა სენაკში ყველაფერი ისევე იყო დატოვებული, როგორც მონაზვნების დროს, — სინათლე და სისუფთავე, ღია ფანჯარაში მზეზე თბებოდენ ბალასინა და უკადრისა ყვავილები. მონასტრის ბაღში ჩიტები კიკტიკობდენ.

ოლინკა კონცი ბეჭდავდა:

„მანდატი.

ეძლევა ესე ამხ. მას შინა, რომ მას ნება აქვს მოახდინოს ჩხრეკა მოქ. ბინაზე და, თუ საჭირო იქნება, დაატუსალოს კიდევ—

დაცვის უფროსი —

მდივანი —

საქმის მწარმოებელი —“

და სიტყვა „საქმის მწარმოებელთან“ ოლინკა კონცი, თუმცა მიუხევედ

ხელით, მაგრამ ბოლოში მაინც გაქნეულ კუდით აწერდა. „ო. კო“ მერვ ქარაგმები და ხვეული ხაზები

ქარაგმები

დილით მონასტერში, აღმასკომში (ფანჯარაში აქვს: [ხედი] და მზეზე თბებოდა ბალასინა), თავს იყრიდენ,—ეს დროს მხილებათ ტყავის კაცები ტყავის კურტკებში (ბოლშევიკები),—ყოველი მათგანი წარმოსადგევი, მოხდენილი ვაჟკაცი ტყავში, და თმები ქუდქვეშ კისერთან დაკულულებული,—ყვრიშალის ძვალში, ბაგეოთა კუთხეებში, ტლანქ მოძრაობაში გამოსჭვივის განუსაზღვრელი ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე და გამბედაობა. რუსის რბილ და მსხვილ კანიან ხალხისაგან გამორჩეულნი! და თუნდაც ის,—ტყავის კურტკებში რომ არიან,—ისიც კარგია: ვერ დააღობ მათ ფსიხოლოგიის ლიმონადით,—ასე დაგვაყენეს, ასე ვიცით, ასე გვინდა! ღვთის წინაშე, ალბად, კარლ მარქსი არც ერთ მათგანს წაკითხული არა აქვს. პოეტმა ორეშინმა მათ შესახებ (ჩვენ შესახებ!) სთქვა:

„Или воля голытьбе, или в поле на столе!..“

არხიპ არხიპოვი ალიონიდან იჯდა აღმასკომში, სწერდა და ფიქრობდა,—დილას იგი ქალაქის ნახევზე დაჩერებული ზუბლით, შეკრული წარბებითა და ოდნავ აწეწილი წვერებით შეეგება,—ჰაერი ოთახში სუფთა იყო, რადგან არხიპ არხიპოვი თუთუნს არ ეწეოდა.

როცა ამხანაგები მოვიდენ და არხიპოვმა მისცა მათ ქალაქის ნახევი, სხვა სიტყვათა შორის, იქ რომ ეწერა, მათ ამოიკითხეს უშიშარი სიტყვა: და იხვრიტოს.

და კიდევ—იმავ დილით მონასტერში, მივარდნილ სენაკში ბალასინის ყვავილებთან, კუთხეში ამართულ ხავსით დაფარულ კოშკის თავთან,—ხალხის გადმოცემით, დახავსებული არქიეპისკოპოსი სილიბისტრო სწერდა თხზულებას „ველიკოროსიისა, რელიგიისა და რევოლიუციის შესახებ“. ყოფილი კავალერ-გარდი და თავადი,—დახავსებული ხუცესი შავი ანაფორით,—არქიეპისკოპოსი სილიბისტრო იჯდა მაგიდასთან ქალაქებში, მაგიდაზე ქალაქებს შორის იდო შავი პურის ნატეხი და მალალ ყელიანი ლიტრა წყაროს წყლით. ბალასინით მორთული სარკმელი მალალი იყო, კარებთან ხელზე მოსამსახურე ბერი იჯდა,—ერთად ერთი და შემთხვევითი დედათა მონასტერში.

— დახავსებული ხუცესი სწერდა სწრაფად და თავდავიწყებაში წასული ბერი ღიღინებდა ძველ რუსულ სიმღერებს.

ო. კო(მერვ ქარაგმები და ხვეულები).

სამსახურის შემდეგ ოლინკა კონცი სასადილოში წავიდა, მუსაიფობდა მეგობარ ქალთან ახლად გაცნობილ კავალერის შესახებ, რომელიც „ვსებროფინანსში“ მსახურობდა და კარგახნის ბაასის შემდეგ მეგობარი სახლში წაიყვანა (ქალაქში ყველა რიგრიგობით იყო ოლინკა კონცის თაყვანისმცემელი და ოლინკას ყოველ კვირა ახალი მეგობარი ჰყავდა გულის მესაიდუმლედ). ჭიშკრიდან უკანა ეზომდის,—მალალ ბალახში ჩაფენილ ფიცრებზე—გაირბინეს ფეხ-

საცმელის ქუსლის ხმაურით, აირბინეს ჩამონგრეული კიბე, ვაიარეს დახუთული ფეხის ადგილის მახლობლად, ავიდენ მეზონინში, ვაალეს ფანჯარა და მჯეროდენ:

В том саду, где мы с вами встретились,

Хризантемы куест...

მალე ისევ ჩამოვიდენ ეზოში და ბაღში გადავიდენ ფიქვანს მახლობლად.

დღე შთანთქა ყვითელმა დაისმა.

შებინდებისას ოლინკა კონცი კინემატოგრაფ „ვენეციაში“ წავიდა, სადაც ვერა ხალოდნაძე „თამაშობდა“.

„ვენეციაში“ ოლინკა კონცს სახალხო დაცვის უფროსი ამხანაგი დან ლაიტისი მიუახლოვდა, — და სიბნელეში, როცა ვერა ხალოდნაძე „თამაშობდა“, ამხანაგი ლაიტისი მაგრა უჭერდა ხელს ოლინკა კონცის მაჯას. მერე ოლინკა კონცი დიდ ხანს სეირნობდა ლაიტისთან ერთად მდინარის მახლობლად და იქიდან ძირს შორეულ ნისლში მოსჩანდა დამშეულთა მიერ დანთებული ცეცხლები.

წამოვიდა ნისლი და დაყრუვდა ტყეებში და ქაობებში გაშლილი ქალაქი, მიყუჩდა სამხედრო წესებში: როცა ლამის გუშაგები გაშვების ქალაქს თხოულობდენ, ოლინკა კონცი სიცილით კვდებოდა და სიცილის დროს გულუბრყვილოდ ებუტებოდა ამხანაგ ლაიტისს.

ამხანაგი ლაიტისი, — ხავერდის კურტკიანი, ემუსაიფებოდა ახალგაზდა ქალს მუსიკაზე, ბეთჰოვენზე, ვიოლინოზე და კლარნეტზე.

ოლინკა კონცი ამხანაგ ლაიტისს ბაღის ქიშკართან გამოეთხოვა და სახლისაკენ გაემართა, უეცრად ერთი წუთით განათდა მეზონინი და მერე დაღუპდა სიბნელეში.

მაშინ ალაყათთან დარეკეს ზარი (იქ, სადაც ზოლებიანი კრელი სადარაჯო იდგა). ზარმა საცოდავად დაიწკრიალა. ალაყათთან იდგა ამხანაგი ლაიტისი მორიგ ჯარისკაცებით.

კარი ანდრია ვოლკოვიჩმა გააღო.

ამხანაგ ლაიტისმა იკითხა:

— სადაა აქ ავიცერი-აზნაურ-ზდუდენტ ვოლკოვისის ბინა?

ანდრია ვოლკოვიჩმა ზანტად უპასუხა:

— მოუარეთ სახლს და ადით კიბეზე, მეორე სართულში!

საქვა, დაამთქნარა, გაჩერდა და მერე ზარმაცად გაემართა საზეიმო შესაველ კარებისაკენ.

ამხანაგ ლაიტისმა მორიგ ჯარისკაცთა თანხლებით გაირბინა მაღალ ბაღში ჩაფენილი გრძელი ფიცრები და სახლის უკანა კარებს მიუახლოვდა, აჭყვენ კიბეს და აჭედელ კარებს მიაღგენ.

— აქ არაა!

— შეამტვრიეთ კარი!

კარი შეამტვრიეს: ეწყო დანგრეული ავეჯეულება და საცოდავად იდგა დამტვრეული ბილიარდი. ავიდენ ხოროს სადგომ აივანზე და აკრიალდა ჯარისკაცე-

ბისსიმძიმით ძველი აივანი. ბენზინის კაციანი ასანთის სინათლეზე შემკრთალი ჩრდილები მიასკდენ კედლებს და კედლებიდან ჩამოცვივდა შეღებული კირი.

— არც აქაა!.. აგერა, ხედავთ კიბეს, მალლა?

მეზონინში აღამიანისა და ლამის სიმუავის სუნი დადგა.

სერგეი სერგეევიჩის კარებზე მიკრული იყო სადარბაზო ბარათი, სერგეი სერგეევიჩი გამოვიდა საცვლების ამარა, ხელში სანთელი ეკავა; ვერხვის ფურცელივით კანკალებდა და სანთელი უშვებდა აკანკალებულ სინათლეს.

— სადაა აქ ვოლკოვისის ბინა?..

— ის აქ არ არის!.. ის ძირსაა!.. სადარბაზო კრებიდან მარცხნით ორი ოთახი!..

— გაჩხრიკეთ! სახლს ალყა შემოარტყით!

ანდრია ვოლკოვიჩი უკვე სახლში აღარ იყო.

ამხანაგ ლაიტისმა სერგეი სერგეევიჩს აჩვენა მანდატი, სადაც ამხანაგ ლაიტისს ლაიტისისავე ხელმოწერით ევალეობდა მოეხდინა ჩხრეკა და დატუსალება, — იყო იქ კიდევ ერთი ხელმოწერა, — ოლინკა კონცის:

ო. კო (მერე ქარაგმები და ხვეულები).

ოლინკა კონცის კარებსაც მიუკაკუნეს. ოლინკა კონცი სტიროდა. მასთან ამხანაგი ლაიტისი შევიდა.

— ასე, არ შეიძლება, არ შეიძლება! ჩაუცმელი ვარ, თქვენ წაბრძანდი!.. — ოლინკა კონცს თავისი გრამატიკა ჰქონდა და უზრდელობად სთვლიდა, თქვენობით ლაპარაკის დროს, თუ ზმნას მრავლობითი რიცხვში იხმარდენ. ოლინკა კონცი ამბობდა: „მე თქვენ გიყვარვარ?“ და არა: „მე თქვენ გიყვარვართ?“

ოლინკა კონცი ლოგინზე პერანგის ამარა ფეხებ მორთხმული იჯდა. შორს ფანჯარაში ცამ მტრედის ფრად ინათა. პერანგმა ვერ დაჰფარა ოლინკა კონცი, თუმცა მას გულ-მკერდზე ორივე ხელები ჰქონდა აფარებული. ოლინკა კონცის მკერდს ჯოჯოტად მიაჩერდა ამხანაგ ლაიტისის ანთებული თვალები და ქალის მსუქანი წვივები ხარბად ჩაათვალიერა. ოლინკა კონცმა ტირილი დაიწყო და მისი ტუჩები მწიფე ალუბალივით მოიკუჟა.

— ასე არ შეიძლება. არ შეიძლება! — მე ჩაუცმელი ვარ. საწყალი ანდრუშა!.. წაბრძანდი!

ამხანაგი ლაიტისი გავიდა.

სერგეი სერგეევიჩი დარბოდა თავის ოთახში. ანდრია ვოლკოვიჩი ვერ იპოვნეს. სახალხო დაცვის უფროსი წავიდა. სერგეი სერგეევიჩმა კარებამდე მიაცილა.

ქუჩაში მოხობავდა ნოტიო, ნისლი და სადღაც შორის ლაინის ფრად ინათა.

სტიროდა ნაცრისფერ ბინძურ ნისლში გახვეული ოლინკა კონცი, შეურაცხყოფილი ოლინკა კონცი: — შეტად ებრალეობდა ანდრუშა ვოლკოვიჩი და ნაცრისფერ საგანთიადოთ ამღვრეულ ბინდებში დაძირულ სახლში გაისმა გოლიათური

ხარხარი; ეს—სერგეი სერგეევჩი იცინოდა. სერგეი სერგეევჩი მძიმედ ჩადი-
ოდა სარდაფში ქვის კიბეზე სემიონ მატვეევ ზილოტოვთან და თან ყოველ/ნაბიჯ-
ზე მუხლთ ეკეცებოდა. სემიონ მატვეევი იდგა ლუმელთან, ლუმელს უღებუ-
და და ქოთნებში დედლა რაღაც სანელებელი.

— ხომ ნახე?!— სთქვა სერგეი სერგეევჩმა სარკასტიულად და მუცელზე
ხელმოკიდებული ხარხარებდა.

— პენტაგრამმა და არა პინტოგონი!

— ყოჩაღ! აჰ!, თყითონ გაულო კარი და:— მიბრძანდით უკანა კარებში!
აჰ!, ხო-ხო! ეძიე ახლა ქარი მინდორში. ხო-ხო!..

— მებრალეობა, რუსია, თორემ... ეშმაკს გეფიცები! მაგრამ:— ხედავ ამ ნი-
შანს?..— უცხოელი მონახეს!

— ნახე?! ხო-ხო!.. კიდევ ხარ'შავ? ღორის ხორცის კატლეტი შეწვა, ის
გირჩევნია! ხო-ხო!

ამღვრულ ბინდებში ინათა რიქრაქმა და ქუჩაში აფორთხდენ ნოტიო
ნისლები და საგანთიადო ბინდებში გაისმა მწყემსის საყვირის ხმა წყნარი და
სევდიანი, როგორც პერმის ჩრდილოეთის განთიადი.

სერგეი სერგეევჩი ჩამოჯდა ფანჯარაზე და ფეხები მოიკეცა. ლუმელში
ცეცხლის პირას ქოთნებში ისარშებოდა სხვადასხვა წებოები, ლუმელთან იდგა
პატარა მაგიდა გადაშლილ წიგნებით, სადაც რუსული „შ“ ჰგავდა რუსულსავე
„ტ“-ს და „ვ“ კი-„პ“-ს, იქვე იდგა გლობუსი, რომელზედაც რუსეთის ტერიტო-
რია წითლად იყო შეღებილი. სემიონ მატვეევ ზილოტოვს დიდის მზრუნველო-
ბით დაჰქონდა წებოს ქოთანი ლუმელიდან მაგიდასთან და ისევ უკან.

სემიონ მატვეევ ზილოტოვმა აიღო მაგიდაზე ხუთკუთხედი კარტონი, რომ-
ლის ცენტრში ვწერა:— მოსკოვი—კუთხეებში:— ბერლინი, ვენა, პარიზი, ლონ-
დონი, რომი. სერგეი სერგეევჩს წყნარად მიუახლოვდა და მოჰკეცა ხუთკუთხე-
დის ყველა კუთხეები: ბერლინი, ვენა, პარიზი, ლონდონი, რომი მოიხვეჭა
ერთ ადგილას. ხელახლა გაშალა კუთხეები და ახლა სხვანაირად მოჰკეცა— ბერ-
ლინი, ვენა, პარიზი, ლონდონი, რომი დაიხარა მოსკოვისაკენ, და კარდონი,
რომელიც ძირიდან წითლად იყო შეღებილი, პაშიდორს დაემსგავსა.

— ხედავ ამ მხილებას!..— სთქვა მკაცრად სემიონ მატვეევ ზილოტოვმა.—
უცხოეთის ქალაქები ერთად სცემენ თაყვანს ქალაქ მოსკოვს, მაგრამ მოსკოვი
დარჩა დამცირებული და დამდაბლებული!

სემიონ მატვეევი მიუახლოვდა ლუმელს და ერთი ქოთნიდან მეორეში რა-
ღაც სითხე გადაასხა, ავარდა ლურჯი ბოლი, აშიშინდა და დადვა დამწვარ
ვოგირდის სუნნი.

— პენტაგრამმა!— სთქვა სემიონ მატვეევმა, შეჩერდა მაგიდასთან და იდა-
ყვით გლობუსს დაეყრდნო. დაიფიცე:— პენტაგრამმა, ეშმაკს გეფიცები!.. და
გავიმეტავენ უდიდეს საიდუმლოს.

— მაინც, რას?..— შეეკითხა სერგეი სერგეევჩი.

— დაიფიცე: პენტაგრამმა, ეშმაკს გეფიცები! და გავიმბელ საიდუმლოებას!
ხედავ რა ხდება რუსეთში?..

— აშკარაა: — ქამომპყრობელობა*), სიმშლილი ძარცვა/გლეჯა, — აი, რა ხდება! — მიუგო სერგეი სერგეევს. — ღორის ხორცი სამოკდათხუთმეტი! რა ხდება? რუსეთი ყირაზე დადის! — სერგეი სერგეევსიმა ვაიყენა... აბა წადი და იხვი იყიდე!.. ხე-ხე! სერგეი სერგეევსი შხამიანად გემხიროვლდა: ხო-ხო! ერთი ანდრიას უყურე აა!.. — „მიბრძანდით მეორე სართულში“!. ხო-ხო! ნახე?.. ხო-ხო!

— მოიცა! — დაიძახა სემიონ მატვეევ ზილოტოვმა და ხელი გლობუსს დაარტყა. — რუსეთი მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ამხედრებული? რუსეთში — სიმშლილი, არეულობა, სიკვდილი? — ასე იქნება ოც წელიწადს! დაიფიცე და გაგამკლავებ საიდუმლოს!..

სერგეი სერგეევსი გესლიანად გამხიარულდა.

— მერე რა გინდა?! — ვფიცავ!

— სთქვი: ეშმაკს გეფიცები, პენტაგრამმა!..

— ვფიცავ ეშმაკს, პენტაგრამმა!.. მერე?..

სემიონ მატვეევი საოცრად აფუსფუსდა, მუხლებში ჩაიკეცა, გაჩერდა ასე და დაიწყო ჩურჩულით:

— ოცი წლის შემდეგ რუსეთი განთავისუფლდება. მონასტერში, ილუმენის სენაკიდან, — იქ ახლა ლაიტისია, ამხანაგი, — არის თბილი გასაველი სახამთრო ეკლესიაში, საკურთხეველში!..

— მერე რა იყო?!

— ის უცხოელი, — ლაიტისია, ამხანაგი! საკურთხეველში! ოცი წლის შემდეგ მოვა მხსნელი. რუსეთი შეუკავშირდება უცხო ხალხს. მაცხოვარი მიჰყიდეს არაბთა შოგვებს. მე აღვზრდი!

— ვისზე ამბობს?..

— მე აღვზრდი ოლგა სემიონოვნა კონცს — უცხოელ ლაიტისთანაა, ლამაზია, უმანკო და უბიწო. საკურთხეველი შეიღებება ადამიანის სისხლით. მერე ყველაფერი დაიწვის, ის უცხოელიც, — ცეცხლში!

— რას ამბობ, არ მესმის! გინდა ვოლკოვიჩის შური იძიო? — შეეკითხა სერგეი სერგეევსი სერიოზულად და წყნარად.

— არა, რუსეთი მინდა ვიხსნა!

(... და მაშინ ეზოებიდან ალაყაფების ქვეშ იცქირება სალდათური ღილებით: ჩინეთი, ზეციური იმპერია!..

— კარგი, მაგრამ ოლგა სემიონოვნა რალა შუაშია?

— ოლგა სემიონოვნა — უბიწოა, კდემამოსილი! ლამაზი.

— არ მესმის რას ამბობ!.. სიმშლიმა ხომ არ გიწია?.. მაგ ჯადოების ხარშვას, ბორში მოიხარშო ის გირჩევნია!.. ახლა დროა წავიდე!..

— მომისმინე! იხილე!

სემიონ მატვეევ ზილოტოვმა წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო:

*) სიტყვათა თამაშია: Хамодержавие-Самодержавие.

„ვინ გაბედავს ნიტევებას ყოვლისა ბრალეულისა, რომელიც არცხვენს ჩვენს საუკუნეს, ბიწიერებისა ყოვლისა, რომელიც მანკიერ ჰყოფს სახელმწიფოსა, მოუწყობლობისა ყოვლისა, კუჩუგუდოსი და კერძოსი, რომელნიც იძულებულ ჰყოფენ საზოგადოებასს ჩვენსასა და დრტვინვას?—დაწყებულნი ქვესკნელით, ვიდრე დღის მანათობელის სიდიადემდე, ყოველივე მიგვიყვანს ჩვენ სრულიად დამოუკიდებელ დამნაშავეს შემცნაურებად, რომელსაც უჭირავს ხელში არსთა ძეწკვი და, რომელიც არის ერთად ერთი დასაწყისი ყოველთა ზე-ბორე ხსენებულთა. ყველაფერი ეუწყება ერთსა და იმავე დროს სულსა და ჰკუას და განსაკუთრებით ჩვენს შინაგან შეგნების ნიჭიერებას და არაოდეს არ ეტყვის სიცრუეს შემკითხველსა. რაოდენ მტკიცედ მოვიკრებთ აზრსა ჩვენსა, მით უფრო ზედმიწევნით შევი-მცნობთ ნიშანს განუსაზღვრელის ნებისას, ამ ბეჭედს მისი სიდიადისას, რომელიც გამოხატულია კიდით კიდემდე და ყოველ სა-განზე“.

სემიონ მატვეევი ცხოვრობდა მარტვილობაში, როგორც ლოქორა და სადაფი მისი იყო ნიჟარასავეით.

მოიქნევიდა თუ არა ლუმელზე შემძვრალი სემიონ მატვეევი ფეხს,—ცალი ვალინკი დავარდებოდა იქვე კუთხეში, მოიქნევიდა მეორე ფეხს და მეორე ვალინკიც ვარდებოდა იქვე პირველის გვერდით:—დასჭირდებოდა სემიონ მატვეევი ზილოტოვს ლამით „პენტაგრამმა ანუ მასსონური ნიშანი, თარგმნილი ფრანგულ ენითგან“,—გადმოეკიდებოდა ლუმელიდან და შეუცდომლად მაგიდიდან სწორედ „პენტაგრამის“ აიღებდა და ხელის შეხებით გადაშლიდა იმ გვერდს, რომელიც უნდოდა.

ნაცრისფერი, საალიონოდ ამღვრეული ბინდები შემოსძვრა დედამიწას და აენტოდ დღე ნათელი და გავარვარებული. ცაში აცურდენ ნაცრისფერი ღრუბლები, ოლინკა კონცი უკვე ამდგარიყო, წყალს აშხაპუნებდა, პირს იბანდა და თან წყნარად მღეროდა:

В том саду, где мы с вами встретились...

— მაგრამ მოაგონდა ამხანაგი ლაიტისი და გაჩუმდა შეურაცყოფილი, გაბუტული.

სერგეი სერგეევიჩი ზედადგარზე ქერის ყავას ადუღებდა. მეორე კარები მჭიდროდ მიიხურა და საიდანაც დამილული შაქრის ნატები და ყველის ნაქერი ამოიღო; მაგიდაზე ხელსახოცი გაშალა და ყავა დალია. ყავის შემდეგ პაპიროსი მოსწია და წვერი გაიპარსა. მერე ჩესუნჩის პიჯაკი ჩაიცვა, რომელსაც ილღიები ოფლისაგან ჰქონდა გამომწვარი; ამის შემდეგ მიდიოდა სამსახურში შემნახველ კასაში, სადაც ყოველი თვის პირველ რიცხვში სწერდა „უწყებებში“, რომ „გასულ თვეს არავითარი ოპერაცია არ იყო ნაწარმოები“.

სამსახურამდე სერგეი სერგეევიჩი შეივლიდა რომელიღაც სახლში, სადაც ღიღებს საჭმელ ზეთში სცვლიდენ.

სამსახურში ხუზუნობდენ სიცხით შეწუხებული ბუხები და იფლად გაღვრილი სერგეი სერგეევიჩი თავის თანაშემწეს პრეფერანსს ეთამაშებოდა.

სამსახურის შემდეგ სერგეი სერგეევიჩი საბჭოთა სასადალოოში შეიარდა და იქიდან სახლში სადილი მოჰქონდა, ხელახლა გაშლიდა მაგიდაზე ხელსახოცს და სადილობდა; ნასადილევს იძინებდა და საღამოთი შებინდებისას ბულვარში სასეირნოდ მიდიოდა.

რაღაც ფილასოფიური აღორძინების შესახებ, და:

მოხუც არხიპოვის სიკვდილი.—

ამავე განთიადზე.

— გათენდა დილა ამღვრეული და ნაცრისფერა.

განთიადზე მწყემსმა საყვირი წყნარად და ნაღვლიანად დაუკრა, ისე როგორც პერმის ჩრდილოეთის ალიონი.

მებოსტნე ივან სპირიდონოვიჩ არხიპოვი, მთის ძირას რომ ცხოვრობდა, ადგა საყვირის ხმაზე; აივანზე თიხის პირისაბანიდან პირი დაიბანა, მერე ხელებ დაკარწახებულმა ბოსელში ძროხა მოწველა, — და პირდაპირ ბოსტანში არ წასულა სამუშაოდ, როგორც ამას უწინ ყოველ დღე შვრებოდა ხოლმე.

გათენდა დილა.

ქობში, ივან სპირიდონოვიჩის დაბალ ქერიან ოთახში, სადაც ჭერში თავის აკვრა შეიძლებოდა, დაბალ სარკმელთან იდგა კაკლის ხის სეკრეტერი (ალბად ვოლკოვიჩების სახლის ჩაბდახიდან გადმოტანილი, მით უფრო, რომ ვოლკოვიჩების სახლი სწორედ იმ გორაზე იდგა, რომლის ძირასაც არხიპოვის ქობი იყო, არხიპოვები კი ვოლკოვიჩების ნაყმენი იყვნენ). ოთახში იდგა აგრეთვე ტყავის დივანი, რომელზედაც ივან სპირიდონოვიჩი გაუხდელი იძინებდა ხოლმე.

ივან სპირიდონოვიჩმა აანათო წყვილი სანთელი და მის სინათლეზე ფინჯრის უკან განთიადმა ლურჯი ფერი გადიკრა; სათვალე გაიკეთა, მაგიდას მოუჯდა და მედიცინური მსხვილტანიანი წიგნის კითხვა დაიწყო.

ასევე გაეღვიძა საყვირის ხმაზე თავის სუთთა ოთახში არხიპოვის ვაჟი-შვილს არხიპს, ჩაიცვა ტყავის კურტკა და პირდაპირ სამზარეულო ოთახისაკენ გაემართა, არ დამჯდარა, ისე დალია რძე და ტყავის პური შეატანა.

მამამ გადასდო მსხვილტანიანი წიგნი და ხურგზე ხელებ დაწყო ბილმა ოთახში სიარული დაიწყო.

— მედიცინა, როგორ ფიქრობ, შვილო, — შეიძლება მას კაცი ენდოს?

— შეეკითხა მოხუცი შვილს წყნარად და სარკმელს მიაჩერდა.

— მედიცინა მეცნიერებაა. რატომაც არა? მერე რა იყო?

— ისე, დანიელ ალექსანდრიჩს გამოვართვი წიგნი და ჩემთვის ვფურცლავდი... რა გვალვებია, რა გვალვები!.. მეც ეგრე ვფიქრობ, — შეიძლება! — ივან სპირიდონოვიჩი მივიდა სარკმელთან და მახლობელ გორაკს მიაჩერდა, რომელზედაც კრემლი და ვოლკოვიჩების სახლი იყო ამართული და ძირს მდინარის ფლატემდის ბაღი იყო გაშენებული.

დილა ადრიანად წავიდა არხიპი აღმასკომში, მოხუცი სახლში დარჩა და მიწვა ტყავ გადაკრულ დივანზე, — უწინ ასე არასოდეს არ მოქცეულა, — ამ დილით მას არ გაუკეთებია წვნის საქმელი, როგორც ამას უწინ უწყებოდა ხოლმე.

როცა არხიპი სამსახურში წავიდა, ივან სპირიდონოვიჩი სარკმელს მიადგა და დიდხანს გასტკეპროდა სამსახურში მიმავალ შვილს და მის შეკრულ შუბლში და ჩაეარდნილ თვალებში გამოჰკრთოდა შვილისადმი უსახლერო სევდა და სიყვარული.

ცხრა საათზე (მზის მიხედვით შვილის ნახევარზე) ივან სპირიდონოვიჩმა ახალი საურთუკი ჩაიცვა, ვალინკები გაიძრო, კისერზე თეთრი ბაღდადი შემოიხვია, მუშაბების კაზიროკიანი ქუდი ყურებამდის ჩამოიფხატა და საავადმყოფოში ექიმ ნეველენინოვთან წავიდა.

ზევით გზა ხეივნით ადიოდა.

ირგვლივ ყრუახის სუნი და საამო სინესტე იდგა.

ივან სპირიდონოვიჩმა ყრუახის შტო მოიწია და შერხეულ ფოთლებიდან ნამის გრილი წვეთები დაცვივდა.

ივან სპირიდონოვიჩმა მოსტეხა პატარა ტოტი, დაჰყნოსა, ხელში მოსრისა და ჩაფიქრებულმა შუბლშეკვრით ჩაილაპარაკა:

—სიცოცხლე მაინც ღამაზია!

და ასე ტოტით ხელში მიუახლოვდა იგი საავადმყოფოს. საავადმყოფოს შენობის გარშემო მზიაროლი ნაძვები იყო დარგული.

სავადმყოფოში ექიმ ნეველენინოვის კაბინეტში იჯდა იგი საწერ მაგიდასთან, როგორც თავის სახლში, გაუნძრევლად, იდაყვით მაგიდაზე დაყრდნობილი.

დანიელ ალექსანდროვიჩი და ნატალია ევგრაფოვნა ერთად შემოვიდნენ და თეთრი ხალათით გადაცმული ქალი წყნარად ფანჯარასთან გაჩერდა.

—შენ კარგად მიცნობ, დანიელ ალექსანდროვიჩ, ყველაფერი დაუმალავად და პირდაპირ უნდა მითხრა. — დაიწყო ივან სპირიდონოვიჩმა სალამის მიუცემლად მათ შემოსვლისთანავე და განაგრძო: — მოახდინეთ გამოკვლევა? კიბოა, ხომ?

—კიბოა, — მიუგო ნატალია ევგრაფოვნამ.

—ხომ არ შეგეშალა?

—არა, კარგად გავსინჯეთ.

—მაშასადამე, კიბოა: არა?

—დიახ.

ივან სპირიდონოვიჩმა თითები თითებში გაუყარა, მწარედ ჩაიციხა და გაჩუმდა.

—მაშ ასე... შენი წიგნი წავიკითხე, დანიელ ალექსანდრიჩ! იქ სწერია რომ კუჭის კიბო არ მორჩება, ესე იგი... მაშასადამე, — სიკვდილი.

— შეიძლება ოპერაცია გავაკეთოთ, — მიუგო წყნარად ნატალია ევგრაფოვნამ.

—მართალია! შეიძლება. მაგრამ ეს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ პალიატივია, — ლაპარაკობდა ივან სპირიდონოვიჩი და მუდამ დანიელ ალექსანდროვიჩს მიმართავდა. — აპერაციას გამიკეთებთ, მაგრამ კერძო ფასს შემდეგ ისევ აპერაცია იქნება საჭირო. ამ სიბერის დროს წვალელებს მშვენიერად კმარა რაც ვიცოცხლე, საკმაოა! — ივან სპირიდონოვიჩი გაჩუმდა. — შენც კარგად იცა, დანიელ ალექსანდრიჩ... ხო... — და გაჩუმდა ყოყმანით.

იყო აქ ერთი არასასიამოვნო მომენტი.

ივან სპირიდონოვიჩი პირდაპირ თვალელებში უცქეროდა დანიელ ალექსანდროვიჩს, და ის უღალბო თვალელები მის ხნიერ სახეზე, სევდიანი და საყვარელი, რომელნიც მას მისჩერებოდნენ, უეცრად სადღაც გაექცენ ივან სპირიდონოვიჩის თვალებს; ივან სპირიდონოვიჩმა თავი მაღლა ასწია, — კისერზე გალსტუხის მაგიერ თეთრი ბალდადი ეხვია და მიხვდა რომ ეს ბალდადი —

— მაშ ახლა შეიძობით!..

— საჭმელს როგორ იღებთ? — აჩქარებით შეეკითხა ნატალია ევგრაფოვნა.

— ესე იგი, რძე, არა? დღეში ერთ ჭიქას. ჰო, გასამჯელო!.. შეიძობით!

— მოიცა ივან სად მიიქარო!

— არა, შეიძობით. ჩემო დანჯა! კარგად იყავი!

ეს სიტყვებიც სანივემ ერთად წამოიძახეს და არც ეს გამოვიდა კარგად. დანიელ ალექსანდროვიჩი ეხვეწა ივან სპირიდონოვიჩს ცოტაც დარჩენილიყო, მაგრამ ის არ დარჩა, ეჩქარებოდა.

მხოლოდ, როცა დერეფანში თავზე ქუდი ჩანოიფხატა, უცებ შემოტრიალდა, დანიელ ალექსანდროვიჩს ხელი მხურვალედ ჩამოართვა და გადაკოცნა.

— მოვეკვდები, მოდი, ერთს კიდევ გაკოცებ!

ივანეს თვალელებზე ცრემლი მოადგა.

დანიელ ალექსანდროვიჩმა მხურვალედ მიიკრა შკერდში.

ამ დროს დერეფანში ნატალია ევგრაფოვნამ გაიარა, ივან სპირიდონოვიჩმა თავი უხერხულად იგრძნო, კედლისკენ შებრუნდა და ყრულ სთქვა:

— ჩვენ მოვხუცდით, ახალგაზდებს გზა უნდა დაეთმოთ, იმათაც იცხოვრონ!

ამავე დღეს, ამავე საათში ყოვლად უშიშარმა, — შეიღმა არხიპ არხიპოვმა აღმასკომში დასწერა სიტყვა: —

— დ ა ი ხ ვ რ ი ტ ო ს .

ივან სპირიდონოვიჩი სახლში მოსვლისთანავე დაწვა დივანზე; პირი კედლისკენ შეიბრუნა, — და ასე იწვა გაუნძრევლად შვილის მოსვლამდე.

შვილი ხუთ საათზე დაბრუნდა სახლში, ესე იგი, მზის მიხედვით, სამის ნახევარზე.

მთელი დღე საღამომდის ერთად გაატარეს საოჯახო საჭმელებში. ექვსზე



არხიბ ივანოვიჩი ვოლგიდან წყალს ეზიდებოდა, რწყავდა კიტრებსა და კომ-
ბოსტოს, ათვალეურებდა ვალოგაში ჩადგმულ თევზის საჭერ გარდნებს (შეტად უყ-
ვარდა თევზის ჭერა), აღმასკომიდან შეიკრიკმა „Известия“ — მოიტანა, — კარგა
ხანს იდგა მდინარის პირად გაზეთებით ხელში და კითხულობდა.

მზე უკვე დაქანებულიყო, მოვიდა ყვითელი დაისი.
ტაძრის საათმა დარეკა: — დონ! დონ! დონ!

რვის ნაბეწვარზე — ერთი საათით — არხიბ ივანოვიჩი ქალაქში წავიდა და,
როცა იქიდან დაბრუნდა, პირდაპირ თავის სუფთა ოთახისაკენ გაემართა და
დიდხანს იჯდა მაგიდასთან წელში გამართული, როგორც ეს მამამისმა იცოდა.
მამა შვილს ეხმარებოდა, ანგარიშობდა ჩოთქზე, აერთებდა რიცხვებს
ფად და სწორედ.

ნელინელ ბინდდებოდა, ცა გამწვანდა, მერე ვალურჯდა და ბროლივით
გამკვირვალდა.
ყაჩარმაში სალამოს განგაში დაჰკრეს, ქალიშვილები ბოსტნებში ნალვლი-
ან სინდერებს მღეროდნენ.

ძროხებიც მორეკეს და ივან სპირიდონოვიჩი წველას შეუდგა, როცა ოთახ-
ში შევიდა, არხიბ ივანის ანგარიში უკვე გაეთავებია, დაეკეცა ქალაქდები და
შუა ოთახში იდგა დაფიქრებული. ოთახში უკვე ბნელოდა და მთვარის სხივები
სარკმლის ჩარჩოებზე და იატაკზე ეცემოდა.

შვილი მამასავეით დაბალი ტანის, ბალნიანი, წვერმოშვებული იყო და
იდგა მამასავეით ხურგზე ხელეხ დაწყობილი.

ივან სპირიდონოვიჩი ცოტა ხანს კარებთან იყო გაჩერებული, მერე გა-
ვიდა და ანთებული სანთლით შემოვიდა, სანთელი მაგიდაზე დადგა და იქვე
ჩამოჯდა.

— არხიბ, შენთან სალაპარაკო მაქვს და ყური დამიგდე. — სთქვა დინჯად
და დაბეჯითებით მამამ. რომელიღაც მეცნიერი ფილოსოფოსი, შენც იცი, ამ-
ბობს რომ, თუ ადამიანს ორი თვის სიცოცხლე დარჩენია და ისიც წვალებაში
და ავადმყოფობაში უნდა გაატაროს, — მას ურჩევნია თვითონვე იზრუნოს... ამას
გარდა, შენც ხშირად გითქვამს, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, იმითომ რომ
სიკვდილი არც ისე საშინელია, — ამბობდა ივან სპირიდონოვიჩი ნელა, დაბა-
ლი ხმით, თავ ჩაქინდრული და სიტყვებს ძლივს პოულობდა,
არხიბ ივანიჩმა ადგილი მოიცვალა.

— გარკვეულად ილაპარაკე, მამა, — სთქვა შვილმა წუნარად. — რა გინდა?
გაიგონე? — და, როცა შვილმა სთქვა: გაიგონე, ხმა აუკანკალდა.

— დღეს საავადმყოფოში ვიყავ დანიელ ალექსანდროვიჩთან და მითხრა
რომ მე განუკურნებელი სენითა ვარ ავად, — კუჭის კიბო მაქვს, ორი თვია შემ-
დეგ მე მოვეკვდები, ეს ორი სვე კი აუტანელი ტკივილებით უნდა ვიტანჯო,
ხომ გაიგე?

არხიბ ივანიჩი ფეხზე წამოიჭრა ოთახში საოცარი წრე გააკეთა, მერე
შემოტრიალდა, აჩქარებული ნაბიჯით მამას მიუახლოვდა, მაგრამ გადადგა თუ

არა ორი ნაბიჯი, უეცრად კარებისაკენ შებრუნდა, მერე ისევ მობრუნდა და საწერ მაგიდასთან გაჩერდა წყნარად, რომელიც ფანჯარასთან იდგა და მამას ზურგი შეაქცია.

— შენც ამბობდი, არხიპ, და მეც ასე ვფიქრობ, რომ ^{საჯობს უფრო} შენც ასე არ ამბობდი, ხომ ასე ფიქრობ ახლაც?..

— კი, ასე ვფიქრობ, — უპასუხა ყრუდ შვილმა.

— მხოლოდ მამა, — და სიტყვა მამა შეტორტმანდა ჰაერში მტკივნეულად, — შენ ხომ ჩემი მამა ხარ, — მთელი სიცოცხლე შენთან გამიტარებია, შენგნით გავზრდი ქვეყანაზე, — ხომ გესმის, ეს საშინელებაა!

ივან სპირიდონოვიჩი ისევ მოტრიალდა სკამზე, თითქოს რაღაცას ეძებდა, მერე წამოდგა და გაჩერდა, — მიუახლოვდა შვილს უკანიდან, მხრებზე ხელები დააწყო და თავით ტყავის კურტკას მიეხუტა ზურგში.

— ვიცი, მესმის. შენ ჩემი შვილი ხარ! დიდხანს ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავ: მეთქვა, თუ არა!.. ძნელია, მეტად ძნელი, მაგრამ უნდა გაუძლო!.. ჩემთვისაც ძნელია... მანდოდა კიდევ მეცოცხლა, პატარა ხანს მეცქირა, შვილო, შენთვის, — შენი საქმეებისათვის და მუშაობისათვის, შენ ხომ ჩემი შვილი ხარ, ჩემი სისხლი და ხორცი!.. მაგრამ სიცოცხლეშივე გახრწნა, სიმშოილი, ტკივილებისაგან ბლავილი არ მინდა და არც მსურს! შემხედე!

არხიპ ივანოვიჩი მობრუნდა და ორი წყვილი თვალი შეხვდა ერთი მეორეს: ერთი წყვილი, — მოლუშული, კუმტი, ავადმყოფი, ანთებულ გუგებით მიწის ღერ სახეზე, — მეორე — ახალგაზნდა, პირდაპირი და თამამი.

დიდხანს იყვნენ ასე ჩუმად და უმოძრაოდ.

— მომიტმინე, მამა, ახლავე მოვალ!

არხიპ ივანოვიჩი გარეთ გავიდა, დაჯდა აივანზე იქ, სადაც თიხის პირისაბანი იდგა და უცქეროდა ცაში ვარსკვლავებს: ივანობისთვის დამლევით იყო, ივლისი ახლოვდებოდა და ცაში ივლისის ვარსკვლავები პლატინასავით კიაფობდნენ.

ივან სპირიდონოვიჩი ისევ დაჯდა საწერ მაგიდასთან, ხელის თითები ერთი მეორეში გაუყარა და სანთელს უცქეროდა, მერე სული შეუბერა, ჩააქრო, ისევ აანთო და სთქვა:


— იყო ცეცხლი და გაქრა იგი, ახლა ისევ არის. საკვირველია!

არხიპ ივანოვიჩი ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა თავისი ბეჯითი და მტკიცე ნაბიჯით, ჩამოჯდა იქვე მაგიდასთან და დამშვიდებული ხმით დაიწყო.

— მე შენს ადგილას, მამა — — — მოიქეცი, როგორც გინდა, მამა, როგორც იცი.

ივან სპირიდონოვიჩი ადგა, წამოდგა შვილიც, წყნარად გადაჰკოცნეს ერთი მეორე.

ივან სპირიდონოვიჩმა საურთუკის ჯიბეში რაღაცის ძებნა დაიწყო, მერე ამოიღო დაკეცილი, ჯერ კიდევ უხმარი ცხვირსახოცი, გაშალა, მაგრამ თვალები არ მოუწმენდია, ცრემლები არ გადმოსვლია და დაჭმუჭენილი ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიღო.

იცოცხლე, შვილო, დაწყებულ საქმეს ნუ მიატოვებ!  ცოლა / იახოვე, შვილები შეიძინე, შვილო...

შებრუნდა, აილო სანთელი და გავიდა.

არხიპ ივანოვიჩი იდგა ზურგზე ხელებ დაწყობილი, სწორედ ისე, როგორც ეს მამა-მისმა იცოდა. მერე ფანჯარასთან მივიდა, გაალო და იდგა ასე გათენებამდის.

კრემლში, კინემატოგრაფ „ვენეციაში“ უკრავდა ორკესტრი და მდინარიდან მოცურავდა ნოტიო ნისლი.

ივან სპირიდონოვიჩი შევიდა თავის ოთახში, დივანზე წამოწვა, პირი კედლისკენ შეიბრუნა და მაშინვე ღრმა ძილს მიეცა.

გათენდა ნაცრისფრად, შორს მწყემსმა დაუკრა რაღაც მწუხარე და წყნარი. ივან სპირიდონოვიჩს გამოეღვიძა.

სანთელი ანთო.

სარკმელს უკან მძიმე ნისლი იყო და ოთახში დახუთული ჰაერი იდგა.

ივან სპირიდონოვიჩს გაუეღვა რომ ძილში არ შეწუხებულა, და რომ საღამოდან განთიადამდე საათებმა ისე გაირბინეს, როგორც ერთი წუთი და არავითარი შიში არ უგრძნვია, ადგა, გავიდა სამზარეულოში, რევილვერი ჩამოიღო, უკან დაბრუნებისას ერთი სარკეში ჩაიხედა და თავისი კუსტი და მოღუშული სახე დაინახა.

თავის ოთახში დაბრუნდა, სანთელი ჩააქრო, დივანზე დაჯდა, რევილვერის ტუჩი ჰარში ჩაიდო და გაისროლა.

(გაგრძელება იქნება).



ღმერთებს სწუხიათ.

I

ევარისტ გამლენი, მხატვარი, დავიდის შოწაფე, წვერი ახალი ხიდის, ადრინდელი ჰანრი IV სექციისა, გათენებისას წავიდა ბარნაბელების ძველ ეკლესიაში, რომელშიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, 1790 წლის 21 მაისიდან, სექციის გენერალური კრებები ჰხდებოდა. ეს ეკლესია აგებული იყო ვიწრო და ბნელ მოედანზე, სასახლის რკინის მოაჯირის მახლობლად. ორი კლასიკური სტილით შედგენილ ფასადზე, რომელიც დაუირავებული ლარნაკებითა და ცეცხლის ჭურჭლებით იყო შემკული, გახუნებული იყო დროების მიერ და შელანძლული ადამიანების მიერ, რელიგიური ემბლემები ჩამოგხეხათ და ბჭეების ზემოთ შავი ასოებით რესპუბლიკური დევიზი დაეწერათ: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა ან სიკვდილი“. ევარისტ გამლენი ეკლესიაში შევიდა: თაღები, რომელნიც წინათ წმინდა პავლეს კონგრეგაციის სტიქარიან ბერების საეკლესიო გალობას ისმენდენ, ახლა წითელ ჩაჩიან პატრიოტების კრებას დაჰყურებდენ, რომელნიც მუნიციპალური მოხელეების ასარჩევად და სექციის საქმეების მოსაწესრიგებლად შეკრებილიყვნენ. ნიშებიდან წმინდანები ჩამოვლით და მათ ადგილას ბრუტესის, ჟან-ჟაკის და დელეპელტიეს ბიუსტები მოეთავსებიათ. განძარცულ ტრაპეზზე ადამიანის უფლებათა ფიცარი იყო ამართული.

ამ ეკლესიაში ორჯერ კვირაში, საღამოს ხუთი საათიდან თერთმეტამდე საზოგადო კრებები ხდებოდა. საორატორო ტრიბუნის როლს ეროვნული დროებით შემკული კათედრა ასრულებდა. პირდაპირ სამოციქულოს მხრით ამართული იყო გაუშალაშინებელი ხის ესტრადა, ქალებისა და ბავშვებისთვის, რომელნიც მრავლად ესწრებოდენ ამ კრებებს. ამ დილით კათედრის ქვეშ საწერ მაგიდას უჯდა მოწალაქე დიუბონ უფროსი, დურგალი ტიონვილის მოედნიდან, ერთი თორმეტ წვერთაგანი ზედამხედველობის კომიტეტისა. მას წითელი ჩაჩი ეხურა და კარმანიოლა ეცვა. მაგიდაზე ბოთლი და ჭიქები ეწყო, აგრეთვე საწერი მოწყობილობა და რვეული, რომელიც პეტიციის ტექსტს შეიცავდა კონვენტის მიმართ, რომ მას თავისი წიალიდან გაეგდო ოცდაორი უღირსი წვერი. ევარისტ გამლენმა კალამი აიღო და ხელი მოაწერა.

— მე დარწმუნებული ვიყავი, სთქვა ხელოსანმა მაგისტრამ, რომ შენ ხელს მოაწერდი, მოქალაქე გამლენ. შენ წმინდა ხარ. მაგრამ სექცია არ არის თბილი; მას სათნოება აკლია. მე წინადადება მივეცი ზედამხედველობის კომიტეტს არავის გამოუწეროს მოქალაქეობის მოწმობა, ვინც უნდა მოაწერს პეტიციას.

— მე მზად ვარ, სთქვა გამლენმა, ჩემი სისხლით მოვაწერო ხელი მოლატე ფედერალისტების გაძევების აქტს. მათ უნდოდათ მარატის სიკვდილი: დაე, ისინი დაიღუპონ.

— ჩვენ გულგრილობა გელუპავს, უბასუხა უფროსმა დიუბონმა. სექციაში, რომელშიც ცხრაას მოქალაქეს აქვს ხმა, მხოლოდ ორმოცდაათი მოდის კრებაზე. გუშინ მხოლოდ ოცდარვა ვიყავით.

— კარგი, მაგრამ დაჯარიმება უნდა შემოვიღოთ და მოქალაქეები ვაიძულოთ რომ მოვიდნენ, სთქვა გამლენმა.

— ჰე, ჰე, წამოიძახა დურგალმა და წარბები შეკუმუნა, ყველანი რომ მოდიოდნენ, პატრიოტები უმცირესობაში დარჩებოდნენ... მოქალაქე გამლენ, ხომ არ გინდა ერთი ჭიქა ღვინო დალიო, სანკიულოტების სადღერგძელოდ?...

გაკლესიის კედელზე, სამოციქულოს მხრით, ეწერა: „სამოქალაქო კომიტეტი, ზედამხედველობის კომიტეტი“, „კეთილდღეობის კომიტეტი“ და დახატული იყო შავი ხელი, რომლის მაჩვენებელი თითი მიმართული იყო მონასტრის დერეფნისკენ. რამდენიმე ნაბიჯს თუ გადასდგამდით, ყოფილი სალაროს კარებთან მიხვიდოდით, რომელსაც ხემოდგან ეწერა: „სამხედრო კომიტეტი“. გამლენმა ეს კარები შეაღო და დაინახა კომიტეტის მდივანი, რომელიც დიდ მაგიდას უჯდა და სწერდა. მაგიდაზე წიგნები, ქაღალდები, ფოლადის ზოდები, თოფის ვაზნები და გვარჯილის ნიმუშები ეყარა.

გამარჯვება, მოქალაქე ტრიუბერი, როგორ ხარ?

მე?.. საუცხოვოდ.

სამხედრო კომიტეტის მდივანი, ფორტიუნე ტრიუბერი, ყოველთვის ამ პასუხს აძლევდა იმათ ვინც მისი ჯანმრთელობის ამბავს იკითხავდა, რადგან უფრო საუბრის შეწყვეტას სცდილობდა ამ საგანზე. ვიდრე თავის ჯანმრთელობის გამორკვევას. ამ ოცდა რვა წლის კაცს დამტკნარი კანი, თხელი თმა და წითელი ლოყები ჰქონდა და წელში მოხრილი იყო. ის იყო პატრონი უძველესი ოპტიური ფირმისა ოქრომჭედლების ქუჩაზე სენის ნაპირას, რომელიც 1791 წელს ბებერი ნოქარს დაუთმო, რათა მთელი თავისი დრო მუნიციპალური საქმეებისთვის მიეძღვნა. მომხიბლავმა დედამ, რომელიც ოცი წლისა გარდაიცვალა და რომლის შესახებ უბანში მცხოვრებ მოხუცებულებს უნახესი მახსოვრობა შერჩათ, მას მშვენიერი, კეთილი და ვნებიანი თვალები, მკრთალი ფერი და მორცხვობა უანდერძა. მამას კი, რომელიც ოპტიკოსი ინჟენერი და მეფის კარის მიმწოდებელი იყო, და რომელსაც ოცდაათწლამდე არ მიუღწევია, — ის სამართლიანობის გრძნობითა და პრაქტიკული ჰკუთო ჰგავდა.

მას წერა არ შეუჩერებია ისე იკითხა:

— შენ როგორ და ხარ, მოქალაქე?



- კარგად, რა იცი ახალი ამბავი?
- არაფერი, სრულიად არაფერი. როგორც ხედავ აქ სრული სიწყნარეა.
- როგორია მდგომარეობა?
- მდგომარეობაც უცვლელია. მდგომარეობა საშინელია — ყველა სახელმწიფოს

საუკეთესო ჯარი მომწყვდეული იყო მაინცში: ველანსიენი ალყა შენორტყმული იყო; ფონტენეი ვანდეელებმა აიღეს; ლიონი აჯანყდა; სვეენი დელავდა, საზღვარი გახსნილი იყო ესპანელებისთვის; დეპარტამენტების ორი მესამედი მტრის ჯარს ეჭირა ან აჯანყებით იყო მოცული; უფულოდ, უპუროდ დარჩენილ პარიზს ავსტრიელების ზარბაზნები ემუჭრებოდნენ

ფორტიუნე ტრიუმბერი შეუშფოთებლად სწერდა. რადგან სექციებს კომუნიდან ნაბრძანები ჰქონდა, რომ თორმეტი ათასი კაცი გაეწვიათ ვანდეაში გასაგზავნად, ის გაწვევისა და შეიარაღების ინსტრუქციებს სწერდა იმ რაზმებისთვის, რომელიც ახალი ხიდის, ყოფილ ჰანრი IV უბანს უნდა მიეცა. ყველა საომარი თოფები უნდა რეკვიზიციის მომხდენელთ გადასცემოდათ. სექციის ნაციონალური გვარდია სანადირო თოფებითა და შუბებით უნდა შეიარაღებულიყო.

მე მოგიტანე იმ ზარების სია, რომელიც ლუქსემბურგში უნდა გაიგზავნოს ზარბაზნებში გადასადულებლად.

თუმცა ევარისტ გამლენს ერთი სუც კი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც სექციის აქტიურ წევრებში იყო ჩაწერილი: კანონი ამ უპირატესობას მხოლოდ ისეთ მოქალაქეებს ანიჭებდა, რომელნიც იმდენად შეძლებულნი იყვნენ, რომ სამი დღის შრომის ღირებულების გადახდა შეეძლოთ; და ის ითხოვდა ათი დღის ღირებულებას ისეთი ამრჩევლისთვის, რომელიც შეიძლება არჩეული ყოფილიყო. მაგრამ „ახალი ხიდის“ სექცია გატაცებული იყო თანასწორობის იდეით, მტკიცედ იცავდა თავის ავტონომიას და სრულ საარჩევნო უფლებას ანიჭებდა ყველას, ვინც თავისი გროშებით იძენდა ნაციონალური გვარდიელის ტანისამოსს. სხვათა შორის ასეთი იყო გამლენი, რომელიც თავისი სექციის აქტიური მოქალაქე და სამხედრო კომიტეტის წევრი იყო.

- ფორტიუნე ტრიუმბერმა კალამი დასდო:
- მოქალაქე ევარისტ, წადი კონვენტში და ითხოვე, რომ ინსტრუქციები გამოგვიგზავნონ რათა სარდაფების ნიადაგი გადაუსთხაროთ, მიწა და ქვიშნარი დავამუშაოთ და გვარჯილა დავაგროვოთ. საკმაო არ არის ზარბაზნების ქონა, თოფის წამალიც არის საჭირო.

ყოფილს სალაროში პატარა კუხიანი კაცი შემოვიდა, რომელსაც კურში კალმის ტარი ჰქონდა გარკობილი, ხოლო ხელში ქალაღდები ეჭირა. ეს იყო მოქალაქე ბოვიზაჟი, ზედამხედველობის კომიტეტიდან.

მოქალაქეებო, სთქვა მან, ჩვენ ცუდი ამბები მივიღეთ: კიუსტინმა ლანდაუ დასცალა.

- კიუსტინი მოლაღატეა! წამოიძახა გამლენმა
- ის გილიოტინაზე მოკვდება, სთქვა ბოვიზაჟმა.

ტრიუმფმა თავისი ოდნავ ჩახლეჩილი ხმით ჩვეულებრივი სიწყნარით წარმოსთქვა:

— კონვენტს ნაცარქექიებისთვის არ გაუჩენია საზოგადოებრივი ანგარიშის კომიტეტი. იქ გაარჩევენ კიუსტინის ყოფაქცევას, თუ ის უნდა იქნას მოღალატე, მის ადგილს ისეთი გენერალი დაიჭერს, რომელსაც გამარჯვების ნებისყოფა შესწევს და საქმე კარგად წავა!

მან ქალაქდები გადაფურცლა და შიგ თავისი დაღლილი ქთვლებით ჩაიხედა:

— თუ გვინდა, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა თავიანთი ვალდებულება შეუშუოთებლად და უნაკლულად შეასრულონ, ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი კერა უზრუნველყოფილია. თუ შენც ამ აზრის ხარ, მოქალაქე გამლენ, უახლოეს ყრილობაზე ჩემთან ერთად მოითხოვე, რომ კეთილდღეობის კომიტეტი შეუთანხმდეს სამხედრო კომიტეტს, რათა დახმარება აღმოეჩინოს ღარიბ-ღჯახებს, რომელთაც წევრი ჰყავთ ჯარში

მან გაიცინა და ჩაილილინა:

— საქმე წავა, კარგად წავა!..

ის ყოველდღე ჯდებოდა თავის თეთრი ხის მაგიდასთან და თორმეტ ან თოთხმეტ საათს მუშაობდა განსაცდელში ჩაყარნილი სამშობლოს დასაცავად. ეს თავდაბალი მდივანი სექციის კომიტეტისა ვერ ამჩნევდა შეუსაბამობას უხარმაზარ საქმესა და თავის პატარა ძაღლონის შორის, რადგან გრძნობდა რომ ის გაერთიანებული იყო ყველა პატრიოტებთან, რომ ერის სხეულის ნაწილს წარმოადგენდა, რომ მისი სიცოცხლე შედუღებული იყო დიდი ხალხის სიცოცხლესთან. ეს ერთი იმათგანი იყო, ვინც ენტუზიაზმითა და მოთმინებით, ყოველი დამარცხების შემდეგ თითქო შეუძლებელ, მაგრამ მტკიცე ტრიუმფს ამზადებდნენ. მათ სჭიროდათ გამარჯვება. ეს უბრალო ადამიანები, რომელთაც მეფის ხელისუფლება გაანადგურეს, ძველი ქვეყანა გადაატრიალეს, ეს ტრიუმფერი, უბრალო ინჟინერი ოპტიკოსი, ეს ევარისტ გამლენი, უცნობი მხატვარი, შებრალებას არ ელოდნენ თავიანთ მტრებისაგან. მათ მხოლოდ ერთი არჩევანი ჰქონდათ გამარჯვებასა და სიკვდილს შორის. აქედან — წარმოსდგებოდა მათი გულმოდგინება და მათი სიმშვიდე.

II.

ზარნაბელთა მონასტრიდან ევარისტ გამლენი დოუინის მოედნისკენ გაემართა, რომელსაც ტიონვილის მოედანი დაერქვა დაუძლეველი ქალაქის პატივსაცემლად.

ამ მოედანს, მოთავსებულს პარიზის მოძრავ უბანში, ერთი საუკუნის წინედ დაეკარგა თავისი ლამაზი გარეგნობა. დიდებულ მაგისტროტების სასახლეებს, რომელნიც ჰანრი IV დროს აეშენებიათ ერთფეროვან წითელ აგური-საგან და რომელთაც თეთრი ქვის სარტყელი უვლიდა გარს, ახლა თავიანთი კეთილშობილი ასპიდის სახურავი შეეცვალათ ორ ან სამ უბადრუკ სართულზე ან სრულიად აღგვილიყვენ დედამიწის პირიდან და მათი ადგილი ცუდათ შე-

ლესილ სახლებს დაეჭირათ, რომელთაც უსწორმასწორო, საცოდავი, ქუჩიანი ფარადები ჰქონდათ და მეტნაკლები ზონის, ვიწრო უთვალავი ფანჯრები, საიდანაც ყუაფილიანი ქოთნები, ჩიტოანი ვალიები და გასაზრობათ გადმოკიდული თეთრეული ჩნდა. აქ ბინადრობდა უამრავი რიცხვი ხელოსნებისა, ოქრომბეჭედლებისა, მესაათებისა, ოპტიკოსებისა, მბეჭდავეებისა, მოდიისტებისა, მრეცხავ-ქალებისა და რამდენიმე ბებერი ვეჟილი, რომელნიც ქარიშხალს არ გაეტაცნა სამეფო უფლებასთან ერთად.

იყო დილა და იყო გაზაფხული. მზის ყვითელი სხივები, დამათრობელნი ტკბილ ღვინოსავეით, კედლებზე იცინოდნენ და მხიარულად იჭრებოდნენ მანსარდებში. ფანჯრებში ფალიუზიები ზევით იყო აწეული და გარედან დიასახლისების გაწეწილი თავები სჩანდა. რევოლიუციური ტრიბუნალის რეგისტრატორი სახლიდან გამოვიდა და სამსახურის ადგილისაკენ გაემართა. გზა და გზა ის ლოყაზე ხელებს უცაცუნებდა ბავშვებს, რომელნიც ხეებს ქვეშ თამაშობდნენ. ახალ ხიდზე ჰყვიროდნენ ურცხვი დიუმურის ლალატის შესახებ.

ევარისტ გამლენი ცხოვრობდა სენის ნაპირას, საათის ქუჩაზე, პანრი IV დროის სახლში, რომელსაც საკმაოდ კარგი შეხედულება ექნებოდა. თუ ის პატარა, კრამიტის სახურავიან ქერს არ დაემახინჯებია, რომელიც წინანდელი ტირანის დროს იყო დაშენებული. რათა ძველი პარლამენტარიების ბინები მდებრიო მოქალაქეების და ხელოსნების ოჯახების მოთხოვნილებებისთვის შეეფარდებიათ, ოთახები ფიცრულებითა და კედლებით გაეყოთ. პირველ სართულში ერთი ასეთი ბუდე დაეკავებინა მოქალაქე რემაკლს, თერძს-მეკარეს. მისი ოთახი ვიწრო და დაბალი იყო და როცა იგი ნაციონალური გვარდიელის ტანისამოსს ჰკერავდა, მიწის კარებში ნათლად სჩანდა დაზგაზე მორთბული ფეხები და დაბლა დახრილი კისერი; ამავე დროს მისი მეუღლე, რომლის ღუმელს კვამლის გამოსავალი მხოლოდ კიბისკენ ჰქონდა, სახლის ბინადრებს სწამლავდა საჭმელების ოხშივარით, ხოლო კარის ზღურბელზე მათი ქალი ბადაგით შეთხუბნული და დღესავით მშვენიერი პატარა ყოზეფინა დურგლის ძალს მუტონს ეთამაშებოდა. ამბობდნენ, რომ რემაკლის მეუღლე, რომელსაც სავსე გული, მკერდი და თეძოები ჰქონდა, თავისს ალერსს უძღენიდა თავისს მფხობელს, მოქალაქე დიუბონ-უფროსს, ერთს თორმეტთაგანს ზედამხედველობის კომიტეტიდან. ყოველს შემთხვევაში მისი ქმარი საშინლად იკვიანობდა და ცოლქმარი რემაკლები სახლს აყრუებდნენ თავიანთი ჩხუბისა და შერიგების ხმაურობით. სახლის ზემო სართულები დაჭერილი ჰქონდათ ოქრომბეჭედელს, მოქალაქე შაპერონს, რომელსაც სავაჭრო კედლის საათის ქუჩაზე ჰქონდა, ფერშალს, ვეჟილს და სასამართლოს რამდენიმე მოხელეს.

ევარისტ გამლენმა აიარა ანტიური კიბე და უკანასკნელ, მეოთხე სართულზე შეჩერდა, სადაც მას ატელიე ჰქონდა და ერთი ოთახი დედისთვის. იქ თავდებოდა ხის საფეხურები, რომელთაც შესცვალეს პირველი სართულების დიდი ქვის საფეხურები, კედელზე მიდგმული კიბე აღიოდა ქერში, საიდანაც ამ დროს ჩამოდიოდა დიდი ტანის კაცი, საკმაოდ მოხუცებული, რომელსაც ჯანსალი და

ვარდისფერი პირისსახე ჰქონდა. ხელში უზარმაზარი პაკეტი ჰქონდა და დალი-
ლინებდა: „მე დაეკარგე ჩემი მოსამსახურე“.

მოხუცმა ლილინი შესწყვიტა და ზრდილობიანად გამარჯვებულს უსურვა გამ-
ლენს: ეს უკანასკნელიც თავის მხრივ ძმურად მიესალმა და დაეხმარა ძირს და-
ეშვა პაკეტი, რომელიც მოხუცებულმა სიამოვნებით გადასცა.

ამაში კარტონის კაცებია, რომელიც სათამაშოების გამყიდველთან მიმაქვს
„კანონის ქუჩაზე“ სთქვა მან, როცა ტვირთი ხელახლა აიღო. აქ მთელი საზო-
გადოებაა: ესენი ჩემი შექმნილი არსებებია; ჩემგან მიიღეს წარმავალი სხეული,
თავისუფალი სიხარულისა და ტანჯვისაგან. აზროვნება არ მიმინიჭებია, მი-
ტომ რომ მე კეთილი ღმერთი ვარ.

ეს იყო მოქალაქე მორის ბროტტო, ძველი ხარკის მოიჯარადრე, ყოფილი
კეთილშობილი: მისმა მამამ გამდიდრებულმა საქმის კაცმა თანამდებობა იყიდა,
რომელიც აზნაურის წოდებას ანიჭებდა. კარგ დროს მორის ბროტტო თავის
თავს ბატონ დეზილეტს უწოდებდა და თავის სასახლეში დელაშეზის ქუჩაზე
ფართო სადილებს მართავდა, რომელსაც თავისი თვალებით ანათებდა პროკუ-
რატორის მეუღლე მშვენიერი ქალბატონი დე როშმორი. ამ საუცხოვო ქალს მის-
თვის არ უღალატნია, სანამ მორის ბროტტოს თავისი თანამდებობა, შემოსავა-
ლი, სასახლე, მამული და სახელი ჰქონდა. რევოლიუციამ ეს ყოველივე წაართვა
ის თავს ირჩენდა იმით, რომ პორტრეტებს ჰხატავდა ჭიშკრებზე, ქაღებსა და
ნამცბვარს აკეთებდა სენის ნაპირას მეფისერის ქუჩაზე, სიტყვებს ადგენდა ხალ-
ხის წარმომადგენლებისთვის და ცეკვის გაკვეთილებს აძლევდა ახალგაზრდა
მოქალაქე-ქალებს. ახლა თავის ჭერში, სადაც ვიწრო კიბით ადიოდა და ფეხზე
დადგომა თავდაუხრელად არ შეეძლო, მორის ბროტტო, რომელსაც არაფერი
გააჩნდა გარდა საწებავის ქოთნისა, ძაფების პაკეტისა, აკვარელის ყუთისა და
ქალაქის ნაქრებისა, კარტონის კაცებს აკეთებდა და სათამაშოების გამყიდვე-
ლებს აძლევდა, ხოლო ესენი თავიანთ მხრივ მეწვრილმანეებზე ყიდდენ; შემდეგ
ეს პატარა ბავშვების სანუკვარი საგნები, გრძელ ჯოხებზე გამაგრებულნი დასე-
ირნობდენ ელისეის მინდვრებზე. საზოგადოებრივი შუოთისა და დიდი პირადი
უბედურების მიუხედავად, ის ინარჩუნებდა სულიერ სიმშვიდეს, და დასასვენებ-
ლად ლუკრეციის წიგნს კითხულობდა, რომელსაც თავისი ყავის ფერი რედინ-
გოტის უძირო ჯიბეში ატარებდა.

ევარისტ გამლენი მიაწვა თავის ბინის კარებს, რომელიც მაშინვე გაიღო.
სიღარიბის გამო მას არ სჭიროდა კლიტეები და როცა დედა ურდულს გამოს-
წევდა, მხატვარი იტყოდა: „რა საჭიროა? ობობას ქსელს არავინ მოიპარავს...
განსაკუთრებით ჩემსას“. ატელიეში ნაგავში დაყრილი ან კედელზე მიყუდებული
იყო მისი პირველი ტილოები, რომელზეც ის მოდის მიხედვით სააშიკო სცე-
ნებს ხატავდა, სწორი და მორცხვი ყალამით ეალერსებოდა და (კალიერებულ
კაპარუს და გაფრენილ ჩიტს ან კიდევ სახიფათო თამაშობასა და ბედნიერების
სიზმრებს, კაბა აწეულ მწყემს გოგოებს და აყვავებულ მკერდიან შვეყარებულ
ქალებს.

მაგრამ ეს მანერა არ შეეფერებოდა მის ტემპერამენტს. ეს ცივად დახა-
ურნალი „ნათობი“ № 3 (11).

ტული სცენები მხატვრის გაუსწორებელ უბიწოებას მოწმობდა. საქმეში ჩახედულთ ეს არასოდეს არ გამოპარვიათ და გამლენს არასოდეს არ ჰქონია ერთიული მხატვრის სახელი. დღეს, თუმცა მხატვარი ჯერ კიდევ რკინაატი წლისა არ იყო, ეს სიუჟეტები უხსოვარ დროს დახატულებს ჰგავანდნენ, რეჟისორის ამ სურათებში მონარქიული გარყვნილებისა და სასახლეების გახრწნის გავლენას ხედავდა. თავის თავს აყვედრიდა, რომ ამ უბადრუკ ქანრში გამოიჩინა თავი და მონობით დამცირებული გენია გამოაშკარავა. ახლა, როგორც თავისუფალი ხალხის მოქალაქე, ის ფართო ხაზებში ხატავდა თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, საფრანგეთის კონსტიტუციას, რესპუბლიკურ სათნოებებს, პოპულარულ პერკულესებს, რომელნიც ტირანიის ვეშაპებს ანადგურებენ და ამ კომპოზიციებში მთელი თავისი პატრიოტიზმის ენებათა ღელვა შეჰქონდა. მაგრამ, სავალალოდ ამით პურს ვერ შოულობდა. მხატვრებს ცუდი დრო უდგათ. ეს უეჭველია იმ კონვენტის ბრალი არ იყო, რომელიც ყოველი მხრივ ჯარებს ისროდა მეფეების წინააღმდეგ, ამაყად, უგრძობლად, შეუდრეკლად იდგა შეთქმული, ორპირი, სასტიკი ევროპის წინააღმდეგ და საკუთარ ხორცს იგლეჯდა საკუთარივე ხელებით; ის ერთსა და იმავე დროს ტერორს მიმართავდა, შეუბრალებელ სამსჯავროს ჰქმნიდა შეთქმულთა დასასჯელად, ამ სამსჯავროს თავის წევრებს აწვდიდა ჩასანთქმელად და იმავე დროს წყნარი და დაფიქრებული იყო, მეგობრობას უწყევდა მეცნიერებასა და მშვენიერებას, კალენდრის რეფორმას ახდენდა, სპეციალურ სკოლებს აშენებდა, მხატვრობისა და ქანდაკების კონკურსს აცხადებდა, პრჩხებს აწესებდა მხატვრების გასამხნეველად, წლიურ სალონებს აწყობდა, მუზეუმს აღებდა და ათინისა და რომის მსგავსად დიდებულ ხასიათს აძლევდა დღესასწაულებისა და საზოგადოებრივი გლოვის პროცესიებს. მაგრამ საფრანგეთის ხელოვნებას, რომელიც ერთს დროს ასე გავრცელებული იყო ინგლისსა, გერმანიასა, რუსეთსა, პოლონეთში, გასაუალი აღარ ჰქონდა უცხოეთში. მხატვრობის მოყვარულები, ხელოვნების მცოდნეები, დიდი მემამულეები და ფინანსისტები გაკოტრდნენ, სამშობლოდან გარდაიხვეწნენ და იშალებოდნენ. ადამიანები, რომელნიც რევოლუციამ გაამდიდრა, ეროვნული მამულების შემყიდველი გლეხები, სპეკულიანტები, ჯარების მოიჯარადრეები, პალე როიალის კრუპიეები ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ თავიანთ სიმდიდრის გამოჩენას და ყოველ შემთხვევაში ხაკლებ ზრუნავდნენ მხატვრობისთვის. საჭირო იყო ან რენიოლის სახელი ან ახალგაზრდა ეერარის მობერხება, რომ მხატვარს სურათი გაეყიდა. გრეში, ფრაგონარი, ჰუენი დიდს გაკირვებაში იყვნენ. პრიუდონი ცოლშვილს ძლივს არჩენდა იმით, რომ სიუჟეტებს ხაზავდა, რომელსაც შემდეგ კომია ამთავრებდა. პატრიოტი მხატვრები ჰენეკენი, ვიკარი, ტობინო-ლემბრენი შიმშილობდნენ. გამლენს არ შეეძლო ხარჯების გაწევა სურათისთვის, არ შეეძლო მოდელის დაქირავება და ფურადების ყიდვა და დაუმთავრებლად სტოვებდა თავის დიდს ტილოს, რომელიც წარმოადგენდა „ფურიების მიერ დევნილ ტირანს ჯოჯოხეთში“. ეს ტილო ატელიეს სანახევროდ ჰფარავდა დაუმთავრებელი და საშინელი ფიგურებით და მრავალი მწვანე გველებით, რომელთაც ორ-ორი წვეტიანი და მოკაუჭებული ენები ჰქონდათ

გამოყოფილი. პირველ პლანზე მარცხნივ ჰქნდა გამხდარი და მორიხსავე ქარონი ნავში, მშვენიერად მოხაზული და ძალოვანად შესრულებული, მაგრამ კოტა არ იყო სკოლის მიხედვით ნაგრძნობი. მეტი გენია და ბუნებრივობა, სწინდა მეორე უფრო პატარა ტილოზე, რომელიც აგრეთვე დაუმთავრებელი ეკიდა უფრო განათებულ კუთხეში. ეს იყო ორესტი, რომელსაც მისი და ელექტრა ხეზე აყენებდა ტანჯვის სარეცველზე. ახალგაზრდა ქალი მომხიბლავი მოძრაობის შემწეობით განზე სწევდა გრძელ თმას, რომელიც ძმის თვალებს ჰფარავდა. ორესტის თავი ტრაგიკული და მშვენიერი იყო და ნათლად წააგავდა მხატვრის სახეს.

გამლენი ხშირად სევდიანი თვალთ უყურებდა ამ კომპოზიციას; ხან და ხან ხელები ხატვის სურვილით ათრთოლებულნი მიიწვედნენ ფართოდ მოხაზული ელექტრასკენ და უღონოდ ისევე ეცემოდნენ. მხატვარი გაფლენთილი იყო ენტუზიაზმით, ხოლო მისი ხელი დიდი საგნებისაკენ მიილტვოდა. მაგრამ იძულებული იყო თავისი თავი დაკვეთილ სამუშაოში ამოეწურა, რომელსაც უნიჭოდ ასრულებდა, მიტომ რომ იძულებული იყო ვულგარული გემოვნება დაეკმაყოფილებია; ამას გარდა არც შეეძლო პატარა ნივთებზე გენიოსის ხასიათი დაეკდო. ის ხაზავდა პატარა ალეგორიულ კომპოზიციებს, რომლისგანაც მისი ამხანაგი დემაი საკმაოდ ლახათიან შავ ან ფერად გრაფიურებს აკეთებდა, ხოლო შემდეგ სურათების ვაჭარი მოქალაქე ბლეზი ჰყიდულობდა იაფ ფასად პონორეს ქუჩაზე. მაგრამ გრაფიურების გაჭრობა თან და თან უფარესდებოდა; ასე ამბობდა ბლეზი, რომელსაც ერთი ხანია არაფრის ყიდვა აღარ უნდოდა.

ბოლო დროს გამლენს, რომელიც გაჭირვებამ გონება მახვილი გაზადა, თავში ახალი ბედნიერი გამოგონება ჩაესახა. ეს გამოგონება მისი აზრით გაამდიდრებდა გრაფიურების ვაჭარსაც გრაფიორსაც და მასაც, ეს იყო პატრიოტული სათამაშო ქალაქი, რომელშიც ძველი რეჟიმის მეფეები, ქალები, ვალეტები შეცვლილი იყო გენიების, თავისუფლების და თანასწორობის გამოხატულებით. მხატვარმა უკვე გააკეთა ამ ფიგურების ესკიზები, ნრავალი მათგანი კიდევ დაამთავრა და ჩქარობდა რომ დემაისთვის გადაეცა გრაფიურების დასამზადებლად. თვით მას საუკეთესო ფიგურად სამკუთხ ქუდიანი მოხალისე მიაჩნდა, რომელსაც წითელ ზოლებიანი ლურჯი ტანისამოსი, ყვითელი შალვარი და შავი გეტრები ეცვა, ყუთზე იყო ჩამომჯდარი და ყუთბარების გროვაზე დაყრდნობილ ფეხებს შუა თოფი ედგა. ეს იყო „გულის მოქალაქე“, რომელმაც გულის ვალეტი შესცვალა. ექვსი თვის განმავლობაში გამლენი დიდი სიყვარულით მხატავდა, ასეთ მოხალისეებს. ზოგიერთი გაჰყიდა კიდევ ენტუზიაზმის დღეებში. ნრავალი ესკიზი ატელიეს კედლებზე ეკიდა. ხუთი თუ ექვსი მოხალისე აკვარელით, წებონარვენი ფერადებით ან ფანქრით დახატული მაგიდასა და სკამებზე ეყარა. 1792 წლის ივლისში, როცა პარიზის ყველა მოედნებზე ესტრადები იმართებოდა ჯარში გაწვეულთა ჩასაწერად, როცა ყვავილებით მორთულ კაბარებს აზანზარებდა ძახილი „გაუმარჯოს ნაციას! თავისუფალი სიცოცხლე ან სიკვდილი!“ გამლენს არ შეეძლო ახალ ხიდზე ან ქალაქის რატუშასთან გაეგლო ისე, რომ მისი გული არ ამგერებულყო ბაირადებიან ფარდულის დანა-

ხვაზე, რომლის ქვეშ შარფიანი მაგისტრატები მოხალისეებს წყნოდ მარსელიეზის ხმაურობაში. მაგრამ თუ ის ჯარში წავიდოდა, დედა სრულიად უმწოდ დარჩებოდა.

ხმამალალი და მძიმე ფშვინვით მოქალაქე გამლენბს სჭეჩჩეხს ატელიეში შემოვიდა; დედაკაცს ოფლი სდიოდა, გაწითლებულიყო, თრთოდა; წითელი კოკარდა თავსახურაფზე ისე ეკიდა, თითქოს ეს არის ჩამოვარდებო. კალათი სკამზე დასდგა, წელში გაიმართა, რომ უკეთ ამოესუნთქა და ჩივილი დაიწყო ცხოვრების გაძვირებაზე.

მის განსვენებულ ქმარს დანების სახელოსნო ჰქონდა გრენელი სენჟერმენზე „ქალაქ ბატლეროს“ ფირმით; ახლა კი ეს დედეკაცი უბრალო დიასახლისის როლს ასრულებდა და შევიწროვებულად სცხოვრობდა თავის ვაჟთან. ეს უფროსი იყო მის ორ შვილს შორის. რაც შეეხებოდა მის ქალს იულისს, რომელიც წინად მოდების სამკერვალოში მუშაობდა, უკეთესი იყო არავის სკოდნოდა თუ რა მოუვიდა მას, მიტომ კარგი არ იყო იმის თქმა, რომ იულია გარდაიხვეწა ერთ არისტოკრატთან ერთად.

— ღმერთო მალალო! ამოიოხრა დედაკაცმა და შვილს ნაცრისფერი, გამოუმცხვარი პური უჩვენა: პურის ფასი მიუწდომელი გახდა; კიდევ კარგი თუ წმინდა ხორბლის ფქვილისაგან არის. ბაზარში აღარ იპოვება არც კვერცხები, არც მწვანელი, არც ყველი. იმდენ წაბლს ვსჭამო, რომ ლამის წაბლისფერი გავხდეთ.

ხანგრძლივი ღუმლის შემდეგ მან ხელახლა დაიწყო:

ქუჩაში ქალები ვნაზე, რომელთაც არაფერი ჰქონდათ ბავშვების გამოსაკვებათ. დიდი გაჭირვება დაატყდა საბრალო ქვეყანას და ასე დარჩება, სანამ ვაჭრობა არ აღსდგება.

— დედა ჩემო, უპასუხა გამლენმა და წარბები შეიკმუხნა, ჩვენი გაჭირვება გამოწვეულია სპეკულიანტებისა და ჩარჩების მიერ, რომელნიც ხალხს ამშვეენ და რომ რესპუბლიკა მოქალაქეებს შეაძულონ და თავისუფლება მოსპონ, უთანხმდებიან გარეშე მტერს. აი საით არის მიმართული ბრისსოს მომხრეების შეთქმულება, პესიონის და როლანის ღალატი! დიდი ბედნიერება იქნება, თუ შეიარაღებული ფედერალისტები პარიზში არ შემოიჭრენ პატრიოტების დასახოცავად, რომელთაც მათი აზრით სიმშვილი საკმაოდ ჩქარა ვერ სპობს! დაგვიანება აღარ შეიძლება: ფქვილს ტაქსა უნდა დაედოს და გილიოტინაზე გაიგზავნოს ვინც სანოვაგეზე სპეკულიაციას ეწევა, აჯანყებას აწყობს, ან უცხოელებს უთანხმდება. კონვენტმა არაჩვეულებრივი ტრიბუნალი შექმნა შეთქმულთა გასასამართლებლად. ის პატრიოტებისგან შესდგება; მაგრამ საკმაო ენერგია ექნებათ თუ არა მათ წევრებს სამშობლოს დასაცავად მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ? დავენდოთ რობესპიერს: ის სათნოებით არის აღსავსე. ყველაზე მეტად მარატს დავენდოთ: იმას ხალხი უყვარს, ხალხის ნამდვილ ინტერესებს ხედავს და ემსახურება. ის პირველია, რომელიც ნილაბს აცლის გამკვებლებს, ფარდას ხდის შეთქმულებას. ის მოუსყიდველი და უშიშარია. მხოლოდ მარატს შეუძლია რესპუბლიკა იხსნას საფრთხის დროს.

გამლენის ქერივმა თავი გაიქნია, ისე რომ ხალვათად მიმაგრებული კო-
ქარდა ძირს ჩამოუვარდა.

კმარა, ევარისტ: შენი მარატი ისეთივე ადამიანია, რაღაცეები და
მათ არაფრით სჯობს. შენ ახალგაზრდა ხარ და ილიუზიები გეყვარებასაც
დღეს მარატის შესახებ ამბობ, წინათ მირაბოსა, ლაფაიეტისა, პესიონისა, ბრი-
სოს შესახებ გითქვამს.

— არასოდეს! წამოიძახა გამლენმა გულწრფელი გულმადვიწყობით.

დედაკაცმა თეთრი ხის შავიდის ერთი კუთხე გაანთავისუფლა ქალაღუ-
ბისა, წიგნებისა, ყალმებისა და ფანქრებისაგან და ფაიფურის საწვენე, ორი სპი-
ლენძის თეთში, ორი რკინის ჩანგალი, შავი პური და ქაჭის ნახადით საესე
წოთან დააღაგა.

ვაეი და დედა პურს ჩუმად სჭამდენ; სადილი ღორის ტონის პატარა ნა-
ჭერით დაამთავრეს. დედას თავისი ნაჭერი პურზე დაედო, ჯიბის დანით სჭრი-
და და უკბილო ყბით მოწიწებით სცოხნიდა, როგორც ამ ძვირფასს საზრდოს
შეეფერებოდა.

მან საუკეთესო კერძი შეიღს დაუტოვა, ეს უკანასკნელი კი ოცნებობდა
და გაფანტული იყო.

— სჭამე ევარისტ. ეუბნებოდა დედაკაცი დრო გამოშვებით, სჭამე.

და ეს სიტყვა მის პირში რელიგიური მცნების სიმძიმეს ლეზულობდა.
მან ხელახლა დაიწყო მოთქმა ცხოვრების გაძვირების შესახებ. გამლენმა,
ხელახლა ტაქსის შემოღება მოითხოვა როგორც ერთად ერთი წამალი ამ უბე-
დურების წინააღმდეგ.

დედაკაცმა სთქვა:

— ფული აღარ არის. ემიგრანტებმა ყოველივე წაიღეს. აღარც ნღობა
არის. სასოწარკვეთილი მდგომარეობაა.

— გაჩერდით, დედა ჩემო, გაჩერდით! წამოიძახა გამლენმა. რას ნიშნავს ჩვე-
ნი ნაკლებობა, ჩვენი წუთიერი ტანჯვა! რევოლუცია საუკუნეებისთვის გააბედ-
ნიერებს ადამიანის მოდგმას.

დედაკაცმა პური ჩააწო ღვინოში; მისი სული თითქო განათლდა; მან
ღიმილით მოიგონა თავისი ახალგაზრდობა, როცა ის მინდორში ცეკვავდა მე-
ფის დღეობის გამო. მას გაახსენდა ავრეთვე ის დღე, როცა ეოზეფ გამლენმა,
პროფესიით დანების ხელოსანმა, ის ითხოვა. და დედაკაცი დაწვრილებით
მოჰყვა, როგორ მოხდა ეს ამბავი. დედამ მითხრა: „ჩაიცვი, ჩვენ მივდივართ
გრევის მოედანზე, ბატონ ბიენასსიზის საოქრომჭედლო მალაზიაში, რომ დაეი-
ნასოთ როგორ დასჯიან სიკვდილით დაშიენს“. ძალიან გაუჭირდათ გზის გა-
კაფვა ცნობისმოყვარე ბრბოში. ბ. ბიენასსიზის მალაზიაში ახალგაზრდა ქალმა
ეოზეფ გამლენი დაინახა, რომელსაც მშვენიერი ვარდის ფერი ტანისანოსი ეცვა
და ნაშინვე მიხედა საით უმიზნებდა ეს კაცი. მთელი ხნის განმავლობაში, რო-
ცა ქალი ფანჯარასთან იდგა და უცქეროდა, თუ როგორ სტანჯავდენ დაშნა-
შავეს მარწუხებით, თავზე ასხამდენ გამდნარ ტყვიას. ჰგლეჯდენ ოთხი ცხენის
შემწეობით და ცეცხლში აგდებდენ, ბ. ეოზეფ გამლენი მის უკან იდგა და შეუ-

ჩერებლივ კომპლიმენტებს ეუბნებოდა ფერისა, თმის დავარცხნისა და ტანის მოყვანილობის შესახებ.

დედაკაცმა გამოსცალა თავისი ჭიქა და განაგრძო წარსულეს მოგონება.

— მე შენ უფრო ადრე გშობე, ევარისტ, ვიდრე ველოდო: მოტყევე კეომ ახალ ხიდზე ორსულობის დროს დიდი შიში ვნახე: ცნობის მოყვარეთა ბრბომ, რომელიც ბ. დე ლალლის დასჯახე შირბოდა, კინალამ წამაქცია. ისეთი პატარა იყავი, რომ დოსტაქარს არც ეგონა თუ ცოცხლებდი. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთი მოწყალეობას მოიღებდა და შენს თავს შემანარჩუნებდა. მე შენ აღგზარდე შეძლებისამებრ, არ ვზოგავდი არც მზრუნველობას, არც ხარჯებს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ჩემო ევარისტ, რომ შენ მადლიერი იყავი და ბავშვობიდანვე სცდილობდი შეძლებისამებრ სამაგიერო გეზლო. ბუნებით მგრძობიარე და წყნარი ხარ. არც შენს დას ჰქონია ცუდი გული, მაგრამ ეგოისტი და მკაცრი იყო. უბედური ადამიანები შენ უფრო გებრალეობდა, ვიდრე მას. როცა უბნის ცულლუტი ბიჭები ჩიტებს ბუდეებს უნგრეფდენ, შენ სცდილობდი მათთვის ბარტყები წაგერთმია და დედისთვის დაგებრუნებია და ხშირად ამისთვის სასტიკად გცემდენ და ფეხით გათელავდენ. როცა შვიდი წლისა იყავი, იმის მაგივრად რომ ცუდი ყოფაქცევის ბავშვებთან გეჩხუბნა, ქუჩაში მშვიდობიანად დადიოდი და კატეხიზმოს იმეორებდი; და სახლში მოგყავდა ყველა მათხოვრები, რომელთაც ქუჩაში ხედებოდი, სანამ მე იძულებული არ გავხდი გამელახე, რათა ამ ქცევას გადაეჩვიე. შენ არ შეგეძლო ვისმეს ტანჯვა დაგენახა ისე, რომ ცრემლები არ დაგედვარა. როცა ზრდა დაამთავრე, შესახედავად მშვენიერი გახდი. დიდათ მაკვირებდა რომ თითქო არც ამჩნევდი ამ გარემოებას და ამ მხრივ დიდათ განსხვავდებოდი სხვა ლამაზ უმაწვილებისაგან, რომელნიც კეკლუცობენ და ზაფხუ მოაქვთ თავიანთი გარეგნობით.

ბებური დედა მართალს ამბობდა. როცა ევარისტი ოცი წლის გახდა, მას სერიოზული და სანდოშიანი სახე ჰქონდა, მკაცრი და ქალური სილამაზე ერთსა და იმავე დროს, შინერვის ნაკვთები. ახლა მისი ჩაბნელებული თვალები და ფერმკრთალი ლოყები სევდიან და ვნებიან სულს ააშკარავებდენ. მაგრამ როცა დედას შეხედა, მისმა გამომეტყველებამ ერთის წუთითა ბავშური სინაზე გამოჰხატა.

დედაკაცმა განაგრძო:

— შენ შეგეძლო შენი უპირატესობა გამოგეყენებინა და ქალებისთვის გედევნა, მაგრამ არჩიე ჩემთან დარჩენილიყავი. ხშირად თვისთონ გიშორებდი კალთიდან, რომ ამხანაგებში გართობილიყავი. მე ჩემი საფლავის კარებამდე დაგიმოწმებ, რომ შენ, ევარისტ, გულკეთილი შვილი ხარ. მამა შენის სიკვდილის შემდეგ ვაჟკაცურად შემომიდექი მხრებში; თუმცა პროფესია არათერს გაძლევს, ჩემთვის არათერი მოგიკლია, და თუ დღეს ორივენი შეუძლონი და საბრალონი ვართ, ამისთვის საყვედურს ვერ გეტყვი: ამის მიზეზი რევოლუცია არის.

ვაემა ხელი გააქნია საყვედურის ნიშნად; მაგრამ დედაკაცმა მხრები აიწია და განაგრძო.

— მე არა ვარ კეთილშობილი. დიდებულებს კარგად ვიცი, რომელი მათი ძლიერების ხანაში და შემოძლია ვსთქვა, რომ ისინი ბოროტათ სარგებლობდნენ თავიანთი პრივილეგიებით. მე მინახავს, როგორ სცემა ჯობით მამაშენს პერცოგ კანალეის ლაქიამ, მიტომ რომ დროზე უკან არ დგინდა მისი პატონის გავლის დროს. მე არ მიყვარდა ავსტრიელი უფლისწული*): ის მეტად ამაყი იყო და ბევრს ფლანგავდა. რაც შეეხება მეფეს, ის გულკეთილი მეგონა და საჭირო იყო მისი პროცესი და დასჯა, რომ აზრი შემეცვალა. ძველს რეჟიმს არ მივსტირი, თუმცა იმ დროს რამდენიმე სასიამოვნო წუთი გავატარე. მაგრამ ნუ მეტყვი, რომ რევოლუცია თანასწორობას დაამყარებს, მიტომ რომ ადამიანები არასოდეს არ იქნებიან თანასწორნი; ეს შეუძლებელია და ქვეყანა რამდენჯერმეც რომ გადაატრიალონ, ყოველთვის დარჩებიან დიდები და პატარები, მსხვილები და წვრილები.

ლაპარაკის დროს დედაკაცი ჭურჭელს ალაგებდა. მხატვარი აღარ უსმენდა. ის ეძებდა სანკიულოტის სილუეტს წითელ ჩაჩსა და კარმანიოლში გამოწყობილს, რომელსაც მის სათამაშო ქალაქში უარყოფილი ყვავის ვალეტი უნდა შეეცვალა.

კარებზე დააკაკუნეს. შემოვიდა სოფლელი ქალი, ჩასუქებული, მოწითალო, ფეხმონგრეული, სიმსივნით მარცხენა თვალზე; მარჯვენა თვალი ისე უფერულად ლურჯი იყო, რომ თითქმის თეთრად ჩნდა, უზარმაზარ ტუჩებ შუა კბილები მოჩანდა.

მან გამლენს ჰკითხა, ის არის თუ არა მხატვარი და შეუძლია თუ არა მისი საქმაროს, არდენის არმიის მოხალისის, ფერრანის (ჟიულის) სურათი დახატოს?

გამლენმა უპასუხა, რომ ამ სურათს სიამოვნებით დახატავს მამაცი მხედრის დაბრუნებისას.

ქალმა ნაზით სთხოვა, რომ ეს ახლავე შევსრულებინა.

მხატვარმა ძალაუნებურად ჩაიციინა და უპასუხა, რომ არაფერი შეეძლო უმოძღვლოდ.

საბრალო არსებამ არაფერი უპასუხა; მან არ იცოდა, რომ ასეთი დაბრკოლება არსებობდა. ის უმოძრაოდ იდგა თავდახრილი, მუცელზე ხელებ დაკრეფილი და სდუმდა; ეტყობოდა განადგურებული იყო მწუხარებით. მხატვარი ააღელვა და გააკვირა ასეთმა გულუბრყვილობამ და რათა საბრალო შეეყვარებული ქალი ცოტათი მაინც დაეშოშმინებია, ხელში ჩაუდო ერთი იმ მოხალისეთაგანი, რომელიც აკვარელით ჰქონდა დახატული; შემდეგ ჰკითხა მისი საქმრო ასეთი შეხედულებისა იყო თუ არა.

ქალი ქალაქს ჩააშტერდა თავისი სევდიანი თვალებით, რომელიც ნელ-ნელა გამოცოცხლდა, შემდეგ განათდა და ბოლოს გაბრწყინდა; მისი ფართო სახე გამზიარულდა.

— სრულიად მას ჰგავს, სთქვა მან ბოლოს; ეს ნამდვილი ფერრანია (ჟიული), ეს პირწივარდნილი ფერრანია (ჟიული).

*) მარია ანტუანეტა.

სანამ მხატვარი ქალაქის უკან გამორომევას მოისაზრებდა, მან ის თავისი დიდი წითელი თიხების შემწეობით ფრთხილად შეკეცა, ხელ პატარა ოთხკუთხედი გააკეთა, გულზე დაიდო კორსეტსა და პერანგს მხატვარს ხუთ ლივრიანი ასიგნაცია მისცა, საღამო მშვიდობისა უსწრესად დატოვებულ გავიდა კოჭლობით, მაგრამ მსუბუქად

III

ნასადილევს ევარისტი მოქალაქე ჟან ბლეზთან გაემგზავრა, გრავიურების გამყიდველთან, რომელიც პონორეს ქუჩაზე ვაჭრობდა ორატორიის პირდაპირ, ფოსტის მახლობლად, „მხატვარი ამურის“ ფირმით და აგრეთვე ყუთებსა, კარტონაჟებსა და ყოველგვარ სათამაშოებს ჰყიდდა. მალაზია მოთავსებული იყო ერთს ძველს სახლში, მის თაღზე რქიანი ნიღაბი იყო განოსახული. ამ საღლის რკალ ქვეშ ზეთის ფერადებით ბუშეს კომპოზიციის მიხედვით დახატული იყო „სიცილიელი ანუ მხატვარი ამური“, რომელიც ჟან ბლეზის მამამ შესრულებინა 1770 წელს და შემდეგ სანახევროდ მზესა და წვიმას წაეშალა. კარების ორივე მხრიდან მაღალ მინებიან ფანჯრებში, რომელთაც ზემოდან ფერიების თავები დასცქეროდნენ, გამოუენილი იყო შოდის ფერადიანი გრავიურები. დღეს იქ ნახავდით ბუაის შიერ ცოტა არიყოს მშრალი გრაციით შესრულებულ სააზიკო სცენებს, „ცოლქმრული სიყვარულის გაკვეთილებს“ და „ქალის ტკბილ წინააღმდეგობას“, რომელნიც სასკანდალოდ მიაჩნდათ იაკობინელებს, ხოლო წმინდა რევოლუციონერებს დასაბუთებლად მიჰქონდათ ხელოვნებათა საზოგადოებაში; შემდეგ ნახავდით დებიუკურის „საზოგადოებრივ სეირნობას“, რომელზედაც ყვითელ მარვლიანი კაეალერი იყო დახატული, ახალგაზრდა კარლ ვერნეს ცხენებს, აეროსტატებს, „ვირჯინიის ბანაობას“ და ანტიური ნიმუშების მიხედვით შესრულებულ ფიგურებს.

მოქალაქეების ტალღა შეუჩერებლივ მიმდინარეობდა მალაზიის წინ; ლატაკები უფრო დიდს ხანს ჩერდებოდნენ ორ მშვენიერ ვიტრინასთან, ერთობოდნენ, სცდილობდნენ თვალებით მაინც ეგემნათ ამ ქვეყნიერების სიკეთე; ისინი სურათებს პირდაღებულნი უცქეროდნენ და ალტაცებულნი იყვნენ, არისტოკრატები კი ცალ თვალს ავლებდნენ, წარბებს იჭმუხნიდნენ და თავის გზით მიდიოდნენ.

ევარისტმა თვალები მიაპყრო ერთს ფანჯარას, რომელიც მალაზიას ზემოდგან გადმოჰყურებდა მარცხნივ, ამ ფანჯარაში წითელი მიხაკების ქოთანის იდგა ლოკოკინის ნიჟარივით მოყვანილი რკინის ბალკონის უკან. ეს ფანჯარა ანათებდა ჟან ბლეზის ქალის, ელოდის, ოთახს. გრავიურების გამყიდველს თავისი ერთად ერთი შვილითურთ სახლის პირველი სართული ეჭირა.

ევარისტი ერთი წუთით „მხატვარი ამურის“ წინ გაჩერდა სულის მოსათქმელად და კარი შეაღო. მან დაინახა ელოდი, რომელსაც გრავიურები გაეყიდა, ორი კომპოზიცია ფრიგონარის შვალისა და ნეფონისა, მზრუნველობით არჩეული სხვა მრავალთ შორის; ხელში ეჭირა მიღებული ქალაქის ფული და ერთი მეორის მიყოლებით თავისი მშვენიერი თვალებით სინათლეზე სინჯავდა,

მიტომ რომ აღებმიცემობაში იმდენივე ყალბი ფული ტრიალებდა, რამდენიც ნამდვილი, რაიცა დიდათ აფერხებდა ვაჭრობას. როგორც წინათ შეფის ხელის მოწერის წამბაძველებს, ისე ეხლა ყალბი ფულის მჭრელებს სიკვდილით სჯიდენ; ამისდაბიუხედავად ყოველ სარდაფში ქალაქის ფულის დასწავს ურულობდენ; შვეიცარიელებს მილიონობით შემოჰქონდათ ყალბი ასსიგნაციები; მთელი პაკეტები ისარჯებოდა ღუქნებში; ინგლისელებს ყოველდღე ყალბი ფულით გატენილი ტომრები გადმოჰქონდათ საფრანგეთის ნაპირებზე და რესპუბლიკის კრედიტის განადგურებასა და პატრიოტების გალატაკებას სცდილობდენ. ელოდის ეშინოდა ყალბი ქალაქის ფულის მიღებისა, კიდევ უფრო ეშინოდა რომ ამას ვერ შეამჩნევდა და მას პიტტის თანამოაზრედ გამოაცხადებდენ და ამიტომ ყოველ შემთხვევაში ფრთხილად იქცეოდა.

ევარისტმა ქალს შეხედა დაღვრემილი თვალებით, რომელნიც ყოველ ღამე მიღზე უკეთ ჰხატავენ სიყვარულს. ქალმა, მხატვარი ცოტა არ იყოს დამცინავი ტუჩების და შავი თვალების მოძრაობით აათვალიერა; ეს მოძრაობა იმას ჰხატავდა, რომ ქალი გრძნობდა, რომ ის უყვარდათ, რომ ეს მას სრულიადაც საწყენად არ მიაჩნდა, რომ მან იცოდა, რომ ასეთი გამომეტყველებით გააღიზიანებდა ყოველ შეყვარებულს, მის აღსარებას გამოიწვევდა და სიყვარულს გამოამჟღავნებებდა, თუ ჯერ კიდევ გამჟღავნებული არ ქონდა როგორც მაგალითად ამ შემთხვევაში იყო.

ქალმა ასიგნაციები კასაში ჩასდო და სამუშაო კალათიდან თეთრი შარტი ამოიღო, რომელიც უკვე დაწყებული ჰქონდა და ქარგვას შეუდგა. ის მუყაითი და კეკლუცი იყო და რადგან ინსტიქტიურად ნემსს თავის მოსაწონებლად იყენებდა და თავის საბკაულის გასაკეთებლათაც, სხვადასხვანაირად ქსოვდა მაყურებლის მიხედვით: ხალვათად ჰქარგავდა იმათთვის, ვისთვისაც ტკბილი კაეშანი უნდოდა ეგრძობინებინა; კაპრიზით მუშაობდა იმათ წინაშე, ვინც ცოტა არ იყოს სასოწარკვეთილს მდგომარეობაში უნდა ჩაეგდო. ახლა ევრისტისთვის ბეჯითად დაიწყო ქარგვა; მიტომ რომ უნდოდა მისთვის სერიოზული გრძნობა ჩაეგონებინა.

ელოდი არც ძლიერ ახალგაზრდა იყო და არც ძლიერ ლამაზი. პირველი შეხედვით უშნოდაც გეჩვენებოდათ: ის იყო შავგრემანი, თავზე წაქრული ჰქონდა დიდი თეთრი თავსაკრავი, საიდანაც შავი თმის ლურჯად მოელვარე კულულები მოსჩანდა, თვალები ნაკვერჩხალივით უბრწყინავდენ. რგვალი, მომლიმარი, ცოტა არ იყოს ბრტყელ სოფლოურ ვნებიან სახეზე მხატვარი ამჩნევდა მსგავსებას ბორგეზეს ფავნის თავთან, მის ღვთაებრივ სიანცესთან. ახელი ღიბილი აძლიერებდა მისი ტუჩების სიციბოველეს. მკერდი, რომელიც თითქო გაუღენთილი იყო აღერსით, არშიებით მოყოლებულ ხედატანს ათრთოლებდა. მას ჰქონდა მოქნილი წელი, ჩამოსხმული ფეხები და მთელი მისი სხეული ამოძრავებული იყო ველური და წარმტაცი გრაციით. მისი შეხედვა, სუნთქვა, კანის მთრთოლვარება, მთელი მისი არსება გულს მოუწოდებდა და სიყვარულს აღუთქვამდა. მაღაზიის დახლთან ის იძლეოდა ცეკვის ნიმფის იდეას ან ოპერის ბაქსიურ ქალისას, რომელსაც ფოცხვერის ტყავი განძარცოდა ყავარჯენი

და დაუნის გვირგვინი წართმეოდა და შარდენის უბრალო დიასახლისის გარეგნობა მიეღო რაღაც ჯადოქრობის წყალობით.

— მამაჩემი შინ არ არის, უთხრა ქალმა მხატვარს; დაუცადეთ ერთი წუთით; ის არ დაიგვიანებს.

პაწია ხელები ნემსს მარდათ უყრიდა ბატისტში.

— მოგწონთ თუ არა ნაქარვის სახეები, ბატონო გამლენ?

გამლენს არ შეეძლო პირფერობა. და სიყვარული, რომელიც მის გამბედაობას აცხოველებდა, მის გულწრფელობასაც აძლიერებდა.

— თქვენ მარჯვეთ ჰქარგავთ, ქალბატონო, მაგრამ თქვენ სახეებს აკლია უბრალოება, სიმარტივე და უფრო იმ ყალბ გემოვნებას შეეფერება, რომელიც წინათ არსებობდა საფრანგეთში მატერიის, ავეჯის და კედლის დეკორაციის ხელოვნებაში; ეს კვანძები, ეს გირლანდები იმ მშრალ და უძლურ სტილს გვაგონებს, რომელიც ტირანიის დროს იყო გაბატონებული. გემოვნება ახლდება. სამწუხაროდ ჩვენ შორიდან დავიწყეთ. ურცხვი ლუი XV დროს დეკორაციას რაღაც ჩინური ელფერი ჰქონდა. ვაკეთებდით რაღაც დიდ მუცლიან, მოგრებილ სახელოებთან კომოდებს, რომელნიც დღეს მხოლოდ პატრიოტების გასათბობათ თუ გამოდგებიან; მხოლოდ უბრალოებაა მშვენიერი. უნდა დავუბრუნდეთ ანტიურ სტილს. დავიდი საწოლებსა და სავარძლებს ეტრუსკული ლარნაკლებისა და ჰერკულანების სურათების მიხედვით ჰხატავს.

მე მინახავს ეს მშვენიერი საწოლები და სავარძლები, სთქვა ელოდიმ. ჩქარა სხვანაირს არავინ შეიძენს. თქვენსავით მეც ვაღბერთებ ანტიურ სტილს.

— მოქალაქე ელოდი, უპასუხა ევარისტმა: თქვენ რომ ეს შარფი ბერძნულად შეგემკათ, დაუნის ფოთლებით, გველებით ან გადაქდობილი ისრებით, ის ღირსი იქნებოდა სპარტიატისა და... თქვენი. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ეს მოდელი შეინარჩუნოთ, მხოლოდ ის გაამარტივოთ და სწორბახოვანი გახადოთ.

ქალმა ჰკითხა რის მოშორება იყო საჭირო.

კაცმა შარფს დახედა: მისი ლოყები შეეხო ელოდის კულულებს. მათი ხელები გადაიქდენ ბატისტის ქვეშ, მათი სუნთქვა შეერთდა. ევარისტი ამ წუთში უსაზღვრო სიხარულს გრძნობდა; მაგრამ როცა თავის ტუჩებთან ელოდის ტუჩები იგრძნო, მას შეეშინდა რომ ახალგაზრდა ქალისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა და უცებ უკან დაიხია.

მოქალაქე ბლეზის ქალს უყვარდა ევარისტ გამლენი. საუცხოვო მამაკაცად სთვლიდა მისი დიდი მწველი თვალებისა, მშვენიერი მოგრძო სახისა, ფერმიხდილობისა და ხშირი შავი თმისთვის, რომელიც ორად იყო გაყოფილი და მხრებზე სცემდა; მოსწონდა აგრეთვე მისი თავდაპერილობა, ოდნავ ცივი გამრეგნობა, სიმკაცრე, მტკიცე ლაპარაკი, რომელიც მოკლებული იყო პირფერობას. და რადგან ქალს ის უყვარდა, ეგონა რომ ზვიადი მხატვრის ნიქით იყო დაჯილდოვებული, რომელიც ერთ დღეს იფეთქებდა შედევის სახით და მამაშინ მას ის კიდევ უფრო შეიყვარებდა. ბლეზის ქალი არ იყო მამაკაცური მორცხობის თაყვანისმცემელი, მისი მორალი შეურაცხყოფილი არ იქნებოდა, თუ მამაკაცი თავის ვნებათა ღელვას, გემოვნებას და სურვილებს გაჰყვებოდა;

მას უყვარდა ევარისტის, რომელიც უმანკო იყო; მაგრამ უყვარდა არა ემისთვის რომ ის უმანკო იყო; ქალი ჰფიქრობდა, რომ ეს ერთგვარ უპირატესობას წარმოადგენდა, რადგან მას მომავალში იტვიანობისა და მოქიშპეებისაგან ანთავის სუფლებდა.

ყოველს შემთხვევაში ამ წუთში ქალმა იფიქრა, რომ ევარისტის ცოტა არ იყოს ზედმეტ თავდაჭერილობას იჩენდა. თუ რასინის არისია, რომელსაც პიპოლიტე უყვარდა, თაყვანს სცემდა ახალგაზრდა გმირის მკაცრ სათნოებას, მას იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს მაინც გაიმარჯვებდა; როგორც კი შემთხვევა იშოვა, თავისი სიყვარული გამოამჟღავნა სანახევროდ, რათა პიპოლიტე აფიქლებინა, რომ ყოველივე ეთქვა. ამ ნაზი არისიის მსგავსად ბლენის ქალს სწამდა, რომ სიყვარულში ქალმა უნდა სთქვას პირველი სიტყვა. ის თავის გულში ამბობდა: „ვისაც უფრო ძლიერ უყვარს, უფრო ვშიშარაა; მას დახმარება და გამხნეება სჭირია: სხვათა შორის ასეთი მანაკაციის გულწრფელობა ისეთია, რომ ქალს შეუძლია ნახევარი გზა განელოს, ნახევარზე მეტიც, ისე რომ მანაკაცი ვერც კი ამჩნევს და ჰგონია რომ გაბედულ შეტევას აწარმოებს ქალის წინააღმდეგ და დამპყრობელის სახელს იძენს“. ელოდი დამშვიდებული უცდიდა საქმის დასასრულს კიდევ მიტომ რომ, როგორც ნამდვილად იცოდა, ევარისტს, სანამ მას რევოლუცია გმირად გახდიდა, ძალიან ადამიანურად უყვარდა ერთი ქალი, სრულიად უბრალო არსება, აკადემიის კარის მცველი.

ელოდი სრულიადაც არ იყო გულუბრყვილო და ესმოდა, რომ სხვა და სხვა გვარი სიყვარული არსებობს. მისი გრძნობა ევარისტისადმი იმდენად ღრმა იყო, რომ მას ახრად ჰქონდა მასთან დაეკავშირებია თავისი ცხოვრება. მზად იყო მას ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ ეგონა რომ მამა არ დასთანხმდებოდა თავისი ერთად ერთი ქალის შეუღლებას უცნობ და ღარიბ მხატვართან. „მხატვარი ამური“ მას ბევრს აძლევდა, სპეკულიაცია კიდევ მეტს და ამას გარდა მოქალაქე ბლენი ამხანაგად იყო ერთ მოიჯარადრესთან, რომელიც რესპუბლიკის ცხენოსან ჯარს სელის ჩექმებსა და დასველებულ ქერს აწვდიდა. ბოლოს სენ დომინიკის ქუჩის მედანიის შვილი პატარა პიროვნება იყო გრაფიურების გამომცემლის წინაშე, რომელიც მოელს ევროპაში იყო ცნობილი, დანათესავებული იყო ბლენობთან, ბაზანებთან, დიდოებთან და ხშირად დადიოდა მოქალაქე სენ პიერს და თლორიანთან. როგორც მორჩილ ქალს, მას მამის დასტური აუცილებლად მიაჩნდა საკუთარი ოჯახის მოსაწყობათ. მამა მისი, ნაადრევად დაქვრივებული, ხარბი და აჩქარებული გუნების ადამიანი, ქალების მიმდევარი, საქმის კაცი, არასოდეს არ დაინტერესებულა თავისი შვილით, თავისუფლად ზრდიდა მას, არ აძლევდა არც რჩევას, არც მგობრობას და სცდილობდა ნაკლებ შეეწუხებია თავი ამ ქალის ყოფაქცევის გამო; როგორც ქალების მცოდნე, მოქალაქე ბლენი აფასებდა მის ფიცხელ ტემპერამენტს და სხვა მომხიბლავ თვისებებს. რომელნიც უფრო ძლიერია, ვიდრე ლამაზი სახე. ქალი იმდენად სულგრძელი იყო, რომ სიყვარულში თავის თავს არ ზოგავდა, ამასთანავე იმდენად ჰკვიანი, რომ თავის თავს არ დალუპავდა; ის გონიერი იყო სიგიჟეში და სიყვარულის მადა არასოდეს არ ავიწყებებდა სოციალური რიგიანობის საზღვრებს. მამა მეტად კმაყოფილი იყო

მისი გონიერებით; რადგან ქალმა მისგან მემკვიდრეობით მიიღო ^{საშერაცოული} ნიჭი და საქმიანობის სიყვარული, ის არ ეძებდა საიდუმლო მიზეზებს, რომელიც ამ მოწიფულ ქალის გათხოვებას აგვიანებდა და ოჯახში სტრუქტურულად ის ერთს გამზრდელისა და ოთხ ნოქარის საქმეს მაინც აკეთებდა. ^{სტრუქტურული} წლის ქალი, თავის თავს იმდენად მომწიფებულად და გამოცდილად სთვლიდა, რომ საჭიროდ აღარ მიაჩნდა თავისი ახალგაზრდა, თავქარიანი და გონება დაბნეულ მამისთვის რჩევა ეკითხა ან მის ნებაზე ევლო. მაგრამ თუ უნდოდა, რომ ის გამლენზე გათხოვილიყო. საჭირო იყო რომ ბატონ ბლეზს ეზრუნა თავისი სიძის ბედისთვის, სამუშაო მიეცა მისთვის, როგორც სხვა მხატვრებს აძლევდა, ბოლოს ასე თუ ისე მისთვის, ცხოვრების საღსარი შეექმნა; ეს კი მას შეუძლებლად მიაჩნდა: მამა არაფერს შესთავაზებდა, ევარისტი არაფერს მიიღებდა, იმდენად ნაკლებ თანაუგრძნობდა ერთმანეთს ეს ორი ადამიანი.

ეს დაბრკოლება აფერხებდა ნაზ და გონიერ ელოდის. მას არ ეშინოდა იმ აზრისა, რომ თავის მეგობარს ფარულად შეუკავშირდებოდა და ბუნების შემომქმედს თავიანთ აღთქმის ერთად ერთ მოწმედ აიყვანდა. მისი ფილოსოფია არ სძრაბხავდა ასეთ კავშირს, მით უმეტეს რომ ის დამოუკიდებელ ცხოვრებას ატარებდა, ხოლო ევარისტს პატიოსანი და სათნო ხასიათი ჰქონდა: მაგრამ გამლენს უჭირდა თავის თავის და მოხუცი დედის შენახვა; ასეთ შევიწროებულ მდგომარეობაში თითქო ადგილი აღარ რჩებოდა თვით უბრალო ბუნებრივი სიყვარულისთვისაც. ამასგარდა ევარისტს მისთვის არც თავისი გრძნობები გამოუცხადებია, არც თავისი ზრახვები გაუნაწილებია. მოქალაქე ბლეზის ქალს იმედი ჰქონდა, რომ ვაჟს აიძულებდა თავისი სიტყვა ეთქვა ცოტა ხნის განმავლობაში.

ქალმა უცებ შეაჩერა თავისი აზრების მიმდინარეობა და თავისი ნემსი:

— მოქალაქე ევარისტ, სთქვა მან, ეს შარფი მე მხოლოდ იმდენად მომეწონება, რამდენადაც თქვენ მოგწონთ. გათხოვთ მოდელი დამიხატოთ. მანამდე კი მე, როგორც პენელოპე, დავარღვევ რაც უთქვენოდ მომიქარგავს.

ქალმა უბასუხა პირქუში ენტუზიაზმით:

— ვეცდები, მოქალაქის ასულო. დაგიხატავთ ჰარმოდიუსის მახვილს: ხანჯალს ყვავილების გვირგვინში.

შემდეგ ფანქარი ამოიღო და ხანჯლებისა და ყვავილების ესკიზები გააკეთა თავისი საყვარელი ფხიზელი და უბრალო სტილის მიხედვით. ხატვის დროს თავის შეხედულებებს ანვითარებდა.

— აღორძინებულმა ფრანგის ხალხმა უნდა უარჰყოს ყოველივე, რაც მონობის მიერ არის ნაანდერძევი: ყალბი გემოვნება, ყალბი ფორმა, ყალბი მოსახულობა. ვატტო, ბუშე, ფრაგონარი ტირანებისა და მონებისთვის მუშაობდნენ. მათ ნახატებში არ არის არც კარგი სტილის გრძნობა, არც სუფთა ხაზის წარმოდგენა; წილი არ უძევს არც ბუნებრივობას, არც კემშარიტებას. ყოველგან ნილაბები, ტიკინები, ჩვრები, მაიმუნობა. მომავალი თაობა ზიზლით მოიხსენიებს ამ ფრივოლურ ნახატებს. ას წელიწადში ვატტოს სურათები განადგურდებიან სარდაფებში; 1893 წელს მოწაფეები თავიანთი ეტიუდებით დაპ-

ფარავენ ბუშეს ტილოებს. დავიდმა ახალი გზა გაჰკაფა: ის ანტიურ სტილს უახლოვდება; მაგრამ ის კიდევ საკმაოდ უბრალო, საკმაოდ დიდი, საკმაოდ ნატიფი არ არის. ჩვენმა მხატვრებმა ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოება უნდა შეისწავლონ პერკულანუმის სამეცნიეროებისა, რომელთა ბარელიეფებისა, ინსკრიფციების ქურჭლისგან.

მან დიდხანს ილაპარაკა ანტიურ სილამაზეზე, შემდეგ ფრაგონარს დაუბრუნდა, რომელსაც დაუცხრომელი სიძულვილით სდევნიდა:

— იცნობთ თუ არა ამ მხატვარს, მოქალაქის ასულა?

ელოდიმ ანიშნა, რომ იცნობდა.

— თქვენ ალბათ იცნობთ აგრეთვე ახირებულ გრეხს, რომელიც მეტის მეტად სასაცილოა თავისი ძოწის ფერი ტანსაცმელითა და მახვილით. მაგრამ ის მაინც ბერძენი ფილოსოფოსია ფრაგონართან შედარებით. ამ ცოტა ხნის წინათ გზაზე შემხვდა ეს საზიზღარი ბერიკაცი, რომელიც პალე ეგალიტეს თაღებს ქვეშ მიათრევდა ფეხებს, პუდრით იყო შეთხუბნული, აშოკის შეხედულება ჰქონდა და უშნოდ იმანჭებოდა და იღრიჭებოდა. მის დანახვაზე ვისურვე, რომ რადგან აპოლონი აღარ არის, ხელოვნების რომელიმე მეგობარმა ის ხეზე ჩამოჰკიდოს და გაატყაოს, როგორც მარსიასი, და ამით ცუდ მხატვრებს მუდმივი მაგალითი მისცეს.

ელოდი ჩააშტერდა მხიარული და ვნებიანი თვალებით:

— თქვენ იცით სიძულვილი, ბატონო გამლენ, მაგრამ შეგიძლიათ თუ არა აგრეთვე...

ეს თქვენა ხართ გამლენ? იკითხა ტენორის ხმამ, მოქალაქე ბლეზის ხმამ. ის მალაზიაში შემოვიდა ჩექმების კრიალით, საათის ძეწკვის წკრიალით, ტანსაცმელის კალთების ფრიალით; თავზე ეხურა უზარმაზარი შავი ქუდი, რომლის ფრთები მხრებზე სცემდა.

ელოდიმ კალათი აიღო და თავის ოთახში ავიდა.

— მომიტანეთ რაიმე ახალი, გამლენ? იკითხა მოქალაქე ბლეზმა.

— შეიძლება, სთქვა მხატვარმა.

შემდეგ მან გააცნო თავისი იდეა:

— ჩვენი სათამაშო ქალაქი მძაფრად ეწინააღმდეგება დღევანდელ ზნე-ჩვეულებებს. ვალეტებისა და მეფეების სახელები შეურაცყოფენ პატრიოტის სმენას. მე მოვიგონე და შევასრულე ახალი რევოლუციური სათამაშო ქალაქი, რომელშიც მეფეების, ქალების, ვალეტების როლს თავისუფლებანი, თანასწორობანი, ძმობანი ასრულებენ; წნელ შემორტყმულს კიკოებს კანონები ჰქვია... თამაშობის დროს თქვენ აცხადებთ ჯვრის თავისუფლებას, ყვავის თანასწორობას, აგურის ძმობას, გულის კანონიერებას... მე მგონია, რომ ეს ქალაქი საკმაოდ რელიეფურად გამოვა; ახლა ვფიქრობ დემიის გადავსცე გამოსაჭრელი და შემდეგ პატენტს ავიღო.

მხატვარმა კარტონიდან გამოიღო რავდენიმე აკვარელით დახატული ფიგურა და გრაფიურების გამყიდველს გაუწოდა.

მოქალაქე ბლეზმა უარი სთქვა მათ მიღებაზე და პირი იბრუნა.

— ჩემო კარგო, წაუღეთ ეს კონვენტს, რომელიც საგანგებო სხდომას
გიძღვნით. მაგრამ იმედს ნუ იქონიებთ, რომ ერთს გროსს მიიღებთ თქვენი
მოგონებისთვის, რომელიც სრულიად არ არის ახალი. თქვენი დიუგურობით გა-
მოღვიძება. თქვენი სათამაშო ქალაქი შესამეა, რომელიც მხოლოდ მხოლოდ თქვენ-
მა ამხანაგმა დიუგურმა უკანასკნელ კვირაში ქალაქი შემომთავაზა ოთხი
გენით, ოთხი თავისუფლებით, ოთხი თანასწორობით. მეორე წინადადებაში
ბრძნები, მამაცები, კატონები, რუსსოები და სხვა ამგვარები იყვენ. და ამ სა-
თამაშო ქალაქს თქვენის სურათების წინაშე ის უპირატესობა ჰქონდა, რომ
ტლანქი მობაზულობა ჰქონდა და ხეზე იყო ამოჭრილი. რა ცუდიათ იცნობთ
ადამიანებს თუ გგონიათ, რომ მოთამაშეები ამ ქალაქს იხმარენ, რომელიც
დავიდის გემოვნებაზეა გამოსაზუსტი და ბარტოლოცის მანერაზე ამოჭრილი!
ამას გარდა უცნაური ილლუზიაა იმის ფიქრი, თითქო ამდენი ფასონია საჭირო
ძველი სათამაშო ქალაქის შესაგუებლად ახალ იდეებთან. ნაღდი სანკიულო-
ტები თვითონ ასწორებენ ძველი ფიგურების მოქალაქეობას, როცა მეფის მა-
გივრად აცნადებენ: „ტირანი!“ ან უბრალოდ: „მსუქანი ლორი!“ ისინი გაქო-
ნილ ქალაქს ხმარობენ და არასოდეს სხვას არ ყიდულობენ. ყოველგვარ სა-
თამაშოებზე დიდძალი მოთხოვნაა პალე-ეგალიტეს სათამაშო სახლებში:
მე თქვენ გირჩევთ იქ მიხვიდეთ და კრუპიეებს შესთავაზოთ თქვენი თავისუფ-
ლებანი, თქვენი თანასწორობანი, თქვენი... როგორ სთქვით?... გულის კანონე-
ბი... და შემდეგ მიამბეთ როგორ მიგიღეს!

მოქალაქე ბლუში კანტორაზე ჩამოჯდა, წკიპურტი ჰკრა თავის შარვალს, რა-
თა თამბაქოს მტვერი მოეშორებინა და გამლენს თანაგრძნობით შეხედა:

— ნება მომეცით ერთი რჩევა მოგცეთ, მოქალაქე მხატვარო: თუ გინდათ
თავი ირჩინოთ, დაეხსენით თქვენს პატრიოტულ სათამაშო ქალაქს, დაეხსე-
ნით თქვენს რევოლუციურ სიმბოლოებს, პერკულესებს, გველვეშაპებს, ფერიებს,
რომელიც დანაშაულს სდევნის, თავისუფლების გენიებს და მშვენიერი ქალები
მიხატეთ. დროთა მიმდინარეობა მოქალაქეებში ანელებს აღორძინების ცეცხლს,
მამაკაცებს კი ქალები ყოველთვის ეყვარებათ. გამიკეთეთ ვარდისფერი ქალები
პაწია ფეხებითა და პაწია ხელებით. და გაიგეთ, რომ რევოლიუცია აღარავის
აინტერესებს და აღარავის სიტყვის გაგონებაც არ სურს მის შესახებ.

ევარისტ გამლენი აღშფოთდა:

— რაო! ნუღარ ვილაპარაკებთ რევოლიუციაზე?... თავისუფლების დამყა-
რება, ჩვენი ჯარების გამარჯვება, ტირანების დასჯა ისეთი მოვლენებია, რო-
მელიც გააკვირვებს შორეულ მემკვიდრეებს! როგორ შეიძლება, რომ ჩვენ ყო-
ველივე ამან არ აგვაღელვოს? რაო! სანკიულოტი! იესოს სექტამ თვრამეტი საუ-
კუნე იარსება, ხოლო თავისუფლების კულტი ოთხი წლის არსებობის შემდეგ
მოისპობა?

ქან ბლუზმა გამარჯვებულის სახით უპასუხა:

— თქვენ სიხმარში ხართ, მე კი სინამდვილეში. მერწმუნეთ, ჩემო მეგო-
ბარო, რევოლიუციამ თავი მოგვაწყინა: ის დიდხანს გრძელდება. ხუთი წლის
ენტუზიაში, ხვევნი — კოცნი, ხოცვა-ჟლეტი, კამათი, მარსელიონა, ნობათი, ფან-

რის ბოძებზე ჩამოკიდებული არისტოკრატები, შუბებზე ჩამოცმული თავები, ზარბაზნებზე შემჯდარი ქალები, თავისუფლების ხეებზე ჩამოცმული წითელი ჩაჩები, თეთრ სამოსიანი ახალგაზრდა ქალები და მოხუცები, რომელნიც უვავი-ლებით შემკულ ეტლებში შიჰყავს; დატუსალება, გილიოტინა, შუკის ქორტები, აფიშები, კოკარდები, ჯილიანი ქუდები, ხმლები, კარმანიოლები, — ეს მეტი მეთია. ამას გარდა ნელნელა ყოველივე ეს გაუგებარი ხდება; ჩვენ ბევრი დიდი მოქალაქე გვახსოვს, რომელიც თქვენ კაპიტოლში შეიყვანეთ, რათა შემდეგ ტარ-პეის კლდიდან გადაგეჩებათ, ნეკერი, მირაბო, ლათაიეტი, ბაიი, პესიონი, მანუ-ელი და სხვები. ვინ არის თავმდები, რომ იმავე ბედს არ უმზადებთ თქვენს ახალს გმირებს?.. ეს არავინ იცის.

— დამისახელეთ, მოქალაქე ბლებზე, დამისახელეთ ეს გმირები, რომელ-ნიც ჩვენ გვინდა გავსწიროთ! სთქვა გამლენმა ისეთი ტონით, რომელმაც გრა-ვიურების გამყიდველს გაახსენა, რომ მას მეტი სიფრთხილუ მართებდა.

— მე რესპუბლიკელი და პატრიოტი ვარ, უპასუხა მან და ხელი გულზე და-იდო. მეც ისეთი რესპუბლიკელი და პატრიოტი ვარ, როგორც თქვენ, მოქა-ლაქე ვგარისტ გამლენ. მე ვჭვი არ მაქვს თქვენს მოქალაქობრივ სათნოებაში და სრულიადაც არ გაბრალებთ შერყეობას. მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემი მოქალა-ქობრივობა და საზოგადო საქმის ერთგულება დამოწმებულია მრავალი აქტე-ბით. აი ჩემი პრინციპები: მე ნდობას ვუცხადებ ყოველ პიროვნებას, რომელ-საც ნიჭი შესწევს რომ ერს ემსახუროს. იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც ხალხის ხმა კანონმდებლის სასიფათო პატივს ანდობს, მარატის, რომესპიერის წინაშე თავს ვიხრი: მზად ვარ მათ ჩემი სუსტი ძაღლონით დავებმარო და პა-ტიოსანი მოქალაქის მცირედი თანამშრომლობა შევსთავაზო. კომიტეტებს შე-უძლიათ ჩემი გულმოდგინება და ჩემი ერთგულება დაამოწმონ. ნამდვილ პატ-რიოტებთან ერთად მე ქერსა და ფურრავს მოვაწოდებ ჩვენს მამაც კავალე-რიას, ხოლო ჩექმებს ჯარისკაცებს. დღესაც ვერნონიდან სამოცი ხარი გავუბ-ხავნე სამხრეთის არმიას ისეთი გზით, რომელსაც ყაჩაღები და პიტტის და კონ-დეს ემისარები უთვალთვალევენ. მე როდი ვყბვდობ, მე ემოქმედობ.

გამლენმა თავისი აკვარულები წყნარად ჩასდო კარტონში, შემდეგ შეჰკრა და ილლიაში ამოიღო.

— ეს უცნაური წინააღმდეგობაა, ჩაილაპარაკა მან, ერთი მხრით კაცი ჩვენ ჯარისკაცებს ემარებოდეს, რომ მათ მთელ დედამიწის ზურგზე დაამყა-რონ თავისუფლება, ხოლო მეორე მხრივ ამავე თავისუფლებას დალატობდეს და მისი დამცველების გულში მოუსვენრობასა და ურწმუნოებას სთესდეს... მშვი-დობით, მოქალაქე ბლებ.

სანამ ის ქუჩაში შეუბვევდა, ორატორიას რომ მისდევს, გამლენმა, რომელ-საც გული სიყვარულათა და სიბრაზით ჰქონდა აღსავსე, პირი იბრუნა და თვალი გადაავლო წითელ მიხაკებს, რომელნიც ერთი ფანჯრის ფიცარზე ჰყვა-ოდენ.

იმას სამზობლოს ხსნის იმედი არ ჰქონდა წარკვეთილი. ჟან ბლენის არა-პატრიოტულ სიტყვებს რევოლიუციურ რწმენას უპირდაპირებდა. მაგრამ ის

სცნობდა, რომ ამ ვაჭარს ერთგვარი საბუთი ჰქონდა, როცა ფიქრობდა, რომ პარიზის ხალხი წინანდელი ინტერესით აღარ ეკიდებოდა მოვლენებს. სავალალოდ დარწმუნებული იყო, რომ პირველი წუთების ენტუზიაზმს საყოველთაო გულგრილობა მოჰყვებოდა და ველარავინ იხილავდა ათინ შვედს, რომელიც ცხრა წლის დიდს ერთსულოვან ბრბოებს, ველარავინ იხილავდა ჰარმონიულ მილიონ სულს, რომელიც ორმოცდაათში გარს ერტყმოდა ფედერალისტების საკურთხეველს. მაგრამ არა უშავს! ნამდვილი მოქალაქეები გააორკეცებენ გულმოდგინეობას და გამბედაობას, გააღვიძებენ მიძინებულ ხალხს და მას არჩევანს შესთავაზებენ თავისუფლებასა და სიკვდილს შორის.

ასე ოცნებობდა გამლენი, ხოლო ფიქრი ელოდიზე მას ამხნევებდა.

როცა სენის სანაპიროებს მიადწია, მან შეამჩნია, რომ მზე ჩადიოდა მძიმე ღრუბლებს იქით, რომელნიც გავარვარებულ თღროფისს ჰგავდნენ: ქალაქის სახურავები სცურაობდნენ ოქროს სინათლეში; ფანჯრების შინები პრიალეზდნენ და გამლენმა წარმოიდგინა, რომ დევგმირები ძველი ქვეყნებისა აღგზნებული ნამტვრევებიდან ბრინჯაოს ქალაქს, დიცეას, სჭედავდნენ.

თუმცა მას პურის ნაჭერი არ ჰქონდა და არც დედისთვის, არც თავის თავისათვის, მაგრამ ოცნებობდა რომ დაუბოლოვებელ სუფრას მიუჯდებოდა, სადაც მთელი მსოფლიო იქნებოდა მოპატივებული და მთელი აღორძინებული კაცობრიობა მოთავსდებოდა. მანამდის კი სამშობლო როგორც კეთილ დედას თავის ერთგულ შვილს გამოჰკეებავდა. ის გულს არ იტებდა გრავიურების გამყიდველის უყურადღებობის გამო და თავის თავს არწმუნებდა, რომ მისი იდეა რევოლიუციური სათამაშო ქალაქისა ახალი და კარგი იყო და მისი დამთავრებული აკვარელები განხორციელებულ ბედნიერებას წარმოადგენდა. დემაი გრავიურებს გააკეთებს, ჰფიქრობდა ის. ჩვენ თვითონ გამოვსცემთ ახალ პატრიოტულ სათამაშო ქალაქს და უეჭველია რომ ერთი თვის განმავლობაში ათი ათასს ცალს გაეყიდით, ოც სუთ თითოს.

ის მოუთმენლად ფიქრობდა ამ პროექტის განხორციელებაზე და ამიტომ ჩქარის ნაბიჯით გაემართა ფერრის ქუჩისკენ, სადაც დემაი სცხოვრობდა, მინის ჩამდგმელის ზემოთ.

შესასვლელი მხოლოდ დუქნიდან იყო. მინის ჩამდგმელის ცოლმა გამლენს შეატყობინა, რომ მოქალაქე დემაი შინ არ იყო; ამ ამბავმა მხატვარი ოდნავაც არ გააკვირვა; მან იცოდა, რომ მის მეგობარს ხეტიალი უყვარდა; გასაკვირალი ის იყო, რომ მას ამდენი და ასეთი კარგი გრავიურების გაკეთება შეეძლო სიზარმაცის მიუხედავად. გამლენმა გადასწყვიტა ცოტათი დაეცადა. მინის ჩამდგმელის ცოლმა მას სკამი შესთავაზა. ის ცხვირჩამოშვებული იყო და ჩიოდა რომ საქმე ცუდათ მიდიოდა, თუმცა რევოლიუციის შესახებ იმბობდნენ, რომ ის ფანჯრებს ამტვრევდა და მინის ჩამდგმელებს ამდიდრებდა.

ლამდებოდა: გამლენმა იფიქრა, რომ მეტი ლოდინი აღარ ღირდა და გამოეთხოვა მინის ჩამდგმელის ცოლს. როცა ახალ ხიდზე გადიოდა, მორფონდიეს ქუჩიდან მომავალი ცხენოსანი გვარდიელები დაინახა, რომელნიც უკან აწვებოდნენ გამვლელებს და ლამპრებით ხელში და ხმლების ჩხარუნით მისდევდნენ

საბარგო ეტლს, რომელსაც გილიოტინისკენ უცნობი კაცი მიჰყავდა. ყოფილი კეთილშობილი, პირველი დასჯილი ახალი რევოლუციური ტრიბუნალისა. ის ოდნავ სჩნდა გვარდიელების ქუდებს შუა, დამჯდარი იყო, ხელები უჭურჭურჭე ჰქონდა შეკრული, შიშველ თავს არხევდა და პირით უკანა კრუცსკენს მობრუნებული. ჯალათი მის გვერდით იდგა ქავლებზე დაყრდნობილი. გამვლელები ჩერდებოდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ რომ ეს ალბათ ერთი იმათგანია, ვინც ხალხს ამშვესო და დასასჯილს გულგრილად შესცქეროდნენ. გამლენი ბრბოს მიუახლოვდა და მაყურებლებს შორის დემაი იცნო, რომელიც სცდილობდა ბრბო გაერღვია და კორტეჟიდან თავი დაეღწია. მხატვარმა დაუძახა და მხრებზე ხელი დაადო; დემაიმ მოიხედა. ის ლამაზი, ღონიერი ვაჟკაცი იყო. აკადემიაში ამბობდნენ, რომ ის ბახუსის თავს ატარებდა ჰერკულესის მხრებზე. მეგობრებმა მას „ბარბარუ“ დაარქვეს, მიტომ რომ ამ სახალხო წარმომადგენელს წაიგავდა.

— აქ მოდი, უთხრა გამლენმა: ერთ მნიშვნელოვან საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

— თავი დამანებე! უპასუხა გაცხარებით დემაიმ. და მან რავდენიმე გაურკვეველი სიტყვა წამოისროლა, ისე რომ თითქო შესაფერ წუთს უცდის გასაქცევადო:

— მე ერთ ღვთაებრივ ქალს მივსდევდი, რომელსაც ჰილოფის ქუდი ეხურა; მოდების მალაზიის მოსამსახურე უნდა ყოფილიყო; ქერა თმა ხურგზე სცემდა: ამ დაწყვედილმა საბარგო ეტლმა დამაშორა. წინ გამისწრო, ახლა ალბათ ხიდის ბოლოშია!

გამლენი შეეცადა ხელი ჩაეჭიდა ტანსაცმელში, ფიცულობდა, რომ მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა.

მაგრამ დემაი უკვე გაძვრა ცხენებსა, გვარდიელებსა, ხნლებსა და ლამპრებს შუა და მოდების ქალს გამოუდგა.

IV

დილის ათი საათი იყო. აპრილის მზე სინათლეში ჰბანდა ხეების ნორჩ ფოთლებს. წინა ღამის ქარიშხლით გამსუბუქებულ ჰაერს საუცხოვო სიტკბოება ჰქონდა. დროგამოშვებით „ქერივების ხეივანში“ ცხენოსანი გაივლიდა და მარტოობის სიჩუმეს არღვევდა. ჩრდილოვანი ხეივნის ბოლოში „მშვენიერი ლილევი ქალის“ ქობის პირდაპირ ევარისტი ხის სკამზე იჯდა და ელოდის ელოდა. იმ დღიდან მოყოლებული, როცა მათი ხელები შარფის რბილ ნაოქებში გადაეკვდნენ, ხოლო მათი სუნთქვა შეერთდა, ის აღარ მისულა „მხატვარ ამურში“. მთელი კვირის განმავლობაში მას თავი შორს ეჭირა ელოდისაგან ამაყი სტოიციზმისა და ველური მორცხობის გამო. მან ქალს სერიოზული, სევდიანი, აღგზნებული წერილი მისწერა, რომელშიც მოქალაქე ბლეხს ბრალს სდებდა, თავის სიყვარულს და თავის ტანჯვას მალავდა და აცხადებდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა არასოდეს აღარ მისულიყო გრავიურების მალაზიაში;

ის ამ გადაწყვეტილებაში ისეთ სიმტკიცეს იჩენდა, როგორსაც შეყვარებული ქალი ვერ მოიწონებდა.

ელოდის სულ სხვანაირი ბუნება ჰქონდა, ყოველ გარემოებაში იცავდა თავის საკუთრებას და ამიტომ გადასწყვიტა მაშინვე უკან დაეხრებინა თავისი შეგობარი. ქალი ჯერ ჰფიქრობდა მასთან ატელიეში წასულიყო ტიონვილის მოედანზე. მაგრამ რადგან მას ფეცხი ხასიათი ჰქონდა და როგორც წერილზე ეტყობოდა ახლა გაბრაზებული იყო, მას შეეძლო მამის გულის ჯავრი ქალზეც ამოეყარა და გადაეწყვიტა არასოდეს აღარ ენახულებია ისინი. ამიტომ ელოდომ იფიქრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ სანტიმენტალურ და რომანტიულ პაემანს დაუნიშნავდა, რომელსაც ვაჟი ვერ გაეჭკვოდა და სადაც ქალს დრო ექნებოდა დაჯერებისა და თავის მოწონებისათვის, სადაც განმარტობა მას ხელს შეუწყობდა ვაჟის მოხიბლვასა და დამარცხებაში.

იმ დროს ყველა ინგლისურ ბალებსა და სასეირნო ადგილებში შეხვდებოდი მცოდნე არქიტექტორის მიერ გაკეთებულ ქოხს, რომელიც აკმაყოფილებდა მოქალაქეების სოფლისადმი მისწრაფებას. „მშენიერი ლილეო ქალის“ ქოხი, რომელიც ლიმონათის გამყიდველს ქონდა დაჭერილი, ხელოვნურად გაკეთებულ ძველ კოშკის ნანგრევებზე იყო ამოყვანილი და სოფელურ სილამაზეს ისტორიულ ნაშთების მელანქოლიას უკავშირებდა. თითქო მგრძნობიარე ადამიანების გულის ასაჩუყებლად ქოხი და დანგრეული კოშკი საკმაო არ ყოფილიყოს, ლიმონათის გამყიდველს ტირიფის ქვეშ საფლავის სვეტი აემართა, რომელსაც ზემოდ სამგლოვიარო ურნა ედგა და შემდეგი წარწერა ამწვენებდა: „კლეონისა თავის ერთგულ აზორს“. ქოხები, ნანგრევები, საფლავები! დაღუპვის წინ არისტოკრატთა მამაპაპისეულ პარკებში ამართა ეს სიმბოლოები სიდატაკისა, განადგურებისა და სიკვდილისა. და ახლა პატრიოტი მოქალაქეები სმისა, ცეკვისა და სიყვარულის სიამოვნებას ეძლეოდნენ ყალბ ქოხებში, ყალბ მონასტრების ნანგრევების ჩრდილში, ყალბ საფლავებს შორის, მიტომ რომ ესენიც იმ არისტოკრატებივით ბუნების მოყვარულნი და ჟან-ჟაკის მოწაფეები იყვნენ და მათსავით მგრძნობიარე და ფილოსოფიით აღსავსე გულები ჰქონდათ.

ევარისტი პაემანზე დანიშნულ დრომდე მოვიდა, ჩამოჯდა და დროს ხომგას შეუდგა გულის ძვერის მიხედვით, თითქოს საათის ტაკიტუკი ყოფილიყოს. გაიარეს დარაჯებმა; ტუსალები მიჰყავდათ. ათი წუთის შემდეგ ქოხში შემოსურდა ვარდისფრად ჩაცმული ქალი, რომელსაც ხელში, ჩვეულების მიხედვით, უვაილებს თაიგული ეჭირა; მას თან ახლდა კავალერი, რომელსაც სამკუთხედი ქუდი ეხურა, წითელი ტანსაცმელი და ზოლებიანი ეილეთი და შარვალი ეცვა; ორივენი ისე ძლიერ ჰგვანდნენ ძველი რეჟიმის მოაშიკეებს, რომ კაცს მოქალაქე ბლესივით უნდა ეფიქრა, რომ ადამიანში არის თვისებები, რომელსაც რევოლიუცია არ სცვლის.

რავდენიმე წუთის შემდეგ გამლენის გვერდით სკამზე ჩამოჯდა ხნიერი ქალი, რომელიც რუელიდან ან სენკლუდან უნდა ყოფილიყო მოსული: ხელში ჭრელად შეღებილ ცილინდრიული ყუთი ეჭირა; მან წინ დაიდგა თავისი ყუთი, რომლის სახურავზე „ბედის ამოსაღები“ ნემსი იყო მიმაგრებული. ეს ღარიბი

ქალი ბაღებში ბედს უწინასწარმეტყველებდა პაწია ბავშვებს. ის ~~არა~~ „სიამოვნებათა“ გამყიდველი, რომელიც ახალი სახელით ძველებზე „სეფისკვერის“ ასახვებდა; ეს უხსოვარ დროინდელი ტერმანი შეკავშირებული იყო მსხვერპლის შეწირვის და ვალდებულის იდეასთან, ხალხს კი მოსწყინდა ძველი სახელი და არჩია „სეფისკვერისათვის“ სიამოვნება ეწოდებინა.

დედაბერმა წინსაფარის კუთხით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ხეცას შესჩივლა, რომ ღმერთი უსამართლოა და თავის გაჩენილს ასეთ მძინე ცხოვრებას უქმნის. მის ქმარს დუქანი ჰქონდა სენკლუში მდინარის ნაპირას, თვითონ ის კი ყოველ დღე ელისვის ნინდორზე მოდიოდა, თავის სატკაცუნას აქნევდა და გაიძახოდა: „აი სიამოვნება, ქალბატონებო.“ და მთელი ამ შრომით ისინი თავს ძლივს ირჩენდნენ სიბერის დროს.

დედაკაცმა იგრძნო, რომ მის მეზობელს ის შეებრაღა და დაიწყო დაწვრილებით თავის უბედურების მიზეზის ახსნა. რესპუბლიკა მდიდრებს სძარცვავდა და მაშასადამე ღარიბებსაც საჭმელ პურს ართმევდა. და არავითარი იმედი არ იყო, რომ მდგომარეობა გამოკეთდებოდა. პიროქით, მრავალი ნიშნის მიხედვით ის დარწმუნებული იყო, რომ საქმე თან და თან გაუარესდებოდა. ნანტერში ერთმა ქალმა გველისთავიანი ბავშვი შობა; რუელის ეკლესიას მეხი დაეცა და სამრეკლოს ჯვარი გაადნო: შავილის ტყეში მგელ-კაცი ნახეს. ნილაბიანი კაცები წყაროებს სწამლავდნენ და ჰაერში ფხვიერს აბნევდნენ, რომელიც ავადმყოფობას იწვევდა...

ევარისტმა თვალი მოჰკრა ელოდის, რომელიც ეტლიდან ჩამოდიოდა, ის გაიტკა მისკენ. ახალგაზრდა ქალის თვალები ბრწყინავდნენ ჩალის ქუდის გამსჭვირვალე ჩრდილში; მისი მომლიმარე ტუჩები მიხაკივით წითელნი იყვნენ მას რომ ხელში ეჭირა. მკერდზე გადაჯვარედინებული შავი აბრეშუმის შარფი ზურგზე იყო გამოსკვნილი. ყვითელი კაბა ნათლად ააშკარავებდა მისი მუხლების ჩქარს მოძრაობას და უქუსლო ფეხსაცმელებით შემოსილ ფეხებს; თედოები გარკვევით იხატებოდნენ: რევოლუციამ გაანთავისუფლა მოქალაქე ქალების ტალია; ამისდამიუხედავად გაფართოებული ქვედატანი სხეულის ფორმებს ფარავდა და სინამდვილის შესახებ გადაჭარბებულ წარმოდგენას ჰქმნიდა.

ვაჟს უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა და თავის თავზე გული მოსდიოდა, ელოდის კი ეს დაბნევა უთბილეს შეხვედრას ერჩია. ქალმა აგრეთვე შეამჩნია და კარგ ნიშნად მიიღო ის გარემოება, რომ ვაჟს თავისი ყელსახვევი ჩვეულებრივზე უფრო ლაზათიანად ჰქონდა გამოსკვნილი. ქალმა მას ხელი გაუწოდა.

— ნინდოდა თქვენი ნახვა, თქვენთან ლაპარაკი, სიტყვა მან. თქვენს წერილზე არ გიბასუხეთ: ის არ მომეწონა, იქ თქვენ ვერ გიპოვეთ. ის უფრო სასურველი იქნებოდა, უფრო ბუნებრივი რომ ყოფილიყო. ეს თქვენი ხასიათისა და თქვენე კატის უმართებულო დაფასება იქნებოდა მე რომ მეფიქრა, რომ თქვენ იმიტომ არ გსურთ „მხატვარ ამურის“ მაღაზიაში მოსვლა, რომ იქ პოლიტიკის შესახებ კამათი გქონდათ თქვენზე ბევრად უფრო ხნიერ კაცთან. დარწმუნებული იყავით, რომ მამაჩემი ცუდათ არ მიგიღებთ, როცა ჩვენ-

თან ხელახლა მოხვალთ. თქვენ მას ვერ იცნობთ: იმას არ ახსოვს არც თავისი ნათქვამი, არც თქვენი პასუხი. არ ვამტკიცებ, რომ თქვენს შორის დიდი სიმპატია არსებობს; მაგრამ ის გულღვარძლიანი არ არის. გულწრფელად გმტყვიო, რომ არც თქვენსე ფიქრობს მაინცა და მაინც და ამაყი ჩემსე... ის მხოლოდ თავის საქმეზე და თავის სიამოვნებაზე ფიქრობს.

ქალი შევიდა ქალაში, რომელიც ქოხს გარს ერტყა, ვაჟი მას ცოტა არ იყოს უგულოდ გაჰყვა, მიტომ რომ, როგორც იცოდა, ეს გაყიდული სიყვარულისა და წარმავალი სიანანის ადგილი იყო. ქალმა ყველაზე უფრო განმარტოებული სუფრა აირჩია.

— რა ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, ევარისტ! მეგობრობას თავისი უფლებები აქვს: ნებას მომცემთ ამით ვისარგებლო? მე ბევრ რამეს გეტყვით თქვენსა და... ცოტას ჩემს შესახებ: თუ თქვენ გსურთ, რასაკვირველია.

ლიმონათის გამყიდველმა ბოთლი და ჭიქები მოიტანა, ქალმა სასმელი თვით დაასხა, როგორც კარგს დიასახლისს შეეფერება; შემდეგ თავისი ბავშვობის ამბავი მოჰყვა, უამბო როგორი ღამაში იყო დედა მისი, რომლის შექება მას უყვარდა შვილური სიყვარულის გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ თავისი სიღამაშის წყაროდ სთვლიდა; შემდეგ დაიკვებნა თავისი წინაპრების ძალღონე, რადგან ამბობდა იმით, რომ ძარღვებში ბურუუაზიული სისხლი უდიოდა. მოჰყვა როგორ დაჰკარგა დედა თექვსმეტი წლისამ, როგორ სცხოვრობდა შემდეგ სინაზესა და დახმარებას მოკლებული. თავის თავი დახატა ისე, როგორც სინამდვილეში იყო, ცოცხალი, მგრძნობიარე გამბედავი და შემდეგ დაუმატა:

— ევარისტ, მე მეტად მელანქოლიური და განმარტოებული ახალგაზრდობა გავატარე და ამიტომ კარგად მესმის ისეთი გულის ფასი, როგორიც თქვენ გაქვთ; მე თქვენ გაფრთხილებთ, რომ ნებაყოფლობით ადვილად უარს ვერ ვიტყვი თანაგრძნობაზე, რომლის იმედი მქონდა და რომელიც ჩემთვის ძვირფასი იყო.

ევარისტმა მას ნაზად შეხედა:

— განა შესაძლებელია, ელოდი, რომ თქვენ გულგრილად არ მიცქეროდეთ? განა შეიძლება ეს ვიწანო?

ის შეჩერდა, რადგან შეეშინა ზედმეტი არ წამოსცდენოდა და ბოროტად არ ესარგებლა დანდობილი მეგობრობით.

ქალმა მას პაწია პატიოსანი ხელი გაუწოდა, რომელიც სანახევროდ სჩანდა გრძელი, ვიწრო და არშია შემოვლებული სახელოებიდან. მის მკერდს ღრნა სუნთქვა ამომრავებდა.

— ელოდი, ელოდი, გაიმეორებთ თუ არა იმას, რასაც ახლა ამბობთ, როცა გეცოდინებათ...

ის შეყოყმანდა.

ქალმა თვალები დახარა.

ვაჟმა ხმა დაბლა დიათავა:

— ... რომ მე თქვენ მიყვარხართ?

ამ უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე ქალი გაწითლდა: ეს იყო სიამოვნ-

ნების სიწითლე. და მაშინ როცა მისი თვალები ნაზ ნებათა ლელვას ხატავდენ, დამკინავი ღიმილი მისდაუნებურად მისი ტუჩების კუთხეს ამოძრავებდა. ის ფიქრობდა:

„ამ კაცს ჰგონია, რომ პირუელია რომელიც სიყვარულს მაცნაობს! შეიძლება ეშინია კიდევ, რომ ამით გამაჯავრებს...“

შემდეგ ვაჟს უთხრა გულკეთილად:

— განა თქვენ არ შეგიძინევიათ, ჩემო მეგობარო, რომ მე მიყვარდით?

იმათ ეგონათ, რომ მარტონი იყვნენ დედამიწაზე. აღფრთოვანებულმა ევარისტმა თვალები აღაპყრო სინათლითა და ლაყვარდით გაბრწყინვებულ ზეცისკენ და სთქვა.

— ხედავთ, ზეცა დაგვცქერის! ის თქვენსავით სათაყვანებელი და მწყალობელია, ჩემო საყვარელო; მას თქვენი ბრწყინვალება, თქვენი გულკეთილობა, თქვენი ღიმილი აქვს.

ვაჟი გრძნობდა, რომ თითქო გაერთიანებული იყო მთელ ბუნებასთან, ის მას აკავშირებდა თავის სინარულსა, თავის დიდებასთან. მას ეგონა, რომ მისი დანიშვნის სადღესასწაულოთ წაბლის ხეების ყვავილები ინათებოდენ, როგორც კანდელაბრები და აღვის ხეების უხარმახარი ლამპრები პრიალეზდენ.

ვაჟი სტკბებოდა თავისი ძლიერებით და სიდიდით. ქალი, როგორც უფრო ნაზი და უფრო ნატიფი, უფრო მოქნილი და მიმყოლი სარგებლობდა სისუსტის უპირატესობით და რაკი ვაჟი დაიბურო, ახლა ემორჩილებოდა მას; ახლა როცა ქალი ვაჟს დაეუფლა, მას თავის ბატონად, გმირად, ღმერთად სცნობდა, მისი თაყვანისცემა, მორჩილების ქვეშ ყოფნა, თავის თავის განწირვა სწყუროდა. ტუჩის ჩრდილში ქალმა მას უძღვნა ხანგრძლივი აღზნებული კოცნა და თავი გადახარა; ევარისტის მკლავების მოხვევამ აგრძნობინა, რომ თითქო მისი სხეული დნებოდა თათლის ცვილივით.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს ერთმანეთზე, თითქო მსოფლიო არ არსებულყოფს. ევარისტმა გამოურკვეველი და წმინდა იდეები გამოსთქვა, რომელთაც ელოდი აღტაცებაში მოჰყავდა. ელოდი ლაპარაკობდა ნაზ, სასარგებლო და პირად საგნებზე. შემდეგ როცა ქალმა იფიქრა, რომ შეტხანს დარჩენა აღარ შეიძლებოდა, წამოდგა, თავის მეგობარს სამი წითელი მიხაკი მისცა, და მკვირცხლად შეხტა ეტლში, რომელიც მას იქვე უცდიდა. ეს იყო ყვითლად შეღებილი, მაღალ ბორბლებიანი გასაქირავებელი ეტლი, რომელიც არაფერს შეიცავდა არაჩვეულებრივს ისევე, როგორც მისი პატრონი. მაგრამ არც გამლენი, არც მისი მახლობლები არ ჯდებოდენ ეტლში. ამიტომ როცა მან დაინახა, როგორ მიაქროლებდენ ქალს დიდი ჩქარი ბორბლები, გული შეეკუმშა და მთელი მისი არსება სვედიანმა წინათგრძნობამ მოიცო: ერთგვარი გონებრივი ჰალუცინაციის წყალობით მან წარმოიდგინა, რომ დაჭირავებული ცხენი ელოდის მიაქროლებდა ნამდვილი საგნებისა და აწმყოს იქით, მდიდარი და მხიარული ქალაქისკენ, სადაც თვითონ ის ვერასოდეს ვერ შევიდოდა.

ეტლი თვალს მიეფარა. ევარისტის სევდა გაიყვანტა; მაგრამ მას შერჩა

ყრუ კაეშანი და ის გრძნობდა, რომ ხელახლა ველარ განიცდიდა სინაზისა და თავდავიწყების საათებს, რომელიც ის იყო განიცადა.

მხატვარმა განვლო ელისეის მინდვრები, სადაც ღია ფერ, ქაბუჭანი ქალები ხის სკამებზე ისხდნენ და ჰკერავდნენ ან ჰკარგავდნენ, ხოლო მწიფე მწიფეები თამაშობდნენ ბევრს ქვეშ. ნამცხვართა გამყიდველმა ქალმა, რომელსაც ხელში დოლის მსგავსი ყუთი ეჭირა „ქვრივთა ხეივანში“ ნახული გამყიდველი ქალი მოაგონა და მან წარმოიდგინა, რომ ამ ორ შეხვედრის შორის თითქო მთელმა საუკუნემ გაიარა. შემდეგ რევოლიუციის მოედანი გადასჭრა. ტიულიერის ბაღში შორიდან მოესმა ღიღი დღეების ძაღოვანი ხმაურობა, ის ერთსულოვანი ხმები, რომელიც რევოლიუციის მტრებს სამუდამოდ დადუმებულად მიიჩნდათ. ნაბიჯს მოუჭარა გაძლიერებულ ყივინში, ჰონორეს ქუჩას მიადწია და დაინახა, რომ ის გავსებული იყო კაცებისა და ქალების ბრბოთი, რომელიც გაიძახოდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ბაღების კედლები, ფანჯრები, ბალკონები, სახურავები სავსე იყო მაყურებლებით, რომელნიც ქუდებსა და ცხვირსახოცებს აქნევდნენ. მოქალაქეებს მარებზე ეჯდა ფერმკრთალი მამაკაცი, რომელსაც შუბლზე მუხის ფოთლების გვირგვინი ერტყა, ტანზე ძველი მწვანე, ყარყუმის საყვლოიანი ქლამინდი ეცვა; კორტეჟს წინ უძღოდა ჯარისკაცი, რომელიც გზას ანთავისუფლებდა, ხოლო მარჯნიე და მარცხნიე მუნიციპალური ოფიცრები, ნაციონალური გვარდიელები, არტილერიისტები, ეანდარმები, ჰუსარები მოსდევდნენ. ქალები ყვავილებს ესროდნენ. ის გარშემო იცქირებოდა თავისი ყვითელი, შავის მჭვრეტელი თვალებით, თითქო ამ აღფრთოვანებულ ბრბოში ხალხის მტრებს ააშკარავებდა და დასასჯელ გამცნებებს ეძებდა. მის დანახვაზე გამლენმა ტუდი მოიხადა, თავისი ხმა ასე ათასს ხმას შეუერთა და დაიძახა:

— გაუმარჯოს მარატს!

ტრიუმფატორი კონვენტის ზალაში შევიდა როგორც ბედისწერა. სანამ ბრბო ხელხელა იწლებოდა, გამლენი ჰონორეს ქუჩის კუთხეში იჯდა მიჯნის ქვაზე და ხელით აკავებდა გულის სგერას. ამ წუთში ნახული სურათი მის არსებას უზენაესი გრძნობითა და აღგზნებული ენტუზიაზმით ავსებდა.

ის პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა მარატს, რომელიც ავად იყო ძარღვების ანთებით, გამობრული იყო წყლულებით, მაგრამ თავის უკანასკნელ ძალებს რესპუბლიკის სამსახურს სწირავდა და თავის ღარიბ სახლში მას ხელგაშლილი იღებდა, გულდასმით ელაპარაკებოდა სახოგადო საქმეებზე, ხშირად ბოროტგამზრახველთა გეგმებზე ჰკითხავდა. გამლენი აღტაცებული იყო, რომ ამ სამართლიანი ადამიანის მტრებმა, რომელნიც შეთქმულნი იყვნენ მის დასაღუპავად, თავისუფლებურად მისი ტრიუმფი მოამზადეს; ის ლოცავდა რევოლიუციურ ტრიბუნალს, რომელმაც ხალხის მეგობარი გაამაოთლა და კონვენტს ყველაზე გულმოდგინე და წმინდა კანონმდებელი დაუბრუნა. მისი თვალები ხელახლა ხედავდნენ ციებით ანთებულ და სამოქალაქო გვირგვინით შემკულ თავს, ქველი გულზვიადობით და უღმობელი სიყვარულით გამსჭვალულ სახეს, დაღარულს, დამახინჯებულსა და ძაღოვანს, მოკუმულ ტუჩებს, ფართო მკერდს, ამ მომაკვდავ

მდევს, რომელნიც თავისი ცოცხალი სატრიუმფო ეტლიდან თითქო მოქალაქეებს ეუბნებოდა „ჩემს მაგალითს მიბადეთ და პატრიოტები იყავით სიკვდილანდე.“

ქუჩა დაცალიერებული იყო, ღამე თავის ბნელ ზეწარს უღალდა; გაქარა ფანრების ანმთებელმა თავის დიდი სანათურით, გამლენი კი ბუტბუტებდა:
— სიკვდილანდე!..

V.

დილის ცხრა საათზე ევარისტო ლუქსემბურგის ბაღში ელოდის შეხვდა, რომელიც მას სკამზე უცდიდა.

გავიდა ერთი თვე, რაც ისინი ერთმანეთს სიუვარულში გამოუტყდენ. ამ ხნის განმავლობაში ყოველ დღე პაემანი ჰქონდათ „შატვარ ამურში“ ან ატელიეში ტიონვილის მოედანზე. მათი შეხვედრა მეტად ნახი იყო, მაგრამ ამასთანავე თავდაჭერილი, რაიცა ვაჟის სერიოზული და სათნო ხასიათით აიხსნებოდა. როგორც დეისტო და ნამდვილი მოქალაქე ის მზათ იყო გარემოების მიხედვით თავის საყვარელ ქალს ჟანონისა ან მარტო ღმერთის წინაშე შეკავშირებოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს დღის სინათლივ და აშკარად უნდა მომხდარიყო. ელოდი სცნობდა რომ ეს პატიოსანი გადაწყვეტილება იყო; მაგრამ ჯვრის დაწერის იმედი არ ჰქონდა, რადგან ამას ბევრი რამ ეწინააღმდეგებოდა, მას კი საზოგადოებრივ ტრადიციების გადალახვა არ შეეძლო: ამიტომ გულის სიღრმეში შესაძლებლად აღიარებდა იდუმალ კავშირს იმ დრომდე, სანამ ხანგრძლივობა ამ კავშირს ყველისთვის პატივ საცემად გახდიდა. ქალს იმედი ჰქონდა, რომ ერთს დღეს დასძლევდა თავისი მოკრძალებული საყვარლის ყოყმანს; და რადგან არ უნდოდა აუცილებელი ახსნა განმარტების დაგვიანება, ვაჟს სთხოვა, რომ ერთი საათით მასთან მოუღაპარაქნა ცალიერ ბაღში შარტრეს მონასტრის შახლობლად.

ქალმა ვაჟს ნახად და გულწრფელად შეხვდა, ხელი ჩამოართვა, გვერდით დაისვა და მოვიქრებულად უთხრა:

— მე თქვენ იმდენად გცემთ პატივს, რომ ვერაფერს დაგიმაღავთ, ევარისტო. მე მგონია, რომ თქვენი ღირსი ვარ: თქვენი ღირსი არ უიქნებოდი, რომ ყოველივე არ მეთქვა. მომისმინეთ და ჩემი მსაჯული იყავით. მე ჩემს თავს ვერავითარ მდაბალ, საძრახისს ან ანგარებიან მოქმედებას ვერ დავაყვედრი. მე სუსტი და მინდობილი ვიყავი... ნუ დაივიწყებთ ჩემო მეგობარო, რა მძიმე პირობებში ვიზრდებოდი. თქვენ ეს იცით: დედა არა მყავდა; მამა ჩემი კიდევ ახალგაზრდა იყო, მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობდა და ჩემთვის ვერ იცლიდა. მე მგრძნობიარე ვიყავი; ბუნებამ ნახი გულითა და სულგრძელობით დამაჯილდოვა; და თუმცა მე არც მტკიცე და ჯანსაღი ქკუა მაკლდა, ჩემს გონებას მაშინ მაინც გრძნობა სქარბობდა. ახლაც ასე იქნებოდა, თუ გრძნობა და გონება შეკავშირებული არ იყოს და არ მიკარნახებდეს, რომ ჩემი თავი თქვენ მოგცეთ, ევარისტო, სავსებით და სამუდამოთ!

ის ზომიერად და მტკიცედ ლაპარაკობდა. მისი სიტყვები მომზადებული იყო; დიდი ხნის წინად მან გადასწყვიტა აღსარება ეთქვა, ერთი მიტომ რომ

გულწრფელი იყო, მეორე მიტომ რომ სიაპოვნებით ბაძავდა ჯან თავს /და ბო-
ლოს იმიტომაც, რომ სამართლიანად ჰფიქრობდა: „ერთ დღეს ევარისტე მაინც
გაიგებს საიდუმლოებას, რომელიც მართლაც მე არ შეკუთვნილია; ჰემთვის სასტიკა-
დულო იქნება თუ თავისუფლად გამოვტყუდი იმაში, რაც ჰემთვის სამარცხვინო
იქნება, თუ მან სხვაფრივ გაიგო“. რადგან ის ნაზი და ბუნების მიმყოლი იყო,
თავის თავს დამინაშავედ არ სთვლიდა და აღსარების თქმა არ უმძიმდა; ამას-
გარდა დაიმედებული იყო, რომ მხოლოდ იმას იტყოდა, რაც აუცილებელი
იყო.

— ოჰ, რატომ არ მოხველით ჰემთან, ჰემო ევარისტე, მაშინ როცა განმარ-
ტოებული და მიტოვებული ვიყავი?..

გამლენმა სერიოზულად მიიღო ელოდის თხოვნა, მისი მსაჯული ყოფი-
ლიყო. ბუნებითა და ლიტერატურული განათლებით ის შინაური მართლმსაჯუ-
ლებისთვის იყო მომზადებული და ამიტომ ყურადღებით ისმენდა ქალის აღსა-
რებას.

რადგან ქალი შეეყოყმანდა, მან ანიშნა რომ ლაპარაკი განეგრძო.

ქალმა სრულიად უბრალოდ სთქვა:

ერთს ყმაწვილ კაცს, რომელსაც ცუდ თვისებებთან ერთად ბევრი კა-
რგიც ჰქონდა, და მხოლოდ ამ უკანასკნელთ აჩენდა, მე ცოტა არ იყოს მოვეწო-
ნე და ზრეველო გულმოდგინეობით დამიწყო აზიკობა; ის აყვავების ჰასაკში იმ-
ყოფებოდა, მოხდენილი იყო და კავშირი ჰქონდა მომხიბლავ ქალებთან, რომელ-
ნიც სრულიად არ მალავდენ, რომ მას აღმერთებდენ. ამ კაცს ჰემი ყურად-
ღება არ მიუქცევია არც თავისი სილამაზით, არც თვით თავისი ჭკუით... ჰემი
გული სიყვარულის გამომგლავნებით მოინადირა და ვფიქრობ, რომ მართლაც
ვუყვარდი. სინაზესა და მზრუნველობას იჩენდა. მეც არაფერს ვითხოვდი, გარ-
და გულისა, მისი გული კი ცვალებადი იყო!.. მე მხოლოდ თავის თავს ვამტყუ-
ნებ; ჰემს აღსარებას ვამბობ და არა მისას. მას არ ვუჩივი, მიტომ რომ ის ჰემ-
თვის უცხო გახდა. ოჰ, გეფიცები, ჰემი ევარისტე, ახლა ვფიქრობ რომ ჰემთვის
ის თითქოს არასოდეს არსებულებოდა.

ქალი დადუმდა. გამლენმა არაფერი უბასუხა. მან გულხელი დაიკრიფა;
მისი თვალები ნალვლიანად ჩააშტერდენ ერთს წერტილს. ის ერთს და იმავე
დროს თავის საყვარელ ქალსა და თავის და იულიაზე ფიქრობდა. იულიამაც
დაუჯერა საყვარელს: მაგრამ ის მისი აზრით დიდათ განსხვავდებოდა საბრალო
ელოდისაგან: მან თავი მოატაცებინა მგრძნობიარე გულის შეცდომის წყალო-
ბით კი არა, არამედ იმისთვის რომ თავისიანების მოშორებით თუფუნებასა და
განცხრომაში ეცხოვრა. როგორც სასტიკი ზნეობის ადამიანი ის ჰკიცხავდა დას
და მზად იყო საყვარელიც გაეკიცხა.

ელოდიმ ხელახლა ლაპარაკი დაიწყო ნაზი ხმით:

— მე გამსჭვალული ვიყავი ფილოსოფიით; მე მწამდა, რომ ადამიანები
ბუნებით პატიოსანნი იყვნენ. ჰემი უბედურება ის იყო, რომ ისეთ საყვარელს
შევხვდი, რომელსაც არ გაუვლია ბუნებისა და მორალის სკოლა და რომელიც

სოციალურმა ცრუმორწმუნოებამ, გულზეიადობამ, თავმოყვარეობამ, ქალმა შეხედულობამ პატიოსნებაზე, ეგოისტი და ვერაგი გახადა.

ამ წინასწარ მოსაზრებულმა სიტყვებმა განზრახული შთაბეჭდილება მოახდინეს. გამლენის სახე განათლდა. მან იკითხა:

— ვინ იყო თქვენი შემცდენელი? ვიცნობ თუ არა მას?

— არა, თქვენ არ იცნობთ.

— შითხარით მისი სახელი.

ქალი ელოდა ამ კითხვას: გადაწყვეტილი ჰქონდა არ ეპასუხნა.

— გთხოვთ, შემიბრალეთ. რაც ითქვა, უკვე ბევრი იყო როგორც თქვენთვის, ისე ჩემთვის.

მაგრამ რადგან ვაჟი თავისას არ იშლიდა, ქალმა უთხრა:

— ჩვენი სიყვარულის უწმინდესი ინტერესის გულისთვის შე არაფერს გეტყვით რაც თქვენს გონებაში ნათლად ჩამოაყალიბებს ამ... უცხო ადამიანს. მე არ მინდა აჩრდილი წაუჩვენო თქვენს ეჭვიანობას; მე არ მინდა ჩვენი ურთიერთობა დაიჩრდილოს. როცა ამ ადამიანს სრულიად დავივიწყებ, გეტყვით მის სახელს.

გამლენი დაეინებით ითხოვდა მაცდურის დასახელებას: ის ამ სიტყვას ხმარობდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ელოდი შეცდენილი, მოტყუებული, ბოროტად გამოყენებული იყო. ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო, რომ შეიძლება ქალი საკუთარ უძლეველ სურვილს დაემორჩილა, სისხლის და ხორცის იღუმალს—ჩვევას დაუგდო ყური; ვაჟს ვერ წარმოედგინა, რომ ეს ვნებიანი და ნაზი არსება, ეს ლამაზი მსხვერპლი თვით დანებდა; მისი სინიღისის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო რწმენა, რომ ელოდი დაპყრობილი იყო ძალით ან თვალმაქცობით, გაუპატიურებული, ერთ-ერთ იმ ხატანგში მოყოლებული, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო დაგებული. ის ქალს მოკრძალებულ, მაგრამ ამასთანავე მკაფიო, მკვეთრ, შემაჭირებელ კითხვებს აძლევდა. ჰკითხავდა, როგორ შეიკრა ეს კავშირი, გრძელი იყო ის თუ მოკლე, წყნარი თუ მღელვარე და როგორ შესწყდა შემდეგ დაუსრულებლივ. უბრუნდებოდა საკითხს, რა ხერხი იხმარა ამ ადამიანმა მის შესაცდენად, თითქო რაღაც განსაკუთრებული, გაუგონარი ხერხი უნდა ეხმარა. ამ კითხვებს ამაოდ იძლეოდა. ქალს ნაზი და მორჩილი სახის გამომეტყველება ჰქონდა, მოკუმული პირი, ცრემლით სავსე თვალები, მაგრამ სიტყვას არ ამბობდა.

ბოლოს როცა ევარიტმა იკითხა, სად იყო ახლა ეს ადამიანი, ქალმა უპასუხა:

— მან დასტოვა სამეფო.

შემდეგ უცებ გაასწორა:

— ... საფრანგეთი.

— ემიგრანტია! წამოიძახა გამლენმა.

ქალმა უსიტყვოთ შეხედა: ის ერთსა და იმავე დროს დამშვიდებული და შეწუხებული იყო იმით, რომ ვაჟი თვით ქმნიდა ქეშმარიტებას, რომელიც მის

პოლიტიკურ გულისთქმას შეეფერებოდა, ხოლო მის იტვიანობას / იაკობინურ ელფერს აძლევდა.

ნამდვილად კი ელოდის საყვარელი პროკურორის მწერალი იყო, ძლიერ ლაშაში ყმაწვილი, მორბედი ქერუბინი, რომელსაც ქალი აღშფოქებდა და რომლის მოგონება სამი წლის განშორების შემდეგაც მკერდს უთროხოვლებდა. ეს ყმაწვილი მდიდარ და ხნიერ ქალებს ეძებდა: ელოდი მიატოვა ერთი გამოცდილი ქალის გულისთვის, რომელმაც მას უბვად მიუზღო დამსახურების მიხედვით. ძველ თანამდებობათა გაუქმების შემდეგ ის პარიზის მერიაში შევიდა სამსახურში და სანკიულოტტი—დრაგონი და ყოფილი კეთილშობილი ქალის საყვარელი გახდა.

— კეთილშობილი! ემიგრანტი! იმეორებდა გამლენი. ქალი არ სცდილობდა მის გადაჯერებას, რადგან არ უნდოდა, რომ მას სრული ქეშნარიტება სცოდნოდა. და მან შენ გიმუხტლა?

ქალმა თავი დახარა.

ვაჟმა ის გულზე მიიკრა:

— ოჰ, მონარქიული გარყვნილებას ძვირფასო მსხვერპლო, ჩემი სიყვარული შენთვის სამაგიეროს გადაუხდის იმ ურცხვ ადამიანს. ზეცამ ინებოს, რომ სადმე შევხდე! მე მას ვიცნობ!

ქალმა პირი მიიბრუნა: ის ერთსა და იმავე დროს გულნატკენი იყო, მოშლიძარე და იმედგაცრუებული. მას უნდოდა, რომ ვაჟი უფრო ქვეიანი ყოფილიყო სიყვარულის საქმეებში, უფრო ბუნებრივი, უფრო ტლანქი. ქალი გრძნობდა, რომ მან ასე ჩქარა იმიტომ აპატივა, რომ ცივი ფანტაზია ჰქონდა და მის აღსარებას მასში არ გამოუწვევია არც ერთი ისეთი სურათი, რომელიც ვნებიან მამაკაცს სტანჯავს; როგორც სჩანს, ამ შეცდენაში ის მხოლოდ ზნეობრივ და სოციალურ ფაქტს ხედავდა.

ისინი წამოდგნ და ბალის მწვანე ხეივნებს გაჰყვენ. ვაჟმა ქალს უთხრა, რომ კიდევ მეტს პატივს სცემს განცდილი ტანჯვის გამო. ელოდის ამდენი არ უნდოდა; მას ვაჟი უყვარდა ისე, როგორიც ის იყო, ის აღმყრობდა ხელოვნებათა გენიას, რომლის ბრწყინვალეობას თითქო ჰხედავდა მასში.

ლუქსემბურგის ბალიდან გამოსვლისას თანასწორობის ქუჩასა და ნაციის თეატრის გარშემო ჯარის რაზმები შეამჩნიეს, რაიცა არაფერს შეიცავდა გასაოცარს: უკანასკნელი დღეების განმავლობაში პატრიოტულ სექციებში დიდი აღელვება მეფობდა; იქ ორლენების პარტია და ბრისსოს თანამგრძნობლები აღმოაჩინეს, რომელნიც, როგორც ამბობდნენ, შეთქმულნი იყვენ პარიზის დასამხობად და რესპუბლიკელების გასაყლეთად. და თვით გამლენში ცოტა ხნის წინათ ხელი მოაწერა კომუნის პეტიციას, რომელიც ოცდაერთი წევრის გამოდევნას ითხოვდა.

სანამ იმ თაღების ქვეშ გაივლიდნ, თეატრს რომ უახლოესს სახლთან აერთებდა, მათ უნდა გაერღვიათ კარმანიოლში გამოწყობილ მოქალაქეების ჯგუფი, რომელსაც ბალკონიდან სიტყვას ეუბნებოდა ახალგაზრდა მხედარი, ვეფხისტყა-

ვიანი მუხარადით, მშვენიერი როგორც პრაქსიტელესის ანური. ეს მომნიბლავი ჯარისკაცი „ხალხის მეგობარს“ დაუდევრობას აბრალებდა. ის ამბობდა:

— შენ ვძინავს, მარატ, ფედერალისტები ჩვენთვის ბორკილებს სჭედვენ! როგორც კი ელოდომ მას თვალი მოჰკრა, მკვირცხლად წამოიძინა;

— ევარისტ, წავიდეთ.

ქალი ამბობდა, რომ მას ბრბო აძრწუნებდა და ეშინოდა, რომ გული არ წასვლოდა.

ნაცვის მოედანზე ერთმანეთს მუდმივი სიყვარული შეჰფიცეს და განშორდნენ.

იმ დღეს ადრე დილით მოქალაქე ბროტტომ გამლენის დედას საჩუქრად საუცხოვო ყვერული მიართვა. მისი მხრით უგნურება იქნებოდა რომ ეთქვა, როგორ შეიძინა ეს ყვერული: შიტომ რომ ბაზარში მიიღო ვაჭარი ქალიდან, რომელსაც ის ხშირად ეხმარებოდა როგორც მდივანი; ცნობილი იყო რომ ბაზრის ქალები რთილისტურ გრძნობებს ასაზრდოებდნენ და მიწერმოწერა პქონდათ ემიგრანტებთან. გამლენის დედამ ყვერული მადლიერი გულით მიიღო. იმ დროში იშვიათი სანაბავი იყო ასეთი რამ: სანოვაგე ძვირდებოდა. ხალხს შიმშილის ეშინოდა. ამბობდნენ რომ ხალხის დამშვევა სურდათ არისტოკრატებს, რომ ჩარჩები შიმშილს ამზადებდნენ.

მოქალაქე ბროტტო, რომელიც ყვერულის კერძზე მიიპატიჟეს სადილად, მოვიდა და დიასახლისს მისი სამზარეულოს ნაზად შეზავებული სურნელება უქოდა მართლაც მხატვრის ატელიეში მსუქანი ბულიონის სუნით იდგა.

— თქვენ მეტად თავაზიანი ბრძანდებით, ბატონო, უპასუსა დედაკაცმა. რათა სტონაქი თქვენი ყვერულის მისაღებად მომემზადებია, მე გავაკეთე მწვანის წვენი ღორის ქონით და ხარის ძვლით. არაფერი არ აძლევს წვენს ისეთს სურნელებას, როგორც ტვინიანი ძვალი.

— ეს წესი დიდათ საქებურია, მოქალაქევ, უპასუსა ნობუცებულმა ბროტტომ. და თქვენ ბრძნულად მოიქცევით თუ ხვალ, ზეგ და მთელი კვირის განმავლობაში ამ ძვირფასს ძვალს ქოთანში ჩასდებთ, რათა არომატი არ დაჰკარგოს. ასევე იქცეოდა პანზუსტის სიბილლა: ის აკეთებდა წვენს მწვანე კომბოსტოსა, ყვითელი ღორის კანისა და ძველი სავორადოსიდან. მის სამშობლოში, რომელიც აგრეთვე ჩემიც არის, სავორადოსს ტვინიან ძვალს ეძახიან, რომელიც ასე გემრიელი და ნოყიერია.

— ეს ქალი, რომლის შესახებ თქვენ ლაპარაკობთ, ბატონო, ცოტათი ანგარიშიანი ხომ არ ყოფილა, რომ ასე დიდხანს იყენებდა ერთსა და იმავე ძვალს?

— ის ხელმომჭირნეთ სცხოვრობდა, უპასუსა ბროტტომ; ის ღარიბი იყო, თუმცა წინასწარმეტყველებდა.

ამ დროს ევარისტ გამლენი შემოვიდა: მეტად აღელვებული იყო მოსმენილი აღსარებით: და თავის თავს აღთქმას აძლევდა, რომ გაიგებდა ელოდის შემცდენელის სახელს და შურს იძიებდა რესპუბლიკისა და თავის სიყვარულის შეურაცხყოფისათვის.

ჩვეულებრივი მისაღმების შემდეგ მოქალაქე ბროტტომ განაგრძო შეწყვეტილი მსჯელობა:

— იშვიათად ხდება, რომ განდიდრდეს ის, ვისაც პრუფესორული მომავლის წინასწარმეტყველება აქვს. ხალხი ჩქარა ამჩნევს მის თვალმომავლობას და მას საძულველად ხდის. მაგრამ ადამიანი კიდევ უფრო საზიზღარი იქნებოდა, მართლაც რომ შეეძლოს მომავლის წინასწარმეტყველება. მიტომ რომ ადამიანის ცხოვრება აუტანელი იქნებოდა, მართლაც რომ სცოდნოდა, თუ რა მოვლის მომავალში. ის აღმოაჩენდა მომავალ ბოროტებას და წინდაწინვე დაიტანჯებოდა, ის ვერ დასტკბებოდა აწმყო სიკეთით, რადგან მის დასასრულს დაინახავდა. უმეცრება აუცილებელი პირობაა ადამიანის ბედნიერებისთვის და ეხლა უნდა ვაღიარო, რომ უფრო ხშირად ის ამ პირობას კარგად ასრულებს. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით თავისი თავის შესახებ; სხვების შესახებ კიდევ ნაკლები. უმეცრება ჩვენს მშვიდობიანობას ჰკმნის; ტყუილი ჩვენს ბედნიერებას.

მოქალაქე ქალმა გამლენმა წვენი დადგა სუფრაზე, ლოცვა წარმოსთქვა, შვილი და სტუმარი დასვა და ჭამა დაიწყო ფეხზე მდგომიარემ. დედაკაცი არ ჯდებოდა მოქალაქე ბროტტოს გვერდით, მიტომ რომ როგორც თვითონ ამბობდა იცოდა, რას უკარნახებდა ზრდილობა.

VI

დილის ათი საათი იყო. ჰაერი არ იძროდა. ეს იყო ყველაზე ცხელი ივლისი, რომელიც ახსოვდათ პარიზელებს. ერუსალიმის ვიწრო ქუჩაში ოთხი ეროვნული გვარდიელის ზედამხედველობის ქვეშ მეპურის კარებთან რიგში ასამდე მოქალაქე იდგა. გვარდიელებს თოფები მიწაზე ედგათ და ჩიბუხებს ეწყოდენ.

ეროვნულმა კონვენტმა დეკრეტით მაქსიმუმი დააწესა: მაშინვე გაჰქრია ხორბალიცა და ფქვილიც. როგორც ისრაელები უდაბნოში, პარიზელები გათენებამდე უნდა ამდგარიყვენ, თუ უნდოდათ რამე ეჭამათ. ყველა ეს ერთი მეორეზე მიქდობილი ადამიანები, მამაკაცები, ქალები, ბავშვები, იდგნენ გამდნარი ტყვიისფერ ცის ქვეშ, რომელიც ათბობდა მყრალ არხებს და ოფლისა და ჭუჭყის სუნს იწვევდა. ისინი ერთიმეორეს უბიძგებდენ, კითხვებს აძლევდენ, შესცქეროდენ იმ გრძნობით, რომელიც ერთ ადამიანს შეიძლება მეორისადმი ჰქონდეს. ანტიპათიით, ზიზღით, ინტერუსით, სურვილით, გულგრილობით. ამ ხალხმა მწარე გამოცდილების შემწეობით გაიგო, რომ პური საკმაოდ არ იყო ყველასათვის: ამიტომ უკანასკნელად მოსულნი სცდილობდნენ წინ გამძვრალიყვენ: ვინც თავის რიგს ჰკარგავდა, ბრაზობდა, სჩიოდა და ამოდ სცდილობდა შელაბული უფლების აღდგენას. ქალები შეუბრალებლად იბრძოდნენ იდაყვებითა და თეძოვებით და თავიანთი ადგილების შენარჩუნებას ან უკეთესის შეძენას სცდილობდნენ. როცა ვიწროობა აუტანელი ხდებოდა, ყვირილი გაისმოდა: „ნუ გვაწვევით!“ და თვითეული პროტესტს აცხადებდა, გაიტახნოდა რომ მას აწვებიან.

ამ ყოველდღიური უწყესობების ასაცილებლად სექციის მიერ არჩეულმა კომისრებმა მოიგონეს, რომ მეპურის კარებზე თოკი მიეხათ, რომელსაც თვითეუ-

ლი ხელს სჭიდებდა რიგის მიხედვით. მაგრამ ხელები ერთმანეთში იხლართებოდნენ და ბრძოლა იწყებოდა. ვინც ერთხელ თოკს ხელიდან უშვებდა, მერე ველარ იჭერდა. უკმაყოფილონი თუ ლაზღანდარანი თოკებს სჭრიდნენ და კომისრები იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ ამ ხერხზე. *ე.ე.ე.ე.ე.ე.ე.ე.*

ზოგიერთს სული ეხუთებოდა, ეგონა რომ კვდებოდა, *სწყურიათ სწყურიათ*, ორაზროვან სიტყვებს ისროდნენ, არისტოკრატებსა და ფედერალისტებს და ყოველი ბოროტების ავტორებს ლანძღავდნენ. როცა ძალღი დაივიწყა, ლაზღანდარები მას პიტტს უძახოდნენ. ხან და ხან რომელიმე მოქალაქე ნანდილოსანი სილას აწნევდა თავხედ მეზობელს, მაშინ როცა მის გვერდით რომელიმე ვაჟის მიერ შევიწროებული ახალგაზრდა მოსამსახურე ქალი, თვალზე მიბნედილი და ოდნავ პირდაღებულნი, ნაზად სუნთქავდა. ყოველ სიტყვაზე, ყოველ მიმოხვრაზე, ყოველ მდგომარეობაზე, რომელსაც გიჟმა ფრანგებში მხიარული გუნების შექმნა შეეძლო, ცელქ ახალგაზრდების ჯგუფი G'aira-ს ღიღინს იწყებდა; ეს ერთი ხნიერი იაკობინელის პროტესტს იწვევდა, ის აღშფოთებული იყო იმით, რომ ბილწი მიზნებისთვის ხმარობდნენ სიმღერას, რომელშიც რესპუბლიკური რწმუნა იხატებოდა მომაგალი სამართლიანობისა და ბედნიერებისადმი.

ჩაიარა აფიწების გამკვრელმა კიბით ხელში და პურის საცხობის პირდაპირ კედელზე კომუნის განცხადება გააკრა ხორცის რაციონების შესახებ. გამვლელები ჩერდებოდნენ და სველ ფურცელს კითხულობდნენ. კომბოსტოს გამყიდველი ქალი, რომელიც თავის ჩანთით გზად წიდიოდა, ჩახლჩილი ხმით იძახოდა:

— წავიდენ კარგი მოხვრები! ახლა შიგნეულობა ვუხიკოო.

უცვებ ერთი არხიდან ისეთი მყრალი სუნი გამოვიდა, რომ ბევრს გული აერიო; ერთს ქალს გული წაუვიდა და ორმა გვარდიელმა წყალსადენის მილთან მიიტანეს. ხალხი ცხვირზე ხელს იჭერდა; ჩოჩქოლი დაიწყო; დაიწყო სიტყვების გაცვლა-გამოცვლა, შიშისა და ბრძოლის გამომხატველი. რა იყო ეს, რომელიმე მიწაში ჩატლული ცხოველი, თუ განგებ დამალული საწამლაფი, თუ სექტემბრის დღეებში მოკლული კეთილშობილი ან მღვდელი, რომელიც მახლობელ სარდაფში დავიწყებულია?

— განა გვამებს იქ ჰურიდენ?

— იმათ გვამებს ყოველგან ჰურიდენ.

— ეს სუნი შატლედან უნდა მოდიოდეს. იმ თვის ორში მე სამასამდე კაცის გვამი ვნახე ერთად დაგროვილი ხიდის თავთან.

პარიზელებს ეშინოდათ ყოფილ კეთილშობილთა შურისძიებისა, რომელნიც სიკვდილის შემდეგ ხალხს სწამლავდნენ.

ევარისტ გამლენი რიგში ჩადგა; იმას უნდოდა დედისთვის ხანგრძლივი და დამალავი ლოდინი იეცილებინა. მხატვარს თან ახლდა მეზობელი, მოქალაქე ბროტო, წყნარი, მომლიმარე, განუწორებელი ლუკრეციის წიგნით ყავისფერ ტანსაცმელის უზარმაზარ ჯიბეში.

კეთილმა მოხუცმა შეაქო ეს სანახაობა, როგორც ხალხური სურათი, ღირსი რომელიმე თანამედროვე ტენიერსის ყალმისა.

ეს მუშები და ეს კეკელები, სთქვა მან, უფრო საინტერესოა არიან, დრე ბერძნები და რომაელები, რომელნიც ასე უყვართ ჩვენს დღევანდელ მხატვრებს. მე პირადათ ყოველთვის მომწონდა ფლანდრიული მხატვრობის მანერა.

სიტყვებისა და კარგი გემოვნების გამო ის არ ამბობდა, რომ მას ქონდა პოლლანდიური სურათების მთელი ვალერეა, რომელსაც მხოლოდ შუაზელის კაბინეტი შეედრებოდა რიცხვითა და ღირსებით.

მშვენიერია მხოლოდ ანტიური ხელოვნება და ის, რაც მის მიერ არის შთაგონებული. უპასუხა მხატვარმა. მაგრამ გეთანხმებით, რომ ტენიერის, სტეფენის ან ოსტადეს ხალხური სცენები სჯობიან ვატოს, ბუმეს ან ვან ლოს აბდაუბდას: ადამიანობა იქ დამახინჯებულია, მაგრამ დამდაბლებული არ არის როგორც მაგალითად ბოდუენის ან ფრავონარის სურათებზე.

გაიარა კაცმა, რომელიც ყვიროდა:

— რევოლუციური ტრიბუნალის ბიულეტენი!.. სიკვდილით დასასჯელთა სია!

— საკმაო არ არის ერთი რევოლუციური ტრიბუნალის ქონა, სთქვა გამლენმა. საჭიროა რომ ყოველ ქალაქში ტრიბუნალი იყოს... არა, რას ვამბობ? ყოველ კომუნაში, ყოველ კანტონში. საჭიროა, რომ ყველა ოჯახის მამები, ყველა მოქალაქეები მსაჯულებათ გადაიქცენ. როცა ერს მტრის ზარბაზანი უცქერის და მოღალატეების ხანჯალი ემუქრება, ღმობიერება მამის მკვლელობას უდრის. როგორ! ლიონი, მარსელი, ბორდო აჯანყებულია, კორსიკას და ვანდეას ცეცხლი ედება, მაინცი და ვალანსიენი კოალიციის ხელშია, ლალატია ყოველგან, სოფელში, ქალაქში, ბრძოლის ველზე, ლალატი სხდომებს მართავს ეროვნული კონვენტის სკამებზე ან რუქით აღჭურვილი ზის ჩვენი გენერლების სამხედრო საბჭოებში!.. დაე, სამშობლო გილიოტინამ დაიცვას.

— მე არსებითად არაფერი მაქვს სათქმელი გილიოტინის წინააღმდეგ, უპასუხა ბებერმა ბროტტომ. ბუნებას, ამ ჩემს ერთად ერთს ოსტატსა და მასწავლებელს ჩემთვის არ უთქვამს, რომ ადამიანის ცხოვრებას რაიმე ფასი ჰქონდეს, პირიქით, ის ყოველი გზით გვასწავლის, რომ მას არაფითარი ფასი არ აქვს. როგორც სჩანს ყოველი არსების, ერთად ერთი მიზანია საკვებად გადაიქცეს სხვა არსებისთვის, რომელსაც იგივე დანიშნულება აქვს. მკვლელობა ბუნებრივი უფლებაა: მაშასადამე სიკვდილით დასჯა კანონიერია იმ პირობით, რომ მას იყენებენ არა სათნოებისა ან სამართლიანობის სახელით, არამედ აუცილებლობისა და სარგებლობის გულისთვის. მაგრამ მე არაბუნებრივი ინსტინქტები უნდა მქონდეს, მიტომ რომ მეზარება სისხლის დანახვა და ეს ჩემი სიმახინჯე დღემდე ვერ გაასწორა ჩემმა ფილოსოფიამ.

— რესპუბლიკელები ჰუმანიურნი და მგრძობიარენი არიან, უპასუხა ევარისტმა, მხოლოდ დესპოტები ამტკიცებენ, რომ სიკვდილით დასჯა ხელისუფლების აუცილებელი ატრიბუტია, ხელმწიფებით აღჭურვილი ხალხი მას მოსპობს ერთ დღეს. რობესპიერი მას ებრძოდა და მის მხარეზე იყვენ ყველა პატრიოტები; საჭიროა, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამოქვეყნდეს კანონი, რომე-

ლიც სიკვდილით დასჯას გააუქმებს. მაგრამ ეს კანონი უნდა ცხოვრებაში გატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა რესპუბლიკის უკანასკნელი მტერი გაიწმინდება კანონის მახვილით.

გამლენსა და ბროტტოს ახლა დაგვიანებული მოქალაქეები ბიძაბუნ, მათ შორის უბნის ქალები; ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო ლამაზი, წარმოსადგეი წინდის მქსოველი ქალი, თავსაკრავითა და ხის ფეხსაცმელებით და მხრებზე გადაკიდებული ხმლით, შემდეგ ლამაზი, ქერა, თმა გაწეწილი ქალიშვილი, მეტის მეტად დაჭმუჭნული თავსაკრავით და ახალგაზრდა, გამხდარი და ფერმკრთალი დედა, რომელიც ძუძუს აწოებდა მკვლე ბავშვს.

ბავშვი რძეს ველარ პოულობდა და ყვიროდა, მაგრამ მისი ყვირილი სუსტი იყო და მას სული უგუბდებოდა. ბავშვი შესაბრალისად პატარა იყო, უფერული, თვალეხ ანთებული; დედა მტკივნეული მზრუნველობით დასცქეროდა.

— ის ჯერ სულ პატარაა, სთქვა გამლენმა და საბრალო ძუძუმწოვარ ბავშვს შეხედა, რომელიც მის ზურგს უკან კრუსუნებდა.

— ჩემი პაწია მხოლოდ ექვსი თვისაა!.. მამა მისი ჯარშია: ის ერთი იმათგანია, ვინც ავსტრიელები უკუაგდო კონდესთან. მას ეძახიან დიუმონტეის (მიშელს), პროფესიით მეფართლის ნოქარია. ჯარში ჩაეწერა თეატრის ფანჩატურში, რომელიც ქალაქის რატუშის წინ ამართეს. ჩემს საბრალო მეგობარს სამშობლოს დაცვა და ქვეყნების ნახვა უნდოდა... ის მწერს, რომ მოთმინება ვიქონიოთ. მაგრამ როგორ უნდა ვაწოვო ძუძუ პოლს... (ამას პოლი ჰქვია)... როცა არაფერი მაქვს საჭმელი?

— ოჰ! წამოიძახა ლამაზმა ქერა ქალიშვილმა, ერთი საათის დგომა კიდევ დაგვჭირდება, სალამოს კი იგივე ცერემონია უნდა გავიძეოროთ მებაყლის კარებთან. კაცმა სიცოცხლე ალაღბედზე უნდა შეაგდოს, რომ სამი კვერცხი და შეოთხედი გირვანქა კარაქი იშოვოს.

— კარაქი! სამი ოვეა რაც კარაქი აღარ მინახავს, ამოიოხრა მოქალაქე დიუმონტეისამ.

და ქალების ხორომ დაიწყო მოთქმა სანოვაგის უქონლობასა და სიძვირებზე. წყველა კრულეა გაუგზავნა ემიგრანტებს და გილიოტინას შესწირა სექციის კომისრები, რომელნიც უზნეო ქალებს დაკლებულ ფასებში ქათმებსა და ოთხ გირვანქიან პურებს აძლევდენ. შემდეგ გაიმეორეს შემადრწუნებელი ხმები სენაში დამღრჩვალი ხარებისა, არხებში ჩაყრილი ფქვილისა, ფეხსადგილებში ჩაგდებული პურების შესახებ... როიალისტები, როლანდისისტები, ბრისოტისტები პარიზის ხალხის მოსპობას სცდილობდენ.

უცვებ ლამაზმა ქერა ქალიშვილმა ყვირილი შორთო და თითქო ქვედა ტანზე ცეცხლი ეკიდებოდა, მისი ბერტყვა და ჯიბეების გადმობრუნება დაიწყო: გაიძახოდა, რომ ქისა მოჰპარეს.

ამ ქურდობამ დიდი აღშუოთება გამოიწვია ამ უბრალო ხალხში, რომელნიც სენევერმენის სასახლეები დაარბია და ტიულიერში შეიჭრა ისე, რომ არაფერი გაუტაცებია: ამ ხელოვნებს და დიასახლისებს წარბის შეუხრულად შეეძლოთ ვერსალის სასახლე დაეწვათ, მაგრამ სამარცხვინოთ მიაჩნდათ იქიდან

თუნდ ერთი ქინძისთავის მოპარვა. დაუდგარმა ახალგაზრდებმა რამდენიმე უადგილო სახუმარო სიტყვა სთქვეს ლამაზი ქალის შესახებ, მაგრამ ისინი საზოგადო ხმაურობამ ჩააჩუმა. გამოითქვა აზრი, რომ ქურდი თანრის ბოძზე ჩამოეკიდათ. დაიწყო ხმაშაღალი და მიკერძობებით გამოკითხვა. ახლანდელი წინდების მქსოველი ქალი თითოთ მოხუცს უჩვენებდა, რომელიც მისი აზრით გაკრეჭილი ბერი უნდა ყოფილიყო; ქალი ფიცულობდა, რომ ამ „კაპუცინმა“ ჩაიდინა ეს საქმე. ბრბომ მაშინვე დაიჯერა და სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

ეს ბებერი, რომელიც ასე უცაბედათ საზოგადოებრივს სამჯავროს გადაეცა, მეტად მოკრძალებულად იდგა მოქალაქე ბროტტოს წინ. მას ბართლაც ყოფილი სასულიერო პირის გარეგნობა ჰქონდა. მისი სახე საკმაოდ სათნოიანი იყო, მხოლოდ შეცვლილი იყო იმ მწუხარებით, რომელსაც ამ საბრალო ადამიანში ბრბოს ძალმომრეობა და სექტემბრის დღეების ცხოველი მახსოვრობა იწვევდა. სახეზე გამოხატული შიშის გამო, ის საექვო იყო ბრბოსთვის, რომელსაც ჰგონია, რომ მხოლოდ დამნაშავეებს ეშინიათ მისი სამჯავროსი, თითქო მოუფიქრებელი აჩქარება, რომელსაც ის იჩენს, შიშის ძრწოლას არ უნდა იწვევდეს თვით უმანკოებშიც.

ბროტტოს კანონად ჰქონდა დადებული, რომ არასოდეს წინააღმდეგობა არ გაეწია ხალხის გრძნობისათვის, განსაკუთრებით როცა ის უანრო და სასტიკი იყო, „მიტომ რომ ამ შემთხვევაში, მისი სიტყვით, ხალხის ხმა ღვთის ხმა იყო“. მაგრამ ბროტტომ თავის თავს უღალატა: მან განაცხადა, რომ ამ ადამიანს, სულ ერთია კაპუცინი იყო ის თუ არა, არ შეეძლო გაექურდა მოქალაქე ქალი, რომელსაც ერთი წუთითაც არ შიახლოვებია.

ბრბომ გადასწყიტა რომ ქურდის დამცველი მისი თანამოაზრე იყო და აბლა ორივე ბოროტმომქმედის დასჯა მოითხოვა; ხოლო როცა გამლენმა ბროტტოს თავდებობა იკისრა, უფრო კეთილგონიერებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ იმ ორთან ერთად მხატვარიც გაეგზავნათ სექციისში.

მაგრამ უცბად ლამაზმა ქალიშვილმა მხიარულად დაიძახა, რომ ქისა ნახა. მაშინვე მას სიცილი დააყარეს და დაემუქრენ, რომ საჯაროდ გაწყვლავდენ როგორც მონაზონს.

— ბატონო, უთხრა ბროტტოს სასულიერო პირმა, მადლობას გიძღვნით ჩემი დაცვისთვის. ჩემი სახელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ თქვენ უნდა გაგიმულავნოთ: მე ლუი დე ლონგემარი მქვია. მე ბართლაც ბერი ვარ, მაგრამ არა კაპუცინი, როგორც ეს ქალები ამბობენ. რაღა დასაშალავია: მე ბერდიაკვანს ვარ ბარნაბელთა ორდენისა, რომელმაც ვკლესიას მრავლად მისცა მეცნიერები და წმინდანები. მისი წარმოშობის ისტორია წმინდა შარლ ბორრომეიდან როდი უნდა დავიწყოთ: ორდენის ნამდვილ დამფუძნებლად წმინდა მოციქული პავლე უნდა ვადიაროთ, რომლის მონოგრამმას ის ატარებს თავის ღერბებში. მე ისულებული ვიყავი მონასტერი დამეტოვებია, რომელიც ახალი ხიდის სექციის საჯდომად გადაიქცა და ერის კაცის ტანსაცმელი ჩანეცვა.

— მაშინ, სთქვა ბროტტომ და ყურადღებით აათვალიერა ბატ. დე ლონგემარის ჩოხანი, თქვენი ტანსაცმელი საკმაოდ მოწმიბს, რომ არ უარ-

გიყვიათ თქვენი წოდება: პირიქით კაცი იფიქრებდა, რომ ~~ორღებ~~ კი არ დაგიტოვებიათ, არამედ მისი რეფორმა მოგიხდენიათ. და ამ ~~კუშტ~~ სამოსელში თქვენ ნებისთ ურწმუნო ბრბოს ღანძლავაგინების საგანი ხდებით.

— მე არ შემძლია, უპასუხა ბერმა, ლუროჯი ტანისამოსი ~~ქვედა~~ მოცუ-
კვავესავით.

— მამაო, თუ თქვენ ტანისამოსზე ვლაპარაკობ, ეს იმიტომ ხდება, რომ მინდა პატივი ესცე თქვენ ხასიათს და გაგაფრთხილოდ მოსალოდნელი საშიშ-
როებისაგან.

— ბატონო, პირიქით, უმჯობესი იქნებოდა გაგემტკიცებდით სარწმუ-
ნოების აღსარებაში, მიტომ რომ ძლიერ მეშინია დაღუპვისა. მე, ბატონო, ახა-
ფორა ვავიხადე, ეს ერთგვარი განდგომილობაა: არ მინდოდა ის სახელი დამე-
ტოვებია, სადაც ღმერთმა ამდენი წლის განმავლობაში შეუშვითებელი და
უჩინარი ცხოვრების წყალობა მომანიჭა. მივიღე კიდევ იქ დარჩენის ნება; მე
შევიწარჩუნე ჩემი სენაკი, მაშინ როცა ისინი ეკლესიასა და მონასტერს ერთ-
გვარ რატუშად აქცევდენ, რასაც სექციას უწოდებდენ. ბატონო, მე ვხედავდი
როგორ ამტვრევდენ ჩაქუჩით წმინდა ქვშარიტების ემბლემებს; დავინახე რო-
გორ შესცვალეს მოციქული პავლეს სახელი კატარკელის ~~ჩაქუჩით~~ ხანდახან თვის
სექციის საიდუმლო სხდომებს ვესწრებოდი და იქ უცნაური ცდომილი ასრები
შესმოდა. ბოლოს მივატოვე ეს შეგინებული სადგომი და გადავსწყვიტე თავ-
ლაში დავსახლებულიყავი და კრების მიერ დანიშნული ასი პისტოლის პენსიით
მეცხოვრა იმ ცხენების ადგილას, რომელთაც რეკვიზიცია გაუკეთეს ჯარისთვის.
იქ ახლაც ვსწირავ რამდენიმე კეთილმოწყონე ადამიანების წინაშე, რომელნიც
მოდიან, რათა იესო ქრისტეს ეკლესიის მათადისობა დაამოწმონ.

— მე, მამაო, უპასუხა მოსაუბრემ, თუ გნებავთ იცოდეთ, ბროტტო მჭვია
და წინათ მეზეერე ვიყავი.

— ბატონო, სთქვა მამა ლონგემარმა, მათეს მაგალითით ვიცოდი, რომ
მეზეურისაგანაც შეიძლება კაცმა კეთილი სიტყვა გაიგონოს.

— მამაო, თქვენ მეტად თავაზიანი ხართ.

— მოქალაქე ბროტტო, სთქვა გამლენმა, უურადლება მიაქციეთ ამ კეთილ
ხალხს, მას უფრო სამართალი შია, ვიდრე პური: თვითთელი მათგანი მზად იყო
თავისი ადგილი დაეტოვებია, ოღონდ ქურდი დაესაჯა. ეს საბრალო მამაკაცე-
ბი და ქალები, რომელიც ამდენ გაჭირებას იტანენ, იმდენად უნწიკლოდ სინ-
დისიერნი არიან, რომ ვერავითარ უპატიოსნო საქციელს ვერ ითმენენ.

— უნდა ვალიაროთ, უპასუხა ბროტტომ, რომ ამ ადამიანებს, რომელთაც
ასე ძალიან უნდოდათ ოინბაზის ჩამოღობა, შეეძლოთ ცუდი სამსახური გაე-
წიათ ამ კეთილი სასულიერო პირისა, მისი დამცველისა და დამცველის დამ-
ცველისთვის. მათ სიძუნწე და საკუთრების ეგოისტური სიყვარული ხელმძღვანე-
ლობდა: ქურდმა ერთ მათგანზე მიიტანა იერიში, მაგრამ ყველას ემოქრებოდა;
მისი დასჯით ისინი თავს იცავდენ... ამისდამიუხედავად შესაძლებელია, რომ
ამ ხელოსნებისა და დიასახლისების უმრავლესობა სინდისიერია და პატივს
სცემს სხვის ქონებას. ეს ვრძნობები მათ ბავშობიდანვე ჩაავიწყეს დედებმა და

გურნალი „მნათობი“ № 3 (11).

მამებმა, რომელნიც მათ სწკებლავდენ და უკანა ნაწილიდან სათნოებას უნერგავდენ.

გამლენმა ბებერ ბროტტოს არ დაუმალა, რომ ასეთი სიტყვები მას შეუფერებლად მიაჩნდა ფილოსოფოსისთვის.

— სათნოება, სთქვა მან, ბუნებრივია ადამიანისთვის: ღმერთმა ის ჩასთესა მომაცვდავის გულში.

ბებერი ბროტტო ათეისტი იყო და თავის ათეიზმში სიამოვნების დაუშრეტელ წყაროს პოულობდა.

— მე ვხედავ, მოქალაქე გამლენ, რომ თქვენ რევოლუციონერი მხოლოდ დედამიწაზე ხართ, რაც შეეხება ზეცას, იქ კონსერვატორობას და თვით რეაქციონორობასაც კი იჩენთ. ასეთივენი არიან რობესპიერი და მარატი. და მე უცნაურად მიმაჩნია, რომ ფრანგები, რომელნიც ველარ უძლებენ მომაცვდავ მეფეს, ჯიუტად იცავენ უკვდავს, ბევრად უფრო ტირანიელსა და მძვინვარეს. რა არის ბასტილია ან თუნდ ინკვიზიციის სამჯაგრო ჯოჯოხეთთან შედარებით? კაცობრიობა თავის ღმერთებს ჰქმნის თავისი ტირანების მისუდვიო, თქვენ კი ორიგინალს უარპყოფთ და ასლს ინარჩუნებთ!

— ოპ, მოქალაქევ, წამოიძახა გამლენმა, არ გრცხვენიათ ასეთი სიტყვებისა? როგორ შეგიძლიათ ერთმანეთში აურიოთ უმეცრებისა და შიშის მიერ წარმოშობილი ბნელი ღმერთები და ბუნების შემომქმედი? რწმენა ერთი კეთილი ღმერთისადმი აუცილებელია ზნეობისთვის. უზენაესი არსება ყველა სათნოებათა წყაროა და არ შეიძლება კაცი რესპუბლიკელი იყოს, თუ ღმერთი არა სწამს. ეს კარგად იცოდა რობესპიერმა, როცა იაკობინელების დარბაზიდან გაატანინა ბიუსტი ფილოსოფოსის პელვეციუსისა, რომელმაც ფრანგებს ათეიზმი ასწავლა და ამით ისინი მონობისკენ მიმართა... ყოველ შემთხვევაში მე იმედი მაქვს, მოქალაქე ბროტტო, რომ როცა რესპუბლიკა გონების კულტს დააწესებს, თქვენ მიეკედლებით ამ ბრძნულ რელიგიას.

— მე გონება მიყვარს, მაგრამ მისი ფანატიკოსი არ ვარ, უბასუხა ბროტტომ. გონება ჩვენ წინ მიგვიძღვება და გვინათებს; როცა თქვენ მას ღმერთად გადააქცევთ, ის დაგაბრმავებთ და დანაშაულს ჩაგაგონებთ.

და არხში მდგომარე ბროტტომ განაგრძო მსჯელობა ისე, როგორც ერთს დროს ბარონ პოლბახისას მსჯელობდა, სადაც მოვარაყულ სავარძელში იჯდა, რომელიც მისი გამოთქმით ბუნებრივი ფილოსოფიის საფუძველს წარმოადგენდა:

— თან-ჯაკ რუსსო, სთქვა მან, რომელმაც ერთგვარი ნიჭი გამოაშკარავა, განსაკუთრებით მუსიკაში, ანირებულნი ადამიანი იყო; მას ეგონა რომ მისი მორალი ბუნებაზე იყო დაშფუძნებული, ნამდვილად კი კალვინის პრინციპს ეყრდნობოდა. ბუნება გვასწავლის, რომ ერთმანეთი ჩავსნთქათ და გვაძლევს მაგალითს ყველა დანაშაულისა და ყველა ბიწიერებისა, რომელსაც სოციალური მდგომარეობა ასწორებს ან მალავს. ადამიანმა სათნოება უნდა შეიყვაროს; მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ადამიანების მიერ მოგონილი უბრალო საშუალებაა, რომ ერთად იცხოვრონ შეუშფოთებლად. ის, რასაც ჩვენ მორალს ვუწოდებთ, მხოლოდ ჩვენი მსგავსი არსებების სასოწარკვეთილი აჯანყებაა უნი-

ვერსალური წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც ბრძოლა, ხოლო-ღვთა და ერთიმეორის საწინააღმდეგო ძალების ბრმა თამაშია. ის თვით ანადგურებს თავის თავს და რაც შეეძლოს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ყველაფერი კეთილშეშობისაა. თეოლოგები და ფილოსოფოსები, რომელნიც ღმერთის ბუნების შემომქმედათ და სამყაროს ხუროთმოძღვრად ხდიან, მას უახრო და ბოროტ არსებად გვიხატავენ. მართალია მას კეთილს უწოდებენ, მიტომ რომ ეშინიათ მისი, მაგრამ იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ის უღმობელად იქცევა. მას ისეთს ვერაგობას აწერენ, რომელიც იშვიათია თვით ადამიანში. ამრიგად სცდილობენ ღმერთი თავიანთსავე გახადონ დედამიწაზე. მიტომ რომ ჩვენი უბადრუკი მოღვათა კულტს არ მიუძღვნიდა სამართლიან და კეთილისწყოველ ღმერთებს, რომელთა შიში მას არ ექნებოდა; ის უსარგებლო მადლიერებას არ გამოიჩენდა მათი სიკეთისთვის. განწმენდის მოთისა და ჯოჯობეთის გარეშე ღმერთი არარაობა იქნებოდა.

— ბატონო, სთქვა შამა ლონგემარმა, ნუ ლაპარაკობთ ბუნების შესახებ: თქვენ არ იცით ეს რა არის.

— ღმერთმანი, მე ეს ისევე კარგათ ვიცი, როგორც თქვენ, მაშაო.

— თქვენ არ შეგიძლიათ ეს იცოდეთ, მიტომ რომ სარწმუნოება არ გაქვთ და მხოლოდ სარწმუნოება გვასწავლის რა არის ბუნება, რა მხრივ არის ის კეთილი და როგორ გარყვნეს. მაგრამ ნუ ფიქრობთ, რომ მე პასუხს ვაგცემთ: ღმერთს ჩემთვის არც ცხოველი მჭერმეტყველება მოუციო, არც სულის სიძლიერე, რომ თქვენი ცდომილება დაეარღვიო. მე მეშინია, რომ ჩემი ნაკლულოვანების გამო მხოლოდ ღვთის გამობის საძიებ და გაბოროტების მიზეზს მოგცემთ და თუმცა მწყურია თქვენ გემსახუროთ, მაგრამ ჩემი გულახდილი კაცობიერების შედეგათ ვერაფერს მოვიმეკი გარდა...

საუბარი შეწყვეტილ იქმნა არაჩვეულებრივი ხმაურობის მიერ, რომელიც პირველი წყებიდან გამოძინარეობდა და მთელ მშიერ რაზმს აუწყებდა, რომ პურის საცხობის კარები იღებოდა. დაიწყო წინსვლა ნელის ნაბიჯით. ეროვნული გვარდიელი თითო თითოთ უშვებდა მუშტარს. მეტურესა, მის ცოლსა და ვაჟს პურის გაყიდვაში ორი სამოქალაქო კომისარი ეხმარებოდა: მათ მარცხენა ხელზე სამფეროვანი ნაჭერი ჰქონდათ გადაკრული: თვალყურს ადევნებდნენ, რომ მუშტარი უბნის მცხოვრები ყოფილიყო და იმაზე მეტი არ მიეღო, რაც მისი ოჯახის წევრების რიცხვს შეეფერებოდა.

მოქალაქე ბროტტო ცხოვრების ერთად ერთ მიზნად სიამოვნების ძიებას სთვლიდა: ის ფიქრობდა, რომ ღმერთების უქონლობის გამო გონება და გრძობები ერთად ერთი მსაჯულები იყვენ, მათ კი სხვა მიზნების დასახვა არ შეეძლოთ გარდა სიამოვნებისა. ხოლო რადგან ეს ბრძენი ადამიანი მხატვრის სიტყვებში იმდენ ფანატიზმს გრძნობდა, სასულიერო პირის სიტყვებში კი იმდენ სიმარტივეს, რომ მას არ შეეძლო მათში რაიმე სიამოვნება ეპოვნა, მან, რათა თავისი ყოფაქცევა თავისი მოძღვრებისთვის შეეფერებინა და ხანგრძლივი ღმერთის გაემრავალფერადებინა, ყავისფერი რედინგოტის უძირო ჯიბიდან ლუკრეციის წიგნი ამოიღო, რომელიც მისი უდიდესი სიამოვნებისა და ნამდვილი

კმაყოფილების წყარო იყო. წითელი ნადის ყდა გაცრეცილი იყო ხმარების გამო და მოქალაქე პროტტოს წინდახედულად წაეწალა ღერბი, საძირკვლის პაწია კუნძული, მისი მამის გადასახადების მოიჯარადრის მიერ ნაყიდი ნაღდ ფულზე. წიგნი იმ ადგილას გადაწალა, სადაც პოეტი ფილთაქრუფუნად რომელსაც ადამიანების განთავისუფლება უნდა სიყვარულის ამასტრუქტურის საგან, დედაკაცს ისეთ მდგომარეობაში ხედავს მისი მოსამსახურე ქალების ხელში, რომ შეყვარებულის ყოველივე გრძნობა უნდა შეურაცხყოფილიყო. მოქალაქე პროტტომ წაიკითხა ეს ლექსები და ამავე დროს რავდენჯერმე გადახედა თავის მშვენიერი მუბობლის ოქროსფერ კედას და ვნებიანად შეისუნთქა ამ პაწია თხუპნია გოგოს ნამიანი კანის სურნელება. პოეტ ლუკრეციის მხოლოდ ერთი სიბრძნე ჰქონდა: მის მოწაფეს პროტტოს რავდენიმე.

ის კითხულობდა და ორ ნაბიჯს სდგამდა ყოველ მეოთხედ საათში. მის ყურს, რომელსაც ლათინური მუზის მძიმე და მრავალფეროვანი რიტმი ატკბობდა, ამაოდ ეცემოდა კეკელა დედაკაცების ყვირილი პურის, შაქრის, ყავის, სანთლის და საპნის გაძვირების შესახებ. ასე მან, ნათელი სულით მიაღწია ზეპურის კარებს. ევარისტ გამლენი, რომელიც მის უკან იდგა, მის თავს ზემოდ ოქროსფერ ძნას ხედავდა, რომელიც კარების რკინის ბადეზე იყო მიშავრებული.

ბოლოს გამლენიც შევიდა დუქანში: კალათები, ყუთები ცალიერი იყო: მეპურემ მას დარჩენილი პურის ნაჭერი მისცა, რომელიც ორ გირვანქას ძლივს იწონიდა. ევარისტმა ფული გადაიხადა და მის გამოსვლისთანავე რკინის ბადიანი კარები ჩაკეტეს, რადგან ეშინოდათ, რომ ხალხი შეესეოდა პურის დუქანს. მაგრამ ეს უსაფუძვლო შიშის იყო: ეს ბეჩაგი ადამიანები მოდრეკილნი იყვნენ მათი ძველი დანორგუნელებსა და დღევანდელი განძათავისუფლებლების მიერ და თავჩაქინდრულნი ფეხების თრევით გაუდგენ გზას.

როცა გამლენმა ქუჩის კუთხეს მიაღწია, დაინახა მიჯნის ქვაზე ჩამომჯდარი მოქალაქე დიუმონტედლისა, რომელსაც ხელში ძუძუნწოვარი ბავშვი ეჭირა. ის იყო უმოძრაო, ფერმკრთალი, უცრემლო, გაშტერებული. ბავშვი დედის თითს სწოვდა ხარბად. გამლენი ერთი წუთით შეჩერდა მის წინ, მოკრძალებულად, გაუბედავად. ქალი მას თითქოს ვერ ხედავდა.

მხატვარმა რავდენიმე სატყუა წაილულლულა, შენდევ ჯიბიდან დასაკეცი რქის ტარიანი დანა ამოიღო, შუაზე გასკრა თავისი პური და ნახევარი მუხლზე დაუდო ახალგაზრდა დედას, რომელმაც მას გაკვირვებით შეხედა; მაგრამ ვაჟი უკვე გაცილებული იყო ქუჩის კუთხეს. წინ მისვლისთანავე, ევარისტმა დაინახა, რომ დედა ფანჯარასთან იჯდა და წინღებს აკერებდა. ვაჟმა პური გადასცა მხიარულად.

— მაპატიეთ, დედა ჩემო, მაგრამ ხანგრძლივ ფეხზე დგომით ისე დავიღალე, ისე დავსუსტდი სიცხისაგან, რომ შინ დაბრუნებისას ლუკმა-ლუკმა ჩვენი ულუფის ნახევარი შევსკამე. მხოლოდ თქვენი წილი ლა დარჩა.

და მან თითქო ნაშცეცები ჩამობერტყა თავის ფილეტზე.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი ფრანგულით გ. ქ.



ქართული
ლიბრარიონი

კრიტიკა, მკვლევარობა
და მემორიები



ქართული მხატვრობა და ფიროსმანიშვილი *).

რადენიშე ნაკადი ჰკვებავს ქართულ მხატვრულ კულტურას. ერთი დასავლეთიდან მიდის. ეს არის მოზაიკა, საფრესკო მხატვრობა, საღმრთო წერილის ილუსტრაცია, მინანქრის ხელოვნება, ოქრომჭედლობა. თითქმის ყველა ამ დარგებში ქართველი მხატვრები მხოლოდ პირველ ანბანს სწავლობენ ბიზანტიელ და სირიელ ოსტატებისგან, შემდეგ ხშირად თავიანთი დამოუკიდებელი გზით მიდიან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიზანტიის რეალისტური მხატვრობის საუცხოვო აყვავებას მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეში (კაპრიე ჯამეს მოზაიკას, მისტრას ფრესკებს), რაიცა ნაწილობრივ სირიელი და იტალიური მხატვრობის ხეგავლენით უნდა მომხდარიყო, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბიზანტიური ხელოვნება საერთოდ უფრო აბსტრაქტულია, უფრო უმოძრაო, უფრო დამოკიდებული ეკლესიის ავტორიტეტისგან, ქართულში კი მეტი რეალიზმი, მეტი თავისუფლება. მუდმივ ცხოველმყოფელი ბერძნული კლასიკური ხელოვნების ტრადიცია არა ნაკლებ ძლიერია საქართველოში, ვიდრე ბიზანტიაში. ბეთანიის წინასწარმეტყველებისა, მოციქულებისა და საეკლესიო მამების ან ზარზმის ჯგუფობრივი ფიგურების კუნთების მოძრაობა და სამოსელის ნაოჭები ფიდიასის ბარელიეფებს მოგვაგონებს; კომპოზიციისა, კოლორიტისა, ფსიხოლოგიური დახასიათების მხრივ ეს კედლის მხატვრობა იტალიური რენესანსის საუკეთესო ნიმუშების პარალელს წარმოადგენს. ჩვენ მხატვრებს აქვთ გასაოცარი ცოდნა ადამიანის ტიტველი სხეულისა, რომელიც, როგორც სჩანს, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ერებს არასოდეს არ დაუკარგავთ საბოლოოდ, იტალიელებმა კი მხოლოდ მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეში შეიძინეს.

ზოგიერთი ინდივიდუალური პორტრეტი, მაგალითად ზაზა პანასკერტელისა ყინწვისის ეკლესიაში, გასაოცრად დამაჯერებელი ნატურალიზმით არის გადმოცემული. მრავალფერადი სინამდვილე ყოველი სარკმლიდან, ყოველი ჭუჭრუტანიდან იჭრება ჩვენი ეკლესიის კედლებში და უმოძრაო, გაშეშებული, დოგმატიური დისციპლინით გამსჭვალული წმინდანებიდან ხორცშესხმულ ადამიანებს ჰქმნის. წმინდა გიორგი ტრადიციული შუბის მაგივრად ქართული

*) ეს წერილი დაიბეჭდება ფიროსმანიშვილის ალბომში, რომელსაც ახლო ზანში სახალხო განათლების კომისარიატი სცემს.

ხმლით ებრძვის გველეშაბს, საიდუმლო სერობა რგვალის სუფრის გარშემო ხდება, ქრისტესა და მოციქულებს წინ წითელი ბილოკი და მწვანე უწყვია: სვეტიცხოვლის ჩრდილოეთის კედელზე მკაცრი საეკლესიო მამებისა და წმინდანების გვერდით მომხიბლავ კორსაქიანი ქალები სამიანს, ~~სვეტიცხოვლის~~ შუამთის მონასტერში, ლევან მეორის მიერ განკვეთული და მონაწილე ~~სვეტიცხოვლის~~ თიხათინ დედოფლის უკან, თეთრ თავსახურიანი ახალგაზრდა ქალების ჯგუფი ეოთსა და იმავე დროს მხატვრულ და მისტიურ გარემოს ჰქმნის. ამ საერთო ტენდენციის უკიდურეს დეკადანსად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩიქოვანები თავიანთ კარის ეკლესიაში თავიანთ პორტრეტების გვერდით ტაფიან მხარეულებს ახატვინებენ.

მეორე ნაკადი აღმოსავლეთიდან მოდის, ის ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე პირველი. ორი ათასი წლის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის მიუხედავად სპარსეთმა ქართველი ხალხის მხატვრულ კულტურასა და გემოვნებაზე ბევრად ნაკლები გავლენა იქონია, ვიდრე კლასიკურმა საბერძნეთმა, ვლენისტურმა წინა აზიამ და საშუალო საუკუნეების ბიზანტიამ. თვით რენესანსის დროის იტალიასთანაც კი ერთგვარი პარალელიზმი არსებობს მხატვრულ ფორმებსა და იდეებში, რაიცა შემომქმედი სულის ნათესაობას ჰგულისხმობს: მხოლოდ რენესანსის აღმადიანის მხგავსად ნოაზროვნე და მაცქერალ ხელოვანს შეეძლო ხოფის ეკლესია აეშენებია სამეგრელოში, ზარზმის კედლები მოესატა და საფარის ბარელიეფები გამოეკვეთა. სპარსული დეკორაციული მოტივი, სპარსული მინიატურა კი მხოლოდ ჩვენი მოდუნებისა და დაძაბუნების ხანაში იქრება ეპიზოდურად ქართული კედლის ან ქართული წიგნის მხატვრობაში და მაშინვე ხელახლა იდევნება, როგორც კი ქართველი ერთ თვითშეგნებასა და დამოუკიდებლობის გრძნობას პოულობს. „ვეფხისტყაოსანი“ არ არის სპარსული პოემა, მისი ღირსეული ილიუსტრაცია არ შეეძლოთ სპარსულ მინიატიურისტების სკოლაში აღზრდილ ოსტატებს შეეცმნათ. და ყოველ სულ გემოვნებას შეურაცხყოფს ის შეუსაბამობა, რომელიც მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნიდან დარჩენილ ტექსტსა და მათ მხატვრულ სამკაულთ შორის აოხებობს.

* * *

მეთვრამეტე საუკუნეში ქართულმა პოეზიამ და მხატვრობამ ერთნაირად ამოსწურა იდეური და ფორმალური შესაძლებლობანი. დავით გურამიშვილმა მოგვცა რის მოცემაც შეეძლო მძაფრ ქრისტიანულ შემეცნებას პოეზიაში, ბესიკ გაბაშვილმა აღმოსავლეთიდან შემოსული ფორმები უმადლეს სისრულემდე მიიტანა. აღმოჩნდა, რომ ამ გზით აღარ შეიძლებოდა წინსვლა; და აღექსანდრე ქავჭავაძე ამ ტრადიციული ხელოვნების ეპიგონი იყო.

ანალოგიურ ჩიხში მოხვდა მხატვრობაც; დასავლეთის გზები გადაიკეტა მეთხუთმეტე საუკუნიდან, სპარსული მხატვრობა ნელ ნელა სიბერის უძღურებამ დაიპყრო. ქართველი ოსტატები ამაოდ სცდილობდნენ მოჯადოებულ წრიდან თავის დაღწევას: შემოქმედების ცხოველი წყაროს დაშრეტა, გემოვნე-

ჩის გატლანქება ყოველ დარგში ნათლად სჩანს, კედლის მხატვრობაშიც, წიგნის ილუსტრაციაშიც, მინანქრის ხელოვნებაშიც, ოქრომჭედობაშიც.

რუსეთის შემოსვლამ ქართულ პოეზიას უკეთესი პედაგოგიკური გავლენა, ვიდრე ქართულ მხატვრობას. პუშკინისა და რუსული რეალისტური რომანის სკოლაში აღზრდილმა მწერლებმა ახალი იდეები და ფორმითა ენა შემოიტანეს საქართველოში და, თუმცა ქართულ ლიტერატურაში ნამდვილი რევოლუცია ვერ მოახდინეს, მას მაინც ახალი გზები უჩვენეს. მხატვრობა წინანდებურად უიმედო მდგომარეობაში დარჩა. რუსების პლასტიური ხელოვნება ღარიბი და მარტივი იყო, მათი მხატვრული გემოვნება განუვითარებელი ჩვენთან შედარებით, მათ არათრის მოცემა არ შეეძლოთ რაც გაგვაკვირებდა ან აგვალღებდა ბავრატის ტაძრისა, საფარის ბარელიეფებისა და ზარზმის მხატვრული სიმბოლოსის შემდეგ. ასეთ მდგომარეობაში ქართულ მხატვრობას ერთად ერთი გამოსავალი ჰქონდა დარჩენილი, ის ან ევროპისკენ უნდა წასულიყო პირდაპირ ან რუსეთის გზით, ან კიდევ ყველაზე დაუსრუტელი და ნათელი წყაროსთვის მიემართა, ხალხური შემოქმედებისთვის, რომელიც ახალს იმპულსს მისცემდა შეჩერებულ მხატვრულ კულტურას და შესაძლებლად გახდიდა ახალი განვითარების წრის დასაწყებას.

* * *

ნიკო თეოსოფიანიზმი არ შეიძლება ქართული მხატვრობის რეფორმატორად ჩაითვალოს. მას კულტურა აქვდა. რეფორმატორს კი იმ კულტურის ნათელი შეგნება უნდა ჰქონდეს, რომლის წინააღმდეგ აჯანყებას იწყებს. მაგრამ ეს დუქნებში მოხეტიალე მხატვარი საქართველოს მხატვრულ ატმოსფეროში სუნთქავდა და მისი შემოქმედება დაუმუშავებელ, მაგრამ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს მომავალი რეფორმატორისთვის.

მას არავითარი სკოლა არ გაუვლია, არც აკადემიის, არც მუზეუმის, არც ატელიესი, არ შეუსწავლია არც სანიწუმო მხატვრული ტილოები, არც მხატვრული კედლები, მან ქვეყანას უშუალოდ შეხედა, ციდან ჩამოყარდნილი ბავშვის თვალუბით. ამიტომ მის მხატვრულ ხილვას გასაოცარი გულუბრყვილობისა, მოულოდნელობისა და პირველყოფილობის ბეჭედი აზის. ის ხშირად არღვევს პერსპექტივის კანონებს, მისი სურათი პრიმიტიულია, მისი პალიტრა ღარიბია ფერებით: მას უყვარს შავი, ფერი, ჩალისფერი, ყვითელი, მუქი ლურჯი, ღვანისფერი და თეთრი. სხვა ტონებს იშვიათად ხმარობს. ხატავს უბრალოდ, ძალდაუტანებლად, ისე როგორც ჩვენ ვსუნთქავთ, დავდივართ და ელენენტარულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ვიკმაყოფილებთ. უძლიერეს მხატვრულ ეფექტს უმარტივესი საშუალებებით აღწევს. ხატავს შესტზე, კარტონზე, უფრო ხშირად შავს მუშანბაზე და როცა თაღბი ფერი სჭირდება, მუშანბაზე თავისუფალ აღვილს სტოვებს. ორიოდე ხაზის მოსმით ის იძლევა ცხვრის ფარის მთაბეჭდილებას, მთის პეიზაჟს ან ადამიანის გამოძეტყველებას. ერთ გრძელ ტილოზე მთელი ამბავი აქვს მოთხრობილი: თავადიშვილების ქეიფი გაშლილ მინდორში, საფქვავის მიტანა სოფლის წისქვილში, მლოცველების გამგზავრება

ჩარღანიანი ურშებიათ, ყაჩაღების მიერ მგზავრის გაძარცვა, ჩაფრების განგაში, დღეობა ეკკლესიის ეზოში, ამ მარტივი საშუალებებით ის იძლევა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიულ სურათს, რომლის მსგავსი მრავალფერადობისა და მხატვრული ჰუმარიტების მხრივ ჯერ არავის შეუქმნია.

ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით მისი პიროვნების შესახებ; ის არ ეძებდა მყიდველებს, არ ეძებდა პოპულარობას; როცა საზოგადოებამ ინტერესი გამოიჩინა, ის უკვე გარდაცვლილი იყო. მაგრამ როგორც სჩანს, მას თავისებური ინტელექტი და შალავრი ნების ყოფა ჰქონდა, უფრო ადამიანი იყო, ვიდრე ხელოვანი, უფრო ხელოვანი, ვიდრე ოსტატი. თითქმის ყველა მისი სურათები გამოუთქმელი ლირიზმითაა გამსჭვალული, ის იშვიათად ეძებს დრამატიულ სიუჟეტებს; რაღაც უცნაური მოჩვენებათა ქვეყანა იშლება ჩვენ თვალწინ, და როცა მისი ყალმით შექმნილ ადამიანებსა და ცხოველებს უცქერი „ვისრამიანის“ სიტყვები გაგონდება: „ქვეყანა ძილია და ჩვენ სიხმარნი ვართ მის წინა“.

მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ლირიკული ყფექტის მიღწევა მას ძვირად უჯდებოდა და ის ძალით იურებდა თავის მხატვრულ ტემპერამენტს. ის თავის სულში მთელ ქვეყანას იტარებდა, რომელიც მას აღელვებდა და სტანჯავდა. მისი ნაცნობები ამბობენ, რომ ის მომთვარულს ჰგავდა. მისი სახეები, რომელნიც თითქო რეალისტურად არიან დანახულნი და შესრულებულნი, დაკვირვების შემდეგ უღრმესი მისტრიციზმის შთაბეჭდილებას იწვევენ და მისი ყანწიანი მოქეიფეები, მეღუქნეები და იაფფასიანი ნეძაფი ქალები იმ ქვეყნიურ არსებებს ჰგვანან. ისინი არ იცინიან და არ სტიჩიან, ისინი გაოცებულნი იცქირებიან; გაოცებულნი იცქირებიან არა მარტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც, ეს უცნაური ხის ირმები, ლომები და ყირაფები, რომელთა განგმირაფი თვალების გამომეტყველება არავის დაავიწყდება, ვინც ისინი ერთხელ მაინც ნახა.

ის ყოველმხრივ მიუდგა საქართველოს. მას აქვს ინდივიდუალური პორტრეტები ადამიანებისა და ცხოველებისა, რომელთა წორის, როგორც სჩანს, მხატვარი არსებობის განსხვავებას არ ხედავდა. აქვს პეიზაჟები, განსაკუთრებით დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოსთვის, დამტვრეული მთების სილიუეტებითა და შეყვითლებული მოლით, რომელნიც შეუდარებელ ფონს წარმოადგენენ მისი მოქეიფე ჯგუფებისა ან გარეული მხეცებისთვის. ორი ნატიურმორტი, რომელიც მის პირველ აღმომჩენლებსა და დამფასებლებს, ზდანევიჩსა და შევარდნაძეს ეკუთვნის, შედევრებათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი შეცდომისა და შეუსაბამობის მიუხედავად. ერთი მათგანი, რომელზედაც გულადმა გადაბრუნებული დედალი, მწვადები, შოთის პური, ყანწი და ტიკია გადმოცემული, ქართული დამახასიათებელი ნატიურმორტის საუკეთესო მიღწევაა, მეორე, რომელზედაც ტიკი, დოქი, ლალისფერ ღვინიანი ქიქები, გაჭრილი საზამთრო, ყურძენი და თევზია დახატული, შეუდარებელია კოლორიტის მხრივ.

მაგრამ ყველაზე მეტად მას მოქეიფე ჯგუფების გადმოცემა უყვარდა, ბანკეტი ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით ე. ი. ადამიანების შეხვედრა არა მარტო პურის საქმელად ან ღვინის სასმელად, არამედ სულის სულში ჩასახედათ. ის იძლევა ასეთი ღზინის დაუსრულებელ ვარიაციებს, უმეტეს შემთხვე-

ესაა გაშლილ პაერზე, ეენახში, ყურძნის თაღის ქვეშ, მინდოროში, მთებისა და
 მდინარის ფონზე ან ქალაქის ვანაპირა დუქანთან. ეს ადამიანები ქოველოვის
 ეროს რიგში სხედან ყანწებითა და ქიქებით ხელში, ხშირად მარჯვენა ხელს მოკ-
 რძალებული მედუქნის, მზარეულის ან მოხეტიალე მუსიკოსის ფიგურა აცხო-
 ველებს. ყველგან სჩანს ტრადიციული ქართული ლხინის შინაგანი დისციპლინა,
 ის დარბაისლობა და თავდაქერილობა, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუ-
 კუნეში აკვირვებდა ჩვენებური ბანკეტის უცხოელ მნახველსა და აღმწერელს
 კავალერ შარდენს. და როცა ამ სახეებს უცქერი, გრძნობ, რომ ფიროსმანი-
 შვილმა ქართველი ადამიანი დაიჭირა იმ მომენტში, როცა ის ყველაზე უფრო
 ქართველია და ყველაზე უფრო ადამიანი, როცა ის არ ჰგავს არც რუსს, არც
 სპარსელს, არც სხვა მეზობელს, რომელსაც მრავალ საუკუნეებია განმავლობაში
 მასზე გავლენა მოუხდენია, როცა ის ათასი უხილავი ძაფებით იმ შორეული
 თაობების ბანკეტთან არის დაკავშირებული, რომელიც დიდმა ბერძენმა ფილო-
 სოფოსმა ასწერა. (ვაი ჩვენ, სპარსელებო!)



დიმიტრი ჟაზგაფის და ალექსანდრე ჟაზგაფის გიობრაფიის მასალები.

(გაგრძელება) *

თავი მეთუთხმეტი.

ძალუა კვებს ზნეობითი დასასურათებლად, აქ საჭიროა მოვიხსენოთ იმისი პირველი ოჯახის შვილები ე. ი. უნდა მოვიგონოთ, რომ ბიძა ჩემი ქვრივმა შეირთო და პირველ ქმართან სამი ქალიშვილი დარჩა. უნდა თვალყური ვადევნოთ, კვალ და კვალ მიუყვებთ, თუ როგორ ასრულებდა იმათ წინაშე თავის ზეთიურს მოვალეობას. ამ ცნობის მოყვარეობას ცოტა მეტი დრო უნდა შევსწიროთ.

იმ დროს, როდესაც ქვეშეთში მყუდროთა ესცხოვრობდით, როდესაც სანდროს თავისი ტიტინით და ცულქობით დედას გულს უტკბობდა და გარეშე პირებს ეგონათ, რომ იმის დედას სანდროს გარდა სხვა საზრუნველი აღარა ჰქონდა, სწორედ იმ დროს დიდის საიდუმლოებით თავის ერთგულს გამდეულ-ნინოსთან გახშირებული ვიშ, ვიში ისმოდა და ამასთან მოუხშირა თავის ქალების მდგომარეობაზე ლაპარაკი. ნინოს ხშირათ რაღაც საიდუმლო წერილები შემოჰქონდა (ბატონის ჩუმად!) ძალუასაგან გაჰქონდა წერილები, რაღაც გამოკრულები ფართუკ ქვეშ ამოდებული და ეს ყველაფერი ხდებოდა დიდის საიდუმლოებით, სიმარდით, ასე რომ ადამიანი ვერ გაიგებდა სად და როგორ იგზავნებოდა. მესაიდუმლე იყო მხოლოდ ნინო და იმასთან თათბირი და რჩევა მუდმივი იყო. მაშინ ძნელი მისახვედრი იყო, თუ ამ მარტივ საგანს, — როგორც დედისაგან შვილზე ზრუნვაა, ასე საიდუმლოთ რათ ეპრობოდნენ. მაგრამ ეხლა კი ცხადათ მეხატება შიზენი: ბიძა ჩემს თავისი გერგები არ უყვარდნენ და იმათვის გულ უხვი ვერ იყო; ძალიან ხშირათ ცოლ-ქმარს ამ საგანზე უსიამოვნოება მოზდიოდათ. ესეც აშკარა იყო, რომ იმათ შორის სულიერი კავშირი და ერთობა არა სუფევდა და ხორციელათ კი მარტო სანდროზე ზრუნავდა და იმისი სიყვარული აერთებდათ. ამისთანა გარემოებით შებორკილი ქვეიანი დედაკაცი დიდის მონებრებით ქრმის ჩუმათ სახსარს იჩენდა და საიდუმლოთ აწვდიდა

* იხ. „მნათობი“ № 1(9).

იმათ, ვისთანაც დროებით დაებინავებინა თავისი ობლები. ჩემს თავს ნებას მივსცემ და ვიტყვი, რომ სახსარის მოსაპოვებლად ზნეობის სისულლო ვეს/არ დასდევდა და ეს ხომ მუდმივი იარაღი იყო ძალუა კეკესი!

ადვილი არ იყო ძველებურის, იმ დროის დედისთვის, რომელიც დაებინავებინა: იმათთვის კარგი ქომები ეშოვნა, გათხოვებამდინ იმათ გამოკვებას ეზრუნა, გათხოვების დროს ვაემზითვა... რასაკვირველია, ამისთანა მოვალეობის ასრულება ძალუასთანა ჭკვიანს დედაკაცს არ ვაუჭირდებოდა იმას რომ თავისი საკუთრება ჰქონიყო, მაგრამ სამწუხაროთ, ქალების მამისგან არაფერი სახსარი დარჩენიყო და თავისი საკუთარი მზითვეი კი შეარდგენდა ორითღე კომლს ვაცს და ორითღე დღიურს მიწას, რომლიდგანაც ვურატურსა სარგებლობდა. ეს გარემოება ქონებრივ დამოკიდებულათა ხდიდა ძალუას თავისი ქრმის წინაშე, მედიდურს მანდილოსანს თავის მოკვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ მოწყალებასავეთ თავისი ქრმისთვის ეთხოვნა, თავისი ობლების საზრდო. თხოვნის მაგიერ ძალუა კეკე თავის ბუმბერაზს ჭკუას სხვა მხრივ ავარჯიშებდა... სვიანდისს ხწირათ აძინებდა იმისთვის, რომ თავისი წადილი და მოვალეობა აღესრულებინა. იმისი აზრით ქალღ-შვილი უთუთ უნდა გათხოვილიყო და კარგ დედათაც მხოლოდ ის იწოდებოდა, რომელიც თავის ქალს ადრე და კარგათ ე. ი. მდიდარზე და განოჩენილს ვაცზე ვათხოვებდა. რა გზის, მიალწევდა ამ მიზანს, ან როგორ? — იმის განხილვაში არ შედიოდა. „ხერხი სჯობია ღონესა“ იტყოდა ხოლმე და ვინც იმის სურვილს წინ აღუდგებოდა, იმის შემუსვრას მოახერხებდა!... ბიძა ჩემს რომ თავისი გერები არ უყვარდა ეს ზემოთა ვსიქვით, იმათთვის თავისი ნებით არაფერი ემეტებოდა. ძალუამ კარგათ შეიგნო, რომ ქმართან წინააღმდეგობა არაფერს სარგებელს მოუტანდა და ამის გამო განოცდილმა, ჭკვიანმა — დიაცმა შეარდგინა თავისი საკუთარი გეგმა და შეძლებისა და გვარად მოქმედობდა... ამისთანა გარემოებაში ჩავარდნილს დედაკაცს ჭკუვა, ხერხი, მჭერმეტყველობა ეჭირებოდა და ძალუას ღიოსებად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა ეს შესწევდა და დიდის ზემით იმარჯვებდა!

პირველი და უსაჭიროესი ძალუასთვის ის იყო, რომ ქმარი დაემორჩილებინა, ყველა ნაირს თავის მოქმედებაში დაეყოლია და სადაც ვერ დაიყოლებდა, იქ მოატყუებდა ხოლმე. ბიძა ჩემი ჯიუტი მთის კაცი იყო: იმას ეჯავრებოდა მანდილოსანთ თამაზობა, მაჰანკლობა, ქალების ძალდატანებით — მოტყუებით დათხოვება; ძალუა ჩემის ცდაში კი, ქალების დათხოვების შესახებ, იმისი სურვილის წინააღმდეგი მოქმედება გამოიხატებოდა ხოლმე.

ძალუა ჩემმა დიდა ტაქტიკით: ხან დაყუავებით და ხან ჩხუბით ჯერ თავისი უმცროსი ქალი მოიყვანა. კარგა ხანსა მალამდა კიდევც და მერე, როდესაც შეეჩვია ბიძა ჩემი იმ აზრს, რომ ერთ ერთი ქალი ნაინც უნდა მოიყვანოს, მხოლოდ მაშინ გამოაჩინა და ისეც მოახერხა, ვითომც დღეს მოსულაო.

ჩემი ინდენ ხანს თავის გვერდით დატოვება თავისი განსაკუთრებულის მოაზრებით მოზდიოდა: უნდოდა ბიძაჩემასათვის დაენახვებინა, რომ მარტო იმისი ქალები არ არიან შესანაბი, რომ თავის ქრმის ძმისწულზედაც ხარჯი მოხდის, იმას ვარდა ასწავლის კიდევც, ზრუნავს იმისთვის ერთი სიტყვით შირმათ გა-

შაკეთა, ყველა სსიამოვნოების მიზნით მე გამოვყვანიდი და ამავე დროს არც თავს მანებებდა და არც არას მასწავლიდა!.. ჩემი შებოქვა არც სიყვარულით მოხდებოდა და არც ზრუნვით. ამისთანა მოვლენას სხვანაირი ახსნა არ უდგება.

პირველათ მე და სანდროს ჩხუბი აი რაზე მოგვივიდა? ჩვენს ხელოსანებს ღვეთში გზის მკეთებელი ბატალიონი იდგა. იმით თავიანთი პოლკის დღეობა იდღესასწაულეს და პიკნიკი გამართეს. რასაკვირველია ბიძა ჩემი თავისი სახლობით მიიწვიეს. ძალუას ძალიან უნდოდა თავისი ცქრილა ქალის გართობა, რომელიც ლამაზი და ხავედენიაში ნამყოფი იყო, მაგრამ ქმარი ვერ დაიყოლია. ძალუა ჩემი ძალიან ცდილობდა: ხან უყვავებდა, ხან ებუტებოდა, უაღფრსებდა მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია პიკნიკში წასასვლელათ. ბიძა ჩემი ძალიან გაჯიუტდა და უთხრა: მე ყაზბეგში საჭირო საქმე მაქვს და მივდივარო.

— მე შინ არ ვიქნები, ვერ გამოგყვები და აბა ვისთან უნდა წახვიდეო?

— რა არის ვხლა რომ არ წახვიდე შენს საყვარელს სტეფანწმინდას?

ნეტაკ რა დავრჩენია იქა, იქაურს ქვევს იომ არავინ წაგართმევს და სხ. ამისთანა საბუთები ბევრი უთხრა. შეპყვნენ ერთმანეთს და კარგი ჩხუბი მოუვიდათ. გაშფოთებული ბიძაჩემი მსწრაფლად მოემზადა სამგზავროთ:

— მე ვერ დავრჩები მივდივარ და თქვენ თავში გვა იხალეთო, — სთქვა და ნართლა წავიდა კიდევ.

ბიძა ჩემი რომ გაემგზავრა გამდულმა ნინომ ჩუმათ მითხრა: ბიძა შენმა გთხოვა, თუ ჩემი პატივის ცემა გაქვს პიკნიკში ნუ წახვალო. მე არცკი ვიცოდი წამიყვანდა ძალუა თუ არა, და აზრადაც არ მომსვლია შემზადება და ეხლა ხომ რადგანაც გამაფრთხილეს გარდავსწყვიტე რომ არ წავსულიყავ.

მე ვიცოდი ძალუას ხასიათი რომ რადგანაც თითონ თავისი ქალით წასვლა უნდოდა, მე აღარ მომეშვებოდა და დილითვე ავითმყოფობა მოვიგონე.

— შენ არ მოდიხარ პიკნიკში? მკითხეს.

— ავით ვარ.

ჩაღიებით აღარ ნასვენებდნენ რომ უთუოთ წავსულიყავ და როგორც მაცდურები რაც მოგველოდა იმ მხიარულებას აზვიადებდნენ. მეც 15—16 წლის გოგო, რაღა თქმა უნდა, რომ სიამოვნებას ველტოდი. ჩვენის ფანჯრებიდანა სწანდა ის მინდორი, სადაც სადღესასწაულოთ კარვები დაუდგათ და მინდვრის ყვავილებით და სხვა და სხვა ფერის ქალაღდის ფარნებით კარ-მიდამო მოერთოთ. სალდათებს დიდი რბენა და თავში ცენა ჰქონდათ; თავის პოლკის დღეობას დღესასწაულობდნენ! სოფელში ამ გვარი მხიარულება ძვირათ მოხდება ხოლმე და რაღა თქმა უნდა, რომ ყველას გვინდოდა წასვლა და თამაზის ცქერა. მარტო ბიძაჩემი გაექცა ამ დღესასწაულს და ჩვენთვისაც, მთის კაცი, ფიქრობდა, რომ სრულებით მეტი იყო იქ წასვლა, ძალუა ჩემის აზრი-კი სხვა იყო, ფიქრობდა: წაიყვანს თავის ლაზათიანს ქალს, იქ ბევრი აფიცრები იქნებიან, მოეწონება ვისმე, და ქალს მუშტარი გაუჩნდება. აბა, უმოდი და ნუ აპყვებოდა ამისთანა მაცდურს ფიქრებს?!...

თამრიკო ყველაზე უფრო გახარებული იყო და დიდის ყოფით იმზადებდა კაბას და მრავალს მოსართავებს: ყვავილებს, ლენტებს, კრუეოვებს და სხ. და

სხ., ის დილითვე მოვიდა ჩემთან, გაღმამეხვია და შითხრა: „ჩემი ჭირიმე ლიზა წამოდით!“ მე იმაზე უმცროსი ვიყავ, და მიკვირდა, მე რატომ ჩამცივებიყვნენ და ასრუ გულმოდგინეთ რათ უხდოდათ ჩემი წასვლა, მგონოდა რომ ეგონათ, ბიძა ჩემი ისე აღარ გაჯავრდებოდა, და ამ აზრით მყეც მობჩანეს და მიყოლიეს. სადილს შემდეგ ყველანი მოვირთუნით, სანდროც ლამაზათ შორთეს და წავედით. სოფელში არც არავინ ჩვენზე პატივსაცემი სტუმარი ჰყავდათ და არც ჩვენზე ლამაზი და რაღა თქმა უნდა საპატიო ალაგი დავიჭირეთ. ჩვენა და კიდევ ორიოდ აფიკრის ცოლი შეადგენდნენ მანდილოსანთ გუნდს; ეს შემთხვევა უფრო ფასსა გვდებდა: მოგვეყებნენ დიდის პატივით მიგვიღეს, გულუხვით გვიხუდებოდნენ და ყველანი სიამოვნებას ვეძლეოდით. უმაწვილი აფიკრები, ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ მოსული ქალებისათვის თავიანთი თავი ხრდილათ და სასიამოვნოთ ეჩვენებინათ. ჩვენ ეს ანბავი ძალიან გვახარებდა და გვახალისებდა; თამრიკო, როგორც რუსები იტყვიან: მგჯლიშის დედოფალი იყო და აფიკრები ბუხებოვით ეხვეოდნენ. საღამომდე ამისთანა სიამოვნებაში ვიყავით, და როდესაც დრო მოვიდა ჩვენი დაშლისა, თითქმის შინ წასვლა გვეხარებოდა. ამ მგუდროთ სიამოვნების დროსაც როდესაც ვოცნებობდით, რომ ერთი ორი საათი კიდევ დავრჩენილიყავით, უეცრათ ძალუა შეშფოთდა, აიბარგა და ჩვენც გვიბძანა მოვმზადებულყავით შინ წასასვლელათ. მასპინძლები ესვეწებოდნენ კიდევ დარჩენას, მაგრამ ძალუას რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა და ვერ დაიყოლიეს. წამოვედით შინისკენ, მთლათ აფიკრები მუხიკისა გამოგვეყვნენ და დიდის პატივით მიგვაცილეს. მე და თამრიკო გვერდ-გვერდ მივდიოდით, ჩვენი კავალრებითა ხელ გაჭრილები, და სანდრო წინ მიგვიძლოდა; ძალუას ქალი მაშინ მართლა რომ გასათხოვარი იყო 18—19 წლისა და სიამოვნოებას ის უფრო სისრულით გრძნობდა და აფასებდა კიდევ. გადმოვხედა და მე და სიცილით შითხრა:

— სად არის ეხლა ჩვენი ბოზოლა, რომ თვალებს არ დაგვიბრიალებს!..

მე გავიციე და დავეთანხმე, რომ დიდის ანბით და ბოწილით წაგვასარევდა მეთქი შინა, ამას კიდევ რამთენიმე სიტყვა დავუმატეთ: ვიცინოდით, ვოსუნჯობდით და რაც ენაზე მოგვადგა, ყველაფერი დაურიღებლათა ვსთქვით, გვიანდა მოვიანბრეთ, რომ სანდრო იქვე ახლო მოგვდევდა, და ამ ჩვენს ლაპარაკს გაიგონებდა. სანდრომ შეგვეამჩნია, რომ იმისი შეგვეშინდა და იმიტომ უეცრათ შევსწყვიტეთ ჩვენი ყბედობა მისთვის, რომ იმას არ დავებიზღებინეთ; შემოგვხედა, ჩაიციხა და განიმეორა: „ჩვენი ბოზოლა თვალებს დაგვიბრიალებს?!“ ჩვენ ვიგრძენით, რომ სანდროს ხელთ ვიყავით და უსიტყვოთ ერთმანეთს შევხედეთ, თითქოს ერთმანეთი გავატრაბილეთ, სახლს რომ მივახლოვდით ბიძაჩემის ოთახიდან შუქი დავინახეთ, კიდევ უნებურათ გადავათვალეერთ ერთმანეთი, სანდროს შევხედეთ და დავრწმუნდით, რომ უსიამოვნოება მოგველოდა და ქეიფი ჩავყშხამდებოდა. მე მიუახლოვდი სანდროს, მინდა მეთხოვნა, რომ ბიძაჩემისათვის არ გადაეცა ჩვენი ყბედობა, მაგრამ უბრალო იყო ჩემს თვალს წარმოუდგა არა პატარა, ამხანაგი სანდრო, არამედ მოხდილი ეშმაკობით საე-

სე ყმაწვილი კაცი! ეს გრძნობა ჩემთვის ახალი იყო. იმისი ^{ქვეყნა} თვალები გვეჭადდნენ უსიამოვნოებას და თანაც დაქვეცინოდნენ.

— სანდრო, გენაცვალე, მამას ნუ ვტყვი რაც ჩვენ ვიხუმროთ, ხომ იცი გავვიჯავრდება ...

— არა, ვერცხვი და შეკა სეირს უყურებ, როდენაც ^{ბობოლა ბოწიალით} წავათრევხთ! — განიმეორა ჩვენი სიტყვები, გაიცინა და მამის კაბინეტში შევიდა და ჩვენ დალონებულები, როგორც დაძნაშაფენი, თავდახრილები ნელა შევედით ჩვენს ოთახში და ჩუმათ, უსიტყვო ვიხსნიდით და თითქმის ვივლევდით მასართავს ლენტებს და კრუფოვებს.

მე კიდევ არა მჯეროდა, რომ ჩემი პატარა მეგობარი გამომიმეტებდა და დამაბიზლებდა. მაგრამ რაღაც მოუსვენრობაა ვგრძნობდი და შეშინებულს ჩიტვით გული მიფრიალებდა. ძალუა ჩემის ოთახიდან რაღაცა მიიქმა მოთქმა იმპოდა და გამდელი ნინო დიდის შუთათვით შედიოდა და განოდოდა — ეტყობოდა, რომ რაღასაც შუთათვობდა და არიგებდა. მე გაჯავრებული მივევდე ჩემს ქვეშავებზე და ტანთ გაუხდელს, გამოწყობილი ფეხსაცმელით მეორე დღემდუნ მიძინა. მე არა ერთხელ შამქვახვევოდა ხოლმე ამ გვართ მივლება, რადგანაც ჩემთვის თავს არავინ იწუხებდა.

გავიღვიძე თუ არა, მაშინვე მომაგონდა გუშინდელი დღე და ვითქრე: ნუ თუ სანდრომ დაგვაბიზლა? ენა მოუტანა თავის მამას? არა, ამისთანას სისხდავლეს არა იქს, განა არ იცის, რომ ენას მიტანა, მამაკვდინებელი ცოდვა არის, როდესაც პირი დავიბანე და ძალუას ოთახში გამოვედი, შევამჩნიე ძალუას, რომ ნამტირალევი თვალები პქონდა და დაუიქრებული რაღაც წიგნს ჩასცქეროდა. ძალიან ნელის ხმით და მოწიწებით დილამშვიდობისა უთხარ, ძალუამ არც კი შეძომხვდა. მე საჩქართ გამოვეტრიალდი და თამრიკოს ძებნა დაუწყე, მაგრამ რამოენიმე ხანი ვერ მივხვდი სად უნდა ყოფილიყო, რადგანაც სადაც მევულეობოდა იქ არ დამხვდა. იმის ძებნაში პატარა სალომე შენხვდა რომელმაც გასტინაში მიმიითთა. კრესლაში ჩამალული, ნამტირალევი თვალებით თამრიკო ვნახე ფერ მიხდილი და ძლიერ ჩათუქრებული.

— რა არის, რა მოხდა, რომ ყველანი დღეს ასე დალონებულები ხართ?.. დღევანდელს დღეს, თითქო ყველას ლაპარაკიც დაგვიწყებიათ... რა გატრებს?

— როგორ არ ვიტროო? საწყალი დედა ბიძაშენმა ისეთის პირით გალანძლა, რომ ... — ტირილი ამოუშვა — როგორ არ ვიტროო, დედა, ჩემის გულისთვის უსიამოვნოებაში ჩავარდა...

— რათ ანბობ, რომ შენის გულისთვის, იქნება თვისავე გულისთვის, ან ჩემის გულისთვის მოუვიდათ უსიამოვნოება?...

— იმითი ვიცი, რომ ყურს უგდებდი: დედა მე მესარჩლებოდა და თავის თავს ალანძღვინებდა... სულ იმ ლაწირაკის ბრალი კია!.. სანდრომ მამას ენა მიუთარია და რაც ჩვენა ვსთქვით მეტობით უანბნია.

ამ ნაანბობმა საშინლად შემაწუხა: როგორ, სანდრომ გავცვა, გავვაბიზლა?! შამქვიზლა იმისი საქციელი, მათლად აეინთე, გავჯავრდი, უსიტყვო ვავტრიალდა

და წავედი სანდროს საძებნელათ, უნდა წაეჩხუბოდი, შემერცხვინა 12-13 წლის ყმაწვილი ენაუნობისთვის პირველათ ვიგრძენი რომ სანდროს წყენა შემიძლიან. მოვიარე ოთახები, შემოვირბინე კარმიდამო და სადაც შევხვდებოდა ყველგან მოვნახე, მაგრამ ვერ ვიპოვე. როდესაც იმედი გადამიწყდა, ეჭვს ვიჭერისა და პირველმა შესაძებმა გამიარეს, სწორედ ამ დროს სანდროს, მხედრულად ვემომესმა: დაეინახე, რომ თავის მამის კაბინეთიდან გამარბოდა, ხელში რაღაც დაებლუჯა გაჰკიოდა, „ალარ მოგცემ! ალარ მოგცემ!“ მე შეეჩერდი, მორბოდა მხიარულის სიცილითა, ლოყებ ამოკვერებული, ხელში საუსე ქისა ეჭირა და ეზოსკენ მიეშურებოდა. კაბინეთის კარებში ბიძაჩემი იდგა და სიამოვნებით უყურებდა თავის ლამაზ სანდროს და რაც მოსტაცა კი არ ენანებოდა უხაროდა, იმისთვის რომ მოტაცებულმა სანდროს გაახარა. „ღმერთი იყოს შენთან!“ მისძახა და შეტრიალდა თავის ოთახში.

მე სანდროს აღარ გამოუდევ, რადგანაც იმედი არა მქონდა, რომ მიეწყოდი — და აღარც ისე გაჯავრებული ვიყავ იმაზე — დავმშვიდდი. მიფხვები ტახტის კუთხეში ფანჯარასთან და ქარგას დაუწყე კერვა. ხელსაქმე არ უშლის ფიქრების მსვლელობას და ვისაც გამოუტდია დანერწმუნება რომ, ნემსით მუშაობის დროს, ადამიანს შეუძლიან სხვა და სხვა მსჯელობა იქონიოს, სხვა და სხვა ფიქრებმა და ოცნებამ გაიტაცოს ადამიანი. მე აი რა ფიქრებმა გამიტაცეს: იმ დღის უგემურებამ სხვა ნაირათ იმოკმედა ჩემზე და უფერაათ აზრი დამებადა, რომ ყაზბეგში წავიდე მამაჩემთან, „არა, რას უხევაარ? ძალუა ყველა ოსტატებს უკრძალავს, რომ არავინ მასწავლოს, თურმე ჩემთვის სრულებით მეტია სწავლა! ძალუას არ უყვარვარ, ბიძას უყვარდი და ეხლა იმასაც აღარ ვეყვარები, რადგანაც სანდრომ უთხრა, რომ მე ბობოლა დავარქვი!.. ვაიმე რა სირცხვილია... ეხლა ბიძა ჩენს როგორღა შევბედო თვალეებში? ვაიმე, რა საქციელი იყო რომ ბობოლა დავუძახე?! ახ, სანდრო, სანდრო! განა შეიძლება ტოლის და ამხანაგის ასე შერცხვენა? არა, მე მაინც უნდა შინ წავსულიყავ, რადგანაც აღარც სანდროს უყვარვარ: სულ იალუპასთან, შიუკასთან და სხ. სირბილში ატარებს დროს, მე აღარც კი ვაგონდები... სანდროს რატომ არ უყვარს თამრიკო? მე რომ ბიძაშვილი ვარ ის ხომ იმისი საკუთარი და არის? თამრიკო კნიაჟნა არის... რა კარგია კნიაჟნობა? რა სასაცილოა... იმ დღეს აფიცრებმა მეც კნიაჟნა დამიძახეს, მეც ცოტა არ იყოს მიამა კნიაჟნობა, მაგრამ შემრცხვა და თავი ჩავლუნე, რადგანაც ტყუილი კნიაჟნა ვიყავ!.. რა კარგია, როდესაც კნიაჟნას გვეძახიან კავალრები: კნიაჟნა მობძანდით, კნიაჟნავ დაბძანდით, კნიაჟნავ მიირთვიო და სხ. რასაკვირველია კნიაჟნას დაძახება უფრო ადვილიც არის მინამ ბარიშნა ელიზავეტა ნიკალავნა!.. უჰ, ეს ხომ სულ გრძელი და უცნაური სახელია... რუსულის უცოდინარობა ძალიან უშლის ხელს ადამიანს: სულელივით იქით აქეთ იყურება ადამიანი... ახ! არა, უთუოთ რუსული უნდა ვისწავლო! ბედნიერია თამრიკო! რა ლამაზათ, სხაპის-სხუპით ლაპარაკობს რუსულს!.. ყველანი პატივსა სცემენ იმიტომ, რომ გაზდილია. რუსულათ ლაპარაკი ხომ გაზდგანათლება არის. არა, არ მინდა ქარგის კერვა, რუსული უნდა ვისწავლო! ძალუასაგან გამიგონია, რომ წერა კითხვა ისე არ არის საქირო, როგორც

ლაპარაკი!.. სტუმრები, რომ მოვლენ ხოლმე, მე სულელივით უყურებ, მუნჯი-
ვითა ვხიფარ, რადგანაც ლაპარაკი არ ვიცი.... არა უთუოდ უნდა ვისწავლო....

ამ ფიქრებშია ძალიან შორს გამიტანცეს. ჩემში გაიღვიძა სურვილი, რომ
მეც უმაწვილ ქაცვებს მოვწონდე, ჩემთანაც მოვიდნენ ხოლმე ~~საღამოს~~ სალა-
პარაკით... მაგრამ უცებ მომიგონდა, რომ ბიძა ჩემს არ უყურებს, ~~როცა~~ ხეივ-
რები მანდილოსანთ თამაშათ ელაპარაკებიან და ისე შემოცხვია რომ მგონი გაფ-
სწითლდი კიდევ; ასე მეგონა რომ ჩემი ფიქრები ქვშმარიტებათ გარდაიქცა და
აფიცრებთან ლაპარაკში ბიძამ შემომასწრო მეთქი. მივიხედ-მოვიხედე, და როცა
დაურწმუნდი, რომ მე და ჩემი ფიქრები ვიყავით მარტოვანი, როცა დაურწმუნდი,
რომ ჩემი ფიქრების მოწამე არავინ იყო, გარდავაგდე ქარგა, მოვიტანე თეთრი
უბრალო ქაღალდი, გავაკეთე რვეული, შუა გავკოცე და სიჯრბეზე დავსწერე
ქართულათ ის სიტყვები, რაც ლაპარაკისთვის საჭირო იყო. აი ასე აღვიღათ
ვისწავლი რუსულს—ვფიქრობდი მე. დავსწერე!

როგორ მშვიდობით ბრძანდებით?

მოხვედ მშვიდობით!

გაშარჯვება.

პური.

წყალი.

საჭმელი. და სხ. და სხ. გავაჭვლე ნუსხასავით:

კიდევ ფიქრში წაველ: „საჭიროც არ არის რომ იცოდეს ვინმემ, რომ მე
ამ გვარათ რუსულსა ვსწავლობ. მე ჩემთავათ თითო თროლა სიტყვას როგორც
გავიგებ ვისგანმე, მაშინვე ქართულის ასოებით ჩაგწერ და ასე ვისწავლი ლაპა-
რაკს. დეე ძალუა ნუ მასწავლის, უიშისოთაც ვისწავლი!“

ჩემი ფიქრები დამითხოვ იალუბა ბიჭმა, რომელმაც შემოსვლის უმაღ-
წანობიძახა: „ქალო, რამთენი ხანია თქვენ გეძებთ, პური შიირთვით!“ სთქვა და
უნდა გასულიყო, მაგრამ მე შევაყენე კითხვით:

— ჩემო იალუბა, მითხარ, რუსულათ როგორ ითქმის: როგორ მშვიდო-
ბითა ბრძანდებით?

— კაკ ვაშე ზდოროვიე?—მითხრა და გაიცინა. მე მაშინვე მივარდი
ჩემს რვეულს და სადაც როგორ მშვიდობითა ბრძანდებით იყო დაწერილი,
იქვე ქართულის ასოებით მიუწერე რუსული ფრაზა კიდევ უნდა განმეგრძო
ჩემის ლექსიკონის შერდგენა, მაგრამ იალუბამ მითხრა სადილზე კიდევ დაბრ-
ძანდნენო და მეც იქით გავეშურე. შევედი და ვნახე, რომ მართლა ყველანი
შეკრეფილიყვნენ, ასე რომ სანდროც კი თავის ალაგას იჯდა და მადიანათ
ილუკებოდა. მე შესვლის დროს რაღასაც უსაბოვნოებასა ვგრძნობდი და რომ
ჩემთვის ეკათხნა ვისმე, სამის დღის შიმშილს ვირჩევდი, მინამ იმ *საერთო
სუფრაზე მონაწილეობის მიღებას. მაგრამ რას ვიქმოდით? შეუსვლელობა არ
იქნებოდა, მოწიწებით შევედი და ჩემს ალაგას დავჯექ; სალფეტკის ალების
დროს, მხდალათ თვალი გადავაავლე მოსადილეებს და დიდათ გამიკვირდა, რო-
დესაც შევამჩნიე, რომ ძალუა კევე თავისი ქალით გვაკლდნენ. მე შეგვართი,
შემოცხვია, რადგანაც ქალი მარტო მუღა ვიჯექ სუფრაზე და ვიფიქრე, იქნება

მეც არ გამომგვლავებოდა მეტეტი. კორბო მხიარულათ იყო და სანდროსა ჰკითხავდა: „ქნენა, რა მიხეხით არ მიირთმევს ჩვენთან სადილსა?“ რომლის პასუხი მიიღო, რომ უქეიფოთ ბრძანდებოთ. ბიძა ჩემი ჩუმად იჯდა და ხანდახან ბლერით შეიმომხედავდა ხოლმე. სანდრო ყველას მაგივრად მიიღებდა და თითქო ცდილობდა რომ ამისთანა უგემური დღე თავისი მხიარულის ყბვდობით გაეგემრიელებინა. მეც რამთენჯერზე ვაძნეხებოდა და სხვათა შორის წამჩუროხულა: „შენ კი არ გახდი აუათო?“ რათა?—გკითხე. „მითა, რომ დედა და თამრიკო ვესერში დალაღვით ავათ გახდნენ და სადილათ აღარ გამოვიდნენო“. მე ვაფრუმიდი; უწინდელი წყენაც მომიგონა ახალმა, მაგრამ ბიძა ჩემთან რას გეტყობდი. ხელ მეორეთ ავლელდა სანდროსე და ველოდი ბიძის გასელას, რომ პასუხი მეტეტი.

ბიძა ჩემმა როგორც სადილი გაითავა ნაშინვე წამოდგა და თავის კაბინეტში გავიდა. ჩვენც ავიშალენით, მაგრამ არავინ მივეშურებოდით პური საქმელი ოთახიდან გასვლას და საუბარს განვაგრძობდით.

სანდროს ჯერ არ გაეთავებინა გატაცებული ქისის ანბავი; მატარა სამოილიც თავის მამას უანბობდა აუ რა მონაწილეობა მიიღო სავსე ქისის დაცლაში, და მხიარულათ ერთნანერთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს.

— მადმაზელ ელიზ!—მითხრა კორბომ—კარგი რომ თქვენ ქალი ბრძანდებით და ამასთან ჰკვიანი, თორემ ეს დამთხვეული ყმაწვილები გაგიტაცებდნენ, და უნებურათ მონაწილეობას მიიღებდით ფულების ფანტვაში. მოვე გან!—უთხრა თავის გაქნევით.

— მადმაზელ ლიზა მგონი უარს არ იტყოდა ბიჭი ყოფილიყო და დღეს ჩვენთან მიხდვრები მოერბინა;—სთქვა სანდრომ—რადგანაც ლიზა ქალია ამისთვის, უყურეთ, ესეც დღეს გუნებაზე არ არის. დღეს ჩვენი ქალები ერთიანათ ავათ გახდნენ: კავალრებთან ტანცაობამ აწყინათ!

— არა სანდრო, მე არა ვნანობ რომ ქალი ვარ მაგრამ შენ, ვაგი რომ მაგისთანა ენა ტანტალა ხარ, ეს კი სამწუხაროა, როგორ არ გცხვენიათ, რომ ძიას ენები მიუტანე და მთელს ოჯახში მაგით შეფოთი ჩამოავდე?... ეგ ქალიჩუნობა არის და უნდა გცხვენოდეს!..

მე თვალეტი ცრემლებით მემსებოდა, ხმა მიკანკალებდა და საშინელს მძიმე დანაშაულათ მიმაჩნდა სანდროსთან უსიამოვნო კილოთი ლაპარაკი, მე და სანდრო ერთად გავიზარდენით და არ მახსოვს, რომ ან სიტყვით და ან საქმით მე იმისთვის როდისმე უსიამოვნოება გამომეცხადებინოს. სანდროს წყენა ნაწაკვდინებელ ცოდვათ მიმაჩნდა; ბავშობიდანვე დედის ძუძუსთან ერთათ სანდროს სიყვარული შევითვისე, სანდროს მზესა ვუციცამდი, სანდროზე ძვირფასი არავინ მეგულებოდა, იმაზე ლამაზი, ჰკვიანი და კეთილი არავინ მენახა და ეხლა მე იმას უსიამოვნო კილოთი გულგრილათ ველაპარაკებოდი, მტრულათ უყურებდი!.. დიას! ეხლა კი სწორეთ, რომ მტრულათ უყურებდი!..

მაშინ, როდესაც მე სანდროს მტრის თვალით უყურებდი, მიკვირდა და შეუცხოვებოდა სანდროსთან უსიამოვნო კილოზედ ლაპარაკი, იმ დროს როდესაც თიქრებით და დამჩაგვრელის გრძნობით დატვირთული ვიყავ, ამავე დროს

სანდროს ლამაზი უხუცესი თვალები გაშტერებით მიუჭრებდნენ და თითქოს მეკითხებოდნენ: „ნუ თუ შეირყა შენი ჩემდამი უზომო ნდობა და თავყვანება?“ დიახ, შეირყა! ვფიქრობდი მე: სანდრო იმ წამს უწინდებულად ანაზღაურდა, მე და სანდროს შუა დიდი გასარბენი მანძილი დავიჩახე... *მე და სანდროს შუა დიდი გასარბენი მანძილი დავიჩახე...*

კობო გაშტერებით გვიყურებდა: ნკონი იმის თვალში უფეროთ გავიზარდე, აღარ ვეჩვენე პატარა გოგონათ. ფრანგულს ენაზე სანდროს არიგებდა და თავისებურადაც მეც მამშვიდებდა. მე თვალცრემლიანი წამოვდეგი და თავის დაკვირვებას ვაღიარებდი ჩემის კუთხისაკენ. ორი ნაბიჯი როგორცავე გადავსდგი, სანდრო ხტომით წამოიწვია, ზურგზე ანეკიდა, ორი ხელი გადმომხვია, ერთის მხრიდან ლოყა-ლოყაზე მამაკრა, თვალებში შემომხედა და ალერსით მითხრა:

— ლიზა, შენ რათ მიჯავრდები? შენთვის რა დამიშავებია? მე შენზედ ხომ არა მითქვამს რა ღმერთმანი, მაშა არ ნომიკვდება შენზე არა მითქვამს რა, შენ არ დამიბიზლებიხარ!... მე მამამა მკითხა: ვინ იყვნენ პიკნიკშიო? თამარიკოს ვინ უფრო მეტს ელაპარაკებოდაო? დედა რას აკეთებდაო? და სხ. და სხ. მე მინდოდა მამასთვის ფული დამეტყუენა და ამისთვის რაც მომავონდა და პირზე მომადგა ველაფერი უთხარი, გამოვსტაცე ფულით საფსე ქისა და გავიქეცი. მამამ მითხრა: როცა უჩემოდ სტუმრები მოვლენ, რასაც ელაპარაკებენ, ან რასაც იმოქმედებენ ყველაფერი შენზე ხოლმე და ფულს გაჩუქებ ხოლმეო. იმედი მაქვს, რომ ამგვარის მოქმედებისთვის დედაც დამასაჩუქრებს, როდესაც მამა რასაც იტყვის იმას გარდავცემ, ანუ რასაც დედა იტყვის მისთვის, რომ მამას არ გარდავსცემ; მე კი რა შენალყლება, ორივე მხრით მოგება შემრჩება!...

— ახ, სანდრო, სანდრო! მე იმითომ გიჯავრდები, რომ მიყვარხარ და მწყინს შენი მაგვარი სისაძაგლის მოქმედება! მე შენი და ვარ, შენზე უფროსი ვარ და მოვალე ვარ ვითხრა, რომ მაგვარი ქცევა ვაეკაცს შეარცხვენს! მე შემებრაღა ძალუა და თამარიკო: აბა რათ ატირე? დღეს უსადილონი რათ დააგდე? წადი დედას ბოდნიში მოსთხოვე და შეურავდი.

— თითონვე შემირიდება! მე რა შესახვეწი და შესარიგებელი მაქვს დედასთან? მე იმათთვის არაფერი დამიშავებია, რაც გავიგონე ისა ვსთქვი!... კიდევ მაკოცა და ასკინკილას ხტომით კარი გაიბინა.

ეს იყო მე და სანდროს პირველი ჩხუბი და უსიამოვნობა! თუმცა სანდროსაგან წყნარ ღრმად ვულში არავის ჩარჩებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შეტაკებამ ჩემში კი ღრმა ცელილება მოახდინა. სხვა ოჯახის წევრები კი ჩვეულებისამებრ, მეორე დღესვე დამშვიდებულები და თითქოს კმაყოფილები გამოიყურებოდნენ.

ყველა წლოვანებას თავისებური მსჯელობა მოხდევს. თუმცა ნაკითხი არ ვიყავ, მაგრამ მთის ქალს, პატროსნებაზე ჩემებური წარმოდგენა მქონდა: ამხანაგობის დალატი, დედის უპატივევებულება—საძრახისათ შიმაჩნდა. ჩემათ ვულის სიღრმეში ბიძა ჩემზედაც ვჯავრობდი: თუმცა ვიცოდი, რომ ყოველ შემთხვევაში ენა ტანტალობა უყვარდა და ჯამუშების დაყენება თითქმის ჩვეულებათა მქონდა გარდაქცეული, მაგრამ ევო მომენელებინა, რომ ამ გვარ უმზავ-

სოებისთვის სანდრო ამოიჩინა იარაღათ... მაგრამ ამ გულის წყრობას ვისთან ვიტყვოდი, ბიძა ჩემზე უკმაყოფილებას როგორ წარმოვსთქვამდი? იმდენათ განვითარებული არ ვიყავ, იმდენი ძალ ღონე არ შემიწევდა, რომ ამგვარს საქციელს გაემკლავებოდავ, ჩემი მსჯავრი დამუდო. ამ სისაძაგლეს სანდრო ინსტიტუტით ვგრძნობდი. გულში რაღაცა მკბენდა, მეზახლებოდა, ვსჯავრობდი....

საწყლები ჩემი ბიძა ძალუა! თითონაც ვერ წარმოუდგინათ, ვერ მიმხვდარიყვნენ თავიანთ შეუფხვებლობის გამო, ვითომდა უზომო სიყვარულით, რამდენს ღვარძლსა სოფსდნენ, მიმზიდვის, ნორჩი ბავშვის ბუნებაში... ეს ღვარძლი სანდროს მდიდარმა ნიადაგმა, პირველს ხანებში, მშვენიერს ჯუჯილით ამოიბიბინა, მაგრამ... თესლის სიკეთეს ხომ მხოლოთ თავთავი გვიჩვენებს! მხოლოდ კეთილი თესლი მოიტანს სუფთას და მდიდარს თავთავს. გაუზღელი, განუვითარებელი დედ-მამა ვერ აკვირდებოდენ თავიანთ საძაგელს მოქმედებას და ხასყიდლის ძლევით, დაქრთამვით, თავიანთ საყვარელს, ნებიერს შვილს ერთმანეთზე ძვირს ათქმევინებდნენ!... ამის გამო ცოლ-ქმარს შორის ბევრი უსიამოვნოება ხდებოდა და, ყველა ამისა სანდრო არა მარტო მოწყამე, მოქმედი პირიც მრავალჯერ ხდებოდა... თუმცა ძალუა ჩემი სანდროს სიყვარულს ეფუძნებოდა ხოლმე, და უფრო მეტჯერ სანდროს მამაზე იმარჯვებდა. მაგრამ ამასთანავე ერთათ დედ-მამის უმზგავსო მოქმედება სანდროს ხნეობას ამახინჯებდა: ენა ტანტალობას ეჩვეოდა, ტყუილსა, ყურის გღებასა სწავლობდა, ამასთან დედ-მამის უპატივცემულობას ეჩვეოდა და ყველა ეს თვისება თანდათან ხნეობას ურყენიდა, უფუჭებდა.

თუ სანდროს ხასიათზე ცუდათ მოქმედობდა შინაობაში ამგვარი აურზაური, არც ჩემს ხასიათზე ქჷონდა კეთილი გავლენა: ყოველ ცისმარეთი დღე ძია-ძალუასაგან თვალთ-მაქცობით და ტყუფილებით ერთ-ერთის წყენა — დამცირება, უმცროსებისათვის მეტათ მავნებელი იყო... მე ცოტათი იმან გარდამარჩინა უარესობას, რომ ძალუა ჩემის ტაქტიკა ჩემ შესახებ განსხვავებული იყო; თითქოს ჩემს შეწუხებას ერიდებოდა, სრულებით ყურადღებას არ მაქცევდა და ამის გამო გამორიყული დავჩი. მე როგორც ბავშვს, ზოგჯერ, მიხაროდა კიდევ ამგვარი მოსვენებით ცხოვრება და მამა ჩემის კითხვაზე „შვილო ხომ კარგათ გექცევიანო?“ მე ღიასს უპასუხებდი. ნამეტნავით იმითი ვიყავ მადლობელი, რომ მამიჩემის მოსვლა ბატონ-ყმინათი ძალიან უხაროდათ ხოლმე. „ჩემო მახლო მობრძანდიო!“ „ჩემო მახლო, დაბრძანდიო!“ „ჩემო მახლო მიირთვიო!“ — ეს სიტყვები ხშირათ მესმოდა და სასიამოვნოთ მილიტინებდა. მამაჩემს მოსამსახურების დაყვავება უყვარდა: ის ფულს მამლევდა, მე იმათ ურიგებდი და ამის გამო იმის მოსვლის დროს ისინიც განსაკუთრებით მიიღერსებდნენ ხოლმე. მამას არც ძალუა კეკე სცემდა უანგაროთა პატივისა: საჩუქრები საჩუქრებზე ნოსდიოდა....

როგორც ყველამ ვიცით ქალი ვაჟზე უფრო ჩქარა მოდის ე. ი. იზრდება — ასაკდება; თუმცა, როგორც ზემოთა ვსთქვი, სხვა და სხვა საგნებს არ მასწავლიდნენ, მაგრამ ცხოვრება-კი სანდროზე აღრე ვიცანი. გამოუოქმეღმა ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა! რაც ხანი გადიოდა ჩემს უცოდინარობაზე უფრო

დაუდგება: გამოუჩნდება ჩემს რვეულს გულის შემატკივარი? სცნობს ჩასმე ხა-
 გულისხმოს? ეს ჩენთვის იმისთანა კითხვა არის, რომლის პასუხს არავის გან გელი-
 მაწასადამე ჩემი თავმოყვარეობისათვის (თუ ამას დამწამებს ვინმე) სრული ამაო
 და გამოუსადეგია!.. ღმერთია გულთა მხილველი, რომ არ ვეღარც ვნახან, რომ
 ამ თქმით ჩემი ვითომდა ღირსება გავაზვიადო და სხვებისა ვი დავანტროო,
 არა, ენდეთ ღმერთს და პატიოსნებას!.. მე ამ სოფლად ვეღარეფერი დამიტკ-
 ბობს...

რაც შეეხება ჩემი სწავლის მოგონებას, ჩემს უფერულს ყმაწვილობას, მე
 პირდაპირ ჩემი ძალუის აზრდილის — წარმოდგენას მიფმართავ და გულწრფელად,
 თამამად მოვანსენებ: პატივცემულო ძალუა კეკე! მე, შენგან აღზრდილს, რომელ-
 საც დედობა აღმითქვი, ბოროტ დედისნაცვალსავით რათ მომეჩქეცი? ამითი ჩემი
 ნორჩი გრძნობა რათ შელახე რათ გაამწვავე ჩემი შენდამი გრძნობანი?.. ამ მო-
 გონების დროს რატომ შენ თავი არ მალავინე? პატივცემულო მანდილოსანო,
 კვიანო და მრავალთ ღირსებით საესე, რათ იყავ გულქვავი, შხამით შეზავებული?
 რათ იყავ ბოროტი... მელიდური... შურიანი?... რატომ შენგან სათაყვანებელს
 სანდროში ქეშმარიტების და სიყვარულის თესლი არ დასთესე?! რათ აბნევიდი
 აგრე უხვად იმის ნორჩ და მიმხიდავს ბუნებაში დეარძლით საესე თესლს? მოწი-
 წებითა შეგნიშნავ, რომ შენის მოვალეობის ასრულების დროს ზნეობით ფაქი-
 ზობას ვერ იჩენდი და ამისთანა მაგალითებს ბევრად-ბევრს აჩვენებდი შენს
 სათაყვანებელს, აზიზათ აღზდილს შეილს და ეს იყო შენი დიადი ნაკლულება
 და ხნეობით დანაშაულობა... ღმერთმა მიგიტეოს!...

თავი მათეჟგნება.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მაძიჩემის სიყვარული უფრო და უფრო
 მიცხოველდებოდა; ჟინი მამდიოდა ჩემი და — ძმანი გარდაამეკოცნა. იმათი აღერ-
 სი მწყუროდა. ჩემი ოჯახის ნახვა სანატოელად გამიხდა!..

როდესაც ოცნებით ჩემი სანატრელის ოჯახისაკენ პირს ვიქმოდი ერთი
 რამ მათრთხოზდა... ეს იყო დიმიტრი! მეღანდებოდა იმისი დინჯი შეხედულე-
 ბა, იმისი სასტიკი ტუქსეა და ეს გარემოება ჩემს სიამოვნების ფიალაში ძიმ-
 წარეს მისხამდა. იმას არ უყვარდა ბიძიჩენის სახლობა და მეც ვალდებულასთა
 მხდიდა იმათთვინ ხურგი შამეჭცია. მეშინოდა დიმიტრისა, ისე თუმცა არა ნა-
 კლებ სხვებისა მიყვარდა; მიყვარდა ჩემი ოჯახი რომ ამ უსიამოვნო გრძნობას
 დაეძლიე და იქით დავიწყე ლტოლვა.

ძლივს მოვახერხე: მივწერე მამაჩემს რომ დავებარებინე ანაც თითონ
 წავყვანე.

ასეც მოხდა, არ გამოვიდა ერთი კვირა ბიძა ჩემმა ცოლს უთხრა:

— კეკე, ხვალ სტეფან წმინდას მივდივარ, ნიკოლოზი მწერს, მთხოვს ღი-
 ზა მამიყვანეო, მოამზადე უნდა წავიყვანო.

— ქა, და რაში მოჰგონებია ჩემს მაზლს ღიზას წაყვანა და გოგო-ბიჭე-
 ბისთვის მაგის ჩაბარება? განა ჩემთან ცუდათა გრძნობს თავსა? თითონაც ეხლა

კარგით ესმის თავისი მდგომარეობა, თითონაც კარგათ გაარჩევს სად უფრო სიკეთე ელის და არც წავა!

— როგორ არ წავა, რას ამბობ ქალო? აბა დაუძახე და პკითხე/ სთქვა ბიძა ჩემმა და თითონ-კი საჩქაროთ გაბრუნდა.

ამ ლაპარაკის შემდეგ გამდელმა ნანომ შემოყვანა ძალუა ჩემს რაზანში: გიბრძანებსო! — მითხრა.

ძალუა ჩემი დაფიქრებული იჯდა და ქარვის კრიალოსანს მარცვალ მარცვალ აგდებდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, ყურადღება მომაქცია:

— შეილო, მამა შენს დაუბარებინარ და არ ვიცო ქი რაში მოგონებინარ?!... (დაუმატა გესლიანაი!) იმას შენთვინ აღარა სცალიან, ცოლს ირთავს შენ ჩემსავით არავის ეყვარები და არც არაფერ ჩემსავით კარგათ მოგივლის... გინდა რომ თავი დაგვანებო?

მე გაჩუმებულმა თავი ჩავლუნე და არაფერი უბასუბე. — მიიხარ შეილო, აღარ გიყვარვარ?! მოდი მომეხვიე მე ქი ალექსანდრეს სიცოცხლემ ჩემს შეილებში არ გარჩევ... ღმერთო, შენ განიბეღნიერე ჩემი ალექსანდრე!

როგორცვე მივეკარე ძალუას ყუითუქივით რბილს მკერდს, რომელმაც მკერდში ჩამიკრა, მე შემრცხვა, შეესწუხდი, რომ ასრე უსამართლოთა ვფიქრობდი იმაზე და თითქოს ჩემი თავის დანაშაული და სინანული ვიგრძენ, — ტირილი ამოუშვი. ამ ნახმა გრძნობამ ყველაზე იმოქმედა: ძალუა ჩემმაც წუწუნი დაიწყო, ამასთან გამდელი ნინოც მოგვეშველა და ყველანი ვწრიბინებდით. როდესაც ბიძა ჩემი შემოვიდა, იმას გაუკვირდა, ამ გვარის სურათის დანახვა და სთქვა:

— ოხ, დედაკაცები უცრემლოთ ხომ არას გაარიგებენ: არა რა გატირებსთ?

— ბატონო, შეილსავით ეზრდი ამაგი გამიწევა; ალექსანდრეს სიცოცხლემ (როცა სანდროს მოიხარდა, დედას არა ერთხელ დასცინა: სანდროს სიცოცხლეს სულ ტყუილად ფიცულობდითო,) სანდროსში არ ვარჩევ და აბა რას შერჩის ჩემი ნახლი, რომ მიჰყავს? სანდროსაც ეწყინება და მგონი არც თავს დაანებებს.

— რა ვქნა, მამას ხომ შეილს ვერ წავართმევთ?! რა შორს ეგ მიდის: სტეფანწინდა აქვე არ არის? როცა ლიზა მეტყვის მაშინვე წამოვიყვან, შენ გინდა მამის ნახვა? — მკითხა ძიან.

— მინდა! წამოვიძახე დაუყოვნებლად.

— ჰო და მაშ რაღაზეა ლაპარაკი? ჩაულაგეთ და ხვალ წავალთ.

იმ ღამეს ძალიან სანატრელ სტუმრათ დავინახე ჩემი თავი: ბარგს მილაგებდნენ, ზოგს რასმე ახალსაც მიკერავდნენ, ყველანი ჩამჩურჩულებდნენ რომ ძალუას ძალიან უყვარვარ და ჩემთვინ სირცხვილია იმისი თავის დანებება ან კიდევ დავიწყება, მე გულში მიხაროდა წასვლა, მაგრამ იმდენს ეშმაკობას ვახერხებდი, რომ სიხარული არ გამომეთქვა და ისე წავსულევიყავ, ვითომ გარემოების მსხვერპლი ვიყავ. მეორე დღეს გამოყესალმე ყველას: ძალუას დავპირდი ჩქარა დაბრუნებას, ჩემს მეგობარს სალომეს მრავალჯერ გარდაეკოცნე დავპირ-

დი წიგნის მოწერას და საჩუქრების გამოგზავნას (ბავშობაში აღამიანი ძალიან უხვია!) დილის ჩაი სანდროსთან ერთად; დამალევენეს: ნაღებით სურვილს, ნახუქით და სხვა სატკბუნარებით, გამოვესალმე ჩემს სანდროს და ჩემს ვაჟგზავრენით ჩვენის სანატრელის მთისკენ.

როგორც გვალვის დროს დედა მიწას ცის ხაში დააღბობს და სასიცოცხლოთ აღამოძრავებს, როგორც მზის სხივი ყვავილსა ფურჩქნის და აღვიძებს, ისე შშობლის აღერსი აღამიანის გულს აღამოძრავებს—ახარებს (ნამეტნავათ სიყმაწვილესში!). მშობლის აღერსი მაღამოსავით ედება ნორჩს გულსა: ლმობიერებას და სიყვარულს ასწავლის, რომელიც ძვირფასი და დიადი სამკაული ხდება აღამიანის ზნეობისთვის. ჩემმა ღარიბმა მამამაც უხვად დამაჯილდოვა ამ ტკბილის გრძნობით და ამით ყმაწვილს, ყმაწვილობა დამაჩნია, რომელიც ცხოვრების გარემოებით დავიწყებული მქონდა.

გაზაფხული იყო. ჩემის მისვლით როგორც მე ვისიამოვნე ისე ჩემები ვასიამოვნე: მამა მიალერსებდა, მანებივრებდა, პატარა და-ძმა მესვევოდნენ, მკოცნიდნენ; მოსახსახურებები როგორც უფროს ბატონიშვილს პატივის ცემით მებყრობოდნენ, მეც ეს გარემოება ძალიან მახარებდა: ვდიასახლისობდი, დიდ შესვლა-გამოსვლაში ვიყავ და ჩემი თავი დიდ აღამიანათ მამქონდა. დიმიტრი ტფილისიდან ჯერ არ მოსულიყო, იმ წელიწადს გიმნაზიას ათავებდა და მამას თავის სიხარულს უცხადებდა, რომ უნივერსიტეტში წასვლის დრო უახლოვდებოდა.

— აი შვილო, რა კარგი საქმე ჰქენი, რომ შინ დაბრუნდი, დიმიტრიც ჩქარა მოვა და იმასაც ძრიულ იანება შენი შინ დახვედრა. მე ხომ მარტოობამ ძრიულ შემაწუხა და შენმა ნახვამ გამართო გამამხიარულა.

მეც დიდათ მიხაროდა შინ დაბრუნება, რადგანაც ვხედავდი შინაურების კმაყოფილებას.

ერთს დღეს მამა ჩემმა თავისი ერთგული ანდრია მოიხმო და უბძანა:

— აბა მოემზადე ტფილისში წასასასვლელათ: მიტკას ცხენი უნდა წაგვარო და მოიყვანო.

ამ ბრძანების შემდეგ მუორე მესამე დღეს ანდრია ტფილისს გაემგზავრა.

მე შევეჩვიე ჩემს ახალს მდგომარეობას: მამის აღერსით გამობარს წინანდელი ყველა უსიამოვნოება დავიწყებული მქონდა და ჩემს პატარა და-ძმასთან ერთად დიმიტრის აღტაცებით ვფლოდი.

ერთს დღეს ტახტზე წამოწოლილი მამა ჩემი დაფიქრებული ჩიბუხსა სწევდა, ჩვენ, შვილები კარებთან დერეფანში ვფათურობდით, როდესაც კოჭლი აღეწის (შინაური ბიჭი იყო) გალავანის კარებიდან შემოუარდა დახილით:

— მოდიან! სამახარობლო მე მერგება, მიტკაი მოდის!..

ჩვენ ტაშის ცემით და დახილით: დილილმე, მიტკაი მოდის! მიტკაი მოდის! შევსცვივდით მამას ოთახში. მამაჩემი მსწრაფლ წამოიჭრა, თვალებზე და თმაზე ხელი გარდაისვა, ულვაშები გაისწორა, თითქოს საკოცნელად მოემზადაო, ქუდი დაიხურა და ჩიბუხის წვეთი კარზე გამოვიდა.

— სადარის შიტკა? ვინ გითხრათ შიტკა მოვიდაო?

— კოჭლმა აღექსიმ!

— აქმო, ბიჭო აღექსი! — დაუძახა მამამ, რა იცი რომ შიტკა მოვიდა? ვინ გითხრა?



— მე ითონა ვნახე ბატონო! ეკლიანში ვიყავ და დავინახე, რომ ანატოლის ძირში ცხენოსნები მოვიდნენ; წინ შიტკა მოაქვნიდა ცხენსა, უკან ანდრია და კიდევ სხვა ცხენოსნები მოზღვედნენ. ისინი წყაროსთან შეჩერდნენ მე როგორცვე შიტკა ვიცანი, ჩემსაბედოდ, იქვე სხვის ცხენი სძოვდა, იმას მოვაჯექ ზურგზედ და თქვენკენ გამოვწიე! სამახარობლო ჩემია! — სხაპასხუპით იმეორებდა სიამოვნებით ამოწითლებული ბიჭი, რომელსაც დაღალვისა და სიციხისაგან ოფლი წკაპაწყუპით ჩამოხდიოდა და თავისი ქუდით შუბლს იხოცავდა.

— აჰა, სამახარობლო! — მამამ ფული ამოიღო ჯიბიდან და მიიწოდა. — მაგრამ, თუ სტყუვი, იცოდუე გაგლახავ...

მამას ჯერ არ დაემთავრებინა თავისი სიტყვები, როდესაც შიტკამ გალაფნის კარებში ოფლით გაწურული ცხენი შემოავლო! მამა რომ დერგფანსე მდგომი შენიშნა თითქოს შეყრის წადილით გატაცებულმა მარჯვეთ მოქნიული მათრახი ცხენს უთაყაზა, ცხენმაც მწვავის მათრახით გახურებულმა ისკუპა და სწორეთ მამა სადაც იდგა იმის წინ გაჩერდა. შიტკა მარდათ ცხენიდან გადმოხტა და გამზავებული ჯერ მამას და მერე წუნ ყველას კოცნა დაგვიწყო. დიმიტრი სასიამოვნო სანახავი იყო... შუა ტანისა ღამაზათ შეყრილი, თეთრის ჩითის ახალუბ...თ, ლურჯი შალის ჩოხით, წულა-პაჭიქით მორთული, ხანჯლით და დანბაჩით წელში გამოწყობილი, — მნახველზე კარგს შთაბეჭდილებას ასდენდა! დიდს გადაშლილს შუბლს უმშვენებდა ლურჯი ტყავის ქუდი, რომელიც სიციხის გამო, რუსულის კაზროკივით შეეკცნა; ცხერის ფერი ხალიანი თვალეები სიამოვნებით უციმციმებდნენ, ახალ აშლილ უღვაშებს-ქვეშ მოცინარის ტუჩებიდან, თეთრი, მაგარი, სწორე კბილები გამოიჭვრიტებოდნენ. საყვარელი იყო დიმიტრი ყოველის თავის არსებით: მიხრა-მოხრისა, ლაპარაკით და ნამეტნავათ ვაჟკაციურის უნარით!..

იქვე უნდა აღენიშნო, რომ დიმიტრის მამასავით უყვარდა ჩერქეზული ტანისამოსი. როდესაც ანდრია ტფილისს წავიდოდა ხოლმე დიმიტრის მოსაყვანათ, მაშინ დიმიტრის ჩერქეზული ტანისამოსი ხურჯინით მიჰქონდა. ამისთანა, გატაცებით, ჩერქეზულის ტანისამოსის სიყვარული დიმიტრის ბოლომდენ შეჰყვა.

საღამო ჟამი იყო, ნახირის მორეკის დრო და ამის გამო მთელი სოფელი მოძრაობდა; ზოგს საქონელი წყალზე მიჰყვანდა, ზოგი საქოვარიდან მოსულს საქონელს ეგებებოდა; დიასახლისები მიდი-მოდიოდნენ: ზოგს ტავანით (ხის კასრია) წყალი მოჰქონდა, ზოგი წისქვილში მიდიოდა ქიშელა (ტყავის პარკი) აკიდებული. ერთი სიტყვით დიდით პატარამდენ, ქალი-კაცამდენ განქარებით თავიანთ საკმეზე მიეშურებოდნენ. ყველამ ვიციით, რომ საღამო ჟამი სოფელში მცხოვრებთათვის ძვირუფასი დროა: ზოგმა მთელის დღის ნაწუშავარი უნდა დაალაგოს, ზოგმაც მეორის დღისთვის უნდა იხრუნოს, დღეს გასაკეთებული

საქმე, ხვალამდენ არ გადაიდება და ამის გამო ყველანი ~~ოჯიანი~~ წევრები გაჩქარებით მოძრაობენ.

რადგანაც სოფლის გზა ჩვენ კარებთან ჩამოდიოდა, ყმა-ქმე-წყომობრავი ხალხი უეჭველია შეამჩნევდა ჩვენს გალავანში განსაკუთრებულ სხარულ მომოსულას.

— რაი ანბავია? — ერომანეროს ეკითხებოდნენ.

— შიტკაი ქალაქით მოსულა!...

ამ გაგონებაზე ერთი მეორეს უსწრობდა და ჩვენი გალავანი მყისვე სოფლის ხალხით გაივსო.

შიტკას სოფელში ნათლიდედებს და მოკეთებებს გარდა ტოლ-ამხანაგიც ბევრი ჰყვანდა, რომელნიც გაიგეს თუ არა იმისი მოსვლა — თავს დაესხნენ: ზოგი იარაღსა ხსნიდა, ზოგი იმის ცხენს უვლიდა და ვისაც როგორ შეეძლო ისე უცხადებდა თავის ზრუნვას და სიამოვნებას.

შიტკაც ხარობდა იმათი ნახვით, ყველას უალერსებდა.

როდესაც საღამოზე შინაურები მარტოკები დაგრიით მაშინ მე განსაკუთრებული ყურადღება მომაქცია: ჯერ შიალერსა, დამიყვავა და შითხრა:

— ლიზავ, ძალიან მიაშა, რომ შინ დამხვდი, მაგრამ შემატყობინე ეს როგორ მოხდა: შენ თითონ მოინდომე შინ დაბრუნება, თუ მამამ მოვიყვანა?

— მე თვითონ მოვსწვრე მამას, რომ მოვეყვანე!

— ყოჩაღ! და მერე ძალუა შენი? არ გამოგეკიდა? არ გითხრა: ხანდროსავით მიყვარხარო?... შიტკირს როგორ დაგანება...

ძალუა ჩემი ამ კილოთი სალაპარაკოთ არ შემეტებოდა, მაგრამ დიმიტრის კითხვაზე ვგრძობდი, რომ პასუხი უნდა მიმეცა და თავდალენულმა დაბალის ხმით უპასუხე:

— როგორ არ შითხრა... დარჩომას შირჩევდა...

— არა, არა ჩემო დავო, შენი საქმე არ არის იქ უსაქმით ყოფნა!.. ძალუამ არამც თუ შენთვის ზრუნვა, თავის საყვარელი სანდროსთვისაც ვერ გაუწყვედა ნაყოფიერი ზრუნვა! ქვეიანსა და ნოსიყვარულე დედას თავისებურათ უყვარს სანდრო: არა გაეგებათ რა სწავლა-განათლებლისა და ამის გამო ვერ გაურჩევია თუ იმათ ზრუნვა-მოქმედებაში, შვილისადმი სიყვარულში თავისი შედეგით რაიმდენი სიმძულვარე გამოიხატება!.. იმათ ტყუვილათა აქვსთ წარმოდგენილი, რომ მე სანდრო არ მიყვარს! არა, მე მიყვარს. ნიჭიანი ბავშვია, მაგრამ საუბედუროთ ისე ზდიან, რომ ძნელი გამოსაცნობია: რა ზნეობის ადამიანი დადგება, ან რას ისწავლის?... შენ კი ვიცო, რომ არას ვასწავლიან... შენ ეხლა მოხდილი ქალი ხარ, უნდა დააკვირდე შენს მდგომარეობას: ხომ ხედავ მამა ჩვენის გაჭირვებულს ცხოვრებას? უნდა შეეჩვიო და თანაუგრძნო იმის მდგომარეობას, მამას შეძლება არა აქვს მდიდრულათ მოგაწყოს, მასწავლებლები დაგიჭიროს, მამასადამე შენ თითონვე უნდა ეცადო შეისწავლო რამე, თორემ შემდეგში ცხოვრება გაგიჭირდება. მე სიმძულვარით არ მომდის შენი ტუქსვა, ჩემს სიმართლეს და სიტყვების ახრს ბოლოს მიხედები და ვაი თუ გვიანდა იყოს!.. დამიჯერე ნულარ წახვალ!..

მე გაჩუმებული ყურს უგდებდი.

შევრიგდით მე და დიმიტრის მთელმა ზაფხულმა სიამოვნებაში გაიარა, შინაობაში საკვირვლათ მიზღვედა ყოველნაირს მთის ჩვეულებას: უფროსებს ზდილათ და ხოთრიანათ ეტყუოდა, სტუმართან როგორც მათხრეკეცს ქმუჭფერის, კრძალვით იტყუოდა, მამას მასპინძლობაში შევლოდა, უყვანდნენ სტუმრობდა სოფელურს შექცევას: ქორწილებში, ხატობაში და ყველგან სადაც სოფელი თავს მოიყრიდა — მიტკა იმათი სული და გული შეიქნებოდა ხოლმე. სანადიროთ ხშირათ დადიოდა. სიარულში მუხლ-მაგარი იყო, სროლაში მარდობას იჩენდა. ეს უკანასკნელი მიტკას ღირსება მამაჩემს ძალიან ახარებდა: რადგანაც თითონაც მუხლ-მაგარი და კარგი მსროლელი მონადირე იყო, სტუმრებს დიმიტრის სიმარჯვეს სიამაყით უანბობდა ხოლმე.

თავი მეჩვიდმეა.

მამის ჩემის ცოლის შერთვის დროს არა ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა გაჩნდა და ამის გამო მამა ხშირათ უგეძურათა ხდებოდა. ჯერ ერთი ეს იყო არა-ჩვეულებრივი, რომ ის იყო შუა ხნის კაცი, ქერივი, მოსდილი შეიღების პატრონი და მამასადამე ეროთირებოდა ქორწინებისთვის შემზადება და აღიაქოთი, მეორე იმის უგეძურების მიზეზი ის იყო, რომ იმისი დანიშნული თავაურის ტუნდუხოვის ქალი უწინ დუდაროვზე ყოფილიყო დანიშნული და თუმცა დუდაროვმა დანიშნულზე ხელი აიღო და სხვა ცოლიც შეერთო, შორს ვარშავაში, მაგრამ ოსების ადათით, საცოლუ გინდაც რომ დანიშნული დარჩეს, მაინც საგვარეულო კუთვნილებად ირიცხება და ამის გამო სხვას არ დაანებებენ; ერთი ძმა რომ მოკვდებოდა იმის ქვრივს მეორე ძმა შეერთავდა თუნდა რომ ცოლიანიც ყოფილიყო. ერთის სიტყვით რძალსა და სარძლოს სხვას არ დაანებებდნენ — სათაკილოდ მიაჩნდათ. როდესაც მამა ჩემმა ქალს ნიშანი მისცა და თავის საცოლოთა რიცხავდა, მაშინ დუდაროვიანთ თავიანთი უფლების დაცვა მოინდომეს და ამის მიზეზით დუდაროვიანთ გვარი და ყაზბეგიანთ გვარი მტრათ გადაეკიდნენ ერთმანერთს და სასიკვდილოთ არ ინდობდნენ. საყურადღებო ის იყო, რომ რადგანაც დედა ჩემიც დუდაროვის ქალი იყო, მამიჩემის მტრებს შორის ჩვენი ალალი ბიძები და ბიძაშვილებიც ერივნენ, ბევრი იმათგანი განათლებულებიც იყვნენ და კარგათაც ესმოდათ ამგვარის მტრობის უსაფუძლობა, მაგრამ თავიანთი მამა პაპის ადათს მტკიცეთ მიზღვედნენ. ჩვენ, მამიჩემის შვილებს ალერსით გვეტყუოდნენ: როდესაც თბილისისკენ ჩავივლიდნენ ან ამოივლიდნენ, სტანციაში მიგვიხმობდნენ, დაგვასაჩუქრებდნენ, დაგვიყვავებდნენ და ამავე დროს მამაჩემსა კი სასიკვდილოდ დაზღვედნენ!..

ამისთანა უსიამოვნო გარემოება ძალიან აფერსებდა მამიჩემის დაქორწინებას. დუდარიანთ და ყაზბეგიანთ საგვარეულო მტრობამ კარგა ხანს გასწია.

ჩვენ ბავშვებს წერილან გარემოებას გვიმალამდნენ და ამის გამო ისრე გაკვრით, იბა-გამღელისგან მესმოდა, რომ მამაჩემმა ცოლი უნდა მოიყვანოს და ამ სასიხარულო დღისთვის რაღაც სხვანაირი მზადება შეიქნა... თითქო უბედურებასაც მოულოდნენ.

მე ვერ მივხვდი: თუ ქორწინება სასიხარულო იყო, მაშ რატომღა და ში-ში — შეწყუხება საიდანღა მომდინარეობდა? მაშა ჩემი რასაკვირვებელი ჩვენ არას გვეუბნებოდა, მაგრამ ხშირათ დაღვრემილი შედიოდა გამოდიოდა.

თურმე აი საქმე რაში მდგომარეობდა: მაშაჩემს საცოლას ხედავდნენ და ამგვარი გარემოება მთის კაცისთვის დიდათ საზოკილო იყო. ამას გარდა ღრი ძრიელი გვარუფლობა მტრათ გარდაჰქიდა ერთმანერთს მამი ჩემის დანიშვნამ და ძალიან საფიქრებელი იყო რომ უხეირო შეტაკებით სისხლი არ დაღვრილიყო. ყველა ეს აღნიშნული მიზეზები აფიქრებდნენ. მთის ხალხს ამგვარი სისხლის ჩამოვარდნა მძიმე საქმეთ მიაჩნიათ და მოსაგერებლათ, შესარიგებლათ თავაუტრის უფროსი კაცები ბევრი დაიარებოდნენ, მაგრამ საქმე თანდათან მწყვდებოდა. ამ საგანზე თათბირი და ლაპარაკი ბევრი იყო და დიმიტრი მცხარეს და გულმოდგინე მონაწილეობას იღებდა ხოლმე.

ერთს დღეს უფრო მეტი შესვლა — გამოსვლა გაიმართა, ძიძები და ოჯახში მყოფი დედაკაცები, საიდუმლოებით რაღასაც ჩურჩულებდნენ, სტუმრებიც კვლავინდებურზე უფრო მეტნი გაჩნდნენ და ჩვენს სასტუმროში სუფრა სუფრაზე შეჰქონდათ, თითონ სტუმრებიც ატრელებულ ხალხათ გამოიყურებოდნენ: ზოგი თრუსოს ხეობიდან იყვნენ, ზოგი ჩვენი მოხევენი, ზოგნიც ქვემო ოსები. სტუმრები სულ დართულები, ყმაწვილები, შეიარაღებულნი იყვნენ. გალაგანში ცხენებს უვლიდნენ, უნაგირებს ათვალიერებდნენ, თოფებსა სწმენდნენ, სტენდნენ და საბირის — წამლეში თოფის წამალს იყრიდნენ; რადგანაც მონადირე იყო მაშა ჩემს პარკით საესე თოფის წამალი არას დროს არ გამოელეოდა ხოლმე, კედლის განჯინაში ჰქონდა შენახული და თავის მეტს არავის მიაკარებდა. დღეს ის საიდუმლო კედლის განჯინა გაღებულ იყო და მაშა თავისი ხელით ყველას უხვათ ურიგებდა თოფის წამალს. ტყვიის ყალიბი გამოელო და ახალს ტყვიებს ასხამდნენ. იმ გვარი საიდუმლოებით და სისწრაფით მზადება ხდებოდა, რომ აღამიანს ეგონებოდა მტერს თავს უნდა დაესხნენო.

მე არ მესმოდა რათა და რისთვის ხდებოდა ყველა ეს ანბავი, მაგრამ ცოდნის — მოყვარეობას კი აღვიძებდა ჩემში. მაშას ოთახში რომ შევედი, შემდეგი სურათი ვნახე: სამი ოთხი კაცი სტოლს შემოხვეოდნენ და გაჩქარებით თოფებსა სტენდნენ, მიტკაც იმათში ტრიალებდა. მანას საიდუმლო პარკი და ეტარიელებინათ და პოლზე ეგდო, სტოლი ტყვიებით საესე იყო, აქა — იქა თოფის წამლით შევსებული მასრები ეყარა, და რაც შეეძლოთ. ჩოხის სამასრებში იწყობდნენ, ოთახი და არე მარე თოფის წამლის სულს მოეცვა. ემზადებოდნენ თაცურით, მაგრამ ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ვითომც ერთმანეთს უმაღავდნენ რასმე! ბინდმა დაჰკრა; მე მთხოვეს: ბავშვებთან ადრე დაიძინე, სტუმრები ბევრნი გვეყვანან და თქვენთვის არავისა გეცალიანო. პატარები დაკმაყოფილდნენ მაგრამ მე კი ამ გვარის ქცევით ცნობის სურვილი უფრო გამიღვიძეს. მე მივხვდი, რომ რაღაც ანბავი უნდა მომხდარიყო იმ დანეს, მაგრამ არ ვიცოდი ვისგან და როგორ გამეგო: ვისაცა ვკითხავდი, არას მეუბნებოდნენ. მე როცა იმედი გარდამიწყდა სხვებისაგან სიმართლის გაგებისა, მაშინ ეშმაკობას მივყავ ხელი: დავიყოლიე ჩემი და — ძმა და ჩავწეჭი ქვეშავებში. ჩვენ იმავე ოთა-

ხში გვეძინა ხოლმე, სადაც ეს მზადება ხდებოდა და მაშასადამე ატყეოდათ შამეტლო ყველაფერი შენახა და გამეგონა. როგორცავე უფროსებმა დაგვიჩვენეს, რომ დავწვევით და ვგონათ რომ დავგვეძინა კიდევ, მაშინ თავისუფლება იგრძნეს და ერთმანეთს უფრო ხმა მალლა დაუწყეს ლაპარაკი. მამა ჩემი შედიოდა და გამოდიოდა, შიტკა კი ორიოდუ კაცი თთფების მზადებაში ჩაერთო. მისი ძიძა—შავთვალა შემოვიდა, ჩვენ საბნები გაგვისწორა, დაგვხედა, თითქო უნდა დარწმუნებულყოფოთ რომ გვეძინა თუ არა და ბოლოს იმაოთან შევიდა.

შიტკავ, შემოგველე, შენც უნდა წახვიდე?

— უთუოთ, მამა არ მამიკვდება!....

— ყმაწვილო არა შაგვმთხვეს რა? მამა შენი ძალიანა სწუხს შენს ახირებას. დეე ესერი წავიდნენ (სხვებზე აჩვენა) და მე და შენ შეფე—პატარძალს შინ დაუბედეთ. შინკი არ უნდათ პატრონი, თქვენ რომ ყველანი მიღიბართ?....

— არა შავთვალავ, მაშინ როდესაც მამა ჩემი საომრათ მიდის, მე დიაცივით შინ არ დავჯდები!... უბასუხა დიმიტრიმ და ცრემლ მორეულს ხმა აუკანკალდა... მამა ჩემი განსაცდელში მიდის და მე განცხრობაში უნდა დავჩე?!... არა და არა!!... მე თითონ შინდა მაყრათ გაფვეე მამა ჩემს!... თუ სროლა გაჩნდება, მეც მამას გვერთ ვყვოდები, თუ არა და მაყრულის სიმღერით დარიელის ხეობას ამოვივლი.

ანდრიაც ბევრსა სთხოვდა შიტკას რომ შინ დარჩენილიყო. ანდრია როგორც შუაკაცი მამას მაგივრათ ვხვეწებოდა: მამა შენი გთხოვს შინ დარჩიო! ჩვენც ყველანი გვხვეწებით; შენ შინ დარჩი! ყმაწვილო, ვინ იცის რა შამთხვევა მოგველის?... თუ დუდარით გაგვიგეს, რომ იმათი რძლის მოსატაცებლათ მივდივართ, ხომ იცი ძრავალნი და ძრიელნი გვარნი არიან: შავიბუთავენ გზასა დარიელის ვიწროში და ჩვენ ყველანი უნდა გავწყდეთ!.. ისინი ჩვენ არ დაგვანებებენ რძალსა და ჩვენ იმათა!.. ხომ იცი ნტერი ბევრი გყავს, ერთმა უღვთონ რომ გაგვცეს, აბა ისაა, უნდა გავწყდეთ! შენ შინ დარჩი, გხვეწები ქუდ მოხდილი!... და მოიგლიჯა ქუდი. (მთაში იმ დროს, სახლში ქუდებით ისხდნენ ხოლმე.)

— არა ანდრიავ, აბა სწორეთ მაგისთვის არ დავრჩები, რადგანაც შეიძლება რომ ერთიანათა გავსწყდეთ! მეც ეხლა ვაუკაცი ვარ თოფის ხმარება შამიძლიან და მეც თქვენთან მოგკვდება!... ნულარ მეტყვით შინ დარჩენას და უბრალო საუბარის მაგივრათ ისა სჯობს მეც უბეები ტყვია—წამლით გამიმსეთ და გამიამხანაგეთ—უთხრა გადაკრით დიმიტრიმ და ჩოხის სამასრეებში საომარი იარაღის ლაგება დაიწყო.

რალა თქმა უნდა, რომ მივხვდი, მამიჩემისთვის ცოლი მოტაცებით მოჰყვანდათ. იმათი ლაპარაკი და თათბირი გავიგე: შუა ღამისას ჩუმათ დარიელა უნდა ჩაეელოთ, გზახე კარგ ცხენებ შებმული ეტლი უნდა მზათ დაეყენებინათ და თითონ სოფელს სანიბს (ლარსის თავში მთის ძირას მდებარეობს) უნდა ასულიყვნენ, ქალი ქვიითი სოფლის ბოლომდენ გზის ბირამდენ უნდა ჩამოეყვანათ და იქ ეტლში ჩაესვათ და სტეფან წმინდას ამოეყვანათ. ეს გზა თითქმის

ორი სტანციის ნანძილია და საქმე იმითი უფრო ხიფათიანი ხდება, რომ დუდარიანთ მამულში ვიწრო ხეობაში უნდა აეველით და ჩამოველოთ უნდა ყველა ეს მომხდარიყო ძალიან წყნარათ, რომ არავის გეჭვი არ გამოეწვიათ. თუმცა კარგი, მარჯვე ბიჭები და კარგათ შემზადებულები წავიდნენ ჩუქურთმის მოხვევაზე იყო დამოკიდებული გამარჯვება და დამარცხებაც. *ბიბ-ნიჩქა*

მე მანამ ძილი თავს მამქრიდა ყურს უგდებდი იმათ ლაპარაკს და ძრიელად შეშინდა მამას და დიმიტრისთვის მაგრამ... შემდეგ კი ტკბილათ დამეძინა.

მეორე დღეს ხმაურობაზე გაძამეღვიძა: ჩვენს ვალაყანში სოფლური ქორწილი გახადებულიყო.

გაღვიძების უმაღ გვითხრეს: „ადევით ჩქარა ჩაიცვით, მამა თქვენმა ახალი პატარძალი მოგვეყარაო“. ჩავვააცვეს და წარგვადგინეს პატარძალთან. ის იყო მაღალი ტანისა შავგვრემანი ქალი, სახით რიგიანი, მაგრამ ყვაელი ეტყობოდა და ის ცოტათი აუშნოვებდა. მდიდრულათ შეკერილი ფარჩის ტანისამოსით: მტყელი თქრო მკერდის ზორნებით მორთული გძელი ახალუნი (საგულე) ეცვა, ვერცხლის ოსური დილებით ნათელი გული შედილული ჰქონდა, წელზე პტყელი ქამარი ერტყა, თავზე შავი აბრანუშის ხელსახოცი ქოლიხანათ ჰქონდა გადაკრული, ფეხებამდი გძელი ყვაელებიანი ფლორის ლეჩაქი ეხურა, რომლის ერთი კუთხე პირ ბადესა ჰქონდა ჩამოფარებული. პატარძალი კუთხეში იდგა აქა-იქა ეხვეოდნენ: ძიბები, გამღელვები, ჩვენი ნათესაგები ქალი თუ რძალი, სოფლის დედაკაცები, ნათლი დედები, ძიძის შვილები და სხ.

აი ესენი შენი შვილები არიან—უთხრეს ოსურათ. მე და ჩემს დას მოგვეხვივა და ჩემი ძმა ფიდო კი მოხვევის შემდეგ, კალთაშიაც ჩაისვა, ჩემსე უმცროსები არ ვიცი რასა ფიქრობდნენ, მაგრამ მე კი ძალიან მიკვირდა ეს ანბავი და ახალს ოჯახის მეთაურს გაშტერებით უყურებდი, პატარძალი არასა ლაპარაკობდა და თუნცა დასვამდნენ ხოლმე, მაგრამ როგორცვე შემოვიდოდა ვინმე, მაშინვე წამოხტებოდა, და რადგანაც შეუწყვეტლათ შედიოდნენ და გამოდიოდნენ ამისთვის სულ ფეხზე იდგა. ჩვენ გვერდითა ვუყვანდით, როდესაც დიმიტრი შემოვიდა. პატარძალი ფეხზე წამოუდგა, დიმიტრი მივიდა ორივე ხელები დაუჭირა, თითქმის ძალით დასვა და თითონაც გვერდით მიუჯდა.

— ეს შენი ოჯახია და შინაურულათ უნდა მოიქცე, უთხრა ოსურათ დიმიტრიმ, მე თუმცა შენის ქრმის შვილი ვარ და მაშასადამე დღეიდან შენიც, მაგრამ მე მინდა, რომ ძმასავით მიყურებდე: რაც არ მოგეწონოს, ვინც გაწყენინოს და ან სხვა რამ შემოხვევა გქონდეს, მე გთხოვ რომ პირველათ მე მითხრა, როგორც შენს შვილს და ძმას.

პატარძალი თავდალუნული ყურს უგდებდა და ხმას არა სცემდა, ოსებში და ჩვენს მთაშიაც პატარძლები უფროსებს და საზოგადოთ ქრმის ნათესაებს ხმას უმაღვენ, დიმიტრიმ ეს ჩვეულება კარგათ იცოდა.

— მე გთხოვ რომ ხმა არ დამიძალო, მე ხომ შენი ხელის მამკიდე ვარ (მეჯვარე) და ხელის მამკიდის ხმის დამალვა რიგი არ არის, ჩაი დალიე? მოგიტანეს?

პატარძალი ჩუმათ იყო: შემდეგ მეორე კითხვისა თავი დაუქნია.

— არა, ეგრე ყაბული არა მაქვს, — სიცილით უთხრა დიმიტრიმ, მანამ შენს ხმას არ გამაგონებ, არ მოგეშეები!

— დავლიე, — რამთენიმე ხვეწნის შემდეგ წამოსთქვა ქალმა და თავი ჩაღუნა.

ამის შემდეგ ოთახში ბევრი ლაპარაკი და ოხუნჯობა განართეს: მიტკას აღარ ასვენებდნენ, რომ მამის მაყარში იყო, მამის მეჯვარეც ის არის და ქორწილსაც ის უხდის.

— შამოგველე მიტკავ! — უთხრა ერთმა სოფლის დედაკაცმა, მამის შენის ხულის მამკიდდე მართლა შენ იყავ? ისენც დამირჩება შენი თავი, რომ მიფელი სოფელი თქვენთვისა სწყუხდა და ლოცულობდა, მადლობა წყერის სპარს ანგელოზსა, რომ კარგათ და მშვიდობით დაბრუნდით. კვლავსაც გაგამარჯვებინოსთ უფალნა!

— გავახაროს ღმერთმა! — უფროსმა ძაძამ დიმიტრის მაგივრათ მადლობა გადაუხადა.

აბა სიკეთის მეტი, ვისთვის რა ავი უქნით, რომ ამათი სიკეთე და ვამარჯვება არ იამოს სოფელსა?!... დაუმატა მეორემ.

კარებიდან რიგ-რიგათ შემოდრიოდნენ სოფლის დედაკაცები მოსაკითხის ზღენითა: ხაბიზგინებით, მოხარშული ქათმებით, ერბო ქველით ხონჩები გავესოთ. უფროსი ძიძა ძღვენს ართმევდა, მადლს უხდიდა და დიასახლისობდა, შუა დღემდენ გალაუანი ხალხით გაიმსო, დილით მარტო ხრინწიანის — დალეული და უძილო კაცების სიმღერა ისმოდა და ბოლოს, როცა ახალ-ახალი ხალხი მოვიდა, სოფლის ყმაწვილმა ბიჭებმა მოიყარეს თავი — მაშინ სიმღერა და ტაშ-ფანდურა გაჩაღდა.

— ჩვენი მაყრები, ბეჩაენი, ღამე ნათეენი არიან და ლამაზი სიმღერა და თამაში ველარ მოუხერხებიათ, — სთქვა ერთმა.

— დაღალულები როცა პატარათ დაისვენებენ და ახალს მოსულებს არაყო თავში შეუჯდებათ, აბა მაშინ იშუშპრებენ — სთქვა მეორემ.

ამგვარათ ოხუნჯობდნენ, როცა შემოვიდა საფსე ხონჩით ერთი ლამაზი ქვრივი ნათლი დედა, თავის ლამაზი ქალი ციციითი. ზღენით საფსე ხონჩა ძიძებმა ჩამოართუეს და თითონ სტუმარი პატარძალთან მიიყვანეს რომელსაც გადაეხვია.

— უფალს არ მოეტყუება, რომ შენი მშვიდობით მოყვანა გამეხარდა. ეს ორი გვარი, ორი წელიწადია, ერთმანეთს გაწყვეტას ექადნენ და ეხლა მორიგდებიან. მე შენს მოსვლას ძალიან გულით ველოდი: ჩემი ციციანი უნდა შეგიბრდათ მოვაბარო!

ციცია ძალიან ლამაზი და ცქრილა ყმაწვილი გოგო იყო. ბევრი ნთხოვნელები ჰყვანდა, მაგრამ პატარაობიდგანვე ერთს დედისერთა ბიჭზე იყო დანიშნული და მის გამო სხვებზე ველარ ათხოვებდნენ. სოფელში ხმა იყო დავარდნილი, რომ ციციას თავისი დანიშნული არ მოსწონდა, სხვა უყვარდა და ამის გამო მითქმა მოთქმა ბევრი იყო. ქალი სხვა და სხვა მიზეზებს იგონებდა, რომ ქორწილი დაეგვიანებინა და შეგიბრდობაც იმისითვის მოეფიქრნა. ჩვენში,

როგორც ზემოთა ვსთქვი, დანიშნულის თავ-ს დანებება დიდ საქმეთა ხდება, და ამ ქალის შერთვას ვერაფერა ბედავდა, რადგანაც ლამაზი ციკოს მთხოვნელი ბევრი ჰყვანდა და მოტაცებასაც უქადდნენ, დედამ იფიქრა ჩვენსა ჩამოყვანა შეგირდათ და ამით მტერი მოეგვრებინა. ჩვენის მთის ჩვეულებით შეგირდი — სტუმარი იყო და სტუმარი ხომ სახლის შვილად ითვლება.

— უვაჟკაცო ოჯახში ლამაზი გასათხოვარის ქალის შენახვა ძნელია, და მეშინიან არ მომტაცონ—ანბობდა იმისი დედა.

სხვათა შორის იქვე იდგა ერთი ლამაზი მეზობლის ქალი, რომელსაც იმისთანა კობტა—ამპარტავენად იცნობდნენ, რომ საქრმოცბს იწუნებდა და იმის შესაფერათ თითქმის სიფეღში არავის უყურებდნენ, ლამაზი ციკო ლეკურის თამაშობაში განთქმული იყო, ხატობაში და ქორწილებში თვალსაჩინი ქალი იყო—კუთხიდან მოუთმენლათ გამოიყურებოდა: თითქოს ელოდდა ნეტა როდის მეტყვიან, ითამაშე და ილხინეო?!

დიმიტროს დედაკაცებში ტრიალი მოეწყინა; გარედან თუმცა სიმღერის ხმა ისმოდა, მაგრამ მხნეობა აკლდათ, დიმიტრამ ამ ორ ქალს გაავლო ხელი და სირბილით გალავნისკენ გააქანა, სადაც შექუჩებული იმისი ტოლი ბიჭები ჰყვნენ. „ბიჭებო, აბა გოგონა გავმართოთ!“ შესძახა დიმიტრიმ. როგორც ეტყობოდათ ეს ბიჭების გროვაც ამის მონატრული იყო, ასე რომ რამთენსამე წუთში ვეება ალაგს წრეთ შამოეკრნენ, დაპკრეს ტაში და გამართეს გოგონა! პირველათ, რასაკვირველია, დიმიტრიმ და ციკომ დაუარეს. ციკო ხომ კარგათ თამაშობდა, მაგრამ დიმიტრის მაყურებლები ალტაცებაში მოჰყვანდა. ლამაზათ მოყვანილი ტანი ჰქონდა, ძალიან მარდი და მალხაზი იყო, ლეკურის თამაშობა უხდებოდა და ძლიერაც უყვარდა. „მიტკაი და ციკო თამაშობენ!“ ხარვიით ხმა გაისმა და უფერათ სახლიდან გალავანში გამოცვივდა ხალხი. გოგონა ძლიერდებოდა, ერთი მოთამაშე მეორესა სცვლიდა და ყმაწვილი ხალხი თამაშობის ეშხში შედიოდა, ვისაც არ უნახავს სოფელში ლეკურის თამაშობა, სადაც ტანცი-მანცისა არა გაეგებათ რა და მხოლოდ ლეკურის თამაშობაში იჩენენ სიმარდეს და ყმაწვილურ მალხაზობას, ის ვერ წარმოიდგენს იმ მხიარულებით-ალტაცებას, რომელსაც ეს ყმაწვილი სიცოცხლით სავსე ხალხი ეძლეოდა. ამასთან უნდა შევნიშნო რომ ისე ვერა მუზიკას ვერ ახყვება ლეკურის მოთამაშე, როგორც გოგონას! არამც თუ მატოვი, ხმა, თითონ ლექსიც ამხნეებს მოთამაშეს და თითქო ფეხების მაგივრათ ფთებს ისხამს მოთამაშე—ჰაერში ცურავს. ლეკურს არა თამაში არ შეედრება!..

ციკო თამაშობით ვერაფერ დალალა და მოთამაშე ბიჭებს ჯავრი მოხდიოდათ; როგორცვე გადადგებოდა თამაშობიდან, პატარა ხანს უკან ისევ გადმოაყენებდნენ. ციკოს ლოყები ამოჰკვერებიყო, ძლივსლა სუნთქავდა, მაგრამ მაინც უარს არ ანბობდა. იმ წრეში იმისთანა კაცებიც ერივნენ, რომლებიც თუმცა თითონ არა თამაშობდნენ, მაგრამ ლაპარაკით, ტაშის კვრით მონაწილეობას იღებდნენ და მოთამაშეებს ამხნეებდნენ. იმათში ერთმა ხელი-ხელს შემოჰკრა და დაიძახა:

— აჰუ, ბიჭებო! ციკო თამაშობით ვერაფერ დალაღს ისევ მიტკაი!..

დააჭიდეს ფალაენები: წრე გაადიდეს და სათამაშოთ გამოიქცნენ. მიტკა და ციკო თუმცა ორივენი დალაღულები იყვნენ, მაგრამ აინტერესდა არ მოხდით-დათ, რადგანაც ორივენი ყმაწვილები და თამაშობის მოყვარულები იყვნენ: ამასთანავე გრძობდნენ, ვინც ეხლა დამარცხებოდა, ის პირველობას ვეღარ შიილებდა, და ამისათვის უკანასკნელს ღონესა ჰკრუდდნენ, რომ ერთს მეორეზე გაემარჯვნა. გამოვიდნენ მოთამაშეები, დინჯათ, წყნარის რხევით. ტაშიც ვითომც იმათ გულისცემას ბანს ეუბნებოდა: ისიც პირველათ დინჯათ დაწყობილი იყო, მაგრამ როგორც მოთამაშეები ეშხში შედიოდნენ, მცხარობდნენ. ისე ტაშის ცემას მაყურებლები აძლიერებდნენ; გოგონას ლექსის სიტყვები მოთამაშეთ აქეზებდნენ, ამხნეებდნენ, თავს ავიწყებინებდნენ და ამით დალაღვა აღარ ეტყობოდათ. დიდბანს ითამაშეს და მაყურებლები ალტაცებაში მოიყვანეს; ხალხმა აღარ იცოდა პირველობა რომლისათვის მიენიჭებინა. ხან ერთის მხარეს იყო სიმპატია და ხან მეორის მხარეს.

— მიტკაი დაილაღა! მიტკაი დაილაღა!.. გაჭკიოდნენ ციკოს მთაყვანებლები.

— ვერა, ღვთის მადლმა, მიტკას ვერ დალაღავს, ციკო დაილაღა!.. შენიშნავდნენ მიტკას მომხრენი.

ვინ იცის კიდევ რამთენს ხანს იბტუნებდნენ, მიტკას რომ ეშმაკობა არ ეხმარა: როდესაც თითის წვერებზე ცეკვანდა და ციკო კი მოხდენილის რხევით გარს ურბენდა, ამოიღო მოულოდნელათ დამბაჩა და შიგ ფეხებში ესროლა! ციკო გამოცდილი მოთამაშე იყო ამგვარი მოთამაშეთ გახუმრების ადათი კარგათ იცოდა და თითქოს მოელოდაო წარბიც არ შეინარა (დარწმუნებული იყო ტყვიით არ იქნებოდა გატენილი.)

— ყოჩაღ ციკო!—ტაშს სცემდნენ მაყურებლები. არ შეშინდა, არ დაილაღა! ყოჩაღია ჩვენი ციკო!.. მაგრამ... ციკოს დალაღვისაგან ბორძიკი დაეტყო და ეშმაკურათ ერთ ალაგას დაიწყო ტრიალი..

— დაილაღა, დაილაღა!—დაჰკრეს კიჟინა. ციკო გულმოსული აღარ ისვენებდა, მაგრამ რამთენიმე კაცი ჩაუბტათ შუა და ციკო შეაყენეს.

— ქალავ, თავს ხომ არ მოიკლავ!—ეუბნებოდნენ მაყურებლები. მიტკა ამით უფრო გამხნევდა და თითის წვერებზე ცეკვას მოუმატა, თითქოს თავისი გამარჯვება ამითი უნდა დაემტკიცებინა. შემდეგ გაჩერდა, ქუდი მოიხადა და სთქვა: გაუმარჯოს აქ მბრძანებელთა!..

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! —მორთეს კიჟინა და ტაშიც ააყოლეს. ამგვარი სურათებით შეჩავებულმა ქორწილმა თითქმის ერთი კვირა გასტანა.

მოყვანის მესამე დღეს მონათლეს და იმ დღესვე ჯვარი გადასწერეს. სოფლის ხალხი და მოკეთეები კარგა ხანს ჩვენ სახლში ბუდობდნენ, რადგანაც ეშინოდათ რომ დუღაროვიანნი უეცრათ თავს არ დაგვსხმოდნენ. დიდი გზა-

ტყეცილი—ჩვენს კარებთან გადიოდა და ამის გამო უფრო სიფრთხილეს აორ-
კაცებდნენ.

დიმიტრი და ჩემი დედის ნაცვალის ძალიან დამეგობრდნენ. დიმი-
ტრი ქართულს წერა-კითხვას ასწავლიდა, ქალი ნიჭიერი ჯანაღმა ჩვენ ყვე-
ლას კარგათ გვექცეოდა, კეთილის გულისა იყო და დიმიტრის ძალიან შეუ-
ყვარდა.

საწყალს ფილტვები თურმე სუსტი ჰქონდა, ვათხოვების შემდეგ სიცხის
ძლევას დაუწყო, იავადა და ერთის წლის შემდეგ გარდაიცვალა. იმისმა სიკვდილ-
მა დუდაროვიანნი და ყაზბეგიანნი მაინც ვერ შეარჩია: ერთმანეთსა კიდევ
კარგა ხანი მტრობდნენ: იარალ ასხმულები დადიოდნენ, სალამს არ აძლევდნენ
ერთმანეთს და სხ. შემდეგ ამისა მოხუცებულების თაოსნობით დიდის ცერემო-
ნიით, როგორც ხალხის ადამიანი მოითხოვდა—შერიგდნენ. სამხთოებმა და ნადიმებ-
მა რამთენიმე დღე გასტანეს.

თავი მეთვრამეტი

ახლა ისევ სანდროს ანბავს დაუბრუნდეთ.

— ბატონო არ შეიძლება ამ ზამთარს უთუოთ თბი ლისში უნდა წავიდეთ:
ოსტატებს სოფელში ყოფნა სწყინდებათ და იმისთვის ფებს ვერ იკიდებენ.
თითონ სანდროსათვისაც კარგია ქალაქში წასვლა: თავის ტოლ-ამხანაგებთან
უკეთ ისწავლის. დიდი ნათესაობა მყავს ვაჟალ-გამოვალ, ვიკითხავ, ვნახავ
სხვები როგორ ასწავლიან თივიანთ შეილებს და მეც ისე შეუდგები სანდროს
სწავლა განათლებას. ეგ ერთი შვილი გექნავს ცასა და ქვეყანას შუა და სწავ-
ლის გზას ხომ ვერ დაუხშობთ!.. უთუოთ ქალაქში უნდა წავიყვანოთ, დაფი-
ნებით ურჩევდა თავის ქმარს ძალუა კეკე.

— ჯერ დრო არა მაქვს კეკე. სამსახური ნებას არ მაძლევს; ჩქარა დენერ-
ლობა მომივა, ჩემს თანამდებობას მაინც უნდა დავანებო თავი და მაშინ წა-
ვიდეთ თბილისში... სანდროს აღზრდის მეტი სხვა საქმე აღარა გვექნება.
ღმერთმა დღე მიცეს, თავის წლოვანობის და გვარად კარგათ არის მომზადე-
ბული.. ამას გარდა ჯერ უმაწვილია, კიდევ ბევრი დრო აქვს სწავლისათვის და-
რჩენილი, დააცალე იხტუნოს!

ამგვართა ბრუნაყდნენ სანდროს სწავლისათვის და ამავე დროს არც თავი-
ანთ თავს ივიწყებდნენ. მისთვის რომ სოფელში ცხოვრება არ მოსწყენოდათ
ძალუა კეკე ხშირათ თავის ნათესავებს მოიწვევდა ხოლმე. ყველა მოწვეულ
სტუმრებში ყველაზე საინტერესო ადამიანი იყო ძალუა კეკეს დედა კნ. სოფიო
ეს მანდილოსანი იმთენათ საინტერესოა, რომ რამთენიმე სიტყვით უნდა აღ-
ენაშნო.

კნენა სოფიო ძალიან ლამაზი დედაკაცი, მოლაპარაკე და მოცინარი მან-
დილოსანი იყო. ისეთი გულბანი—ზარკით კასკასით სიცილი იცოდა, რომ
ბევრს უმაწვილს შეშურდებოდა! თუმცა მოხუცი ბძანდებოდა, მაგრამ არც სა-
თვალეები სჭირდებოდა და თითქმის უკბილებიც არ აკლდა. ის იყო ციციანთ
ქალი და მარიამ დედოფალს ენათესავებოდა.


ძალუას საწოლში—როგორც ზემოთაცა ვსთქვი—გძელი, ვიწრო ტახტი ადგა ერთი კედლიდან მეორემდენ და ამ ტახტზე დედა—ქალი ერთმანეთს პირდაპირ ჩამოუსხდებოდნენ ხოლმე, თითისტრებით ხელში და მთელი დღეები მუსაიფობდნენ: იგონებდნენ ძველს დროს, ძველს ხალხს და იმათ ჩვეულებათ. კნ. სოფიოს რუსები და იმათი ყველანაირი შემოღებულეზანი მეტი—მეტათ ეჯავრებოდა და იმათი თითქოს ეშინოდა კიდევ. „ქალო, რუსებისა მეშინიან. დასწყევლოთ იესო ქრისტემ!.. ამოვარდა მაგათი ქოქია!“ და ქოქოლასაც მიაყრიდა. ქართულათ, ძველებურათ გაზრდილი იყო და ზოგი ერთს ჩვეულებაზე ხელს ვერ იღებდა: თავდაუხურავი თავის დღეში არავის ეჩვენებოდა, „რა პასუხია, (ორ თითს ტუჩებზე დაიდებდა ხოლმე) ქართველი ქალი როგორ უნდა ეჩვენოს ვისმე თავდაუხურავი?!.. თავდაუხურული ქალისთვის, თავდაუხურავით გამოსვლა ისეთივე ურიგობა არის, როგორათაც სხვასთან დილის გახსნვა და ტანთ გახდა... თქვენმა მზემ ქალი თავის ქმარსაც არ უნდა ეჩვენოს თავდაუხურავი პიშუსტაკ წაუსმელი.“ თუმცა კნ. სოფიო თეთრი იყო და პარის კანი ატლასით უკრიალებდა, მაგრამ მაინც ქვეშაგებიდან ადგომის უმაღ პიშუსტაკს ე. ი. უმარჩის გარდაისვამდა. შესანიშნავი ის იყო, რომ იმ ხნის ადამიანი (80 წ. მგონი მეტი იყო) თავს რომ მოიხდიდა, დასაძინებლათაც კი სარკეში ყურებით მოირთვებოდა: ქოლიხანას სარკეში გარდაიკრავდა და დასველებულის თითით წარბებს გარდაისწორებდა! როდესაც კარგათ გავიცან და შაველაულანდარავე მაშინ ჩემს თავს ნება მივეც და ერთხელა ვკითხე: „კნეინავ, ლამე რალა საჭირია, რომ სარკეში ყურებით ირთუებოდ? სულ ერთი არ არის, ქვეშაგებში ბალიშებზე ტრიალით, თავას მორთულობა ხომ მაინც შაველაულანდარავე?“ „არა, შეილო—მიბძანა—ეხლანდელი ქალები ხართ დაუდევარნი, ზარმაცები და ამის გამო ყველას ურიგოთ აჩვენებთ თქვენს თავს... მე ეხლა მხოლოთ ჩვეულებას ვემორჩილები. მაგრამ როცა ყმაწვილი ვიყავ და ქმარი მქვანდა ცოცხალი, მაშინ, მესიამოვნებოდა, რომ ყოველთვის ჩემს ქმარს კარგს თვალზე ვენახე.“

მე მაშინ ვერ მივხვდი კნ. სიტყვების მნიშვნელობას და ეხლა კი მიკვირს, თუ პატივცემულს კნეინას რაგვარ ზედმიწევნითა ჰქონდა შესწავლილი დედაკაცის მაცდური ბუნება და მამაკაცის სისუსტე ცოლის შესახებ!

კნ. სოფიოს ძალიან უყვარდა მამა ჩემთან მუსაიფი და ყოველთვის იმეორებდა: „ნიკოლოზს უცნოთ გაზრდილი, საგანგებოთ მოლაპარაკე, ნამდვილი ქართველი დარბაისელი კაცია!“ „კეკე, შენ მაზლთან ლაპარაკი ადამიანს არ მოსწყინდება! როგორც ეტყობა კარგათ ნაკითხია და ქართულიც კარგათ იცის!“

კნ. სოფიო საკვირველი მოუწყენარი მომუსაიფე იყო: ცნობის მოყვარულს შქერ-მეტყველს თავის წლოვანების და გვარად შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა!.. იმის ლაპარაკი მუდამ საინტერესო, ცოცხალი და მზიარული იყო. მეტი-მეტათ გულ-ნატკენი იყო საქართველოს პოლიტიკურის უკუღმართობით, ჩვენი მეფეების ოჯახობის დამხობა მეტათ გულს უკლავდა და ბოლშის გვრიდა და არა ერთხელ მზიარულს საუბარს, ცრემლით მორეულის კილოთი დაამთავრებდა ხოლმე... იმისი ლაპარაკის მწვავე საგანი რუსების საქართველოში შემოსვლა იყო. ხშირათ მოგვითხრობდა ხოლმე მარიამ დედოფლის ანბავს, ლენერალის

ლაზარევის სიკვდილს, მოიგონებდა ნიკოლოზ I საქართველოში მობრძანებას იმის მაღალს-პრისხანე ხმას და სხ. და სხ. ანბებს.

— კეკე, ხომ გახსოვს ნიკოლოზ ხემწითის მობრძანება და იმისი ყაბახზე (ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღი) ჯარების გასინჯვა? ღმერთო ჩემო, რა ამბავი იყო! იმის პრისხანე ხმა ეხლაც რომ მომაგონდება შემაშინებს ხოლმე... გახსოვს ბარონ როზინის სიძეს დადიანს (ტომით რუსს.) ექსილბანდები რომ თავისი ხელით ააგლიჯა.?!


— ჯა, როგორ არ მახსოვს, კნ. მანანა ორბელიანის სახლის აივანზე ვისხედით, რომელიც ყაბახს ზედ გარდაპყურებდა. ბარონის ცოლს და ქალს გულეები შამოეყარათ და ერთი წიოკობა გაიმართა.

— შენ ხომ გაიგონე, ხელმწიფე რისთვის გაუწყრა დადიანს? პოლკის უფროსათ იყო და სალდათებს მრავლობით და ურიგოთ თურმე იმსახურება: ზოგი მელორეთ დაფყენებინა, ზოგი მეცხვარეთ, მებატეთ და სხ. ამასთან ამბობდნენ, რომ სხვასაც ბევრს რასმე სჩადიოდა უკანონობას და სალდათებმა უჩივლესო.

როგორც ძველებურათ, ქართულათ აღზდილი მანდილოსანი კნ. სოფიო დვთის მოყვარეც იყო. და დიდათ ეხალისებოდა ჩვენებურს ეკლესიებზე და ხატებზე ლაპარაკი, დიდის გულმოდგინებითა ჰკითხავდა ხოლმე მამაჩემს:

— ვთხოვთ მიბრძანოთ, წვერის-სპარსანგელოზის ეკლესია ვისი ან რადროს აშენებულია? გამიგონია, ხალხში თურმე შერჩენილა მაგ წმინდაზე რაღაც მოთხრობა? სამეზის ეკლესია ვისი აშენებულია? ბეთლემში ბძანებულხართ თუ არა?!

ამ კითხვებს ყოველთვის პასუხი მოზდევდა და ამასთან დალაგებული საუბარი და ბაასი. საზოგადოთ კნ. სოფიო ძალიან საინტერესო მანდილოსანი იყო. შემდეგში სულთ ავათმყოფი შეიქნა და თუ წინაპართ ნერვოზობას და სულთ ავათმყოფობას მემკვიდრეობით მნიშვნელობა აქვსთ, მაშინ ეს ცნობები გამოსადეგი იქნება მოჩხუბარიძის ბიოგრაფიისთვის.

ბიძა ჩემს მართლა გენერლობა მოუვიდა და იმის სამსახურთან ერთათ ჩვენი ოჯახის ცხოვრება და გარემოებაც შეიცვალა.

თუმცა ბიძა ჩემს თბილისში გარდასხლება ყოველთვის ეზარებოდა, მაგრამ ძალუა კეკეს კი ძალიან უყვარდა და ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა, რომ იქ ჩასვლისათვის ღირსეული მიზეზები შეეკრიფა და ამითი ქმარი დაეყოლებინა თბილისში გასასეირნებლათ. ბიძა ჩემს ეს ვაოეშობა არ ეჭაშნიკებოდა და თავისი მხრით ისიცა ცდილობდა, რომ თავის მეფულის სურვილი დაერღვია—დაეგვიანებინა. იმათი აუცილებელი მიზეზები სანდროზე ტრიალებდნენ; სანდრომ ნათესავეები უნდა გაიცნოს, თბილისში ნახოს რამე, ისწავლოს რამე, ამხანაგები იშოვნოს და სხ. და სხ.

ერთს საღამოს ტფილისის გაჩირაღდნებული ქუჩები ამომატარეს! წინათვე გაგზავნილი იორდანე ვერაზე ჩამოგვევება და თავის ქალბატონს მოახსენა: „ისეთი სახლები დავიქირე კუჩის ხიდზე, რომ გასვლა აღარსად დაგჭირდებათ, მთელს ქალაქს გადაპყურებს!“ და მიგვიძღვა ჩვენთვის დამზადებულს სახლში.

მე ამ დროს ისევ ძალუასთან ვიმყოფებოდი: დიმიტრი უნივერსიტეტში წავიდა და მაშასადამე დამშლელი აღარავინა მყვანდა. სოფლიდან ჩამოსულს, რაღა თქმა უნდა, რომ თბილისი დიდათ მეუცხოვა და შარტის მამა-მეჩოთირა კიდევ, მაგრამ ქალაქის ცხოვრებას ჩქარა შავეჩვიე და უნაწილურათ გავერთე. პირველ ხანებში მარტო ორმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი განსაკუთრებული ყურადღება: პირველი იყო თეატრი, რომელიც ზღაპრულათ მეჩვენა და დიდათ გამაკვირვა; მეორე გარემოება კი საშინლათ შემეზიზნა, და ეს იყო თულუბჩისგან მოტანილი წყალი! მთის ქალი, რომელიც მუდამ ჩვეული ვიყავ ლიტრით და კოკით მხრით მოტანილს, ცივს, ანკარა წყალს, ეხლა ვხედავდი, მიიზღახნებოდნენ ტლაპა-ტლუპით, განხდარნი, გასაცოდავებულნი ცხენები, რომელთაც მოჰქონდათ წყლის მაგივრათ ტლაპო; ამას წყალის მაგივრობა უნდა გაეწია!.. პირველათ რომ დავინახე ეზოში შემოსული თულუბჩი, რომელსაც გძელი, უცნაური წელი გადმოხსნეს საიდანაც ტალახიანი სითხე გამოუშვეს, მე საშინლათ გამიკვირდა!.. არა მჯეროდა, რომ ამ უცნაურს, საზიზღარს სითხეს—წყალი ჰქვიან!.. მე ამის მნახავმა, იქვე დავიფიცე, რომ მანამ თბილისში ვარ წყალს არ დავლევ მეთქი—ისე შემეზიზნა. (მაშინ წყლის მიღები არ იყო თბილისში გამოყვანილი და თულუბჩები პირდაპირ მტკვარის წყალს ეზიდებოდნენ, რომელიც უფრო მეტჯერ საშინელი მღვრიე იყო). ეს ჩემი აღთქმა, რასაკვირველია, ყველამ სასაცილოთ მიიღეს და შემდეგშიაც სიცილით მოიგონებდნენ ხოლმე. მე თუმცა წყურვილი მაზრჩობდა, მაგრამ მაინც სამიოდე დღე თავი შევიკავე—წყალი არ დავლიე—აღთქმა უნდა შემეძრულვინა, მაგრამ... შემდეგ კი ადამიანი ხომ ყველა უსიამოვნოებას ეჩვევა და მეც გაიხელით...

ძალუას, მართალია, ბევრი ნათესაები და ნაცნობები ჰყვანდა თბილისში, რომლებსაც ხშირათა ხედავდა ხოლმე; საკუთარი ეტლი და ცხენები ჰყვანდა, კოფოზე სოლომანა ლაქია—ლივრებით მორთული უჯდა და ყოვლის მხრით თავის ხაზისხის შესაფერი ფუფუნება ჰქონდა. ნამესტნიკის ბალებს და სადილებსაც არ იკლდებოდა. კარში არ ვიცი რას არიგებდნენ, მაგრამ შინკი, როგორცვე სტუმარი მოუვიდოდათ, მაშინვე სანდროს გაზღახე და კარგის ოსტატის უშოგრობახე იყო ხოლმე საუბარი და წუწუნი.

ზემოთაც აღენიშნე, რომ სანდროს კარგათ გაზღა იყო ჩემი ძია—ძალუის ზრუნვის მწვაფი საგანი და შინაურებთან თუ გარეულებთან სულ იმაზე ლაპარაკობდნენ.

დიდის ყოყმანის, მისელა-მოსელის შემდეგ გარდასწყევტეს, რომ სანდრო ლაკეს პანსიონში მიეზარებინათ, რომელიც იმდროს თბილისში ითვლებოდა საუკეთესო პანსიონათ. მე ეს სიტყვა: გარდასწყევტეს რომ სანდრო მიეზარებინათ ადვილათა ვსთქვი, მაგრამ მანამ მშობლებმა ეს აზრი სისრულეში მოიყვანეს, რამთენი უძილო ღამე გამოიარეს და რასახით იჩანჯებოდნენ გაზვიადებულის წარმოდგენებით!.. იმათი მისწრაფება და მთელი ძალ-ლონე იქითკენ იყო მიქცეული, რომ სანდრო მოეწყოთ ისე, როგორც მდიდარის და წარჩინებულის კაცას შეიღოს შეჰტერის; იმას განსაკუთრებით გემჩიელათ ასვან-აჭამონ და სხვა ბავშვებზე მეტი თავისუფლება მიანიჭონ...

ოთახში დააწვენს. ლაკემ დამატარა ის ოთახები, რომელშიაც შევირდები უწვანან; კარგი სუფთა ოთახებია, მაგრამ მე კობოსთან ვარჩიე: უფრო თავისუფლათ იქნება და თეთრეულსაც შინადან მიაწვდით. ბევრი არაა შევირდები და იმათი თეთრეული მსხვილი და უფერული მეჩვენა.

— ჰო ბატონო, მართალი ბძანება არის: იმოდენა ხალხის სარეცხთან გარეცხილს საცვალს—არ ჩავაცმევ! საშიშია, რომ შეეყაროს რამე?!

აი ამ გვართ მოაწყეს სანდრო პანსიონში: ყველასა ჰქრთამავდნენ, რომ სანდრო განსაკუთრებით გაენებივრებინათ და სხვა ბაშვებში გამოერჩიათ, და მხოლოდ მაშინ გაბედეს მიბარება, როცა დარწმუნდნენ, რომ ყველა ეს შესაძლებელიაო,

სანდრო პირველათ რომ პანსიონში გავისტუმრეთ, ისე გამოვესალმენით, თითქოს შორს ქვეყანაში დიდის ხნობით ვისტუმრებდით: კოცნა—ხვეწა და ტირილი ბევრი იყო! ძალუამ გადმოიღო სვთისწმობლის ხატი და ცრემლით დალოცა; მთელი ჯალაბი ვტიროდით და კიბე—კიბე ისე ჩავაცილეთ; ნინო ღრიალებდა.

პირველს დღეს უსანდროობას ვერავინ ვახერხებდით: ყველანი დაღრეჯილები დავდიოდით და წამდაუწუმ სანდროს სახელს ვახსენებდით. ძია და ძალუა გაჯავრებულები ჩასხდნენ ეტლში და მუშტაიდისაკენ წავიდნენ, იქიდან კიდევ სხვაგან, ასე რომ შუა ღამემდინ ძლივს დაბრუნდნენ, მაგრამ კაეშანი სიარულმაც ვერ გაუქარწყლათ.

— ენაცვალოს ჩემი თავი სანდროს, ნეტა ეხლა რას აკეთებს?

— კეკე, კი არ იჯავროს, ჩვენს მოშორებაზე?!.. თუ ღმერთი გწამს თუ რომ წუხილი დაეტყოს, ან თუ გახდეს, მაშინვე გამოვიყვანოთ. ერთი შვილი გყავს, ხომ ვერ მოვკლავთ?.. ნეტავი იცოცხლოს და პანსიონში ნუ გაიზდება, რა ექნათ...

იალუპას პანსიონიდან მოსვლას დიდი და პატარა, ყველანი ველოდით, ყველას გვეწვრათებოდა გაგვეგო, თუ სანდრომ პირველი ღამე როგორ გაატარა უთავის დედ-მამოთ, უგამდლო-ნინოთი, როდესაც იალუპა კიბეზე ამოდიოდა, მაშინ სირბილით წინ ეგებებოდნენ და ჰკითხავდნენ სანდროს ანბავს. იმასაც თავისი თავი დიდი დესპანი ეგონა და ზოგიერთს ცნობის მოყვარეს პასუხს უგვიანებდა. როდესაც ბატონ-ქალბატონამდენ მიაღწია იალუპას მოსვლის ანბავმა, ისინი ფეხზე წამოცვივდნენ და მოუთმენლათ მომავალს ბიჭს წინ ეგებებოდნენ.

— ბიჭო, გვიანბე: როგორ გაატარა სანდრომ დრო? როგორ ეძინა? უჩვენობას ხომ არა სწუხს?..

— არა, სანდროს სიცოცხლესა და თქვენი რისხვა არა მაქვს! ისეთი მხიარულათ არის, ყველანი თავს ევლებიან, ანებივრებენ. ისეთი კარგათ იყო, რომ შინაც არ მინახავს ისე მხიარულათ.

— ღმერთო, ღვთის წმობელო დედავ, შენ განიბედნიერე ჩემი ალექსანდრე!—თვალცრემლიანმა ძალუამ ღვთის წმობლის ხატისკენ ხელები მიაპყრო.

— მადლობა ღმერთსა!—სთქვა ბიძაჩემმა და პირჯვარი გარდაიწერა.

— სხვა, ბიჭო! სთქვი მამაგიცხონდა: როგორ ასწავლიდნენ, ხომ არა სტუქსაეღნენ? სთქვი ყველაფერი.

იალუპას თავი მოსწონდა, თავისი-თავი დიდათ შემხადებულ და ცოდნით აღჭურვილი მსაჯული ეგონა და სწავლის გამო თავის მსაჯულობას თამაშათ ანბობდა. სხვა მოსამსახურეები, გოგო-ბიჭები შურით შეპყრებდნენ.

— არა თქვენი რისხვა არა მაქვს და სანდრო არ მომიკვდება! ისეთი მშვენივრათ ასწავლიდნენ, რომ რაღა მოგახსენოთ!.. სანდროს სიცოცხლეცა, რომ იმოდენა ყმაწვილებში იმაზე ლამაზი და კარგიც არავინ იყო!..

— მადლობა იესოს, მადლობა ღმერთს! გასძახოდნენ და იმეორებდნენ მსმენელნი.

ამ გვარი ლაპარაკი და იალუპას მისვლა-მოსვლა ყოველ დღე ხდებოდა და ერთი და იგივე, ერთგვარად.

სანდრო რომ პირველათ უქმე დღეს პანსიონიდან შინ დაბრუნდა ისეთი სირბილი და სიხარული დადგა მთელ სახლში, რომ მგონია, არა ოჯახში არ მოხდება ხოლმე. თუმცა პირველი სანდროს პანსიონიდან დაბრუნება რაღაც დღესასწაულობის გამო, ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მოხდა, მაგრამ უკნოს რომ ეყურებინა, ეგონებოდა, რომ რამთენიმე წლის უნახავი სანატრული შვილი დაბრუნდაო: გამდელი-ნინო კბეზე ჩაიჭრა და ციმციმათ, ხელით ამოარბენინა, სიხარულით ტიროდა და პალტოს და კალოშებს ისე ხდიდა. დედ-მამა ფაცა — ფუცით ტრიალებდნენ და სიხარულით ვეღარას ახერხებდნენ. კოცნითა და იღვოსით ციბრუტივით ატრიალებდნენ და ყველანი ზრუნვაში და მოძრაობაში იყვნენ: „სანდროს ჩაი მოართვით“ „სანდროს ნახეჯი და ნალები მოართვათ“ თავ-თავისთვის გასძახოდნენ. მეც რასაკვირველია, არავის ჩამოვრჩი; ვეალერ-სებოდი და აღარა ვშორდებოდი ჩემს საყვარელს და ლამაზს სანდროს!..

ასე მიდიოდა დრო, და ამასთან ალექსანდრეს სწავლა-განათლება.

(გაგრძელება იქნება.)

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

ს. გორგაძე.



ახალი სალიტერატურო ქართული ისტორიკონი.

მეორე საფეხური.

(1860—1875)

ახალი სამწერლო ქართულის ისტორიის მეორე ხანა, ან, უკეთ, მისი არსებობის მეორე საფეხური, ორი საინტერესო წერილით იწყება: ერთია „ქართული უბნობა ანუ წერა“ და ეკუთვნის ზემოხსენებულს ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანს, ხოლო მეორე—პირველის პასუხს წარმოადგენს და ეკუთვნის „ბაქარ ქართლელს“ ანუ დიმიტრი ყიფიას. პირველი დაბეჭდილია „ცისკარის“ 1860 წლის ივნისის ნომერში, მეორე—აგვისტოს ნომერში. ორივე წერილი გამოწვეულია სალიტერატურო ენის იმ რყევადი მდგომარეობით, ან როგორც ალ. ორბელიანი უწოდებს, იმ „აჭრელებულობით“, რომელიც სამწერლო ქართულში ძველისა და ახალი ენის ნორმების შეხვედრამ გამოიწვია.

მშობლიური მწერლობის მოტრფიალე ალექსანდრე ორბელიანს ვერ აუტანია ენის ასეთი მდგომარეობა და თავის წერილს ამ სიტყვებით იწყებს:

„ჩემის აზრით, ჯერ ამ საგანს არ უნდა მოვეშვნეთ, ჯერ ერთგუარი წერა უნდა დაიდოს ქართულის სიტყვებებისა... რომ სხვა და სხვა კრელი წერა არა გამოვიდესრა ხოლმე ცისკარში“-ო¹. ხოლო მეორე ალაგას ამბობს: „ჩუპნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვ, ერთგუარი უნდა იყოს. რაგვარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს, და რაგვარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ“-ო².

ამასთანავე ავტორი არჩევს ერთმანეთისაგან სამგვარ ენას: ა) პირველია ძველი, ე. ი. „საეკლესიო ანუ საღმრთოწერილის ენა“; ბ) მეორე „საშუალო“ ანუ „დარბაისელთ ენა“, რომელსაც ავტორი, რაღაც მოსაზრებით, კიდევ „მდაბიურსაც“ უწოდებს; და გ) მესამე—გლეხური ანუ, ავტორის დახასიათებით, „დაშვებული“ ენა. საილუსტრაციოდ ავტორს იქვე მოაქვს სამისავე ენის

¹ იხ. „მნათობი“ 1925 წ. № 1 (9).

² ცისკარი 1860 წ. ივნისი, გვ. 90.

³ იქვე, გვ. 97.

ნიმუში, სახელდობრ ორმოცდამეორე ფსალმუნი დავითისა ჯერ ბიბლიის ტექსტით, შემდეგ დარბაისლურის სტილით და ბოლოს გლეხურის ენით¹.

ქველი ენის შესახებ ავტორი ამბობს: „მეტი კარგი ენა მტნს ქართული საღმრთო წერილი, მაგრამ, რა უყოთ, აბა როგორ იქნება ამისი შემოღება? თუ შეიძლება და მართლა შემოიღებენ, საკურველება იქნება“-ო. მაგრამ არა მგონია შესძლონ საღმრთო წერილის ენაში ჩვენი ერის იმგვარად დახელოვნება რომ ცხოვრებასა და მწერლობაში ამ ენის შემოღება შესაძლებელი გახდესო².

არც გლეხური ენის მწერლობაში შემოტანა მოსწონს ავტორს. იგი ამბობს: „მართალია, გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგიანად“ ამ ენაზე და „არც ყურის სააძოა, რადგან მოშუშებული ენა არის გლეხების ლაპარაკიო“³.

სამაგიეროდ თავადის ორბელიანის სიმპათია და არჩევანი მთლად „საშუალო“ ანუ „დარბაისელთ ენისაკენაა“. მაგრამ აი თვით მისი სიტყვები:

„თუ ჩემზედ მოაგდებთ და ამომარჩევინებთ, მე საშუალოს ენას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას, ამისთვის რომ უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები დარბაისელთ ენაზედ უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ, ვითარცა: რუსუდანიანი, ფისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი და სხუადა სხუანი, და ბოლოს ვეფხის-ტყაოსანი“⁴.

ცოტა ქვემოთ:

„ჩუჴნი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა ისეთი უნაკლულო ენა არის, რომ დიად ადვილად შეიძლება, რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგითაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება“-ო. ამასთანავე ეს ენა ავტორს სმენისათვისაც „მეტად საამოდ“ შიანია⁵.

თავის აზრს „საშუალო ენის“ სასარგებლოდ ავტორი ასეთი სიტყვებით ათაევებს:

„ნგონია ყველანი დამეთანხმნენ, უწინდელს ქართულს საერო წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ეიფიქროთ ამისთვის“-ო⁶.

ამგვარად, ავტორი ისე მტკიცედ დარწმუნებულია თავისი არჩევანის უპირატესობაში, რომ სხვაგვარ გამოსაყვალზე ფიქრსაც კი უკრძალავს თავის თანამედროვეებს.

დასასრულ იგი ამბობს:

„ვინიცობა არის, თუ ამ ჩემის აზრის თანხმობა არ იყოს, ეს მაინც ინებონ, რომ, ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქარ-

1. იქვე გვ. 91-96.

2. იქვე გვ. 92.

3. იქვე გვ. 97-98.

4. იქვე გვ. 95-96.

5. იქვე გვ. 97.

6. იქვე გვ. 102.

თულის სიტყვებების განსჯისა და იმისი წარმატებისათვის“-ო. ამასთანავე ავტორი მიმართავს ბაქარ ქართლელს (დიმიტრი ყიფიანს) და სთხოვს: თუ მოცულა გეჭნესთ, „შემოკლებული სწორე ქართული გრამმატიკა შეგვიდგინეთ“¹.

ასე თავდება ალ. ორბელიანის წერილი. მისმა მოწოდებამ, მაგისტრის კპოვა გამოხმაურება დიმიტრი ყიფიანის მხრით, რომლის ვრცელი წერილი (ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით) რედაქციამ იმავე წლის „ცისკარში“ მოათავსა სათაურით: „წიგნი მოწერილი თ. ალ. ჯ.-ორბელიანისადმი შესახებ მისის ქართულის უბნობისა ანუ წერისა“².

დიმიტრი ყიფიანის წერილი ბევრ საყურადღებო საკითხს ეხება და მრავალი მხრით საინტერესოა, მაგრამ აქ მხოლოდ იმ ადგილებზე შევჩერდებით, რომლებიც პირდაპირ ალ. ორბელიანის მთავარ დებულებებს შეეხება.

ავტორი დიდი მოკრძალებით ეპყრობა თანამოსაუბრის აზრებს, მაგრამ თავაზიანის კილოთი იმ პუნქტებსაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომლებშიაც მოპირდაპირეს არ ეთანხმება.

თავდაპირველად ავტორი საესებით იზიარებს ქართული ენის სამ გვარად დაყოფას: საეკლესიოდ, სადარბაისლოდ და საგლეხოდ³, და ასეთი დაყოფის საფუძველს ერის კლასობრივ დანაწილებაში უჩვენებს: „თუ ერთი და იგივე ტომი განაწილდება მაღალსა და დაბალ კლასებადა, აგრეთვე მისი საუბარი განაწილდება მეტათ თუ ნაკლებათაო“⁴. მხოლოდ განმარტებს, რომ მეორე გვარი ენა, რომელსაც ავტორი „საზოგადო ენას“ ეძახის (ნაცვლად „დარბაისლურისა“), საეკლესიო ენის წინათ არსებობდა, არა თუ არსებობდა წარმიტებაშიაც იყო⁵. რუსთაველმა და მისმა თანამედროვე საერო მწერლებმა ეს „საზოგადო ენა“ შემკვიდრეობით შეითვისეს და თავის კმნილებაში შეიტანეს, შექმნით კი ეს ენა არავის შეუქმნიაო“⁶.

ავტორის სიმპათია სწორედ ამ „საზოგადო ენისკენაა“: ძველი საეკლესიო ენა კი მასაც დრომოკმულად მიაჩნია, მეტსაც ამბობს: საჭიროა თვით საეკლესიო წიგნებიც საზოგადო ენაზე გადმოიღონ, როგორც ევროპიელები მოიქცენო. ხოლო გლეხური ენის შესახებ დასძენს: ამაზე ლაპარაკიც არა ღირს, რადგან „გლეხური საუბარი ვერ შესძლებს მაღალთა საგანთა გამოხატვისა შუამავლობასაო“⁷.

სამაგიეროდ ავტორი სრულებით არ ეთანხმება ალ. ორბელიანს ერთ რამეში, და ეს ერთი რამე იმავე დროს არსებითად განასხვავებს ავტორის აზრსა და საზოგადო შეხედულებას ორბელიანისა და მის თანამოაზრეთა შეხედულებისაგან. აი ეს ადგილი:

¹. იქვე გვ. 104.

². ცისკარი 1860 წ. აგვისტოს ნომერი, გვ. 318-333.

³. იქვე გვ. 323.

⁴. იქვე გვ. 320.

⁵. იქვე გვ. 324.

⁶. იქვე გვ. 325.

⁷. იქვე გვ. 329.

„თქვენ აზრი გაქვსთ, რომ რუსთველის ენა ვიქონიოთ მაგალითად ჩუშნა და ჩუშნ შთამომავალთადა. მე არც ამაზედ ვარ თანახმა. ეს არ არის, რომ რუსთველს აქუს დიდი დიდი ღირსებაები, მაგრამ ის სცხოვრებდა მეტორმეტე საუკუნეში და აღარ ეკუთვნის ჩუშნს დროს. ის არის სამკვლევებელი ქართულის ისტორიისა“. ხოლო ცოტა ქვემოთ: „რამდენადაც საზოგადოება წინ მიდის განათლებით, იმდენი იცვლება თვთ სიტყვებაცა: საქართველოს მოუვიდა დრო, მაშ რუსთველის ენაც დაძულებდა. აწინდელნი ბერძენნი და მათნი შთამომავალნი აღარას დროს არ მიუბრუნდებიან ჰომერის ენასა, ფრანცუზნი—მოლიერის ენასა“ და სხვა¹.

არ ეთანხმება დიმ. ყიფიანი თავის მოსაუბრეს არც გრამატიკის შედგენის საკითხში. ავტორის განწყობილება გრამატიკისადმი უარყოფითია. „გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებელია, როგორათაც ლოლიკის კანონებით—მსჯელობის“ შესწავლაო. მე-XVIII-ე საუკუნემდე ქართველებს „დაწერილი გრამატიკა“ არა ჰქონიათ, მაგრამ რუსთველი და ჩახრუხაძე, საბა ორბელიანი და ვახუშტი ბატონიშვილი კი ჰყავდათო².

მაშ, რა უნდა ვქნათ? რა გზით და რა წყაროებიდან უნდა მოხდეს ახალი სამწერლო ენის შედგენა-წარმოშობაო? ჰკითხულობს ავტორი და შემდეგს პასუხს იძლევა:

„ამ საგნისათვის ჩუშნა გვაქვს ორი წყარო, ანუ ორი ლონისძიება! პირველი—თვთ ცხოველი საზოგადო, თუ დარბაისლური, ენა; მეორე ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცვენ უკეთესს საზოგადო საუბარსა“. ამ გზით შეიძინეს ენის ცოდნა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა და გიორგი ერისთავმა, აგრეთვე თვით „ბაქარ ქართლელმაცაო“, ე. ი. დიმ. ყიფიანმა, და ამავე გზას გვიჩვენებენ მეცნიერნიც და „თვით მართლმსჯელობაცაო“³.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, 1860 წლის მეორე ნახევარში მკათიოდ დაისვა კითხვა ძველი ქართულის შესახებ და გადაწყდა მისი უარყოფით თანამედროვე მწერლობაში. სამაგიეროდ წამოიჭრა საკითხი საშუალო ქართულის შესახებ, რომელიც ალ. ორბელიანს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ენა ვისრამიან-რუსუდანიანისა, რუსთველ-ჩახრუხაძისა და საბა ორბელიანისა. დიმიტრი ყიფიანს კი უფრო ფართოდ ესმოდა ის ენა, რომელსაც მისი აზრით ჩვენს მწერლობაში ძველი ქართულის ადგილი უნდა დაეჭირა. ყიფიანის განმარტებით, ეს ენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო შავთელ-რუსთველის ენა,

¹. იქვე გვ. 329—330.

². იქვე გვ. 326. როგორც ქვემოთ დაფინახავთ, დიმ. ყიფიანმა შემდეგში შეიცვალა ეს უარყოფითი აზრი გრამატიკის შესახებ, და თვითონვე შეადგინა „ახალი ქართული გრამატიკა ხხარტულად დაწერილი მამისაგან შეილებისათვის“ (1882 წ.); ხოლო ცოტა უფრო ადრე, ხანდობრ 1880 წელს მან დაბეჭდა (ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით) ჟურნალ „ივერიაში“ (№ 1) წერილი სათაურით: „უცნაური ნადირობა“, რომელშიაც შეეხა მრავალ სადავო (უმთავრესად სინტაქსურ) ფორმას ქართულში. წერილს თარიღად უზის „187...“, ე. ი. 70-იანი წლები.

³. იქვე გვ. 328—329.

რომელსაც, როგორც ყველაფერს ისტორიაში, დაძველება მოელოს; მაგრამ იგი, ეს ახალი ენა, ვერც გლახურ ენად გადაიქცეოდა, არამედ რადიკალ საშუალო ადგილი უნდა სჭეროდა ცოცხალ საზოგადო ენასა და ჩვენი საერთო მწერლობის კლასიკურ ნაწარმოებთა ენას შორის: იგი უნდა აღმოცენებულიყო ამ ორგვარი წყაროს ნიადაგზე, როგორც ცოცხალი სინთეზი ^{ქვემოთაღნიშნული} ელემენტებისა. ჩვენთვის აშკარაა, რომ ევოლიციონურ თვალსაზრისზე მდგომარე დემოკრატი ყოფიანი არ იზიარებს ალ. ორბელიანის ვიწრო წოდებრივ სიმპათიებს ენის საქმეში და „დარბაისლურის“ ნაცვლად ხმარობს უფრო სინთეტიურსა და ნაკლებ-კლასობრივი ხასიათის ტერმინს „საზოგადო ენას“. როგორც ვნახეთ, ეს ტერმინი შინაარსითაც დიდად განსხვავდებოდა ალ. ორბელიანის „დარბაისლურისაგან“: რამდენადაც ეს უკანასკნელი აბსოლუტურად ჰგულისხმობდა შავთელ-რუსთველია ენას, იმდენად პირველი უარყოფდა უკანასკნელის მარადიულ ღირებულებას და კლასიკოს მწერალთა ენას უცქეროდა როგორც ერთ-ერთ დაშვებულ წყაროს ახალი სამწერლო ენის შესაქმნელად.

ამასთანავე დიპ. ყოფიანი დარწმუნებულია და თავის მოსაუბრესაც არწმუნებს, რომ „ზოგიერთის ევროპიულის ლექსების (ე. ი. სიტყვების) მიღებაც აუცილებელია. ყოველი საუკუნე და ყოველი ისტორიული მოპოება, იდეათა და წესდებულებათა შეცვლა მოითხოვენ ახალ გამოთქმათა ანუ წარაზებსა, რომელნიც უწინ არა ყოფილან, და თუ ყოფილან ერთს ხალხში, არ ყოფილან სხუა ხალხებში. ყველა საკულმწიფოები შეადგენენ ერთს დიდს ოჯახს და არიან ერთმანეთზედ მჭიდროდ დამოკიდებულნი, აგრეთვე ენები. განზოგება (ე. ი. განცალკევება) ერთის ენის საუთაგან შეუძლებელია“. პირიქით: „რამდენადაც მდიდარია ენა, იმდენად უფრო მრავალთ გარეშე-ლექსთ (ე. ი. უცხო სიტყვებს) მიიღებს. ჩუენ გვგონია, რომ ქართული ენა ასე მოქნილი და გამოჭედილი არ იქნებოდა, რომ სპარსულსა და ბერძნულს ენათ არ ემუშავნათ მასზედა. აგრეთვე ევროპის ენები ასე მდიდრები არ იქნებოდნენ, რომ ერთს მეორეზედ ურთიერთი მოქმედება არა ჰქონოდათ“. მაგრამ ამასთანავე ავტორს ვარგად ესმის, რომ „ენის აჭრელება არ არის საქებარი, რომ უსაქიროდ ჩუენს ენას არ უნდა გაურიოთ უცხო სიტყუები“¹.

დასასრულ, ავტორს მოსწონს ალ. ორბელიანის წინადადება, „რომ თავისუფალს დროს შეეკრბეთ ხოლმე ქართულს ენაზედა“ საზრუნავად და აზრების წარმოსათქმელადო.²

ამ მდგომარეობაში იყო საკითხი სამწერლო ენის შესახებ, როდესაც „ცისკარში“ დაიბეჭდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი, რომელმაც, სხვათაშორის, გაკვრივით, მაგრამ რადიკალურად დასვა საკითხი სამწერლო ქართულის ყოველმხრივი რეფორმის შესახებ ახალი ენისა და ახალი მართლწერის საფუძველზე.³

¹. იქვე 331-332.

². იქვე გვ. 333.

³. იხ. წერილი „ორიოდეს სიტყვა თავად ჩვევს შედევას ძია ერისთავის კაზლოვიდან შექმნილი თარგმანზედა“ („ცისკარი“ 1861 წ. აპრილის წიგნი, გვ. 557-594).

ამ წერილის დაბეჭდვამდე, თვით ახალი ენით დაწერილი თხზულებებიც კი ძველი ორთოგრაფიით იბეჭდებოდა: ასე დაიბეჭდა მაგალითად გიორგი ერისთავისა და ანტონივის კომედიები, ამავე ორთოგრაფიის მიხედვით ეურნალი „ცისკარიც“, როგორც გ. ერისთავის დროს, ისე იველიცხუთის რედაქტორობაში. ერთი სიტყვით, ამგვარ თხზულებათა სხეული (ენა) ახალი იყო, ტანისამოსი კი (ორთოგრაფია) ძველი. ილ. ჭავჭავაძის შემოხსენებული წერილი პირველი ნაწარმოები იყო, რომელიც დაიბეჭდა არა მხოლოდ ახალი ენით, არამედ ახალი ორთოგრაფიითაც.

ამ საგნის შესახებ თვით ილ. ჭავჭავაძე მოკლედ შენიშნავს:

„შ. უც, ზ, ჯ, კ—ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში: თუ ვინცობაა ეს ენის წინააღმდეგად მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთო“¹.

მართლაც გაშბედავ რეფორმატორს მალე დასჭირდა თავისი პოზიციის დაცვა ძველის მოტრფიალეთა მთელი ბანაკისაგან. ამ ბანაკში ირიცხებოდნენ სხვათაშორის: იგივე ალ. ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძისა, სარდიონ ალექსიევ-მესხივე, თვით „ცისკრის“ რედაქტორი და სხვანი.

პირველი იერიში ილ. ჭავჭავაძეზე ბარბარე ჯორჯაძისამ მოიტანა. მის წერილს სათაურად აწერია: „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“².

ძველ სამწიგნობრო ნორმებზე აღზრდილი ბარბარე ჯორჯაძისა საშინლად აღუშფოთებია ილია ჭავჭავაძის გალაშქრებას ზედმეტი ასოების წინააღმდეგ და სკდლიობს დაამტკიცოს, რომ ეს ასოები თვით ბუნებისაგან არიან მოცემულნი ჩვენი ენისათვისო:

„რატომ არ იცის თავად ილია ჭავჭავაძემ, რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყუათათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაცა გამოცულა დიდი გმობა უნდა იყოს... ყოველთა ამათ განხილვა, გამოძიება და აბალთა კანონთა დადება ჩუენი საეჲმე არ არის, რადგანაც ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩუენზედ ადრე. ბუნება გვეუბნება თქვ „ქუაო“ და არა „ქვაო“; ბუნება გვამხილებს თქვ „ჩუენო“ და არა „ჩვენო“... ჩუენის ენის თვისებას ეს შესანიშნავი კანონი შეუდგება: სადაც ვ დაჰყუჰბა უხმოვანს ასოებს შუა, ან სადაც ვ-ს წინ უძღვს უხმო ასო, იქ ვ-ს მაგიერად უ უნდა; სადაც ამ ასოს თან დაჰყუჰბა ე, იქ ე უნდა; სადაც დაჰყუჰბა ი, იქ ეი-ს მაგიერად უნდა ვ.. სადაც ყურით გვესმის ვ-ის მაგიერად უ, ან ეი-ს მაგიერად ვ, იქ ეს მართლწერა არ უნდა ვაყოთ უგულვებელს, რადგანაც ბუნების წინააღმდეგი იქნებაო“³.

შემდეგ ავტორი წუნსა სდებს ილია ჭავჭავაძის ენის გრამატიკულ მხარესაც. ნიმუშად მოჰყავს შემდეგი ადგილები ილიას ლექსებიდან: „სუბუქ ფრთითა“, „ყარბ მღერით“, „შენ გიჰმა რა იცოდა“ და სხვანი და უსწორებს: უნ-

¹ იქვე, გვ. 557—558, სხოლიო.

² ცისკარი 1861 წ. მაისი № V, გვ. 33—45.

³ იქვე გვ. 35—37.

და ეთქვაო: „სუბუქის ფრთითა“, „ყარბის მღერითა“, „შენმა გიყმაო“ და შისტანანი¹.

უწუნებს სტილსაც: „მერცხალი ჭყვიესო“ თავის დღეში არ გამოიგონია; ღორზედ კი ამბობენ: „ღორი ჭყვიესო“ — ბრძანებს გონებამახვილი ქვინა².

დასასრულ, ავტორი გულნაკლულია უცხო ტერმინებზე, ხელოვნებითაც: „ეს-ტვტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი“ და სხვანი. როგორ შეიძლება ენის ამგვარად აჭრელებაო!³

დაახლოებით ამგვარისავე ხასიათისაა სარდიონ ალექსიევ-მესხიევის წერილიც, რომელსაც ეწოდება: „უსტარი ანტიკრიტიკული“⁴.

ეს ავტორი საშინლად აღშფოთებულია ილ. ჭავჭავაძის პროზით და რეფორმატორული გამოსვლებით: ლექსები მშვენიერი გაქვს, მაგრამ „სადაგ-სიტყუაობაში (ე. ი. პროზაში) კი უწყალოდ ამახინჯებ და ამდაბლებ ქართულს სიტყვერებასაო“⁵.

ასოების: უ, უც, ა, ჯ, კ და სხვათა უარყოფა როგორ შეიძლება: „ამათ აქუსთ მართლწერისა მნიშვნელობაო“. არ მოსწონს სიტყვა „როცა“: „ოდეს“ უნდა გეხმარაო. სიტყვების წყობაც სწორი არა გაქვსო: „მთელი კაზლოვის თბზულებაში“ რა ფრაზაა? „კაზლოვის მთელ თბზულებაში“ უნდა გეთქვათო. არც სტილი გივარგათო, მაგალითად როგორ შეიძლება: „გაბერილი წიგნი“, „ენაზე მოგადგება“, ან „ბაირონის გავლენის ქვეშო“. დასასრულ ავტორი უკივილებს ილ. ჭავჭავაძეს უცხო სიტყვებით ენის აჭრელებას: თანხა, კაპიტალისტთა, სენტიმენტალური, ფორმა, სუბიექტიო და სხვანი.

ასეთი იყო ძველთა ბანაკის კონტრიეროშები ახალგაზრდა რეფორმატორის წინააღმდეგ. როგორც ენახეთ, ეს იერიშები ზოგ რამეში უსაფუძლო არ იყო, განსაკუთრებით რამდენადაც საკითხი ჭავჭავაძის სტილისა და გრამატიკის დეფექტებს შეეხებოდა, მაგრამ ამგვარ ნაკლთა აღნიშვნა, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ არღვევდა იმ გზის სისწორეს, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე იდგა. განსაკუთრებით უმწეო და უბადრუკი აღმოჩნდა მისი მოპირდაპირე ბანაკი ეგრეთ წოდებული ზედმეტი ასოების საკითხში. ილ. ჭავჭავაძემ ჩინებულად გამოიყენა ეს გარემოება და თავისი ვრცელი „პასუხის“ უძლიერესი ადგილები სწორედ ამ ასოების წინააღმდეგ მიმართა.

მოპირდაპირენი ილია ჭავჭავაძეს, სხვათა შორის, თეორეტიკის უცოდნელობას უკივილებდენ: ქართული ენის თეორეტიკა არ იცით, რიტორიკა და გრამატიკა არ გისწავლიათ და ამიტომ არც ასოების ხმარების წესი გაქვსთ შესწავლილიო.

ამაზე ილია ჭავჭავაძე სწერს:

¹. იქვე გვ. 37—38.

იქვე გვ. 39.

იქვე გვ. 40.

ცისკარი 1861 წ. № VI, გვ. 254—268.

². იქვე გვ. 253.

„ასოს ხმარებას სწავლა არ უნდა: თვითონ სიტყვა გვასწავლის, სად რომელი ასო უნდა ვიხმაროთ“¹.

საკუთრივ ზედმეტი ასოების ხმარების შესახებ იგი სწერს: *სწერს, მისეულს*

„ჩვენი მწერალი ქალი (ბარბარე ჯორჯაძისა) დასცინის *სწერს, მისეულს* მე ჭ, ც, ვ, ჯ, ზ და კ — ასოებს არა ვხმარობო“².

„რისთვისაც არა ვხმარობ (ამ ასოებს), ახლავ მოგახსენებთ, ჩემო მკითხველნო! უ-ზედ ბევრჯელ მქონია ლაპარაკი სხვადასხვა პირთან; ზოგს უთქვამს: უნდა გადაიგდოსო, ზოგს — უნდა დარჩესო, თუმცა არცერთს მათგანს ცხადათ არ დაუმტკიცებია თავისი აზრი; მაგრამ მე იმათ ლაპარაკიდან ეს სარგებლობა გამოვიტანე, რომ ეგ ასო, მართლა თუ უვარგისია, უნდა გადაიგდოს როგორც უსაქირო, რადგანაც ჩვენი ანბანი უფრო განმარტივდებოდა და მართლწერა გაადვილდებოდა. ჩემის აზრით მაგის თანასწორხმოვანო ასო გვაქვს ჩვენ ვ... და ამ თანასწორხმოვან ასოთა შორის ან ერთია მეტი, ან მეორე. მე უფრო უ-ბრჯგული მგონია მეტიო“³.

რომ თავისი აზრი უ-ბრჯგულს შესახებ უფრო მტკიცე ჰყოს, ავტორი დასძენს:

„კაცის ენა კერძობით პირსავით იზღება და ეითარდება, და ამ ზღაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცი ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება ხოლმე, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა... იქნება მართლადა ჭ-ს და ე-ს შორის უწინ რაიმე განსხვავება ყოფილა გამოთქმაში, მაგრამ ეხლა, ჩემის ფიქრით, არ არის განსხვავებაო“⁴.

რაც შეეხება დანარჩენ ასოებს: ჯ, ზ, კ, ვ, ც, ფ, — ავტორი ამბობს: ამ ასოებზე ლაპარაკიც არა ღირს: „ეს ასოები სულ აღარ ისმიან ეხლანდელს ენაშიო. მართო კ და ხ-ზედ ამბობენ: სხვადასხვანაირად გამოითქმისო: გლებ-კაცი ქიზიყშიო ისე გამოსთქვამსო „ხოხობი“ თითქოს „გხოგხობიო“. თუ ეს მართალია, დამიმტკიცონ და მაგ ასოების საჭიროებაზედ დავეთანხმები. სრულიად არ მესმის, რა განსხვავება არის ამ ასოთა შორის: ც და ე, ჯ და ი, ვ და ეი, ზ და ჰოი. იქნება ჩვენს უწინდელს ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის (და სწორეთაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც შემოუღიათ), მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედავ; და თუ ხედავს ვინმე, ის ანბანთ თეორეტიკით-კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიექციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები: ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა თეორეტიკა. თქვენ უნდა დაგენახებინათ განსხვავება ამ ასოთა შორის და ენიდამ ამოღებულ ფაქტებით დაგემტკიცებინათ, მაშინ მე არა შეთქმოდა რა. თქვენი თეორეტიკა თქვენთვის შეინახეთ, ეგ ამგვარ საქმეს პასუხს ვერ ვას-

1. იქვე გვ. 190—192.

2. იქვე. გვ. 217.

3. იქვე გვ. 219—220.

4. იქვე, გვ. 220—221.

ცემს, სხვა უნდა მოინახოს... ეს ასოები, რომლების ხმაც გამოირქმევა (თუ გამოიხატება!) სხვა ასოებითაც, ეგ ასოები სულ ტყვილათ არიან ჩვენს ანბანში... ტყვილათ ავძლებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერასა და სხვას არიფერს არ შეგეძინებენო“¹.

ასე დაათვა ილია ჭავჭავაძემ „ცისკარში“ თავისი ბრძოლის შესახებ ჟურნალის სულის ჩამდგმელებთან. სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ, მან საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დაიარსა და მით სრულიად დამოუკიდებელი პოზიცია მოუპოვა იმ პრინციპებს, რომლებზედაც, მისი აზრით, ახალი ქართული მწერლობა და განახლებული ენა უნდა აგებულიყო. ამ დამოუკიდებლობამ ბრძოლაც უფრო გააადვილა მოპირდაპირე ბანაკთან, ბრძოლა არა მარტო კრიტიკული სტატიებით, არამედ თვით საქმით და ფართო მასშტაბით: ფართო სალიტერატურო შემოქმედებით მწერლობის ყოველი დარგიდან². მართალია, ჟურნალმა მხოლოდ ერთ წელს იარსება (1863 წელს) და მხოლოდ 12 წიგნის გამოცემა მოასწრო, მაგრამ ამ თორმეტმა წიგნმაც სრულიად აშკარა ვახადა როგორც უპირატესობა ზემოხსენებულის პრინციპებისა, ისე უსაფუძვლობა მოპირდაპირე ბანაკის სკეპტიკური განწყობილებისა ამ პრინციპებისა და ახალი სალიტერატურო ქართულისადმი.

ამასთან ერთად „საქართველოს მოამბემ“ თეორიულადაც დაასაბუთა და განავითარა ილიას ჯგუფის შეხედულება ახალ სალიტერატურო ქართულზე. ეს შეხედულება ჟურნალს გამოთქმული ჰქონდა როგორც სარედაქციო წერილებში, ისე სპეციალურ საგრაამატიკო ნარკვევებში და სხარტულად დაწერილ ფელეტონისებურ სტატიებში.

რედაქციის თვალსაზრისის გასაცნობად საკმაოა შემდეგი ადგილი მოვიტანოთ:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოვლის ფერისა: წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“³.

როგორც ვხედავთ, რედაქციის თვალსაზრისი ევოლუციურია: ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება და ახლდება, და ენაც, როგორც ნაწილი ცხოვრებისა, ამავე სახოვადო კანონს ემორჩილება.

ამავე თვალსაზრისზე იდგენ დანარჩენი თანამშრომლებიც, რომელთაგან

¹. იქვე გვ. 221—224.

². ვრცელი ბუნების ტული თხზულებებისა და პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილების ვარდა, ამ ჟურნალში ჩვენ გვხვდება ფართად ვრცელი წერილები და თხზულებანი საქართველოს ისტორიიდან (ს. ბარათაშვილის ისტორიის თარგმანი), ასტრონომიიდან (დომ. ყიფიანის თარგმანი), პედაგოგიიდან (ლევ. ჯანდიერის შვილის ნათარგმნი), გრამატიკიდან (დავ. ყიფიანისა), ლიტერატურის ისტორიიდან (ილ. იქრომჭედლის შვილისა) და სხვანი.

³. „საქართველ. მოამბე“ 1863 წ. № 1, გვ. 111, სადაც მოთავსებულია რედაქციის წერილი „საქართველოს მოამბეზე“ (გვერდ. 111—126). ხაზგასმა ჩვენია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დავით უიფიანი მისი ვრცელი წერი-
ლით: „რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად“.

წერილი ორი თავისაგან შესდგება: პირველში საზოგადოდ ქართულ ენაზე
და მის გრამმატიკულ ფორმებზეა ლაპარაკი, ხოლო მეორეში ასოებს. მო-
გვაქვს უმთავრესი ადგილები ამ შესანიშნავი წერილიდან.

თავდაპირველად ავტორი არანორმალურ მოვლენად სთვლის იმ „ენის აქ-
რელებას, როგორსაც ებღა ჩვენს ქართველებში ვხედავთ: ენის ფორმები აი-
რივნენ ბაბილონურადო“¹. ხოლო არასოდეს ერთობა საზოგადოდ და ენის
ერთობა კერძოდ ქართველობისათვის არ ყოფილა იმ სომად საჭირო, როგორც
დღეს. მეცხრამეტე სიუკუნეშიაო, — განაგრძობს ავტორი ცოტა ქვემოთ. მაგრამ,
საინწუხაროდ, „ერთი დამუშავებული სალიტერატურო ენის“² კონებაზე დღევან-
დელი ქართველობა ჯერ კიდევ შორს არისო, — დასძენს იქვე.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ იმ დროს ლიტერატურაში ორი მთავარი
მიმართულება იყო: ერთნი ირჩევდნენ ძველი სალიტერატურო ენის³ ფორმებს,
„დარბაისლურ“⁴ კილოსთან შეზავებულს, ხოლო მეორენი — აბალ-ცოცხალ ენას
ამჯობინებდნენ.

ავტორი კატეგორიულად წინააღმდეგია პირველი მიმართულებისა და გა-
დაჭრით უარჰყოფს მას: ვინც ანობს — ძველებური სალიტერატურო ენით უნდა
ვსწავროთო, იგი ან შესაძლებლადა სთვლის იმ ძველი ენის გაცოცხლებასა და
გასაზოგადოებას დღევანდელ ქართველობაში, ან არა და — ჰსურს ხალხისაგან
განცალკევდეს და ენის არისტოკრატია შეადგინოსო. მაგრამ ორივე აზრი მრუ-
დვა და ასასრულებლად შეუძლებელიო, განაგრძობს ავტორი: „ძველებური ენა
ის ენა არ არის, რომელზედაც ესლა ხალხი ლაპარაკობს, სულ სხვა ენა არის:
თუ სხვა ენაა, სწავლა უნდა. ჯერა ხალხისათვის იმის საკუთარს ენაზე მარტო
წერისა და კითხვის სწავლას ვერ ვახერხებთ, სხვა ენა როგორღა ვასწავლოთ! —
შესაძლებელიც რომ იყოს, რათა ვავიტიროთ საქმე, რისთვის?... ენის ერთობი-
სათვის ჩვენი ხალხის ბედნიერება ის არის, რომა როგორ ენასაც დაბალი ხალხი
ახმარებს, ისეთსავე — მაღალი, ბრწყინვალე და კეთილშობილი თავად-აზნაური.
ყური მიუგდეო, სწორეთ ერთნაირათა ლაპარაკობენ, ლაპარაკში ერთსა და იმავე
გრამმატიკულ ფორმებს ახმარებენ როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაურნი. მაშა-
სადამე განსხვავება ვისშია? მაშ ვის ესია მოყვება ძველებური ენის ხმარებაო?“
ჰკითხულობს ავტორი და თვითონვე უპასუხებს: მხოლოდ ორიოდ „დარბა-
ისელს“, იმ დარბაისელთ, რომელთაც ჰკუაში არ მოსდით მდაბიო, სოფლური
კალო და იძახიან: ჩემი ენა სულ სხვა უნდა იყოსო. — ავტორი, რასაკვირველია,
აღშფოთებულია ამგვარ პირთა საქციელით⁵.

ავტორი იმ რწმენით გამსჭვალულია, რომ „ყოველისფერი ქვეყანაზე და
სხვათა შორის ენაც იცვლება, წარმატებაში შედის; და ამ წარმატებასა და

1. საქ. მოამბე № 3, გვ. 70-102.

2. იქვე გვ. 74.

3. იქვე გვ. 76.

4. იქვე გვ. 79-80.

ცვლილებასა თავისი ბუნებითი კანონი აქვს, რომლის წინააღმდეგობაც ყოველ-
თვის ფუჭია" ¹. აქედან თავისთავად გამომდინარებს დასკვნა, რომელსაც ავ-
ტორი იძლევა: „ძველს ენას უნდა თავი მივანებოთ და ახალი ენიდან უნდა
მოვიპოოთ კანონები“, ძველ ენას კი უნდა მივსცეთ გრამატიკისათვის მხო-
ლოდ „ისტორიული მნიშვნელობა“ ². ხოლო ცოტა ქვემოთ განაგრძობს:

„რადგანაც ჩვენცა და მდაბალი ხალხიც ერთისა და იმავე ენით ვლაპა-
რაობთ“, მაშასადამე „ლიტერატურის ენაც ისეთი ენა უნდა იყოს, რომელსაც
უწოდებენ მდაბიურსა“, სახელდობრ „ცოცხალი ხალხის ენა“, მაგრამ არა ენა ამა-
თუ იმ კუთხისა: ქართლისა, კახეთისა თუ იმერეთისა, არამედ „მთელი ქართველი
ხალხისა“, რომელზედაც „მთელი ხალხი,—ქართლელი, კახელი, თუ იმერელი კი
არა,—მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობსო“ ³. ამა თუ იმ კუთხის მწერლის
პირადულ გემოვნებასა და ჟინიანობას ამ საქმეში ადგილი არ უნდა ექნეს.
განსაკუთრებით კი ზოგიერთს, ძველის მიმდევარს, მწიგნობარს უნდა ვუფრო-
ბილდეოთ, რომელსაც შეუძლია სთქვას: ხალხი სწორედ ისე ლაპარაკობს, რო-
გორც შე ვამბობო. და ამ აზრის საილუსტრაციოდ ავტორს იქვე მოაქვს კონ-
კრეტული მაგალითი ახალისა და ძველი ენიდან:

ერთი ამბობს: „კარგის კაკლის ძირშიო“, მეორე: „კარგი კაკლის ძირში“,
შესამე: „კარგ კაკლის ძირშიო“, ხოლო უფრო ძველის მიმდევარნი იტყვიან:
„ძირსა შინა კარგისა კაკლისასა“, ან „კარგისა კაკლისა ძირსა შინაო“ და
სხვანი.

ავტორი, რასაკვირველია, ორ უკანასკნელ (ძველ) ფორმას უარპყობს, ხო-
ლო დანარჩენი (ახალი) ფორმების შესახებ ამბობს:

„კარგის კაკლის“—ეს ძველის ნაშთია, „კარგ კაკლის“—უკვე ახლის და-
შახინჯებაა, რადგან მაგვარი შემოკლება ზედსართავისა (ნათესაობით ბრუნ-
ვაში) ცოცხალმა ხალხურმა ენამ არ იცისო. ამგვარი შემოკლება მხოლოდ მა-
შინ გვხვდება, როცა ზედსართავის დაბოლოება არის „სა“ და არა „ისა“, ე.
ი., ჩვენებურად რომ ვთქვათ, როცა ზედსართავი მიცემით ბრუნვაში ზის: „კარგ-
სა ძირსა“, აქედან შემოკლებული სახეა კარგ ძირსა, ძირში“. მაგრამ როცა
ძველში გვხვდება დაბოლოება „ისა“ (ე. ი. როცა ზედსართავი ნათესაობით
ბრუნვაშია), იქ ახალ ცოცხალ ენაში შემოკლება თავდება ი-ნითაო: „კარგისა
კაკლისა“, აქედან შემოკლებული ფორმა იქნება: „კარგის კაკლის“ და „კარგი
კაკლისაო“. ერთი სიტყვით, ავტორის აზრით, ახალ ქართულში ზედსართავს
(„ანუ ვითარებას“) გვეცემა დაბოლოება „სა“, როცა იგი თავისი „საგნის“, ე.
ი. არსებითი სახელის, წინ ზის. მოყვანილ მაგალითში ორი საგანი არისო,
ამბობს ავტორი: „კაკალი“ და „ძირი“ და ერთიც თვისება ანუ ვითარებაო
(ზედსართავი) „კარგი“, რომელიც ან ერთს უნდა ეკუთვნოდეს, ან მეორესა. თუ
სიტყვა „კარგი“ ეკუთვნის კაკალსა, მაშინ ვიცით, რომა უნდა ვიხმართო: „კა-

¹. იქვე გვ. 84.

². იქვე გვ. 87.

³. იქვე გვ. 87—88.

რგი კაცლის ძირში“; თუ „კარგი“ ეკუთვნის „ძირსა“, მაშინ უნდა დაიწეროს: „კარგ ძირშიო“¹.

პირველი თავის დასასრულს ავტორი დაასკვნის: „ქართული გრაფიკაში საქართველოს არც ერთი მხარის გაცალკეება არ უნდა ჩაეიდეს ქართული ენის საზოგადო კანონათაო“², ე. ი. ჩვენი დროის სტილით რომ ვთქვათ, არც ერთი პროვინციალური გამოთქმა, არცერთი ვიწრო დიალექტური ფორმა, არ უნდა შემოვიტანოთ ზოგად სალიტერატურო ენაშიო.

ასეთია დავით ყიფიანის შეხედულება სალიტერატურო ენის გრამატიკული ფორმების შესახებ.

წერილის მეორე თავში წარმოდგენილია ეგრეთ წოდებული ზედმეტი ასოების ვრცელი და დასაბუთებული კრიტიკა³.

ეს კრიტიკა ბევრით მოგვაგონებს ილ. ჭავჭავაძის კრიტიკას, რომელსაც ზემოთ გავეცანით; ამიტომ მხოლოდ შემოკლებით მოვიტანთ.

ხსენებული ასოების წინააღმდეგ ავტორს ორი მთავარი საბუთი მოაქვს.

ა) ამ ასოების ხმარებას დღეს ჩვენს მწერლებში არაერთარი განსაზღვრული წესი არა აქვს: ვისაც როგორ მოხვდება, ისე ხმარობს, ზოგჯერ სულაც არა ხმარობსო და სხვ.

ბ) არც ერთი ზედმეტი ასო და მათი კომბინაცია არ გამოხატავს ისეთს რამე განსაკუთრებულ ხმას ანუ ბგერას, რომლის გამოსახატავად დანარჩენი ქართული ასოები არ კმაროდესო. მაგალითად: ც-ასო ზოგჯერ ე-ნს უდრის, ზოგჯერაც ჰ-აეს; ჟ უდრის ვ-ინს; ჳ—მარცვალ „ვე“-ს; გ—მარცვალ „ვი“-ს; ა=ი: აი, ჰაი, ოქროთი; ჳ=ჰოი; ჟ=ფე: ფილოსოფია; კ=ხ: ხელი, ხარი; ხოლო ჳ-ასო ხომ თვითონ მისივე ავტორის ანტონი I-ელის დროს საქირო არ იყო და მალე კიდევაც უკუგდებულ იქნაო.

აქედან საბოლოო დასკვნა ცხადია: ხსენებულ ასოებს დღევანდელ ქართულში არაერთარი რეალური საფუძველი და მტკიცე ნიჟადაგი არა აქვს და მათი ხმარება უნდა უარყოფილ იქნას როგორც ზედმეტი ბარგიო.

ასეთი იყო დავით ყიფიანის სამართლიანი მსჯავრი, რომელიც იმავე დროს, როგორცა ჩახს, თვით რედაქტორისა და მთელი რედაქციის მსჯავრაც უნდა ჩაითვალოს. ჟურნალის მეექვსე ნომერში ერთერთმა თანამშრომელმა (სფირიდონ ჩიტორელიძემ) შემდეგი, მაღლიანი იუმორით აღსავსე, სტრიქონები უძღვნა იმ მწერლებს მოწინააღმდეგე ბანაკიდან, რომელნიც წერის დროს „სამარადისო სალაპარაკო ქართულს ენას“ (ე. ი. ყოველდღიურ ქართულს) გაურბიან და „წერაში ჩვენს წინაპრებს ჰბაძავენ“, მაგრამ „ველარც იმათ სწვდებიან და ვერც ახლანდელს მიმხედარან“. ამგვარ მწერლებზე ავტორი ამბობს:

„ეს არის გასაოცარი, რომა, ვიდრე ადამიანი კალამს აიღებს ხელში, ლაპარაკობს რიგიანად, სიტყვა სიტყვაზედ მოჰყავს, თავის აზრს შეგატყობინებს ძრიელ კარგად, არც წაიბოროძიებს ლაპარაკში, არც თავს შეგაწყენს ბევრი

1. იქვე გვ. 89—90.

2. იქვე გვ. 91.

3. „ასოები“, იქვე გვ. 91—102.

ვითარცაებითა და უკვეებითა, ისე რომ ზოგიერთის ლაპარაკი, გაუწყვეტილი და კილოიანი, ვიამება. და ისევ ის ადამიანი როცა კი უფროსს ეხელს მოპკიდებს, სულ დაეკარგება კილოცა, ენაც მაშინ დაეშრის, გონებაც უნდა დაეშრებოდეს და ფიქრსა და წამოისერის ისეთს სიტყვებსა, რომელთაცა სამარადისო, შინაურულ ლაპარაკში ყურს ვერ მოპკრამ... ერთის სიტყვით, კაცს ველარ იცნობ, რომელიცა ორის ან სამის საათის წინათ ისე საამურად გელაპარაკებოდათ¹. ავტორის სიმპათია, რასაკვირველია, მთლად გ. ერისთავისა და მისი სკოლის „ახლანდელი ქართული ენისკენაა“².

„საქართველოს მოამბის“ ამგვარმა იერიშებმა საგრძნობლად შეარყია და მოსტება „ცისკრელების“ ქედმაღლობა: ამას ნათლად გვიჩვენებს 1864 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში მოთავსებული უკბილო წერილი ვინმე „მყვირალა ქართლელისა“ სათაურით: „ჩუშნი ნაცარქექიები“³, სადაც ავტორი თითქმის სანახევროდ ურიგდება დაუით ყიფიანისა და ილია ქავეკავაძის აზრს ზედმეტი ასოების შესახებ: მას საჭიროდ მიაჩნია მხოლოდ სამი ასო: ზ, ც და კ, ხოლო დანარჩენ ასოებს: ფ, ძ, კ და ზ დროებით სტოვებს მწერლობაში⁴.

ეს იყო ცისკრელი „დარბაისლების“ პირველი წამოჩოქება იმ პრინციპების წინაშე, რომელთაც ახალი ენის მოციკტულები აღიარებდნენ. სამწუხაროდ „საქართველოს მოამბე“ იმავე წელს (1863) დაიხურა და ცისკრელმა რეაქციონერებმა სიხარულით აწოცეს.

მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა: ორი წლის შემდეგ „ცისკარს“ ახალი და საშიში მეტოქე გაუჩნდა ყოველკვირეული გაზეთის „დროების“ სახით (1866 წლიდან), რომელსაც 1871 წლიდან ყოველთვიური „კრებულიც“ ამოუდგა გვერდში. სალიტერატურო ენაში ამათაც იგივე პრინციპები ჰქონდათ, რაც „საქართველოს მოამბეს“, მხოლოდ, რადგან მათი თანამშრომლები უმთავრესად იმერლები იყვნენ (გიორგი და აკაკი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, შემდეგ სერგეი მესხი და სხვანი⁵), ამის გამო ახალ სამწერლო ენაში მრავალი იმერული სიტყვა და ამერელთათვის უჩვევი ფორმა შემოვიდა. ეს გარემოება ცისკრელებს საბუთს აძლევდა „დროებისა“ და „კრებულის“ მესვეურთათვის ქართული ენის უცოდინარობა ესაყვედურებიათ⁶. ბოლოს, იმერულისა და საზოგადოდ ახალის ფრაზეოლოგიით თავმოებურებულმა, გრიგალ ორბელიანმა („ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით) განსაკუთრებული ლექსიც კი უძღვნა ამ გარემოებას სათაურით: „ბასუბი უღირსთა შვილებთა“⁷, რომელშიაც ასე დასტიროდა ენის წახდენას:

1. „სფირიდონის და თადეოზის პაპი“ („საქართველოს მოამბე“ № 6, გვ. 35).

2. იქვე გვ. 36.

3. ცისკარი 1864 წ. № 1, გვ. 67—80.

4. იქვე გვ. 79.

5. ამერულ მწერალთაგან ამ ბანაკში მუშაობდნენ: ილ. ქავეკავაძე და ბოლოს ივანე მაჩაბელი და სხვანი.

6. ამგვარი საყვედურის შესახებ ცნობას თვითონ „დროება“ იძლევა 1867 წლის № 1-ს მეთაურში.

7. „ცისკარი“ 1874 წლის ივლისისა და აგვისტოსა შეერთებული ნომერი.

„აღჩნდენ მწერლები,
 ჟურნალისტები,
 ვაჟ სამშობლოს... ვაჟ ჩუცნს ენას!..
 მათ უსწავლელთა,
 ცრუ-რუსთაველთა
 სულ წაგვიპილწეს ენა მდიდარი!..
 ენა მაღალი,
 მის ძალი, მაღლი



უწყალოდ წახდა უწყმინდურთ ხელში!..“

ხოლო ვინ იყვნენ ეს „წამპილწველნი“ ქართულის ენისა, — ამის პასუხს ლექსის ბოლო ტაქეები იძლევა:

„ლიბერალები,
 პატრიოტები:
 მესხი, მეველე, მელიქ-ალები“,
 ან, როგორც ამავე ლექსის მეორე ვარიანტში ვკითხულობთ:
 „აკაკიები,
 ბაკაკიები,
 რიონელები, გოგიტელები,
 მესხი, მეველე,
 მელიქ-ალები“¹,

გ. ი. სწორედ „დროება-კრებულის“ ხელმძღვანელ-თანამშრომლები, უმთავრესად იმერელ მწერალთაგან: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე („რიონელი“), გიორგი წერეთელი („გოგიტელა“), სერგეი მესხი, დავით შიქელაძე („მეველე“) და სხვანი².

მაგრამ „ძუსლმა სემინარიისტმა“, გრ. ორბელიანმა, ვრცელი კრიტიკული წერილიც უძღვნა იმავე წლის (1874) - ცისკარში“ ენის საკითხს გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილების“ გამო, რომლებიც ჯერ დროებაში იბეჭდებოდა (1867 და 1870 წელს) და ბოლოს სრულად „კრებულში“ დაიბეჭდა (1873 წელს)³.

1. იხ. ილ. ჭავჭავაძის „თხზულებანი“ ტ. I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა. 1914 წ. ტფილისი, ბოლოში „შენიშვნები“ გვ. XVI.

2. ვამბოთი: „უმთავრესად იმერელ მწერალთაგან“, რადგან, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამათ შორის ამერელი მწერლებიც იყვნენ, როგორც მაგალითად: ილია ჭავჭავაძე („ის ლიბერალი“ იხ. იქვე გვ. XVI), „დროების“ გამომცემელი სოსიკო მელიქიშვილი („მელიქ-ალა“) და სხვანი, მათ შორის ილ. ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანის ლექსზე „პასუხის პასუხიც“ დასწერა და მიწასთან გაასწორა რეტროგრადი-მანების სამარცხვინო „მოღვაწეობა“ (იქვე გვ. 97—102).

სხვათა შორის. ამ შესანიშნავი „პასუხის პასუხის“ შესახებ ილიას თხზულებათა გამომცემელი რედაქცია და ბიოგრაფი, ბ-ნი გრ. ყიფშიძე, იმგვარ თარიღებს იძლევიან, რომ მკითხველი იფიქრებს, თითქოს ილიას თავისი ლექსი გრ. ორბელიანის ლექსზე სამის, ან სულ მცირე ორის, წლით მაინც ადრე დაეწეროს (იხ. იქვე ბოლოში „სარჩევი“ გვ. III, სადაც ილიას ლექსის თარიღად 1871 წლის 28 იანვარია ნაჩვენები; შეადარეთ თავში ბიოგრაფია გვ. XXXVIII, სადაც ამავე ლექსის თარიღად 1872 წლის 26 ივნისია დადებული). დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს ამ გაუგებრობის გამორკვევას გამოვუდგეთ.

3. „მგზავრის წიგნები“. იხ. „დროება“ 1867 წლისა №№ 12, 13, 15, 36, 37, 39 და 1870 წლისა №№ 16 და 22 შეადარეთ „კრებულში“ 1873 წლისა №№ 5—6.



გავეცნოთ ამ კრიტიკასაც¹.

წერილს წინ ნიუდღვის საკმაოდ ვრცელი შესავალი, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მისი წერილის მიზანია აჩაჩხინაძის განხილვა, არამედ ენა გიორგი წერცოლისა: „მე არ შევეხები აქტორის სიტყვასა, არცა მის მიმართუასა: მე ვეძიებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა“². თვითონ გრიგოლ ორბელიანის იდეალს კი საღვთო წერილის ენა წარმოადგენს: „საღმრთო წერილი არის მართლად მოუღვეველი საუნჯე ჩუშნის ენისა, რომელშიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და შეტად მშუშნიერის ფორმითა“³.

ამ ძველ ენას, რასაკვირველია, მართლწერაც ძველი შეუფერება, და გრიგოლ ორბელიანი ძველებური მართლწერის დამცველადაც გამოდის. ამ საგანს მიძღვნილი აქვს სტატიის მთელი პირველი თავი სათაურით „მართლწერისათვის“⁴.

აქ ავტორი აღნიშნავს ჩვენი ანბანის სისრულეს და ამბობს, რომ არც ერთი ასო ამ ანბანის არ შეიძლება უკუგდებულ იქნას, რადგან ეს ენისათვის საუნებელი იქნებაო. რუსული და ფრანგული მართლწერა უფრო ძნელია, ვიდრე ქართული, მაგრამ იქ კანონების შესწავლით ადვილად სძლევენ ხოლმე ამ სიძნელესაო. ჩვენი მართლწერა-კი „დიდად ადვილია: ჩუშნი ისე ვაძწერთ, როგორცა ვლაპარაკობთ, ასოების შეუცვლელადო“⁵. შემდეგ ავტორი ირწმუნება: მსტეინავი ბგერა ვ ნამდვილად ისმის გამოთქმის დროს შემდეგს ფორმებსა და სიტყვებშიო: თვთ, თვს, თვსება; ავრეთვე ჯ (საშუალი უ-სა და ე-ს შორის)—სიტყვებში: ქუა, ზლუა, თქუა და სხვებშიო. ასო კ-არი გვშეუღლის გაფარჩიოთ ჩვენი სხეულის ნაწილი „კელი“ გიჟისაგანაო: „ხელი“.

ჩვენი ენის ეს თვისება ვერც ჩახრუხაძემა, შავთელმა და რუსთველმა უკუაგდეს, ხოლო დიდმეცნიერმა ანტონ კათალიკოზმა არა თუ დააკლო რამე ჩვენს ანბანს, არამედ კიდევაც შეჰმატა ერთი ახალი ასო ჳ (ავტორს დაჰვიწყებია, რომ ანტონ კათალიკოზმა მეორე ასოც შეჰმატა ჲ),—და ჩვენ რა უფლება გვაქვს ეს ასოები გამოვაკლოთ და უარყუოთ⁶.

1. ძველი სემინარისტო: „მგზავრობა სუანეთისაკენ გ. წ., განხილვა“. („ციცკარი“ 1874 წ. სექტემბერ-ოქტომბერი, გვ. 1—37). ციტაციის დროს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შევნიშნავეთ, რომ, შესტამბის წყალობით, ამ სტატიის პირველი რვა გვერდის პავინაცია შეცდომითაა აღნიშნული: 1—8 ციფრების ნაცვლად ზის 188—195; მე-9 გვერდიან კი პავინაცია სწორია.

2. იქვე გვ. 4 (=194)
3. იქვე გვ. 6 (=193).
4. გვერდები 8—13.
5. იქვე გვ. 9.

6. ასო ჳ-ს შესახებ ცამეტი წლის წინათ უკვე ილია ქავჭავაძემ წარმოატკვა გამანადგურებელი მსჯავრი თავის კლასიკურ „პასუხში“ ზედმეტი ასოების გამო. აქ მოგვაქვს ეს ადგილი, რადგან ზემოთ არ მოგვიყვანია: „ვგონებ, თქვენი სახელოვანი თეორეტიკაც არა ხმარობს ასოთა ჳ. ეგ ასო ახალი შემოღებულა, არ ვიცი-კი რისთვის. ეს ასო ქართულს ენაზედ ფ-არად იცვლება ხოლმე, მაგალითად „ფილოსოფია“; ამას გარდა, ქართველ გლეხებს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაკ ასოს ხმას ვერც კი გამოათქმევენბთ: ჳ-ს მაგიერად სულ ფ-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯელ არ გააძეორებ(ინებ)თ. ჰსჩახა, ეგ ასო ჩვენი ენის თვისებისა არ არის და რალათა ხმარობთ?“ („ციცკარი“ 1861 წ. № 6, გვ. 221—224). მაგრამ გრიგოლ ორბელიანს აბა საიდან უხსომებოდა ასეთი მსჯავრი მოწინააღმდეგე ბანაკიდან..

ასეთია ავტორის თავგამოდება ასოებისათვის.

არა ნაკლებ კურობულია მისი მსჯელობა ზოგიერთი სამოქალაქო ელემენტის შესახებაც. აი ერთი მათგანი:

„შემოქმედებით ზმნის საზღუდებით სქესში“, ე. ი. ^{გალობაძე} ზმნის მოთხოვნიტ კილოში, 3 უსათუოდ უნდა დაიწეროს, რადგან ეს ბგერა ამგვარ ზმნებში ყოველთვის იხმისო, და მაგალითად მოჰყავს არა მხოლოდ „ვჰკლავ, ჰკლავ, ჰკლავ“, რაც სწორე იქნებოდა, არამედ აგრეთვე „ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერსო“ და მისთანანი ¹, ე. ი. სრულებით ვერა ჰკრძნობს, რომ ამ უკანასკნელ ფორმებში უკვე მოიპოვება 3-ავს ბგერინაცვალის ს-ანი და მაშასადამე პირველის ხმარება სრულებით მეტია.

ასეთსავე კურობას იძლევა „ლინგვისტი“-მგოსანი თავისი სტატიის მეორე თავშიაც, რომელსაც სათაურად აწერია: „სიტყვსათვს“ ².

აქ ავტორს ჩვენი ენის ღირსებად მიაჩნია ის მოვლენა, რომ სიტყვის ფორმები ხშირად მოკლდება, მაგალითად: არსებისა-7 არსების, არსებასა-7 არსებას, ზედა-7 ზე, შინა-7 ში, ზენი არის-7 შენი არს-7 შენია და სხვა; სრულიად კანონიერ მოვლენად მიაჩნია შემოკლება: „კეთილ კაცსა, ახალ სახლსა“ და სხვა; მაგრამ ამ მართლაც-და ჩინებული თვისების გვერდით ავტორი არა სცნობს და კატეგორიულად უარჰყოფს არსებითი სახელის შემოკლებას „ში“ და „ზე“ თანდებულების წინ: „სახლში“, „ტყეში“, „ხეხე“ და „ფეხზე“ უნდა ვწეროთ და არა: სახლში, ტყეში, ხეხე და ფეხზეო. ამავე დროს ძველი ნორმების მოტრფიალე მგოსანს სრულიად კანონიერ ფორმად მიაჩნია კაბინეტური გზით შეკვეცილი ფორმები: კეთილ კაცისა, კეთილ კაცმან, კეთილ კაცითა და მისთანანი; სამაგიეროდ უკანონოდ აღიარებს სრულიად კანონზომიერ ხალხურ შემოკლებას: „კეთილი კაცისა, კეთილმა კაცმა, კეთილი კაცითა“ და მისთანათა ³.

ასეთია გალინგვისტებულნი „ძუძლი სემინარისტის“ ლინგვისტური ნახტომები. მაგრამ სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კურობებთან ერთად ავტორს რამოდენიმე სწორე დებულებაც მოეპოვება. ასეთია, მაგალითად მისი მტკიცება, რომ ზმნიშედის ფორმები: „მსგავსად, კეთილად, სოვლად“ (იგივე ვნებებითი ანუ მიმართულებითი ბრუნვა) დ-ობით უნდა იწერებოდეს და არა თ-ანითაო ⁴; აგრეთვე ისიც, რომ ფორმები: „ჩემი ახალი სახლში“, „ამან მოვიდა“ და მისთანანი სწორე არ არისო ⁵.

დროისა და ავტორის დამახასიათებელია და თან სიმართლესაც არ არის მოკლებული შემდეგი მისი მსჯელობაც:

„ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: ხალხის ენაზედ ვჰსწერთო. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი, — ვიდრე დაკვლოვნიებული მწერალი მ-

¹. ცისკარი 1874 წ. სექტ.-ოქტომბ, გვ. 10

². იქვე გვ. 14-37.

³. იქვე გვ. 16-18.

⁴. იქვე გვ. 11.

⁵. იქვე გვ. 17-18; შეად. გვ. 5 (=192)

სილასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, არ გამშუ-
 ცნიერებს და დიდებულებითა არ აღიუიანს სალიტერატუროს სამფლობელოს-
 ში, მერმე იმ ვალამაზებულსა ენასა გამშუცნიერებულის დორმითა გადმოჰსცემს
 მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი და რომ-
 მელიცა შეითვსებს იმას, ვითარცა საკუთრებასა“¹.

მოულოდნელად გადემოკრატებული ავტორი „დარბაისელთა“ ბანაკიდან
 იმისაც კი ამტკიცებს, რომ „თვთ ვეფხის-ტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე
 სიტყუა ქართუელის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული“².

ბოლოს ავტორი აღნიშნავს გ. წერეთლის ენის სტილისტიკურსა და გრამა-
 ტიკულ დეფექტებს და ამბობს: ასეთი „მალინჯი“ და „საზიზღარი“ ნაწარმოები,
 როგორც გ. წერეთლის „წერილებია“, ჯერ არსად მინახავსო:

„რისგან მოხდაო, — კითხულობს ორბელიანი, — კაცია-აღაშინი რამდენჯერმე
 წავიკითხე სიამოვნებით, ხოლო კიკოლიკის მგზავრობა ესრეთ საზიზღრად შე-
 ჩვენაო?“³.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძველის მოტრფიალე მგოსანს აქაც ჩვეულე-
 ბრივი ნახტომი მოუდის: ერთი მხრით იგი „საღმრთო წერილის“ ენის მოთა-
 ყვანეა, ხოლო მეორე მხრით არსებითად იმ ენის საწინააღმდეგოც არა აქვს რა,
 რომლითაც ილია ჭავჭავაძე სწერდა, პირიქით „სასტამოვნოდაც“ მიაჩნია იგი;
 სამაგიეროდ ძველი ამერელი დარბაისული ვერ შეპრიგებია იმ ენას, რომლითაც
 „დროება“ და „კრებული“ იბეჭდებოდა, სახელდობრ ენას გიორგი წერეთლისას.
 აკაკისას, მესხისას, „რიონელებისა“ და „მეველეებისას“.

ამგვარად ფაქტიურად გრ. ორბელიანმა აღიარა თავისი დამარცხება, რამ-
 დენადაც მოიწონა ის ენა, რომლითაც ილია ჭავჭავაძე სწერდა. ეს იყო მეორე
 და საბოლოო გამარჯვება იმ პრინციპებისა, რომელთაც ენის საქმეში ილია
 ჭავჭავაძე მისდევდა. და რადგან ეს პრინციპები არსებითად იგივე იყო, რაც
 „დროება-კრებულის“ ენას ედო საფუძვლად, ამიტომ გრ. ორბელიანის დამარ-
 ცხება იმავე დროს ამ ენის, ე. ი. ახალი სალიტერატურო ენის, გამარჯვებაც
 იყო.

დასასრულ, ავტორი თხოულობს „ცისკრის“ რედაქციამ „სასტიკი ყურად-
 ლება“ შიამქციოს მართლწერასა და სიტყვების კანონიერად ხმარებას⁴.

მაგრამ ამის იყო ეს გაფრთხილება: „დარბაისელთა“ ორგანო თავისი
 მოძველებული ენით უკვე სასიკვდილოდ იყო გაწირული, და ერთი წლის შემ-
 დეგ (1875) მართლაც ბუნებრივი სიკვდილით განისვენა, მოკვდა ისე, რომ და-
 მტირებულიც არავინ გამოუჩნდა: „ძუსლი სემინარისტის“ ნავვიანევი გამოსარ-
 ჩლება ნამდვილი გედის სიმღერა იყო მომაკვდავი თაობის მომაკვდავი ენისა და
 ორგანოსათვის.

ეს სიკვდილი იმავე 1874 წელს უწინასწარმეტყველა „დროებაში“ აკაკი

1. იქვე გვ. 23—24.

2. იქვე გვ. 25.

3. იქვე გვ. 36.

4. იქვე გვ. 37.

წერეთელმა „ცისკრის“ ოფიციალურ ენას თავისი მხატვრული სცენირი: „ენების გასამართლება“¹.

ეს პატარა სცენა-კომედია იმდენად დამახასიათებელია ემ. მდგომარეობისათვის, რომელშიაც მაშინ სალიტერატურო ქართულის საკრებულომ წარმოადგინა, რომ არ შეგვიძლია მისი შინაარსი მოკლედ მაინც არ მოგაგონოთ.

სცენა წარმოადგენს სასამართლოს. მსაჯულებად არიან: ქართლოსი და მისი ორი შვილი: ამეროს და იმეროს. შემოაქვსთ სამი ენა: ერთი უთავბოლოდ მრგვალი და ძველია, წინ მოუძღვის ნოეს ყავარჯნით ერთი ახმახი ადვოკატი; მეორე უშნოდ პრტყელი და ხანტია, ვეჭილად ჰყავს ვინღაც ახალნამძინარევი ნებიერი ადვოკატი; მესამე წვრილი და გველის კუდივით მოსაქსაქეა, უკან მოსდევს ჯარაღავით მბრუნავი ადვოკატი.

იწყება სამართალი. მსაჯულები პირველ სიტყვას ახმახ ადვოკატს აძლევენ.

„ახმახი: მოთმინებითა სულისა მომპოებელი, ვიწყებ უბნობად: ორღანო იგი სახმარგამოსამეტყველებლად ჰაზრთა და ვნებათა ჩვენისა გულისათა, რომელიცა წოდებულ არს ენად, შეურაცხ-ყოფილ იქმნა ხელთა შინა ივერიელთისა... ენა ესე გამოელვარებულ არს ბრძმედისაგან მეტყველებისა ირისებრ, ვნამ არს ენათა შორის ენა ესე: ენითა ამით მეტყველ იყო შავთელ ჩაბრუნაითურთ მშვენიერ ლექსად. ამავე ენითა დაღადებდა ბრძენ-რიტორ-პიიტეკოს ანტონ გაიოსიანურთ“...

მსაჯულები აღარ ათავებიანებენ და დაეხევენ შემდეგს განაჩენს: „რადგანაც ვე მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყუილად გაფუჭდეს, და ანისთვის უმჯობესია—საიქიოს გაიგზავნოს, გაიყვანეთო!“...

გაპყავთ. მაყურებლები აცილებენ გალობით: „განუსვენოს იქ, სადაცა მართალია სულნი განისვენებენ“.

დაიწყება გასამართლება დანარჩენი ენებისა.

„მსაჯული: რომელი რომელს უჩივით და რას?“

მბრუნავი: მე, ბატონო, არც არავის უჩივი და ტყვილა ნურც ვინმე მიჩივა.

მსაჯული (ნებიერს): მაშ თქვენ სჩივით?

ნებიერი: დი...ახ! მე გახლავარ გულნაკლებათა და მე ვჩივი!...

მსაჯული: რას?

ნებიერი: რასა-და, აი, შენ ხარ ჩემი ბატონი და იმასა, რომა, გადმოეხეტა კორტოხსა იმერული ენა და აღარ გვასვენებს, იმერულათ უქცევს კილოსა!... ენა ქართული წარყვნეს იმერულითა... მათი ენა არ არის ქართული და არც მწერლობაში შემოსაღებო“ და სხვანი.

ნებიერი უმთავრესად გულნატკენია მწერლობაში იმერული სიტყვების შემოტანით. ამიტომაც კამათი უმთავრესად ამგვარი სიტყვების შესახებ ტრიალებს ბოლოს მბრუნავი ადვოკატი ამბობს ვრცელ მონოლოგს, რომელიც იმავე დროს ავტორის (აკაკის) შეხედულებასაც გამოხატავს.

„მბრუნავი:... იმ დროს, როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო

¹. «დროება» 1874 წ. 6 დეკემბერი № 452 — ფელეტონი.

შეადგენდა ერთ სამეფოს და არ იყო განაწილებული სხვადასხვა სამთავროებათ; ენაც ერთი ჰქონდათ, ე. ი. ის ენა, რომელიც რუსთველს უხმანდა. შემდეგ საქართველო დაეცა, სამეფო სამთავროებად განაწილდა; ხშირად ერთი სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ, მაშინ როდესაც მეორე თავისუფლათ რჩებოდა. ამგვარად დამონაგებულ სამთავროში, რომელიმე ქართული ლექსები (სიტყვები) იკარგებოდა და მის ნაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა; დაუმონებელ სამთავროში კი რჩებოდა ის სიტყვა. ასე, ამგვარად შეიფარეს თავი სხვადასხვა სიტყვებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სამთავროებში. დღეს ჩვენი ვალია, რომ ის სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გავსდევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში კინტოები არ ხმარობენო“.

მაგრამ აქ მსაჯულები ჩაერევიან კამათში და ენაწასულ ადვოკატს წესიერებისაკენ მოუწოდებენ. სცენა თავდება აკაკის ცნობილი მესტევირულით: „მუხრანიდან ჯარი მოდის“.

ასეთია სცენის შინაარსი. ამ სცენით დათავდა ის თითქმის 15-წლოვანი ბრძოლა, რომელსაც სალიტერატურო ენის გამო ახალი თაობა ძველი თაობის მიმართ აწარმოებდა. ერთი წლის შემდეგ „ცისკარიც“ დაიხურა (1875) და ძველი ენა თავისი მართლწერილობით საბოლოოდ ჩამოშორდა ახალ ქართულ მწერლობას. ამიერიდან სრული ბატონობა მწერლობაში დარჩა მხოლოდ ახალ ენას და ბრძოლაც საენო ნორმების გამო სულ სხვა საკითხების ფარგალში გადაიტანეს.

ამგვარად დამზადდა ახალი სამწერლო ენის ისტორიის შესამე პერიოდი, ანუ ახალი ენის უდაო ბატონობის ხანა, რომელიც ჩვენს დრომდე გრძელდება.



საერთაშორისო მდგომარეობის საპრობლემატიკა.

I. ორიოდ სიტყვა წინასწარ.

საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია ვითარდება და იშლება წინააღმდეგობათა გზით. ეს წინააღმდეგობანი-კი რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო რთულდებიან, ღრმავდებიან, იქსელდებიან. პირველი შეხედვით და დაკვირვებით ყოველად შეუძლებელია გარკვევა და გათვალისწინება იმისი, თუ რა წარმოადგენს ძირითად მამოძრავებელ ძალას, ფაქტორს და რა არის უმთავრესი ღერძი მთელი ამ საოცარი ცვალებადობისა. დღეს ამ რიგით დალაგებული ხალხთა და სახელმწიფოთა შორის განწყობილებანი, ხვალ სხვანაირათ ლაგდებიან და სანახაობა სავსებით იცვლება.

დღევანდელი „გულითადი მოკავშირენი“ („entent cordial“ ან „union sacré“) ხვალ ერთმანეთის მოსისხლე მტრებათ იქცევიან და „მეგობრობა-სიყვარულის“ სიმთა მაგიერ იარაღის ქლარუნი გაისმის. სიამტკბილობის ჰანგი მუქარის კილოზე იცვლება და ჰაერი ომიანობის სუნით იქლენთება. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები მხოლოდ გუშინ გამოუიდენ მსოფლიო ომის ცეცხლიდან დასისხლიანებულნი, თავპირ დამტვრეულნი, დაზარალებულნი და დასუსტებულნი, ახალი ომის და იარაღით ანგარიშის გასწორების შესაძლებლობა აქტუალურ საკითხათ დგება მაინც საერთაშორისო ცხოვრების დღის წესრიგში.

დიალექტიური კანონი განვითარებისა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სოციალური და ეკონომიური წესი საზოგადოებისა სტიქიონური ძალით და აუცილებლობით ილტვის თავის საკუთარი დაღუპვის და უარყოფისაკენ. კაპიტალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიები და მეცნიერ-პოლიტიკოსები ადვილი შესაძლებელია კარგათ გრძნობენ იმას, რომ ახალი ომი დიდ საშინელებას დაატებს თავზე საზოგადოთ კაპიტალისტურ წესწყობილებას და კარს გაუღებს რევოლიუციის ქარტახილს. ამის საკმაო და თვალსაჩინო მაგალითი ახლო წარსულიდან მათ ჯერ კიდევ ცოცხლათ უდვასთ თვალწინ. მაგრამ გაბატონებულ კლასებს და მათ მთავრობებს არ ძალუძთ შესცვალონ ისტორიულ-ობიექტიური პროცესის მსვლელობა და მისი მართველი კანონების მოქმედება. კაპიტალისტურ კლასს არ შეუძლია მოსპოს კონკურენცია ეკონომიური — და მასთანადამე პოლიტიკურიც — თავის წიაღში. მას არ შეუძლია უარყოს სამკვდრო-

სასიცოცხლო ბრძოლა კაპიტალისტური პროცენტისათვის, რადგან მაშინ თვის კაპიტალი ჰკარგავს თავის კაპიტალისტურ ბუნებას და შინაარსს... და ამიტომ რაც უფრო წინააღმდეგობანი რთულდებიან, მწვავედებიან და ღრმადებიან, მით უფრო რეალურ სახიერებას ღებულობს ომების შესაძლებლობა.

ერთი მხრით—ერთიერთ შორის გაუნელებელი ბრძოლა და კონკურენცია; მეორე მხრით შინაური და მსოფლიო რევოლუციის საშიშროება; მესამე მხრით ფაქტი პროლეტარული, სოციალისტური სახელმწიფოს არსებობისა და მისი შეუწყვეელი ძლიერება და განვითარება—აი სამი მომენტი, რომელნიც დღეს კაპიტალისტურ კლასების და მათი მთავრობების პოლიტიკას და დიპლომატიას წარმართავენ. ამ სამი მომენტის მიხედვით იქმნება დღეს ის მრავალი და ცვალებადი გეგმები და კომბინაციები, რომელთა სანახაობა ქაოტიურ მთაბექდილებას ახდენს ნაყურებელზე. წარსულში მსოფლიო მდგომარეობა ისე გართულებული და დაქსელილი არ ყოფილა, როგორც დღეს და ეს ადვილი ასახსნელიც არის, რადგან მაშინ მოახლოებული რევოლუციები კაპიტალისტურ ქვეყნებში და ბუმბერაზი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა არ ართულებდნენ მას.

მატერიალისტური კვლევა ძიების მეთოდი საშუალებას გვაძლევს ჩვენ აღმოვაჩინოთ და გავითვალისწინოთ ფესვები—რა რიგ ღრმით ჩაქსოვილი არ უნდა იყვნენ ისინი კაცობრიობის ცხოვრების სივრცეში—ყველა იმ მოვლენათა რომელნიც თითქოს რაღაც მანქანებით, გაუგებარი ძალით უეცრივ ჩნდებიან, მოქმედებენ და ისევ ჰქრებიან... მთელი ეს ქაოტიური არეუ-დარევა კაპიტალისტურ მსოფლიოში, გაბატონებულ კლასზე შეჯგუფ-გადაჯგუფება, გახრწნა-შეკოწიწება, ფრონტების და ორიენტაციების მუდმივი მერყეობა და სახისცვლა მატერიალისტური მსოფლიო მხედველობის, მარქსიზმის, წინაშე არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. მარქსიზმის მეცნიერულ ლაბორატორიაში ყველა ეს რთული სოციალური მოვლენანი, ყველა ეს გარეგნულად გაუგებარი და საიდუმლო პროცესები, ადვილათ ნაწილდებიან თავის პრიმიტიულ შემადგენელ ელემენტებათ და თავალ წინ გვიდგება ჩონჩხი სოციალურ-ისტორიული ფაქტისა მთელი თავის სიმარტივით და სინამდვილით. ეკონომიური ფაქტორის, ქვეყნის და ხალხის მატერიალური პირობების, საწარმოვო ძალთა მდგომარეობის გათვალისწინება და გამოკვლევა იძლევა სწორეთ იმ ერთად ერთ კლიტეს, რომლის საშუალებითაც იღება კარი თანამედროვე ცხოვრების ბნელი და საიდუმლო ლაბირინტისა.

ამით აიხსნება სწორეთ ის, რომ საბჭოთა გარეშე პოლიტიკა თავიდანვე შენდება საერთაშორისო მდგომარეობის სწორ გათვალისწინებაზე, მოძრაე და მებრძოლ ძალთა უტყუარ აწონ-დაწონვაზე და შეფასებაზე, რთულ და ბადესავით დახლართულ თანამედროვე პირობების ძაფ-ძაფათ დახსნაზე და დანაწილებაზე.

მარქსისტული მეთოდი კვლევა ძიებისა უდევს მას საძირკვლათ და ყოველი მომენტი საერთაშორისო ცხოვრებისა ისახება მის თავალ წინ, როგორც ერთ-ერთი რგოლი თავალუწედენელ ისტორიულ ჯაჭვისა.

თუ ბურჟუაზიულ დიპლომატ-პოლიტიკოსთათვის (მაგ. ლორიდ ჯორჯის-თვის) თანამედროვე ცხოვრება, თანამედროვე ვაჭრობა-მეურნეობა და ეკონომიური ურთიერთობანი ღელვის დროს გემზე ბილიარდის უამაშს წააგავს, როცა მოთამაშემ არ იცის რა მიმართულებას მიიღებს ბურჟუაზიულ-ეკონომიკურ კედს ან ურეს დაეტაკება იგი და სად გადაიჩეხება, მარქსისტულათ მოაზრე და მკვლევარ მოღვაწისათვის მომავლის გეზი და მიმართულება ცხადი და აშკარაა. ძირითადი მიზეზების სწორი შეგნება და შესწავლა უთვალისწინებს მას განსაზღვრულ შედეგების აუცილებლობას. შეცდომა შესაძლებელი და მოსალოდნელია მისთვის მხოლოდ ხაზის სისწორისა და მოვლენის დადგომის ვადისა და მომენტის საკითხში.

კაპიტალისტურმა ქვეყანამ უკვე შედგა თეხი თავის განვითარების და არსებობის უკანასკნელ ფაზაში. სოციალური წინააღმდეგობანი და კაპიტალისტური კონკურენცია, ქაოსი და ანარქია უმაღლეს წერტილს უახლოვდებიან. ომების და რევოლიუციების ცეცხლის რკალი შემოეფლო ბურჟუაზიული საზოგადოების სხეულს და კერძო საკუთრებაზე და ექსპლოატაციაზე აშენებული ურთიერთობა უნდა შეიცვალოს ქონების, სიმდიდრის, საკუთრების განსაზოგადოებრივობით და მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე დამყარებით. ეს არის გეზი, ეს არის ხაზი, გაყვანილი მომავლის სივრცეში ისტორიული აუცილებლობის კანონით. მაგრამ რამდენათ სწორი იქნება ეს ხაზი, რამდენათ ჩქარი იქნება ეს პროცესი საზოგადოებრივ გარდაქმნისა ქვეყნიერების სხვა და სხვა კუთხეში - ამის პასუხი არ ემორჩილება კალენდარულ და მათემატიკურ აღნუსხვას. ვინც მოიწადინებს წინ და წინვე გამოანგარიშებას და აღრიცხვას მომავალი სოციალური კატაკლიზმებისა, ესე იგი მათი დადგომის ხანგრძლივობას, ან ხანმოკლეობას, ის აუცილებლათ უნდადაგო წინასწარმეტყველობის და ფუქი გულთმისნობის მსხვერპლი შეიქნება. აშკარაა მხოლოდ - ისტორიული გეზი მიმართული სოციალური რევოლიუციისაკენ... აშკარაა საბოლოო ფაზა კაპიტალისტური ურთიერთობის და მეურნეობის განვითარების და არსებობისა, მაგრამ აშკარა არ არის მომენტი ევროპის რევოლიუციისა.. შესაძლებელია მის მოლოდინში განვლოს რამოდენიმე წელმა და შესაძლებელია ისიც, რომ - მას მოუხდეს ათეული წელი. აქ არის სწორეთ გამონასკული უმთავრესი და შეურიგებელი წინააღმდეგობა ჩვენსა და სოციალ-დემოკრატიის შორის. ჩვენ ვამბობთ, რომ მიმდინარე ეპოქა არის ხანა კაპიტალიზმის დარღვევის, დეზორგანიზაციის და მოსპობისა, რომ საბუღისწერო წინააღმდეგობანი უკიდურესათ მწვავედებიან, მიუხედავათ ხან მოკლე და დროებითი შენელების და უმჯობესობისა, და ამიტომ საკითხი სოციალური რევოლიუციის შესახებ მომავალი წლების წეს რიგში დგება. სოციალ-დემოკრატია იცავს სრულიად წინააღმდეგ დებულებას, სახელდობრ იმას, რომ კაპიტალიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ განაგრძობს თავის ორგანიული განვითარების, გაღონიერების და განმტკიცების პროცესს და სოციალური რევოლიუცია ისახება არა როგორც კონკრეტიული პრობლემა მიმდინარე ისტორიული ეპოქისა, არამედ როგორც განყენებული, მომავლის თვალუწვდენ სიშორეში გადასროლილი თეორეტიული შემეცნება. აქედან გამომდინ-

ნარეობს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ტაქტიკა: ერთი მხრით — კაპიტალისტურ მთავრობების დაცვა და მათი მხარის დაჭერა, მუშათა კლასის შეგნების მოწამლვა ბურჟუაზიული გავლენით და აზროვნებით და მისი თვინიერ, მორჩილ და დამხმარე ძალათ გადაქცევა იმპერიალისტურ პოლიტიკისთვის. მეორე მხრით — კი: თავგამოდებული, გააფთრებული, ბოაზ მორეული ბრძოლა სოციალურ-რევოლუციის სამზადისს ძალების წინააღმდეგ. მუშათა კლასის რევოლუციონურ ელემენტების და მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლას სოციალ-დემოკრატია აწარმოებს არა ერთი მეთოდებით და საშუალებებით, როგორც გაბატონებული კლასები. თუ ბურჟუაზიული მთავრობები და პარტიები პროლეტარიატთან საბრძოლველათ და მის დასამორჩილებლათ უმთავრესათ შიშველ ძალადობას, ტყვიას, ბაწარს და ხიშტს მიმართავენ, სოციალ-დემოკრატები იმავე საქმეს, ესე იგი მუშათა კლასში რევოლუციონურ სულის კვეთების და აზროვნების აღმოუხერას, უფრო რთული, მოქნილი და შეუმჩნეველი იარაღით და ხელსამწყობი აწარმოებენ. მათ ამ მხრივ დიდი გამოცდილება, ცოდნა და ხერხი შესწევთ. მათ კაოგათ იციან მუშათა კლასის ბუნება, ფსინოლოგია, კულტურული დონე; მისი წარსული და აწმყო და ამიტომ მათ ჯერ კიდევ ემარჯვებათ თავის გავლენის და ნდობის დაცვა მუშათა დიდძალ მასებში. ისინი ევლინებიან მუშათა კლასს, როგორც მისი საკუთარი პარტია, უთითებენ და ემყარებიან თავის წარსულზე, სადაც მათ მართლაც მიუძღვისთ სამსახური მის წინაშე, თიშავენ ნაციონალური მომენტის მიხედვით და ქსაქსავენ ჯგუფობრივათ მის კლასობრივ ერთიანობას და მთლიანობას. კლასთა შორის ზავის და სათნოების ქადაგებთ, პროლეტარიატის ზედაფენების, რომელნიც დაზრული არიან ბურჟუაზიული ცხოვრების ზეგავლენით, თვის გარშემო შემოკრებით და ორგანიზაციით, თვალების ამბმელი სოციალისტური ფრაზეოლოგიით — ისინი შესანიშნავათ და ზედ მიწევნით ასრულებენ გაბატონებულ კლასების მოსამსახურის და აგენტის მოვალეობას.

ამნაირათ არსებობს, როგორც აღვნიშნეთ, ორი შეფასება მიმდინარე იმპერიალისტურ ეპოქისა, მისი ორნაირი დახასიათება და გამომდინარე აქედან ორგვარი სამოქმედო პოლიტიკური ტაქტიკა.

მართალია თუმცა კაპიტალისტური მეურნეობა თავის არსებობის უკანასკნელ სტადიაში და ხანაში იმყოფება, თუმცა ის განიცდის ასე ესთქვათ დაქანების და დარღვევის პროცესს, მაგრამ ამ ნიშნობლივრ ისტორიულ მოვლენას დროგამოშვებით ეხლართება გარდამავალი უმოქმედობა ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობისა. ეს დროებითი უკეთესობა, კრიზისის გაწვევების შენელება და ერთგვარი ზრდისა და განვითარების ფაქტი, რასაკვირველია, დიდად სასარგებლო მასალას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიისათვის და ედება საფუძვლათ მის მტკიცებას, რომ საზოგადოთ კაპიტალიზში განავრძობს თავის ორგანიულ და ნორმალურ განვითარების პროცესს და ამიტომ მუშათა კლასის ტაქტიკა და მოქმედება აუცილებლათ უნდა იქნეს მასთან შეთანხმებული შაზე დამოკიდებული და ყოველგვარი რევოლუციონური სამზადისი და რევოლუციონური მეთოდების და აზროვნების პროპაგანდა სოციალურათ საშიშ

შქმედობას წარმოადგენს და მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული მთელი სისასტიკე თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დამსჯელ და აღმკვეთ აპარატისა.

შესაძლებელია ამ გარემოებამ, ესე იგი კაპიტალიზმის დროებით ფენის მომაგრებამ, მრეწველობის აწევამ და სავაჭრო დამოკიდებულებათა ერთგვარმა განმტკიცებამ რევოლუციონურათ განწყობილ წრეშიაც გამოიწვიოს ჯგუფთა ან ერთეულთა უიმედობა და სასოწარკვეთილება. მოახდინოს მათში რევოლუციონური სულისკვეთების ლიკვიდაცია. ეს აიხსნება რასაკვირველია მათი მოკლე აზროვნებით, მარქსიზმის ანალიტიური მეთოდის შეუთვისებლობით და შეუგნებლობით. როცა კერძო კონკრეტული ფაქტი ჩრდილავს ისტორიულ პერსპექტივას და მიიღებს როგორც მთელი ეპოქის ნიშნობლივი და დამახასიათებელი მოვლენა, ან მოკლეთ რომ ვსთქვათ—ერთ ერთი ნაწილაკი მოვლენისა ითვლება მთელ მოვლენათ და იკავებს მის ადგილს, აქ მარქსიზმის ნამცეცვიც არ მოიპოვება, აქ მისი ძირითადი მეცნიერული ანალიზის ნატამალიც არ არის.

აი მაგალითად დღევანდელი, მიმდინარე მოძენტი მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, თუმცა დიდის ვაივაგლაბით, მაგრამ მაინც თავი დააღწიეს კატასტროფიულ მდგომარეობას და კრიზისს და კაპიტალი ეხლა განიცდის შედარებითი კეთილდღეობის ხანას. მაგრამ განა აქედან შეიძლება იმის დასკვნა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებასა და შეურნეობაში ჩანერგილი ბრძოლა და ქიშპობა მოწინააღმდეგე ძალთა აღიკვეთა და ობიექტიური მიზეზები სოციალური რევოლუციისა მოისპო? სრულებითაც არა. განა ეს ნიშნავს იმას, რომ რევოლუციონური ტალღა, რომელიც გასულ წლების განმავლობაში ასეთი ძლიერებით ეხეთქებოდა კაპიტალისტური საზოგადოების კედლებს (გერმანია, იტალია და სხ.) და რომელიც ეხლა დაშვებული და დაშოშმინებულია. კვლავ არ აიწევს, არ აბობოქრდება და კიდევ მეტის ძლიერებით არ დაეჯახება მისი სტიქიის შემბორკავ ზღუდე-ჯებირებს? ვის შეუძლია იმის რწმუნება, რომ დღევანდელ გარეგნულათ მყუდრო და მშვიდობიან მდგომარეობას ქვეყნებისა ხვალ არ შეარყევს და შეზარავს ზარბაზანთა გრიალი და ომის საშინელება კვლავ არ გაინავარდებს დედამიწის ზურგზე...

როგორია დადებითი და უარყოფითი მხარეები დღევანდელი მდგომარეობისა რევოლუციონური თვალსაზრისის მიხედვით? ყველაფერი ის რაც ხელს უწყობს კაპიტალიზმის ხანგრძლივობას და სტაბილიზაციას—როგორც მაგალითად მრეწველობის ზრდა, ვაჭრობის განვითარება, სავალიუტო კურსების რყევის შეჩერება, კაპიტალების ექსპანსია, უძლიერეს ქვეყნების—ინგლის-ამერიკის დაკავშირება და სხ. წარმოადგენს უარყოფით მომენტებს. ყველაფერი ის კი რაც ხელს უწყობს მის რყევას და რღვევას, როგორც მაგალითად უთანხმოებათა გამწვავება და შეურიგებლობა ამერიკა-იაპონიის, ინგლის-ამერიკის, საფრანგეთ-გერმანიის შორის, ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობათა ზრდა და გაძლიერება აღმოსავლეთში-ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, არაბეთში და სხვაგან, მუშათა კლასის საუკეთესო რევოლუციონური ელემენტების კომუნისტურ ორგანიზაციებში თავის მოყრა და შეკავშირება, საქვეყნო რევოლუცი-

ონური ფაქტორის—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის—თანდათანობითი შე-
უდრეკელი წინმსვლელობა. მისი შინაური და გარეგნული გამაგრება და სხ.
უნდა ჩაიოყვას დადებით მომენტებათ.

ამ ასეთი ორი მიდრეკილება ახასიათებს მსოფლიო მდგომარეობას. დღეს
პირველმა მიდრეკილებამ თვალსაჩინო და მკაფიო გამოხატულება მიიღო. კა-
პიტალისტურ კლასებს პირისპირ არ ემუქრება ეხლა აღსასრულის წამი, რე-
ვოლუციის საშიშროება. ობიექტურ გარემოებათა ძალამ მისცა მათ დროები-
თი შესვენების ვადა. მატერიალური საფუძველი მათი არსებობისა—კაპიტალი-
ზმის შექმნის შეტ საღვათობას, მეტ უზრუნველყოფობას და ამიტომაც იგი ამ-
ღიერებს თავის მტაცებლურ პოლიტიკას, ყაჩაღურ ნაყარდობას ევროპის, აზიის
და აფრიკის ტერიტორიებზე. ექსპლოატაციის მუხრუჭი მომეტებულის ძალით
იღბალი შემაძრწუნებლათ იბღაღება და ითვლება. ევვიპტის უკანასკნელი ამბები
(პარლამენტის გარეკვა, სუდანის ოკუპაცია და სხ.) ამის აშკარა მაჩვენებელია.
ფეხმომავრებულ კაპიტალის მებაირახტრეთ გამოდის უძლიერეს და უმდიდრეს
სახელმწიფოთა კავშირი—ინგლის-ამერიკის ბლოკი, რომლის გავლენას თანდა-
თანობით ემორჩილება დანარჩენ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა.
მაგრამ როგორც ამ კავშირს, ისე საზოგადოთ კონტრევოლუციონურ ძალების
და კაპიტალისტურ ურთიერთობის სტაბილიზაციას დიდი დღე არ უწერია,
რადგან კაპიტალისტური სიმდიდრის, შოგების და ექსპლოატაციის ზრდა სა-
ბედისწერო აუცილებლობით იწვევს წინააღმდეგობათა გაღრმავებას და გა-
მწვავებას. ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა, ჯორიგება და ამოწურვა იმპერიალი-
სტურ კაპიტალს არ ძალუძს მანამდი, სანამ თვით არ შეიქნება მათი მსხვერ-
პლი.

დღევანდელ მსოფლიო მომქმედ ძალთა ვითარება და ტრიალი სწარმო-
ებს შეერთებულ შტატებსა და ინგლისის გარშემო, როგორც ბორბალი ღერძის
გარშემო. დღეს უეჭველათ იმპერიალისტურ მსოფლიოში ინგლის-ამერიკა წარ-
მოადგენს უმთავრეს მამოძრავებელ ფაქტორს საერთაშორისო ცხოვრებისა და
თუ არსებული საქვეყნო პოლიტიკურ-ეკონომიური სიტუაცია გვანტერესებს,
პირველ ყოვლისა ყურადღება ამ ორ ბუმბერაზ კაპიტალისტურ სახელმწიფოს
უნდა მივაბყრათ და მათი გაცნობით შევეცადოთ საერთო მდგომარეობის, უმ-
თავრესი ძალების და ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება.

II

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების იმპერიალიზმის ზრდა.

სანამ იმპერიალისტური ომი დაიწყებოდა ამერიკის შეერთებული შტა-
ტები აუშმცა წარმოადგენდენ ეკონომიურათ მდიდარს და პოლიტიკურათ ძლი-
ერ სახელმწიფოს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრე-
ბაში ნაკლები იყო.

არც შეერთებული შტატები ეტანებოდენ ევროპის საქმეებს. აქ ჯერ კი-
დეე ძალაში დი პატივისცემაში იყო მონროეს დოქტრინა: „ამერიკა ამერიკელე-

ბისტვის“; რაც რეალურად ერთგვარ ეკონომიურ და პოლიტიკურ კარჩაკეტილობას ნიშნავდა. „არც ჩვენ უნდა ჩავერიოთ ევროპის საქმეებში და არც ევროპა დავუშვათ ჩვენ საქმეებში ჩასარევათ“ სწერდა შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი **ჯეფერსონი** ახლათ არჩეულ პრეზიდენტს **მონროეს** და შართლაც ეს აზრი დაეძგა საფუძვლათ მონროეს და მის შემდგომი საგარეო პოლიტიკას. ეს რასაკვირველია უბრალო ფრაზა არ იყო ანაზღეულათ წამოხროლილი, არამედ იყო კონკრეტული ფორმულა, რომელშიაც მკაფიოთ გამოიხატებოდა ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნის ზრდის და განვითარების მოთხოვნილება და აუცილებელი პირობა. თითქმის ასი წლის შემდეგ ამ ფორმულის ჩამოყალიბებისა 1920 წელს სენატორი **მაკ-კორმიკი**, რომელსაც პრეზიდენტ გარდინგის მიერ ჰქონდა საგანგებო დავალებები ევროპის მმართველ წრეებთან, თითქმის სიტყვა სიტყვით იმეორებს ჯეფერსონ-მონროეს სიტყვებს: „ჩვენ, ამერიკელები, ახალგაზრდა ხალხი ვართ, ჩვენ ცოტა ტრადიციები გვაქვს, მაგრამ სწორეთ ამიტომ ისინი შესანიშნავი არიან თავის სიმარტივეთ. ჩვენც ვაფასებთ მათ. ყველა ანდერძთაგან ყველაზე ძვირფასი ჩვენთვის არის ის, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ გამოთხოვებისას გიორგი **ვაშინგტონმა**: არ შეკრათ კავშირები, რომელთაც შეუძლიათ თქვენი ჩათრევა სხვა კონტინენტების საქმეებშიო“. ამნაირათ აზრი მონროეს ფორმულისა სულ ახლო წარსულამდე სახელმძღვანელო და სასარგებლო იყო ამერიკის კაპიტალისტურ ოლიგარხიისთვის. ეს იმის მაჩვენებელია და იმით აიხსნება, რომ ამერიკის კაპიტალი იზრდებოდა და ვითარდებოდა უმთავრესათ შინაური (საშხრეთ და ჩრდილო ამერიკის ქვეყნების) ბაზრის საშუალებით.

ვამბობთ უმთავრესათ, რადგან ამერიკული კაპიტალის ლტოლვა ამერიკის აღმოსავლეთ აზიისა და რამოდენიმეთ ევროპისაკენ თანდათან რეალურ ფორმებს ღებულობდა და ომის დროის და ომის შემდეგ წლებში დიდათ მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტათ გადაიქცა.

მონროეს კონტინენტალური დოქტრინის უპირატესობა და მნიშვნელობა ამერიკის *) გარეშე პოლიტიკაში იმ ეკონომიურ საფუძველზე იყო დამყარებული, რომ ამერიკა უმთავრესათ და განსაკუთრებით წარმოადგენდა სასოფლო მეურნეობის ქვეყანას და მას გარეშე ბაზარზე გაჰქონდა აუარებელი ნედლეულობა და ძალიან მცირე რაოდენობა ფაბრიკატებისა. ამიტომ მას არ ჰქონდა და მისთვის არც იყო საჭირო **კოლონიები**, რომელნიც ევროპის სახელმწიფოთათვის თავიდანვე არსებობის წყაროს წარმოადგენდენ, რადგან აქედან ეზიდებოდენ ისინი მათი მრეწველობა-მეურნეობისათვის მასაზროლებელ ნედლეულობას. გარდა ამისა კოლონიალური საკითხი და პოლიტიკა შეადგენდა მუდმივ მიზეზს გაუნელებელ დავისა და შეხლა შემოხლისა. ყველა ამ მიზეზებისა და გარემოებისაგან ამერიკის შეერთებული შტატები თავისუფალი იყვნენ. მათ გაჰქონდათ გარეშე ბაზარზე, უცხო ქვეყნებში და სახელმწიფოებში, თავის ნედლეულობა (პური, ნავთი, მატყლი, ბამბა, ხარცი და სხ.) და ყიდულობდენ იქ საფაბრიკო

*) ამერიკის დასახელებით ვგულისხმობთ შეერთებულ შტატებს.

მრეწველობის ნაწარმოებთ, ფაბრიკატებს. ბუნების განსაკუთრებული პირობები (იშვიათათ მდიდარი ნიადაგი-მოსავლიანობით, მადნეულობით, მცენარეულობით, სანაოსნო მდინარეები, ყოველგვარ სასარგებლო მცენარეულ კულტურისათვის შესაფერი ჰავა), ტერიტორიის თვალუწვდენელი სივრცე შედარებით მცირე მოსახლეობასთან—და ამ მოსახლეობის შემადგენელთა უმეტესობით საუკეთესო მშრომელ ელემენტებისაგან, ჰქმნიდენ მიზეზებს სასოფლო მეურნეობის ზედმიწევნით განვითარებისათვის. რამოდენიმე სტატისტიკური ცნობაც საკმარისია ამ პროცესის და მოვლენის გასათვალისწინებლათ. დაშუშავებული მიწის რაოდენობა:

1880 წ.	536 მილ. აკრი.
1900 წ.	839 " "
1910 წ.	879 " "

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ღირებულებას აღნიშნულ წლებში, მისი რაოდენობა გამოიხატა ამნაირათ:

1880 წ.	22 მილ. დოლარი
1900 წ.	47 " "
1910 წ.	86 " "

ინდუსტრიულ მრეწველობას შეერთებულ შტატებისა შედარებით მათ სასოფლო მეურნეობასთან გაცილებით ნაკლები ადგილი ეჭირა: 1905 წელში მთელი ექსპორტის რაოდენობა უდრიდა—1. 718 მილ. დოლარს.

აქედან ფაბრიკატებზე მოდიოდა	460 მილ. დოლარი.
დაუმზადებელ ფაბრიკატებზე	226 " "
ნედლეულობაზე (ხორბალი, ბამბა, ხორცი და სხ.)	1. 000 მ. დოლ.

ამნაირათ ამერიკა (შერთ. შტატები) წარმოადგენდა ომამდი-უმთავრესათ სასოფლო მეურნეობის ქვეყანას, სადაც ინდუსტრია მართალია შესამჩნევათ ვითარდებოდა და ფართოვდებოდა, მაგრამ უკანასკნელი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა იმდენათ ძლიერ ფაქტორს და იმპულსს, რომ ამერიკა ევროპის ასპარეზზე გამოეყვანა და მის საქმეებში ჩაერია. ამერიკას შინ ჰქონდა მდიდარი წყაროები ნედლეულობის, სურსათის და საკვები მასალისა, მას არ ესაჭიროებოდა კოლონიები და მისთვის არ არსებობდა მუდამ თავსატეხი და საბრძოლველი კოლონიალური საკითხი, რადგან თვით კოლონიალური ხასიათის ქვეყანა იყო. მასში არ იყო ჯერ-ჯერობით დაგროვებული კაპიტალის იმდენი ჭარბი ძალა, რომ მისთვის აუცილებელი გამსდარიყო უცხოეთში განადირება და ევროპის სახელმწიფოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. მაშინ რასაკვირველია ამერიკას ოცნებობაც არ შეეძლო ევროპის ფინანსიურათ და მორჩილებაზე და მისთვის პოლიტიკური ყოფაქცევის კარნახზე, რადგან თვით იყო დავალიანებული ევროპის ვალით და თვით იყო მისგან დამოკიდებული.

მთელი იმ ვეებერთელა ბუნებრივი სიმდიდრის დასამუშავებლათ და გამოსაყენებლათ, რომელიც შეერთებულ შტატების ფარგლებში იყო მოქცეული, სასოფლო მეურნეობის რაციონალურ კულტურის ნიადაგზე დასაყენებლათ და განსავეითარებლათ, ინდუსტრიალური წარმოების დასანერგათ და ასალორძინებ-

ლათ, რკინის გზების ქსელის და სავაჭრო ფლოტის ასაშენებლათ და პრაქტიკულ სხვა სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, ამ ახალგაზდა კოლონიალური ტიპის სახელმწიფოს რასაკვირველია შექმნულ საკუთარი მატერიალური საღსარი არ მოეპოვებოდა. მას არ ჰქონდა საჭირო საკაპიტალი ქვეყნის თანამედროვე ტექნიკის, მეურნეობის და კულტურის გზაზე წასამართაგათ. ის იძულებული იყო ფინანსიური საღსარი გარეთ ეძებნა, მიემართა ფულისან სახელმწიფოებისათვის და მათგან მიეღო სესხი, ან მიეწვია უცხო კაპიტალი მის სიმდიდრეთა დასამუშავებლათ და მის სიერცეზე სამოქმედოთ. და მართლაც უცხო კაპიტალი გამაღებელი გაექანა შეერთებულ შტატებისაკენ. მის წინ იშლებოდენ იქ არაჩვეულებრივი მოგების პერსპექტივები. და ის განსხვავება, რომელიც რჩებოდა სახელმწიფოს და მის მრეწველთ-ვაქართ, ახლათ შექმნილი ღირებულებათაგან უცხო ვალის გამოკლებით, შეადგენდა უკვე საკუთარ კაპიტალისტურ ინდუსტრიის ბაზას, რომელზედაც იმართებოდენ კედლები თანამედროვე ამერიკისა. მართალია ამერიკა სესხულობდა ფულს ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისში, მაგრამ ეს დავალიანება სრულებით არ წარმოადგენდა მისი ეკონომიური გაჭირვების ან კოტრობის ნიშანს. ეს იყო მხოლოდ მისი ეკონომიკის ჯანსაღობის, გაძლიერების და ზრდის მაჩვენებელი.

ამნაირათ ამერიკა მსოფლიო ომამდი არამც თუ იყო კრედიტორი ევროპის სახელმწიფოების და საკუთარი კაპიტალების ექსპორტიორი, არამედ თვით ევროპის მოვალე იყო და მას არ მოეპოვებოდა თავისუფალი კაპიტალები უცხოეთში გასახიდავათ და იქ დასაბანდებლათ.

1910 წელში უცხო კაპიტალთა რაოდენობა შეერთებულ შტატებში უდრიდა—6,5 მილიარდ დოლარს. წარსული საუკუნის მე-70 წლებში-კი მხოლოდ 1,5 მილიარდ დოლარს... მაგრამ ეს ტვირთი ამერიკის გიგანტიურათ მოზარდ სხეულზე ისეთ მცირე სიმძიმეს წარმოადგენდა, რომ იგი მისთვის სრულიათ შეუმჩნეველი იყო. როგორი სისწრაფით და სტიქიონური ძალით იზრდებოდა ამერიკის კაპიტალიზმი, ესე იგი ინდუსტრიალური კაპიტალი, დაქირავებულ შრომის რაოდენობა, ნამუშევარის და სამუშაო მასალის ღირებულება, ამას მოწმობენ შემდეგი ცნობები:

კაპიტალი.	მუშები და მოსამსახურეები.
1870— 2.128.2 მილიონი დოლ.	2.05 მილიონი.
1880— 2 790.3	2.73
1890— 6.525	4.71
1900— 9.817.4	5.71
1905—13.872.0	6.72
1910—18.490.7	7.43
1915—22 790.9	8.00

იმავე წლებში დამუშავებული მასალის და ნამუშევრის ღირებულება გამოიხატა შემდეგნაირათ:

დამუშავებული ნასალის ღირებულება.	ნამუშევარის ღირებულება.
2,488.4 მილ. დოლარი.	4,232.3 მილ. დოლარი.
3,396.8 " "	5,369.7 " "
5,162.0 " "	9,372.4 " "
7,345.4 " "	13,004.0 " "
9,497.6 " "	16,866.7 " "
12,195.0 " "	20,767.5 " "
14,368.1 " "	24,246.4 " "

თუმცა ეს ცხრილები საკმარისათ არკვევენ შეერთებული შტატების ეკონომიური ცხოვრების განვითარების ძლიერებას, მაგრამ საკითხის ყოველმხრივ შესასწავლათ და გასათვალისწინებლათ საჭიროა შეერთებული შტატების პარალელური შედარება სხვა სახელმწიფოებთან ნრეწველობის უმთავრეს და ძირითად დარგებში. ასეთ დარგებათ ჩვენ ავიღებთ: ქვა-ნახშირს, თუჯს, ფოლადს და ბამბეულ საქსოვ წარმოებას, შესადარებელ ქვეყნებათ კი -- ინგლისს, საფრანგეთს და გერმანიას...

ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი.

	1886 წ.	1913 წ.
ინგლისი	160,0 მილ. ტონი	287,1 მილ. ტონი.
საფრანგეთი.	12,9 " "	41,3 " "
გერმანია.	73,7 " "	234,5 " "
შეერთებული შტატები	103,1 " "	570,2 " "

თ უ ჯ ი.

	1887 წ.	1913 წ.
ინგლისი.	7,681 ათასი ტონი	10,424 ათასი ტონი.
საფრანგეთი	1,588 " "	5,207 " "
გერმანია	4,024 " "	19,394 " "
შეერთებული შტატები.	6,520 " "	30,986 " "

ფ ო ლ ა დ ი.

	1886 წ.	1913 წ.
ინგლისი	2,403 ათასი ტონი	7,786 ათასი ტონი.
საფრანგეთი	428 " "	4,687 " "
გერმანია	954 " "	18,968 " "
შეერთებული შტატები.	2,604 " "	31,802 " "

ბ ა მ ბ ე უ ლ ი.

	1890 წ.	1914 წ.
ინგლისი	44,505 ათასი თითის ტარი.	55,972 ათასი თითის ტარი
საფრანგეთი	4,915 " " "	7,400 " " "
გერმანია.	5,000 " " "	11,405 " " "
შეერთებ. შტატები.	15,497 " " "	31,520 " " "

ომის უახლოეს წლებში შეერთებული შტატების პროდუქცია ნეტის სიჩქარით მატულობდა. თუ, მაგალითად, 1911 წ. ქვანახშირის პროდუქცია უდრიდა 450 მილიონ ტონს, 1913 წ. ის უკვე 570 მილ. ტონამდე მატული. ან თუ 1910 წ. ფოლადის დამუშავება გამოიხატებოდა 26,5 მილ. ტონში, 1913 წ. დამუშავებულ იქნა 31,3 მილ. ტონი, ასე რომ მიმდინარე საუკუნის მეათე წლებში შეერთებულ შტატებს უკვე ეჭირათ პირველი ადგილი თუჯის და ფოლადის მსოფლიო წარმოებაში, ესე იგი ისინი ამუშავებდნენ მთელი მისი რაოდენობის 50%-ს. ახალგაზდა, ფენზარდი, ჯან-ლონით სავსე სახელმწიფო — შეერთებული შტატები — აღნიშნულ წლებში უკვე დაეწია, გადაასწრო და უკან მოიტოვა მოხუცებული და დამძიმებული ინგლისი, რომელსაც მანამდე პირველი ადგილი ეჭირა მსოფლიო ეკონომიურ ჯიბრის და კონკურენციის ასპარეზზე. ამ დროს ის უკვე — ინგლისთან შედარებით — ორჯერ მეტ ქვანახშირს, სამჯერ მეტ თუჯს და ოთხჯერ მეტ ფოლადს ამუშავებდა.

ცხადია, რომ შეურნეობის ასეთი განვითარება საზოგადოთ და ინდუსტრიალური წარმოებისა — კერძოთ შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარალელურათ მასთან გაიშლებოდა საგარეო ვაჭრობა, მოიმატებდა ექსპორტი, გაიზრდებოდა შინაური კაპიტალი. უმთავრესათ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა დაგროვებულიყო საჭირო კაპიტალი მრეწველობა-შეურნეობაში დასაბანდავათ და მის გასათვართოებლად.

და ეს მართლაც ასე ხდებოდა. —

	იმპორტი.	ექსპორტი.
შეერთებული შტატები	1887 წ. 1.384,6 მილ. ოქ. მან.	1.432,2 მილ. ოქ. მან.
	1913 წ. 3.626,1	4.931,8
გერმანია	1887 წ. 1.430,1	1.351,5
	1913 წ. 5.323,1	4.120,2

მიუხედავათ იმისა, რომ შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა დაპირდაპირებულია გერმანიის საგარეო ვაჭრობასთან, ე. ი. იმ სახელმწიფოსთან, რომელიც თითქმის ისეთივე ამერიკული ტემპით ვითარდებოდა ეკონომიურათ, მაგრამ შედარება გვიჩვენებს მათ მაინც დიდ განსხვავებას. იმ დროს როდესაც გერმანიის საგარეო ვაჭრობა პასიური ბალანსით არის აღნიშნული (1887 წ. — 78,6 მილიონი ოქროს მანეთი. 1913 წ. — 1.202,9 მილ. ოქრ. მან.), შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსი უაღრესათ აქტიურია, ე. ი. ექსპორტი დიდათ სჭარბობს იმპორტს (1887 წ. + 47,6 მილ. ოქ. მანეთი 1913 წ. + 1.305,7 მილ. ოქრ. მანეთი).

სხვა ქვეყნებთან შედარებით იგივე სურათი იშლება: შეერთებული შტატების ექსპორტი გაცილებით წინ უსწრებს იმპორტს, მაშინ როდესაც თითქმის ყველა დანარჩენი სახელმწიფოები სრულიად წინააღმდეგ მოვლენას გვიჩვენებენ.

1899 წელი.

	იმპორტი	ექსპორტი
1. ინგლისი	9.700,8 მილ. ოქ. მარ.	6.590,6 მ. ოქ. მარ. — 3110,2 მ. ოქ. მარ.

2. გერმანია	5.78,40	"	4.368,0	"	1.416,0	"
3. საფრანგეთი	3.373,0	"	3.119,3	"	-253,7	"
4. ნიდერლანდი	3.052,7	"	2.577,0	"	475,7	"
5. რუსეთი	1.926,2	"	1.949,2	"	-23,0	"
6. ბელგია	1.808,2	"	1.559,4	"	248,8	"
7. ავსტრო-უნგრ.	1.367,6	"	1.582,4	"	+214,8	"
8. იტალია	1.205,3	"	1.145,1	"	-60,2	"
9. შვედთ. შტატ.	3.018,4	"	5.212,9	"	+2194,5	"

იმავე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განხილვა ომის უახლოეს წლებში, სახელდობრ 1909—1913 წ. წ. იმავე შედეგებს იძლევა.

იმპორტი.		ექსპორტი.	
ინგლისი	13.990,0 მილ. ოქ. მან.	9.064,0 მ. ოქ. მან.	— 4.926,0 მ. ოქ. მ
გერმანია	9.724,7	8.245,2	— 1.479,5
ნიდერლანდი	6.609,3	5.200,8	— 1.408,5
საფრანგეთი	5.855,0	4.873,2	— 981,7
ბელგია	3.743,0	2.922,9	— 820,1
იტალია	2.756,4	1.773,0	— 983,4
ავსტ.-უნგრ.	2.690,3	2.173,8	— 516,5
რუს. და ფინ.	2.104,6	2.878,7	+ 774,1
შვედ. შტატ.	6.919,1	8.580,9	+ 1.661,8

სურათის საფუძველზე დასასრულებლათ საჭიროა კიდევ ევროპისა და შვედეთის შტატების დაპირდაპირება ურთიერთ ვაჭრობის მხრივ. საინტერესოა გამორკვევა იმისი, თუ როგორ ვითარდებოდა ომამდე საგარეო ვაჭრობა ამ ორ მხარეს შორის, და რომელ მათგანს რამდენი საქონელი შეჰქონდა მეორეს ფარგლებში ან გამოჰქონდა იქიდან. შემდეგი კბრილი იძლევა პირდაპირ და შუამდგომლობებს ამ საკითხზე.

შვედეთის შტატების ვაჭრობა ევროპასთან (მილიონ დოლარებში).

წლები	ექსპორტი	იმპორტი	ნარჩენი
1909	1.170	764	406
1910	1.194	790	404
1911	1.293	770	523
1912	1.467	900	567
1913	1.500	865	635
1914	1.339	784	555

შედეგი 7.963 4.873 3.090

ამნაირად ექვსი წლის განმავლობაში ომამდე შვედეთულმა შტატებმა სამი მილიარდი და ოთხმოცდაათი მილიონი დოლარი მოიგო ევროპასთან ვაჭრობაში და ეს ვეებურთელა თანხა, რასაკვირველია, მან თავის ინდუსტრიის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და მეურნეობის კიდევ მეტ გაფართოებას და განვითარებას მოახმარა.

უბრალო და ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა განვითარება პირდაპირ ორგანიულათ არის დაკავშირებული მასთან და სარკინისგზო და სანავოსნო აღმშენებლობის ზრდა კაპიტალის მოზუნდის და მოძრაობის გაცხოველების მაჩვენებელია. ამიტომ არ არის მოკლებული მნიშვნელობას შედარებითი გამოანგარიშება სარკინისგზო აღმშენებლობის მსვლელობის, რკინის გზათა ქსელის გაფართოების ყველა მატერიკებზე.

	1890 წლის ბოლო	1913 წლის ბოლო
ევროპა	223,869 კილომეტრი	346,235 კილომეტრი
აზია	33,724	108,147
აფრიკა	9,386	44,309
ავსტრალია	18,889	35,418
ამერიკა	331,417	570,108

აქ შეერთებულ შტატების რკინის გზათა ქსელის სიგრძე-სიფართოვე შეტანილია მთელი ამერიკის მატერიკის საერთო ჯამში, და მისი აქედან გამოცალკევება კიდევ უფრო ნათელყოფს მდგომარეობას და საკითხს. შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდა 1890 წელში 268,409 კილომეტრი და 1913 წელში კი 410,918 კილომეტრი. იმნაირათ მაშინ, როდესაც ევროპაში რკინის გზათა სიგრძემ მოიმატა აღნიშნულ დროს განმავლობაში—122,366 კმ., შეერთებულ შტატებში მოიმატა—142,509 კილომეტრი.

ეს მცირე ცნობებიც-კი საკმარისია დაახლოებითი, მაგრამ სწორი წარმოდგენის მისაღებათ ინდუსტრიალიზაციის პროცესის შესახებ შეერთებულ შტატებში. მაგრამ მიუხედავად ნაციონალური სიმდიდრის და შემოსავლის უმაგალითო ზრდისა შეერთებული შტატები მაინც ვერ განთავისუფლებულიყვნენ ევროპის ვალებისაგან და ისე მიაღწენ მსოფლიო ომის დასაწყისს, რომ თითქმის სამ მილიარდ დოლარამდი აღწევდა მათი დავალიანება.

ომამდი შეერთებული შტატები თუმცა უმაღლესათ განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდენ, მაგრამ ისინი ფინანსიურათ მაინც დამოკიდებული იყვნენ ევროპისაგან. ისინი აწარმოებდენ აღნიშნულ დრომდი არა კაპიტალების ექსპორტს, როგორც ეხლა, არამედ იმპორტს, რადგან თვით არ მოეპოვებოდათ ჯერ იმდენი ჭარბი კაპიტალი, რომ მისი ექსპანსია დაეწყოთ. მაგრამ აღნიშნული მდგომარეობა უკვე შეიცავდა მრავალ და უტყუარ ნიშნებს იმისას, რომ ეს ამერიკული რესპუბლიკა, სულ ახლო მომავალში უნდა გადაქცეულიყო ეკონომიურათ და ფინანსიურათ მძლეთა მძლე ერთეულათ. ამის თავდები იყო მისი განვითარების ტემპი და ძალა.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გასაოცარი სისწრაფით დააჩქარა და გამოამყლაგნა ეს პროცესი და ეს ტენდენცია ამერიკის ეკონომიური ცხოვრებისა. ომმა სავსებით შესცვალა სურათი. საკმარისი იყო მხოლოდ ომის პირველი ორი წელიწადი, რომ შეერთებულ შტატებს მიეღოთ ის სახე, რომელიც მათ ეხლა აქვსთ. ესე იგი ისინი სავსებით განთავისუფლებულიყვნენ ევროპის ვალებისაგან, მისგან ფინანსიურ დამოკიდებულებისაგან, — დავეროვებით უამრავი

სიმდიდრე და ზღაპრული გმირივით ოქროს აბჯარ-ჯაგშნით შემოქმედნი მსოფლიო ცხოვრების გზაჯვარედინზე გამოსულიყვნენ საცარცვათ და სპეჩალოთ. შეერთებული შტატების კაპიტალისტურმა ოლიგარხიამ და მისმა ბელოდმა ვილხონმა, როგორც-კი დაიგრიალა მსოფლიო ომის პირველმა ხალხმანმა, მყისვე ნეიტრალური პოზიცია დაიჭირეს. ეს იმის ნიშანი და მომასწავებელი იყო, რომ მათ სწორათ აუღეს ალლო ისტორიულ მომენტს, ჯეროვანათ შეათასეს მსოფლიო კატასტროფა და შეუცდომლათ შეიმუშავეს საკუთარი კაპიტალისტური მოგების მაქსიმალური პროგრამა. ამ პროგრამის დედა-აზრი მდგომარეობდა პირველ ყოვლისა იმაში, რომ შეერთებულ შტატების მთავრობას ხელი შეეწყოს, რამდენათაც ეს მისთვის საჭირო იქნებოდა, იმპერიალისტური ომის გაგრძელებისათვის—და ყველა ომში ჩათრეული ქვეყნები, ხალხები და სახელმწიფოები თავის უღმობელი ექსპლოატაციის დარჯაკში მოეყოლებია, ევროპის და რუსეთის მუშათა და გლეხთა სისხლის ტბები ოქროს ზოდებათ გადაექცია. რასაკვირველია მეომარ სახელმწიფოების არც სრული განადგურება იყო შეერთებულ შტატებისთვის ხელსაყრელი. ბოლოს ის დახმარების ხელს გაუწუდიდა იმ მეომარ მხარეს, რომელიც მის იმპერიალისტურ პოლიტიკისთვის უფრო სასარგებლო და განოსადევი იქნებოდა.

ომი გადაიქცა შეერთებულ შტატებისთვის თავბრუდამხვევი გამდიდრების დაუშრეტელ წყაროთ. ამერიკული სურსათი, საკვები მასალა, ნედლეულობა, იარაღი, ტექნიკა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და სხ. შეიქნა ევროპის იმპერიალისტური ომის წარმოების უძღწერეს ფაქტორათ—და რაც დრო გადიოდა მით უფრო შეერთებული შტატები ფაქტიურათ თითქმის მონოპოლისტათ ხდებოდენ ომის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში.

მეომარ სახელმწიფოებს სხვა გამოსადეგი არ ჰქონდათ. ომის საშინელება ნთქავდა მათ სიმდიდრეს, მათ ქინახულს, მათ დოვლათს, როგორც გაუმაძღარი გველეშაპი. ისინი დღითი დღე ღარიბდებოდენ და ლატაკდებოდენ. მათ საკუთარი წყაროები აღარ ყოფნიდათ ომის გასაგრძელებლათ, ომში თავის პოზიციების დასაცავათ და გასამაგრებლათ. სიმშლილი და სილატაკე, სიკვდილი და სნეულება, გაცოფებული სპეკულიაცია და ხალხის განუკითხავი ცარცვა-ყვლეფა სოფლათ და ქალაქათ, აასკეცებდენ იმ უბედურებათ და საშინელებათ, რომელნიც ომის ველებზე ტრიალებდენ. ყოველ დღე ომის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი იხდებოდენ, მეომარ სახელმწიფოთა მატერიალური საშუალებანი-კი კლებულობდენ. ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოებს (შვეიცარიას, შვეცია-ნორვეგიას, დანია-ჰოლანდიას) რასაკვირველია არ შეეძლოთ ომის ნივთიერათ საზრდოება. ამისათვის მათ არავითარი საღსარი და საშუალება არ ჰქონდათ. გარდა მატერიალური უსაღსროებისა ეს პატარა ნეიტრალური სახელმწიფოები სრულიათ მიუჭებელი და სულგანაბელი უნდა ყოფილიყვნენ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მათ ომის ლახტი დასცემოდათ თავზე და საბოლოოთ გამოთხოვებოდენ წუთისოფელს. ამნაირათ ამერიკისთვის იქმნებოდა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ომისა და მეომარ სახელმწიფოების მისი ექსპლოატაციის ობიექტათ გადასაქცევათ, და მანაც სავსებით ისარგებლა შექმნილი მდგომარეო-

ბით, ბოლომდის გამოიყენა ომის სიტუაცია, მის მიერ გამოწვეული პირობები და გარემოებანი. საკითხი საზოგადოთ შეერთებული შტატების ომის დროს გამდიდრების, მისი სასოფლო მეურნეობის და ინდუსტრიალური წარმოების ამჟღავნების და საექსპანსიო, იმპერიალისტური კაპიტალის დაგროვების ამჟღავნების დროის განმავლობაში — ეს მეტათ რაფელი სტატისტიკურ-ინტენიურული საკითხია. ჩვენ არ შეუდგებით მის დაწვრილებით და თანდათანობით განხილვას. მდგომარეობის დასახასიათებლათ და მის გასათვალისწინებლათ საქმარისა მხოლოდ რამოდენიმე ნიშნობლივი ცნობების მოყვანა, რომელნიც ნათელყოფენ გამოთქმულ აზრს და აშუქებენ დასახულ მიზანს.

ნიუ-იორკის National City Bank-ის ვიცე-პრეზიდენტი, შეერთებულ შტატების კაპიტალის გამოჩენილი წარმომადგენელი რობერტსი ასე ახასიათებს ომის დროის მდგომარეობას თავის ქვეყანაში: „ყველა მუშები ჩაბმული იყვნენ სამუშაოში, ყველა მანქანები მუშაობდნენ. ფაბრიკანტები აგზავნიდნენ თავის აგენტებს სოფლათ რომ იჭიდან—ფერნებიდან—მუშა ხელი გამოეყვანათ. ყოველთვიურათ მუშათა მათის 30%—50% იცვლიდა ადგილს და პოულობდა უკეთეს სამუშაოს“-ო. ამით ავტორს იმის თქმა უნდა რომ მრეწველობა ისეთი ტემპით ვითარდებოდა, რომ მუშათა ხელის მიწოდება ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნილებას, მუშები ხელმძღვანელობდნენ თავისუფალი არჩევანით სამუშაოს ძებნაში. აქ ვარდა ამისა დიდათ საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც რობერტსის სიტყვებში თუმცა პირდაპირ არ არის აღნიშნული, მაგრამ მათში აშკარათ გამოსჭვივის, სახელდობრ ის, რომ ქალაქის ინდუსტრიას არ ყოფნიდა არსებული კონტიგენტი პროლეტარიატისა და საჭირო რაოდენობის შესავსებათ იგი სტატებდა სოფლის მეურნეობას სამუშაო ძალას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ინდუსტრიალური წარმოება მეტის სისწრაფით იზრდებოდა ომის დროს შეერთებულ შტატებში, ვიდრე სასოფლო მეურნეობა. ომამდე შეერთებულ შტატებში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, წარმომადგენდნენ ქვეყანას, რომელსაც უმთავრესათ და განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები — ნედლეულობა — გაჰქონდა გარეშე ბაზარზე და ითვლებოდა კოლონიალური ტიპის სახელმწიფოს. ომის დროს მათ ეკონომიკაში ამ მხრივ რადიკალური ცვლილება მოხდა: შეერთებულ შტატების ექსპორტში უმთავრესი ადგილი დაიკავა ინდუსტრიალურმა ნაწარმოებმა — ფაბრიკატებმა. ქალაქის მრეწველობის მომეტებული და უპირატესი განვითარება, სასოფლო მეურნეობასთან შედარებით დიდათ ავალსაჩინო ფაქტი შეიქმნა. ამავე ცვლილების დამადასტურებელია ის გარემოება, რომ 1920 წელს შტატების ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა უკვე სჭარბობდა სოფლის მოსახლეობას, რაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ქალაქმა მოითხოვა მეტი ფიზიკური სამუშაო ძალა გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამნაირათ ომის განმავლობაში შეერთებულ შტატების კაპიტალმა სახე გამოიკვალა: იგი მოველინა ქვეყნიერებას უკვე არა მებამბის, მემატყლის ან მეჯოვის უბრალო ტლანქი შეხედულებით, სოფლელ ფერმერის მოუხეშავ გარეგნობით, არამედ ვაპრიალეზებული და გაბრჭყვიანებული ოქროს სხივებით, ცილინდრით, მონოკლით და დინამიტით

ხელში. ის ეხლა უმთავრესათ მრეწველია, ფაბრიკანტი — ექსპორტიორი, იმპორტი-
ალისტი, თუმცა სოფლის მეურნის საქმეც არ ავიწყდება. აი როგორ ხასიათ-
დება შეერთებული შტატების ექსპორტი 1919 წელში: საქართველო
მიწათმოქმედება
(ნაანგარიშეგია მილიონ დოლარებით).

	იმპორტი	ექსპორტი	ექსპორტის ნარჩენი.
საკვები მასალა დაუმუშავებელი.	545,3 მ. დ.	678,5 მ. დ.	123,2 მ. დ.
საკვები მასალა დამუშავებული.	555,7 „	1.963,7 „	1.408,0 „
ნედლეულობა	1.674,3 „	1.610,1 „	— „
ნახევრათ ფაბრიკატები.	610,3 „	922,4 „	312,1 „
ფაბრიკატები	492,3 „	2.564,6 „	2,072,0 „

აქ ყურადღების ღირსია ის, რომ შეერთებული შტატები უმთავრესათ
ფაბრიკატების ექსპორტს აწარმოებენ და იმპორტის საგნებში ყველაზე მცირე
ადგილი უკავია უცხო ფაბრიკატებს. რაც შეეხება ნედლეულობას, ნდგომარეობა
ისე შეცვლილა ძირიან-ფესვიანათ, რომ შეერთებული შტატები აღარ ამუშავე-
ბენ მათთვის საჭირო რაოდენობას ნედლეულობისა და მისი იმპორტი აჭარბებს
ექსპორტს, მაშინ როდესაც 1905 წელში სულ სხვანაირ სურათს ვხედავთ: საერთო
ექსპორტის ღირებულება უდრის 1718 მილიონ დოლარს და აქედან —

ნედლეულობის	1000 მილ. დოლ.
ძხა ფაბრიკატების	460 „ „
დაუმზადებელი ფაბრიკატების	226 „ „

აქედან აშკარაა რომ შეერთებულ შტატებს ომის დროს განუცდიათ
დიდი ეკონომიური ცვალებადობა: თუ მანამდე მათი საგარეო ვაჭრობა, მათი
ექსპორტი უმთავრესათ დამყარებული იყო სასოფლო მეურნეობის ნაყოფზე,
ეხლა ის ემყარება უმთავრესათ ინდუსტრიალურ პროდუქციაზე.

ხევით ჩვენ სტატისტიკური ცნობების საშუალებით გამოვარკვიეთ, რომ
უკვე ომამდე ინდუსტრიალიზაციის პროცესი გაჩქარებული ტემპით სწარმოებდა
შეერთებულ შტატებში. ეს დასკვნა გამომდინარეობს მათი მაშინდელი ექსპორ-
ტის განხილვით და მტკიცდება მათი აქტიური ბალანსით. აღნიშნული პროცესი
— ექსპორტის უმაგალითო ზრდისა — და ამ გზით შინაური კაპიტალიზმის გა-
ძლიერებისა — ომიან წლებში გრანდიოზულ ფორმებს ღებულობს. ქვევით მოყვა-
ნილი ცნობები სრულის უეჭველობით ადასტურებენ და ნათელყოფენ აღნიშნულ
ფაქტს. ეს ცნობები ეხება შეერთებულ შტატების ვაჭრობას ევროპასთან.

წლები.	ექსპორტი	იმპორტი	ნარჩენი
1915	2.566 მილ. დლ.	546 მილ. დლ.	2.020 მილ. დლ.
1916	3.813 „	633 „	3.180 „
1917	4.062 „	551 „	3.511 „
1918	3.859 „	318 „	3.541 „
1919	5.119 „	651 „	4.468 „
1920	4.864 „	1.179 „	3.685 „
	24.283 „	3.878 „	20.405 „

ამნაირათ — ომის დაწყების შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებს გაუტანიათ ევროპიდან ოცი მილიარდი და ოთხი მილიონი დოლარი, ე. ი. ზვიდჯერ მეტი, ვიდრე ომამდლი ექვსი წლის განმავლობაში, ექსპორტების შედარებიდან ირკვევა, რომ ეკონომიური დამოკიდებულებები ევროპისა და აზიის ფოებისა შეერთებულ შტატებისაგან საოცრათ გაზრდილა, რაც ამავე დროს მაჩვენებელია ამ უკანასკნელთა დიდი ეკონომიური წარმატების და აღმატების.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ომის დაწყების შემდეგ შეერთებული შტატების იმპორტი, ე. ი. უცხო საქონლის შემოზიდვა თვალსაჩინოთ დაკლებულა. 1909—1914 წლებში იმპორტი უდრიდა თავის ღირებულებით 4 მილიარდს და 873 მილიონ დოლარს და 1915—1920 წ.წ.-კი 5 მილიარდს და 878 მილიონ დოლარს. დაკლება გამოიხატება თითქმის ერთ მილიარდ დოლარში.

როცა ვიხილავთ შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას, ყურადღებას იპყრობს ერთი ფრიათ საინტერესო მოვლენა.

მაშინ როდესაც ევროპის კონტინენტთან ვაჭრობა იძლევა ექსპორტის გადაჭარბებულ ზრდას იმპორტთან შედარებით, დანარჩენ ქვეყნებთან (სამხრეთ ამერიკასთან, აფრიკასთან, აზიასთან და წყნარი ოკეანეს ქვეყნებთან) ვაჭრობა სულ სხვანაირ ხასიათს ღებულობს.

წყნარ ოკეანეს ქვეყნებთან და აფრიკასთან ვაჭრობა.

	ექსპორტი	იმპორტი
წყნარ ოკეანესთან 1918	135 მილ. დოლ.	146 მ. დ. — 11 მ. დ.
1919	208 „	190 „ + 18 „
1920	193 „	158 „ + 35 „
აფრიკასთან 1918	54 „	76 „ — 22 „
1919	85 „	81 „ + 4 „
1920	129 „	185 „ — 56 „
	804 „	836 „ — 32 „

ვაჭრობა სამხრეთ ამერიკასთან და აზიასთან.

	ექსპორტი	იმპორტი
სამხ. ამერიკასთან 1918	316 მილ. დოლ.	567 მილ. დოლ. — 251 მილ. დ.
1919	401 „	568 „ — 167 „
1920	491 „	870 „ — 379 „
აზიასთან 1918	447 „	826 „ — 379 „
1919	604 „	831 „ — 227 „
1920	798 „	1.369 „ — 571 „
	3.057 „	5.031 „ — 1.974 „

ჩვენ არ შეგვხებიათ ჩრდილო ამერიკასთან ვაჭრობას, რაც თქვენ აქტიურ ბალანსს იძლევა, მაგრამ აღნიშნულ წლების განმავლობაში ის თვალსაჩინოთ კლებულობს და მცირდება.

რით იხსნება ეს პირველი შეხედვით გასაკვირვებელი მოვლენა? შეერთებული შტატების ვაჭრობის დიდათ აქტიური ბალანსი ევროპასთან და პასიური დანარჩენ ქვეყნებთან. ამის სწორი ახსნა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შეერთებული შტატები აქ სავაჭრო შუამავლის როლს ასრულებდნენ; ისინი ყიდულობდნენ სხვაგან, უმთავრესათ კოლონიალურ ქვეყნებში, ნედლეულობას და მას ან დამუშავებულათ ან დაუმუშავებულათ ჰყიდდნენ ევროპის ბაზარზე. რასაკვირველია ამ სპეკულიანტურ შუამავლობას მათთვის დიდი მოგება და სარგებელი მოჰქონდა.

ასეთ უზარმაზარ სავაჭრო ვაჭრობას ესაქიროებოდა დიდძალი საზღვაო ფლოტი და ამიტომ სანავოსნო აღმშენებლობა შეერთებულ შტატებში ომის დროს უმაღლეს წერტილამდე ავიდა, რაც გამოიხატა (1914 წლიდან 1920 წლამდე) 10. 379. 000 ტონაჟის მომატებაში. ყველა დანარჩენ ქვეყნების ტონაჟმა იმავე დროს მოიმატა მხოლოდ 3. 750. 000. ტონ. ამ ვეებერთელა ფლოტის საშუალებით შეერთებული შტატები აყრიდნენ მუცელში გაუმადლარ ომის ღმერთს მთელ მთებს. ხორბლისა, ხორცისა, თუჯისა რკინისა და სხ. და მიჰქონდათ უკან მეომარ ქვეყნების მშრომელ მასების სისხლი და ოფელი ქცეული ოქროთ. აქ რასაკვირველია მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი მეომარი სახელმწიფოების, სავაჭრო ვაჭრობა.

ომმა ისეთი საშინელი დამბლა დასცა ევროპის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას, მთელ მის ნეურნეობას, რომ ყოველად შეუძლებელი იყო ნორმალური ვაჭრობა—მრეწველობის წარმოება. აქ—ევროპაში—ყველაფერს ნთქავდა ომი და მთელი სამეურნეო-სამრეწველო აპარატი ომის განუზომელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ იყო მომართული. იგი უნდებოდა და ვერც სწვდებოდა საომარ საგნების შექმნას და ფაბრიკა—ქარხნების მილიტარიზაციის საშუალებით ემსახურებოდა უმთავრესათ ომის მიზნებს. მთელი მისი პროდუქცია იწოდებოდა ფინთიხივით ომის ცეცხლში, ევროპის სიმდიდრე და დოვლათი ნიავედებოდა ზარბაზნების გრიალში და მისი სავაჭრო მექანიზმი სავსებით იშლებოდა და ირღვეოდა. იმავე დროს—სულთმობრძავ სხეულს დასწაფოდა მხეცური გაუმადლობით და მსუნაგობით შეერთებული შტატების კაპიტალი და მის ძარღვებიდან ხარბათ სწოვდა სისხლს...

როგორი იყო შინაური ეკონომიური მდგომარეობა შეერთებული შტატებისა ომის დროს, როგორი ტემპით სწარმოებდა მისი კაპიტალისტური ცხოვრების მაჯის ცემა, როგორ იზრდებოდა მისი ინდუსტრიალური პროდუქცია. ამ საკითხის გასაშუქებლათ ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე შედარებით ცნობას მრეწველობის უმთავრესი საგნების შესახებ.

კვანახშირის დამუშავება.

(ნაანგარიშებია მილიონ ტონობით საშუალო რიცხვით თვეში)

	ინგლისი	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	ბელგია	შვედეთ. შტატები
1913	24,3	3,4	21,6	0,06	1,9	38,8
1914	23,0	2,3	19,3	0,07	1,4	40,2
1915	21,4	1,6	18,6	0,08	1,2	44,6
1916	21,7	1,8	20,0	0,11	1,4	49,3
1917	21,0	2,4	20,2	0,14	1,2	51,8
1918	19,3	2,2	20,6	0,18	1,1	

თუჯის წარმოება.

(ნაანგარიშებია ათას ტონობით თვეში საშუალო რიცხვით).

	ინგლისი	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	ბელგია	შვედეთ. შტატები
1913	869	434	1074	36	207	2623
1914	756	228	843	32	121	1976
1915	739	49	698	31	6	2534
1916	755	109	772	39	11	3340
1917	790	117	799	39	1	3271
1918	768	108	765	26	—	3308

ფოლადის წარმოება.

(ნაანგარიშებია ათას ტონობით საშ. რიცხვით თვეში).

	ინგლისი	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	ბელგია	შვედეთ. შტატები.
1913	659	368	1276	78	205	2651
1914	663	233	1025	76	116	1991
1915	724	93	925	84	8	2723
1916	778	149	1118	106	8	2623
1917	830	166	1163	108	1	8816
1918	812	150	1075	83		3766

როგორც სჩანს ეს სამი უმთავრესი დარგი თანამედროვე მრეწველობისა შედარებით ევროპის ქვეყნებთან დიდათ განვითარებულა შვედეთებულ შტატებში... მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და გასაოცარია ავტომობილების ფაბრიკაციის უზომო ზრდა.

1915	2.445.664	ცალი.
1917	4.983.340	"
1919	7.558.848	"
1920	9.000.000	"
1922	12.000.000	"

ინდუსტრიული მრეწველობის ასეთი განვითარება რასაკმარებელია არ ნიშნავს იმას, რომ სასოფლო მეურნეობა დაქვეითების გზას დაადგა, მისი წინსვლა შეფერხდა, ან მისმა ნაყოფიერებამ და პროდუქციამ იკლო. სრულე-ბითაც არა. სასოფლო მეურნეობა შეერთ. შტატებში ინტენსივ. მრეწველი ნაბიჯით მიდიოდა წინ ომის დროს, როგორც ომამდლ. 1909-1913 წ.წ. ყოველ-წლიურათ საშუალო რიცხვით მოდიოდა შეერთებულ შტატებში:

ხორბალი	187	მილიონი კვინტალი
შავი პური	9	"
ქართოფილი	97	"
ქერი	164	"

1914—1918 წ.წ. მოდიოდა:

ხორბალი	224	"
შავი პური	15	"
ქართოფილი	104	"
ქერი	205	"

ამ დროს განმავლობაში ყველა ევროპის სახელმწიფოებში და თვით რუსეთშიაც სოფლის მეურნეობა შესამჩნევად კლებულობს, გარდა ინგლისისა, სადაც სულ ცოტაოდენი მომატება ემჩნევა.

ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ თითქმის ყველა დარგი შეერთებული შტატე-ბის ეკონომიური ცხოვრებისა და გავითვალისწინეთ მათი ევოლიუციის გეზი-ეხლა ცოტათ თუ ბევრათ ნათელია საკითხი, თუ როგორ გარდიქვა სასოფლო მეურნეობაზე დამყარებული, კოლონიალური ტიპის სახელმწიფო, რომელიც კა-პიტალს და კაპიტალისტურ კულტურას ევროპისაგან სესხულობდა, უაღრესად იმპერიალისტურ და ინდუსტრიულ სახელმწიფოთ... როგორ მომხადდა მიზეზე-ბი მისი მსოფლიო ფინანსიურ-ეკონომიური გეგემონისა და როგორ გაკოტრდა საესებით მონროეს დოქტრინა. თუმცა ამ დოქტრინის ერთ ნახევარს, სახელ-დობრ იმას, რომ ამერიკა მხოლოდ ამერიკელ კაპიტალისტების სამფლობელოს უნდა წარმოადგენდეს და აქ არ უნდა იქნეს შემოშვებული უცხო კაპიტალი, თანამედროვე კაპიტალისტური ოლიგარხია შეერთებული შტატებისა ფაქტიუ-რით ეხლაც ანხორციელებს. იგი მაგალითად დიდ ბრძოლას და კონკურენციას აწარმოებს ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ კანადაში და ცდილობს მის იქი-დან განდევნას. ეხლა თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ამბრძოლაში ინგლისი უკვე დამარცხებულია, რომ კანადაში ამერიკულ კაპიტალმა სძლია ინგლისისას მიუხედავად იმისა, რომ კანადა დიდი ბრიტანეთის ნაწილს წარმოადგენს. ასეთ-სავე მოვლენას აქვს ადგილი ამერიკის სხვა ნაწილებშიც. რაც შეეხება მონ-როეს დოქტრინის მეორე ნახევარს—რომ ამერიკელები არ უნდა ჩაერთონ ევ-როპის საჭმეებში-ეს არსებითი და გონიერი პრინციპი ამერიკული კაპიტალიზ-მისა ვიდრე ომის დაწყებამდე, სრულებით გააქარწყლა და გააბათილა ომის მი-ერ შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ და მისმა შედეგებმა. შეერთებულ შტატებს აღარ შეუძლიათ მონროეს კარჩაკეტილობის პოლიტიკა აწარმოონ,

რადგან ასეთ პოლიტიკას თავის ეკონომიური ნიადაგი და შინაარსი უკვე და-
 ეკარგა. ეხლა შეერთებული შტატების კაპიტალი იმდენათ კლიერით იმდენათ
 გაბატონებულია ეკონომიურათ, რომ ის არც ეტევა თავის ქვეყნის, საზ-
 ლერებში და არც უნდა ნაციონალური ფარგლებით თავის სარბიელი შემო-
 იზღუდოს. ის იმოსება საომრათ და იმპერიალისტური დროშით ხელში მსოფლიო
 პოლიტიკის გზაზე გამოდის. მას ამოდრავებს ეხლა მხოლოდ აგრესიული და იმ-
 პერიალისტური სულისკვეთება. მისი აქამდე შინაური, ნაციონალური იმპერია-
 ლიზმი ეხლა საერთაშორისო ფორმებს ლებულობს. შეერთებული შტატების პო-
 ლიტიკა არამც თუ ერიდება და გვერდს უვლის ევროპის სახელმწიფოების სა-
 ქმეებს, მათ დიპლომატიას, მათ კომბინაციებს, როგორც თვით ევროპაში ისე
 აზიაში და სხვაგან, არამედ თვითონ ეჭრება მათი ცხოვრების შუაგულში და დოლა-
 რის ჯდოსნური ძალით უმორჩილებს მათ თავის შიშველ ნატვრიულ ინტერესებს.
 1921 წელს 24 მაისს ყოფილმა პრეზიდენტმა გარდინგმა ბანკირთა და მრეწველ-
 თა კრებაზე სთქვა: „შეერთებულ შტატებს არც შეეძლოთ და არც შეუძლიათ
 მომავალში სრული პოლიტიკური იზოლიაციის დაცვა. ომმა ჩვენ გაგვხადა უდი-
 დეს მსოფლიო კრედიტორათ“-ო. და მართლაც ომამდე ევროპის ვალით დავა-
 ლიანებული შეერთებული შტატები ეხლა მისი თითქმის ყველა სახელმწიფო-
 ების კრედიტორი არის და დღეს ამერიკული დოლარი ბრჭყვილობს ევროპის
 ცაზე, როგორც მისი საბედისწერო ვარსკვლავი.

1920 წლის დამლევს მთელი მსოფლიო ოქროს ფონდი, რომელიც მოთავ-
 სებული იყო ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების საეპისიო და სახელმწიფო ბან-
 კებში უდრიდა 1.501,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ამ რაოდენობიდან შე-
 ერთებულ შტატებს ეკუთვნოდა 853,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი. მას შე-
 მდეგ რასაკვირველია ეს ოქროს კონცენტრაცია შეერთებულ შტატების სალა-
 როებში, დიდათ გაიზარდა და ეხლა აღწევს თითქმის 80% (იხ. „Прямая“
 18. VII. 1924 წ.) მთელი არსებული ოქროს რაოდენობისა. ამ ოქროს მთებზე
 გზაგრებულია დღეს შეერთებული შტატების ოლიგარხია, მას უპყრია ხელთ
 ქვეყნიურების სიმდიდრის „მბრძანებელი სიმალენი“ და აქედან უკარნახებს
 იგი მსოფლიოს თავის ნებას და თავის სურვილს. 1920 წლის ივნისის ბოლოს
 ევროპის სახელმწიფოების დავალიანება შეერთებულ შტატებისაგან გამოიხატე-
 ბოდა შემდეგ რიცხვებში:

ინგლისი	4.277.000.000	დოლარი
საფრანგეთი	3.047.974.555	„
ბელგია	350.428.793	„
საბერძნეთი	48.236.629	„
იტალია	1.666.260.179	„
რუმინია	25.000.000	„
რუსეთი	187.729.750	„
სერბია	26.780.465	„
ჩეხო-სლოვაკია	67.329.041	„

ამ უზარმაზარ ათ მილიარდიან ვალიდან ევროპის სახელმწიფოებს ჯერ არაფერი არ გადაუხდიათ შეერთებულ შტატებისათვის და არც შეუძლიათ რაიმე გადაიხადონ, რადგან მათი ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა ძალიან დასუსტდა და ვალიანებისაკენ მიაქანებს მათ. აღნიშნული ვალი უკანასკნელს წესრიგს განმავლობაში კიდევ გაიზარდა და ალბათ კიდევ უფრო გაიზდება მომავალში. ეს გარემოება-კი აფართოებს და ამავრებს შეერთებულ შტატების მსოფლიო ფინანსიურ-ეკონომიურ გეგმონიას, მის იმპერიალისტურ პოლიტიკას, მის კოლონიალურ ბანდიტიზმს.

მათი კაპიტალების ექსპორტი, მათი ფინანსიურ ექსპანსია მატულობს ყოველ წლიურათ და ყოველ თვიურათ მოზარდ სისწრაფით... 1900 წელში შეერთებულ შტატებს მოთავსებული ჰქონდათ საზღვარ-გარეთ მხოლოდ 1/2-მილიარდი დოლარი და ისიც იქვე ამერიკულ ქვეყნებში: კანადაში, მექსიკაში, კუბაზე. 1909 წელში საზღვარ გარეთ დაბანდებულმა კაპიტალმა შეადგინა 2-მილიარდი დოლარს. (15% - ევროპაში, 5% - აზიაში, 80% - კანადაში და სამხრეთ ამერიკაში.) ეხლა-კი ის უკვე 20 მილიარდს აღწებატება.

უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალების ექსპორტი შეერთებულ შტატებიდან უცხოეთში სწარმოებდა ამნაირათ:

1920	291 მილიონ. დოლ.
1921	379 "
1922	431 "
1923	242 "
1924	1 1/2 მილიარდი დოლ.

დიდათ უმეტესი ნაწილი ამ თანხებისა მოთავსებულია სახელმწიფო სესხებში და მცირედი-კი გაღებულია კერძო და მუნიციპალურ სესხათ.

შარშანდელი წლის (1924) პირველი ათი თვის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ასესხეს:

არგენტინას.	80 მილ. მანეთ.
იაპონიას.	300 "
შვედციას.	60 "
გოლანდიას	80 "
ჩეხო-სლოვაკიას	20 "
უნგრეთს	18 "
ნორვეგიას	50 "
ბელგიას	60 "
კანადას.	280 "
გერმანიას.	220 "
საფრანგეთს.	200 "

ამ თანხებში არ არის შეტანილი კერძო და მუნიციპალური სესხები ამხ. ჯეი ლევენსტონი ეურნალ „Worker's Monthly“-ში ამბობს, რომ შეერ-

ოებული შტატების დღევანდელი სიმდიდრე უდრის 325 მილიარდ დოლარს და მისი წლიური ნაციონალური შემოსავალი — 70 მილიარდ დოლარს.

ამას ეთანხმება შეერთებულ შტატების „ეკონომიურ სტატისტიკის“ ნაციონალური ბიუროს“ ცნობებიც.

აღწერილი მდგომარეობა რამოდენიმე არკვევს შეერთებული შტატების ეკონომიურ ვითარებას, მათ საწარმოვო ძალთა ზრდას, მათი მეურნეობის ევოლუციას, რაც აუცილებელ საკითხებს წარმოადგენს მათი თანამედროვე პოლიტიკის და საერთაშორისო როლის შესასწავლათ და გასაგებათ... ამ ამერიკულ კაპიტალისტურ გოლიათს ცხოვრება უყენებს საბედისწერო დილემას: ან მან უნდა გადალახოს ოკეანები, ზღვები, მთები და სახელმწიფოები და თავის კაპიტალს და პროდუქციას გასავალი და სარბიელი უშოვოს, ან იგი უნდა დააღრმოს „სიმდიდრის კრიზისმა“.

აი ასეთია დღეს შეერთებული შტატების გარეშე და შინაურ ცხოვრების მამოძრავებელი ფაქტორები, ასეთია მიზეზები მათი მსოფლიო ბატონობისაკენ ლტოლვისა და ევროპის საქმეებში ჩარევისა. ასეთია ეკონომიური საფუძველი მათი დღევანდელი საერთაშორისო გავლენის, მათი იმპერიალისტური პოლიტიკის და მსოფლიო ფინანსიური გეგმონიის.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

ტფილისი.
IV. 25 წ.

ტ რ ი ბ უ ნ ა

ილ. ვარდინი-მგელაძე *)



ქართული
წიგნობის
კავშირი

ამხ. ვარდინის მოხსენება

დღევანდელი ჩვენი თაობის მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ განსაზღვროთ პარტიული ხაზი ლიტერატურაში. ამხ. ვორონსკი შეეცადა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს განსაზღვრული ხაზი უკვე არის ლიტერატურაში. და თუ ეს მართალია, თუ მართლა პარტიას აქვს ასეთი ხაზი, მაშინ ისე გამოდის თითქოს ჩვენ „ნაპოსტოველები“, რომლებიც ამის წინააღმდეგ ვამტკიცებთ, პარტიული ხაზის წინააღმდეგ ოპოზიციაში ვდგევართ. კითხვის ასე დაყენება შეიძლება სასარგებლოა თუ ვორონსკისთვის, მაგრამ ის სინამდვილეს არ შეეფერება. სიმართლე ის არის, რომ ამხ. ვორონსკის 1921 წელს მისცეს საშუალება და განსაზღვრული დირექტივები, რომ შეეჩერებინა საბჭოთა რუსეთის მწერალთა ერთი ჯგუფი. ამ შემთხვევაში ის უნდა ცდილიყო, რომ ეგრეთ წოდებული „პილნიაკები“ არ გაქცეულიყვნენ თეთრებთან. მაგრამ მას შემდეგ განელო სამმა წელმა. რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში. რა ცვლილებები მოხდა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში? რა განსხვავებაა 1921 და 1924 წლებ შორის?

ამხ. ვორონსკი ოდნავადაც არ ცდილობს ანალიზი გაუკეთოს სინამდვილეს და სავსებით დაეგრძნოს მას. ის ლაპარაკობს საზოგადოდ ლიტერატურაზე და სრულებით არ ესმის, რომ პარტიის ცეკასთან შემდგარ თაობის შეუძლია დაინტერესდეს ლიტერატურის საკითხით მხოლოდ მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამხ. ვორონსკის თეზისებს ასეთი სათაური აქვს: „მიმდინარე მომენტის და სამხატვრო ლიტერატურაში რ. კ. პ. ამოცანების შესახებ“. საუბედუროდ ამხ. ვორონსკის კრინტიც არ დაუძრავს მიმდინარე მომენტის და ლიტე

*) 1924 წ. 9 მარტს შეხდგა რკპ ცკ-ს ბუჭვადითი სიტყვის განყოფილების მიერ მოწვეულ თაობის, რომელნიც განიხილა კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში. ჩვენ მოგვყავს აქ ამ თაობისზე წარმოთქმული ორა ყველაზე უფრო დამაბასიათებელი სიტყვა — ამხ. ვარდინის და ამხ. ტროცკის, და აგრეთვე თაობისზე მიღებული რეზოლუცია და მწერლების ერთი ჯგუფის მიმართუა თაობისადმი.

რატურის სფეროში პარტიის ამოცანების შესახებ, 1921 წელთან ^{წინა} იმ გარკვეულ ხაზთან შედარებით, რომელიც მაშინ იყო განსაზღვრული, მას ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ.

პირდაპირ გასაოცარია, ადამიანი გამოდის პარტიის ^{წინა} ლიტერატურის სფეროში პარტიის ამოცანების შესახებ და ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩვენ ვსტუმრობთ, ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სწორედ ამ საკითხის დაყენება ამ მომენტში, ის თავს არ იწუხებს ოდნავად მაინც გაითვალისწინოს, თუ რამ გამოიწვია ის მკაცრი ბრძოლა, რომელსაც რამდენი ხანია აწარმოებენ „ნაპოსტოველები“. ეს მკაცრი ბრძოლა გამოწვეულია მით, რომ ჩვენ წინ წამოიჭრა სერიოზული პოლიტიკური საკითხი, რომ ჩვენ ავადწინ ლიტერატურა თან და თან ბურჟუაზიის იარაღით ხდება, იარაღად ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რან ის პოზიცია, რომელზედაც სდგას ან. ვორონსკი აადვილებს ჩვენი ძტრების პოლიტიკურ ამოცანებს, ამიტომაც არის რომ ან. ვორონსკის ასეთ პოზიციას სიამოვნებით ეგებებიან ანტისაბჭოთა ყველა პარტიები და მიმდინარეობანი.

ეს არის მთელი საფუძველი. და თუ ჩვენ ამის შესახებ არ ვილაპარაკებთ, თუ ჩვენ ყველა ამას არ გავითვალისწინებთ და შესაფერ დასკვნებს არ ვამოვიტანთ, თუ ჩვენ დავივიწყებთ, რომ ჩვენი არსებითი საკითხია გაუდაყენათ ლიტერატურა ჩვენ საკუთარ იარაღად, ვიწვორებ, უკეთაუ ყველა ამას არ შევიკნებთ და არ გავითვალისწინებთ, იმ შემთხვევაში სრულიად საჭირო არ იყო შეფერებილიყავით რ. კ. პ. ცუკასთან სათათბიროდ.

ნება მიბოძეთ მოგაგონოთ ის, რაც უნდა მოგგონებია ამა, ვორონსკის, რაში გამოიხატება მიმდინარე მომენტის განსაკუთრებული ხასიათი? მაგალითისთვის ავიღოთ პარტიული დოკუმენტი—ან. ვოლოტოვის თეზისები, რომელიც მოიწონა რ. კ. პ. ცუკამ. ამ დოკუმენტში მკაცრიოდ არის აღნიშნული, როგორ ძლიერდებიან „კულაკები“ სოფლად და როგორ ისხამს ფრთებს კერძო კაპიტალი ქალაქებში. ბურჟუაზიის გაძლიერების ამ ნიადაგზე ხდება მისი იდეოლოგიის გაძლიერება; ბურჟუაზია ცდილობს ყოველივე საშუალება გამოიყენოს თავის პოზიციის გასამაგრებლად. ამიტომ უბირველეს ყოვლისა, ის ყოველ ღონეს ხმარობს გაძერეს როგორც ლიტერატურაში და შეძლებისდაგვარად გამოიყენოს ის თავის მიზნების განსახორციელებლად.

მიმდინარე მომენტის მეორე განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ქვეყანაში ვხედავთ ერთგვარ უკუქცევას, თავს იჩენენ საზოგადოებრივი რეაქციის ზოგიერთი ნიშნები. ასეთი რეაქციონური სულის განწყობილება თავს იჩენს ათა მარტო ანტიპროლეტარულ ფუნქსში, როგორიც არის ინტელიგენცია, მდაბიო მოწილაქენი და სხვა, არამედ ეს უკუქცევა, დადლილობა, სკვპტიციზმი და სხვა ყეხს იკიდებს ჩვენი პარტიის შიგნით. ავიღოთ ამა. ბუხარინის წერილი, რომელიც მოთაფსებულია ჟურნალ „ბოლშევიკი“ს მეორე ნომერში, და თქვენ დაინახავთ, რომ მუ ვლაპარაკობ არა მითიურ საბიშროების შესახებ, არამედ ჩვენ წინ არის ნამდვილი რეალური საშიშროება.

აშკარა საქმეა, რომ ამ შემთხვევაში სამხატვრო ლიტერატურის საკითხი სერიოზულ მნიშვნელობას იღებს.

მერე რას ამბობს ამ ფაქტების შესახებ ამხ. ფორონსკი? მანამდე: ის ახდენს ლიტერატორების რეგისტრაციას, ის კეთილსინდისიერად გვაუწყებს ჩვენ, რა ჯურის ლიტერატორები მოიპოვებინ, ყველას გვარებს გვაცნობს, მას შეეძლო მათი ნამსახუროებითი სიებიც გავცნო ჩვენთვის, ეს ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო იქნებოდა პარტიულა თათბირისათვის.

მაგრამ, უნდა მოგახსენოთ ამხანაგებო, რომ ყველა ეს სიები თავისთავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. საკითხის მთელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, თუ რა სოციალური ელემენტები, რა ტენდენციები, რა გვარო იდეოლოგიის ჩანასახები იმალება ამ სიებში, რა როლს თამაშობს და შეუძლია ითამაშოს ამ ხალხმა არსებული პოლიტიკური ბრძოლის გარშემო. ამხ. ფორონსკის არც ერთი ამ კითხვათაგანი არ აინტერესებს. მისი პოზიციის უმთავრესი ცოდვა იმაში გამოიხატება, რომ მისთვის არ არსებობს კლასობრივი ომი, მისთვის არ არსებობს რევოლუცია, ის მსჯელობს საზოგადოდ, ის გვაწვდის ასეთ ახალ ამბავს, თითქოს საჭირო არ არის ხელოვნების დაწყობა და მასზე პოლიტიკური ზეგავლენა. ამხ. ფორონსკი ცხოვრების, პოლიტიკური ბრძოლის გარეშე სდგას, ის ვერ ხედავს იმ საშიშროებას, რომელიც ჩვენ გვემუქრება.

ამხანაგებო! მესამე განსაკუთრებული პოლიტიკური ხასიათი მომენტის, რასაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაგწიოს ეხლანდელმა პარტიულმა თათბირმა, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ანტისაბჭოთა პარტიები მიმდინარე მომენტში მთელ თავის იმედებს ამყარებენ კომუნისტური პარტიის ბურჟუაში გახვევას, ამ პარტიის გახრწნასა და მის გარდაქმნაზე. და აი სწორეთ ამ მხრით უნდა მიუდგეთ ჩვენ საკითხს, ამ მხრით უნდა გავერკვეთ ამხ. ფორონსკის პოლიტიკასა და პრაქტიკაში. უკეთეს ჩვენ, ამხანაგები, ერთის წუთით დავივიწყებთ მიმდინარე მომენტს, ჩვენ საშუალება მოგვესპობა გადავსტრათ ჩვენს წინ წამოქრილი საკითხები. ვიმეორებ, ჩვენს წინ რომ დაყენებული არ იყოს პოლიტიკური პრობლემა, საჭირო არ იყო აქ შევეკრებილიყავით.

ჩვენში ძლიერ უყვართ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ხელოვნება არის ხელოვნება, რომ გემოვნების შესახებ არ დაობენ და სხვა. დასაშვები არ არის კითხვის ასე დაყენება. ამხ. ფორონსკიმ გვამცნო, რომ ამხ. ზინოვიევი ლმობიერად უყურებს ალექსი ტოლსტოის „აელიტა“-ს. ეს მეც გამიგონია ამხ. ზინოვიევისგან. ერთხელ ამხ. კამენევა მითხრა, რომ ის სიამოვნებით კითხულობს ერენბურგს. ამხ. ბუხარინი სწერს ერენბურგის „ხულიო ხურენიტო“-ს წინასიტყვაობას.

კითხვა იმაში კი არ მდგომარეობს, სიამოვნებით თუ არა სიამოვნებით კითხულობს ერენბურგს კამენევი თუ სხვა ამხანაგები, არამედ იმაში, საშიშოა თუ არა პოლიტიკურად მთელი ეს ლიტერატურა. კითხვის მთელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს როგორ იმოქმედებს მთელი ეს ლიტერატურა მასაზე. სწორედ ამ მხრით უნდა მიუდგეთ საკითხს. ამ რამდენიმე ხნის წინად უფრო

„კომუნისტ“-ში დაიბეჭდა კლარა ცეტკინას მოვონებები, სადაც ნოყვანილია ე. ი. ლენინის შესანიშნავი შენიშვნები ლიტერატურის როლის შესახებ, იმის შესახებ თუ რა მიმდინარეობა უნდა მივსცეთ ლიტერატურის შენიშვნებიდან შე გავიგე ერთი: ამხ. კამენევს შეუძლიან წაიკითხოს რაც შეეძლება ჩვენ თითქმის ყველა აქ შეკრებილნი ვკითხულობთ თეთრ ლიტერატურას: ვსთქვათ ჩვენ გვაქვს ამის უფლება და თავისუფლება, მაგრამ ფართე მასაში მთელ ამ ლიტერატურას არ უშვებთ, რომ ეს ასე არ იყოს, ჩვენ მაშინ გვექნებოდა ბეჭედის თავისუფლება. ასევე ითქმის „აელიტაზე“. „აელიტას“ შეუძლია ფრიად დიდი სიამოვნება აგრძნობინოს ამხ. ზინოვიევს, მაგრამ ფართე მუშათა და გლეხთა მასებისათვის მთელი ეს ლიტერატურა—მავნებელზე უფრო მავნებელი შხამია. როცა მე სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში ვხედავ, რომ მოსწავლე ქალს ხელში უჭირავს ერენბურგი და კითხულობს, შე ვამბობ: „როცა ამხ. კამენევი კითხულობს ერენბურგს—ეს ერთია, ხოლო როცა სვერდლოვის უნივერსიტეტის მოსწავლე ქალი კითხულობს და ისიც ასეთ მომენტში ეს კისულ სხვა არის“. ვიმეორებ ლიტერატურულ პრობლემებს ჩვენ უნდა ნივუდგეთ იმ მხრით, თუ რა გავლენას მოახდენს ის მასზე, სხვა თვალსაზრისი ჩვენთვის არ არსებობს და არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში პარტიის ლიტერატურული პოლიტიკა? ეს პოლიტიკა უნდა მიდიოდეს სამი მიმართულებით: პირველი—ჩვენ მთელი ჩვენი ძალდონით ხელი უნდა შეუშალოთ ბურჟუაზიას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს ლიტერატურა; მეორე—ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყველა იმ ძვირუფასი მასალებით, რომლებსაც ვიპოვიან ძველ ლიტერატურაში, მივიმხროთ ყველა ის ლიტერატორები, რომლებსაც შეუძლიათ სარგებლობა მოგვიტანონ; მესამე—ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი და განსაზღვრული კონკრეტული ზომები მივიღოთ, რომ დაბოლოს რევოლიუციას ჰქონდეს თავისი საკუთარი ლიტერატურა.

როგორ სწყვეტს ყველა ამ საკითხებს ამხ. ვორონსკი? ის საზოგადოდ დიდად კმაყოფილია, მას შეუძლია აქ თქვენ წარმოგიდგინოთ „თანამგზავრების“ გრძელი სია, იმ „თანამგზავრების“, რომლებიც მისთვის ძირითად ძალას წარმოადგენენ ლიტერატურაში, რომლებსაც ის ეყრდნობა, რომლების სახელითაც კარგა ხანს ილაპარაკა მან აქ, და რომლებიც მისი სიტყვით, ბევრითად უფრო უკლებენ იმას, რასაც აქ ლაპარაკობენ. რას წარმოადგენენ ეს „თანამგზავრნი“? წაიკითხეთ ამხ. ვორონსკის წერილები და თქვენ იქ ნახავთ ამ „თანამგზავრების“ განმანადგურებელ დახასიათებას. ამხ. ვორონსკიმ ვერ შესძლო დაემალა ის ფაქტი, რომ ეს ხალხი საიმედო არ არის, რომ ასეთ ხალხთან რევოლიუციას არ შეუძლია დიდხანს იტანოს საქმე, ხოლო იმის შესახებ, რომ ჩვენთვის საჭიროა საკუთარი ლიტერატურა, ამხ. ვორონსკი ერთ სიტყვასაც არ ამბობს.

ავიღოთ მეორე დოკუმენტი,—მე ხელში მაქვს გამოცემლობა „კრუგი“-ს გამოცემული წიგნი:

„მწერლები ხელოვნებისა და თავისთავის შესახებ“. ეს ჩვენი „თანამგზავ-

რების“ ავტობორტრეტია. ივინი აქ თავისუფლად მოგვითხრობენ თავიანთ თავსე და ლიტერატურაზე თავიანთ შეხედულების შესახებ. ნება მიბრძნეთ თქვენი ყურადღება შევანყრო პილნიაკზე. რასაც ამბობს პილნიაკი, ქვემოთ დანარჩენ „თანამგზავრების“ აშკარა დამახასიათებელია. პილნიაკი სწერს: ქვემოთ

„მე—კომუნისტი არა ვარ და ამიტომ არა მწამს, რომ მე კომუნისტი ვიყო და კომუნისტურად ვსწერო. რამდენათაც კომუნისტები რუსეთთან არიან, იმდენათვე მეც მათთან ვარ. აშკარად ვალვიარებ, რომ რ. კ. პარტიის ბედი მე ნაკლებად მაინტერესებს ვიდრე რუსეთის ბედი. რ. კ. პარტია ჩემთვის მხოლოდ ერთი რგოლია რუსეთის ისტორიაში“. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ სწორედ ასევე უყურობს საქმეს პავლე ნიკოლოზის ძე მილიუტკოვი. ყური უგდეთ ქვევით. პილნიაკი სწერს: „სხვანაირად წერა, როგორც ვხლა ვწერ, მე არ შემიძლია, არ ვიცი, ვერ დავსწერ, თუნდაც ჩემს თავს ძალა დავატანო. არის ლიტერატურული კანონი. რომელიც ნებას და საშუალებას არ აძლევს, ძალა დაატანოს ლიტერატურულ ნიჭს“. ეს არის გულახდილი და პატიოსანი აღსარება. შემდეგ: „ბუნინი (მშვენიერი მწერალი) და მერეკოვსკი მარჯვენით, სერაფიმოვიჩი მარცხნით ძველი მწერლები—ან სულ არაფერს არ სწერენ, ან სწერენ ძალიან ცუდად, რადგან მათ მხატვრობა პოლიტიკით შესცვალეს, სწერენ პოლიტიკის გულსათვის, ამიტომ მათი ხელოვნება, ხელოვნება სოფლიად არ არის. მას აღარ გააქვს ჩვეულებრივი წკრიალი“ თქვენ ხედავთ, რომ პილნიაკი სერაფიმოვიჩს და მერეკოვსკის, რევოლუციონერ-კომუნისტს, და რეაქციონერთებრგვარდიელს, ერთ დაფაზე სვამს, ის ფიქრობს, რომ ორივეს ხელს უშლის პოლიტიკა. ჩვენ ვიცით რომ სერაფიმოვიჩს ხელი ვერ შეუშალა პოლიტიკამ დაეწერა უმშვენიერესი რამ „რკინის ნიაღვარი“.

ყური ვუვლოთ კიდევ პილნიაკს: „რა უნდა ახალ ლიტერატურას არ ვიცო, ვიცი მხოლოდ ერთი: საჭიროა კარგი რამ, დანარჩენი თავისთავად იქნება“ ეს გახლავთ ამხ. ვორონსკის თვალსაზრისი, ისიც იმ აზრის არის, რომ საჭიროა „კარგი რამ“ „ნიჭიერი რამ“, მიუხედავად იმისა, თუ რა მიმართულება აქვს ამ ტალანტს. ქვემოთ პილნიაკი ხოტბას ასხამს განომკემლობა „კრუგ“-ს და „კრასნაია ნოყ“-ს. პილნიაკს სწამს, რომ ეს არის სწორედ ჯანსაღი ლიტერატურა; ამხ. ვორონსკიმ უბრალოდ თავი მოუყარა მწერლებს. „უბრალოდ თავი მოუყარა კარგ ნაწერებს“ და, რაც ყველაზე უფრო კარგია, ამ კარგი ნაწერებისათვის „თამასუქებით კი არ იხდიდა, არამედ ნამდვილი წკრიალი ფულით“.

ასეთები არიან „თანამგზავრები“. მათ არ შეუძლიანთ იმაზე მეტი მოგვცენ, რის მოცემაც შეუძლიათ. ეს უნდა გავიგოთ. ბევრს კი ეს ვერ გაუვია. გამეფებულა არა კრიტიკული მიდგომა „თანამგზავრებისადმი“. ამ მხრით დამახასიათებელია ამხ. ოსინსკის წერილი დღევანდელ „პრავდა“-ში. ის სწერს ლუნაჩარსკის უკანასკნელ პიესის შესახებ. ის გვიჩვენებს, ფრიად ლმობიერად, რამდენათ ვერ არის დამაკმაყოფილებელი ეს პიესა. ქვემოთ კი აი რას ამბობს ამხ. ოსინსკი: „არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ ამხანაგებს (კურნალი „ნა პოსტუ“), რომლებიც ყოველ ფენის გადადგმაზე კრიჭაში უდგანან და უკიეინებენ ყველა იმ ბელეტრისტებს, ვისაც პარტიული ბილეთი არა აქვს, თუ ასეთ ბე-

ლექტორის შესამჩნიეს თუნდაც ოდნავი გადახრა მისტიურ-რეაქციონურ იდეოლოგიისკენ“.

როგორც სჩანს „ნაპოსტოველები“ დანაშაუენი არიან, იმეზო უფრო იგინი ამჩნევენ მისტიციზმისა და რეაქციისკენ სუსტ გადახრას. ანატოლი კოსინსკი, საბჭოთა რუსპუბლიკაში რევოლიუციის 7 წლის თავზე ვერავინ გაბედავს აშკარად იქადაგოს მისტიურ-რეაქციონური იდეოლოგია.

უკეთეს „ნაპოსტოველების“ ცოდვა ის არის, რომ იგინი ააშკარავენ „თანამგზავრთა“ ოდნავ გადახრას, ჩემის აზრით, ეს ცოდვა კი არა, მათი დამსახურებაა, და პარტიამ უნდა სთქვას, რომ „ნაპოსტოველები“ ასრულებენ თავიანთ პარტიულ მოვალეობას. საჭიროა სისწორე. დანაშაულობაა ვაპატიოს თუნდაც ოდნავი გადახრა. დანაშაულობაა თვალი დაეხუჭოთ, როცა თუნდაც სულ მცირედ თავს წამოპყოფს მისტიურ-რეაქციონური იდეოლოგია.

ჩაუყვეთ ქვევით, რა პოლიტიკა აქვს ჩვენს გამომცემლობას, სქელი ეურნალების რედაქციებს? ჩვენი, საბჭოთა ფირმით ვრცელდება აუარებელი ლიტერატურა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული, და რადგან ამ ლიტერატურას უშვებს ჩვენი სახელმწიფო და სხვა პარტიული გამომცემლობა, ან და იბეჭდება ჩვენი პარტიული ეურნალების ფურცლებზე, უბირველეს ყოვლისა „კრასნაია ნოვ“-ში, ფართე მასა ითვისებს მას როგორც რევოლიუციონურ ლიტერატურას. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში და მუშათა ფაკულტეტებზე ჩვენი მოხარდი თაობა ითვისებს ამ ლიტერატურას, როგორც რევოლიუციის ლიტერატურას. ჩვენი მოხარდი თაობა პილნიაკებით, ნიკიტინებით და ერენბურგებით იწყებს ლიტერატურულად რევოლიუციის გაცნობას. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების და მუშათა ფაკულტეტების სიტყვიერების მასწავლებლება უმეტეს შემთხვევაში ძველი მასწავლებლები არიან. აშხ. ვორონსკის და სხვების კრიტიკულ შეფასების მიხედვით ეს მასწავლებლები ამ ლიტერატურას ასალებენ მოსწავლეებთან, როგორც რევოლიუციონურ ლიტერატურას. განა შეგვიძლია კიდევ მოვითხოვოთ ასეთი მდგომარეობა? არის თუ არა ჩვენი ვალი ჩვენი მარჯა ავხსნათ ისეთ ლიტერატურას, რომელიც არსებითად არ არის რევოლიუციონური?

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ჩვენი გამომცემლობის და რედაქციების ასეთ პოლიტიკას, ბოლო მოეღოს საბჭოთა-კომუნისტურ ფირმის ქვეშ ყოველგვარ პილნიაკოვშიჩინის არსებობას.

ჩვენს წინ დგება ეხლა სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი — საკითხი ჩვენი ლიტერატურულ კრიტიკის შესახებ.

ჩვენი მთავარი კრიტიკოსი, როგორც ვიცით, არის აშხ. ვორონსკი. მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ვორონსკი არ არის. ბალშევიკური კრიტიკოსი, ის გასარჩევ ნაწარმოებს მარქსისტული თვალსაზრისით ვერ უდგება. მას აქვს კრიტიკა ტრადიციულ — ინტელიგენტური, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ბელინსკის დროიდან (ხმები ადვილიდან: „ეს ხომ ცუდი არ არის“! .. ის ეყრდნობა ძველ მემკვიდრეობას“) ამხანაგებო ამ ძველ მემკვიდრეობას გამოყენება უნდა. თქვენ კი აშხ. ტერ, უკვე ვაჩვენეთ, რომ არ შეგვიძლიათ ისარგებლოთ

ძველი შემკვიდრებობით—თუნდაც პლენანოვით. და აი, მე ვამბობ, ამ ვორონსკი ვერ უღვება საკითხს ბალშევიკურ-მარქსისტული თვალსაზრისით, და ამ გზით მიდიან სხვა კრიტიკოსებიც.

აი მაგალითად, არის ერთი კაცი, რომლის სახელიც ~~მარქსისტული~~ სოფილი ესერი და ფაქტიურად კიდევ ესერი. ეს პრავედუხინი განაგებს ჟურნალ „კრასნაია ნივა“-ში, რომელიც გამოდის ლუნაჩარსკის და სტეკლოვის რედაქტორობით, კრიტიკულ განყოფილებას. ამ ჟურნალის პირველ მაისის ნომერში პრავედუხინმა მოათავსა კრიტიკული წერილი კაზინის შესახებ. პრავედუხინს ძალიან მოსწონს კაზინის ლექსები. რატომ? იმიტომ, რომ ამ ლექსებში სრულებით არ არის პუბლიცისტიკა, დეკლარაციები, მებრძოლი კლასიური პატრიოტიზმი, განყენებული მოტივები, რადგან ეს მოტივები თავისთავად არა მუსიკალურია, ხოლო კაზინის ლექსები ადამიანის განცდის ნამდვილი ნაგლეჯია, ნამდვილი აკორდი“.

„მებრძოლი კლასობრივი პატრიოტიზმი“ „განყენებული სამოქალაქო მოტივები“... მართლა რომ მშვენიერი მარგალიტებია! ასე ლაპარაკობს კრიტიკოსი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ის კრიტიკოსი, რომელიც სავსებით დაყრდნობილია ვორონსკიზე და სავსებით მას მხარს უჭერს. მოისმინეთ ქვევით. კაზინი თავის დღეში არ დგება „ქარხნების ოჩოფებზე“, „კოლექტივებზე“ და სხვა „თანამედროვე პოეზიის ცრუ კლასიციზმზე“, ამბობს პრავედუხინი. „კაზინს თავის დღეში ისტერიკა არ ემართება, ის არ ყვირის თანამედროვე სოციალურ თითქმის მუდამ დაქირავებულ შრომის შესახებ.“ ხაზს უსვამს პრავედუხინი.

ამხანაგებო, ეს ნამდვილი ესერების პროკლამაცია არის. ამხ. ოსინსკი იტყოდა. რომ აქ მხოლოდ გადახრაა. რევოლიუციის წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურის დროს ამაზე უფრო აშკარად წერა ყოვლად შეუძლებელია. კაზინი თავის ლექსებში პროლეტარიატის პოეტიკი არ არის, არამედ ხელობის. პრავედუხინის წერილ-ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ შეამჩნია ეს ხაზი კაზინის პოეზიაში და შეაქო ის. თუ ჩვენ გულდამშვიდებით შეგვიძლია მოვითმინოთ იდეოლოგიურად ყოვლად მიუღებელი კაზინის ლექსები, არამც და არამც არ შეგვიძლია მოვითმინოთ ასეთი კრიტიკოსი. არ გეგონოთ თითქოს პრავედუხინის წერილი შემთხვევით გამოხტა. პრავედუხინი ერთი ფაქტიური რედაქტორთაგანია „კრასნაია ნივა“-სი, იმ ჟურნალის, რომელიც სამოცი ათასი ცალი იბეჭდება და მიდის ფართე მასსაში. მე მომყავს ადგილები ჟურნალის პირველ მაისის ნომრიდან. საახალწლო ნომერში კი იმავე პრავედუხინმა დასწერა წერილი პროლეტარული ლიტერატურის „ნაპოსტოველების“ წინააღმდეგ, სადაც ის ზედმეტად აქებდა ამხ. ტროცკის და ვორონსკის, ტროცკი მან წარმოიდგინა როგორც ტარას ბულბა, ხოლო ვორონსკი როგორც ოსტაპი.

ასე, ამხანაგებო, კომუნისტური კრიტიკა ჩვენ არა გვაქვს. საბჭოთა მარკით გამოდის ყოველი სისაძაგლე. არ არის კაცი, რომელსაც შეეძლოს უჩვენოს მკითხველს, იუხსნას მას ამ ლიტერატურის ნამდვილი აზრი, რომელსაც შეეძლია მიუღვეს მას კლასობრივი ბრძოლის და პროლეტარიატის პოლიტიკური

ინტერესების თვალსაზრისით. პარტიული, მარქსისტული კრიტიკა ჩვენ არა გვაქვს. ის ჩვენ აუცილებლად უნდა გვექონდეს.

ამხანაგებო, ის პოლიტიკა, რომელსაც ამხ. ვორონსკი ცხოვრებაში ატარებს, ჩვენი მტრების მიერ გარკვევით დაფასებულია. მთელი საზღვარგარეთის და შინაური ემიგრანტები იწონებენ ვორონსკის ლიტერატურულ პოლიტიკას. ყველაზე უფრო ყურადღებით თვალს ადევნებს ჩვენს დავას მემარჯვენე ესერების ეურნალი „ვოლია როსიი“. ამ ეურნალის ნომერის ნომერში სხვათა შორის ნათქვამია:

„მთელი შეხლა შემოხლა გამოიწვია იმან, რომ ვორონსკიმ ლიტერატურას დაუწყა ყურება ლიტერატურული თვალსაზრისით. „მემარცხენეების“ და „მემარჯვენეების“ ბრძოლა ისევ გრძელდება, მაგრამ ემჩნევა ლიტერატურისადმი მხატვრული თვალსაზრისით მიდგომის ცდა. ის გზა, რომელზედაც ფეხი შესდგა ვორონსკიმ, უსათუოდ შესაფერ ხაყოფს გამოიღებს“.

თქვენ უეჭველია გესმით, რომ ასეთ განცხადებებს უბრალოდ არ აკეთებენ. „ვოლია როსიი“-ს მეორე წიგნში ნათქვამია ამხ. ტროცკისა და ჩიჩერინის წერილებზე. აი რას გკითხვლობთ აქ სხვათა შორის: „ტროცკიმ დაიწყო წერა ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ, როცა მოხდა წითელი არმიის „დემობილიზაცია“. ხომ არ ნიშნავს საგარეო საქმეთა კომისარიატის „დემობილიზაციას“ ჩიჩერინის ცდა ლიტერატურაში მუშაობის დაწყება“. (სიცილი).

ეს არაფერი, ამხანაგებო. საგულისხმეოა საზოგადო დასკვნა, რომელსაც აკეთებს ესერების ეურნალი ყველა ჩვენი ლიტერატურულ მიმართულებების განხილვის შემდეგ.

„...მთელი რუსეთის სივოცეზე იწყება მსოფლმხედველობის, ახალი ბრძოლა ერთი მთლიანი მსოფლმხედველობის შესაქმნელად, როგორც რეაქცია „კომუნისტურ პროგრამის ცალმხრივი თეზისებით“ „მოწამელის“ შემდეგ.

„ცალმხრივ—კომუნისტურ“ პროგრამის წარმომადგენლებად ესერების ეურნალი სცნობს „ნაპოსტოველებს“, რომლის წინააღმდეგ მთელ ემიგრაციას და უპირველეს ყოვლის „ვოლია როსიი“-ას მოაქვს ცოფიანი იერიშები. იგინი „ნაპოსტოველებს“ უწოდებენ ჩეკისტებს, პროლეტარიატის სამღვთო რაზმს და სხვა. სრულიად თვალსაჩინოა ის ხოტბა—დიდება, რომელსაც იქითა მხრიდან ასხამენ ტროცკის და ვორონსკის. ჩვენი მტრები მაგრად ჩაებლაუტენ იმ პოლიტიკურ შეცდომებს, რომელსაც უშვებენ „ნაპოსტოველების“ მოწინააღმდეგენი.

რა ძირითადი ამოცანები სდგას პარტიის წინაშე? „თანამგზავრები“, რასაკვირველია, გამოყენებული უნდა იქნენ, მხოლოდ რევოლიუციის ნაწიღილი თანამგზავრები. როგორ უნდა გამოვიყენოთ შემდეგში ეს „თანამგზავრები“? მხოლოდ ერთი საშუალებით: თუ პარტია დაყრდნობილი იქნება ლიტერატურაში თავის პარტიულ ჯგუფზე. ჩვენთვის საჭიროა კომუჯრედი. ჩვენთვის საჭიროა ბალშევიკური ფრაქცია ლიტერატურაში. ასეთი კომუჯრედი ასეთი ბალშევიკური ფრაქცია არის პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი. ამბობენ, რომ მათ შორის არ არიან გენიოსები. მართალია გენიოსები არ არიან. ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გვარდია არის. საზოგადოთ სისულელე იქნებოდა მოგვეთხოვა იმ კლასისაგან გენიოსი მწერლები, რომელიც ეხლახან ამოძვრა სარდა-



ქართული
ლიბრერი

ამხ. ლ. ტროსკის სიტყვა

მე ვფიქრობ, რომ „ნა პოსტუ“-ს ჯგუფის თვალსაზრისი ყველაზე უფრო გარკვეულად აქ ამხ. რასკოლნიკოვმა გამოსთქვა—ამას თქვენ თავიდან უერ აი-ცდნით, ამხანაგნო—„ნაპოსტოველნიო“! ხანგრძლივი დაშორების შემდეგ რასკოლნიკოვი გამოვიდა აქ მთელი ავღანისტანური სინედლით, ნაშინ როდესაც სხვა „ნაპოსტოველებმა“ ოდნავ იგემეს ცოდნის ხის ნაყოფი და ცდილობენ დაპფარონ თავიანთი სიშიშელე,—გარდა მხოლოდ ამხ. ვარდინისა, რომელიც გვევლინება იმ სამოსელში, რომელშიაც დაბადებულა. (ვარდინი: „თქვენ ხომ არ მოგისმენიათ ის, რაც მე აქ ვილაპარაკე“!)

მართალია მე გვიან მოვედი. მაგრამ, ჯერ ერთი, მე წავიკითხე თქვენი წერილი „ნა პოსტუ“-ს უკანასკნელ ნომერში; მეორე, აი ეს არის ეხლა ჩავათვალთვალე თქვენი სიტყვის სტენოგრამა, და, მესამეც—უნდა ვსთქვა, რომ შეიძლება არ მოგისმინოთ კაცმა და წინასწარ იცოდეს, თუ რას იტყვით თქვენ (სიცილი). მაგრამ დაუბრუნდეთ ამხ. რასკოლნიკოვს, ის ამბობს: ჩვენ ვვირჩევთ „თანამგზავრებს“, მაგრამ განა ძველი, ომის წინა ხანის „პრაედა“ ან „ხვენდა“ პბექდაუდა არციბაშევის, ლეონიდ ანდრეევის და სხვების ნაწერებს, რომლებსაც ეხლა უფრო უფრო „თანამგზავრებად“ გამოაცხადებდნენ? აი ნედლი, დიდი ფიქროთ დაუნიძიმებელი მისულა საკითხთან. რა შუაშია აქ არციბაშევი და ანდრეევი? რამდენადაც ვიცი, ისინი არავის არ გამოუცხადებია „თანამგზავრებად“. ლეონიდ ანდრეევი მოკვდა საბჭოთა რუსეთისადმი ეპილეპტიურ სიძულვილის მდგომარეობაში. არციბაშევი, არც თუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, პირდაპირ საზღვარგარეთ იქნა გასტუმრებული. არ შეიძლება საკითხის მთლად ასე უღმერთოდ არგვა! ვინ არის „თანამგზავრი“? „თანამგზავრს“ ვუწოდებთ ლიტერატურაში თუ პოლიტიკაში იმას, ვინც კოქლობით და ყიალით მიდის გარკვეულ პუნქტამდე იმავე გზით, რა გზითაც ჩვენ თქვენთან ერთად გაცილებით უფრო შორს მივდივართ. ვინც ჩვენს წინ ააღმდეგ მიდის, ის თანამგზავრი არ არის, ის არის მტერი, და მას, როდესაც შენთხვევა იქნება, საზღვარგარედ ვისტუმრობთ, ვინაიდან რევოლიუციისთვის სიკვთე ჩვენ უნალღეს კანონად მიგვაჩნია. რავვარად შეგიძლიათ თქვენ „თანამგზავრების“ საკითხში ლეონიდ ანდრეევი ჩახლართოთ? (რასკოლნიკოვი: „კარგი, მაგრამ პილნიაკის შესახებ“) თუ თქვენ არციბაშევის ილაპარაკებთ და პილნიაკზე არ ილაპარაკებთ, მაშინ მე არ შემიძლია თქვენთან კამათი (სიცილი. ხმა: „სულ ერთი არის“?) როგორ თუ: სულ ერთი არ არის? თუ თქვენ ვინმეს ასახილვეთ, პასუხიც უნდა აგოთ იმის გამო. კარგია პილნიაკი თუ ცუდი, რითი და რითი და რითი ცუდი—პილნიაკი მაინც პილნიაკია და იმის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ როგორც

პილნიაკაზე და არა როგორც ლეონიდ ანდრეევზე. შენიცნება საერთოდ ნიუთონისა და მოვლენების ერთი-ერთმანეთისაგან განსხვავებით იწვევს და არა მათი ერთმანეთში ქაოტიურად არევიდან... რასკოლნიკოვი ამბობს: „ჩვენ არ მოგვიწვევია „ხვეწდაში“ და „პრაუდაში“ „თანამგზავრები“ ან „პროლეტარების“ და ლიტერატორებს ვეძებდით და ვნახულობდით პროლეტარიატის ფუნქციებში“. ვეძებდით და ვნახულობდით! პროლეტარიატის ფუნქციებში! მაგრამ რა უყავით შერმე? რატომ გვიმალავთ ჩვენ მათ? (რასკოლნიკოვი: „არიან ასეთები, მაგალითად, დემიან ბედნი“). ახ, მართლა, მე კი არ ვიცოდი, სწორე გითხრათ თუ დემიან ბედნი თქვენ პროლეტარიატის ფუნქციებში აღმოაჩინეთ (საერთო სიცილი). აი ხედავთ, რა საგზალით ვუდგებით ლიტერატურის საკითხებს: ცლაპარაკობთ ლეონიდ ანდრეევზე, ხოლო პილნიაკზე კი ვფიქრობთ: ვტრიაბობთ, რომ პროლეტარიატის ფუნქციებში ლიტერატორები და პოეტები აღმოვაჩინეთ, როდესაც საკითხი საქმეზე მიდგება მთელი „ფუნქციის“ მაგიერ ერთი დემიან ბედნი აგებს პასუხს (სიცილი). არ შეიძლება ასე, ეს სიმჩატეა. საქიროთა მუტი სერიოზულობა ასეთ საკითხებში.

ესკადოთ და მართლაც უფრო სერიოზულად მიუდგეთ რევოლუციის წინადასრულებულ იმ გამოცემებს, გახეთებს და ეურნალებს, რომლებიც აქ იყო მოხსენებულნი. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ იქ ცოტა ლექსები არ იბეჭდებოდა ბრძოლის, პირველი მაისის და სხვა ასეთების შესახებ. ყველა ეს ლექსები საერთო ჯამით მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმიერო კულტურულ-ისტორიული დოკუმენტები და რევოლუციონური გაღვიძებისა და პოლიტიკური ზრდის მაჩვენებელი იყო. ამ აზრით მათი კულტურული-ისტორიული მნიშვნელობა არა ნაკლები იყო, ვიდრე მთელი ქვეყნის შექსპირების, ბუშკინებისა და მოლიერების მნიშვნელობა. ამ უსუსურ ლექსებში ნაგულისხმევი ახალი, უფრო მაღალი კაცობრიული კულტურა, რომელსაც შეჰქნნიან გამოფხიხლებული მასები, როდესაც ისინი ძველი კულტურის ძირითად ელემენტებს დაიბურობენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ხვეწდას“ და „პრაუდას“ მუშური ლექსები ჯერ კიდევ სრულებით არ გულისხმობენ ახალი, პროლეტარული ლიტერატურის წარმოშობას. მხატვრულ ფორმებს მოკლებული, დერჟავინის დროის ან დერჟავინზე წინანდელი სტილის ლექსები არ შეიძლება დაფასდეს, როგორც ახალი ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ ის აზრები და გრძობანი, რომლებიც ამ ლექსებში ეძებდნენ თავიანთ გამოხატულებას, მუშათა კლასიდან გამოსულ ახალგაზდა მწერლებს ეკუთვნის. არ არის მართალი ის აზრი, თითქოს ლიტერატურული განვითარება ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენდეს, რომელშიაც ამ საუკუნის ახალგაზდა მუშების გულწრფელი, თუნდაც გულწრფელი ლექსები მომავალი „პროლეტარული ლიტერატურის“ პირველი რგოლი იყოს. ნამდვილად კი ეს რევოლუციონური ლექსები პოლიტიკური ფაქტი იყო და არა ლიტერატურული. მათ ხელს შეუწყვეს რევოლუციის და არა ლიტერატურის ზრდას. რევოლუციამ მიიყვანა მუშათა კლასი გამარჯვებამდე, მუშათა კლასის გამარჯვებას ეკონომიკის გარდაქმნისაკენ მიყუევართ, ეკონომიკის გარდაქმნა სცვლის მშრომელთა მასების კულტურულ სახეს. ხოლო მასების კულტურული ზრდა ნამდვილ

ბაზას ჰქმნის ახალი ლიტერატურისა და საერთოდ ახალი ხელოვნებისათვის. „მაგრამ არ შეიძლება ორმაგობა დაუშვათ, — ამბობს რასკოლნიკოვი, — საჭიროა რომ ჩვენს გამოცემებში პუბლიცისტიკა და პოეზია მთლიანად წარმოადგინდნენ, ბოლშევიზში მონოლიტურობით განირჩევა“ და სხვა. პირველ შეხედვაზე ეს ახრი სრული ჰემოქმედება გეგონებათ. ნამდვილათ კი ის უშინაარსო აბსტრაქციას წარმოადგენს. უკეთეს შემთხვევაში ეს უწმიდესი, მაგრამ რეალობას მოკლებული კეთილი სურვილია მხოლოდ. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი კომუნისტური პოლიტიკის და პუბლიცისტიკის დამატად მხატვრულ ფორმაში გამოთქმული ბოლშევიკური მსოფლშეგონობაც გვექონდეს, მაგრამ არა გვაქს, და არა გვაქს არა შემთხვევით. საქმის ვითარება იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული შემოქმედება უკან რჩება კაცობრიობის და პით უმეტეს კლასის სულის კველა სხვა გამოსახატავ საშუალებებს. ერთია რაიმეს გაგება და მისი ლოდიკურად გამოთქმა, მეორე — ამ ახალის ორგანიულად შეთვისება. თავისი გრძნობების წესრიგის გარდაქმნა და ამ ახალი წესრიგისათვის მხატვრული გამოთქმის მონახვა. მეორე პროცესი — უფრო ორგანიულად, ნულინელ, ძნელად ექვემდებარება შეგნებულ ხეგავლენას — და უკანასკნელი ანგარიშით ყოველთვის იგვიანებს. კლასის პუბლიცისტიკა თჩაფეხებით გარბის წინ, მხატვრული შემოქმედება კი ჯობებზე დაბჯენილი მისჩანჩალებს უკან. მარქსი და ენგელსი ხომ პროლეტარიატის უდიდესი პუბლიცისტები იყვნენ იმ ხანაში, როდესაც კლასი ჯერ როგორც რიგია გაღვიძებული არ იყო (ადგილიდანა, ეს კი მართალია“). დიდ მადლობას მოგახსენებთ (სიცილი). მაგრამ აბა გამოიტანეთ აქედან აუცილებელი დასკვნები და გაიგეთ, თუ რატომ არ არის ეს მონოლიტობა პუბლიცისტიკასა და პოეზიის შორის, ეს კი გაგვიადვილებს თავის მხრით იმის გაგებას, თუ ძველ ლეგალურ მარქსისტულ ჟურნალებში რატომ ეყოფილვართ ყოველთვის ბლოკში ან სანახევრო ბლოკში ხან მეტად საეჭვო, ხან კი პირდაპირ ყალბ „თანამგზავრებთან“ მხატვრული ლიტერატურიდან. თქვენ განსოვთ, რა თქმა უნდა, „ნოვოე სლოვო“ — ეს საუკეთესო ძველი ლეგალური მარქსისტული ჟურნალი, სადაც თანამშრომლობდნენ მარქსისტთა უფროსი თაობის დიდი ნაწილი, სხვათა შორის ელადიმერ ლენინიც. ამ ჟურნალს, როგორც ეს ცნობილია, მეგობრული განწყობილება ჰქონდა დეკადენტებთან. რითი ბიხსნებოდა ეს? იმით, რომ დეკადენტები იმ ხანებში ახალგაზდა და დევნილი მიმდინარეობა იყო ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. და ეს დევნა მოგზიდებოდა მათ ჩვენი ობობიციონერობისაკენ, რომელსაც, რა თქმა უნდა, სულ სხვა ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მაინც დეკადენტები ჩვენი დროებითი თანამგზავრები აღმოჩნდნენ. და შემდეგ მარქსისტული ჟურნალები (ნახევრად მარქსისტულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) გათავებული „პროსვეშჩენიით“, მოკლებული იყვნენ რაიმე „მონოლიტურ“ მხატვრულ განყოფილებას და ფართე ადგილს უთმობდნენ „თანამგზავრებს“. შეიძლებოდა ამ მხრით მეტად თუ ნაკლებად მკაცრი ყოფილიყავ, მაგრამ „მონოლიტური“ პოლიტიკის გატარება ხელოვნების დარგში შეუძლებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა ამისათვის საჭირო მხატვრული ელემენტები.

მაგრამ რასკოლნიკოვს ეს არსებითად არ ესაჭიროება. მხატვრულ ნაწარმოებში ის უყურადღებოდ სტოვებს სწორედ იმას, რაც მას მხატვრულ ნაწარმოებათ ჰქმნის. ყველაზე ნათლად ეს იმის დანტეს შესახებ შესანიშნავ მსჯელობიდან გამოიჩინება. „ღვთაებრივი კომედიას“, მისი აზრით, *ქვეყნული* სწორედ იმიტომ აქვს ფასი, რომ საშუალებას გვაძლევს გავიგოთ *ქვეყნული* ეპოქის გარკვეული კლასის ფსიხოლოგია. კითხვის ასეთი დაყენება ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, „ღვთაებრივი კომედიის“ ამოშლას ხელოვნების დარგიდან. შეიძლება ამის დროც იყოს უკვე, მაგრამ მაშინ საჭიროა საკითხის არსებითი მხარე ნათლად წარმოიდგინო და სათანადო დასკვნების არ გეშინოდეს. თუ ნე ვამბობ, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ დანიშნულება მდგომარეობს იმაში რომ ის მაძლევს გარკვეული ეპოქის გარკვეული კლასის სულიერი განწყობილების გაგებას, მაშინ ამით მე ვაქცევ მას მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტად, ვინაიდან, როგორც მხატვრული ნაწარმოები, „ღვთაებრივი კომედია“ ჩემს საკუთარს გრძნობას და განწყობილებას უნდა ეუბნებოდეს რაღაც. დანტეს კომედიას შეუძლია იმოქმედოს ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებით, ჰკვეთოს ჩემში პესიმიზმი, ნალევლი, ან პირიქით, აღმაფრთოვანოს, ამწიოს სულით, გაამაჩნწვოს... აი ეს არის ძირითადი ურთიერთი განწყობილება მკითხველისა და მხატვრული ნაწარმოების შუა. რა თქმა უნდა, არაფერი არ უკრძალავს მკითხველს გამოვიდეს მკვლევარის სახით და შეხედოს „ღვთაებრივი კომედიას“ მხოლოდ როგორც ისტორიულ დოკუმენტს. აშკარა არის, რომ ეს ორი მიდგომა ორ სხვადასხვა სიპრტყეში მდებარეობს, რომლებიც ერთნაწილად გადაბმულები არიან, მაგრამ არ კი პფარავენ ერთი მეორეს. რა გვარად შეიძლება არა ისტორიული არამედ უშუალო ესთეტიური დამოკიდებულება ჩვენსა და საშუალო საუკუნეების იტალიანური ნაწარმოების შუა? ეს აიხსნება იმით, რომ კლასიკური საზოგადოებას, მიუხედავად მთელი მისი კვალებადობისა, ზოგი რაბ საერთო თვისებები მოეპოვება: საშუალო საუკუნეების იტალიანურ ქალაქში წარმოშობილ მხატვრულ ნაწარმოებს შეუძლია, როგორც სჩანს, ჩვენზედაც იმოქმედოს. რა არის ამისთვის საჭირო? ცოტა რამ: საჭიროა, რომ ამ გრძნობებმა და განწყობილებებმა ისეთი ფართე, ძარღვებდაქიმული, ძლიერი გამოხატულება მიიღონ, რომელიც მათ იმ დროინდელ მცირე მასშტაბის ცხოვრებაზე მაღლა ასწევდა. რა თქმა უნდა, დანტეც გარკვეული სოციალური წრის ნაყოფია. მაგრამ დანტე არის გენიოსი. მას თავის ეპოქის განცდები უხარმახარ მხატვრულ სიმადლეზე აქვს ატანილი. და თუ ეხლა ჩვენ, როდესაც საშუალო საუკუნეების სხვა მხატვრულ ნაწარმოებს მხოლოდ შესწავლის ობიექტებად ვიღებთ, „ღვთაებრივი კომედიის“ ვუდგებით როგორც მხატვრულია თვისების წყაროს, ეს ხდება არა იმიტომ, რომ დანტე მე-XIII საუკუნის ფლორენციის წერილი ბურჟუა იყო, არამედ უფრო, მიუხედავად ამ გარემოებისა, ავიღოთ მაგალითათ ისეთი ელემენტარული ფიზიოლოგიური გრძნობა, როგორიც არის სიკვდილის შიში. თვით ეს გრძნობა არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველების თვისებასაც შეადგენს. ადამიანებში მან ჯერ უბრალო სიტყვიერი გამოხატულება მიიღო, შემდეგ კი მხატვრული. სხვადასხვა ეპოქის დროს, სხვადასხვა სოციალურ წრეში ეს გამოხატ-

ტულემა იცვლებოდა ესე იგი ხალხს სხვადასხვანაირად ეშინოდათ ~~სიკვდილის~~. და, მიუხედავად ამისა, მას, რაც ამის შესახებ არა თუ შექსპირი, ბაირონს, გოეთეს, არამედ თვით ფსალმუნთა მომღერალს უთქვამს, ~~უქვეყნო~~ ~~შეუძლია~~ იმოქმედოს ჩვენზე (ამხ. ლიბედინსკის ხმა). დიახ, დიახ, მე ~~სწორედ~~ ~~სამხრეთ~~ მოგვდი, როდესაც თქვენ, ამხ. ლიბედინსკი უხსნიდით ამხ. ვორონსკის პოლიტიკური ანბანის ტერმინებით (ეს გამოთქმა თვითონ თქვენ გეკუთვნით) სხვადასხვა კლასების გრძნობათა და განწყობილებათა ცვალებადობას. ასეთ საერთო ფორმაში ეს უდავოა. მაგრამ თქვენ მაინც ვერ უარყოფთ იმას, რომ შექსპირი და ბაირონი ცოტა რამეს ეუბნებიან ჩემსა და თქვენს სულს. (ლიბედინსკი: „მაღე ვგ აგრე აღარ იქნება“). მაღე თუ არა—ეს არ ვიცი, მაგრამ შექველად დადგება ეპოქა, როდესაც შექსპირისა და ბაირონის ნაწერებს ხალხი ისე მიუდგება, როგორც ჩვენ საშუალო საუკუნეების პოეტებს ვუდგებით, ესე იგი მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ-ისტორიული ანალიზის თვალთახედვით. კიდევ უფრო აღრე დადგება ის დრო, როდესაც ხალხი თავს დაანებებს მარქსის „კაპიტალში“ სწავლა-დარიგების ძიებას თავის პრაქტიკული მოქმედებისათვის, და „კაპიტალი“ გადაიქცევა მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტად, ისე როგორც ჩვენი პარტიის პროგრამა. მაგრამ ეხლავე კი მე და თქვენ როდი ვაპირობთ შექსპირის, ბაირონის და პუშკინის არქივში ჩაბარებას, და მათი ნაწერების კიოხვას შექველად ვურჩევთ მუშებს. ამხ. სოსნოვსკი, მაგალითად, დაბეჯითებით ურჩევს პუშკინის კითხვას, ის აცხადებს, რომ ერთ ორმოცდაათ წელს პუშკინი უთუოდ საკმარისი იქნება. უადგების შესაძებ ნუ ვილაპარაკებთ. მაგრამ რა აზრით შეგვიძლია ვურჩიოთ მუშებს პუშკინი? კლასობრივი პროლეტარული თვალსაზრისი პუშკინს არა აქვს, კომუნისტურ განცდათა მონოლიტური გამოხატულება მით უმეტეს. რა თქმა უნდა, პუშკინს დიდებული ენა აქვს, მაგრამ ეს ენა ხომ თავად-აზნაურულ მსოფლგაგების გამოხატავად სჭირდება? ნუ თუ მუშას უნდა ვუთხრათ: იკითხე პუშკინი, რომ გაიგო თუ აზნაური, ყმების პატრონი და კამერ-იუნკერი, როგორ ვგებებოდა გაზაუხულს და აცილებდა შემოდგომას? ცხადია, ეს ელემენტარის პუშკინში, ვინაიდან პუშკინი გარკვეულ სოციალურ ფესვზე გაიზარდა. მაგრამ ის გამოხატულება, რომელსაც აძლევდა პუშკინი თავის გრძნობებს, ისეა გაჟღენთილი საუკუნეების მხატვრული და საერთოდ ფსიხოლოგიური გამოცდილებით, ისე განზოგადოებულია, რომ ის ეყო ჩვენს დროს და ამხ. სოსნოვსკის მიხედვით, კიდევ ერთ ორმოცდაათ წელს იკმარებს. და როდესაც მე მეუბნებიან, რომ დანტეს მხატვრული მნიშვნელობა ჩვენთვის იმითი ისაზღვრება, რომ ის გარკვეული ეპოქის ყოფა-ცხოვრებას გამოხატავს, მაშინ ჩვენ ისლა დაგვრჩენია, მხრები ავიჩეჩოთ. დარწმუნებული ვარ, რომ დანტეს კითხვის დროს ბევრს, ისე როგორც მე, დიდი ძალის დატანება დასჭირდებოდა მებასიერებისათვის, იმის გასახსენებლად, თუ სად და როდის დაიბადა იგი, და, მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ შეუშლიდა მხატვრული სიანოვნების განცდას-თუ მთელი „ღვთაებრივი კომედიისაგან“ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი ზოგიერთი ნაწილების წაკითხვით მაინც. იმდენად რამდენადაც მე საშუალო საუკუნეების კულტურის ისტორიკოსი არა ვარ, ჩემი მიდგომა დან-

ტესადმი უმთავრესად მხატვრულია. (რიახანოვი: „ეს კი უკვე გახეობა არის. დანტეს კითხვა ზღვაში ბანაობა არის“, — ასეთი ფრაზა სიტყვა ბელინსკის წინააღმდეგ შევირევა, რომელიც აგრეთვე ისტორიის წინააღმდეგ „შეკო“). მე ეჭვი არ მეპარება, რომ შევირევა ნამდვილად ასე სიტყვა, ^{სიტყვა} რიახანოვი ამბობს, მაგრამ მე ისტორიის წინააღმდეგი არა ვარ. ცხადია, ისტორიული მიდგომა დანტესადმი კანონიერია და აუცილებელი და ის კიდევაც მოქმედობს ჩვენს ესთეტიურ დამოკიდებულებაზე მისდამი, მაგრამ არ შეიძლება ერთი შევაპაროთ მეორეს მაგიერ. მე მაგონდება, თუ რასა სწერდა ანის შესახებ კარევეი მარქსისტებთან პოლემიკის დროს: დაე მათ, მარქსისტებმა (ასე უწოდებდნენ მაშინ ირონიულად მარქსისტებს), გვაჩვენონ ჩვენ, თუ აბა რა კლასობრივი ინტერესებით არის ნაკარნახევი „ღვთაებრივი კომედიით“. ხოლო მეორე მხრით, იტალიელი მარქსისტი, მოხუცი ანტონიო ლაბრიოლა დაახლოვებით ასე სწერდა: ცდა იმისი, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ ტექსტის ახსნა მოხერხდეს იმ შალეულობის ფასების აწევით, რომელსაც ფლორენციის ვაჭრები თავიანთ დამკვეთელებს უგზავნიდნენ, შეუძლიათ მხოლოდ იდიოტებს. ეს გამოთქმა თითქმის სიტყვა სიტყვით მახსოვს, ვინაიდან სუბიექტივისტებთან პოლემიკის დროს მე არა ერთხელ შემხვედრია ამ სტრიქონების მოყვანა წინა წლებში. ეფექტობ, რომ ამხ. რასკოლნიკოვი არა თუ დანტეს, საერთოდ სელოვნებას არა მარქსისტული საზომით უდგება, არამედ განსვენებული შულიატნიკოვის საზომით, რომელმაც ამ დარგში ჩვენ კარიკატურა მოგვცა მარქსიზმზე. სწორედ ასეთი კარიკატურის წინააღმდეგ სიტყვა ფავისი მაგარი სიტყვა ანტონიო ლაბრიოლამ*).

„პროლეტარული ლიტერატურის სახელით მე მესმის ლიტერატურა, რომელიც უცქერის ქვეყანას ავანგარდის თვალთ“ და სხვადასხვა. ეს სიტყვები ამხ. ლელევიჩს ეკუთვნის. დიდებულია, ჩვენ მზადა ვართ მივიღოთ ეს განმარტება. მაგრამ მოგვეცით კი არა მარტო განმარტება, არამედ ლიტერატურაც. სად არის იგი? აბა გვაჩვენეთ! (ლელევიჩი: „კომსომოლია“ — აი უკანასკნელი დროის საუკეთესო ნაწარმოები). რომელი დროის? (ხმა ადგილიდან: „უკანასკნელი

*) მოგვეყავს აქ სიტყვა სიტყვით ანტონიო ლაბრიოლას ვნერგიული შეტევა იმ განმარტივებულთა მიმართ, რომლებიც მარქსისტულ თეორიას შაბლონად და ყველაფრის გამღებ გასაღებად აქცევენ: „მანტი გონებანი... — სწერს მარქსიზმის საუკეთესო იტალიელი ფილოსოფოსი, — სიამოვნებით კმაყოფილდებიან ასეთი განცხადებებით, რა დღესასწაული და რა სიხარული იქნება ყველა უღარდელი, გარჩევის უნარმოკლებული ადამიანებისათვის: მიიღონ, დასასრულ, მცირე, რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარ რეზიუმეში მთელი ნეცნიერება და ჰქონდეთ შეძლება ერთადერთი გასაღების საშუალებით შეიქრან ცხოვრების ყველა საილუმლოებაში! ესთიკის, ესთეტიკის, ფილოლოგიის, ისტორიული კრიტიკის და ფილოსოფიის ყველა საკითხები მხოლოდ ერთადერთ საკითხში და ამგვარად თავიდან შთაშორონ ყველა სიძნელენი! ამ გზით სულელებს შეეძლათ მთელი ისტორია კომერციული არითმეტიკის ხარისხამდე დაეყვანათ, და ბოლოს და ბოლოს, დანტეს ქმნილების ახალი ორიგინალური გამოკვლევით წარმოგვიდგინდა ჩვენ „ღვთაებრივ კომედიას“ იმ შალეულობათა ანგარიშების წყალობით, რომლებსაც ფლორენციის გამოქვეყნებული ვაჭრები ჰყიდდნენ თავიანთთათვის უდიდესი სარგებლობით“!

წლის“). პო კეთილი, უკანასკნელი წლის. მე სრულიადაც არა მსურს პოლემიკური ხასიათი მივსცე ჩემს ლაპარაკს. ბეზიმენსკის მუშაობასთან შედარებით დამოკიდებულება მაქვს, რომ, იმედია, მას არაფითარ შემთხვევაში უარყოფითი არ დაერქმევა. „კომსომოლია“ მე ძალიან ვაქე, როდესაც ის უკანასკნელ ხელნაწერში წავიკითხე. მაგრამ ამისდა მიუხედავად, შეიძლება ვანა ამის გამო გამოვაცხადოთ პროლეტარული ლიტერატურის წარმოშობა, მე ვიტყვი, რომ ბეზიმენსკი არ იქნებოდა ქვეყანაზე, როგორც მხატვარი, რომ ეხლა ჩვენ არა გვეყავდეს მიაკოუსკი, პასტერნაკი და თითქმის პილნიაკიც (ხმა აღვილიდან. „ეს არაფერს არ ამტკიცებს“). არა, ეს ამტკიცებს, სულ ცოტა, იმას მაინც, რომ მიმდინარე ეპოქის მხატვრული შემოქმედება ძალიან რთულ ქსოვილს წარმოადგენს, რომელიც ავტომატიურად, ჯგუფური, სემინარული წესით კი არ იქმნება, არამედ რთული ურთიერთ დამოკიდებულებით, უწინარეს ყოვლისა თანამგზავრთა სხვადასხვა დაჯგუფებებთან. აქედან გამომდინარე არ შეიძლება ბეზიმენსკი არ ხტება და კარგადაც იქცევა. ზოგიერთ მის ნაწერებს „თანამგზავრთა“ ვაფლენა მეტისმეტადაც ემჩნევა. მაგრამ ეს აუცილებელი მოვლენა არის ახალგაზრდობისა და ზრდისა. აი ამს. ლიბედინსკი, „თანამგზავრების“ მტერი, თვითონ ჰბაძავს პილნიაკს და თითქმის ანდრეი ბელისაც. დიახ, დიახ, მიაპატიოს ეს მე ამს. ავერბახმა, რომელიც უარყოფით აქნევს თავს, თუმცა არც თუ დიდი დარწმუნებით. ლიბედინსკის უკანასკნელი მოთხრობა „ხვალ“ წარმოადგენს ისეთი პარალელგრაძმის დიაგანაღს, რომლის ერთი მხარე პილნიაკია, მეორე კი ანდრეი ბელი. თავის ფაჲად ეს კიდევ არ არის უბედურება: ზომ არ შეეძლო, ბოლოს და ბოლოს ლიბედინსკის მზამზარეულ მწერლად დაბადებულისა „ნაპოსტოველების“ მიწაზე. ლიბედინსკის შესახებ მე უკვე ვსაქვი ჩემი სიტყვა მისი „წვიდი დღის“ პირველად გამოსულის შემდგომ. ბუხარინმა მაშინ, როგორც გახსოვთ, საწინლად შეაქო იგი თავისი გულკეთილობისა და ექსპანსიურობის მიზეზით, და ამ ქებამ მე შემაშინა კიდევ. ჯერჯერობით მე იძულებული ვარ დავადასტურო ამს. ლიბედინსკის მეტისმეტი დამოკიდებულება სწორეთ იმ „თანამგზავრთა“ და ნახევრად თანამგზავრთაგან, რომლებსაც ის და მისი თანამოაზრენი ისე სწვევლიან „ნა პოსტუ“-ში. თქვენ ხელახლა ხედავთ, რომ მხატვრობა და პუბლიცისტიკა ყოველთვის მონოლიტური არ არის! მე სრულიადაც არა მსურს ჯვარი დაუსვა ლიბედინსკის ამის გამო. ფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ უაღრესი ყურადღებით მოვეპყრათ ყოველი იდეურად ჩვენთან ახლო მდგომ ახალგაზრდა მხატვრულ ნიჭს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ნიჭი ჩვენივე თანამებრძოლია. პირველი პირობა ისეთი ფრთხილი და სათუთი მოპყრობისა არის ის, რომ ნაადრევად არ იქნეს გაბრუებული ქებით და არ ჩაიკლას მასში თვითკრიტიკა; მეორე პირობა—არ უნდა დაესვას კაცს მაშინვე ჯვარი, თუ წაიფორბილა. ამს. ლიბედინსკი ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა ანხანაგია. მისთვის საჭიროა სწავლა და ზრდა, და აი გამოდის, რომ პილნიაკი საჭირო ყოფილა. (ხმა აღვილიდან: „ლიბედინსკისათვის ყოფილა საჭირო, თუ ჩვენთვის“?) უწინარეს ყოვლისა ლიბედინსკისა-

თვის. (ლიბედინსკი ადგილიდან: „მაგრამ ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ მე პილნიაკით ვიწამლები“). სამწუხაროდ ადამიანის ორგანიზმს შეუძლია იკვებოს მხოლოდ საწამლავით და საწამლავის წინააღმდეგ შინაგანს სხეულებში გა-
მომუშავეებით. ამაში მდგომარეობს სიცოცხლე. თუ თქვენ გაგანძვს ტრონიკით, მაშინ არ იქნება მოწამვლა, მაგრამ არც კვება იქნება, საერთოდ არაფერი არ იქნება (სიცილი).

ამხ. პლეტნიოვმა აქ, პროლეტარული კულტურისა და მისი შემადგენელი ნაწილის—პროლეტარული ლიტერატურის შესახებ თავის აბსტრაქციების და-
საცავად, ვლადიმირ ილიჩი მოიყვანა ჩემს წინააღმდეგ. აი სწორედ ეს არის ჩემი შენ ვითხარი—გული მოგიკალიო! ამაზე უნდა შევჩერდეთ. ამას წინად მთელი წიგნაკიც კი გამოუშვეს პლეტნიოვმა, ტრეტიაკოვმა და სიზოვმა, სადაც პროლეტარული კულტურა დაცულია ლენინით ტროცკის წინააღმდეგ. ეს მე-
თოდი ეხლა ძალიან შემოსულია მოდაში. ამ თემაზე ვარდინს მთელი დისერ-
ტაციის დაწერა შეეძლო. მაგრამ თქვენ ხომ, ამხ. პლეტნიოვო, ძალიან კარგად იცით, თუ როგორ იყო საქმე, ვინაიდან თქვენ თვითონ მოდიოდით ჩემთან, რომ თავი შეგეფარებიათ ვლადიმერ ილიჩის ქვეა-ქუხილისაგან, რომელიც სწო-
რედ ამ „პროლეტარული კულტურის“ გამო აპირებდა, როგორც თქვენ ფიქ-
რობდით, მთელი პროლეტკულტის დახურვას. მე კი დაგპირდით, რომ პროლე-
ტკულტის არსებობას გარკვეულ საფუძვლებზე დავიცავდი, მაგრამ რაც შეეხება ბოვდანთვის პროლეტარული კულტურის აბსტრაქციას მე გადაჭრით წინააღ-
მდეგი ვარ თქვენი და თქვენი პროტეგეტორის ამხ. ბუხარინის და საესებით ვე-
თანხმები ვლადიმირ ილიჩს მეთქი.

ამხანაგი ვარდინი, რომელიც ისე არ ლაპარაკობს, თუ არა პარტიული ტრადიციის ცოცხალი გამომხატველის პირობით, უტლანქესად სთელავს ფეხით იმას, რასაც ლენინი პროლეტარული კულტურის შესახებ სწერდა. ცალიერი, გამოფიტული თაყვანისცემა, როგორც ვიცით, ცოტა არ არის ქვეყნად: რაც შეიძლება მაგრად ახსენე ლენინის სახელი და პირდაპირ საწინააღმდეგო კი იქადაგე. ვერშინებში, რომლებიც არ შეიძლება სხვაგვარად გაგებული იქნენ, ლენინმა შეუბრალებლად დაჰგმო „ლაყბობა პროლეტარული კულტურის შესა-
სახებ“. არაფერია, თუმცა, იმაზე ადვილი, რომ თავიდან მოიცილო ეს მოწმო-
ბა. პო, რა თქმა უნდა, ლენინი ჰგმობდა ლაყბობას პროლეტარული კულტუ-
რის შესახებ, მაგრამ ის ხომ სწორედ ლაყბობას ჰგმობდა, ჩვენ კი სრულიადაც არა ვლაყბობთ, არამედ სერიოზულად მოვკიდვთ საქმეს ხელი და დოინჯიც კი შემოვიდგით წელზე. . ამავე დროს ავიწყდებათ მხოლოდ, რომ ლენინი თავის მკაცრსა და მოურიდებელ გმობას სწორედ იმათკენ მიმართაუდა, ვინც მას იხ-
სენიებს, როგორც აოგუმენტს. ცალიერი თაყვანისცემა, ვიმეორებ, რამდენიც გნებავთ: მოიხსენიე ლენინი და წინააღმდეგ კი მოიქვეცი.

ამხანაგებო, აქ პროლეტარული ფორმით გამოსული ორატორები ამა თუ იმ იდეებს იმისდა მიხედვით უდგებიან, თუ როგორ უცქერენ ამ იდეების ავ-
ტორები ამათ პროლეტარულ ჯგუფებს. ეს მე ჩემს საკუთარ ბედზე გა-

მოვცადე. ჩემი წიგნი ლიტერატურის შესახებ, რომელმაც ესოდენ შეამოთა ზოგიერთი ამხანაგები, პირველად, როგორც ეს ზოგს ალბად ეხსოვება, „პრაგ-დაში“ მოთავსებული წერილების სახით გამოქვეყნდა. ესწერდი მე ამ წიგნს ორი წლის განმავლობაში, ორი არდადეგის დროს. ამ გარემოებებში, არც ეხლავე დავინახავთ, მნიშვნელობა აქვს საკითხისათვის, რომელმაც ჩვენს ინტერესებს, როდესაც გამოვიდა, ფელეტონების სახით, წიგნის პირველი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ოქტომბრის გარეშე მდგომ ლიტერატურას, „თანამგზავრებს“, გლების მოტრფიალეთ და იმავე დროს ამჟღავნებდა თანამგზავრობა იდეურ-მხატვრული პოზიციის სიფიწროეს და წინააღმდეგობათა ქსელს, მაშინ „ნაპოსტოველებმა“ პირდაპირ ფარხე ამიყვანეს: საითაც არ მიიხედავდით, ყველგან ციტატები მოჰყავდათ ჩემი წერილებიდან თანამგზავრობა შესახებ. ერთ ხანს მე ძალიან დაღვრემილი დავდიოდი (სიცილი). ჩემ მიერ მოხდენილი „თანამგზავრების“ შეფასება, ვიმეორებ, თითქმის უცოდველად ითვლებოდა, თვით ვარდინიცი არსად შემდავებია (ვარდინი ადგილიდან: „არც ეხლა გედავებით“). აი მეც მაგას ვამბობ. მაგრამ რა მიზეზია, რომ ეხლა თქვენ სულ მუდამ გვერდულს, შემოვლითი პოლემიკას აწარმოებთ „თანამგზავრობა“ წინააღმდეგ? რაშია მაინც აქ საქმე? პირველი შეხედვით ეს სრულებით გაუგებარია. მაგრამ გამოცნობა მაინც ადვილია: ჩემი დანაშაული იმაში კი არ გამოიხატება, რომ მე სწორედ არა მაქვს განსაზღვრული „თანამგზავრობა“ ბუნება ან მათი მხატვრული მნიშვნელობა, — არა, ამბ. ვარდინი როგორც აქ ვავიგონეთ, „არც ეხლა შედავება“, — ჩემი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მე თავყვანი არ ვეცი „ოქტომბრის“ და „კუხნიცას“ მანიფესტებს, არ ვიცანი მათი მონოპოლიური წარმომადგენლობა პროლეტარიატის მხატვრული ინტერესებისა, ერთი სიტყვით, იგივეობათ არ გამოვაცხადე კლასის კულტურულ-ისტორიული ინტერესები და ამოცანები, ერთი მხრით, და მათი სურვილები, გეგმები და ცალკე ლიტერატურული ჯგუფების პრეტენზიები, მეორე მხრით. აი რაშია ჩემი დანაშაული. და როდესაც ეს გამოირკვა, მაშინ ასტყდა, მოულოდნელი თავისი დაგვიანებით, მოთქმა: ტროცკი წერილ — ბურჟუაზიულ „თანამგზავრების“ მხარეზეა. „თანამგზავრების“ მხარეზე ვარ, თუ მათ წინააღმდეგ? რა მხრით ვარ მათკენ და რა მხრით წინააღმდეგ? ეს თქვენ დაახლოვებით ორი წლის წინად გაიგეთ ჩემი წერილებიდან „თანამგზავრების“ შესახებ. მაგრამ მაშინ თქვენ შეთანხმებოდით; მატებდით, ციტატები მოგყავდათ, მიწონებდით. მაგრამ როდესაც, ერთი წლის შემდეგ, გამოირკვა, რომ ჩემი კრიტიკა „თანამგზავრებზე“ სრულიადაც არ არის უბრალო შესაფალი იმისა, რომ ფარხე ავრყვანო ამა თუ იმ მოწაფეების დღევანდელი ლიტერატურული წრე, მაშინ კი ლიტერატორებმა და ამ წრის ან უკეთესთქვათ, წრეების დამცველებმა დაიწყეს რაღაც ბრძნული ლაპარაკი ჩემს ვითომდა მრუდგ მიდგომაზე „თანამგზავრებისადმი“. ო, სტრატეგნო! ჩემი დანაშაული იმაში კი არ არის, რომ მე მრუდეთ დავაფასე პილნიაკი ან მაიაკოვსკი, — არაფერი აქ „ნაპოსტოველებს“ არ მიუმატნიათ, არამედ უფრო ვულგარულად გაიმეორეს ის, რაც ითქვა, — ჩემი დანაშაული იმაშია, რომ მე ცუდად

შევეხე მათ საკუთარ ლიტერატურულ მანუფაქტურას. დიახ, სწორედ ლიტერატურულ მანუფაქტურას! მთელ იმათ ლანძღვა—გინებით სავსე კრიტიკაში კლასიური მიდგომის ნასახიცი კი არა სჩანს. ეს არის კონკურენციის გამწევი ლიტერატურული ჯგუფის მიდგომა და სხვა არაფერი.

მე მოვიხსენიე „გლეხის მოტრფიალენი“, ჩვენ კი გავიგონეთ აქ, რომ „ნაპოსტოველები“ განსაკუთრებით ამ თავს იწონებენ. არა კმარა მოწონება, საჭიროა გაგება. რაშია საქმე აქ, ამ „გლეხის მოტრფიალე“, „თანამგზავრებში?“ საქმე იმაშია, რომ ეს მოვლენა სრულიადაც არ არის შემთხვევითი, არც პატარა, არც მსწრაფლწარმავალი. ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა არის, ისეთ ქვეყანაში, რომელიც, გთხოვთ არ დაივიწყოთ ეს, უმთავრესად გლეხებითაა დასახლებული. ინტელიგენცია ორ ამ კლასს შორის, ისე როგორც წისქვილის ორი ქვის შუა, ცოტაცოტათ იფუჭება და ისევე ლორღინდება, და არ შეიძლება საბოლოოდ დაიფუჭვას, ესე იგი ის შეინახება როგორც „ინტელიგენცია“ კიდევ დიდხანს სოციალიზმის სრულ განვითარებამდე და მთელი მცხოვრებლების კულტურის მეტად მალა აწევამდე. ინტელიგენცია მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს გამახურება, ემორჩილება პროლეტარიატს, ნაწილობრივი წიშის, ნაწილობრივ სინდისის ქვეშ, მერყეობს და არც მოიშლის მერყეობას საქმეთა ვითარების მიხედვით, და თავისი მერყეობით გლეხობაში ეძებს იდეურ დასაყრდენს, აქედან „გლეხის მოტრფიალეების“ საბჭოთა ლიტერატურა. როგორია მისი პერსპექტივები? მტრულად არის იგი განწყობილი ჩვენდამი თავის ფესვშიდავე? ეს გზა ჩვენსკენ მოდის თუ ჩვენგან მიდის? ეს დამოკიდებულია განვითარების საერთო მსვლელობაზე. პროლეტარიატის ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ გლეხობაზე ყოველმხრივი ჰეგემონიის შენარჩუნებით, მიიყვანოს იგი სოციალიზმამდე. თუ კი ჩვენ ამ გზაზე დავმარცხდით, ესე იგი თუ გლეხობასა და პროლეტარიატის შუა განხეთქილება დაიბადა, მაშინ გლეხის მოტრფიალე ინტელიგენციაც, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ინტელიგენციის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი, მტრულად მოუბრუნდება პროლეტარიატს. მაგრამ ასეთი ბოლო არავითარ შემთხვევაში სავალდებულო არ არის. ჩვენ, პირიქით, მიმართულება იმ გეზით გვიჭირავს, რომ გლეხობა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სოციალიზმამდე მივიყვანოთ. ეს გზა მეტად და მეტად გრძელია. მის პროცესში პროლეტარიატიც და გლეხობაც თავის ახალ ინტელიგენციას გამოაჰყოფს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ პროლეტარიატის წიაღიდან გამოსული ინტელიგენცია ასი პროცენტით პროლეტარული ინტელიგენცია იქნება. უკვე ის ფაქტი, რომ პროლეტარიატი იძულებულია გამოაჰყოს თავის წრიდან „კულტურული მუშაკების“ გარკვეული ფენი, აუცილებლად ნიშნავს ცოტას თუ ბევრ კულტურულ დაშორებას მთლიანად აღებულ ჩამორჩენილ კლასსა და მის მიერ გამოყოფილ ინტელიგენციის შორის. მით უმეტეს გლეხურ ინტელიგენციას შეეხება ეს გარემოება. გლეხობის გზა სოციალიზმისაკენ სრულებითაც არ არის იგივე, რაც პროლეტარიატის გზა. და რამდენადაც ინტელიგენციას, თუნდაც არხისაბჭოთა ინტელიგენცია იყოს იგი, არ შეუძლია თავისი გზა შეუერთოს პროლეტარია-

ტის ავანგარდის გზას, იმდენად ის ისწრაფის გამონახოს საკუთარი დასაყრდენი,—პოლიტიკური იდეური, მხატვრული—გლესში, რეალურში ან ნაოცნებარში. მით უმეტეს მხატვრულ ლიტერატურაში იჩენს ეს გარემოება თავის საღაც ჩვენ გვაქვს ძველი ხალხოსნური ტრადიცია. ჩვენს მხარეზეა ციფრ-ფურცლებს წინააღმდეგ? ვიმეორებ: პასუხი საფსებით დამოკიდებულია განვითარების შემდეგ მსვლელობაზე. თუ ჩვენ მივიყვანთ გლესს პროლეტარულ ბუქსირზე სოციალიზმამდე,—და რომ მივიყვანთ ამაში ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული,— მაშინ გლესის მოტრფიალეთა შემოქმედებაც რთული და მიხვეულ-მოხვეული გზებით შეუერთდება მომავალ სოციალისტურ ხელოვნებას.*) საკითხების აი ეს სირთულე და იმავე დროს მისი რეალობა და კონკრეტულობა „ნაპოსტოველებმა“ და არა მარტო იმათ, სრულებით ვერ გაიგეს. ამაშია მათი ძირითადი შეცდომა. ამ სოციალური საფუძველის გარეშე „თანამგზავრებზე“ ლაპარაკი ნიშნავს მხოლოდ ენის ფხანვას და სხვას არაფერს.

ნება მომეცით, ამხანაგებო, ორიოდ სიტყვა კიდევ გითხარათ ამხ. ვარდინის ტაქტიკის შესახებ ლიტერატურის სფეროში; საფუძვლად თუნდა „ნაპოსტუ“-ში მოთავსებული მისი უკანასკნელი წერილი ავიღოთ. ჩემის აზრით, ეს ტაქტიკა კი არა სკანდალია! ტონი წარმოუდგენლად ზეიადი, ხოლო ცოდნა და გაგება კი საშინლად მცირე. არ არის ხელოვნების გაგება ისე, როგორც ხელოვნების, ესე იგი როგორც ადამიანის შემოქმედების განსაკუთრებული, სპეციფიური სფეროსი. არ არის არც მარქსისტული გაგება იმისი, თუ რა პირობებში და რა გზებით ვითარდება ხელოვნება. ამის მაგივრად არის შეუფერებელი ჯამბაზობა ციტატებით უცხოეთის თეთრგვარდიელთა ორგანოებიდან, რომლებმაც ცოდნისა და გაგების ნაკლი უნდა შეავსონ. ამხ. ვარდინის უკანასკნელი წერილი აგებულა იმაზე, რომ თეთრგვარდიელთა გაზეთმა მოიწონა ვორონსკი ვარდინის წინააღმდეგ, როცა გაზეთმა დასწერა, რომ მთელი ომი მაშინ ატყდა, როდესაც ვორონსკიმ ლიტერატურას ლიტერატურული თვალსაზრისით შიდგომა დაუწყო. „ამხ. ვორონსკი, თქვენნი პოლიტიკური ქცევით—ასე

*) ამ ძირითადი კლასობრივი დამოკიდებულების გვერდით ებღა. ბურჟუაზიის ზრდის გამო ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე, ჩდება—ძველი ნაგალი გზით—ბურჟუაზიული ინტელიგენციის აღორძინება, რომელიც, რა თქმა უნდა, მხატვრულ შემოქმედებასაც დაჰყარავს. სწორედ ამ აზრით ვსწვრდი ჩემს წიგნში, რომ მხატვრობის სფეროში, მოქნილი და შორსმჭკრეტელი პოლიტიკის გვერდით, ჩვენ გვესაჭიროება თამამი და მკაცრი, რა თქმა უნდა, არა წვრილმანი ცეხურა. ეს ნიშნავს: წვრილბურჟუაზიული, კლესური, კლესის მოტრფიალეთა ინტელიგენციის შემოქმედების ელემენტთა გვერდით ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სასტაციო პოლიტიკური ბრძოლა რესტარვატორების ყოველგვარ ცდასთან იმ მიმართულებით, რომ ბურჟუაზიული გავლენის ქვეშ მთაქციონ ახალი საბჭოთა ხელოვნება.

ამბობს ვარდინი—თქვენ საუსებით დაიმსახურეთ ეს თეთრგვარდიელი ამბოროი“. მაგრამ ეს ხომ ინსინუაცია არის და არა საკითხის ანალიზი! ვარდინს რომ უბრალო რიცხვების გამრავლება არ შეეშალოს, ხოლო ფორტონსკის ამასში არითმეტიკის მცოდნე თეთრგვარდიელთან მოუხდეს შეხვედრა—მაქსიმოვსკის პოლიტიკური რეპუტაციისთვის ჯერ კიდევ საზარალო არაფერი იქნება, დიახ, ხელოვნებას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ხელოვნებას, ლიტერატურას როგორც ლიტერატურას, ესე იგი როგორც ადამიანის შემოქმედების სპეციფიურ სფეროს. ცხადია, ჩვენ გვაქვს კლასობრივი საზომი ხელოვნებაშიც, მაგრამ ეს კლასობრივი საზომი მხატვრულად უნდა იქნეს გადატესილი, ესე იგი უნდა შეუთანხმდეს იმ შემოქმედების განსაკუთრებით სპეციფიურ თვისებებს, რომელსაც ჩვენ ჩვენს საზომს ვუყუენებთ. ბურჟუაზიამ ეს მშვენივრად იცის, ისიც თავისი კლასობრივი თვალსაზრისით უდგება ხელოვნებას, იგი ახერხებს მიიღოს ხელოვნებისაგან ის, რაც მას უნდა, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ის ხელოვნებას უდგება ისე, როგორც ხელოვნებას. რა გასაკვირალია, თუ მხატვრულ დარგში ანბანის მცოდნე ბურჟუა უპატივცემულოდ მოიხსენებს ვარდინს, რომელიც ხელოვნებას პოლიტიკური ღალატის არაპირდაპირი ნიშნების ჩხრეკით უდგება, და არა მხატვრულ-კლასობრივი საზომით? და თუ მე მრცხვენია რისამე, მრცხვენია იმისი კი არა, რომ მე ამ კამათში ფორმალური შეხვედრა გამომივა ხელოვნების მცოდნე რომელიმე თეთრგვარდიელთან, არამედ იმისი, რომ მე იძულებული ვარ აუხსნა ამ თეთრგვარდიელის წინაშე პირველი ანბანი ხელოვნებაში ხელოვნებაზე მოლაპარაკე პარტიულ პუბლიცისტს, რა იაფი რამ არის მაინც ეს: საკითხის მარქსისტული ანალიზის მაგიერ მონახო ციტატა „რულ“-იდან ან „დნი“-დან და დაახვიო მის გარშემო გინება და ინსინუაცია!

არ შეიძლება მხატვრობას ისე მივუდგეთ, როგორც პოლიტიკას,—არა იმიტომ, რომ მხატვრული შემოქმედება მღვდელმთავრებზე და მისტიკა იყოს, როგორც ამას ირონიულად ამბობდა აქ ვილაც, არამედ იმიტომ, რომ მას თავისი წესი და მეთოდები აქვს, თავისი კანონები განვითარების, და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მხატვრულ შემოქმედებაში უდიდეს როლს ასრულებენ ქვეცნობიერი პროცესები—უფრო ნელი, უფრო ხარმაცი და ნართვის, სელმძღვანელობის ნაკლებად ამტანი—სწორედ იმიტომ, რომ ისინი ქვეცნობიერი არიან. აქ ითქვა, რომ პილნიაკის ის ნაწერები, რომლებიც ახლოა კომუნიზმთან, უფრო სუსტია იმის ისეთ ნაწერებთან შედარებით, რომელიც პოლიტიკურად უფრო შორს არის ჩვენგან. რით აიხსნება ეს? სწორედ იმიო, რაციონისტურ გეგმაში პილნიაკი წინ უსწრებს თავის თავს, როგორც მხატვარს. საკუთარი ღერძის გარშემო შეგნებულად თავის თავის შემოტრიალება თუნდაც რამდენიმე გრადუსზე—ეს მხატვრისთვის უძნელესი ამოცანა არის, რომელიც ხშირად ღრმა, ხანდახან მომაკვდინებელ კრიზისთანაა დაკავშირებული. ხოლო ჩვენს წინაშე კი ხელოვნების არა ინდივიდუალური ან ჯგუფური, არამედ კლასობრივი, სოციალური შეტრიალების საკითხია წამოჭრილი. ეს პროცესი ხანგრძლივია და რთული მეტად. როდესაც ჩვენ პროლეტარული ლიტერატურის შესახებ ვმსჯელობთ, არა იმ ცალკე, ასე

თუ ისე მოსაწონი ლექსების ან მოთხრობების მხედველობაში მიღებით, არამედ იმ შეუღარებლად უფრო ფართე შეგნებით, რომლითაც ჩვენ ბურჟუაზიულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უფლება არა გვაქვს თუნდა ერთი წუთით მაინც დავივიწყოთ პროლეტარიატის უდიდესი ნაწილის უკიდურესი კულტურული ჩამორჩენა, ხელოვნება კლასისა და მხატვართა ყოფა-ცხოვრების, კულტურის იდეათა ურთიერთ დანოკიდებულების ნიადაგზე იჭმნება. არისტოკრატის ან ბურჟუაზიის და მათი არტისტების შუა არა ყოფილა ყოველდღიური განხეთქილება, მხატვრები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ბურჟუაზიულ პირობებში, სუნთქავენ ბურჟუაზიული სალონების ჰაერით, იღებდნენ და იღებენ თავიანთი კლასიდან ყოველ დღე კან ქვეშ შეშხაბუნებას. ამითი იკვებებიან მათი შემოქმედების ქვეცნობიერი პროცესები. წარმოადგენს თუ არა თანამედროვე პროლეტარიატი ისეთ კულტურულ—იდეურ წრეს, რომლის ყოველდღიურ ცხოვრებიდან გამოუსვლელად, ახალი მწერალი შესძლებს მიიღოს ყველა მისთვის აუცილებელი შთაგონებანი და იმავე დროს თავისი ხელოვნების ტექნიკური ხერხები შეითვისოს და დაიმორჩილოს? არა, მუშათა მასები კულტურულად მეტისმეტად ჩამორჩენილები არიან; მუშათა უმეტესი ნაწილის მიერ წერა-კითხვის მცირე ცოდნა ან სრული უცოდინარობა უკვე თავის თავად უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ამ გზაზე. პროლეტარიატი ამის გარდა, რამდენადაც ის პროლეტარიატად რჩება, იძულებულია თავისი სხუკეთესო ძალები შესწიროს პოლიტიკურ ბრძოლას, მეურნეობის აღორძინებას და სრულიად ელემენტარულ კულტურულ მოთხოვნილებებს, ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ტილიანობასთან, სიფილისთან და სხვა. რა თქმა უნდა, პროლეტარიატის პოლიტიკურ შეთოდებს და რევოლუციონურ გამოცდილებებს შეიძლება მისი კულტურა ვუწოდოთ; მაგრამ ეს, ყოველ შემთხვევაში, ის კულტურა არის, რომელიც თანდათან უნდა მოკვდეს ახალი ნამდვილი კულტურის განვითარების მიხედვით. ეს ახალი კულტურა კი მით უფრო გახდება კულტურად, რაც ნაკლებ დარჩება პროლეტარიატი პროლეტარიატად, ესე იგი რამდენადაც უფრო წარმატებით და სავსებით გაიწლება სოციალისტური საზოგადოება.

მაიაკოვსკიმ მეტად ძლიერი რამ დასწერა „ცამეტი მოციქული“, რომლის რევოლუციონურობა ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვანი და უფორმოა. ხოლო როდესაც მაიაკოვსკიმ გადასწყვიტა პროლეტარულ ხაზში ჩადგომა და დასწერა „150 მილიონი“, მას უსასტიკესი რაციონალისტური დამარცხებები გამოუვიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან ლოდიკური წესით თავისი შემოქმედების სარჩულს გაასწრო. პილნიაკშიც, როგორც უკვე ვსაქვით, ამგვარსავე შეუთანხმებლობას აქვს ადგილი ცნობიერ მისწრაფებისა და შემოქმედების ქვეცნობიერ პროცესებ შორის. ამას უნდა დაუმატოთ მხოლოდ, რომ არნიპროლეტარული წარმოშობაც კი თავის თავად არ აძლევს დღევანდელ პირობებში მწერალს არავითარ გარანტიას, რომ მის შემოქმედებას ორგანიული კავშირი ექნება კლასთან. არც პროლეტარული მწერლების წრე იძლევა ამ გარანტიას სწორედ იმიტომ, რომ ის არსებულ პირობებში იძულებულია, როდესაც მხატვრულ შემოქმედებას ეძ-

ლევა, გამოითიშოს თავისი კლასიდან და ისუნთქოს ბოლოს და ბოლოს იმავე ატმოსფეროთ, რომელითაც „თანამგზავრები“ სუნთქავენ. ეს არის ლიტერატურული წრე ლიტერატურულ წრეთა შორის.

მე მინდოდა კიდევ ეგრედ წოდებული პერსპექტივის ^{უკუჩვენებელი} ქმედება არაა, მაგრამ ჩემი ვადა უკვე დიდხანია გავიდა (ხმები: გთხოვთ, გთხოვთ). „პერსპექტივა მაინც მოგვეცი“, მედავეებიან მე, რას ნიშნავს ეს? „ნაბოსტოველები“ და არა თუ ისინი მარტო, მათი მოკავშირე ჯგუფებიც ლაბორატორიული, ჯგუფური გზით შექმნილ პროლეტარულ ლიტერატურაზე იღებენ გეზს. ამ პერსპექტივას მე მთლიანად უარვყოფ. მე კიდევ ვიმეორებ, რომ არ შეიძლება ერთ ისტორიულ რიგში ჩავაყენოთ ლიტერატურა ფეოდალური, ბურჟუაზიული და პროლეტარული. ასეთი ისტორიული კლასიფიკაცია ძირშივე შეუწყნარებელია. ამის შესახებ მე ვსწერდი ჩემს წიგნში და ყველა გამოკამათება დაჯერების ძალას და სერიოზულობას ნაკლებულად მეჩვენა. ისინი, ვინც სერიოზული და ხანგრძლივი პროლეტარული კულტურის შესახებ ლაპარაკობენ, რომლებიც პროლეტარული კულტურიდან პლათფორმასა ჰქმნიან, ამ საკითხში ბურჟუაზიასთან ფორმალური ანალოგიით აზროვნობენ. ბურჟუაზიამ აიღო ხელში ძალაუფლება და შექმნა თავისი კულტურა; პროლეტარიატმა დაიპყრო ძალაუფლება და ჰქმნის პროლეტარულ კულტურას. მაგრამ ბურჟუაზია მდიდარი კლასია და ამიტომ განათლებული. ბურჟუაზიული კულტურა უკვე არსებობდა მანამდე, სანამ ის ხელისუფლებას ფორმალურად დაიპყრობდა. ბურჟუაზიამ დაიპყრო ძალა-უფლება იმისათვის, რომ სამუდამოდ განემტკიცებია თავისი ბატონობა. პროლეტარიტი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გალატაკებული კლასია, და ამიტომ თავის კულტურას ის ვერ შექმნის. ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ ის მხოლოდ პირველად რწმუნდება ნამდვილად თავის საშინელ კულტურულ ჩამორჩენაში. რომ სძლიოს ეს ჩამორჩენა, მან უნდა მოსპოს ის პირობები, რომელიც ინახავენ მას, როგორც კლასს. რაც უფრო მეტი ლაპარაკი იქნება შესაძლებელი ახალი კულტურის შესახებ, მით უფრო ნაკლები კლასობრივი ხასიათის მატარებელი იქნება იგი. ამაშია საკითხის საფუძველი და მთავარი უთანხმოება იმდენად, რამდენადაც საკითხი პერსპექტივას შეეხება ზოგიერთები სთმობენ პროლეტარული კულტურის პრინციპიალურ პოზიციებს და ამბობენ: ჩვენ გვაქვს მხედველობაში მხოლოდ გარდამავალი სანასოციალიზმამდე, — ის ოცი, ოცდაათი, ორმოცდაათი წელი, რომლის განმავლობაშიც ბურჟუაზიული ქვეყანა გარდაიქმნება. შეიძლება კი პროლეტარიატისათვის დანიშნულ და გამოსადექ ლიტერატურას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შეიქმნება, პროლეტარული ლიტერატურა ვუწოდოთ? ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ თვრამინს „პროლეტარული ლიტერატურა“ ვაძლევთ არა იმ ფართე მნიშვნელობას, რომელსაც მას პირველ შემთხვევაში ვაძლევდით. მაგრამ მთავარი საკითხი ამაში როდია. საერთაშორისო მასშტაბით აღებული გარდამავალი ხანის ძირითადი თვისება ძარღვებდაჭიმული კლასობრივი ბრძოლა არის. ის ოცი-ორმოცდაათი წელი, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა აშკარა სამოქალაქო ომის ხანად უნდა ჩაითვალოს. ხოლო სამოქალაქო ომი, რომელიც მომავალს უდი-

დეს კულტურის ნიადაგს უმზადებს, უაღრესად არახელსაყრელია ^{დღევანდელი} კულტურისათვის. თავისი უშუალო მოქმედებით ოქტომბერში ^{თითქმის} მოჰკლა ლიტერატურა. პოეტები და მხატვრები გაჩუმდნენ. შემთხვევით? არა. დიდინანია ნათქვამია: როდესაც იარაღის ეღარუნე ისმის, მუხები სდუმან. საჭირო შეიქნა შესვენება, ლიტერატურა რომ გამოცოცხლებულიყო. ის იწყებს აღორძინებას ჩვენში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან ერთად. გამოცოცხლდა თუ არა, ის მაშინვე შეიღება „თანამგზავრების“ ფერით. არ შეიძლება ფაქტებს ანგარიში არ გაუწიოთ, განსაკუთრებით ძარღვებდაჭიმული მომენტები, ესე იგი ისინი, რომლებშიაც თავის გამოხატულებას ნახულობს ჩვენი რევოლუციონური ეპოქა, ხელსაყრელი არ არის ლიტერატურული და საერთოდ მხატვრული შემოქმედებისათვის. ხეალ რომ გერმანიაში ან ევროპაში რევოლუცია დაიწყოს, მოგვცემს იგი ჩვენ პროლეტარული ლიტერატურის უშუალო აყვავებას? არავითარ შემთხვევაში. ის კი არ გაშლის, არამედ მოკუმშავს, შეხუთავს მხატვრულ შემოქმედებას, ვინაიდან ჩვენ ხელახლა მოგვიხდება მობილიზაციის მოხდენა და შეიარაღება. ხოლო როდესაც იარაღის ეღარუნე ისმის, მუხები სდუმან. (ხმები: „დემიანი არ სდუმდა“). ეჰ, არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს ასე: დემიანი და დენიანი. თქვენ იწყებთ იქედან, რომ პროლეტარული ლიტერატურის ახალ ერას აცხადებთ, ჰქმნით ამისათვის წრეებს, ასოციაციებს, ჯგუფებს, ხოლო როდესაც თქვენგან პროლეტარული ლიტერატურის უფრო კონკრეტულ წამოყენებას მოითხოვენ, თქვენ ერთხმად იხსენიებთ დენიანს. მაგრამ დემიანი ძველი, ოქტომბრის წინა დროის ლიტერატურის პროლექტია. არავითარი შკოლა მას არ შეუქმნია და ვერც შეჰქმნის. ის აღიზარდა კრილოვზე, გოგოლზე და ნეკრასოვზე. ამ აზრით ის არის რევოლუციონური ნაბოლარა ჩვენი ძველი ლიტერატურის. თვით მისი ხსენება თქვენს პირში ნიშნავს თქვენი თავის უარყოფას...

როგორია ბოლოს პერსპექტივა? ძირითადი პერსპექტივა—წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელება. მუშკორები, კინო, ყოფა-ცხოვრების თანდათან გარდაქმნა, კულტუროსნობის უფრო მაღალ საფეხურებზე აყვანა. ეს არის ძირითადი პროცესი, რომელიც ეხლართება სამოქალაქო ომის ახალ გამწვავებებს ევროპის მასშტაბით. ამ საფუძველზე წმინდა ლიტერატურული შემოქმედების ხაზი მეტად მიხვეულ-მოხვეული იქნება. „კუხნიცა“, „ოქტომბერი“ და სხვა ასეთი გაერთიანებანი ჯერ კიდევ არაეისარი აზრით არ შეიძლება ჩაითვალოს პროლეტარიატის კულტურული კლასობრივი შემოქმედების ვეებზად, არამედ მალა ამოტივტივებულ ეპისოდური ხასიათის მოვლენად. თუ ამ დაჯგუფებათაგან გამოვარამდენიმე კარგი ახალგაზდა პოეტი ან ბელეტრისტი—აქედან პროლეტარული ლიტერატურა არ შეიქმნება, მაგრამ სარგებლობა კი იქნება. მაგრამ თუ თქვენ შეეცდებით, რომ მ. პ. მ. ა. და ს. პ. მ. ა. პროლეტარული ლიტერატურის ქარხნებზად გადააქციოთ, მაშინ თქვენ უსათუოდ დამარცხდებით, როგორც მარცხდებოლდით აქამდე. ასეთი ასოციაციის წევრი სთელის თავის თავს არ ვიცი პროლეტარიატის წარმომადგენლად ხელოვნებასთან, არ ვიცი ხელოვნების წარმომადგენლად პროლეტარიატთან. ს. პ. მ. ა. ერთგვარ სახელწოდებას იძ-

ლევა. პასუხად ამბობენ, რომ ს. პ. მ. ა. არის მხოლოდ კომუნისტური წრე, სადაც ახალგაზრდა პოეტი იღებს შესაფერ დარიგებებს და ჩაგონებს; მუშათა კომუნისტური პარტია რაღა არის? თუ ის კემმარტი პოეტის ნამდვილი კომუნისტი, მაშინ კომუნისტური პარტია მთელი თავისი მუშაობით გაცილებით უკეთ დაარიგებს და ჩააგონებს, ვიდრე მ. პ. მ. ა. და ს. პ. მ. ა. რა თქმა უნდა, პარტია ვალდებულია და კიდევაც მოექცევა უდიდესი ყურადღებით ყოველ ახალგაზრდა, იდეურად მასთან ახლო მდგომ მხატვრულ ნიჭს. მაგრამ მის ძირითად ამოცანას ლიტერატურისა და კულტურის მიმართ წარმოადგენს მშრომელი მასების მიერ უბრალო, პოლიტიკური თუ მეცნიერული, ანბანის ცოდნის აწევა და მით ახალი ხელოვნებისათვის ბაზის შექმნა.

მე ვიცი, რომ ეს პერსპექტივა თქვენ არ გაკმაყოფილებთ. ის თქვენ საკმაოდ კონკრეტულად არ მიგაჩნიათ. რატომ? იმიტომ, რომ კულტურის შემდეგი განვითარება მეტად გეგმიანად, მეტად ევოლიუციონურად წარმოვიდგენიათ: გაიზრდება და გაიფურჩქნება თანდათან პროლეტარული ლიტერატურის ნასახი, შემდეგ ის სოციალისტურ ლიტერატურის შეუერთდებაო. არა, განვითარება ასე არ წავა. ამ შესვენების შემდეგ, როდესაც ჩვენში—პარტიაში კი არა, სახელმწიფოში—„თანამგზავრთა“ მიერ ძლიერ შეღებილი ლიტერატურა იქმნება, ატყდება სამოქალაქო ომის ახალი უსასტიკესი ქარიშხალი. ჩვენ აუცილებლად ვიქმნებით შიგ ჩათრეული, ძალიან შესაძლებელია, რომ რევოლუციონური პოეტები კარგ ბრძოლის სიმღერებს მოგვცენ, მაგრამ ლიტერატურის განვითარების თანამიმდევრობა მაინც მუყუთრად გაწყდება. ყველა ძალები უშუალო ბრძოლისათვის მიიღებს დანიშნულებას. გვექნება კი შემდეგ მეორე შესვენება? არ ვიცი. მაგრამ ამ ახალი, გაცილებით უფრო ძლიერი სამოქალაქო ომის პერიოდის შემდეგ აუცილებლად ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ბაზის სრული განმტკიცება იქმნება. ჩვენ მივიღებთ ახალ ტენიკას; ორგანიზატორულ დახმარებას. ჩვენი განვითარება სხვა ტემპით წავა. და აი ამ ნიადაგზე, სამოქალაქო ომის მიერ გამოწვეული ძირიან-ფესვიანი შეტორტმანების შემდეგ, დაიწყება მხოლოდ კულტურის ნამდვილი შენება და, მაშასადამე, ახალი ლიტერატურის შექმნა. მაგრამ ეს სოციალისტური კულტურა იქნება, ის მთლიანად დაეყრდნობა მხატვარისა და კულტურულად განვითარებული მასების მუდმივ კავშირზე. თქვენ კი ამ პერსპექტივიდან არ გამოდიხართ; თქვენ თქვენი, ჯვფფური პერსპექტივა გაქვთ. თქვენ ვინდათ, რომ პარტიაში კლასის სახელით ოფიციალურად იშვილოს თქვენი პატარა მხატვრული მანუფაქტურა; თქვენ ფიქრობთ, რომ ყვავილის ქოთანში ჩარგულ ლობიოდან პროლეტარული ლიტერატურის ხეს ამოიყვანო. ამ გზაზე ჩვენ არ დავდგებით. ლობიოდან არავითარი ხე არ შეიძლება რომ ამოვიდეს.



ქართველთა
მწერთა კავშირი

მწერალთა ერთი ჯგუფის წერილი, გაშუქება- გული თათბირზე.

ჩვენ, მწერლებმა, გავიგეთ რა, რომ რ. კ. პ. ც. კ. ბექდვითი განყოფილება აწყობს ლიტერატურულ პოლიტიკის შესახებ თათბირს, საჭიროდ ვსცნობთ ვა-
ფუწყით თათბირს შემდეგი:

ჩვენ ვსცნობთ, რომ თანამედროვე რუსულ ლიტერატურის—ე. ი. ჩვენ-
გზა მკიდროდ გადაჯაჭვულია საბჭოთა, ოქტომბრის რუსეთთან. ჩვენ ვსცნობთ,
რომ ლიტერატურა უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატველი იმ ახალი ცხოვრების,
რომელიც ჩვენ გარს გვარტყია, რომლითაც ჩვენ ვსცხოვრობთ, ვნუშაობთ—და
მეორე მხრით მან უნდა შექმნას მწერლის ინდივიდუალური პიროვნება, რომ-
ელიც თავისებურად შეიგრძნებს ამ ქვეყანას და მისი თავისებურად გამოხატ-
ველი იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერლის ტალანტი და მისი შეფარდება
უპოქასთან მწერლის ორი ძირითადი ღირებულება არის; მწერლობის ასეთ შე-
გნებით ჩვენთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი მოდიან კომუნისტ მწერლე-
ბის და კრიტიკოსების მთელი რიგი. ჩვენ ვესალმებით ახალ მწერლებს, მუ-
შებს და გლეხებს, რომლებიც ეხლა მონაწილეობას იღებენ ლიტერატურაში.
ჩვენ არასდროს არ ვახდენთ დაპირისპირებას ჩვენსა და მათ შორის, და არა
უსთვლით მათ ჩვენს მოწინააღმდეგეთ ან ჩვენთვის უცხო მოვლენად. მათი შრომა
და ჩვენი შრომა არის თანამედროვე ლიტერატურის ერთიანი შრომა, რომელ-
იც ერთი გზით და ერთი მიზნისკენ მიდის.

საბჭოთა ახალი ლიტერატურის გზა არის ძნელი გზა, აქ აუცილებელია
შეცდომები. ეს შეცდომები ყველაზე მეტად თვით ჩვენთვის არის საგრძნობი
და ძნელი. მაგრამ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ იერაშების გამო, რომელიც
ჩვენსე მოაქვთ. ჩვენ ვაღვიარებთ, რომ ისეთ ჟურნალების კილო და კრიტიკა,
როგორიც არის „ნა პოსტუ“ და რომელიც თავის თავს სთვლის რ. კ. პ. აზრის
მთლიანად გამომხატველად, ჩვენი ლიტერატურული მუშაობის წინააღმდეგ
ილაშქრებს წინასწარ განზრახვით და უსამართლოდ. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით
განვაცხადოთ, რომ ასეთი დამოკიდებულება ლიტერატურასთან ყოველად დაუ-
შვებელია, ის არ შეეფერება არც ლიტერატურას და არც რევოლუციის და
ახდენს მწერალთა და მკითხველ მასებში დემორალიზაციას. საბჭოთა რუსეთის
მწერლებო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთისთვის საჭირო და სასარ-
გებლოა ჩვენი მწერლობითი შრომა.

პ. საკულინი, ნ. ნიკანდროვი, ვალენტინ კატაევი, ალექსანდრე იაკოვ-
ლევი, მიხეილ კოზირევი, ბორ. პილნიაკი, სერგეი კლიჩკოვი, ანდრია სო-
ბოლი, სერგეი ეხენინი, მიხ. გერასიმოვი, ვ. კირილოვი, აბრამ ეფროსი, იუ-

რი სობოლევია, ვლ. ლილინი, თ. მანდელშტამი, ვ. ლვოვ-როგაჩევსკი, ს. პოლიაკოვი, ი. ბაბელი, ალ. ტოლსტოი, ეფიმ ზოზუღია, მიხეილ პრიშვინი, მაქსიმილიან ვოლოშინი, ს. ფედორჩენკო, პეტრე ორუშინი, ვენკა ინბერი, ნ. ტიხონოვი, მ. ზოზჩენკო, ე. პოლონსკაია, მ. ხლონიშჩიკი, გ. კავერიანი, ვს. ივანოვი, ნ. ნაკიტინი, ვიაჩ. შიშკოვი, ა. ჩაპიგინი, მ. შაგინიანი, თ. ფორში.

მოსკოვი. 9 მაისი 1924 წ.

თათბირზე მიღებული რეზოლუცია.

1. თათბირი აღიარებს, რომ პარტიის ძირითადი მუშაობა მხატვრულ ლიტერატურის დარგში დამყარებული უნდა იყოს იმ მუშათა და გლეხთა შემოქმედებაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის კულტურულ აღორძინების პროცესში მუშათა და გლეხთა მწერლები ხდებიან; მუშა და სოფლის კორესპონდენტები წარმოადგენენ ახალ საზოგადოებრივ ძალას, რომელიც აქტიურად მონაწილეობას იღებს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ აღმშენებლობაში და ორგანიულად დაკავშირებულია მუშათა და გლეხთა მასებთან. მუშკორებსა და სოფლის კორესპონდენტებს ჩვენ უნდა შევხედოთ არა მარტო როგორც მონივალ ჟურნალისტების კადრს, არამედ როგორც სათადარიგო არმიას, რომლისაგანაც მომავალში წარმოიშობიან მუშათა და გლეხთა ახალი მწერლები.

2. ჩვენი მოყალბობაა ვნა გაფუკაფოსა და წინ წავსწიოთ პროლეტართა და გლეხთა ის მწერლები, რომლებიც მოვიდნენ ჩვენთან ნაწილი პირდაპირ დაზვიდან და სახნისიდან, ნაწილი იმ ინტელიგენტური წრის ფენებიდან, რომელიც ოქტომბრის დღეების და სამხედრო კომუნიზმის დროს რ. კ. პ. რიგებში შემოვიდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომსომოლების წრიდან იმ მწერლებსა და პოეტებს, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ მუშათა ახალგაზდობაში, და რამდენადმე მისი სულის განწყობილების გამოხატველია.

3. თათბირი საჭიროდ სცნობს განაგრძოს პარტიის წინანდელი ხაზი ეგრედწოდებულ „თანამგზავრების“ შესახებ. საჭიროა სისტემატიურად ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ იმათგან უფრო ნიჭიერებს, რომლებიც იზრდებიან კომუნისტებთან ერთად იმხანაგური მუშაობის სკოლაში. „თანამგზავრებთან,“ ბრძოლის ის მეთოდი, რომელსაც აწარმოებს ჟურნალი „ნა პოსტუ“, საბჭოთა ხელისუფლებიდან და პარტიიდან ზურგს აქცევინებს ნიჭიერ მწერლებს, ხელს უშლის პროლეტარულ მწერალთა ზრდას, რომელნიც მათთვის საჭირო სურით-ზული მხატვრული და პოლიტიკურ მუშაობის მაგიერ „თანამგზავრების“ მწვავე კრიტიკას აწარმოებენ. იმავე დროს საჭიროა პარტიული კრიტიკის სათანადო დონეზე დაყენება და გაჯანსაღება. პარტიული კრიტიკა ერთ და იმავე დროს მხარს უნდა უჭერდეს ნიჭიერ საბჭოთა მწერლებს და თან უნდა უჩვენებდეს მათ შეცდომებს, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ მწერლებს

სათანადოდ შეგნებული არა აქვთ საბჭოთა წეს-წყობილების ხასიათი; ამ კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ სსლიონ მათ ყოველივე ბურჟუაზიული ცრუ-აზროვნობა.

4. იმ მწერალთა წრეების, ჯგუფების და კავშირების შორის განწყობილება, რომლებიც ეხლა არსებობენ, უნდა ცნობილი იქნას როგორც ფრიად არა ნორმალური. ბოგემის და ჯგუფობრივობის აღმოსაფერა, რომელიც გამეფებულია არა მარტო „თანამგზავრებში“, არამედ პროლეტარულ ჯგუფებშიც. („ოქტომბერი“ „კუხნიცა“) უნდა დაგმობილ და ამოწურულ იქნას, როგორც უმკველად დაცემის ნიშანი და წინანდელი მწერლის მშრომელ მასისაგან ბურჟუაზიული მოწყვეტის მაჩვენებელი.

5. ჩვენს პერიოდულ და არა პერიოდულ პრესაში (გაზეთები, ჟურნალები კრებულები და სხვა.) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ვერ არის რიგზე დაყენებული და ამიტომ არადაშაკმაყოფილებელია. არა თუ სპეციალური და პროვინციალური, არამედ თვით ზოგად-მასიური და ხელმძღვანელი (ცენტრალური) პრესა ნაკლებ ყურადღებას აქცევს კრიტიკას. თათბირს საჭიროდ მიაჩნია დაუყონებლივ მოგვარდეს ეს საკითხი და პარტიულად სავსებით გაშუქდეს საბჭოთა პარტიულ პრესაში ყოველი მხატვრული ნაწარმოები.

6. აღვიარებს რა, რომ არც ერთი ლიტერატურულ მიმდინარეობას ან ჯგუფს არ შეუძლია გამოვიდეს პარტიის სახელით, თათბირი სასურველად სცნობს ხშირ ხშირად მოეწყოს მწერალთა და კომუნისტ-კრიტიკოსების თათბირი რ. კ. პ. ც. კ. ბეჭდვითი განყოფილებასთან და სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიონ პარტიის წევრებს და პარტიულ ბეჭდვითი ორგანოებს მხატვრულ ლიტერატურის სფეროში.

გიგლიოგრაფია.

პროფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II ტომი.
საერო მწერლობა მე-11 - 18 ს. ტფ. 1921 წ. 525 გვ.

პროფ. კორნ. კეკელიძის დასახელებული წიგნი წარმოადგენს მის მიერვე შედგენილ და გასული წლის დასაწყისს გამოქულ ქართული ლიტერატურის ისტორიის გაგრძელებას (I ტომი, ძველი მწერლობა). პირველი ტომი წარმოგვიდგენდა ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიას, თუმცა იქვე მოთავსებული იყო ძველი ქართული მატიანის ერთი ნაწილის გარჩევა (გვ. 238-251) და აგრეთვე აბდულ-მესიანის სახელით ცნობილ შესხმის განხილვა (გვ. 332-342). ეხლახან გამოსული მეორე ტომი ეხება ქართული საერო მწერლობის ისტორიას. მასალის ასეთი დანაწილება არ შეიძლება მიხანშეწონილად ჩაითვალოს, რადგანაც საერო და საეკლესიო ლიტერატურის ცალკე გამოყოფით, როგორც ეს კ. კეკელიძეს აქვს, შეუძლებელი ხდება ქართული მწერლობის, აზროვნებისა და შემოქმედების ხასიათის მთლიანი და პერსპექტიული განხილვა. ამ მიზეზით კ. კეკელიძის ორივე წიგნი არსებითად წარმოადგენს მხოლოდ მასალების დაგროვების ცდას და ეს ცდა უფრო კარგად არის შესრულებული საეკლესიო მწერლობის მხრივ (კ. კეკელიძე ითვლება სწორედ საეკლესიო მწერლობის სპეციალისტად). მაგრამ რამდენადაც მწერლობის განვითარების ცალკე საფეხურები დაკავშირებული იყო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებასთან ან და მძლავრ და წინა აზრისთვის გარდამწყვეტ მნიშვნელობის მქონე კულტურულ ხასიათის ფაქტორებთან, რომელთა გაუთვალისწინებელივ, რასაკვირველია, შეუძლებელია მთავარ წმინდა ლიტერატურული ხასიათის საკითხების სწორედ დაყენება, იმდენად კ. კეკელიძის ნაშრომში ვხედავთ სოფიერთ ძირითადი ხასიათის ნაკლულგვანებას. ჩვენ ამ უამად აქ მხედველობაში გვაქვს ახლად გამოსული მეორე ტომი, რომელიც

საერო მწერლობის ისტორიას წარმოგვიდგენს.

საკმარისია ითქვას, რომ კ. კეკელიძე ქართულ საერო მწერლობას იწყებს მე-11 საუკუნით, რომელ დროსაც აქამდის მიეკუთვნებოდა, კ. პატკანოვის მიერ ამ 40 წლის წინად წამოყენებული უარყოფითი კრიტიკის ხედგავლენით, ქართული მატიანეების ძველი ნაწილი. ეხლა ეს ახრი, რომელსაც ერთ დროს ჩვენც ვადექით, უკვე მოძველებულია და მასზე დაყრდნობა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მართალია კ. კეკელიძე ერთ ადგილს (გვ. 4) ამბობს, რომ ჯერ კიდევ მე-7-მ საუკ. ქართულად დაწერილი ყოფილა ნახევრად ისტორიული, ნახევრად პოეტური ნაწარმოები (იგულისხმება მატიანის დაწყებითი ნაწილი), მაგრამ რადგან ეს ახრი პირველად წამოყენებული და შემუშავებული იყო არა კ. კეკელიძის მიერ (თუმცა ის ამბობს — „ჩვენ გამოვარკვეითო“), ამიტომ ამ დებულებამ წიგნში ვერ პოვა სათანადო გამოყენება და განვითარება. ის დარჩა ხელოვნურად განმარტოებით. ეს გარემოება კი სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამის გამო ავტორი ასცდა ძიების უფრო სწორ გზას. მართალია ძველი ქართულ მწერლობის საკითხთაგან ბევრი რამ შეიძლება ჯერ სადღო იყოს, მაგრამ თუ მივიჩნებთ მხედველობაში ძველი ქართლის კულტურულ და ეკონომიურ განვითარების საერთო ხაზებს, ცხადი ხდება, რომ ბერძნულ და სომხურ წყაროსთან ერთად ძველს ქართულს სოლიერ კულტურას ნიშარათულებას აძლევდა სპარსეთიდან მომდინარე მძლავრი ნაკადებიც. ამიტომაც, მაშინ როდესაც საეკლესიო სფეროში ძველი ქართლი დამოკიდებული იყო ბერძნულ სომხურ ქრისტიანულ სამყაროზე, ეგრედ წოდებულ საერო მწერლობითი შემოქმედების მხრივ, ეგვე ქართლი განიცდიდა ძველი ირანის ხედგავლენას. ხოლო ცნობი-

ლია, რომ სპარსელებს არაბების გა-
ნოსვლამდისაც, მაშასადამე მე-7 საუ-
კუნემდის, ჰქონდათ საკმაოდ მდიდარი
ლიტერატურა (ფაჰლავურ ენაზე). მარ-
თალია ეხლა ჩვენ ვიცით, თუმცა,
შესაძლებელია, არც თუ მთლად ვქვ-
შიუტანებოდ, რომ ჯერ კიდევ მე-4
საუკუნეში ქართულად უნდა არსე-
ბულიყო ქართლის მოკლე გეოგრა-
ფიული აღწერილობა, შეტანილი უსა-
ნულო სომხურ გეოგრაფიაში, რომ მე-5
საუკუნეში ქართული მწერლობის ნიღ-
წევა არ გამოიხატებოდა მართლ სახა-
რების თარგმანის შესრულებაში და
შუშანიკის ცხოვრების დაწერაში, არა-
მედ ამავე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს
„მაშათა და ხათვსაფთა ცხოვრება“ და
„ფარსიანის ცხოვრება“, რომელთაგან
უკანასკნელი წარმოადგენს ნართლაც
ჩინებულს ნახევრად პოეტურ ნაწარ-
მოებს. „მეფეთა ცხოვრება“, — აგრეთვე
ნახევრად ისტორიული და ნახევრად
პოეტური ნაწარმოები, რომელიც
მოაუღადა შეხავებულია ეპიური ელე-
მენტებით, შესაძლებელია მიეკუთვნოს
მე-7 საუკუნეს, ხოლო ვახტანგ გორგას-
ლანის ცხოვრება, რომელშიდაც ისტო-
რიული ქარგა ძლიერ სუსტად სჩანს,
შეიძლება, ჩაითვალოს მე-8 საუკუნის
მეორე ნახევრის ქართულ შემოქმედების
საუკეთესო ნიმუშად. ყველა ამ და ანა-
ლოგიურ საკითხებს კ. კეკელიძე გვერდს
უვლის და საერო ლიტერატურის და-
საწყისსაც ამიტომ ის მე-11 საუკუნეს
აკუთვნებს.

ამის გარდა, რადგანაც ავტორი გვერდს
უხვევდა ქართული მწერლობის განვი-
თარების ცალკე საკუთებების შესახებ
მთლიანი პერსპექტიული აზრის შემუ-
შავედას, ამიტომ ცალკე შემთხვევებში
ის აშკარა შეცდომებსაც ვერ აცილ-
დებოდა, ავტორი მაგალითად კვლავ
იმტორებს თავისს აზრს ქართულ მატია-
ნის ერთ-ერთ წყაროდ ფირდოუსის
შაჰ-ნამეს გულისხმობის შესახებ, თუმცა
ამ აზრს ეხლა არ იზიარებს არც ერთი
სპეციალისტი, დაწყებული აკად ნ. მარ-
რიდან. მაგრამ ავტორს რომ ეს აზრი
ქარ ეყო და მატიანის წყაროდ ფაჰლა-

ური ხოდათ-ნამე ჩაეთვალა, მაშინ მატია-
ნეც უფრო ძველი ლიტერატურული
ნაწარმოები გამოვიდოდა და მისი
დებულებასაც ქართული მწერ-
ლობის მე-11 საუკუნის მწერების
შესახებ საფუძველი გამოეცლებოდა.

მხოლოდ ასეთივე შემცდარ დებულე-
ბაზე დაყრდნობით შეიძლება ამირან-
დარეჯნიანის მატიანეზე ვაფლენის შესა-
ხებ მსჯელობა. ავტორი ცდილობს აგრი-
თვე დაამტკიცოს ამირან-დარეჯნიანის
ზედგავლენა ვეფხის ტყაოსანზე, მაგრამ
ავტორის მიერ მოყვანილ ყველა მოსა-
ზრებებით შესაძლებელია მხოლოდ ძვე-
ლი ქართული ეპოსის საერთო დანახა-
სიათებელ ხაზების გათვალისწინება.
ვეფხის ტყაოსნის გარჩევასას ძლიერ
ბევრი ადგილი უჭირავს არსებულ ყვე-
ლა აზრების დეტალურად აღრიცხვას,
რაც ზედმეტად უნდა ჩაითვალოს, რად-
გან ვეფხის ტყაოსანზე ჩვენში ყველა
წერდა. ავტორი ამასთანავე როგორც
სჩანს, არ იცნობს ძველს ხ ღნაწერებში
წარმოდგენილ რედაქციებს ვეფხის ტყა-
ოსნისას, რის გამო პოემის პროლოგის
საკითხში ის უნდა დასდგომოდა ყვე-
ლაზე უფრო ადვილ გზას, სახელდობრ
მთლიანად პროლოგის სინამდვილის
ფარყოფას, რის გამო საკითხი პოემის
ავტორის ვინაობის შესახებ უნდა ღიად
დარჩენილიყო. ავტორს ამასთანავე უყუ-
რადლებოდ დაუტოვებია ვეფხის ტყაოს-
ნის ხელნაწერების შესწავლის საქმე-
ში უკვე მოპოებული მიღწევებიც, რის
გამო ის პოემის დამატებათ მე-16 სა-
უკუნეზე აღრიცხვად არა სოვლის
(გვ. 220), მაშინ როდესაც ეს დამატე-
ბანი უკვე დადასტურებულია მე-15
საუკ. დასასრულის ერთს რედაქციაში,
რომელიც წარმოდგენილია მე-17 საუ-
კუნის ორი ხელნაწერით (ეს ორი
ხელნაწერი გადმოწერილია მე-15 საუ-
კუნის დასასრულის ხელნაწერიდან).
ასევე შემცდარია, ჩვენის აზრით, და
ყოველს შემთხვევაში არადამარწმუნე-
ბელი ავტორის დებულება, რომ დავით
მეფის შესხმა (შეცდომით აბდულ-მე-
სიათ ცნობილი) ნამდვილად დავით
აღმაშენებლის და თამარ მეფის შეს-

ხმას წარმოადგენდეს. ავტორის დებულებანი შაპ-ნამეს ქართულ ვერსიების დროის მიხედვით წარმოშობის შესახებ აგრეთვე გადასინჯვას მოითხოვს. საერთოდ პროფ. კ. კეკელიძის ამ წიგნმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ქართული ლიტერატურის ძირითადი საკითხები სათანადოდ გამოვლენულ იქნას, უკეთეს ამასთანავე გათვალისწინებული არ იქნება ქართული კულტურის განვითარების ცალკე საფეხურები დაკავშირებით წინა-აზიის კულტურულ ცხოვრებისათვის ამა თუ იმ ეპოქაში დამახასიათებელ ფაქტორებთან.

შასალოს მხრივ წიგნი კარგად არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით აღორძინების ეპოქის ნაწარმოებნი (მე-17—18 საუკ.) ფართოდ და საკმაოდ ამოწურვით არის აღრიცხული. კ. კეკელიძის წიგნის გამოსვლა, მიუხედავად იმ ძირითად დეფექტებისა, რომელიც მას ახასიათებს, რასაკვირველია ძლიერ სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, ილხანი შავია ამასთანავე, რომ ხოგიერთი დეფექტის თავიდან აცილება, სანამდის ჩვენ არ გვყავს სპარსული ძველი ლიტერატურის

მკოდნენი, პირდაპირ შეუძლებელია. ჩვენი მეცნიერების ღირსება უთუოდ მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას ხონები განსაკუთრებულ სპარსულ ძველი ლიტერატურის შესახებ მსახვედ წყაროზე დამყარებულ ცოდნის განსამტკიცებლად. სანამდის ეს არ არის, ქართული საერო ლიტერატურის ისტორია მუდმივ კოჭლობისათვის იქნება განწირული. მაინც კ. კეკელიძის წიგნის გამოსვლა მით უმეტეს სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რომ აქამდის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ ილ. ხახანაშვილის ცნობილ ნაშრომის გარდა (რუსულად და ქართულად) სხვა წიგნი არ მოიპოვებოდა. ხოლო ილ. ხახანაშვილის „Очерки по истории Груз. словесности“, რომელიც თავის დროზე დიდს მიღწევას წარმოადგენდა, კარგა ხანია უკვე მოძველებულად სჩანს. მომავალში, იმედია, ქართულ ძველი საერო ლიტერატურის ისტორიის გაგების გასაღრმავებლად ახალი ნაბიჯები იქნება გადადგმული.

სარგის კაკაბაძე.

ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი 1924 ფასი 3 მან. 50 კაპ.

ეს გამოცემა უთუოდ განხილული უნდა იქნეს გ. ჩუბინაშვილის იმ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც დაბეჭდილია „ჩვენი მეცნიერების“ მე-14-ე №-ში (გვ. 140-142), ვინაიდან უკანასკნელში მოყვანილია, თუმცა მოკლედ, მთელი ისტორია იმისა, თუ როდის და როგორ დაიბადა აზრი ასეთი გამოცემის გამოსაქვეყნებლად, რა და რა ნაკლი აქვს მას და რით აიხსნება ასეთები, და სხვა.

თვით ალბომში წარმოდგენილია სულ მთლად ტაბულა, სადაც მოთავსებულია ნახევარი შემდეგ ხუროთმოძღვართა და მხატვართა: ებრაელი ძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კერ-

ნისა, კიუნესი, რიბოვიცისა და სევეროვიცისა, რომლებიც დაუგროვებია მთელი 20 წლის განმავლობაში (1920 წლამდე) ცნობილ ქართველ არქეოლოგს ექვთიმე თაყაიშვილს. ტაბულებს მიუძღვის დაწვრილებითი სარჩევი ქართულად და ფრანგულად. უმეტესი ნაწილი ნახევებისა ემება საეკლესიო ხუროთმოძღვრებას, მაგრამ შიგადაშიგ არიან ნიმუშები საერო ხუროთმოძღვრებიდანაც, რაც დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს.

ალბომი, რასაკვირველია, ბევრად მაღლა სდგას შედარებით ყველა იმასთან, რაც კი აქამდე არსებობდა (მხედველობაში ნაქვს დიუბუასი, გაგა-

რინის, გრინის და სხვათა ალბომები). ვარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ეს გამოცემა ნაწილობრივ განზრახულია

უნივერსიტეტის სტუდენტთა დასაკმაყოფილებლადაც, მისი ფასი — 3 მან. 50 კაპ. — ძალიან მაქრანაა.
 ბიბლიოთეკა მ. ბ.

მიხეილ ჯავახიშვილი. ჯაყოს ხიზნები.

შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი იღბლიანი მწერალია. თხუთმეტი წლის სიჩუნის შემდეგ კურკას ავტორი ისევ დაუბრუნდა მწერლობას და შექმნა კვაკი კვაკანტირამის ეპოპეია. ჯავახიშვილის დადებითი მხარე იმაშია, რომ ის თანამედროვეა. კვაკის ავტორი ეპიური ნიჭით დაგვიხატავს რასპუტინის მკვლელობას, ლათიაძის დუქანს ქუთაისში, პარიზის და პეტერბურგის ქუჩებს, ჯავახიშვილს ბევრი უნახავს და წაუკითხავს.

„ჯაყო“ მხატვრული ნაწარმოებია და მასში თითქმის არა აქვს ადგილი ხალტურას. შინაარსის მხრით რომანი კარგია. ჯაყო ცოცხალი პიროვნებაა, თეიმურაზი კი მანეკენია, რომელიც ვერ გააცოცხლა ავტორმა.

პეიზაჟი „ჯაყოში“ რეალისტურია. „ჯაყოში“ არის შესამება ადამიანის გუნების და „მკედარი ბუნების“. ლირიკული პათოსი აკლია ავტორს, ის უმთავრესად ეპიკოსია. არის ჯაყოში ტრაგიული სცენა, რომელიც შეტად დრამატიულია. ეს ის მომენტი, როდესაც ჯაყო და მარგო გამოწყობილნი ხევისთაყვების საგვარჯლო ტანთსაცმელში და სამკაულებში, ჯვოს იწერენ თეიმურაზის თანდასწრებით. ზოგ შემთხვევაში ავტორს კიდევაც ეხმარება სიმარტივე ენის, ეს მხოლოდ იქ,

სადაც საჭიროა პირდიპირი თქმა.

შე მინდა ავლენიშნო ერთი დიდი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჯავახიშვილს. ეს არის ძველებური ენა თითქოს არ მომხდარა რევოლიუცია, არ ყოფილა დოსტოევსკი, ანდრეი ბელოი. ავტორს ეტყობა შრავალსიტყვაობა. სადაც საჭიროა ორი სიტყვა, ის ხმარობს ათ სიტყვას. მხოლოდ ჯავახიშვილი არ არის დამნაშავე იმაში, რომ ჩვენმა პროზამ კიდევ ვერ შექმნა თანამედროვე სტილი, სტილი რევოლიუციის. აქ ბევრი მიზეზებია. ყოველ შემთხვევაში ჯავახიშვილს აქვს თავისი მიღწევები. მან შექმნა ახალი ამორდიას — კვაკის ტიპი, მან შექმნა დიდი რომანი თავისებური კონცეპციით „ჯაყოში“ მისი სტილი არ არის იმდენად ბანალური. მისი ფრაზა — კლიშეა, მაგრამ ორიგინალურია ცალკე სიტყვები და გამოთქმები.

რომანი „ჯაყო“ მიუახლოვდა სინამდვილეს.

ავტორი არავის მოწაფე არ არის. ის საკუთარი გზით მიდის. მის ლაბორატორიაში დიდი მუშაობა სწარმოებს. მისი ნიჭი იწმინდება და ჩქარა ის დადგება ჩვენს წინაშე, როგორც დიდი ბელოვანი.

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

გვერდი.

საქართველო



1. ვალერიან გაფრინდაშვილი — პარიზის კომუნა 5
2. შინელი ჯავახიშვილი — ყუბაჩამ დაიგვიანა 21
3. ვიქტორ გაბესკირია — დღეები ზღვაზე 50
4. ღია ჩიანელი — საქართველო სამფეოროვანი 55

რუსეთი

5. ბორის პილნიაკი — შიშველი წელი — თარგ. დ. შენგელაიასი 79

დასავლეთი.

6. ანატოლ ფრანსი — ღმერთებს სწყურიათ — თარგ. ფრანგულით გ. ქ. 108

კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები.

7. გერონტი ქიქოძე — ქართული მხატვრობა და ფიროსმანიშვილი 151
8. ელისაბედ ყაზბეგი — დჰ. ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები (გაგრძელება) 156

მეცნიერება და კუბლიცისტიკა.

9. ს. გორგაძე — ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან 186
10. ს. ქავთარაძე — ხაერთაშორისა მდგომარეობის საკითხები 205

ტ რ ი ზ უ ნ ა.

11. აშხ. ვარდინის მოხსენება სალიტერატურო თათბირზე 228
12. აშხ. ლ. ტროცკის სიტყვა 237
13. მწერალთა ერთი ჯგუფის წერილი, გამოქვეყნებული თათბირზე 253
14. თათბირზე მიღებული რეზოლუცია 254

ბიბლიოგრაფია

15. ხარგის კაკაბაძე — პროფ. გეგელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II ტ. საერთო მწერლობა მე-11—18 ს. 256
16. ლ. მ.-ბ. — ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი 258
17. ვ. გ. შინელი ჯავახიშვილი. ჯაყოს ხიზნები 259

ანონსი: „მნათობის“ შემდეგ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა დავით კლდიაშვილის ახალი ნაწარმოების: „ჩემი ცხოვრების გზაზე“.



ფასი ორი მანეთი



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

